# ცისკარი

სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალი

2 | 1999





დამფუძნებლები:
საქართველოს მწერალთა კავშირი
და ჟურნალ „ცისკრის“ რედაქცია

# ცისკარი

2 | 1999

დაარსებულია 1852 წელს აღდგენილია 1957 წელს

მთავარი რედაქტორი:
გაურ კალანდია

სარედაქციო საბჭო:
გალათერ არაგული
ირაკლი გაზაძე
ლევან მალაზონია
ელზა მეტრეველი -
(მთ.რედაქტორის მოადგილე)
მიხო მოსულიშვილი
ზურაბ ნარმანია
ჯემალ ქირია -
(პასუხისმგებელი მდივანი)

საკონსულტაციო საბჭო:
გივი გეგეჭკორი
ნოდარ გრიგალაშვილი
დავით თედორაძე
ზაზა თვარაძე
ემზარ კვიტაიშვილი
რევაზ მიშველაძე
დავით მჭედლური
გიგი სულაკაური
მიხეილ ქვლივიძე
ჯანსუღ ჩარკვიანი
შალვა შამანაძე
ნუგზარ შატაიძე
როსტომ ჩხეიძე
ჯანო ჯანელიძე

მხატვარი:
გიორგი წერეთელი

მხატვრული რედაქტორი
დავით აგულაძე

ტექრედაქტორი:
ზიული სირაძე

გამომცემელი:
ლევან თითმერია

საქართველო, თბილისი, ხიდის ქუჩა №1
ტელ: 99-85-81 მთ. რედაქტორი
98-36-43 მოადგილე

## შინაარსი

### გამოიღვიძე, ქნარო!..

3. ფსალმუნები. გაგრძელება. ებრაულიდან თარგმნა ჯემალ აჯიაშვილმა

### პოეზია და პროზა

8. იზა ორჯონიკიძე. ლექსები
15. თამაზ ხმალაძე. დროის მკვლელები. რომანი. დასასრული
72. გიორგი არჩემაშვილი. ლექსები
75. რევაზ მიშველაძე. ყველა ვარსკვლავი როდი ანათებს
(საყმაწვილო მოთხრობა)
100. თამარ შაიშმელაშვილი. ლექსები
102. შალვა შენგელი. ხმოვანი ეტიუდი „საკანი“. კუკური ბატონი

### თეატრი

105. ელენე თუმანიშვილი. აივნების ჩუქურთმა – მძივ-სამკაულით ნაქარგი

### ჩვენი თანამედროვე

108. გაურ კალანდია. ჩანახატი მხატვრის სრული პორტრეტისათვის,
ანუ უფლისგან ბოძებული ხელობის გახსენება

### წერილები

110. ხათუნა კაშია. ქართული ლიტერატურის მძიმე წლები
114. რუსუდან ნიშნიანიძე. კონსტანტინე გამსახურდიას ნოველა „დიდი იოსები“
118. ლანა კალანდია. სიტყვა „სიტყვების“ შესახებ
124. შოთა ზოიძე. ბიბლიის მოტივები ანა კალანდაძის პოეზიაში
128. ნათელა ჭახნაკია. „ოქროს საწმისის“ საიდუმლოება
132. მერი ტორაძე. ტიციან ტაბიძე ეროვნული თვითცნობიერების შესახებ
135. მანანა იამანიძე. თანმხლები პირის როლი ფრანგ მოგზაურთა მოღვაწეობაში

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა



იერუსალიმი. ხედი ზეთისხილის მთიდან.

# ფსალმუნები

## ფსალმუნი 108

გალობა. ფსალმუნი დავითისა.

2. მომართულია გული ჩემი,
უფალო ჩემო,
კვლავ საგალობლით მოგესალმები
და სასოებით
გიმღერებ ქებას.
3. გამოიღვიძე, ჩანგო და
ქნარო, –
გამოვაღვიძებ დილას და
ცისკარს.
4. გაქებ, უფალო, წარმართებს შორის,
ხალხთა კრებულში
შეგასხამ ხოტბას.
5. ცამდე ასულა უნაპირო შენი წყალობა
და ღრუბლებამდე –
შენეული ჭეშმარიტება.
6. აღზევდი, ღმერთო,
მაღალთა შინა,
მთელ ქვეყანაზე განფენილა
დიდება შენი.
7. იხსენ ყოველი,
რომელიც გიყვარს,
შენი მარჯვენით შეიფარე
და შეიწყნარე
და ჩვენ, წმიდაო, მოგვაპყარ სმენა.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

8. ღმერთი იტყოდა წმიდასა შინა:
„დავანაწევრებ ზეიმით
სიქემს
და მოვუზომავ სუქოთის დაბლობს.
9. ჩემია ჩემი გილაადი,
ჩემი მენაშე,
მძლე ეფრაიმი –
სიმტკიცე ჩემი
და იეჰუდა –
ჩემეული კანონმდებელი.
10. მოაბს გავიხდი განსაბან ქვაბად,
ედომისაკენ გავიშვერ ხამლებს
და ჩემს მახილზე ფილისტიმი შეტორტმანდება“.
11. ვინ შემიძლევბა
გამაგრებულ ციხე-ქალაქში,
ვინ მიმეგზურებს ედომის გზაზე? –
12. ეს მხოლოდ შენ ხარ, ჩვენო ღმერთო,
ღმერთო მაღალო,
რომ დაგვაგდე და
აღარ მოუხველ
მხედრობას ჩვენსას
შენმიერი თანადგომისთვის.
13. მოგვმადლე შველა გაჭირვებაში,
რადგან ფუჭია შემწეობა ადამთაგანის.
14. ღმერთის შეწევნით შემოვკრებთ ლაშქარს,
რომ შემუსროს და
გაიგოს ფეხქვეშ
მოშუღარი და
მომულე ჩემი...

## ფსალმუნი 109

### ლოტბარისადმი. დავითის ფსალმუნი.

1. ო, ღმერთო ჩემი დიდებისაო, ნუ დადუმდები;
2. რამეთუ პირი ცოდვილის და
პირი მზაკვრისა
ჩემს წინააღმდეგ განხმულა, ღმერთო,
და ყალბი ენით მელიქნებიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. გარე-მერტყმიან სამტრო სიტყვებით
   და უმიზეზოდ მეომებიან.
4. მტრობით უზღავენ სიყვარულს ჩემსას
   და მაინც, ღმერთო,
   მლოცველად დავრჩი.
5. ავი მომაგეს კეთილის ნაცვლად,
   სიყვარულის წილ –
   სიძულვილით გადამიხადეს.
6. თავთით დაუსვი ბოროტი თესლი,
   მის მარჯვენასთან დაადგინე ეშმაკეული.
7. მსჯავრი მიეგოს,
   ვითარცა ცოდვილს
   და შეცოდებად ჩაეთვალოს ლოცვა-კურთხევა.
8. მსწრაფლ გადაქანდეს დრო-ჟამი მისი,
   სხვამ მიიბომოს მისეული ავლადიდება.
9. ობლად დაურჩეს შვილი და
   მირი,
   ცოლი ლამაზი
   დაუჯდეს ქვრივად.
10. გამოდიოდნენ ნანგრევიდან მისი შვილები
    და სამათხოვროდ კარდაკარ მრწოდნენ.
11. რაც მოუგია, ყველაფერი ვალში წაავოს,
    და წარიტაცოს გადამთიელმა
    ნაჯაფარი და
    ნაღვაწი მისი.
12. კაცი არ ჰყავდეს შემბრალებელი,
    არც გამკითხავი ობოლთა მისთა.
13. ამოემირკვოს შთამომავლობა,
    განქარდეს შემდგომ თაობაში
    სახელი მათი.
14. ნუ წაიშლება მისი ხსოვნიდან
    მისი მამების შეცოდება უფლის წინაშე,
    ნურც დედამისის ცთომილება წარიხვეტება, –
15. რომ დღენიადაგ წარუდგნენ უფალს,
    და პირისაგან ამა ქვეყნისა
    სრულ წარიხოცოს ხსენება მათი.

16. რადგან არასდროს განუკითხავს ღარიბ-ღატაკი
და ყველა ჩაგრულს,
ყველა დავრდომილს
და გულგატეხილს უმოწყალოდ ასამარებდა.
17. უყვარდა წყევა,
ვითარცა მწყევარს, –
წყეულ იქმნება სახელი მისი;
არ ემიებდა ლოცვა-კურთხევას –
შორს განუდგება კურთხევის მადლი.
18. წყევლა მოისხას სამოსლის ნაცვლად,
რომ ზეთის დარად მოეცხოს ტანზე
და წყალმანკივით შეამრწუნოს
გულგვამი მისი.
19. და ჰქონდეს იგი საუკუნო შესამოსელად –
სარტყლად, რომელიც
ყოველცისმარე
გარშემორტყმული ექნება წელზე.
20. და ეს იქნება საზღაური უზენაესის
ჩემი მტრისა და მომდურის მიმართ,
რომელიც ჩემს სულს უდიერად იხსენიებდა.
21. და შენ, უფალო,
უფალო ჩემო,
ჩემთვის რომ ზრუნავ უწმინდესი შენი სახელით, –
რა დიადია წყალობა შენი, –
შემიველრე და
მეოხად მექმენ.
22. რადგან მწირი ვარ,
მარტოეული
და მოწყლულია გულგვამი ჩემი.
23. გადამქრალი ვარ,
როგორც აჩრდილი
და მღილის მარხვით მუხლი და მკლავი
და ხორცი ჩემი
სანთელივით ჩამოილია.
25. ეთაკილებათ ჩემი დანახვა
და დარცხვენილნი აქნევენ თავებს.
26. აწ შემეწიე, უფალო ჩემო,
და შემიწყალე, შენეული კეთილწყალობით, –

27. რომ სცნონ – ეს ხელი შენი ხელია,
ქმენან შენ ჰყავი ყოველივე,
კეთილმყოფელო!
28. დამწყევლიან და –
კურთხევისთვის დამამწყალობებ,
მოდგებიან და –
დარცხვენილნი უკუდგებიან
და გაიხარებს მსახური შენი.
29. სირცხვილს მოისხამს ჩემი მომულე
და გაწბილების სამოსელით შეიმოსება.
30. მე კი საქებრად აღვაპყრობ ბაგეს,
მრავალთა შორის განვადიდებ
მეუფეს ჩვენსას,
31. რომელიც მოვალს უპოვართა განსაკითხავად,
რომ განარიდოს უმწეო სულებს
მაბეზღარი და
მდევარი მათი.

ებრაულიდან თარგმნა
ჯემალ აჯიაშვილმა

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა



*„ცისკარი" გულითადად ულოცავს იუბილეს ცნობილ ქართველ პოეტს, იზა ორჯონიკიძეს და ხანგრძლივ სიცოცხლესა და შემდგომ შემოქმედებით წარმატებებს უსურვებს მას.*

# იზა ორჯონიკიძე

## აპრილი

შენ, სიყვარულით სნეულო ბავშვო
/გარშემორტყმულო მუდამ ფლიდებით!/,
რატომ გგონია, რომ წყარო დაშრა
და ქარებს ველარ გაექიდები?!

რატომ გგონია, რომ შენი სენი
ამ სოფელს აღარ გადაედება
და მხიარული ნიაღვრის დენა
არ გადააქცევს მიწას ედემად?!

მოირთე შრომნით! /ჯანდაბას იჭვი,
ჯანდაბას სევდაც - ჯოჯო ხნიერი!/,
მოდის ოცი წლის სულელი ბიჭი,
თავაწყვეტილი და მშვენიერი!

1997

## საყვედურის მაგიერ

შენც იმ ჩერჩეტი ჩიტივით მოგდის -
იმანაც ხომ საკუთარი ჭორფლიანი იუკადრისა
და უხსენებლის კრიალა კვერცხს გადაეფოფრა!
რა გიხარია, ჩემო ტურფა დედინაცვალო?!
მხოლოდ გიჟი ზის ქვაზე, რომელიც
უფსკრულისკენ მიექანება!

1997

## ომი დამთავრდა...

/თბილისი - 1993 წ./

როგორც გამსკდარი ზედ ზღურბლზე ნაღმი,
თავაწყვეტილი, ბილწი გინება
აყრუებს ქალაქს - მშიერს და დაღლილს,
შენც - ზურგში დაჭრილს, არ გეძინება.

## ლამაზია შენით

*იზას - საიუბილეოდ*

*ქვეყანა არის არეულ-დარეული. თითქოს ერთნაირად სწორად ასულან სახლები ზევით, მაგრამ მერე ისინიც შეყოყმანებულან, ზოგი რა სიმაღლეზეა გაჩერებული, ზოგი რა! ზოგს რანაირი აივნები წამოუწევია აქეთ-იქიდან, ზოგს რანაირი! ზოგი სახლი სოლივით შეჭრილა ცაში, ზოგი მისწოლია მთელი თავისი სიგანით. ხეები, ბოძები, მანქანები, შპილები, ანტენები, მავთულხლართები! აჩონჩხლილია ერთმანეთზე. ამობრუნებულია მიწა, აზელილ-დაზელილი. ვითომდა წესიერ ოთხკუთხედებად დაუწყვიათ ბაღები, ბოსტნები, ვენახები. ისინიც ქანაობენ - მაღლა და დაბლა, მაღლა და დაბლა. მაღალ მთებსაც კი ვარცხნიან, აუთოებენ თვითმფრინავები, ვერტმფრინავები. ადამიანები დაბორიალობენ სახლების, ბოძების, მანქანების, ხეების, ხაზების სამეუფოში. შენც მიაბიჯებ მათ შორის. გამორჩეული მღელვარე შავი თმით, მღელვარე მხრებით, ელეგანტური მანერებით, გრძელი, ელეგანტური პალტოთი. ფეხსამოსის ღონიერული აბეჭდვით ადიხარ კიბეზე. კიბე მარმარილოსია, წინა საუკუნის ოსტატებს ჩაუწყალებიათ თვალები მისი მოაჯირების ჩუქურთმებში. მერეა ხატოვანი პარკეტი, პარკეტი უფრო ხმამაღლა ეხმაურება შენს ღონიერ ქუსლებს, თითქოს კრთებიან ნათურები. მხოლოდ ერთს გახედავ ტელეფონებთან მჯდარ, პომადით შეიარაღებულ ქალიშვილს და მკაცრად გამოაღებ მასიურ მუხის კარს. დიდი მაგიდის მფლობელი დიდი კაცი შემკრთალი გასწევს ტელეფონის ყურმილს ოდნავ განზე, - ჰო, ჰო, ჰო, აუცილებლივ! - უძრავი თვალებით მოგჩერებია შენ. შენ მესვლისთანავე იწყებ:*

*- ეს საზიზღრობაა, ეს თავლაფდასხმაა მთელი ჩვენი საზოგადოებრიობისა. გაქელვაა მისი, წუმპეში ამოვლება...*

*დიდი კაცი დგება, შენს აკანკალებულ ხელს შეაშველებს თავის ბალნიან ხელს, მშვიდად გთხოვს, დაბრძანდე. შენ ჯერ ფეხზემდგარივე განაგრძობ: - რამდენიმე ღორი ისე წარმართავს თავიანთ ღორულ საქმეებს, ჭუჭყში სვრის მთელ ქვეყანას, მაგრამ... კაციშვილი არ მივა და არ ეტყვის ამ ღორებს, ეგრე არა, ეგრე არ შეიძლება...*

*სიტყვები იფრქვევიან ტყვიამფრქვეული სისწრაფით, სიმწვავით.*



*დიდი კაცი ისევ გეწევა სავარძლისაკენ. შენ ჯდები.*

*- მამაკაცებო, მოგეკითხებათ, ადრე თუ გვიან, მართლა გქონდათ შარვლების ტარების უფლება თუ არა...*

*- თქვენ? თქვენ რომ ატარებთ შარვლებს?*

*მძაფრი სიფითრე გადაგივლის სახეზე. დიდი კაცი მაინც ღიმილით გიკიდებს სიგარეტზე ცეცხლს, შენთან ახლოს მოაქვს საფერფლე. შენ ტირი. დიდი კაცი ფრთხილად გადებს თმის ბოლოებთან ხელს. შენ ტირი...*

*და მე მეჩვენება, რომ შენ ამ დროს დასტირი იმ ცისფერყდიან წიგნს, რომელიც ჩემს თაროში დევს, ჩემი მაგიდის ახლოს. ძალიან უბრალოდ ჰქვია ამ წიგნს, - „აქ, სამუდამოდ“... ეს არის მახვილის ბოლო მოქნევასავით თქმული, თანაც დიაცისგან, რომელიც ბევრგან იყო, ბევრი რამ ნახა, ბევრი განიცადა. დაუბრუნდა სამშობლოს და აღავლენს ლოცვას მის მიწაზე მუხლებით მდგარი: - „აქ, სამუდამოდ“ აქ უნდა დარჩეს, აქ უნდა იშრომოს, აქ უნდა იაზროვნოს, აქ უნდა უყვარდეს. აჰა, ნებისმიერ ადგილას გადაშლილი ეს წიგნი: „წევხარ მართალი და გაქურდული, და თავს გადგანან სამშობლოს მთები“. კვლავაც ნებისმიერი ადგილი: „და გახვალ გარეთ... გარეთ კი თოთო გაზაფხული სიარულს სწავლობს... გარეთ კი მყიფე წელს მოათრევს ცერცეტა მარტი“. იქვე, სულ ახლოს: „აღარ თბილა, აღარ, წვიმამ მოუხშირა... ვფიქრობ მწარედ, სადად, ვფიქრობ ჩემდა ჭირად“... და ბოლოს, ეს ერთიც: „მე სიხარულის გადავწვი სახლი. ახლა ნაცართან ვთბები მდუმარი, შენ აქ თუ მოხვალ და თავს თუ დახრი, კრძალული იყავ, როგორც სტუმარი“...*

*არეულ ქვეყანაში ეს წყობანიც, მცირეზე მცირე, შეუმჩნეველიც კი ბევრისათვის, უნდა მიიღო, ვითარცა დიდი მოწყალება ღვთისა, მადლიერებით. შენი თვალები კი ველარ უძლებენ ვეღარც ამ საჩუქრებს, მოწყალებებს, ჩამოვდის ცრემლი და ეწაფები სივარეტს. ძნელია, საშინელებაა ყოველივე ეს, ძვირფასო დაო, მუშტების ბრახუნითა და შუბლის ცემითაც რომ ვერაფერს გააგონებ ვერავის. მაგრამ ლამაზია, სევდიანად ლამაზია შენი გარემო შენით, და ჩვენი ნატვრა ერთიღაა შენთან: ეს სილამაზე დიდხანს, დიდხანს გამოგვყოლოდეს გვერდით.*

*რევაზ ინანიშვილი*
*1989 წ.*
*თბილისი იანვარი*

რა საზარელი მოაქვთ ალაფი!
ეს ქარავანი ჩაივლის როდის?
ველი ღვთის რისხვას და სხვას არაფერს,
ველი ღვთის რისხვას და... ისიც მოდის!

1997

## მიწისქვეშა გადასასვლელი

შენი ქალაქი - ნაჭუჭი ბნელი,
სავსე ქეციან, მშიერ ძაღლებით,
უნდა შენს სისხლშიც გაისვრის ხელებს,
ცხრა თოკში გამძვრალს რა ენაღვლები?

აურაცხელი აჸრია ჭინჭი
ოდესღაც ძვირფას წიგნების თაროს,
გიტარას უკრავს მიწისქვეშ ბიჭი
და თავდახრილი გამვლელი ჩქარობს...

და ვიდრე ამ გზას ბოლომდე გალევ,
ვიდრე, ვით ტყვია, ზურგს აგწვავს გესლი,
ვიდრე ხელგაწვდილს ჩაუვლი ქალებს
და სუსხიანი სიმღერაც გესმის,

იტირე მაინც, ნუ, ნუღარ ითმენ
/გაუტყდა ზამთარს თეთრი მარხილი/,
უცებ გაითბობს გათოშილ თითებს
ბიჭი, გიტარის ტანზე დახრილი.

1997

## მუდამ

მუდამ რაღაც აკლია
ჩვენს ცხოვრებას სავსეს,
ვით დარბაზებს სარკიანს,
ვით უღონო ამ მზეს...

მუდამ რაღაც აკლია
ქალის თვალში ნაქმრევს,
როგორც სხივი კაკლიანს
როგორც სიტყვას - საქმე!

მუდამ რაღაც აკლია
შენს მზერას და შენს ხმას,
როგორც ღობის კაკიას
ჩემგან ხოტბის შესხმა...

1997

## ერთი ნაღვლიანი წერილის ფრაგმენტები

სარკმლის ცივ მინას შუბლს თუ მივახლი,
სულ ეს იქნება ამ წლის სიახლე!
გაინტერესებს შენც ის, რაც - მასებს, -
მომწვანო ჭიქებს ვინმე თუ ავსებს...

დამშვიდდი, პარიზს არა ვარ ბინად!
საკუთარ მკლავზე დანდობილს მძინავს
და ჩემთვის მხოლოდ ქარბუქი მღერის,
გიტარას ადევს ტაბუ და მტვერი...

შემოირბენდა ხოლმე ეროტი,
მაგრამ მე მუდამ სულ სხვას ველოდი!
სდუმს კამერტონი, სიმიც და ხემიც,
სანიმუშოა ცხოვრება ჩემი!

*

მარტოობაში არის სიამე,
რომელიც შუქს ჰფენს ყოფნის ყიამეთს,
რომელიც სახელს არქმევს ყველაფერს,
ღვთის უკითხავად ჩვენგან შენაფერს...

ეს ხომ ასეა, მაგრამ სხვაც არი:
ცხელია ცხელი ისევ ნაცარი
და ერთი ცელქი ნიავი უნდა...
შენ კი... ჩემს აღზრდას ლამობდი მუდამ!

*

მე უსაშველოდ ვარ კუზიანი!
როგორც უღრანი და უსიერი,
როგორც ნანგრევში ნაზამთრი გველი,
მზის აღტკინებას მეც ისე ველი...

დღეს კი... ქარბუქი სარკმელს თვალს უხვევს,
არავინ მოვა, სიტყვები მოვლენ!
დილით მოგართმევ დაწერილს წუხელ
ნოემბრის ვარდის ფურცლებზე თოვლით...

1997

## აივანი მთავარ ქუჩაზე

ნინო ხოფერიას

ფანჯრის რაფაზე ქოთნით ისევ გამოდგეს ია
(გახსოვს? ამური აქ უცდიდა ბიჭებს გულიანს...),
შემცივნებული, გაცრეცილი მოვიდა გვიან,
მაგრამ გვიანი გაზაფხულიც - გაზაფხულია!

შენც აწრიალდი აივანზე, როგორც მერცხალი,
(აბა, მშვიდობით იარაღო და შიშით ძრწოლავ!),
მალე წვიმები ძველ აფიშებს ჩამორეცხავენ
და ტროტუარებს თეთრ მაგიდებს დააფენს „კოლა",

მალე დაისხამს მახრჩობელა ბუსუსს ჭადარი
და მთვარიანში კვლავ სიცოცხლე მოგეჩვენება,
ვითომ არ იცი - სიყვარული აღარსად არი
და ამ აივანს შერჩა მხოლოდ შენი მშვენება...

შენ ყვავილს ჰგავხარ, ჩემს წიგნებში ჩარჩენილ
ყვავილს,
ცვარს დანატრებულს, მაგრამ მაინც პირველ-
პეწიანს,
ნუ გეშინია, არ მოუკლავს შენს პოეტს თავი
და ამ გაცრეცილ გაზაფხულთან ერთად გეწვია.

1997

## სააღდგომო ეპისტოლე ბედისწერით პოეტისადმი

Поэт Ты Царь! Живи один!
*ალ. პუშკინი*

„რომ მეფე ვარ და პოეტი"
*გალაკტიონი*

აპრილის ფაციფუცი გულზე არ გეკარება
(ო, რა ძნელი ყოფილა ბნელში კვარის ტარება!),
ნაღვლიანად გახედავ აყვავებულ ალუჩებს -
ადრე გადაქათქათდნენ - ყინვა გადაალურჯებს...

მიკვირს დაუდგრომელი ზიხარ, ვითომ ისვენებ,
მიკვირს შენი დუმილი, თვალთა შენთა სისველე,
კვლავაც სევდით სავსეა შენი ლურჯი რვეული
და თვალები, თვალები - ნუგეშს გადაჩვეული...

ნუთუ მოშურნეთაგან გწყინს მუშტების ღერება?!
ჩემი კარგი ქვეყანა არც შენ მოგეფერება,
ვიდრე გაძვირფასდება, სისხლის ფასად რაც იცი,
ბრბოსთან ვით გეკადრება ლაქუცი და ლაციცი!

გიხაროდეს - მტკივან გულს სხვა რად უნდა
წამალი,
ქრისტე აღდგა, ოსტატო, ქრისტე აღდგა სამარით!

1997

## ისევ ფრაგმენტები მაისის დამდეგს

შეუნდე ქალაქს აბდაუბდა, ქუჩას - ერესი,
არ გვეღირსება ჩვენ სამშობლო სხვა - უკეთესი!
ჭიამჭამელის არ მასვენებს მალიმალ ჩქამი -
ამ მიწას მეტად რა სწყურია, სისხლი თუ ნამი?

*

რად წამოვედი ბავშვობიდან? აქ ვისთან დავრჩე?!
(ვიღაცა უკვე სქოლიოსთვის სახელებს არჩევს).
ადამიანი, ატუზული სიკვდილის კარად,
რად ეძებს ტკივილს?! სიხარულს კი არ ეძებს –
არა!

*

არც ეს დარია ჩემი მზე და ჩემი მკურნალი!
ძლივს ფეთქავს გული – შენახული წმინდად
ურნალი,
გზად გადმომდგარი თავს დაიქნევს მალე ასკილი
და თუ გავძელი – სულგრძელ ცრემლსაც არ
ვითაკილებ...

1997

## თეთრი იასამნების მონატრება

რუსუდან ბერიძისადმი

ტახტის ყურეში მიწვები და მიიყუჩები;
შემოყოლილი სიგრილისგან გითრთის ტუჩები;
არც ვის ინატრებ, არცთუ ვისმეს მოუხმობ ფარად
(ჭირთ სამალავად მშვენიერი ღიმილიც კმარა!).
და სიტყვაც ისე უძლურია, ვითარც ოდითგან...
ლაგამაყრილი ეს ქვეყანა შენც გამოგიდგა
და გდია დიდხანს, მწუხარების ჭიშკრამდე ლამის...
გახსოვს ქანდარა – სიყმაწვილის უზურგო სკამი
და სახადივით მოდებული – „სანტა-ლუჩია“?
მე ვეძებ ქალაქს – მყუდროსა და ვიწრო ქუჩიანს
და იასამნის ტოტებს მკლავზე გადარწეულებს,
მე ლანდებს ვეძებ და წარსულში წაფლულ
რვეულებს,
რომელთაც თურმე შესაშური ბედი ეწიათ...
ო, გაზაფხულის თბილი ქარი, ალიწეწია,
პირმოცინარი და შენსავით მშვიდად ეული!

1997

## ქუჩაში გაგონილი სიმღერა

ნეტავ გული მწყდებოდეს,
არ ვიცოდე, ნეტავ...
ისევ შენთვის მინდოდეს
ცით ვარსკვლავის წყვეტა...

ნეტავ მენატრებოდეს,
დაშაქრული განგებ,
მატყუარა მაისის
გარეცილი ბაგე...

ნეტავ ცრემლი მახრჩობდეს,
მეხი მცემდეს ნეტავ,
ნეტავ ისევ მიყვარდე,
ნეტავ, ნეტავ, ნეტავ...

1997

## კვირადღე

მიშიკო ხუჯაძეს

ჩრდილში ვზივარ. ქათამი კენკავს კვერცხის
ნაჭუჭებს.
სევდა თუ არ აკეთებს, არც არაფერს აფუჭებს.

ერთ ყლორტს შესჩერებია ძეძვი, ძირში მოჭრილი,
ირწევიან მინდვრები ყვითლად გადაქოჩრილი...

ყვავილობენ ფშატები ხევისპირას დარგული...
მიხმობს მივიწყებული, გულში გადაკარგული...

სიო გადი-გამოდის, მოაქვს მოტკბო სურნელი,
უმიზეზო ნაღველიც, უკვე განუკურნელი...

1997

## ქართული ქრონიკები

/ანუ ნოსტალგია რომეოსა და ჯულიეტას გამო/

კენჭს აღარ ესვრის სარკმელს
უბნის ყვითელი ყოჩი,
კარგახანია ნაკლებს
ყლაპავს მონტეგი ნორჩი...
ამკობს დუმილი მწარე
ბნელში ჩაძირულ ქუჩას,
ივლისის სავსე მთვარეს
ჭიპის ნასვრეტი უჩანს...
აღარც ქალს კაპულეტის
ჰყვანან ძიძები მკაცრი...
დილით ასაკით მეტი,
შინ მიიჩქარის კაცი...
რად გაჩხერილა კარში
მუდამ მერყევი „იქნებ“?!
როცა სავსეა მთვარე,
თურმე ნათელი იკლებს...

1997

### სამი ლექსი
### ციკლიდან
### „ბიბლიური მოგონებანი“

## არჩევნისათვის

დიდი სიბრძნე – დიდი დარდია,
ბევრის შეცნობა უმრავლებსო ადამიანს
ურვას და წუხილს –
ასე ბრძანებს ეკლესიასტე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჭეშმარიტს ბრძანებს,
მაგრამ განა ბრმად და ყრუდ ყოფნას
ტანჯვის ნათელი არ გირჩევნია?
ქარის მონაბერს
არ სჯობს ჩემი ნუგეში ღვთისგან?

## სიზმარი

სულ მიწას ჩაჰბღვერი,
სულ ქვესკნელს ჩაჰყურებ
და ხელში იფნის სახრეს აწვალებ...
ცის დასალიერთან თვლემს თითქო საყურე -
ღრუბელი - დაღლილი წანწალით...

ამ დილით ველს გულზე გვირილა ეყარა,
ცხვარ-ძროხა ესია მინდვრებს...
რა მშვენიერია, კაენ, ეს ქვეყანა,
სისხლი აყვავდება ვიდრე!

წუხელის მეჩვენა:
ცვარს სვამდა მერცხალი,
მოლზე გორაობდნენ ბიჭები ნარბენი...
გრგვინავდა უფალი!
„რა იქნა მეცხვარე?“
„შენი ძმა სად არი?“
„სად არის აბელი?“

## ნახვამდის...

მე ცოცხალი ვარ და
 თქვენს ნახვას მოვესწარ,
გულმა იხარა და
 ახლა საზეიმოდ ვიმოსები,
გიცანით, ძვირფასებო,
 დანახვისთანავე გიცანით!
(ძმებმა კი... ძმებმა ვერ იცნეს იოსები!)
მობრძანდით, მობრძანდით,
 წაიღეთ, რაც ფასობს ამ დროს,
წაიღეთ ყველაფერი -
 ხორბალიც, ზეზიც და ერბოც,
სევდას ვერ გაგატანთ,
ვერც ჩემს გულისტკივილს განდობთ,
თქვენ პური გჭირდებათ
 და სხვა - არაფერი, ძმებო!
ნახვამდის... ამ გზაზე ბევრჯერ მობრძანდებით,
დასხდებით ინახად,
იქ, სადაც მშობლიურს დანატრებული
მრავალ წელს თავს ცრემლით ვიოსებდი,
სადაც არს უფალი -
სად ღლესაც სიყვარულს გინახავთ
ძმებისგან ეგვიპტეში გაყიდული
თქვენი იოსები.

1997

* * *

ნუ, ნუ შეიქცევ
შვილებს ჩვენი ცრუ არაკებით,
ცარიელი სიტყვებითაც ნუ ათამაშებ,
დღესასწაულს ნუ დაჰპირდები,
დაენახვე შენს ნაშიერს თვალცრემლიანი,
სიმწრისაგან წელში მოხრილი...
და თუ რამ გკითხოს,
წრფელად უთხარ,
რომ ვერაფერი გააგონე ადამიანებს,
მაგრამ გული სიყვარულით მაინც სავსე გაქვს...

1998

## ო, ევა, ევა

ო, ევა, ევა,
მოიმდურე დიდი შექსპირიც,
კაცთაგან ყველა
შენთან ომში ეძებს დიდებას,
მარადის ახსოვთ სამოთხეში
ვის რას შეჰპირდი
და ცრუ სასწორზეც
მარად შენი გული იდება!

მაგრამ ვინ უწყის კაცთაგანმა
შენი ვაება?!
ვინ ნახა შენი შეუმშრალი
ცრემლის სათავე?
ობობას ქსელში
სიყვარული ისევ გაება
და ნუ ინაღვლებ,
თუ სამსჯავროს გაგიმართავენ...

1998

## ბაბუაწვერა ბარდნის

ბაბუაწვერა ბარდნის.
ნიავს ნამიან ფრთაზე,
ქარაფშუტა და ნაზი,
ფაფუკი ფითქი აზის...

ორღობეების ვარდი
სურნელს უკმევს და უკმევს
შამბნარს შეყუჟულ შაშვებს,
მრუდე, ნაღვლიან შუკებს...

ჭიანჭველების მარწყვი
ჩამწიფებულა ტყეში,
შეღამებამდე ბუხრის
ყელში ბუკნაჭო ხენეშის,

ვარცლში ბუტბუტებს ცომი,
თონეში ფიჩხი წივის...
მალე ჩაცვივა ცეცხლში
დიდედაჩემის მძივი...

1998

* * *

ჩემი გულია, სიყვარულო, შენი საფლავი!
დავიწყებული, დათოვლილი, დაუდაფნავი,
მე ფერფლისაგან ვადნობ ოქროს და მართლა
მჯერა –
რომ მთელს ქვეყანას ესმის ახლა ამ გულის ძგერა...

1998

* * *

ძლივს ჩამთვლიმა ამ დილით,
ესეც შარშე შარი –
რაღაც ავის ქადილით,
მჭახედ რეკავს ზარი..
ვასულელებ მძინარეს
ჩემს საბრალო დაიკოს:
„ – მე რა ვიცი, ვინ არის,
„ – ამ დროს ვინ უნდა იყოს?!"

1998

## ციტატა კლასიკურ პოეზიიდან

ჩემთვის ნუ გაირჯებით –
ეს ავდრები დამითმეთ!
ასგზის უფრო სანდოა
ზამთრის ოქროვარაყი!
რაებს მებუტბუტება
თქვენი ბლუ მეღავითნე,
ტყუილით და ტყუილით
რითი ვეღარ დანაყრდით?!

ვერა, ვერ შემადარებთ
თქვენს ჩიტუნებს სამოთხის,
ლამაზ ლექსიკონებშიც
ამაოდ იყურებით,
თაგვი რისი თაგვია,
კატას თუ ვერ გამოთხრის, –
დროს შემოაკვდებიან
პოეზიის მღვმურები!
ჩემთვის ნუ შეწუხდებით
ანგარიშით გართულნი!
მართალს ფეხზე ჰკიდია
ქვეყნის მიეთმოეთი:
„წვეთი სისხლის არ არის ჩემში არაქართული"
ძაფი ნერვის არ არის ჩემში არაპოეტის!

1998

* * *

ჩაცხრნენ ქარები,
თრიალეთს ათოვს,
ათოვს მშობლიურ
ლაფსა და წვირეს...
რა ეშველება
ჩვენს უჭკნობ პათოსს
და ღვთის გარეგან
დიდსა თუ მცირეს?!

1998

* * *

ცხელი, ხვითქი დამდის,
საკირეა მართლა!
მახრჩობელა ვარდის, –
ნაზად ყვავის ხვართქლა...
სუნთქვაშეკრულ ღეროს
ვაცლი ხვანჯებს მყიფეს...
რა აშენე, მტერო,
ქვით, ჩემთვის რომ ჰკრიფე?!

1998

* * *

მოდის ზამთარი გრძელი,
ჩალის ჩაშავდა ჩაჩი...
კერძი მიირთვი ცხელი,
ცივა, ცოტახანს დარჩი...
და თუ გატეხე ნავსი,
თუ დაიწმინდა მწარე,
გულის ბუხარი სავსე
ამოიყარე ბარემ...

20.XII. 1998

## ტირიფის მონოლოგი

გაჩუმდებოდე ნეტავი,
ღელევ, უღონოვ, წყალმცირევ,
რაც რომ არ შემოგეძლავე
უფრო და უფრო გამწირე,

არავინ იცის, მიხვალ სით,
შემობრუნდები ან როდის...
ვიდრე სიპებზე მოხავსდი...
დიდ წვიმებს მოვინატროდი...

20. XII. 1998

* * *

მომდევს პატარა ბიჭი,
მთხოვს მოწყალების ხურდას,
სიცოცხლე, მე რომ მიჭირს,
ამას ჯიუტად უნდა...

ვიცი, ვერაფერს შევცვლი,
გულს შევასკდები მხოლოდ,
აჰა, პატარავ, ვერცხლი,
უძლურის მადლი ბოლო...

კვირტს კვირტზე ისხამს სევდა,
ყვავილსაც მალე გაშლის...
„დედა, სადა ხარ, დედა!"
ქარი იძახის ქარში...

1998

## საახალწლო ვაჭრობა თბილისში

ქუჩას ბევრი აქვს საქმე -
იდუმალი და მრუდე,
ნელსაცხებელსაც აკმევს,
სხვის კარზე ყურიც უდევს...

უკვე გაყიდა ბრძოლა,
უკვე გაყიდა გული,
ლალიც, ლოლიტაც, ლოლაც -
ტანკენარიც და სრულიც...

ბოლო ფოთოლი აწვიმს
ვარამს, ვაკეს და ვერას,
დღეს იყიდება ნაძვი
და მშობლიური კერა...

ფეხარეული ნისლი
ძაღლივით ზღურბლთან წვება...
ალბათ, ეს არის სისხლით
მოპოვებული შვება!

1998



ეროვნული ბიბლიოთეკა

# თამაზ ხმალაძე

## დროის მკვლელები

რომანი



## VII

ვიწრო სარკმლიდან ეზოს პატარა კუთხე მოჩანდა მხოლოდ. ჯერ მთლიანი რა სანახავი იყო და აბა იმისი ერთი პატარა კუთხე რა უნდა ყოფილიყო, მაგრამ, ჯანდაბას, იღვებოდა ასე და რაც მოჩანდა, იმისი ცქერით გაიწყალებდა თვალებს. ჰო, აღარ დაეძებდა, ამ უბადრუკი და გამაბეზრებელი სანახაობის ცქერით ამოიღამებდა თვალებს, ოღონდ მაგიდისკენ, სუფთა ქაღალდისა და კალმისკენ არ შებრუნებულიყო, ისინი არ დაენახა, იმათ მომლოდინე და საყვედურიან მზერას არ გადასწყდომოდა. არც შემობრუნებას ჰქონდა რაიმე აზრი, ზურგს უკან დარჩენილი შემაღონებლად ნაცნობი გარემო დემნასთან ისე ახლოს მოსულიყო, ისე შეჩვეოდა, რომ უკვე შემჩნევა ჭირდა - ვეღარ ხედავდა. აღწერა ხომ სრულიად შეუძლებელი გამხდარიყო.

და ამის მერე რაღა გასაკვირი უნდა ყოფილიყო, თუ სპეტაკი ქაღალდის ცუდუბრალოდ ჯღაბნას იმისი უბიწოების, იმისი უმანკოების შენარჩუნება ერჩია.

ყველგან - შინაცა და გარეთაც, ოთახშიც და ეზოშიც, იქითაც და აქეთაც - ვითარება ერთნაირი გახლდათ. ყოველივე აუტანლად ნაცნობი გამხდარიყო, კი არ გაშინაურებულიყო, გაცვეთილიყო. აღარაფრის მაქნისი, აღარაფერში გამოსაყენებელი. და განა მხოლოდ საგნები? კიდევ უფრო მეტად ადამიანები - ურგებნი, უინტერესოები, უსარგებლონი. ჰმ, შემოქმედებაო! ამათი მომჩვარული ბედიღბალი რანაირად უნდა ექცია შემოქმედებად? იმის სიახლოვეს მყოფნი, იმის გარშემო მოტრიალენი ხომ სულ ასეთები იყვნენ - ერთიანად საწყლები ზოგი რისა და ზოგი რის, თითქმის ერთმანეთის საპირისპირო მიზეზთა გამო. ერთიანად საცოდავები - თვითონ ისინიცა და ისიც, ვინც მათზე აპირებდა წერას.

ამათგან რა უნდა გამოსულიყო? რისი შექმნა შეიძლებოდა? რა გმირები უნდა გამოეძერწა? რა ხასიათები უნდა ჩამოექნა?

არაფერი.

მარტო ფერფლი და ნაცარი.

შექმნისთანავე ლეთესკენ მქროლავი ქარისთვის გასატანებლად წინასწარვე განწირული ფერფლი და ნაცარი.

და ჩაიქნევს ხელს უკანმოუბრუნებლად, ისევ იმ ეზოს ერთი პატარა კუთხის მზირალი.

როგორ გეკადრებათ! მხოლოდ სხვებისთვის გადაბრალებას კი არა ცდილობდა, მხოლოდ სხვებს კი არ ადანაშაულებდა: რა არის, ბედმა ეს ვის გვერდით მარგუნა ცხოვრებაო. არა, მათ შორის მობორიალეს არც საკუთარი ნაკლის დანახვა და შემჩნევა უჭირდა. როგორ გეკადრებათ! თავისიც არ ავიწყდებოდა, თვითონაც ხომ ერთი იმათგანი გახლდათ, იმავე ტალახისგან მოზელილი - ხორცი ხორცთაგანი და სისხლი სისხლთაგანი. ახსოვდა, განა არ ახსოვდა მაკედონელი გმირის ამონაგმინი: არა დიდ იყავ, აქილევი, არამედ დიდსა მიემთხვიე მაქებელსა მას უმიროსსაო.

ახსოვდა, როგორ არ ახსოვდა. ეგ თუ არა, მაშ, სხვა რაღა ახსოვდა?

ეგებ ამიტომაც არიდებდა თვალს ქაღალდსა და კალამს?

ან ეგებ თავისიანების გამჟღავნებას ერიდებოდა, იმათ ინდობდა, იმათ უფრთხილდებოდა?

ეგეც საფიქრებელია.

საცოდავები. ესენიცა და ისიც, ვისაც მათზე სურდა წერა. წერა იყო თუ ბედისწერა...

აქედან, ამ სარკმლის გადასახედიდან ყველა საწყალი ჩანდა. ყველანი ერთნაირად ებრალებოდა, ისიც - ვინც უბედურად თვლიდა თავს, ისიც - ვისაც ეგონა, ბედნიერი ვარო და ისიც

----

დასასრული. დასაწყისი „ცისკარი“ №1.

- ვინც არასოდეს დაფიქრებულა არც თავის და არც სხვათა უბედურება-ბედნიერებაზე.

სხვადასხვა ეტლზე ნაშობთათვის ერთნაირი სვე-ბედი და ხვედრი დაეწერა არსთაგამრიგეს. ნიადაგ შეუცნობელის მაძიებელნი და ვერმიმგნებნი ერთმანეთს ეტოქებოდნენ, ერთმანეთს ჯიბრობდნენ, ამტკიცებდნენ ურთიერთგამომრიცხავ სიმართლეებს, თვითონაც არ იცოდნენ, რას ესწრაფვოდნენ და რა უნდოდათ, ან გამუდმებულად რატომ ბარბაცებდნენ სურვილების საპირისპირო მიმართულებით.

და აი, ასე უაზროდ აწყდებოდნენ აქეთიქით ყნოსვადაკარგული მეძებრებივით.

აჰ, არა, ამათგან თვით *ა რ ა ფ რ ი ს* შექმნაც კი არ შეიძლებოდა.

ურგებნი, უინტერესონი, უსარგებლონი.

მამა და შვილი იყვნენ, ყოვლის მხრივ უსარგებლონი ქვეყნისა და თავიანთი თავისა. ერთ დღეს შვილმა აიღო კვერი და რკინას დაუწყო ზელა. მამამ ჰკითხა: რას აკეთებო? შვილმა მიუგო: ტურას ვაკეთებო. და მამამ უთხრა: შვილო, ტურას კი ნუ აკეთებო, მგელი გაკეთე, რათა შენც შეგჭამოს და მეცაო.

სამარკო კონიაკს სვამდნენ.

თან ამტკიცებდნენ: სამარკო კონიაკი, თქმა არ უნდა, ქართული სჯობს, ვარსკვლავიანები კი სომხური უკეთესიაო.

ჭირიმე ამათი!

ასეთ საკითხებშიაც დიდებულად ერკვეოდნენ. თუმცა სხვა რაღა არ იცოდნენ, სხვა რაღაზე არ შეეძლოთ მსჯელობა და თავიანთი ჭკვიანური აზრის გამოთქმა?

აგერ ესეც. თუ კარგად დაუკვირდებოდი, მიხვდებოდი, რომ რასაც ლაპარაკობდა, ნამდვილად ქართული იყო:

- ...არის შემთხვევები, როცა ალელიური დომინანტური და რეცესიული გენების ურთიერთობაში სხვა არაალელიური გენები ჩაერევიან და დათრგუნავენ დომინანტურის მოქმედებას. ამ დროს, შეიძლება, სრულიად მოულოდნელად რესეციული გენი ფონოტიპურად გამოვლინდეს, თუმცა გენოტიპში მის გვერდით ალელიური დომინანტური გენი მოიპოვება. გენის გამოვლენის სიხშირეს პენეტრანტობა ეწოდება... - ბაკურის მეზობელი იყო, გიზო ერქვა.

ქალიშვილები მოჯადოებულებივით შეჰყურებდნენ ამ ლამაზ ბიჭს. განსაკუთრებით დემნას თანაკურსელი ნატალი ჩანდა აღტაცებული. რა ექნა? თუმცა გენეტიკა საქართველოსთვისაც უკვე აღარ იყო უცხო ხილი, მაგრამ ჯერ კიდევ დაჰკრავდა ელიტურობის ხიბლი.

დემნა კი ამ, მართლაცდა, განსაცვიფრებლად ამეტყველებული ბიჭის ნათქვამზე მეტად იმ ადგილს გაეოცებინა, სადაც სრულიად შემთხვევით მოხვედრილი სამმტევან ჭაბუკიშვილივით აცეცებდა თვალებს: თურმე მისი დედაქალაქის, მისი ათასგზის გადამწვარ-გადაბუგული დედაქალაქის ბოტანიკური ბაღი სამას ორმოცდაათი წლისა და, შეიძლება, კიდევ უფრო მეტი ხნისა იყო. ის იცოდა, რომ პირველი ბოტანიკური ბაღი იტალიაში შექმნეს მეთოთხმეტე საუკუნეში /ნეტავი, რა ჯანდაბად სჭირდებოდა ამისი ცოდნა/, არც ის ეშლებოდა, რომ ამერიკაში მხოლოდ მეთვრამეტე საუკუნეში დაიწყეს ასეთი ბაღების გაშენება. ის კი არა, ჩვენი საუკუნის მეორე ნახევარში კავაბატასთან ერთად წუხდა: ამერიკელი ოკუპანტების მიერ ჩადგმულმა კოტეჯებმა კიოტოს ბოტანიკური ბაღი მთლად დაამახინჯესო. ის, რაც დემნას არ ეკუთვნოდა, სხვისი იყო, გაგიხარია, ისე კარგად ესწავლა თუ ესწავლებინათ, რომ ლამის გაეთავისებინა კიდეც, თავისისა კი თურმე აქამდე არაფერი იცოდა. ამ ბაღსაც, როგორც ბევრ სხვა რამეს, რევოლუციის მონაპოვრად, რევოლუციის მომდევნო ხანის შენაძენად მიიჩნევდა.

არადა, რა ხნისა ყოფილა!

ისე ეამაყებოდა, ისე ყინჩად იმზირებოდა აქეთ-იქით, თითქოს იმის გაშენებაში თვითონაც კარგა მოზრდილი წვლილი ჰქონოდეს შეტანილი.

რას არ გაფიქრებინებს კონიაკი, თანაც სამარკო, მით უმეტეს, თუ ნაბახუსევზე შესვამ.

ეს ყველაფერი კი ლევან გელაშვილის მორიგი ახირება გახლდათ. იმას უყვარდა განსაკუთრებული და გამორჩეული ქეიფები. ბაკურმა საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა და, წესისა და რიგის მიხედვით, იმავე საღამოს კაი დიდი ბანკეტიც გაიჭიმა. ეგ იყო და ეგ ან სხვა რაღა უნდა ყოფილიყო? მაგრამ ლევანს ეს არ აკმაყოფილებდა, დაიჟინა: ჩვენი კურსიდან შენ პირველი ხარ, დისერტაცია რომ დაიცავი და დღევანდელი დღე ჩვეულებრივი დღეებისგან ხომ უნდა იყოს განსხვავებული, შთამბეჭდავი და დასამახსოვრებელიო. ჰოდა, მოდი, სახვალიოდ ავიღოთ ცოტაოდენი პურ-მარილი და ბუნების წიაღში გავიდეთ. შორს კი არა, სხვაგან კი არა, აგერ, ა, ბოტანიკურ ბაღშიო. ღვთის შეწევნით ამინდი დიდებული გვიდგას, მიზეზი კიდევ უფრო უკეთესი გვაქვს და სხვა რაღა

სჭირდება ერთ კარგ პურის ჭამასო.

ბაკური ყოყმანობდა: სტუმრები, ალბათ, ხვალაც მოვლენ და უხერხულია, შინ რომ არ დავხვდებიო, მაგრამ ლევანი ისე დოგა-დოგა დაადგა, რომ დისერტანტს დათანხმების მეტი აღარა დარჩენოდა რა. ამ მორიდებულმა, უთქმელმა ბიჭმა ზოგჯერ ისეთი აჩემება და ფეხის მიბჯენა იცოდა, თავი მოგეკლა, ვერ გადაათქმევინებდი. სხვებს, ვისაც ამაზე უკეთეს ადგილას არა ჰქონდა წასასვლელი, რა ენაღვლებოდათ, დროს სად მოჰკლავდნენ? ამიტომ ორჭოფობისა არაფერი ეტყობოდათ და არც ლევანის საწინააღმდეგოდ დასცდენიათ სიტყვა - ბოტანიკური ბაღიო? კეთილი და პატიოსანი, ყოფილიყო ბოტანიკური ბაღი, არას დაგიდევდნენ.

სულ არეული ხალხი შეიკრიბა, სხვადასხვა წრისა და სხვადასხვა პროფესიისა. უკვე შექეიფიანებულები იყვნენ. იმ სამ გოგონას - ნატალისა და კიდევ ორს, წეღან გიზოს რომ შესციცინებდნენ - გენეტიკა დროებით დავიწყებოდა და ახლა, ცალკე მსხდომნი, სიგარეტს ეწაფებოდნენ, თან გაცხოველებული საუბარი გაებათ ერთმანეთში:

- ...ალდო მაქვს რაღაც საოცარი, არ არსებობს, ვერავინ ვერაფერს გამომაპარებს, - ეუბნებოდათ ნატალი, - აი, მაგალითად, სკოლის პერიოდში დედაჩემი როგორ არ ცდილობდა, სად არ ცდილობდა, თავისი სიგარეტის კოლოფი დაემალა ჩემთვის, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა, მაინც მივაგნებდი ხოლმე და თანაც იოლად. გიჟდებოდა ქალი, ჭკუიდან გადადიოდა: გოგო, ეგეთი რა ყნოსვა გაქვსო!

ცისფერ თვალებში თავმომწონეობა ლაჟვარდ შუქად უციმციმებდა და სხვებისგანაც ქებასა და ხოტბის შესხმას ელოდა.

- თითქოს არც მიკვირს ამ გოგოებისა, ასეთი მონდომებით რომ ეძალებიან სიგარეტს, მაგრამ, აი, შენი ვერაფერი გამიგია, შენ რა დაგემართა, აქამდე რომ ვერ შესძელი თავის დანებება.

ორნი მიწოლილიყვნენ მდელოზე. პაპუნას მოეხერხებინა თანასკოლელის დამარტოხელება და გულისნადების გადაშლას აპირებდა. ადამიანი ეგეთი გაუჩენია დამბადებელს: მუდამ მარტოობისკენ მლტოლველი დიდი ხნით მარტოობას ვერ ეგუება და ხშირად უჩნდება სურვილი - სურვილი კი არა, მოთხოვნილება - ხვაშიადი გაანდოს, ესაუბროს თავისიანს საკუთარ სულიერ, ფიზიკურ თუ საზოგადოებრივ მდგომარეობაზე. წარმატება ახაროს, საწუხარი შესჩივლოს, ზოგჯერ უსაყვედუროს კიდეც და ამგვარად გულის ბუხარი გაინელოს. ასეთ დროს შენიანი დაუფასებელია, მაგრამ აუცილებელი არ არის, ის პიროვნება, ვისაც სათქმელს გაუზიარებ, უეჭველად ოჯახის წევრი ან სისხლით ნათესავი იყოს - იმათშიაც ძალიან ძნელად მოიძებნება თანამგრძნობელი კაცი, მოთმინებით ყურის დაგდება და მოყვასის საწუხარის გულთან მიტანა რომ შეეძლოს. მაგრამ ვერც ხომ მთლად უცხოს გაანდობ შენს სათქმელსა თუ საფიქრალს? ეგრე გინდა დალმავალი წყლისთვის გილაპარაკია და გინდა უცნობისთვის. არა ვარ სწორი? ჰოდა, პაპუნასაც, ეტყობა, ქალაქში დემნაზე ახლობელი სხვა არავინ ეგულებოდა, იმისკენ მიუწევდა გული და ვერ კი გრძნობდა, ზოგჯერ როგორ აწუხებდა, როგორ აღიზიანებდა ხშირი მიძალებით. თუმცა მხოლოდ იმისი საუბარი ხომ არ აბრაზებდა დემნას, მარტო იმას ხომ არ გამოჰყავდა მოთმინებიდან? განა ნაკლებად უშლიდა ნერვებს ნაიას ბრმა სიყვარული, ოთარის უსაფუძვლო დარდიმანდობა, ლევანის ბლანტი გულგრილობა და საკუთარ სულში ჩაბრუნებული მზერა, დედის წერილი, ქუჩაში ჩავლილი სარწყავი მანქანა და კიდევ სხვა ათასი ჯანდაბა და ჯახრანა. პაპუნა კი ამას ვერ ამჩნევდა, მაგრამ ეგებ ამჩნევდა კიდეც და სხვანაირად მოქცევა არც იმას შეეძლო:

- ოდნავი შეღავათი მაინც რომ გქონდეს მაგის კვამლისგან, კიდევ ჰო, მესმის...

- უცნაური კაცი ხარ, პაპუნა, - იდაყვებზე წამოიწია დემნა, - რაღაცების ამოჩემება იცი. ბოლო დროს სიგარეტი აიკვიატე და შესაძლებლობას არ უშვებ, იმის წინააღმდეგ ტირადა არ წარმოთქვა. ვატყობ, ახლაც საამისოდ ემზადები. ნეტავი გამაგებინა, რა მოხდა, რა გაწყენინა ეგეთი, რომ სამუდამოდ დაუძინებელი მტერი შეიქენი თამბაქოსი.

- მაწყენინა? სიგარეტმა? რას ამბობ! მაწყენინა კი არა, რომ იცოდე, მე, ჩემდა თავად, მაგის ძირს უნდა ვლოცავდე და საქართველოში მაგის პირველშემომტანის სახელზე სანთელს ვანთებდე. სწორედაც რომ სიგარეტის მეშვეობით ამეხილა გონების თვალი.

აუჰ, ეს კი მეტისმეტი იყო. დემნამ შებეზრებულად მომლოდინე მზერა მიაპყრო, ვნახოთ ერთი, საით უმიზნებსო.

- შემთხვევითობაზე ჰკიდია ჩვენი ცხოვრება, შემთხვევითობა გვაბრუნებს და გვატრიალებს თავის ნებაზე, - თავისას განაგრძობდა პაპუნა, - თამბაქოს წევაზე მავნე ჩვევა ხომ იშვიათია, მაგრამ თავის დროზე მე რომ სიგარეტს არ მივჩვეოდი, დღეს სულ სხვა კაცი ვიქნებოდი, ბევრად უფრო წამხდარი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

უვარგისი, ჩემი ცხოვრება კი ტყემლის ჩირადაც არ ეღირებოდა.

ეჰ, დაიწყებდა ახლა ეს თამბაქოს მიერ გამოსწორებული და საწმინდანო გზაზე შემდგარი კაცი თამბაქოზე ლაპარაკს, ივლიდა, ივლიდა და აუცილებლად მამაზეციერამდე მივიდოდა. იმას კი ვერ მიმხვდარიყო, რომ თავს აბეზრებდა მეგობარს, რადგან თავსმოხვეული - ღმერთიც რომ იყოს - არავის უნდა, მიძალებით ღმერთსაც კი ვერავის შეაყვარებ. არც დემნა იყო სარწმუნოებისადმი გულგრილი და განურჩეველი, მაგრამ სასულიერო მოძღვრების უცოდინრობის გამო რელიგიაში რწმენაზე მეტად იდუმალება იზიდავდა, ისევე, როგორც, ვთქვათ, ღვთისმეტყველებისგან თითქმის საპირისპიროდ განსხვავებულ ასტროლოგიაში, უფოლოგიაში ან მაგიაში. რა თქმა უნდა, თავისი მამა-პაპის სალოცავების კრძალვა და რიდი დაბადებამდე ჰქონდა გამჯდარი სისხლსა და გენში და სხვებს ერჩია, მაგრამ სარწმუნოების გულით შესაცნობად არც მარტო ეგ კმაროდა და არც თეოლოგიური წიგნების კითხვა - ამ დროს მოძღვარი და გზის გამკვლევი სჭირდება ადამიანს. ასეთ მასწავლებლად კი ან პაპუნა ვერ ვარგოდა, ან დემნა იყო უვარგისი შეგირდი.

- ... სიგარეტის წევა გვიან დავიწყე, საშუალო სკოლა უკვე დამთავრებული მქონდა, - ჰყვებოდა პაპუნა, - მაგრამ ისე საშინლად მივეჩვიე, რომ გენახე, შეგეშინდებოდა - ერთს ვაქრობდი და მეორეს ვუკიდებდი, ერთს ვაქრობდი და მეორეს ვუკიდებდი. ისე ხარბად ვეწეოდი, თითქოს იმათ უნდა დავეწიო, ვინც ჩემზე ადრე მიეჩვია თამბაქოსო. თანდათან ისე გავხდი და დავუძლურდი, ყურებში ლანდი გამდიოდა. მაინც ვერც თავი დავანებე და ვერც ქაჩვას მოვუკელი.

ერთხელ შინ რომ ჩავედი, სიღნაღში, მამაჩემმა მითხრა: შე კომლობააშენებულო, ხომ ხედავ, ადამიანს აღარა ჰგავხარ, მოგსპო და მოგინელა მაგ ძირკვამოსავარდნმა, მაშ, ეგ უნდა მოგერიოს? ვაჟკაცი კაცი ამნაირად რამ წაგახდინა, რომ ნებისყოფის ნატამალი აღარ გაგაჩნიაო. გავბრაზდი: აბა რას ამბობ, ნებისყოფა რა შუაშია-მეთქი. ვერ დავაჯერე, რომ ამ საქმეში ნებისყოფა არ იყო მთავარი.

- მაშ, რა არის მთავარი? - ჰკითხა დემნამ. თითქოს პაპუნას ჯიბრზე დაგემოვნებით ექაჩებოდა მეორე ფაბრიკის „პრიმას“.

- მაცალე და გაიგებ. მამაჩემს ვკითხე: როგორ გგონია, ჭამის აკრძალვა უფრო ძნელია თუ თამბაქოს მოწევისა-მეთქი? რა სისულელეს მეკითხები, რა თქმა უნდა, ჭამისაო. ჰოდა, მაშ, კარგი, ახლა ხომ დიდმარხვა იწყება, სახსნილოს არაფერს გავეკარები და ვნახოთ, მაქვს თუ არა ნებისყოფა-მეთქი. იფ, რა კარგი ბიჭი ხარ! - ტაში შემოჰკრა მამაჩემმა, - მე რა გავიგო, ნამდვილად იმარხულებ თუ არა, შენ თბილისში იქნები და მე აქაო. მამი, სიმართლე თუ გინდა, შენი ნდობა-არნდობა სულ არ მანაღვლებს, დამიჯერებ, ხომ კარგი, არ დამიჯერებ და სხვას თუ არა, ჩემს თავს ხომ დავუმტკიცებ, რომ უნებისყოფო არა ვარმეთქი და მართლაც, ბოლომდე დავიცავი მთელი დიდმარხვა.

- რამდენ ხანს გრძელდება ეგ დიდმარხვა?

- შვიდი კვირა, ორმოცდაცხრა დღე.

- აუჰ, ორმოცდაცხრა დღე რა ამბავია! - შეწუხდა დემნა, თუმცა მარხვის შენახვის სიძნელისა და გაძლება-ვერგაძლებისა ბევრი არაფერი გაეგებოდა, - მართლა მაგდენ ხანს მარხულობდი?

- ჰო, ხომ გითხარი, ბოლომდე დავიცავიმეთქი, მაგრამ მოსახდენი მერე მოხდა: აღდგომა რომ მოახლოვდა, ვიღაცა ღვთისნიერმა მირჩია: შენ კაი კაცო, ამდენი ხანი გიმარხულნია და განწმენდილხარ, ბარემ აღსარებაც უთხარი მღვდელსა და ეზიარე კიდეც, თუნდაც ინტერესის გულისთვისო. რჩევის მომცემის ნათქვამი ჭკუაში დამიჯდა. ეს მართლმადიდებლობის სიყვარულით კი არ მომსვლია, მაშინ მე ბევრად ნაკლები გამეგებოდა რელიგიისა, ვიდრე ახლა შენ გაგეგება, მაგრამ რაღაცას რომ იწვალებ კაცი, მერე გენანება იმისი უქმად ჩავლა - ორმოცდაცხრა დღე ცოტა ხომ არ იყო ჩემისთანა კაცისთვის! ვიფიქრე: მოდი, ვეზიარები, რასა ვკარგავ-მეთქი. მართლაც ვეზიარე და, დიდება უფალს! ვიგრძენი, რომ სულ სხვა ადამიანი შევიქენი, გავნათდი, სულში შუქი ჩამეღვარა, არსებობას თითქოს აზრი მიეცა. მორწმუნეებთან გავიკითხ-გამოვიკითხე, წიგნები ვიშოვე, მოძღვარს მივენდე და თანდათან ცხოვრების ნირიც შევიცვალე. ბოლოს კი ავდექი და სიგარეტსაც გადავეჩვიე, თუმცა არ დამვიწყებია, რომ ღვთის მადლის ჩემზე გადმოვლენაში იმისი წვლილიც ერია.

დემნამ ამოიოხრა და ხელი ჩაიქნია:

- თითოეული ჩვენთაგანი, ჩემო ძმაო, საკუთარი თავისთვის ვქმნით კანონებს და მერე გვინდა, ამ კანონებს სხვებიც დაემორჩილონ, ეს კანონები სხვებზეც გვინდა გავავრცელოთ და, რა თქმა უნდა, ამას ჩვენი მიწიერი ყოფის გასაადვილებლად ჩავდივართ.

- მაგას რატომ ამბობ?

- არაფერია, არაფერი, ისე ვთქვი... შენ ის მითხარი, აი, მორწმუნე რომ შეიქენი რაღაცა

შემთხვევითობის წყალობით და თან სიგარეტსაც გადაეჩვიე, ნუნუას რატომღა ყლურწავ ხოლმე ხშირ-ხშირად?

– დაკვირვებული იქნები, დათრობით თითქმის არასოდეს ვთვრები. მარტო იმიტომ კი არა, რომ სხვებთან შედარებით ადვილად ვიტან სასმელს, იმასაც ვცდილობ, ნაკლები დავლიო. დღესაც, ბევრი-ბევრი, ორასი გრამი კონიაკი თუ მომიწევდა. რა ვქნა, სულ რომ ავიკრძალო, არ გამოდის: თქვენთან ერთად ვარ, ერთად ვტრიალებთ და რაღაცა საერთოც ხომ უნდა გვქონდეს, მთლად ხომ ვერ გავირიყები თქვენგან, მთლად ხომ ვერ გავუცხოვდები. ჰოდა, მეც ღვინის სმა ვარჩიე...

– რაო, მხოლოდ სასმელიღა გაკავშირებს ჩვენთან?

– კარგი ერთი, რა ჩასაფრებულივით მელაპარაკები... იმიტომ ვასვამ, რომ ღვინის აკრძალვაზე ათ მცნებაში არაფერია ნათქვამი, – მორცხვად, დამნაშავესავით გაიღიმა პაპუნამ, – თუ არ გალოთდი, ღვინის სმა ცოდვად არ გეთვლება. გაგეხარდა?

– რატომაც არა. მაგას არა უშავს რა, მომწონს, თურმე ამ ერთ საქმეს მაინც არ ვაკეთებ ღვთის საგმობს.

გვიანი შემოდგომის სუსხიანი დღე იდგა. ბუჩქნარში მტკაველზე ეყარა ხმელი ფოთლები. ბილიკს ქვემოთ ფერდაში დაბალი კუნლების ქვეშ შემძვრალი დემნა და ბესო თამბაქოს აბოლებდნენ. გულისრევის უამური შეგრძნებისგან ხშირ-ხშირად აპურჭყებდნენ და უთავბოლოდ მასლაათობდნენ. თორმეტ-ცამეტი წლისანი თუ იქნებოდნენ მაშინ, მაგრამ უკვე ვაჟკაცობდნენ და ამის დამამტკიცებელ საუკეთესო საშუალებად /ერთმანეთის წინაშე მაინც/ პაპიროსის წევა მიაჩნდათ. თელის ხმელ ფოთლებს ფშვნიდნენ, შემდეგ გზისპირებზე მოგროვილი სიგარეტების ნამწვებიდან გამოფერთხილ თამბაქოს ურევდნენ, გაზეთის ქაღალდში სქლად ახვევდნენ და ექაჩებოდნენ. რა თქმა უნდა, ეს არც ისე ხშირად უხერხდებოდათ, სამაგიეროდ, როცა შესძლებდნენ, ზედიზედ რამდენიმე ცალს ერთბაშად ეწეოდნენ და მერე დაბორიალებულები ძლივს მილასლასებდნენ ხოლმე შინამდე. ხელებს მაგრად იბანდნენ, ბლომად ხილსაც შეჭამდნენ, ემანდ სუნი არ აგვივიდეს, შინაურებმა არ შეგვიტყონ და ერთი ადგილი წითლად არ აგვიტყარტყარონო. ახლაც ჯიბეები გარეული ზღმარტლით ჰქონდათ გამოტენილი.

– ჯო, თქვე შობელძაღლებო, რომლები ხართ, რას შემძვრალხართ მანდა? თქვენით ამოეთრიეთ ეხლავე ზევით, იცოდეთ, მანდ არ ჩამომიყვანოთ, თორემ ვაი ქვასა და წყალსა!

ბილიკს ორნი გადმოსდგომოდნენ – ზემოუბნელი ძმები გიგო და შაქრო – შუა ხნის კაცები. ხელში წალდები და ხის ორთითები ეჭირათ, ალბათ, ძეძვის საჭრელად იქნებოდნენ ხევიილა ხევში.

გიგო დაჰბუხუნებდათ, გიგო უბრიალებდათ თვალებს:

– მეტი არა მინდა რა, მანდ სადმე ცეცხლი წაეკიდოს რამეს, ერთი ბუჩქი მაინც დაიწვას და მერე მე ვიცი თქვენი...

ბიჭები ფრთხილად გამოძვრნენ კუნლების სამიშეკლიანი ტოტების ქვეშიდან და ნელნელა წამოდგნენ ფეხზე.

– რად დასძვრებით, შვილო, მაგ ეკლებში, რად იგაზავთ ხორცსა და რად იფანიერებთ ტანისამოსს, რაო, ბევრი აქვთ თქვენს მშობლებსა? – სინანულით აქნევდა თავს შაქრო.

ბიჭების მზერა წამით შეიყარა და უმალ მოარიდეს თვალი ერთიმეორეს. რცხვენოდათ მაღლიდან გადმომდგარი კაცებისა, რცხვენოდათ ერთმანეთისა, რცხვენოდათ საკუთარი თავისა. შავგვრემანი, მომცრო ტანის ბესო თითქოს უფრო გაშავებულიყო და დაპატარავებულიყო.

– ჰო, მოსწიეთ, მოსწიეთ, მაგრად გამოუსვით, დაგემოვნებითა! ჰარიქა, თქვენის ყველაყისამ, თაფლი გამოუვა! უნდა გკრათ კაცმა ეს ხაჩეკალი ყბებში და... – ისეთი სიბრაზე ისმოდა გიგოს ხმაში, რომ ბიჭებმა უნებლიეთ თავი დახარეს, იმისი ორმეტრიანი ორთითა ამ ოციოდე ნაბიჯზეც არ მოგვწვდესო.

– ბიჭო, შვილო, აბა რა დროს თქვენი თამბაქოა, თქვენი გულ-მუცელი ეხლა ვარდის ფურცელივით არის და პაპიროსი სულ დაგიხრუკავთ. – შაქრომ ორთითა მხარზე გაიდო და წასასვლელად მოემზადა.

– თუ მანდ სადმე ცეცხლის ნასახი გაქვთ, ჩააქრეთ, ამოეთრიეთ მაღლა და წაეთრიეთ შინ, თორემ, თუ კიდევ განახეთ აქა, მე და ჩემმა ღმერთმა, ჩემს მეტი ჭირი არა გინდათ რა, იცოდეთ! – გიგოც წასასვლელად ეპირებოდა.

ბიჭები ნელ-ნელა ამოცოცდნენ ბილიკზე. აქეთ-იქით მიმოიხედეს. კაცები აღარსად ჩანდნენ. ჯავრისგან დანა პირს აღარ უხსნიდა ბესოს. ეტყობოდა, კიდევ უფრო მეტად სირცხვილი სტანჯავდა.

– უჰ, მაგათი... ვინ რას ეკითხება, კაცო, ვინ ოხრები არიან?!

დემნა გახუნებულ ბალახებს ჩაჰყურებდა.

– როგორ დაგვინახეს, ე, ბედი არ გინდა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

რას აცეცებენ აქეთ-იქით თვალებს ეგ ძაღლიშვილები!

დემნა კვლავ ჩუმად იყო.

- წამო, გინდა, ქვები დავუშინოთ? - არ ისვენებდა ბესო.

- ვისა?

- როგორ თუ ვისა? განა არ იცი, ვისა? - შავად ავარდა ალმური სახეზე ბესოს.

- გაჩერდი ერთი, ნუ სულელობ... ნეტავი, ჩვენებს თუ ეტყვიან?

- ეტყვიან კი არა... მეტი დარდი არა აქვთ! აქ ახლა მოგვიშხამეს გუნება, თორემ მერე სულ დავავიწყდებით, ფეხებზე არა ვკიდივართ...

საღამოვდებოდა. ზღმარტლის ჭამა არ ახსენდებოდათ.

ლეღვთახევის მხარეს ცაზე თეთრი ღრუბელი თანდათან წყალდებოდა, მქრქალდებოდა, ქრებოდა.

არაფერია მარადიული, გაიფიქრა დემნამ, წამის მანძილზეც კი აღარაფერია ძველებური ირგვლივ. არც ცაში, არც წყალში, არც ხმელეთზე. მთელს სამყაროში. ჩემშიც - შიგნითაც და გარეთაც. არაფერია მარადიული.

- გარდა ღმერთისა! - შემეხმიანებოდა, ალბათ, პაპუნა, ჩემი ფიქრი რომ გაეგო, - ღმერთია მხოლოდ მარადიული!

- და ადამიანის სწრაფვა მარადიულისაკენ, - დავამატებდი მე.

- დღეს რაღაც უსურვილოდა ვარ, უწადინოდ, ნიათი სულ გამოცლილი მაქვს. ეტყობა, გუშინ ზომაზე მეტი დავლიე. - მდელოზე წამოწოლილ თანასკოლელებს გვერდით მიუჯდა ოთარი.

- რამდენია ზომაზე მეტი ან ზომაზე ნაკლები, როდის და ვინ განსაზღვრა? - ცალყბად ჰკითხა დემნამ.

- მომეშვი, რაა, იმასაც კი ვერ ვხვდები, რას მელაპარაკები.

- წელან გიზოსი ხომ იოლად გესმოდა, ხომ გასაგებად აგვიხსნა გენის თვისება და რომელობა.

- აუჰ, ეგ რა იყო, კაცო! - გამოცოცხლდა ოთარი, - დაკვირვებული ვარ, მაგისთანები საკუთარ კვარცხლბეკს მუდამ და ყველგან თან დაატარებენ, რომ მცირეოდენი შესაძლებლობისთანავე ზედ შედგნენ და თავიანთი ძვირფასი პერსონა წარმოაჩინონ. მე კიდევ ეგეთების ჭკუაზე მოსაყვანად სულ ხელები მექავება ხოლმე.

- გაჩერდი, თუ ძმა ხარ, გგონია, შეაგნებინებ რამეს?

- არა, დემნა, შეგნებით ყველას შეიძლება შეაგნებინო, ოღონდ სხვადასხვა ხერხი და მეთოდია საჭირო - ზოგს რომ მათრახი მოიყვანს გონს, ზოგისთვის შაქარია აუცილებელი, ზოგისთვის კი, შენ წარმოიდგინე, შეგონებაც საკმარისია.

- მიდი, ორიოდე სირჩა კონიაკი კიდევ დალიე და ლომების მოთვინიერებაც იოლი მოგეჩვენება.

- ადამიანმა, ჩემო ოთარ, თვითონ უნდა აირჩიოს თავისი გზა, - საუბარში ჩაერია პაპუნა, - რაც უნდა მოიწადინოს, ერთი პიროვნება მეორის ბედისწერას ვერ შეცვლის და არც უნდა ეცადოს, სულ ერთია, ის კაცი მაინც იმ გზით წავა, რაც უწერია. დაეხმარე გაჭირვებულებს, მოუფონე უბედურებს, მაგრამ იმას ნუ დაიჩემებ, ამათი ბედ-იღბლის შეცვლა შემიძლიაო.

- არც მთლად ეგრეა საქმე, - გუნებიერად გაიზმორა ოთარმა, - ყოველგვარი მოქმედების უარყოფამდე მივყავართ მაგ აზრს. მაშ, აღზრდა აღარაფერი ყოფილა და ეგ არის. აი, მაგ გიზოსნაირებს ერთი ორჯერ რომ მოუნაყავ ცხვირს, ისე კარგად ისწავლის ჭკუას, შენი მოწონებული.

- არ არის, ოთარ, პედაგოგიკა და აღმზრდელობითი მუშაობა შენი საქმე და დაანებე თავი. შენ შენი ხელობა გაქვს და იმას მისდიე ბეჯითად. - მზრუნველი კილო ჰქონდა დემნას. ისევ ზურგზე იწვა და მოწმენდილ ცას შეჰყურებდა.

- ეგ ჩემი ხელობა რომელია? ღვინო, ღუდუკი, ქალები?

- აბა რა!

- და მირჩევ, რომ მაგას მივდიო ბეჯითად, არა? ხედავ, პაპუნა, როგორ მიბიძგებს ცოდვისკენ, ჯოჯოხეთისთვის მიმეტებს, უნდა, რომ ჯოჯოხეთში მიკრას თავი. ამას ჰქვია ნამდვილი მეგობარი?!

- ტყუილად ნერვიულობ, - იღიმებოდა დემნა, - ერთ მშვენიერ აღმოჩენას მივაგენი და თუ გინდა, დაუნანებლად გაჩუქებ.

- მიდი, აბა!

- საბა თავის ლექსიკონში რასა წერს, თუ იცი?

- მაგ კითხვებს მოეშვი და თქვი, თუკი რამე სასიკეთოს თქმას აპირებ.

- ნუ ნერვიულობ-მეთქი, წეღანაც გითხარი, იჯექი წყნარად და მისმინე, საშენოს ვლაპარაკობ. საბას თუ დავუჯერებთ, და ანკი რატომ არ უნდა დავუჯეროთ, თურმე ბოზობა ორად განიყოფების: სიძვად და მრუშობად: სიძვა არს უმეუღლოს მიერ ქმნული, ხოლო მრუშება - მეუღლიანისა მიერ ქმნული ბოზობაო.

– ჰო, მაგრამ აქ საჩემო სარგებელი ვერა დავინახე რა.

– ვაჰ, მეტი სარგებელი რაღა გინდა? – წამოჯდა დემნა.

ოთარი ჩაფიქრდა.

– ვერა, ვერ მიგიხვდი, – თქვა მერე, – ნეტავი, მაგ ბოზობის ამბავს საით უმიზნებ? სანდო არა ხარ, დემნა, არა! დავიჯერო, იმიტომ გადაჩხრიკე ორბელიანის ლექსიკონის ორივე ტომი, რომ მე გაგეხარებინე?

– რას ვერ მიმიხვდი, შე შტერო, დაუოჯახებელი თუ შესცოდავს, ეს მეძავობა იქნება, მეუღლიანისა კი – მრუშობაო, ეგრე ამბობს საბა, გაიგე?

– ჰო, ეგ გავიგე.

– ჰოდა, სხვა რაღა გინდა, შე კაი კაცო, ახლა ის გაიხსენე, ათ მცნებაში რა გვიწერია და ყველაფერი თავის ადგილას დადგება. არა იმრუშოო, გესმის? მეძავობაზე იქ არაფერია ნათქვამი. ესე იგი, სანამ დაქორწინდები, ითოხარიკე აქეთ-იქით რამდენიც გინდა, ცოდვად არ გეთვლება! როგორია, ჰა?

– იფ, შენი ჭირიმე, რამხელა ლოდი მომხსენი გულიდან! – სახე გაებადრა ოთარს, თითქოს მართლა რამედ უღირდა ან ბიბლია და ან ათი მცნება.

– კიდევ იტყვი, ჩემზე არა ზრუნავო?

– რას ამბობ, ამის მერე მე თუ შენზე საყვედური წამომცდეს...

– თქვენი სიხარულით მეც როგორ გავიხარებდი, ბიჭებო, პავლე მოციქულის სიტყვები რომ არ მახსოვდეს: *არცა მეძავთა, არცა მემრუშეთა სასუფეველი ღმრთისა ვერა დაიმკვიდრონო.* – პაპუნა მრავალძარღვას ფოთოლს უსინჯავდა გემოს და, ეტყობა, არ მოსწონდა, სახე ისე ეჭმუხნებოდა.

– აუჰ, სად იბადება ეს წაღმა-უკუღმა განათლებული ხალხი! ყველაფრის ცოდნა კი არ არის აუცილებელი, პაპუნა, აი, კაცმა ათი მცნება იცის? იცის; სულხან-საბას ლექსიკონსაც კითხულობს? კითხულობს; ეგ პავლე მოციქულის სიტყვების დაზეპირება რაღა აუცილებელია? რა გეპავლემოციქულება, შე კაი კაცო, წადი და ჰამლეტის მონოლოგი ისწავლე, არა სჯობია? – გაიბუტა და მეორე მხარეს გადაბრუნდა ოთარი.

– ოთარ, – დაუძახა ნატალიმ, – ნუ ეშმაკობ, იცემები, იცოდე! მოეშვი აქეთ ყურებას! – მწვანიანზე გაშლილ გაზეთებზე გვერდულად მჯდომი ამაოდ ცდილობდა ქათქათა ბარძაყების ვიწრო კაბის კალთის ქვეშ დატყევებას.

– ბატონო? – წამიერად დაიბნა ოთარი, – რა მითხარით? – მაგრამ გონს სწრაფად მოეგო, წამოდგა და ქალიშვილთა სამეულისკენ გაემართა.

– ეგრე რატომ წვალობთ, ნატალი? ნუ შემაძულებთ ყოველგვარ ქსოვილს! განა რა დიბა და ატლასი, განა რა ხელოვნებით შეკერილი კაბა უნდა არსებობდეს, რომ ღირსად ჩაითვალოს შენი მშვენიერი სხეულის დაფარვისა. ძირს ყველა სამოსელი, რომელიც შენი ნატიფი ტანის ხილვას გვიშლის, ნატალი, ძირს!

– ქალის ერთი თვალის დაფახულება საკმარისია, რომ სხვამ კი არა, თვითონაც ვეღარ იცნოს თავისი თავი ოთარმა. ხედავ, რა ხელად აღივსო სიცოცხლის ხალისით, აღარც გუშინდელი ღვინო აწუხებს და აღარც დღევანდელი კონიაკი, აღარც ათი მცნება ენაღვლება და აღარც სულხან-საბა ორბელიანი, – შეჰღიმა დემნამ პაპუნას.

პაპუნა ისევ მრავალძარღვას ფოთოლს ღეჭავდა. არ მოსწონდა, მაგრამ გადასაგდებადაც არ ემთმობოდა.

ამჯერად ადრე დაიშალნენ. ბინდდებოდა. შინისკენ მარტო შეუყვა აღმართს. ალკოჰოლი თანდათან გამოდიოდა სხეულიდან და მის ადგილას სიცარიელე რჩებოდა. აწუხებდა ეს სიცარიელე, გულს უწყალებდა, ამიტომ არ უყვარდა დღისით სმა. დალევ საღამოს, დათვრები, მიხვალ შინ და დაიძინებ. მართალია, არც დილით მოგართმევს ვინმე წოწოქას ანდა ჭრიანტელს ყელის ჩასალბობ-ჩასაწმენდად, მაგრამ დილა მაინც დილაა, ნათელია და, რაც მთავარია, შენს გარდა სხვასაც ღვიძავს ქვეყანაზე. ახლა რა უნდა ეკეთებინა ნახევრად მთვრალსა და ნახევრად ფხიზელს? დაძინებით ჯერ ვერ დაიძინებდა და რომც დაეძინა, ისეთ დროს გამოეღვიძებოდა, გათენების მოლოდინი გამოუჭამდა გულს.

ასეთი უამური ფიქრებით აათავა აღმართი და თავის ეზოში შევიდა. ქალბატონ დინარას სკამი გარეთ გამოეტანა და მარტოდმარტო იჯდა ჭიშკართან. იჯდა კი არა, მეზობლის ფანჯრიდან გამომავალ სუსტ შუქში მივიწყებულ ჭრელ ნაკრაულასავით იდო სკამზე. დემნამ უხმოდ დაუქნია თავი და კიბისკენ წავიდა.

– დემნა, – დაუძახა დედაბერმა, – მოიცადე ერთი წუთით. ნაია იყო შენთან, კატა მოიყვანა, კარგა ხანს გელოდა და წავიდა.

– რა ბრძანეთ, ქალბატონო დინარა? – ფეხი შეაყენა ვაჟმა.

– ნაიამ კატა მოიყვანა, დაგიტოვა და წავიდა! – ხაზგასმულად, განსაკუთრებულად გამოკვეთა ყოველი სიტყვა დედაბერმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

- რა კატა მოიყვანა, რას მეუბნებით? მე დამიტოვა კატა? - ვერაფერი გაიგო დემნამ.

- კატა კი არა, უფრო სწორად, კნუტია, - ვითომდა რაიმე სინათლე შეეტანოს დედაბერს თავის ადრინდელ ნათქვამში.

ამ ქალს მოსარიდალი ხომ არაფერი დაემართაო, დაეჭვდა დემნა და ერთი პირობა ისიც კი გაიფიქრა: რამე ხათაბალას არ გადავეკიდო, მოდი, გავტრიალდები, სადმე სხვაგან წავალ და შინ გვიანობამდე არ დავბრუნდებიო, მაგრამ ბოლო წამს თავი შეიკავა

- რა კატა ან რის კნუტი, ქალბატონო დინარა, ვერაფერი გავიგე... ნაიამ კნუტი მე დამიტოვა?

- აბა ვის, დემნა, სხვა ვის დაუტოვებდა?

- ქალბატონო დინარა, მე კნუტის მომვლელს მიგავს რამე? - ხელები ფართოდ გაშალა დემნამ და ახლაღა შეამჩნია, რომ დედაბერს მართლა რაღაცა ეჭდა კალთაში. დაინახა და იმის გაფიქრებაზე, ამ კნუტის შინ აყვანა და მიხედვა მომიწევსო, თმა ყალყზე დაუდგა.

ოი, ზოგჯერ როგორ გააცეცხლებდა ხოლმე ნაიას ნათქვამი და ნამოქმედარი! მოულოდნელად ისეთ რამეს იტყოდა ან გააკეთებდა, იმისგან წარმოუდგენელი რომ გეგონა - გაგამწარებდა, მოთმინებიდან გამოგიყვანდა. ან თუნდაც ამ დედაბერს რომ დაუდობილდა, საერთო რა ჰქონდა მასთან? ასაკი, შეხედულებები თუ სამომავლო გეგმები? ჩამოსხდებოდნენ და საუბრობდნენ, ღმერთმა უწყის, რაზე. ჯანდაბას, რამდენიც უნდოდათ, იმდენი ესაუბრათ, მაგრამ ეს რაღა ოხრობა იყო, კნუტის მოყვანა მაინც რამ მოაფიქრებინა? აჰა, საერთო ცხოველი უკვე გვყავს, - გაიფიქრა ბრაზმორეულმა, - ამიერიდან რაღა გვიჭირს, ოჯახს საფუძველი ჩაყრილი აქვს.

- იმას ვინ გეუბნება, კნუტის მომვლელს გიგავსო რამე, დემნა, გარეგნულად კი არ გვეტყობა ყველას ყველაფერი...

- აბა რასა მთხოვთ, ქალბატონო დინარა?

- რა ვიცი, გენაცვალე, ნაიამ ასე თქვა, ეს კნუტი სიკვდილს გადავარჩინეო და ამიერიდან მე და დემნა ვიქნებით ამისი პატრონებიო.

- რაო, რა თქვა, ქალბატონო დინარა, რა ვქენიო? სიკვდილს გადავარჩინეო? - თავისდაუნებურად ხმას აუწია დემნამ, - თქვენ ჭკვიანი ქალი ბრძანდებით და არ გესწავლებათ, აბა სიკვდილისგან რანაირად შეიძლება ვინმე ან რამე დაიხსნა, ქალბატონო დინარა? ქრისტემ ვერ მოახერხა, ლაზარე გადაერჩინა სიკვდილისგან და ჩვენ რისი შემძლენი ვართ? ჰო, ჰო, ვიცი, ქალბატონო დინარა, რაც უნდა მითხრათ: სამი დღის მკვდარი გააცოცხლაო. გააცოცხლა, მართალია, მაგრამ სად არის ახლა ლაზარე? რატომ აღარ არის ცოცხალი, ჰა, ქალბატონო დინარა? რამდენიმე წლით, თუნდაც რამდენიმე ათეული წლით სიკვდილის გადავადება განა გადარჩენას ნიშნავს? როცა იქნება, ხომ მაინც მოკვდება? ჰოდა, ასეთ გადარჩენას რაღა აზრი აქვს? არაფერი შეგეშალოთ, სიკვდილს ვერავინ და ვერაფერი გადაურჩება, ქალბატონო დინარა!

ამას სიცოცხლე არსებობის ერთადერთი ფორმა ეგონა და არც ეს მოხუცი დედაკაცი ჩანდა ისეთი ადამიანი, დემნას აზრის შესაცვლელად შეკამათება რომ შესძლებოდა. სამაგიეროდ, ისეთი თვალებით შეჰყურებდა, იმისი ნება რომ ყოფილიყო, ვაჟს ეგრევე, გაუსამართლებლად უკრავდა თავს „ცუდი ადამიანების" ყუთში. არადა, მტერი მოხვედრილიყო იქ! ეს ქალბატონი ხომ ისევე ახარისხებდა ხალხს, როგორც გარდაცვლილთა სულებს მთავარანგელოზი - ცოდვილები ჯოჯოხეთში, ნეტარნი სამოთხეში - იმ განსხვავებით, რომ საიქიოში ტანჯულ სულს ეგებ ოდესმე გამოესყიდა დანაშაული და სამოთხეში გადაენაცვლებინა, ამასთან კი არაფერი უშველიდა, „ცუდი ადამიანების" ყუთში ერთხელ თუ მოხვდებოდა ვინმე, მერე მორჩა, „კარგი ადამიანების" სამყოფელში გადასვლის იმედი აღარ უნდა ჰქონოდა.

- იცით, რა ვქნათ, ქალბატონო დინარა? იყოს ეგ კნუტი ჩემი და ნაიასი, ოღონდ თქვენ დაიტოვეთ, პირველ სართულზე ცხოვრობთ და თქვენთან ყოფნა უფრო გაუადვილდება, ეზოში ინავარდებს და დამოუკიდებელი ხასიათის თავისუფლებისმოყვარე კატად ჩამოყალიბდება.

ქალბატონი დინარა ჯერ გაოცებული შეჰყურებდა, მერე, ნათქვამის აზრს რომ ჩასწვდა, სიცილი აუტყდა და კარგა ხანს ველარ დაიოკა თავი. დედაბრის სიცილიც დემნას ნათქვამივით მოულოდნელი იყო - ჯანსაღი, გულიანი:

- ყოჩაღ, ყოჩაღ, დემნა, არ მეგონა, თუ ეგრე უცებ მონახავდი ყველასთვის ხელსაყრელ გამოსავალს. კატასაც გაუადვილდება პირველ სართულზე ცხოვრებაო, თავისუფლებისმოყვარე ხასიათი ჩამოუყალიბდებაო, ეს რა მშვენივრად თქვი! კარგია, ღმერთმანი, უკეთესს ვერავინ მოიგონებდა. იყოს ეგრე, დემნა, იყოს, თუკი ნაიას ვასიამოვნებთ, იყოს ეგრე. ოღონდ იცოდე, ამ კნუტს შენი სახელი უნდა დავარქვა!

- კატა ადამიანის სახელს აღლოს ვერ აულებს, გაწვალდება, გაუძაღლდება სიცოცხლე, ქალბატონო დინარა, - მოიღუშა დემნა, - მამალი მაინც თუა?

- არ ვიცი, არ ვიცი, მაგრამ მაგას რა მნიშვნელობა აქვს? - ისევ სიცილმა აიტაცა დედაბერი, - ამ კნუტს კი თავიდანვე ეტყობა, რომ ადამიანის სახელსაც იოლად შეიფერებს და მართლაც თავისუფლებისმოყვარე, დამოუკიდებელი ხასიათის მქონე კატად ჩამოყალიბდება.

ნელა შეუყვა კიბეს დემნა. სასმელი სულ გამონელებოდა და მძიმე ღამე ელოდა წინ.

ბავშვობაში კატა ყოველთვის ჰყავდათ ოჯახში, მაგრამ ახლა იმათი ვერც ფერი გაეხსენებინა და ვერც სახელი. ყველა მათგანი - ქალალი იქნებოდა, შავი თუ ხატაურა - გაერთიანებულიყო და „კატის ფერად" ქცეულიყო. ხოლო სახელს რაც შეეხება, ვინ იცის, იქნება მართლაც არაფერი ერქვათ, რადგან სახელი არც იმათა და არც იმათ პატრონებს არაფრად სჭირდებოდათ, „ფისო-ფისოს" დაძახილითაც მშვენივრად ახერხებდნენ ურთიერთობას.

დედას უყვარდა ცხოველები. კატებიც გრძნობდნენ ამას და სულ იმის გვერდით ტრიალებდნენ, იმას შეჰკრუტუნებდნენ, იმას ეგლასუნებოდნენ ფეხებზე.

იმ ხუთი თუ ექვსი კატიდან, რომლებიც დემნას ბავშვობის მოგონებებში ერთსახედ ქცეულიყვნენ, რომელიღაცა მუდამ გვერდით ჰყავდა საკერავ მანქანასთან მიმჯდარ დედას /საკვირველია, ლამპის შუქზე კერვას რანაირად ახერხებდა?/. ასეთ დროს გარეთ უმეტესად ზამთარი იდგა, ყინავდა და თოვლს თეთრი თათები კარზე მოელაგებინა. შინ ღუმელი ღუღუნებდა, ლამპა ენთო, ტრიალებდა მანქანის სახელური, ბრუნავდა პატარა ბორბალი, ხან სწორად და ხან ირიბად მიცოცავდა გაკერილი ქსოვილი და მექანიკურ ხმაურს ადამიანის ძნელად დასაჭერი და ძნელად გამოსარჩევი ხმა ერთვოდა - დედა ამ წუთას ვერც კატას ამჩნევდა და ვერც შორიახლოს მოკალათებულ დემნას - გაბმულად, გრძლად ზუზუნებდა:

- ვაი, შენს შავბნელ დას! ვის ქვიშა-ქვას ღებავდა შენი სისხლი, ვის ცივ მიწაზე ეგდე და ვისი გულგრილი ცა დაგყურებდა ზევიდან, ძმაო? იმ დროს რატომ გვერდით არა გყავდი მე დასამიწებელი? ალბათ, სიკვდილის წინ როგორ ამაოდ აფათურებდი აქეთ-იქით თვალებს, მაგ თვალებს ვენაცვალე, ეგებ თან ჩემიანის ხატება წავიყოლოო! სადა გყავდი მაშინ მე დასამიწებელი, ძმაო? რა დამაჯე-რებდა შენს სიკვდილს მე ადრე და მალე თვალებ-დასათხრელს, რა მეგონა, შენი მომრევიც თუ დაიბადებოდა ქვეყანაზე? ვინ გაგწირა, ძმაო, ან კაცმა რანაირად გაიმეტა შენი სიყრმე და ან იარაღმა, ეგეთი უჯიგრო ტყვია რა ხელმა ჩამოასხა...

ტირის, ნამდვილად ტირის, აგერ, ცრემლებიც ხომ ჩამოემსხვრევა ხოლმე თვალებიდან, მაგრამ სიმღერით რატომ ტირის? - ვერაფერს მიმხვდარიყო დემნა, - თითქოს ღიღინებს და საკერავი მანქანის ხმაურში მალავს ამ ღიღინსო.

- ... რა შევინახო შენს სახელზე, ძმაო, ვის მოვეფერო შენს მაგივრად? აქ, ამ სახლში მე რა მინდა, შე მზით გაუმაძღარო, აქ შენი უჭულბუჭულები უნდა ქრიამულობდნენ და ყირაზე გადადიოდნენ. ჩემო ჩამოშლილო იმედო, სანამ შენ ცოცხალი მეგულებოდი, მე ბედდამწვარს რა მიჭირდა, ეხლა რაღა ვქნა, რა ვიღონო, ვის მივენდო და მივეყუდო? მაინც ჩვენ რა გვიჭირს, რა სამდურავი უნდა ვთქვათ, როცა ჰაერსა ვსუნთქავთ და მზეს ვუყურებთ. შენ რა უნდა ჰქნა, სხვათა მიწას ამოფარებულო, შენთვის ხომ აღარასოდეს გათენდება?..

რომ არა ყოფილიყო, ის ერჩია დემნას, ძალიან ზედმეტად გრძნობდა თავს.

## VIII

აღარა თოვდა. ცამ მოიწმინდა და უფრო აცივდა. მთვარის შუქით განათებული ქუჩები გაყინულ მდინარეებს დაემსგავსნენ.

- უჰ, ერთი გზაარეული ტაქსი მაინც წამოგვწეოდა! - ოხვრას ნატვრა ამოაყოლა ოთარმა.

დემნას არაფერი უთქვამს. ხელები ღრმად ჩაეწყო პალტოს ჯიბეებში და განვლილ საღამოს იხსენებდა: სმა, ჭამა, გულზე მუშტის ბრაგუნი... სმა, სიმღერა, სიცილი... სმა, ცეკვა, ღრიანცელი... სმა... და ასე დაუსრულებლად მთელი ნადიმის განმავლობაში. ამ ლიანდაგზე გადიოდა ყოველი საღამო. ოღონდ დაივიწყო, რა ხდება გარეთ, შენს იქით, ოღონდ არც წინ გაიხედო და არც უკან, ოღონოდ რამენაირად მოჰკლა დრო და ყველაფერს გამოიგონებ: ღიმილსაც, ცრემლსაც, სიყვარულსაც. თუმცა იმასაც ველარ იტყოდი, იგონებენო - ამ ხალხმა ეს ყველაფერი უკვე იმდენჯერ ითამაშა, იმდენჯერ მოატყუა საკუთარი თავიცა და სხვებიც, რომ ბოლოს და ბოლოს, სიყალბეც სისხლხორცეულად ექცათ და ყველაზე ალალ-მართლები, ალბათ, მაშინ იყვნენ, როცა ყველაზე მეტად ტყუოდნენ. მათი სამშობლო კი, ვინ იცის, სწორედ ამიტომაც, დიდებულად და წარმატებულ-გამარჯვებულად გრძნობდა თავს /განსაკუთრებით სადღეგრძელოებში/ და ჭე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რისკენ თავაღერილი ცდილობდა, ფეხი აეწყო /ერთორსამ-ერთორსამ-ერთორსამ! კარგია!/, მსოფლიო მოვლენებს წამითაც არ ჩამორჩენოდა. წელიწადი კი ილეოდა, იფერფლებოდა. ის წელიწადი, როცა ჩრდილოეთ ირლანდიის დედაქალაქში ინგლისელი ჯარისკაცები შტურმით იღებდნენ ბარიკადებს, ხოლო ცენტრალურ საფეხბურთო სტადიონზე რევაზ ძოძუაშვილი იღბლიანად ებრძოდა ბესტს - იმ სეზონში ევროპის საუკეთესო თავდამსხმელს - და ისეთი თავგანწირვით კეტავდა საბჭოთა კავშირის ფეხბურთის ნაკრების კარისკენ მიმავალ ბილიკებს, თითქოს სამშობლოს მისადგომებს იცავსო. ევროპაშივე, ჰააგაში პიტერ-პაულ რუბენსის „ჩვილბავშვიანი მადონა“ აუქციონზე იყიდებოდა. აზიაში, თავიანთი იდეური მეგობრებისგან ფრთაშესხმული სამხრეთვიეტნამელი პარტიზანები ისე გამეტებით ავლებდნენ მუსრს მარიონეტული მთავრობის ჯარში მომსახურე თანამოძმეებს, რომ ჩვენი პრესა აღტაცებას ვერ ფარავდა და რადიო-ტელევიზიაშიც საქებარ სიტყვათა კორიანტელი ტრიალებდა. ბერძენი მსახიობი ქალი მელინა მერკური თანამემამულე პატრიოტების დასახმარებლად იტალიაში თანხას აგროვებდა და გოჯილა ისრაელი წარმატებულად უმკლავდებოდა რამდენიმე არაბულ სახელმწიფოს. ოთხმოც წელს გადაცილებული პაბლო პიკასო ძიუ-დოში ვარჯიშობდა და ბებერ მთვარეზე - ქართველთა წინაპრების უპირველეს სალოცავზე - ამერიკელი კოსმონავტები გულცივად დააბიჯებდნენ. ჩვენ კი... ჩვენ კი ან ჭურიდან ამოღებული ღვინისგან საღერღელაშლილები ვმრავალსიტყვაობდით ან იმ ამოცარიელებულ ჭურში გვეძინა.

იმ წელს ისე უჩუმრად და უსახელოდ მიიცვალა ერთ დროს მგრგვინავი გვარის - ორბელიანების - ლამის უკანასკნელი შთამომავალი, რომ მეზობლების გარდა, ალბათ, არავის გაუგია თბილისში. იმავე წელს ჰყვებოდნენ დედაქალაქში ჩამოსული ხევსურები: ზვავმა თან მკვდარი ჯიქი ჩამოიტანაო /თავად ვეფხვად იხსენიებდნენ/.

ვინ იცის, იგი იქნება სულაც უკანასკნელი ჯიქი იყო კავკასიონის მთიანეთში, ვინ იცის.

გაცრეცილიყო, გახუნებულიყო იმედი იმისა, რომ მთა კვლავ დაზრდიდა ბოკვრებს, ალგეთს კი მგლის ლეკვები არ მოაკლდებოდა. და, რაც მთავარია, მათ საჭიროებასაც აღარავინ გრძნობდა, აღარავინ საკლისობდა.

- რა დაგემართა, რამ გამოგაშტერა, არ გესმის? - მკლავზე ხელი მოჰკიდა ოთარმა.

- ჰა?.. მითხარი რამე?

- გითხარი კი არა, ლამის ენა გამითხელდა ლაპარაკით და, ეტყობა, შენ ერთი სიტყვაც არ გაგიგია.

- რაღაცა ფიქრებმა გამიტყუეს.

- ასე შორს სად იყავი, რომ ვერ იქნა და ხმა ვერ მოგაწვდინე?

- უჰ, შორს, ნამდვილად შორს...

- თუ ძმა ხარ, ერთი გამაგებინე, შენც ჰიტლერივით ორეულები ხომ არა გყავს და გარკვეული მოსაზრებით იმათ ხომ არ აგზავნი ხოლმე ხანდახან ახლობლებშიც. აბა ასე კაცის შეცვლა?! არ ვიცი, ძმაო, არ ვიცი...

- ეჰ, ოთარ, ოთარ, ყოველთვის მშურდა და რაც ხანი მემატება, კიდევ უფრო მეხარბება შენი.

- არა, ბიჭო და წუთისოფელს გავეთელინები, წუთისოფელს მოვუდრეკ თავს. თუნდაც წუთისოფელსა და თუნდაც სხვას, ვინც გინდა იყოს.

ასეთი წვეულებისთვის მაინცდამაინც ბევრი არ ეთქმოდათ - სულ თხუთმეტიოდე კაცი თუ იქნებოდა. დემნა თითქმის ყველას იცნობდა, ზოგს ახლოს, ზოგსაც - ისე რა. გვერდით ოთარი ეჯდა, როგორც ყოველთვის. ჩვეულებისამებრ, ოთარმა სულ იოლად მოახერხა, რომ მაგიდასთან იმ გოგონების პირისპირ დამსხდარიყვნენ, სხვებთან შედარებით იშვიათად რომ ხვდებოდნენ. ეტყობა, ადგილის არჩევანი ამჯერადაც უცხო ხილისკენ ლტოლვის ფაქტორმა განაპირობა. გაოცდებოდა კაცი, როგორ ადვილად ახერხებდა, როგორ იოლად გაარიგებდა ხოლმე ქალებთან დაკავშირებულ საქმეებს - თვითონ თითქოს არცა ცდილობდა, თავს ძალას არ ატანდა, ისე უწვალებლად, თავისთავად გამოსდიოდა ყველაფერი. რა საარაკოდ ეგ მიგაჩნიათო, - იტყოდა ხოლმე ვერდამალული სიამაყის ღიმილით, - ბუნება ზოგს რითი აჯილდოებს და ზოგს რითი, თანამდებობისთვის მე არ ვიბრძვი, ფულის კეთებაში არავის ვეცილები, სახელსა და უკვდავებას არ ვეპოტინები და, რაღაცა პატარა ნიჭი მეც თუ მიწყალობა ღმერთმა, რატომ უნდა შეგშურდეთო. ეს ჩემი ხელობაა, ჩემი სამუშაო. - დაამატებდა ბოლოს და, მართლაც, ისეთი გულმოდგინებითა და ერთგულებით ემსახურებოდა ამ საქმეს, რომ იმისი ნაქნარისა თუ ნათქვამის შემთხვევით შემსწრენიც კი უზადო პროფესიონალიზმის ცქერით გამოწვეულ სიამოვნებას ვერ მალავდნენ. უფრო გასაკვირი კი ის გახლდათ, რომ იმისი მომდურავი და უკმაყოფილო არავინ რჩებოდა - არც ერთი ქალი - რომელიც რაღაცა

დათქმული თუ განსაზღვრული დროის გასვლის შემდეგ მარად მეგობრად შორდებოდა ამ იდეალურ მექალთანეს.

– ლიზა, ლიზიკო, როგორ ძალიან ჰგავხარ, გოგო, მერილინ მონროს ახალგაზრდობაში. – ოთარი მაგიდის გაღმიდან ევლებოდა თავს იმის პირდაპირ მჯდარ ქალიშვილს.

– მხოლოდ თვალებით, აბა სხვა რითი? – კეკლუცად გაიღიმა ლიზამ თუ ლიზიკომ.

– სხვა არაფრით? მხოლოდ თვალებით? შენ რაა, მით უარესი მერილინისთვის... – მადის აღმძვრელი მკერდისკენ გაქცეული ხარბი მზერა ლამის გზაშივე მოთოკა ოთარმა, ოღონდ ისე, რომ ქალიშვილსაც არ დარჩენოდა შეუმჩნეველი. შემდეგ მცირე ხნით სუფრისთვისაც მოიცალა, წამოდგა და თამადის ნათქვამი სადღეგრძელო განავრცო, გაალამაზა.

ერთი შეხედვით, დიდის გულისყურით შესცქეროდა ლემნა თავის უახლოეს მეგობარს, მაგრამ თითქმის არ ესმოდა, რას ოქროპირობდა, რანაირად ქარგავდა სათქმელს და რა მარგალიტებს ისხამდა ენაზე – შეჭირვებული გონება ნათქვამის აღქმაზე უარს აცხადებდა, რადგან ათასჯერ მოსმენილი სიტყვები მოჰყირჭებოდა, მოსწყენოდა, გულს აღარ ეკარებოდა. წუთისოფელს – რეჟისორს – ამ სცენაში ერთისთვის მჭევრმეტყველის როლი ერგუნებინა, მეორესთვის – მსმენელისა და ისინიც გარეგნულად მშვენივრად თამაშობდნენ, თუმცა კი ერთი სული ჰქონდათ, როდის მორჩებოდნენ და როდის გადასცემდნენ ესტაფეტას ტაშის დამკვრელებს.

ოთარმა დალია, დაჯდა და, სანამ ღვინოს ლუკმას მიაყოლებდა, მერილინ მონროს სადარ ქალიშვილთან შეწყვეტილი საუბარი განაგრძო:

– ასეც არ შეიძლება... თუ დაფიქრებულხარ, გენაცვალე, ეგ შენი სილამაზე რამდენი ადამიანის უბედურების მიზეზი გამხდარა?

ქალიშვილი გაკვირვებული აფახულებდა წამწამებს.

– და მათ შორის ყველაზე საცოდავი მე ვარ!

– ეგ რატომღა, რატომ ყველაზე საცოდავი?

– თუნდაც იმიტომ, რომ სილამაზის ფასი ჩემზე უკეთ არავინ იცის. ვერც იმას გაიგებს ვერავინ, შენი მშვენება ამ წუთშიაც როგორ მანადგურებს. უიღბლო ვყოფილვარ, უიღბლო, უბედურ ვარსკვლავზე დაბადებული! – ჭარბად აღგზნებული გულახდილობა ისმოდა ოთარის ხმაში.

– უიღბლობისა არაფერი გეტყობათ. თქვენივე სიტყვებს თუ დავუჯერებთ, პირიქით, ბედნიერად უნდა ჩათვალოთ თავი: ამჟამად ხომ პირისპირ ვსხედვართ და ეგებ ისე მოხდეს, მერეც გადავეყაროთ ერთმანეთს, თბილისი არცთუ დიდი ქალაქია.

– შემთხვევითობისა მე დიდადა მწამს, შემოგევლე, მაგრამ მხოლოდ ფორტუნას იმედზეც ნუ ვიქნებით, აი, ჩემი ტელეფონის ნომერი გქონდეთ, ვინიცობაა, იქნება მეც გამოგადგეთ საჭიროებისას და თანაც სხვაზე ურიგოდ არა. სცადეთ.

ქალიშვილს მრავალმნიშვნელოვნად ჩაეღიმა და საუბარს სულ სხვა შეფერილობა მისცა:

– ოთარ, თქვენზე ამბობენ, ლექსებს წერსო, მართალია?

– თუკი ყველა ქართველს ტრფიალება პოეტად აქცევს, მე რაღა გამონაკლისი ვარ? ვისზე ნაკლები ქართველი ვგონივარ ვინმეს? ოღონდ მე მხოლოდ სილამაზე ამაღებინებს ხოლმე ხელში კალამს.

– შეიძლება იმედი ვიქონიო, რომ ოდესმე ჩემზეც დაწერთ ლექსს?

– ოდესმეო? რატომ ოდესმე? ჩემო კარგო? ეგ შორს გადასადები საქმე არ არის.

ოთარმა ქაღალდის ხელსახოცი აიღო და კალამი მოიმარჯვა.

*მომეცი რამ ბედ*
*დღეს, ელისაბედ,*
*ძაღლიც ვერ დაჰყეფს*
*მერე ამ ჩემს ბედს!*

ლემნა ნაწერს ჩაჰყურებდა და შეუმჩნევლად ეღიმებოდა: ხედავ, როგორ რითმავს ვაჟი ვაჟურად? – გაიფიქრა და რამდენჯერმე ჩუმად ჩაახველა.

– ზახრუმა! – ოთარმაც მხოლოდ მეგობრის გასაგონად ჩაიჩურჩულა.

– აჰ, აჰ, აჰ, ოღონდ ელისაბედს ნუ მიწოდებთ და არავითარი ლექსი არ მინდა! – ხელიდან გააგდო ქაღალდი ქალიშვილმა.

– მაპატიეთ, მაპატიეთ! აბა როგორ მოგიხსენიოთ მომავალ ლექსებში?

– ლიზი, მე ლიზი მქვია.

– ვაი მე უბედურს! ეგ რანაირად დამემართა! განა ერთი შეხედვით ვერ უნდა მივმხვდარიყავი, რომ ასეთ ქალიშვილს ლიზი უნდა რქმეოდა და სხვა არაფერი?! – შუბლში იტკიცა ხელი ოთარმა.

– არა, არა, ეგრე ძალიანაც ნუ განიცდით, ჯერ ყველაფერი წინა გაქვთ და შეგიძლიათ, თქვენი შეცდომა იოლად გამოასწოროთ.

– გმადლობთ იმედისთვის, გმადლობთ!

– რატომ ხარ ეგრე? – ლემნას მოუბრუნდა ოთარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

- როგორ ეგრე?

- რა ვიცი, ამ ბოლო დროს თითქოს ვეღარა გცნობ, თითქოს ზოგჯერ სხვა ხარ, უცხო. ისე, ხუმრობის გაშვებით, მართლა ხომ არაფერი გიჭირს, ბოლო ხანებში უხასიათოდ მეჩვენები.

ხომ არაფერი გიჭირსო? ვარამი და საწუხარი, დემნას რომ უღრღნიდა გულს, სწორედ ეგეთი უნდოდა, ზოგჯერ ისე გაისენებოდა და გაივსებოდა ხოლმე ბოღმისგან, ყველაზე ძვირფასი ადამიანის სიახლოვესაც ვერ იტანდა. ცოტაც და ერთი უთავსი, ხასიათშეუწყობელი კაცის სახელი გაუვარდებოდა ნაცნობებში. მაგრამ ოთარისთვის რა ეთქვა, ის რას უშველიდა, რითი ანუგეშებდა?

- მოგცლია შენც, მოწყენილი კი არა... ერთი ეგ არის, მომბეზრდა ეს ევრ-აზიური ქეიფები: ქართულად მჭექარე სადღეგრძელოები და ევროპულად თვალების ნაბვა.

- ჰო, რა თქმა უნდა, შენ სხვანაირსა ხარ მიჩვეული და ამას ვეღარა ჰგუობ, ძნელი გასაძლებია.

- ეგ ირონია დაგჭირდება, სხვა დროისთვის შეინახე... მაცალე, მაცალე, დავლიო, თორემ მაგისი აყეფების თავი დღეს როგორღაც არ მაქვს, - თამადას გახედა დემნამ.

- დალევით უნდა დალიო, აბა რაა, მაგრამ მაგისი ჯაჯღანის შიშით კი არა. ნეტავი რას ერიდები? კაი ხანია, ისედაც არ მომდის თვალში, თუ წესიერად არ იქნება, ეგებ მოხვდეს კიდეც ამ საღამოს.

- რაო, რა მოხდა, მზეთუნახავში შეგეცილა?

- არ გინდა, რაა, ბიჭო, ეგეთი ნესტვრა, ვერა გრძნობ, შეურაცხყოფას რომ მაყენებ? ვითომ ქალის მეტი საფიქრალ-საწუხარი აღარაფერი მაქვს და ხალხთან ურთიერთობასაც მხოლოდ ამ კუთხიდან ვზომავ, არა?

- ბოდიში, ბოდიში, წამომცდა, ქალი რა შუაშია, ალბათ, ბარელი ნავთობის ფასზე ვერ შეთანხმდით ეგა და შენა.

- ოხ, ერთი სხვა იყო, რაა!

- რა დაგემართა, ბიჭო, შენ რა მართლა გულით ინატრე, ხომ არაფერი მოგელანდა? - თავი გვერდზე გასწია და ისე აათვალ-ჩაათვალიერა დემნამ.

- შენ უნდა იხუმრო და სხვამ არა, სხვისი ოხუნჯობა შეურაცხგყოფს და უცებ გხვდება გულზე, რაღა თქმა უნდა!

- კაი, ჰო, კაი.

უმიზეზოდ გაღიზიანებულიყო დემნა. აქაც ცუდად გრძნობდა თავს, მიუსაფრად, ეულად. ის მაინც არ გამქრალიყო ასე კვალწმინდად, ასე უგელიგეშოდო, პაპუნა მოენატრა უცებ, თუმცა სრულად არც იმაში იყო დარწმუნებული, გაუჩინარებული მეგობრის გამოჩენა თუ შეცვლიდა რამეს. ზედმეტად ეჩვენებოდა თავი, თანამესუფრეებთან ძალით მიტმასნილად. არა სურდა, ამაზე ეფიქრა, ამას ჩაღრმავებოდა და ამიტომ იყო, რომ ოთარი არ ეთმობოდა, ხელიდან არ უშვებდა და ათას სისულელეზე ელაპარაკებოდა:

- აქეთ მომხედე, ოთარ, რა გამახსენდა, იცი? ჩემი ბინის გასწვრივ დიდი სახლი რომ დგას, ხომ გახსოვს - ეზოს ირგვლივ ბეტონის გალავნიანი, რკინის ჭიშკრიანი - ეგეთი ციხე-სიმაგრე ერეკლეს რომ ჰქონოდა, ფეხებს ვერ მოსჭამდა აღა-მაჰმადი...

- აუუუჰ! თუ ძმა ხარ, გრძელ-გრძელ შესავლებს მოეშვი და თქვი, რა გინდა. - გული და თვალი მაგიდის გაღმა გაურბოდა ოთარს.

- იქ, ბიჭო, ერთი მაგარი კაცი ცხოვრობდა - გარეგნობით შესანიშნავი, კაი ცოლ-შვილის პატრონი, ძველი ჩოხოსანი, ფულის მშოვნელი, პურის მჭამელი... ერთი სიტყვით, საყვარელი ბიძა, გამოჩინებული, აქეთაც რომ სცემენ პატივს და იქითაც...

- მოკლედ რაა, კაცო, მაგისი დრო მაქვს ახლა მეე? მერე?

- რაღა მერე, დაბერდა და მოკვდა ეს კაცი.

- არ გადამრიო? როგორ თუ მოკვდა, ეგ რა მითხარი! - ლოყაზე ხელი შემოირტყა ოთარმა, - შე კაი კაცო, მიუხედავად თავისი ჩოხოსნობისა, მოკვდებოდა ბოლოს, აბა ცას ხომ არ შეაბერდებოდა?

- არა, სხვა რამე მინდა გითხრა. სიკვდილის წინ, ცოლ-შვილი და ახლობლები რომ ეხვიენენ თავზე, თურმე ცოლს უბრძანა: წადი, შენ ნუ დაესწრები ჩემი სულის ამოსვლას, ოთახი დატოვეო! ხომ არა გგონიაო, უთხრა, არ ვიცოდი, რომ მღალატობდიო და თითქმის ათიოდე კაცის გვარ-სახელი ჩამოუთვალა...

- აჰა, შენ ისევ და ისევ ვერ ისვენებ! რა გინდა, წავიდე აქედან? - უკმაყოფილოდ შეიშმუშნა და მართლა წამოიწია. - „ლამაზი ქალი სანდო არ არის“ და ძმურ რჩევას მაძლევ იგავ-არაკებითა და ჭკუის სასწავლებელი ისტორიებით. აი, მესმის, მეგობარიც ასეთი უნდა! კარგი რაა, ბიჭო, რა დაგემართათ? რომ არ გიცნობდე, მეგონებოდა, შურისგან მოსდისმეთქი... - მართლა შეეტყო წყენა ოთარს.

- შენ ხომ არ გადაირიე? როდის იყო, სათქმელის პირდაპირ თქმა მიჭირდა და ვინმეს რამეს მიკიბულ-მოკიბულად ვეუბნებოდი? ეგრე გამოდის, შენი შიშით სიტყვა „ქალი“ ვეღარ უნდა ვახსენო, ვინძლო, არ ეწყინოს, თავის თავზე არ მიიღოს და გული არ ვატკინომეთქი. ეგეთი ეჭვიანობა როდიდან დაგჩემდა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

– მოდი და ნუ იქნები ეჭვიანი! არ გამიშრეს სისხლი ამ გოგოების გამო! ძმაო დემნა, დაიმახსოვრეთ, ერთხელ და სამუდამოდ დაიმახსოვრეთ შენცა და სხვამაც: სრულ-ქმნილი და უზადო ადამიანი ჯერ ამქვეყნად არ გაჩენილა და თუ მშვენიერთა სქესისადმი წრეგადასული ტრფიალება ნაკლად მეთვლება, ჯანდაბას, მქონდეს მეც ეს დიდებული ნაკლი, რა მოხდება?

– კარგი, კარგი, დამშვიდდი, წინ გაიხედე, ჩემს ნაცვლად იმას მიაპყარ მზერა და გული-დან წყენა უცებ გადაგეყრება. ოღონდ ის მაინც მითხარი, ვინ არის ეგ გოგო და საიდან მოფარ-ფატებულა?

– აი, ეგეთი ლაპარაკი მესმის! – ხმაში ხა-ლისი ჩაუდგა ოთარს, – ლიზიზე თუნდაც მთელი ღამე გესაუბრები და არ მომწყინდება: გარე-გნობით, თვითონაც ხედავ, რომ შირაზის ვარდი მაგასთან ვერ მოვა, მაგრამ ეგ კიდევ არა-ფერი, წარმომავლობითაც დასაწუნს ვერაფერს მოუნახავ, ფინანსისტის ქალიშვილია. მიუხე-დავად ამისა, პირველმა ნაადრევმა ქორწი-ნებამ არ გაუმართლა და ამჟამად უცხო ენათა ინსტიტუტში გერმანულს ჩაეხუტა. მშობლებმა, ეტყობა, წინაპრის პატივსაცემად, ელისაბედი დაარქვეს, ბოლო დრომდე ლიზიკოს ეძახდნენ, ახლა კი ლიზი ვარო, ირწმუნება. მოკლედ, სახელიც კაბასავით სწრაფად უმოკლდება.

– აბა ხვალიდან შენი სახით გერმანულს სერიოზული მეტოქე გამოუჩნდება, გარკვეული დროის განმავლობაში მაინც.

უკვირდა დემნას: მოსვლით ერთად მოვე-დით, აგერ ახლაც ამდენ ხანს ერთად ვსხედვ-ართ, მაშ, საიდან ჩაიგდო ხელში ეგეთი დოსიე? ისეთი რა გეში აქვს ან მსტოვართა ისეთი რა ქსელი აქვს, რომ ამან ამდენი რამე შეიტყო ლიზიკოზე და მე კი არაფერი გამიგიაო.

ნადიმი თანდათან დაღმა მიექანებოდა. სუფრას ერთიანობა დაეკარგა და ორ-სამ კაციან წრეებად დათიშულიყო. აღარავინ უსმე-ნდა ერთმანეთს.

კაბუკი და კიოგენი ნოასთან შედარებით არაფერიაო, თავგამოდებით უმტკიცებდა მოშ-ორებით მჯდომ ლევან გელაშვილს იაპონურ თეატრალურ ცხოვრებაში ღრმად ჩახედული ვიღაც წვერმოშვებული ბიჭი. ლევანი შეღონე-ბული შეჰყურებდა და თანხმობის ნიშნად თავს უქნევდა.

– მერე, რომ დაგირეკო, იცნობ ჩემს ხმას ტელეფონში? – მერილინ მონროს მინამგვანი თვალების ნაბვით ეკითხებოდა მაგიდის-გადმელი ქალიშვილი ოთარს.

– თქვენსას? თქვენსას? ხმას კი არა, დუმილსაც ვიცნობ. დარეკეთ და თუნდაც ნუ დამელაპარაკებით, მე მაინც მადლობელი ვიქნები ჩემი ბედისა და, რა თქმა უნდა, თქვენი.

სასმელისგან ოდნავ ლოყებშეფაკლული ლიზი ნაზად იღიმებოდა და მდორედ აფახულე-ბდა გრძელ-გრძელ წამწამებს.

შავგვრემანი, სქელკისერა ბიჭი – მშობელი ბუნების მიერ თავიდანვე თამადად ჩაფიქრე-ბული – ამაოდ ცდილობდა სუფრის დაწყვეტილი მთლიანობის აღდგენას, მთელი ხმით ამბობდა მორიგ სადღეგრძელოს:

– ... და ასე თაობიდან თაობას უწყვეტად და დაუსრულებლად გადაეცემა ჯიში და გენი ჩვენი მოდგმისა. არავის არაფერი შეეშალოს! კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი...

– კარგი იყო, ის მაინც გცოდნოდა, ალგეთი სად არის და რა ლეკვები იზრდებიან იქ... – თვითონაც არ მოელოდა დემნა, ისე გამოუფ-რინდა ეს ფრაზა ბაგეებიდან. უბოროტოდ, გულუბრყვილოდ, თითქოს ოთართან საუბარს აგრძელებსო შინაურულად.

გადაირია სქელკისერა, ველარავინ გააჩერა:

– გამოვიდეს გარეთ, ორ სიტყვას დაველაპ-არაკები ერთი ერთზე, მეტი არაფერი!

დემნა უკვე ნანობდა ამ როყიოდ და დაუფი-ქრებლად წამოსროლილ წინადადებას, რომე-ლიც, თავისი სიმართლის მიუხედავად, ამ გარემოში იმდენად უძლურად და უმწეოდ ჟღერდა, რომ, ნაცვლად იმისა, ჭეშმარიტებას შესწეოდა და ჭეშმარიტების გვერდით დაეკავ-ებინა კუთვნილი ადგილი, უაზრობათა გრძელ ჯაჭვს მიეტმასნა და კიდევ უფრო დააგრძელა იგი.

შეიძლება იმიტომ, რომ თავს დამნაშავედ გრძნობდა, სცადა, ვითარება აღარ გამწვავე-ბულიყო – მშვიდი და აუმღვრეველი იჯდა და სუფრის თავისაკენ არც იყურებოდა, გეგონება: ვერც რას ხედავს და არც რა ესმის, რაც ამ მაგიდასთან ხდებაო. მეთოდი სუსტი გამოდგა. მოწინააღმდეგის ამ მოჩვენებითმა სიმშვიდემ და უდრტვინველობამ კიდევ უფრო მეტად გააც-ოფა, წონასწორობიდან სულ გამოიყვანა თამა-და. თუმცა შეიძლება, ზოგიერთ იქ მჯდომს ისიც ეფიქრა: დემნას უმოქმედობამ შეაგუ-ლიანაო.

– გამოდი, თუ კაცი ხარ, რომ ამოგართვა ეგ ენა...

სხვა დროს, ალბათ, გაჰყვებოდა, ალბათ კი არა, გაჰყვებოდა და ამ ხალხში თავს არ შეირცხვენდა, მაგრამ დღეს? ახლა? რა აზრი ჰქონდა? რატომ და რისთვის აჰყოლოდა იმის პოხონდრიობას? გავლენ, ურტყამენ ერთმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეთს, დაიღლებიან და გაჩერდებიან. შეიცვლება ამით რამე? ისწავლის ეს სამშობლოსთვის თავდადებული ვაჟკაცი, სად არის ალგეთი? ანდა ალგეთის საბჭოთა მეურნეობა წლევანდელი ბოსტნეულის დამზადების გეგმას გადაჭარბებით შეასრულებს? იჯდა ჩუმად, თავისას ფიქრობდა და ლევან გელაშვილის მაგიდაზე დაწყობილი ოდნავ მოცახცახე ხელებისთვის თვალი ვერ მოეშორებინა.

ოთარმა ველარ მოითმინა:

- არ გახვალ?!

- სადა, კაცო? - ისეთი მიამიტობით იკითხა, მსმენელი მის ნორმალურობაში დაეჭვდებოდა.

- მაშინ მე გავალ! - წამოიწია და მარტო მეგობრისა კი არა, თავისი თავმოყვარეობის, თავისი ღირსების გადარჩენას შეეცადა.

- მაგრად დააჯექი შენს სკამს, ქარი არ შეგივიდეს, გაიგე! - კბილებში გამოსცრა დემნამ.

- მეე, კაცო? მე მედიდგულები?! - გაოცებისგან მუშტისოდენა გახდომოდა თვალები ოთარს, - ვერა, დემნა, ველარ მიცვნიხარ, ვერა!

- ეგრეა საჭირო.

- კაი, ბატონო, თუ ეგრეა საჭირო, ეგრე იყოს, ახლა გავჩუმდები, ახლა ჩავყლაპავ, მაგრამ სხვა დროს მაინც ვნახავ და აქ ნაჭამ გოჭის ხორცს მაშინ ამოვანთხევინებ.

დიდის ვაი-ვაგლახით თამადაც დააწყნარეს, დააშოშმინეს და თავის ადგილზე დასვეს, მაგრამ არეულობამ თავისი ქნა, სტუმრებმა დაშლა იწყეს.

- კარგი, რაა, გიზო, შენი ჭირიმე, იყავი კიდევ ცოტა ხანს! - ეხვეწებოდა მასპინძელი ქალიშვილი მაღალ, ლამაზ ვაჟს, დემნას არცთუ დიდი ხნის ნაცნობს.

- ვერა, ფლიზ, მეჩქარება, ველარ დავიცდი.

- საით ისწრაფვი, გიზო, ასე ნაადრევად საით მიეშურები? - ჰკითხა ოთარმა, - ეს ცოლიანი ხალხი მაინც საით იჩქარით, კაცო?

- რაო, არ შეიძლება, ცოლიანებსაც ეჩქარებოდეს? - ლამაზად გაიკვირვა გიზომ.

- რა ვიცი, მე მეგონა, მხოლოდ უცოლოები ვჩქარობდით. ჩვენ, საწყლები, ხომ მაშინ მივედით ბაღში, როცა ყველა ყვავილი დაკავებული იყო. თუმცა შენი ამბავი სხვაა, შენ ხომ ნატალისთან მიეშურები...

დემნამ წყრომით გადახედა, რაღაცა უხამსობა მოესმა მეგობრის ნათქვამში.

რა საოცარი იყო, ზოგჯერ სუფრასთან ეგეთი რა ბაცილა, რა დამასნებოვნებელი მიკრობი გავრცელდებოდა ხოლმე, რომ არავინ აღარაფერს უწევდა ანგარიშს და ყველა ერთმანეთის კბენასა და დანესტვრას ცდილობდა - იქნება ხანდახან ისე უნებურადაც, როგორც წელან დემნას გაექცა სიტყვა თამადისკენ, მაგრამ განიადაგებულად კი.

ენამახვილობაში თუ ღვარძლი სჭარბობს, იმას ენამახვილობა ველარ დაერქმევა. მართლაც, ვერაფერი შვილი ხუმრობა გამოუვიდა ოთარს. იმის ნათქვამში, ერთი შეხედვით, უსიამოვნო თითქმის არაფერი მოგეჩვენებოდა, თუ არ იცოდი, რომ ნატალი, სანამ გიზოს მითხოვდებოდა, მცირე ხანს ოთართან ეწაფებოდა მიწიერ სიამოვნებას. ჰოდა, თუ ამ ფაქტს გავითვალისწინებთ, გიზოსთან ცოლზე საუბარი არ იყო მთლად კაცური საქმე. კიდევ დააპირა ოთარმა რაღაცის თქმა, მაგრამ დემნამ აღარ დააცალა:

- გეყო, თუ ძმა ხარ, რა გინდა, რას აუხირდი მაგ კაცს? - გადაულაპარაკა ჩუმად.

- რას ავუხირდი კი არა, მაგაზე წამხდარი მეორე არ მეგულება ჩვენს სანაცნობოში.

- ნუ ამბობ სისულელეს.

- შენ სისულელე გეგონოს და იცი, რა თქვა ერთ შინაურულ საუბარში?

- მაგის შინაურული საუბრები მე რანაირად მეცოდინება, შენა ხარ ოჯახობრივად დაახლოებული.

- მორჩი, ჰო... რაო და, ქალი თუ სხვა მხრივ კარგია და ქმარსაც ხასიათი შეუწყო, როგორ შეიძლება, იმის ხორციელ ადიულტერზე გადიზიანდეს კაცი და ამის გამო ნევროპათად იქცესო. სულ ერთია, ყველა წყვილი ორიოდე წელიწადში სექსუალურად ამოწურავენ ხოლმე ერთმანეთს და მერე ეგ ასპექტი ადამიანურ ურთიერთობათა ანგარიშში ჩასაგდები აღარც არისო. ხომ ორიგინალური ნათქვამია: თუ სხვა მხრივ კარგიაო... ახლა სიტყვები ნახე: ადიულტერიო, ასპექტიო, ნევროპათად იქცესო, სექსუალურად ამოწურავენო...

- ეგებ ოხუნჯობდა რაღაცას, ბიჭო, ერთმანეთის ყოველ ნათქვამს თუ გამოვეკიდეთ, სად წაგვიყვანს.

- რას ამბობ, დემნა, რა პირით ამართლებ, აბა ეგ რა ხუმრობაა?! კარგი, ვთქვათ და იხუმრა კიდეც, ვინც ეგრე ხუმრობს, როგორ ფიქრობ, კაცად ჩასაგდებია?

- მაინც მოეშვი, თუ ხათრი გაქვს, ნუ ჩააცივდები, ბოლოს და ბოლოს, ისიც არ უნდა დაგავიწყდეს, ნატალი რომ ჩემი თანაკურსელია და გიზო სიძედ მერგება.

- არსად დაგეკარგოს ან ერთი, ან მეორე...

რაღაცა იოხუნჯაო, უთხრა დემნამ და ალბათ, მართალიც იყო - დრო ედგათ დარიანი და მზიანი, საფიქრალ-სადარდებელი არაფერი ჰქონდათ და იხუმრებდნენ, აბა რას იზამდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მახვილსიტყვაობდნენ, ანგლობდნენ, ლაზღანდარობდნენ, თითქოს ხათრი და კრძალულება აღარავისი შერჩენიათო, ვიღას ახსოვდა დავითი და ერეკლე, ქეთევანი და ბერი თევდორე, ოღონდ მოეხერხებინათ და თავი რამენაირად გამოეჩინათ, ოღონდ ოხუნჯისა და სიტყვამოსწრებულის სახელი დაეგდოთ და არაფერს დაგიდევდნენ - საყვარელ პოეტს გააქილიკებდნენ, რომელიმე სასიქადულო მეცნიერის ოჯახზე აგორებულ ჭორს თავისასაც წაუმატებდნენ, ამაგდარ წინაპარს ისე გაქირდავდნენ და კბილქვეშ მოიტანდნენ, წარბიც არ შეეხრებოდათ. ის კი არა, თუ დასჭირდებოდათ, სატანასთან დასდებდნენ კავშირს და მამალმერთის დაგესვლაზეც არ დაიხევდნენ უკან. მე შენ გეტყვი და საამისო წინამძღვრები არა ჰქონდათ! თუმცა მაგალითისთვის შორს წასვლა და წინამძღვრების ძებნა-ძიება რა საჭირო იყო, აგერ ოთარი - დემნას საუკეთესო მეგობარი - აქ არ გახლდათ? ოღონდ თავის გარშემო მყოფი გოგონები გაემხიარულებინა, თავისი ენამზეობა დაემტკიცებინა და საკუთარ თავგოდორა ძმასაც არ ინდობდა, ბუნებრივ ნაკლს ლამის დანაშაულად უთვლიდა და წამდაუწუმ წამოსძახებდა ხოლმე: მადლობა ღმერთს, რომ პაატა ჭკუასელი ხარ და არა პაატა სააკაძე, თორემ შენს თავს რა ჩამოგვატანინებდა ისპაჰანიდანო.

აქ კი სულ სხვა ცეცხლი შემონთდებოდა ოთარს:

- უჰ, შენი ხათრი, თორემ ვეტყოდი, რაც ეკადრება... კარგი, ჰო, კარგი, გავჩუმდები და ხმას აღარ ამოვიღებ, ეგღა მაკლია, მაგ წამხდარი კაცის გამო მეგობარი მოვიმდურო! ის კი არა, შენი გულისთვის, თუ გინდა ახლავე, აი, ამ რაფაზე ავალ, გამოვხსნი ფანჯარას და დაბლა გადავხტები, გინდა?

არა, არ უნდოდა დემნას, ამჯერად ნამდვილად არა ღირდა ფანჯრიდან გადახტომა, მით უმეტეს, რომ მათი მასპინძელი მეშვიდე სართულზე ცხოვრობდა და მხტომელს პატარა პარაშუტი თუ არა, მოზრდილი ქოლგა მაინც აუცილებლად დასჭირდებოდა.

ხოლო სიყვარულზე და ერთგულებაზე თუ მიდგებოდა საქმე, გაგიხარია, მართლა ძალიან უყვარდათ ძმაკაცებს ერთმანეთი, ამას ფიცი-მტკიცი არა სჭირდებოდა.

- რა დაგემართა, რამ გამოგაშტერა? ეგეთი რა დალიე, რომ აღარაფერი გეყურება? - მკლავზე ხელი მოჰკიდა ოთარმა, - ცოტა გონზე მოდი.

- ჰა, მითხარი რამე?

- გითხარი კი არა, ლამის ენა გამითხელდა ლაპარაკით, შენ კი მაინც ვერაფერი შეგასმინე.

- ეტყობა, რაღაცა ფიქრებმა გამიტყუეს. რაო, რას მეუბნებოდი?

- ოთხშაბათსაც მაგარი გრიალი მოგვიწევს, ნაიას დაბადების დღეა-მეთქი.

- ჰოო?

- რა ჰოო?

- რა ჰოო და ის ჰოო.

- კაცო, შენ რა ტლინკებს ჰყრი?

- წავიდეს, ერთი მაგისი...

- ეჰ, თქვენ, ეტყობა, ისევ იჩხუბეთ.

- წავიდეს მაგასი... - ფეხს აუჩქარა დემნამ.

- აჰ, თუმცა უჩხუბრადაც მაგის დაბადების დღეზე უკვე რამდენი წელია აღარა ჰყოფილხარ, არა?

- დემნა აღარ გაპასუხებია, ორიოდე ნაბიჯით წინ მიდიოდა.

- მოდი, რა ვქნათ, იცი? - არ ისვენებდა ოთარი, - რაც იქნება, იქნება, ერთად ვესტუმროთ ოთხშაბათს, იტყვიან ვითომ იმისები რამეს?

- დამანებე თავი, თუ ძმა ხარ, ვიცი მე მაგისი დაბადების დღეები, დასვამს სუფრის თავში ბიძამისს და უსმინე იმის ბრტყელ-ბრტყელ სადღეგრძელოებს. რა გაუძლებს!

- ბიჭო, წავა ცოტა ხანში ის კაცი და მერე როგორც გაგვეხარდება, ისე მოვილხინოთ. აბა რანაირად გინდა, შენი შეხედულებების გამო მთელ სანათესაოს ხომ ვერ მოიძულებს ის გოგო?!

- ჰოდა, თუ ვერ მოიძულებს, იყოს ეგრე, მე არ ვატან არანაირ ძალას... მოდი, კაცო, მოდი, იარე.

ოთარმა იწყინა:

- ყური დამიგდე, დემნა, ჭკუისმიუყოლებლად ნურც რამეს იტყვი და ნურც გააკეთებ. რა არის, რა თავს იგდებ, შე კაი კაცო? იცოდე, ნაიას დაბადების დღე მაინც დადგება, მარტო მე და შენ კი არა, თუნდაც სულ არავინ მივიდეს. იქამდე კი ერთ ძმურ რჩევას მოგცემ და შენ გინდა შეისმინე და გინდა არა. რაც მახსოვხარ, სულ წუთისოფლის გაუტანლობას უჩივი, სულ წუთისოფლის სიმართლის მაგინებელი ხარ დამსახურებულად თუ დაუმსახურებლად. ჰოდა, როგორ ვერ ხვდები, რომ იმ ურჯუკმა, ეგებ შემთხვევითაც, თურმე ერთი გულუხვი საჩუქარი შენთვისაც გაიმეტა. რატომ არ გინდა, რომ შეიშნოო? რატომ უნდა უკრა ხელი, ამით რას მოიგებ? შენც იცი, თუ ამქვეყნად რამე გამეგება, ეგ ქალების ავ-კარგის გამოცნობა და შეტყობაა. როგორც შენ ირჯები, ნაიას ეგეთი პატრონობა არ ეყოფა - საგანძურის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მფლობელ კაცს სხვანაირი პასუხისმგებლობა მართებს, განძს სხვანაირი მოფრთხილება და სულის ბერვა სჭირდება. მერე რომ სანანებელი და ცხვირში საცემი არ გაგიხდეს, ცოტა ჭკუას მოუხმე და დააფასე, რისი ღირსიც გაგხადა შენგან ნაგინებმა წუთისოფელმა. შენ ეგრე ყოფნა არას გარგებს, ყველაფერი უნდა იოღნო, ქვა უნდა გახეთქო და, იმას რომ ეკადრება, ისე მოუარო. დაიმახსოვრე: ცუდი შემნახავი ქურდზე უარესია - იმას თუ ცხოვრება გაუმრუდდა, დიდწილად შენ იქნები დამნაშავე და ველარც შენ ეღირსები ოდესმე სიხარულს. შენ შენი პატივმოყვარეობა ვერ დაგითმია, აგიკვიატებია: ჩემს ბაჯაღლო პატიოსნებას მაგისი ოჯახის ფუფუნებას ვერ წავახდენინებო. სადაური ჭკუაა, თუ ძმა ხარ? რატომ ნაიას არ ეკითხებით, ეგებ ვერც იმათი ფუფუნება და ვერც შენი პატიოსნება იმის სიყვარულს კოჭებამდეც ვერ მისწვდება? ამაზე არ გიფიქრია?

ოთარს თვითონაც უთქვამს და თანაც არაერთხელ: ჭკუის სწავლებაზე იოლი არაფერიაო. მართალიც იყო, რა თქმა უნდა, მაგრამ მხოლოდ მაშინ კი არა - ახლაც, როცა ეუბნებოდა: თუ ნაიას ცხოვრება გაუმრუდდა, ვერც შენ ეღირსები ვერასოდეს სიხარულსო. ოღონდ ეგ იყო, ერთი რამე არ იცოდა და ვერც მიხვდებოდა: დემნა თუ ოცნებას აუსრულებდა ქალიშვილს და თავისი ღარიბული ოთახის ბინადრად აქცევდა, ამითაც ვერ ეღირსებოდა სიხარულს ვერც ერთი და ვერც მეორე, რადგან დემნას აზროვნებაზე წურბელებივით მოკიდებული უპასუხო კითხვები არც მაშინ მოასვენებდნენ და მათ გამო ნაია დემნას გვერდით უფრო უბედური იქნებოდა, ვიდრე უიმისოდ.

აი, რა უთუთქავდა გულს.

იმის სახეს ხელებში მოიქცევდა ხოლმე და დიდხანს, დიდხანს ჩაჰყურებდა თვალებში. რა კითხვები და რისი კითხვები - ამ დროს არავითარი საწუხარი აღარ ახსოვდა, გონება უკან იხევდა, არყოფნაში გადადიოდა, რაღაცნაირად ბაცდებოდა ყველაფერი და დამბანგველ გაურკვევლობაში ინთქმებოდა. ნამდვილი სიყვარული იყო - ძნელად ასატანი, ძნელად გასაძლები, სიკვდილივით ნაღდი და სიკვდილივით ერთიანად მიმტაცებელი.

ჩაიკრავდა, მაგრად ჩაიკრავდა ხოლმე მკერდში, მტკივნეულად - ქალიშვილის კვლავ ნეკნად ქცევის მოწადინე, თავისი სხეულის ნაწილის კვლავ უკან დაბრუნების მდომელი და სურვილი ისეთი ძლიერი იყო, ისეთი ქინიანი, რომ აღსრულებას თითქმის აღარაფერი უკლდა - ლამის მართლა ქცეულიყვნენ ერთ ხორც და ერთ სულ. მერე ოდნავ გონსმოსული, არყოფნიდან აქეთ გამოტრიალებული ნეტარებას დაეწაფებოდა ხოლმე იმისი ტუჩებიდან.

საბოლოოდ კი რაა?

ვიწრო სარკმლიდან ისევ ეზოს პატარა კუთხე მოჩანდა მხოლოდ. დემნასთვის სულ ერთი იყო, გამოჩნდებოდა თუ არა იგი მთლიანად - იდგა და რაც მოჩანდა, იმას უყურებდა. მზე საშუადღეოს გადასცილებოდა და ამ ჭასავით ეზოდანაც აეკრიფა თავისი სხივები, მაგრამ სიცხე კვლავ მძლავრობდა.

- ჩემი მოსვლით ხელი ხომ არაფერში შეგიშალე, საქმეს ხომ არაფერს მოგაცდინე?

- კარგი რაა, ნაია, დამცინი? რას უნდა მომაცდინო?

- რა ვიცი, აბა სტუმრობით გამოწვეული სიხარულისაც არაფერი გეტყობა და...

- აი, კუდი რომ მქონდეს, არა, კუდი, შენს საყვედურს იოლად ავიცილებდი, - გახუმრება სცადა დემნამ, მაგრამ იმის ხმაში მხიარულების მსგავსი არა გაჭაჭანებულა რა.

სიბრალულმა გული შეუკუმშა ნაიას:

- მოდი ჩემთან, - უთხრა, - რას ატუზულხარ მაგ ფანჯარასთან.

დემნა შემობრუნდა და მაგიდასთან მივიდა.

- ცხელა, არა? - ჰკითხა გოგოს, - გინდა, ეზოდან ახალ წყალს ამოგიტან, ცივს?

- არა, არ მინდა, არა მწყურია, - ნერვულად გააქნია თავი ნაიამ და მუქი წაბლისფერი კულულები უკან გადაიყარა. მერე ცოტა ხანს იყუჩა გულში იმის ნატრულმა, ეგებ დემნამ უჩემოდაც ამოიღოს ხმა და მითხრას რამეო, მაგრამ ვაჟი გამტკნარებული სახით შეჰყურებდა ყრუ კედელს და არავითარ სურვილს არ ამჟღავნებდა ალაპარაკებისა. სიჩუმისგან დამრფთხალმა გოგომ კვლავ თვითონ სცადა საუბრის გაბმა:

- ეს რა სიცხეები დადგა! სუნთქვა გაჭირდა უკვე. ვისაც საშუალება ჰქონდა, ყველამ გაარიდა თავი აქაურობას. შენ რას აპირებ, მთელ ზაფხულს თბილისში ხომ ვერ გაატარებ?

ფეხზე მდგარი დემნა მაგიდას ხელებით დაყრდნობოდა და ახლა დაბლა, იატაკისკენ ჩაიცქირებოდა.

- სხვაგან თუ არა, შენს სოფელში მაინც წასულიყავი, ჰაერსაც გამოიცვლიდი და დაისვენებდი კიდეც ცოტას.

- გადავიღალე და ცოტა მაინც დავისვენო, არა? შენ ვინა გგონივარ, გოგო? - თავი წამოსწია ვაჟმა.

უსაქმურად მთვლის, - ძლივს შეიკავა ყელში მოწოლილი ბრაზი და ყვრიმალებზე კუნთებმა დაუწყო ხტუნვა, - უქნარა და უსაქმური ვგო-

ნივარ, ამისი... და უცებვე ჩაცხრა: ვგონივარ? ვგონივარ კი არა, ეგებ მართლაც ასეა, ეგებ ჩემი სიზარმაცის, უნიათობის, ადამიანებთან შეუგუებლობის ბრალია ის, რაც მე მჭირს და რისი სუსხი ნაიასაც სწვდება. განა რამდენ ხანს შეიძლება, ქვიშაში გქონდეს თავი წარგული? სინამდვილეს სად გაექცევი? სამი წელი შესრულდა, რაც უნივერსიტეტი დავამთავრე და ერთიმეორეზე ექვსი-შვიდი თვე არ მიმუშავია...

– მით უმეტეს, თუ საქმე არაფერი გაქვს, ამ ხვატში რატომ უნდა ამოიგუდო? ამბობენ, თანდათან უფრო მეტად დაცხებაო.

– დაცხება და დაცხეს, ჯანდაბას, შენ მაგაზე არ ინაღვლო, სიცხე მე ვერაფერს დამაკლებს.

გოგო ცოტა ხანს შეყოვნდა, ვერ გადაეწყვიტა, ეთქვა თუ არა სათქმელი ბოლომდე. მერე, ეტყობა, თქმა ამჯობინა:

– იცი, რამდენიმე კვირით ბიჭვინთაში ვაპირებ წასვლას, ჩვენები მიდიან და მეც მივყვები.

– ძალიან კარგი! ძალიან კარგი.

– არა, შენ თუ არ გინდა, დავრჩები.

– როგორ არ მინდა, რას ჰქვია, არ მინდა? არ დაიჯერებ და გამეხარდა კიდეც, ბიჭვინთა ხომ ახლა ძალიან მოდაშია. იცი, რა ხალხი იქნება იქ შეყრილი?

გოგომ ირონია არ შეიმჩნია:

– გაერიდე შენც აქაურობას, დემნა, ალბათ, გრილა ზედაშიანში... რომ შეიძლებოდეს, მეც იქ წამოვიდოდი და ვნახავდი მართლა ისეთია თუ არა, როგორიც წარმომიდგენია. განა დაიჯერებს ვინმე, რომ ბიჭვინთას ზედაშიანი მირჩევნია? მაგრამ... გადი ცოტა ხანს ქალაქიდან. ეგეც არ იყოს, დედასთან იქნები, დედა მაინც არ მოგენატრა?

– აკი გითხარი, აქაც არაფერი მიჭირსმეთქი.

– გინდა? მამიდას ვეტყვი და გუდავაში გაჰყევი არქეოლოგიურ ექსპედიციას. ზღვაზე იქნები, შენთვის საინტერესო საქმეს გააკეთებ და თანაც, თუ სურვილი გექნება, ბიჭვინთაშიც ჩამოხვალ ზოგჯერ.

– წავიდე და ვიღაც უვიცების ბრძანებები ვასრულო, უვიცებისა, ზედამხედველებად რომ მეყოლებიან თავზე დამდგარნი, ეგ გინდა?

– კარგი ერთი, შენ ვინ რა უნდა გიბრძანოს, არ გიცნობენ თუ რაა, ზღვაზე იქნებოდი და დაისვენებდი...

– ამ ბოლო დროს რაღაცა მეტისმეტი გულშემატკივრობა დაგჩემდა, მეტისმეტად ზრუნავ ჩემზე.

– აბა სხვა რა მაქვს საფიქრალი?!

– მართლაც, მართლაც, სხვა რა გაქვს საფიქრალ-სადარდელი, – ჩაიცინა ვაჟმა, – იმ შენს ძვირფას მამიდისქმარს ჯერ სამსახურის დაკარგვა არ ემუქრება, მაგრად ზის სკამზე. მაგრამ, თუ ვინიცობაა, უფრო ზემოთ შემოსწყრენ და მოაძვრეს კიდეც, მაშინაც არ დაიკარგება, წინდახედული კაცია და იმდენი კი ექნება დაგროვილი, რომ იმის შვილიშვილსაც არაფერზე მოუწევს ზრუნვა. რაღა ბევრი გავაგრძელო, ბიძა მყავსო, შენ უნდა დაიკვეხნო, გენაცვალე!

– რა გინდა, ბიჭო, იმ კაცისგან, დაგიშავა რამე? – შეწუხდა ნაია.

– დამიშავა? მე დამიშავა? რას ლაპარაკობ, გოგო, როგორ გეკადრება? პირიქით, სანთლის დანთებაც კი ეკუთვნის ჩემგან და, როცა იქნება, დავუნთებ კიდეც.

– ნუ მაშინებ, დემნა! – იყვირა და ფეხზე წამოვარდა ნაია, – ოჰ, ღმერთო ჩემო, როგორ მიყვარხარ! როგორ მიყვარხარ და როგორ მეშინია შენი!

– დაწყნარდი, აბა დაწყნარდი. „ერთმანეთის მინამსგავსი, შიში სხვაა, სიფრთხილე სხვა“. პატარა აღარა ხარ და ამხელა ქალს უკვე უნდა შეგეძლოს ამათი გარჩევა.

გული ჩაუკლა, ჩაუგლიჯა საყვარელი ადამიანის ასეთმა დაუზოგავმა ქილიკმა ნაიას. მოეჩვენა, სულ სხვა სიფრთხილის გამოჩენის გამო დასცინოდა ბიჭი ქალწულს და წყენამ თვალები მოუწყლიანა.

– აი, სწორედ მაგისი მეშინია, დემნა, ზოგჯერ ისეთი ცინიკოსი ხდები, კარგად რომ არ გიცნობდე, თავს შემაძულებდი. – გულახდილობამ სალუქი ღაწვები შეუფაკლა გოგოს.

ნაცვლად იმისა, რომ ნაიას შემხედვარე ცოტა გონს მოსულიყო და იმაზე დაფიქრებულიყო: განა ისეთი რა ვაწყენინე, ისეთი რა შეურაცხყოფა მივაყენე, რომ თავი ვერ შეიკავა და ეს სიტყვები წამოსცდაო, დემნა, თითქოს ეშმაკი ჰყოლოდეს შემჯდარი, თავისას არ იშლიდა:

– „ზოგჯერო“ ამბობ? მერე რა უჭირს! კაცთა მოდგმისა სრულყოფილებით ვერავინ დაიკვეხნის და მეც თუ მხოლოდ „ზოგჯერ“ ვარ ასეთი ცინიკოსი, არაფერია, ხანდახან თქვენც უნდა მოითმინოთ, აბა რანაირად გინდათ, თქვე დალოცვილებო! ასე რომ, ეგ „ზოგჯერ“ არ ითვლება.

– ეჰ, როგორც ვატყობ, შენ ცოტა ხნით მართლა უნდა წახვიდე სოფელში, დაისვენებ, ნერვებს დაიწყნარებ...

– არც სოფელი გახლავს პანაცეა, ახლანდელი ტერმინოლოგია რომ ვიხმაროთ, გენაცვალე.

ვაჟს უკვე მობეზრებოდა ეს უთავბოლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

საუბარი, აღარ უსმენდა გოგოს და ისევ და ისევ კარის პირდაპირ ყრუ კედელზე მიკიდებულ უხარისხო რეპროდუქციას მიშტერებოდა.

უკანიდან მსუბუქი მანქანა მოუახლოვდათ. ოთარი ტროტუარიდან გადავიდა და ხელი აუწია. მანქანას სვლა არ შეუნელებია - მგზავრებით იყო სავსე.

- ფუი, ჩემი ბედისა რა ვთქვი! - ბრაზიანად ჩაილაპარაკა და ისევ დემნასკენ წამოვიდა.

ხმაამოუღებლად მიუყვებოდნენ გზას. უკვე დახარჯულიყვნენ - მთქმელს ეთქვა, გამგებს გაეგო ან არ გაეგო. ყოველ შემთხვევაში, აღარაფერი დარჩენოდათ სალაპარაკო.

ერთი შეხედვით უდრტვინველად ეძინა ქალაქს, წყნარად ფშვინავდა, თითქოს არაფერი არღვევდა ბეწვზე დაკიდებულ უსუსურ სიმშვიდეს, მაგრამ ასე მხოლოდ გარედან ჩანდა - ამ შეუვალი კედლებისა და მაგრად ჩაგმანულ-ჩაბნელებული ფანჯრების მიღმა, ვინ იცის, რამდენი დარდი და შვება-სიამე, რამდენი ფიქრი და საზრუნავი ფხიზლობდა, რამდენს არ აძინებდა ხვალინდელი დღის მოსვლის შიში ანდა იმედიანი განთიადის მოლოდინი. საწუთრო ღამითაც არ ასვენებდა ადამიანებს - ანჯღრევდა, აფხიზლებდა, სამოქმედოდ აქეზებდა. ცხოვრება სიბნელეშიც გრძელდებოდა და ხალხს მოდუნების საშუალებას არ აძლევდა.

შეჰყურებდა დემნა მთვარის მქრქალი შუქით განათებულ მრავალსართულიან შენობებში შეყუჟულ ადამიანთა ბუდეებს - ერთფეროვნად გულგრილ ქვის ყუთებს - სადაც, იმისი მეზობელი მარტოხელა დედაბრისგან განსხვავებით, წუთისოფელს ერთმანეთში აერია „კარგი“ და „ცუდი“ ადამიანები და ვერავინ დადგებოდა იმის თავდებად, რომ პირველნი სჭარბობდნენ მეორეებს.

ქალაქში, ადამიანთა ამ დიდ შესაკრებელში თავმოყრილებს ეგონათ, რაკი მიწურებიდან გამოძვრნენ, რაკი დაჰკრეს ფეხი და მთის უბეებში შეფარებული პატარ-პატარა სოფლებიდან გამოიქცნენ, ჭალებსა და ტყისპირებში ნაგები ქოხები გაწირეს, ჭაობიან დაბლობებში ხის ხიმინჯებზე შედგმული ოდები მიატოვეს და აქ ქვიტკირისა და რკინაბეტონის შენობებს შეეფარნენ, ეგ არის, ავსულებს, ალებსა და მაძახურებს თავი დავაღწიეთ და ჩვენზე ხელი აღარა აქვთო. ის კი არ იციან, რომ სადაც უნდა წავიდნენ, იმ მაცდურებსა და კუდიანებს, ჭინკებსა და მაჯლაჯუნებს თავიანთი გულითა და გონებით ნიადაგ თან დაატარებენ. ამიტომმაც გახდომიათ ძნელად მისაღწევი /თუ მიუღწეველი?/ ბედნიერება.

აბა ყური კარგად დაუგდე! ამათი ფეხის ხმაც კი რანაირი სევდიანია - კვნესა გეგონება. თუ გულდასმით დააყურადებ, ქალაქის ხმაურიც, დღისით იქნება თუ ღამით, განა ერთიანი, განუწყვეტელი გმინვა არ არის?.. მაგრამ ამგვარად ეგებ მხოლოდ მე ჩამესმის?..

ფიქრები ოთარის ხმამ გამოარღვევინა:

- მოდი, რაა, ცოტა ფეხს აუჩქარე, რას მოზოზინობ, მთლად გავითოშე, გავიყინე ერთიანად.

დემნას გაეცინა:

- ვიჩქარო, თორემ შინ ნაკლები სიცივე დამხვდება. გინდა აქა და გინდა იქ, რა დიდი განსხვავებაა?

მსგავსად ყველა გრძნობაჭარბი ადამიანისა, ოთარსაც უეცრად მოეძალებოდა ხოლმე სანტიმენტალიზმი, უცებ აუჩუყდებოდა გული და უჭირდა ცრემლების შეკავება. მით უმეტეს, ახლა, როცა ღვინოს მგრძნობელობა გაემახვილებინა, დაეხვეწა და გაეფაქიზებინა, დემნას სიბრალულით ლამის ხმამაღლა აღრიალებულიყო: ეტყობა, ღმერთს მართლა დიდი გაძლება მიუცია ადამიანისთვის, ყველაფერს ეგუება და ეთვისება კაცი, - ფიქრობდა ყელში გულმობჯენილი, - ყველაფერს ეჩვევა, თორემ აბა რა არის ამისი ყოფა, რა აძლებინებს იმ საკანში ასე ეულად, მარტოდმარტო. როგორ არა, მარტოობა მეც მინატრია და ზოგჯერ გულმხურვალედაც მინატრია, მაგრამ საკუთარ თავთან პირისპირ დარჩენის ნეტარება, ანუ სხვათა და სხვათა გაგებით - თავისუფლება, ვერასოდეს გამოისყიდის იმ სულის გვემას, რისთვისაც მარტოსული ადამიანია განწირული... მეც ვტყუი, მეც ვერ ვუბამ მხარს, როგორც საჭიროა. უფრო ხშირად უნდა დავდიოდე მასთან, თუმცა ამითაც ეშველება თუ არა რამე, საკითხავია...

- მე შენდენს ნამდვილად ვერ შევძლებდი, დემნა, თეთრი შურით მშურს შენი ამტანობა. იმის გაფიქრებისასაც კი ტანში მაზრიალებს, რომ შინ დაგვიანებით მივიდე და არავინ მელოდეს. ეტყობა, ყველაფერი მიჩვევაა. აი, ამხნის კაცი ვარ და ოქტომბერში დედაჩემი დასასვენებლად რომ წავიდა, მამიდაჩემს შეეხვეწა: ჩემს დაბრუნებამდე ჩვენთან გადმოდი, თორემ ოთარი შინ ზოგჯერ ნასვამი ბრუნდება და ძილში საბანს იხდის ხოლმეო. შენი ჭირიმე, ყურადღებით იყავი, არ გაცივდეს და ყელი არ გამომჭრაო. ეს ამბავი რომ მეტისმეტია, მეც კარგად ვიცი და სხვას სირცხვილით ვერც გავუმხელ, მაგრამ შენ მაინც მაგარი გაძლება გაქვს, მაგარი.

- რას ჰქვია მაგარი? ეგ ცოტაა, ძმაო, მაგარი კი არა, რკინისა ვარ, რკინისა! და ამასთან ერთად „ქვის გული მაქვს, ხის ჯიგარი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტვინი აგურისა“.

- აი, ხომ ხედავ, თან ხუმრობ კიდეც.

- აბა მაშ როგორ...

- ყოჩაღ, ძმაო, მომავალი შენნაირებისაა.

ნაიაც ხომ ეგრე ფიქრობდა, ისიც ხომ ამას ეუბნებოდა ვერდაფარული საყვედურის კილოზე.

- რა დაგემართა, დემნა, რატომ გახდი ეგეთი ცინიკოსი? რაც სხვისი გეჯავრებოდა, რასაც სხვისას ვერ იტანდი, ახლა შენ თვითონ დაგჩემდა. თანაც ისეთი განურჩეველი გახდი, ისეთი ერთნაირი... კაცი ვერ მიგიხვდება, რა გწყინს და რა გიხარია. ვისაც შენთანა აქვს ურთიერთობა, ვაი იმისი ბრალი, თორემ შენ რა გიჭირს, ეტყობა, ოცდამეერთე საუკუნის ადამიანად ჩამოყალიბდები!

დემნას იმის მეტი რაღა დარჩენოდა, რომ ღიმილქვეშ შენიღბული კაეშანი ღიღინით უფრო საიმედოდ მიეჩქმალა:

*ამ მცირე არყოფნიდან*
*იმ ნამდვილ არყოფნამდის*
*სევდა მიგვიძღვის წინ და*
*უკან მოგვყვება დარდი.*

მართალი ხარ, ოთარ, გაიფიქრა დემნამ, მომავალი ჩემნაირებისაა. შენგან განსხვავებით დედაც რომ ამტანი მყავს! შეიძლება თვეები გავიდეს, ვერ მნახოს და მაინც ყოველღამე მშვიდად ძინავს, არაფერი აფიქრებს და არაფერი აკრთობს, თვით ჩემი საბნის გადახდაც კი...

ძალიან ეული და მიუსაფარი ეჩვენებოდა თავი. გრძნობდა, რომ არავის სჭირდებოდა უსარგებლო და უმაქნისი, არაფრის გამკეთებელი. ვის მიკედლებოდა, ვის მიტმასნოდა, ვის მითვისებოდა? მზისქვეშეთიდან დღესვე რომ გამქრალიყო, არავინ მოიკითხავდა, არავინ მოისაკლისებდა, არავის დააკლდებოდა. მობეზრებოდა უცხო ხალხის უცხო ბედ-იღბლებსა და ცხოვრებებს შორის ყარიბივით ხეტიალი. აბა ვინა ხარო, ეკითხებოდა საკუთარ თავს ურვამოძალებული, ვისი ტიკი-ტომარა ხარო ხელმოცარული და ბოლომოღებული? საყვარელი საქმე გქონდა - ხელიდან გამოგაცალეს, ქალი გიყვარდა - ვატყობ, აღარ გიყვარს, მეგობრები გყავს - იმათ შენი ველარა გაუგიათ რა და შენ იმათი, კატა რომ კატაა, შენი სახელობის კატა სხვის ოჯახში მუსრავს თაგვებს... ამის მერე რანაირად გინდა ირწმუნო, რომ ისევ ცოცხალი ხარ?

- ხვალე სოფელში უნდა წავიდე, - თქვა უცებ.

- რა მოგელანდა ამ შუაღამისას?

- არ ვიცი, მაგრამ ხვალ აუცილებლად წავალ სოფელში.

- რასა სულელობ, ნაიას დაბადების დღისთვის მართლა არ იქნები აქ?

- ნუ გამიჭირეთ საქმე შენცა და ნაიამაც, - იყვირა ბრაზიანად, - უჩემოდაც არავინ მოიწყენს იმ დაბადების დღეზე, არავის მოვაგონდები, ძებნას არავინ დამიწყებს.

- გაგიჟდი, რა გაყვირებს? ხალხს სძინავს! რა დაგემართა? ამ ბოლო ხანებში რაღაცა მეტისმეტად მოინდომე შინაურებისგან წითელი ვაშლების გორება. რა გინდა, რასა გვთხოვ ან მე და ან სხვას? რაა, შენ მთელი ცხოვრება სხვათა ბედნიერებაზე ზრუნვას შეალიე, სხვებს იყავი გადაყოლილი და იმ უმადურებმა არ დაგიფასეს, თუ რას გვამადლი? ეგ მაინც გვითხარი.

- ხალხი არა ხართ, დამანებეთ თავი, მომასვენეთ, ჯოჯოხეთად მექცა ყოველდღე ერთი და იმავეს კეთება - გვიანობამდე ძილი, ზევითქვევით უმიზნო ყიალი, საღამოობით სმა და ათასი შტერის ლაყბობის მოსმენა, დაზეპირებული სადღეგრძელოები და საზღვარგარეთული ფილმებიდან ნასწავლი მანერებით თავის მოწონება... აგერ ამომიხვედით, აი... - მთელი ძალით გამოისვა ნიკაპქვეშ ცერი და, თითქოს ხმა ამისგან ჩაუქრაო, ჩუმად თქვა: - მერე ისევ ცივი და ცარიელი ოთახი...

ოთარს არაფერი უთქვამს. აქამდეც ვისულელე, ამ ღვინისგან ჭკუადაკარგულს სერიოზულად რომ ველაპარაკებოდიო, - გაიფიქრა, - თორემ საღად განმსჯელი ადამიანი იმას როგორ ვერ მიხვდება, რომ მაგისი ოთახი ცივი და ცარიელი თუა, ეგ ყველაზე ნაკლებად არის ჩემი დანაშაულიო.

მართლაც, ოთარი რა ოთახის გამთბობი იყო.

მოედანი გადაჭრეს და ქუჩას ზევით შეუყვნენ. ქსოვილების მაღაზიის კედელზე აკრული ნეონის გოგონა დამალობანას ეთამაშებოდა ცარიელ ქუჩას. იმის ნიშანზე ირიბად გაყოლებული ფერადი ასოებიც ინთებოდნენ და ქრებოდნენ, ინთებოდნენ და ქრებოდნენ.

- ეჰ, ოთარ, მაგარი და გამძლე გგონივარ, ვით ჭირსა შიგან ქვიტკირი, მე კი ზოგჯერ შუაღამისას შეიძლება მამლის ყივილი ისე მომენატროს, რომ ავტირდე. არ მითხრა ახლა, ჩვენს ეპოქაში მაგაზე ადვილი მოსაგვარებელი რა არის, მაგნიტოფონის ფირზე ჩაიწერე და, როცა მოგეგუნებება და რამდენიც მოგეგუნებება, იმდენი აყივლეო.

- აბა რას ითხოვ ჩემგან, მე ვისწავლო ყივილი და ხანგამოშვებით ხასიათი გაგისწო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რო ხოლმე?

– შენ, მართლაც და, რა შუაში ხარ, – გაეღიმა დემნას, – შენი თავი გაგჭირვებია და აყივლება რომ მოგთხოვო, არ ვიქნები სწორი.

მერე ოთარს დაემშვიდობა და თავისი ქუჩისკენ აუხვია.

ზევიდან ქარმა წამოუბერა და უფრო მეტი სიცივე მოიტანა.

## XI

ზამთრის მოწმენდილი ღამე ჩამომდგარიყო. ყინავდა დროისა და ჟამის შესაფერისად, მაგრამ სოფელი არას დაგიდევდათ, აინუნშიც არ აგდებდა სიცივეს – მშვიდად ეძინა საკუთარ სიმყუდროვეში ჩათბუნებულს საწოლებთან მოფარფატე ფერად-ფერადი სიზმრებითა და ჯერ კიდევ თბილი ღუმლების სიახლოვეს მთელმარე ბოლოკეთილიანი ზღაპრებით.

სიჩუმეს არაფერი არღვევდა. ერთარსებად ქცეულ სოფელს თითქოს მდუმარების უჩინარი, შეუღწევადი გარსი შემოეკრა, მდუმარებაში განივთებულიყო ყოველივე ღვთისგაჩენილი.

ეჩვენებოდა, მხოლოდ თვითონ იყო ამ გარემოდან ამოვარდნილი, ზედმეტი და ძალით ცდილობდა შიგ შეჩურთვას.

დიდხანს იდგა ლოყით მიხუტებული მამაპაპური სახლის ხორკლიან კედელზე – გეგონება, იქიდან იწოვს ენერგიას, იქიდან იღებს ძალას ქანცგამოცლილი მარჯვენის შესამართავადო. მერე უძლური ხელი ძლივძლივობით ასწია და მოეჩვენა: საკუთარ ბავშვობას ვუკაკუნებო კარზე. შიგნიდან დედა გამოეძრახა – დარბილებულ, მობოშებულ კილოზე შეეტყო, უკვე ლოგინში იწვა. დემნას ხმის გაგონებისთანავე სინათლე აანთო და სწრაფად გამოაღო კარი. გარეთ გამოჭრილი შუქის ნაკადი უეცრად დაეჯახა ზამთრის ღამეს და აიძულა, უკან დაეხია. დიდმა ნათელმა დიდხანს ბნელში მდგომ დემნასაც თვალი მოსჭრა და ძალაუნებურად თავი დაბლა დაახრევინა.

აი, ამ კომლიდან, ამ ეზო-კარიდან გავიდა ამ ათიოდე წლის წინათ სულ სხვანაირი, დღევანდელი დემნასგან სულითაც და ხორცითაც განსხვავებული. დატოვა ბუდე ისე იოლად და უმტკივნეულოდ, როგორც ყველა /თითქმის ყველა/ ჩვენგანი ვტოვებთ ხოლმე, როცა იქნება, და წარმოსახვით ფრთათა გამოცდის მოწადინენი მივისწრაფვით შეუცნობლისკენ – იქით მივილტვით, იქით მივიწევთ, საითაც ანდამატივით გვიზიდავენ უძლები შვილის მიერ გაკვალული ბილიკები. დემნაც წავიდა და მშობლიურმა სახლმა თან გააყოლა იმისი წილი სითბო – ის, რაც სიცოცხლის ბოლომდე უნდა გამოეზოგა.

ვერ მოუფრთხილდა!

ნაწილი გამოსძალეს, ნაწილი უაზროდ და უყაირათოდ შემოეხარჯა, ნაწილიც გზა-გზა გააჩუქა – ვერაფერი ამოიგო იმის საფასურად. ჩამქრალი მობრუნდა და ძველ პერანგში შეძრომა დააპირა. ვეღარ შეძლო – ადამიანი უძლურია, ბავშვობის დროინდელი კვართი ბოლომდე ატაროს.

კარგი კვირადღე გაუთენა ღმერთმა სოფელს. დემნასაც ხალისიან გუნებაზე გამოეღვიძა. ბეჯით მეოჯახესავით მალევე წამოდგა და, სანამ ისაუზმებდნენ, ეზო გადათოვლა. ჯერ ბილიკები გაკვალა საქათმესა და სათონემდე, მერე გზის მხარე სულ მოასუფთავა და თოვლი ღობესთან მიყარა – მზიანი დღეები თუ დაიჭირა, ეს ფეხსახვედრი ადგილი მალე აშრება და ამშრალდებაო. ადრე სხვებისგან ნაღიჯნი რამდენიმე ძნელად დასაპობი კუნძიც დახეთქა და შემა ფარდულში შეიტანა. ახლა კი კაკლის ქვეშ ძელსკამზე მჯდარი დაბებრებულ ხელისგულებს შეღონებული დაჰყურებდა და აღარც ის იცოდა, ატკივებული წელისთვის რა მოეხერხებინა. ფიზიკურ ჭირკოდალობას ხასიათიც წაეხდინა, განხიბლულიყო და ლოგინიდან აყოლილი ხალისიანი გუნება-განწყობილება ერთბაშად სადღაც გამქრალიყო. იჯდა ეგრე მოჟამულ-მოქურუხებული, თავისი ბებერი ეზოყურის მზირალი.

აქ ამ ათიოდე წელიწადში თითქმის არაფერი შეცვლილიყო – აგერ, გახედეთ, რასაც უყურებთ, ყველაფერი დემნას ეკუთვნოდა, განგებას გაჩენის დღიდან იმისთვის ერგუნებინა და კაცთაგან მოზიარე და შემცილებელი დღესაც ვერავინ გამოუჩნდებოდა, მაგრამ რაა, ირგვლივ რასაც თვალი მოეკიდებოდა – სულიერიცა და უსულოც – ზეგარდმო თუ მიწიერ ბოროტ ძალთა ნებით ამ ხნის მანძილზე ისე გადასხვაფერებულიყო და გაუცხოებულიყო შინაგანად, რომ დემნას მზერასაც კი უბოდიშოდ ისხლეტდა და ირიდებდა რაღაცნაირად. თითქოს ადგილიდან ფეხმოუცვლელად გაურბოდა და ახლოს აღარ იკარებდა. გეგონება, ეს სახლ-კარი მშობლიური, მამაპაპეული კი არ იყო, მემკვიდრეობად სისხლითა და ჯილაგით კი არა რგებოდა, არამედ ერთი რამ ფარატინა ქაღალდით, ბებიამისის მიერ დატოვებული ოფიციალური საბუთით წილხვდომოდა და ახლა იმ ქაღალდზე დასმული ბეჭდითა და ხელმოწერის ძალითღა ინარჩუნებდა მხოლოდ და მხოლოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ აიდგა ფეხი, აქ დატანტალებდა ტატრაყუნა, დედიშობილა. განა მაშინ ამათი არ იყო? განა ესენი არ იყვნენ, რომ განზე გახედვის საშუალებას არ აძლევდნენ, არ უშვებდნენ, რომ ეზოს ერთი ბოლოდან მეორემდე მიეღწია? ყველა თავისკენ ეწეოდა, თავისკენ ექაჩებოდა. თითქოს მზერაზე ებღაუჭებოდა ის პატარა მწერი, იდუმალ ბილიკებს შესაშური გულმოდგინებით რომ მიუყვებოდა. რანაირად ინახავდა ამხელა საიდუმლოს ეს ახლად ამოწვერილი ბალახის ღერი ანდა ის ერთი შეხედვით სულ უბრალო ჩხირის ნატეხი? ეღირსებაღა ოდესმე ისეთ სიხარულს, იმათ ეზოზე შემთხვევით გადაფრენილი ჩიტის ჭრელი ბუმბულის პოვნისას რომ უგრძვნია? ან ის წითელკაბა ჭია-მარია, ღოლოს დაპურებული ღეროს წვერისკენ რომ მიიწევდა, ეგებ ღემნას მზეთუნახავი საცოლე იყო, ბოროტმა ჯადოქარმა გარეგნობა რომ გადაუსხვაფერა და ბიჭის ძალისხმევას საჭიროებდა, რომ კვლავაც მეფის ასულად ქცეულიყო... მერე მიიწურებოდა წელიწადზე უფრო გრძელი დღე და ხანი გათენებიდან დაღამებამდე წელიწადზე მეტად აბრძენებდა... ახლა რა გამოვიდა? ახლა პატარა კენჭიც კი, შარშანდელი კაჭაჭის ნარჩენიც კი აღარ იყო იმისი. ეტყობა, ის ბავშვური ნაბიჯები ძალზე ღრმად მოყოლილიყო, ძალზე ღრმად დამარხულიყო *დროის* ნეშტის ქვეშ.

არა, აღარაფერი ეცხო, ნატამალიც აღარ შერჩენოდა აქაურობას იმდროინდელისა, გარდასულისა.

ამგვარი უცნაური შეგრძნებისგან სუფრასთან ჯდომა და მოვლენათა ფილოსოფიური განსჯა მოესურვა. მოგეხსენებათ, ღვინოსთან ერთად თანდათანობით იოლდება კითხვებზე პასუხის გაცემა. ჰოდა, ახლაც ვითომ იქ იყო, მეგობრებს შორის და სასმელით წათამამებული გულის ჭირს იმათ უზიარებდა თავისი ყოფით შეურვებული: მითხარით, ძმებო, რითი არა ჰგავს ადამიანი მდინარის კალაპოტს? განა მასშიც ისევე არ მიიმდორება, ზოგჯერ კი მიჩქერს ის რაღაც ჯანდაბა, ჩვენ რომ *დროს* ვეძახით, ვითარცა წყალი მდინარეში? ადამიანიც ხომ შიგნით-გარეთ მარადმდინია - იცვლება, სხვაფერდება, გარდაიქმნება. აბა რა მიგავს, რა საერთო მაქვს მე იმ ღემნასთან, ამ ათიოდე წლის წინათ აქ რომ სახლობდა და აქაურობის სისხლხორცეულ ნაწილს შეადგენდა. როგორ შეიძლება, მეცა და ისიც ერთი და იგივე პიროვნებად ვითვლებოდეთ და მხოლოდ ასაკი იდგეს ჩვენს შორის განსხვავებად...

მზემ თანდათან აიმაღლაურა და ზამთრის კვალობაზე კაი ძალიც მოიცა. თოვლმა დნობა იწყო. სახლის სახურავის კუთხეებში ჩამოკიდებულ ვეებერთელა ლოლუათა ჩხნდეებს თითო-ოროლა წვეთი ჩამოექურა და კედლის ძირას წინა ღამით ყინულად ნაქცევ წყალზე საამოდ, იმედისმომცემად ატკაპუნდა. საჩეხქვეშ გახარებულნი ფუთფუთებდნენ ბეღურები და ერთმანეთს არწმუნებდნენ, რომ თავიანთი ბუდეების საძირკვლის გადგმამდე დიდი ხანი აღარ იყო დარჩენილი. ის კი არა, ყველაზე გაბედულ მამლებს შავად შეფერილი მკერდები წინ გადმოეგდოთ და ურცხვად მიჰქონდათ იერიში ერთფეროვან, მაგრამ მოახლოებული გაზაფხულით მოლამაზებულ დედლებზე. ამ საჩეხქვეშ, ვინ იცის, მერამდენე გაზაფხულს ეყრებოდა საფუძველი, მერამდენე გაზაფხული ინასკვებოდა.

განიცადენით ფრინველნი ცათანიო! ღმერთო მაღალო! მაგაზედაც არ დაგზარდებით, მაგასაც ვეცდებით, მაგრამ რანაირად განვიცადო ან გავუგო ფრთოსნებს, როცა ჩვენ და იმათ საერთო არა გვაქვს რა. სხვას რომ თავი დავანებოთ, ჯერ მარტო ის რად ღირს, რომ ჩვენ, ადამიანებმა მთელი სიცოცხლის მანძილზე ერთი ცხოვრებით უნდა ვიცხოვროთ, ფრინველებმა კი - რამდენიმეთი.

და ბედნიერები არიან ჩიტები, ეს ღირსეული შვილები თავისუფლებისა! განა იმიტომ, რომ არცა მკიან და არცა თესავენ, არამედ იმიტომ, რომ ერთი წლის მანძილზე ამთავრებენ ერთ ცხოვრებას: დასრულდა იმათი წელი? გამოიზამთრებენ, მართალი ბრძანდებით, დიდის წვალებითა და კვნესა-ქივქივით გამოიზამთრებენ ეს ჩვენებური ჩიტები, მაგრამ ისევ მოვა გაზაფხული, ისევ ახალი სიყვარული, ახალი ბინის შენება, სულ სხვა შვილების დაზრდა-დაფრთიანება და კვლავ დასვენება... მერე ისევ გაზაფხულდება და ისევ ახალი ცხოვრება დაიწყება.

ბედნიერები!

ჩვენ ვიკითხოთ, ვისაც ერთადერთი ცხოვრება გვარგუნეს და შეცდომების დაშვება არ გვეპატიება, თორემ ისინი ერთ ცხოვრებაში თუ შესცოდებენ, მეორეში აქვე, ღედამიწაზევე გაასწორებენ, მეორე ცხოვრებაში თუ არა, მესამეში მაინც გაასწორებენ - ზოგიერთნი ოც-ოცდახუთ წელიწადს ცოცხლობენ და გამოცდილება თავისას გააკეთებს, აბა რას იზამს?! ჩვენთვის კი რა არის გამოცდილება? რა არის და ერთსა და იმავე ლურსმანზე ორჯერ რომ არ დავსხდეთ. ადამიანმა, რომელმაც ცხოვრებისგან ვერაფერი ისწავლა, შეიძლება უკანალი ერთი და იგივე სამსჭვალზე რამდენჯერმე დაიხიოს, მთლად დაიცხაოს, გამოცდილი კი -

ეროვნული ბიბლიოთეკა

მორჩა, აღარასოდეს დაჯდება, აღარასოდეს გაეკარება იმ ლურსმანს.

მაგრამ ცხოვრებაში ლურსმნებს რა გამოლევს, ჩემო ძმაო?

კიბეზე დედა ჩამოვიდა და გვერდით მიუჯდა.

– რა გეჩქარებოდა, შვილო, ამის გადათოვლა, ან რაღა იმდენი იყო დარჩენილი, როგორც სხვა დროს დნებოდა ხოლმე, ნელ-ნელა დადნებოდა ახლაც თავისით. რა ძალა გედგა, რად დაიღალე? – ეტყობა, ჯერ კუნძების ამბავი არ იცოდა, ჯერ კუნძები არა ჰქონდა ნანახი.

– დავიღალე კი არა... – დუნედ გაიღიმა დემნამ.

ელისო აღარ შეჰასუხებია, ოღონდ იმის ხელს დასწვდა და ახლად წამობერილ კოჟრებზე მოეფერა.

დუმილი ჩამოდგა.

ბებერი კაკლის ძირას მდგარ ძელსკამზე ფუძისშვილები უცხოებივით ისხდნენ და საუბარი ვერ აეწყოთ. სათქმელი ეგებ იმაზე მეტიცა ჰქონდათ, ვიდრე ამდენი ხნის უანხავ დედა-შვილს დაუგროვდება ხოლმე, მაგრამ ორთავე ფრთხილობდა, მტკივნეულ თემაზე საუბარს გაურბოდა, ახსნა-გარკვევას გაურკვევლობას ამჯობინებდა. შიშობდნენ, უადგილოდ წამოცდენილ სიტყვას ან ფრაზას უთქმელობით შენარჩუნებული წონასწორობა არ დაერღვია. დედაცა და შვილიც ჯერ კიდევ იმედოვნებდნენ, რომ დრო მოვა და ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე თავისთავადაც მოგვარდებაო მოსაგვარებელი.

– ეგ მსხალი სულ გაუჯიშოვდა, აღარაფერს ისხამს, არადა, თავიდან როგორი კარგი იყო, როგორი გემოწმინდა... – უხერხული სიჩუმე დედამ დაარღვია, – შემოდგომაზე მოჭრა მინდოდა, მაგრამ შენი დარგული რომ იყო, ვერ გავიმეტე.

დემნა შეკრთა, ჩაქინდრული თავი უცებ წამოსწია და დედას სახეში შეხედა – მჩხრეკელის თვალით ისე აწონ-გაზომა, თითქოს სურს, ამოიცნოს, ამ ვითომდა უწყინარი, უბრალო წინადადების მიღმა სხვა რამ საგულისხმო აზრი ხომ არ იმალება და ვაითუ გამომეპაროსო. მშობლის მზერაში საეჭვო ვერაფერი შენიშნა და ამან უფრო მეტად შეაშფოთა: რასაც ელოდა, ეს იმაზე ბევრად უარესი იყო, ბევრად უფრო სახიფათო და საშიში. ეგრე გამოდიოდა, აქამდე რისი იმედიცა ჰქონდა, რაზეც ეგონა, პიტალო კლდესავით მტკიცედ ვდგავარო, ჭყანტობზე დაგდებული ფუტურო ფიცარი ყოფილა და სხვა არაფერი – თურმე არც ბავშვობის დროინდელი ამბები ხსომებია სრულად და უდანაკარგოდ: რაღაცა არა მხოლოდ გაფერმკრთალებულა, არამედ მთლად წაშლილა და გადამქრალა. აბა კაი ბიჭი იყავი და ეგეთი რამე ნუ შეგაშფოთებდა, ნუ აგაფორიაქებდა, ნუ წაგიხდენდა ისედაც წამხდარ განწყობილებას: თურმე ერთხელ ეგეთი რამეც მომხდარა, თავისივე მამულში, თავისივე ეზოში მსხლის ნერგი დაურგავს, უხარებია და გაუზრდია სხვა მის მსგავსებთან ერთად, ალბათ, ამასაც მიწას უბარავდა, წყალს უსხამდა, მოუთმენლად ელოდა, როდის აყვავდებოდა და მოისხამდა პირველ მოსავალს. ახლა კი რა გამოვიდა? რაღაცა ბოროტი მანქანების წყალობით დღეს იმისი არსებობაც აღარ ახსოვდა. რაღა თქმა უნდა, აღარც ის ახსოვდა, ოდესმე თუ ისარგებლა რამე: ჩრდილს თუ შეეფარა ან თუ მოისთვლა მისგან ნაყოფი. რატომ? რა მოხდა? ეტყობა, ცხოვრების რომელიღაც მონაკვეთში ჩათვალა, რომ ის ნერგი არაფრად უღირდა, იმისთვის აღარაფერს ნიშნავდა და ხსოვნის სარკმლიდან დაუნდობლად, დაუნანებლად მოისროლა, ისე შორს გადაუძახა, რომ თვალი ვეღარასოდეს მიაწვდინა. თითქოს სხვა არაფერი ჰქონოდეს დასავიწყებელი. არადა, რამდენ რამეს სიამოვნებით ამოიკვეთავდა მახსოვრობიდან, რისი გახსენება ახლაც გულს უმღვრევს და სისხლს უწამლავს.

მსხალიო...

მსხალი მსხლად, მაგრამ არც ეგრე ცალმხრივად გადასაჭრელი გახლდათ ამ ხის პრობლემა – საქმე სარჩულის მხრიდან თვალის შევლებასაც ითხოვდა და, თუ კარგად დააკვირდებოდით, იმავდროულად იქნება იმ ხავსის ბუწუწებიც შეგემჩნიათ, წყალწაღებული რომ უპირებს ხელის ჩაჭიდებას. დემნასნაირი ადამიანისთვის, ვისაც ბოლო ხანს თავი ერთ უმაქნის და ქვეყნის ურგებ კაცად ესახებოდა, მსხლის გახარებაც რაღაცა ნუგეშად შეიძლება ქცეულიყო. რა ვუყოთ, რომ იმისი არსებობაც აღარ ახსოვდა. ეგ არაფერი. მთავარი ის გახლდათ, რომ სულ მცირედი რამე თურმე ამქვეყნად იმასაც გაუკეთებია – ხეხილი დაურგავს და გაუხარებია. აქ და ეხლა ესეც ბევრი იყო... ხოლო მომავალში თუ ის ნამყენი გაუჯიშოვდებოდა, მაშინ რა იცოდა? თქვენ იტყვით: პატივი და ყურადღება რომ არ მოჰკლებოდა, ეგრე უსულგულოდ რომ არ გაეწირათ, იქნება არც გადაჯიშებულიყო და მოსაჭრელადაც არ გახდომოდა საქმეო, მაგრამ როცა რგავდნენ, მაშინ ვინ იცოდა, რომ მომავალში მოქმედება ეგრე განვითარდებოდა.

დემნას, იმ მწველი კითხვების მტვირთველ კაცს, ვისაც რცხვენოდა, მეტიც, დამნაშავედ მიაჩნდა თავი სხვების წინაშე, თითქოს ეს კითხვები თავისი გამოგონილი ყოფილიყოს, ახლა ერთი გაქუცული მსხლის ნერგი გახდომოდა საწუხრად. თავის ნაცნობებში კაცი არ ეგულებოდა, ვინც შეიტყობდა ამ ამბავს და მხრებს გაოცებით არ აიჩეჩავდა: ნეტავი ერთ უბადრუკ ნარგავს ამხელა მნიშვნელობას რატომ ანიჭებსო?! სხვათა მიერ ასეთ წვრილმანებზე ყურადღების გამახვილება, ალბათ, თვითონაც სისულელედ მოეჩვენებოდა, მაგრამ ამჯერად პირიქით ფიქრობდა: უცბად იმ მსხალთან მისვლისა და ხელის შევლების სურვილი მოეძალა, ამჟამინდელ ხილულ ცხოვრებაში ერთი წამით ყველაზე თავისიანად, ყველაზე ახლობლად მოეჩვენა. ცოდნოდა მაინც, სად იდგა, ამ დილით უწინარესად იქით გაჰკვალავდა თოვლს - მივიდოდა, მოეფერებოდა, გადაჯიშებას მიუსამძიმრებდა.

- აბა რომელ მსხალზე მეუბნები? - ჰკითხა და თვითონაც დედის მზერის მიმართულებას გააყოლა თვალი.

- აგერ ის, ზამთრისა, ღობესთან რომ დგას წაფერდებული. ეგ ღობეც... ეჰ, ბესო გადმოვიდა და იმან მოწნა. წნელიც იმან მოიტანა ხვივილა ხევიდან. ტყრუშულად ეხლა ვიღა წნავს, გახედე სოფელს, გარშემო ყველამ ბეტონის კედლები შემოირტყა - მუდმივია და უცვეთელი, მაგრამ მე ხელი ჩავიქნიე: ტყრუშულიც მეყოფა-მეთქი. მეტი რად მინდა? ერთი ათიოდე წელი გაძლებს როგორმე და მერე აღარც მე ვიქნები და აღარც ეგა. შენ კიდევ აქეთ მობრუნების პირი არ გეტყობა.

- მაგისი მაინც ნუღარ შეგეშინდება, დედაჩემო, მაგისი მაინც ნუღარ შეგეშინდება, სულ ჩამოვედი, მორჩა, აღარსად წავალ, - მხარზე ხელი გადახვია და მიიხუტა.

- ეჰ, შენი გახარებით! ეგ არის და დაგიჯერე... - სიტყვა ვეღარ გააგრძელა, ცრემლი მოაწვა ყელში ელისოს.

დასწყევლოს ღმერთმა! - შეცბა დემნა, - ნუთუ ასე იშვიათად ვიჩენდი ხოლმე სითბოს? - და ნიკაპაკანკალებული დედის მხარი უფრო ძლიერად მიიკრა მკერდზე.

ხვივილა ხევი.

ორივე ფერდზე, ალაგ ბარდებსა და ალაგ ბოლო წლებში აყრილ ახალგაზრდა ჯაგნარში, დროის სიბასრეს გადარჩენილი ბებერი ხეები დგანან ამაყად - მუხა, თელა, რცხილა. როცა ახლად ნაწვიმარი არ არის და ხევში თქარათქურითა და დგანდგარით არ გარბის წყალი, პირველყოფილ მდუმარებას მხოლოდ შენი წალდის კაკუნი არღვევს. თუ ტყრუშული ღობის მოწნვას აპირებ, ჯაგნარში გამოარჩევ დრეკად, მოქნილ, დამყოლ ამონაყრებს - თხილს, შვინდს, შვინდანწლას, სწორად წასულ ჯაგრცხილასაც არა უჭირს რა... წნელითვე შეჰკრავ და მაგრად დაქანჩავ. ეს ერთი კონა საქმეს რა პირს მოსწმენდს, ვინ იცის, რამდენი გზობა დაგჭირდება.

ამას მაინც რაღა სიამოვნება ახლდა, ამას მაინც რად იხსენებ ეგეთი ნეტარებით?

გაზაფხულობით ყოჩივარდა იქნებოდა თუ ენძელა, ია თუ ფურიძუძუ, პირველად ხვივილა ხევის სამხრეთ ფერდობზე ამოჩნდებოდნენ. ფურიძუძუ სხვებს გერჩია - იჭმებოდა. იმის ყვავილებს თებერვალ-მარტში უკვე იშვიათობად ქცეული, მონატრებული და შენთვის ხელმიუწვდომელი ვაშლის სასიამოვნო გემო დაჰკრავდა. დაგემოვნებით შეექცეოდით შენცა და ბესოც, მაგრამ შიმშილს კი ვერ გიკლავდათ მოზარდებს, თუნდაც სულ გადაგეძოვათ - აბა კამეჩს კალანჩხით ბზე რას უზამს?..

ზაფხულში წვრილი ფრინველით ივსებოდა იქაურობა. იმათი ბუდეების ძებნისას ბარდებში ძრომით დაგაზული და ჩამოღადრული ხელფეხი, დაფანიერებული ტანისამოსი - მაგრადაც მოგხვედრიათ მაგის გამო, მაგრამ ვერ დაუოკებიხართ... ყველაზე საოცნებო შაშვის ბარტყები იყო, ადვილად შინაურდებოდნენ...

შემოდგომის ბარაქა ხვივილა ხევსაც დაეტყობოდა ხოლმე - შვინდი, თხილი, ზღმარტლი - რამდენიც გინდოდა. მუჭებით იყრიდით პირში ღიჭის ყინვადაკრულ წითელ მტევნებს...

- ზამთრობით...

- ხედავ? ყველაფერი გახსოვს, ყველაფერი, ამ ბედკრული მსხლის ბიოგრაფიის გარდა...

ნაჩვევი ადგილიდან წამოდგა /ამ ძელსკამზე იჯდა განიადაგებულად, თუკი ამინდი ოდნავ მაინც შეუწყობდა ხელს/ და თავისი დარგული მსხლისკენ წავიდა, ხელი შემოხვია უდროოდ ხანმოთეულსა და მობერებულს, ლოყა დაშმრულ ქერეჭზე მიადო. რაო, რას ამბობენ, მოვჭრათო? არაფერი შეეშალოთ! - თან ხელს უსვამდა, თან ეჩურჩულებოდა, - შენ გეტყობა, რა სატკივარიცა გჭირს: კომში გექნება საძირედ, კომშზე იქნები დამყნობილი და ყველაფერი იმისი ბრალია. ნუ გეშინია, მე ვიცი მაგისი წამალი. მოვიდეს ჯერ გაზაფხული! ბევრი კი აღარ დარჩა... - და თვალი ხვივილა ხევის იქით, შორი მინდვრებისკენ გაექცა.

ყველიერში, რამდენიმე იმედისმომცემი დღის მერე, ამინდი ისევ წახდა, აირია - ჯერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღამით ქარმა იჯირითა თავის ნებაზე, მერე გათენებისას ქარი კი ჩადგა, მაგრამ ზეცა მძიმე, ერთიანმა ღრუბელმა დაფარა. წამოვიდა და წამოვიდა ფთილა-თოვლი, თეთრად აიჭრა სივრცე. შუადღემდე კიდევ არა უჭირდა რა, ისეთი პირი უჩანდა, ვერც კი იეჭვებდი, ასე თუ აცივდებოდა, მაგრამ შებინდებისას თოვამ გადაიღო, ცამ მოიწმინდა და ისეთი ყინვა დაიჭირა, სულ ქრქოლა ჩაუყენა ფანჯრის მინებს.

განა ადრე კი არ მითქვამს, სოფელი სიცივეს არ უკრთის, არ ეპუება-მეთქი? ანკი რისა უნდა ეშინოდეს, თავის დროზე უარესიც გადაჰხედია, მაგრამ ვერა დაუკლია რა, რადგან ოდითგანვე ურწმუნებია, ოდითგანვე დაუჯერებია თავი /და არცთუ უსაფუძვლოდ/, რომ ზამთარი შემოტეული სჯობს, ცივი და თოვლ-ყინულიანი, და მომზადებითაც ნიადაგ ეგეთისთვის ემზადება, ეგეთს ელის.

ამათ ბინაშიც სითბო დგას. რცხილის შეშა გუზგუზებს. ღუმელზე ვაშლები იწვება და შემწვარი ხილის მიმზიდველი სუნით გავსებულა ოთახი. დედა-შვილს ახლად დასხმული პიტნისჩაიანი დიდი ფინჯნები უდგათ წინ და მთელი ყურადღება იმაზე აქვთ გადატანილი, ვითომდა იმის მეტი საფიქრალი არა ჰქონდეთ რა, ვითომდა სულ სხვა რამ არ ჩამომდგარიყოს მათ შორის უხერხულ დუმილად. იმათი ფიქრიც ჩაის ორთქლივით ერთმანეთში ირევა, იხლართება და სადღაც ზევით, გონების მიუღწევლობაში ერთიანდება. ელისოს კითხვა აწუხებს, ოღონდ თქმა ვერ გადაუწყვეტია. ეს დემნამაც იცის, მშობლის საწუხარსაც დიდი ხანია მიხვედრილა და ყოველნაირად არიდებს თავს გულახდილ საუბარს. ანდა რა საჭიროა, თვითონ ხომ სხვებზე უკეთესად გრძნობს და იცის, რომ ვერ ივარგა, ვერ გამოადგა დედას - ტანჯვა-წვალება და ამაგი წყალში ჩაუყარა და, რაც ყველაზე უფრო გულდასაწყვეტია, წლების განმავლობაში ნალოლიავები იმედები გაუცრუა. ასეთ რამეს კი დედა რანაირად გინდა დააჯერო, რანაირად გინდა შეაგუო? - დემნა ფინჯნიდან ამომავალ ორთქლში ქურდულად გახედავს მშობელს: - ეგეც არ იყოს, ცხოვრებაც გაჭირდა, ველარაფერს აუდის, დაადნო კაპიკის კაპიკზე დაწებებამ, დაიქანცა. - იმდენი ვერ მომიცლია, მოვკვდეო, - იშვიათ ოხვრას ამოაყოლებს ხოლმე უმისამართო საყვედურს. იმისი ხნისანი ზოგნი ისევ ყმაწვილქალობენ, ცხოვრების ხელახლად დაწყებისთვის ემზადებიან, ამას კი უკვე საფლავის ადგილი აქვს შერჩეული. მაგრამ უარესსაც გაუძლებს და აიტანს, ამ თავის მჭკნარ სილამაზესაც დაუფიქრებლად, დაუნანებლად შეელევა, ოღონდ ის იმედები ნუ დაენაცრება, შვილის ხვალინდელ წინსვლა-წარმატებებზე რომ დასაძირკვლებულა. გული და გონება გაორებია, თავსაც ვერ უმხელს, ისეთი გრძნობა დაუფლებია - შვილის გვერდით ყოფნას არაფერი ურჩევნია, მაგრამ იმავდროულად იმისი დანახვა და ატანა აღარ შეუძლია. შუა ზამთარში დემნას სოფლად ჩამოსვლამ და აქ დაყუდებამ იმედები დაუჭკნო, ჩაუშრიტა, დაუჭიანა. ოდესღაც, აღარც კი ახსოვს, როდის, თვითონაც ცდილობდა ბედისწერაზე გამარჯვებას, თავისი წილი მზისა და სინათლის დასაკუთრებას, მაგრამ თურმე ამაოდ ბჭობდა - ერთხელ ფრთების გაშლა, ერთხელ შეფრთხიალება არ დააცალეს, ზეცა ისე ჩამოუბნელეს, სული ჩაუკლეს, აკვირტებული ოცნებები ბინძური ჩექმებით ჩაუთქერეს... დღეს შვილში ხედავს თავისი არსებობის გამართლებას, ის ეგულება იმ მიზნების შემსრულებლად, რასაც თვითონ ვერ შესწვდა, ვერ შეძლო და ვერ მიაღწია.

და თუ იმანაც უმტყუნა? იმანაც თუ გააწბილა?

არადა, როგორ იმედოვნებდა: ვაჟი მეზრდება, დაკაცდება, მხარში ამომიდგება და მეც მეშველებაო, მეც მოვესწრები და ველირსები სიხარულსაო. მოლოდინი მოლოდინად დარჩა. ეგრეც იქნებოდა! აბა რა ეგონა, დიდი ქალაქისკენ რომ აქნევინა პირი! გვერდით ჰყოლოდა, ნამდვილ საქმეზე დაეყენებინა, საცდურ-საცდუნებლისკენ არ ებიძგებინა და თვითონაც ასცდებოდა ამდენ საწუხარს. თავის დროზე ჭკუა ეხმარა, ახლა, ალბათ, შვილიშვილებში ჩამჯდარი ზღაპრების მოყოლით უნდა ყოფილიყო მოღლილი.

ჯერ კიდევ სკოლის დამთავრებამდე, მოცალეობის ჟამს, საღამოს პირზე აქვე, ამ ეზოში მსხდომნი დემნა და ბესო პაპისეული სახლიდან ცოტა მოშორებით ახალი სახლის ასაშენებელ ადგილს ზომავდნენ ხოლმე თვალით. ბესოს უკვე დიდი გამოცდილება ჰქონდა მიღებული - იმათ ვეება, ორსართულიანი შენობა წამოჭიმეს ძველ ნასახლარზე და ახლა ძმაკაცს ბევრისმნახველი ადამიანივით აძლევდა ძვირფას რჩევებს. ეს ათზე მეტი წლის წინათ იყო. მას შემდეგ ბევრმა ღვარმა ჩაიარა ხვივილა ხევში. სოფლად რომ დარჩენილიყო, აქამდე მართლა აიშენებდა სახლს, კომლს მოაწყობდა, ცოლშვილი ეყოლებოდა. თუმცა ის კაცი უკვე დემნა აღარ იქნებოდა, მაგრამ ხომ იცხოვრებდა ბედნიერად!

ბედნიერადო?

შენ ახლა მეტისმეტსაც ნუ მოინდომებ, თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღმერთი გწამს, დაუკელი ცოტა! შეიძლება, იმისი ყოფა დემნასაზე უკეთესი ყოფილიყო, მაგრამ ბედნიერი რანაირად შეიქნებოდა? ადამიანობაზე გადახტომას შესძლებდა თუ რაა? არა, დიმიტრი პაპას სიცოცხლეს საფრთხე არც მაშინ დაემუქრებოდა - უნაღვლო კაცი, ჩემო ძმაო, სადა თქმულა და სად გაგონილა?

ვაშლები შემწვარა და ღუმლიდან გადმოუღიათ, ფინჯნები კი კვლავ ხელში შერჩენიათ - პიტნის ჩაი რატომღაც ჩაის ჩაიზე ორჯერ უფრო გვიან ცივდება ხოლმე.

მიიზლაზნებიან დღეები მდორედ, აუჩქარებლად, გულისგამაწვრილებლად, თითქოს მდინარის კალაპოტად ნაქცევ დემნას სხეულში გადიოდეს თითოეული მათგანი - გამდნარ ტყვიასავით მძიმედ, მტკივნეულად. ერთი სული აქვს, როდის გაილევა, განქარდება ღამე და როდის ინათებს. ერთი სული აქვს, როდის გაილევა, როდის მოკვდება დღე და სიბნელე ჩამოწვება. რას ელის, რა უნდა, სად ეშურება? განა მშვენივრად არ იცის, ყველაფრის დასასრული რაც არის? წესით იქით არ უნდა მიეჩქარებოდეს ოცდაათიოდე წლის კაცს, არ უნდა მიილტვოდეს არსებულიდან არარსებულისკენ. მაგრამ, ჯანდაბას, მოხდეს, რაც მოსახდენია! ოღონდ გათავდეს, მორჩეს, გაირკვეს ყველაფერი - ეგებ იქ, ბოლოში მაინც იპოვოს იმ კითხვების პასუხი, რისი ღირსიც აქ არ გახადეს.

ამხნის კაცს აღარც ბავშვი ეთქმოდა და აღარც ყმაწვილი, მაგრამ ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ იმ კითხვებს, დემნა რომ უსვამდა საკუთარ თავსაც და სხვებსაც, პასუხს ვერც მასწავლებელი გასცემდა და ვერც რომელიმე წიგნში ამოიკითხავდა მზამზარეულად. იმ კაცს, ვის სულსაც ასეთი კითხვები ააწრიალებდა და ააფორიაქებდა, წვეთწვეთობით, მარცვალ-მარცვალ უნდა ეგროვებინა ჭეშმარიტების ნამცვრევები /უფრო ახალგაზრდა რომ ვიყო, ეგრე ვიტყოდი: მართალია, გზები რომშიც მიდის და ომალოშიც, მაგრამ ჭეშმარიტებისკენ მიმავალი გზა გოლგოთაზე გადის-მეთქი!/.

**კიბის ბოლო საფეხურზე იჯდა მზის სუსტ სხივებს მიფიცხებული. გვერდით რადიომიმღები ედგა - თბილისის ამბებს მონატრებულს დედაქალაქის ხმა უნდოდა გაეგო. უცხოური სიმღერა ისმოდა. მომღერალი აკანკალებულ-აკივლებული ხმით ცდილობდა, მუსიკალური ინსტრუმენტების ღრიანცელისა და კაკაფონიისთვის ეჯობნა. ზოგჯერ ახერხებდა, ზოგჯერ - ვერა. არ იქნა და აღარ დაასრულა ძაღლთაპირმა, რა იყო, პოემას ხომ არა მღეროდა?!**

არადა, ეგონა, თუ სიმღერა /სიმღერა?/ დამთავრდებოდა, უეცრად ნაიას ხმა მისწვდებოდა ყურთასმენას.

ნაიას ხმა. აუჰ, როგორ ენატრებოდა!

შენ მაინც რამ გაგაჩინა ეგეთი, გოგო, შენ რაღა დაგემართა? მე თუ ვერ ვიმარჯვე და ვერ ვივაჟკაცე, შენ მაინც გევარგა, შენ მაინც გამოგეჩინა ფხა, ნაია! ჯანდაბას, გინდაც გეთვალთმაქცა ცოტაოდენი ჩვენდა სასიკეთოდ - თუ სწორ პასუხს ვერ მასწავლიდი, თვალი მაინც აგეხვია, გეცრუა, ბოლოს და ბოლოს, გეცდუნებინე შენი დიდი ბებიის მსგავსად. რაო, ვითომ რითი ვარ ადამზე უკეთესი? მეც თავს მოვიტყუებდი, შევეგუებოდი ჩემს ბედისწერას.

თუმცა რას ვამბობ, იმ ცდუნებისგან რა ხეირი ვნახეთ, ახლისგან რა უნდა გვეხეირა? განა ევას ძალისხმევამ გვიშველა რამე იმის შთამომავლებს? განა იმ ვაშლმა შეგვძინა რამე?

ეჰ, ევა, ევა, მერიდება, მაგრამ როგორ არა ვთქვა: შენი წყალობით ორმაგად მოტყუებულები დავრჩით - სამოთხეც წაგვგლიჯეს ხელიდან და სწავლითაც ვერაფერი ვისწავლეთ, ცოდნაც ვერაფერი შევიძინეთ. ნაყოფი აკრძალული ცნობადის ხისაო! ნეტამც ეგრე ყოფილიყო, ნეტამც მართლა ეგრე ყოფილიყო! თუ შევცოდეთ და უნდა დავსჯილიყავით, სასჯელი, ანუ საფასური მაინც შესაფერისი მიგვეღო.

მაგრამ ის ვაშლი იმ ხეზე არ იყო მოწყვეტილი, ევა, ერთი ჩვეულებრივი ვაშლი გახლდათ /თითქმის ჩვეულებრივი/. გვაჭამეს და მოგვაღორეს! აბა რა ვისწავლეთ ცნობადის ხის ნაყოფისგან უპასუხო კითხვების დასმის მეტი? ჰო, ცარიელი დაფის წინ მდგარი ბავშვის მსგავსად სულ პატარა ცოდნის ნატეხი კი მოგვაჩეჩეს ხელში ცარცივით, მაგრამ ამით რას დავაკლებთ ჩვენ წილ პიტალო კლდესავით აღმართულ კითხვებს:

რისთვის მოვდივართ?

რისთვისა ვართ?

რისთვის მივდივართ?

აზრი, აზრი გამაგებინეთ სიცოხლისა!

კვლავ უპასუხო ძახილი ისმის.

და მაინც:

**მომეცი, მომეცი ვაშლი... ჯანდაბას, უკვე მერამდენედ დავხუჭავ თვალებს და ვეცდები, ვიცდუნო თავი. ოღონდ არ დაირღვეს ძველი ადათ-წესი, ოღონდ მწამდეს, ოღონდ ეს ერთი მაინც მჯეროდეს, რომ ვაშლი შენი ხელისგულიდან ავიღე, ევა /ნაია/!**

**დედა ჩამოვიდა ეზოში. ამასაც კითხვა აწუხებს, მაგრამ დემნას კითხვებისგან**

განსხვავებული, უფრო ჩვენი, უფრო მიწიერი. თანაც ხმამაღლა თქმას უფრთხის - გულახდილობას შიში უდგას დარაჯად გულახდილივე პასუხისა. თუმცა მთლიანადაც ველარ დაიტევს გასენილ გულში აფუებულ სათქმელს, მცირეოდენს მაინც ამოთქვამს ირიბად, მისახვედრებლად. დაიწყებს სულ სხვას, სხვა მთისა და სხვა ბარისას, შორიდან მოუვლის და ბოლოს სასხვათაშორისოდ ჰკითხავს:

- რას ჰფიქრობ, შვილო, თბილისში რომ დაბრუნდები, შენი შესაფერისი სამსახურის შოვნა კიდევ გაგიჭირდება?

- ძალიან იოლადაც რომ იშოვებოდეს, დამთავრდა, უკვე აღარ მოვძებნი, სამსახური აღარაფერში მჭირდება.

დედა ხმის ამოუღებლად შეჰყურებდა სახეში და უსიტყვოდ ითხოვდა ნათქვამის განმარტებას. დემნამაც გადაწყვიტა, უცებ მოესხიპა, უცებ მოეთავებინა ყველაფერი:

- აკი იმდღესაც გითხარი, აღარ ვაპირებმეთქი თბილისში დაბრუნებას, დავრჩები სოფელში და მივხედავ აქაურობას...

ფერი სულ დაკარგა, ხმაც. მერე ძლივძლივობით ამოიკვნესა:

- რა ვქნა, რა წყალში ჩავვარდე! შენ იქ რაღაცა შეგემთხვა, შვილო, ვაითუ დავიღუპე და ვერაფერი შევიტყე მე ადრე და მალე დასამიწებელმა!

- რას ამბობ, ადამიანო, რა უნდა შემმთხვეოდა, არაფრის გამო რად იცი ხოლმე გულის გახეთქა? რაო, არ შეიძლება სოფელში მოინდომოს ცხოვრება სოფლელმა კაცმა?

- სოფლელმა კაცმა?.. ჩემს დასამშვიდებლად ეგ ვერაფერი საბუთია, დემნა.

- აბა რა ვქნა? სხვა საბუთი არცა მაქვს და ვერც წარმოგიდგენ. - გაღიზიანებული წამოდგა და გაცლა დააპირა.

- მოიცა! მერე აქ რას გააკეთებ? ან რაღა სოფლელობა გეთქმის... არა, ტყუილია ეგა, შენს თავს რაღაცა სხვა ამბავია.

- კარგი, კარგი, კარგი! წეღანაც გითხარი, ნუ იცი ხოლმე ყველაფრის გაზღვარზღვარება, - თავის დაოკება გაუჭირდა დემნას, - ჩემს სახლში, ჩემს კომლობაში ველარ უნდა დავბრუნდე ისე, რომ საკუთარმა დედამ ეჭვით არ დამიწყოს ცქერა? რაო, შენ რა გგონია, სოფლად მხოლოდ დამნაშავეები ბრუნდებიან?

- არა, მაგას ვინ ამბობს, მაგრამ შენ მაინც... - ხელები გაშალა, - შენ მაინც რა უნდა გააკეთო აქა?!

- რასაც სხვები აკეთებენ. როგორც ეტყობა, არა ვყოფილვარ ქალაქური ცხოვრებისთვის გაჩენილი.

რაო? რასაც სხვები აკეთებენო? ამ სიტყვებმა მთლად მოუთავა ხელი ელისოს და, ადრე რომ არასოდეს დაემართებოდა, ლამის ტირილი გაერია ხმაში:

- რა ვიცი, გენაცვალე, ათი წელიც იქნება, აქეთ ვერაფერმა მოგახედა, აქამდე არ გაეკარა შენს გულს არც სახლ-კარისა და არც მშობლის სიყვარული და ამხნის კაცი ეხლაღა მიხვდი, რომ ქალაქური ცხოვრებისთვის არა ყოფილხარ გაჩენილი? წვეთწვეთობით შეგროვილი თანხით, ავია თუ კარგი, ბინა მაყიდინე, ამდენი ხანი იქ იცხოვრე, მეგონა, ისეთი მოუცლელი იყავი, დედის მოსანახულებლადაც ვერ ახერხებდი ჩამოსვლას და...

- ჰო, მაგრამ ის ფული... - გააწყვეტინა დემნამ სიტყვა და აღაც თვითონ გააგრძელა, გაახსენდა, რომ ამ საკითხზე თითქმის არასოდეს საუბრობდნენ.

ყველაფერი კი უეცრად მოხდა, მოულოდნელად - საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე ვილაცისგან გამოგზავნილი საკმაოდ მოზრდილი თანხა მიიღეს ფოსტით. ღვთის წყალობასავით იყო, თანაც დროულზე დროული. იმას დედის დანაზოგი ორიოდე გროშიც დაადეს და თბილისში ერთი პატარა ოთახი იყიდეს, რაც იმხანად დემნას ბედში მყოფი კაცისთვის მართლაც ფუფუნებად შეიძლება ჩათვლილიყო - არც ყოველთვიურად ბინის ქირის გადახდაზე მოუწევდა ფიქრი და სტუდქალაქის რია-რიასა და აურზაურში ცხოვრებასაც ასცდებოდა. ის თანხა დემნას სახელზე იყო გამოგზავნილი, დემნას ასაჩუქრებდა უცნობი ქველმოქმედი. ბიჭი იმ ასაკიდან უკვე კარგა ხნის წინ გამოსულიყო, როცა კიდევ სჯერათ, ამ ამბავში კეთილი ჯადოქრის ხელი ურევიაო, მაგრამ ჯერ არც იმის გულისხმაში იყო ჩავარდნილი, ჯერ არც ისე უნდობლად და ეჭვიანად ექცია ცხოვრებას, რომ მის სიახლოვეს მომხდარი ყოველგვარი ფაქტის გამოწვლილვით ჩხრეკაძიებას მოჰყოლოდა და გასარკვევიც ძირისძირობმდე გაერკვია. ის კი უნდა ითქვას, თუმცა გაგებისა და გამოცნობის სურვილს გზავნილის მიღებით გამოწვეული სიხარული ბევრად სჭარბობდა, დედას მაინც რამდენჯერმე ჩაეკითხა: ნეტავი, ეს ფული საიდან და ვისგან შეიძლება იყოს გამოგზავნილიო, მაგრამ, როცა ელისომ ყოველგვარ ახსნა-განმარტებას თავი აარიდა და გამოუცნობი ღიმილით უპასუხა: რა ვიცი, ამქვეყნად კეთილისმყოფელ ხალხს რა გამოლევს და ნურც გამოლეულიყოს, ჩვენ ხილი ვიხილოთ და მეხილის ამბავს ნუ გამოვიკითხავთო /თითქოს სულ ეგეთი მეხილეებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოფილიყოს იმისი ცხოვრება განებივრებული/, აღარც დემნა ჩაეძია და იმხანად ამით ამოიწურა ამ არცთუ გულდასაწყვეტი მოვლენის ირგვლივ საუბარი. მას შემდეგ, რასაკვირველია, არა ერთხელ და ორჯერ გაახსენდა უცნობი სიკეთისმთესველის მიერ ბოძებული /ბოძებული?/ თანხა, მაგრამ რამდენჯერაც დააპირა იმისი წარმომავლობის გაგება, იმდენჯერ რაღაცამ შეუშალა ხელი და ყველაზე მეტად კი იმან, რომ გასტუდენტების შემდგომ თითქმის სულ ქალაქში იყო, დედას იშვიათადღა ხედავდა, სხვამ კიდევ ამ ამბისა არც რა იცოდა და ვერც რას მოუყვებოდა. გახსენებითაც იქნება არც ახლა გაეხსენებინა, მაგრამ, როცა ის თუმცა უბადრუკი, ოღონდ დემნასთვის ძალზე ძვირფასი ბინა წამოაყვედრეს, გონებაში უნებლიეთ წამოუტივტივდა იმისი შეძენის ისტორია.

– ის ფული... – ბაგეს ორად ორი სიტყვა გამოსცდა და დედის შემხედვარემ უმალვე ინანა. მაგრამ გვიანღა იყო სინანული. ეტყობა, არასგზით, არასდიდებით არ უნდა თქმულიყო ეს სიტყვები.

ელისო აილეწა, წამიერად სახეზე ალმურმა აჰკრა, ენა ისე აებნა, თითქოს სხვა რამის თქმას აპირებდა და სხვა რამე კი თქვაო:

– კეთილი და პატიოსანი, კეთილი და პატიოსანი! ის ფული შენი იყო და არავინ გედავება, არავინ აპირებს იმის მითვისება-მისაკუთრებას, ბინაც იმითი გაქვს ნაყიდი და ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროს, მაგრამ ამ ხნის მანძილზე სხვა არაფერი გინდოდა? მეტი არაფერი გჭირდებოდა?

დემნას ასე განერვიულებული და წონასწორობიდან გამოსული დედა იშვიათად ენახა.

– რა დაგემართა, ადამიანო, ან იმ ფულს ვინ იჩემებს და ან შენს ზრუნვა-გარჯილობას ვინ უარყოფს?!

– მეტს კი არ შერები? თუ ქალაქს მართლა მიატოვებ და აქ ჩარჩები, აქ ჩაიკარგები, ამაგის დაუფასებლობაზე უარესი არ იქნება ეგა?

აი, თურმე რა ყოფილა საქმე! აღარ ღებულობენ უძღებ შვილს. არ მიუტევებს თუ... ეტყობა, დემნამ უფრო მეტი გაფლანგა და გაანიავა, უფრო მეტი შესცოდა, ვიდრე იმისმა წინამორბედმა. მაგრამ შინიდან წასვლისას სხვებიც რომ ჩაჩქნავდნენ? სხვებიც რომ უწყობდნენ ხელს?

– ეგრე გამოდის, აღარსად დამედგომება, აქ შენ აღარ გინდივარ და იქ კიდევ ქალაქს. – მწარე ღიმილმა ტუჩები მოუღრიცა დემნას.

– ადამიანს ყველგან დამსახურების მიხედვით მიუზღავენ, აქაც და იქაც, ქალაქი რაღაა და სოფელი რაღა.

– და მეც იმისი ღირსი ვარ, რაც მარგუნეს, არა? – თანდათან ბრაზი წაეკიდა დემნას, – თქვე კაი ხალხო, რას მემართლებით, რას თხოულობთ ჩემგან? ცოტა გარკვევით მაინც მითხარით, მაგაში მაინც გამიწიეთ ანგარიში. – ნეტავი „თქვენობით“ რამდენ კაცს მიმართავდა და ვისზე ცდილობდა წლების მანძილზე დაგროვილი ბრაზის გადმონთხევას? – თქვენ გინდოდათ და ეტყობა, დღესაც გინდათ, საუკეთესო ხარისხის თიხისგან თვითონ მომეზილა და თვითონ შემექმნა ჩემი თავი, თვითონვე ჩამომეყალიბებინა და აღმეზარდა სანიმუშო ინდივიდუუმად, მევე ვყოფილიყავი აღსაზრდელიცა და აღმზრდელიც, მოსწავლეცა და მასწავლებელიც...

იმის გაფიქრებამ: ამას რას ვშვრები, ეგრე რამ გამათავხედა, რომ დედას ვუყვირიო, კიდევ უფრო მეტად გაამწარა და კიდევ უფრო ხმამაღლა ააყვირა. ელისოს ჯერ სამეზობლო ღობისკენ გაექცა თვალი, მერე გზისკენ. ეტყობა, სანამ ნათქვამში ჩადებულ აზრს ჩასწვდებოდა, იმან შეაშფოთა, დემნას ხმა ხომ არავის ესმისო.

– რატომ მიწა არ გამისკდება და არ ჩამიტანს! აჰა, ამასაც მოვესწარი, ამის ღირსიც გავხდი! თუმცა აქამდე როდის მქონდა ყისმათი, რომ ეხლა რამეს იმედი მქონოდა. – სწრაფად წამოდგა და წასვლა დააპირა.

– მოიცა, მოიცა, ნუ მიდიხარ, ჯერ ბოლომდე მათქმევინე. რახან დავიწყე, მე გამჩუმებელი აღარა ვარ. – გაუმწეოებული დედის სახის დანახვამ ლამის გული გაუგლიჯა, მაგრამ ვერც ამან შეაჩერა მოწოლილი სიტყვა: – ადრე რა იყო, მე არ ვიცი და არც მეკითხება, წინაპრების ვალს ნურავინ მომთხოვს. აი, ჩემთვის კი ბევრი გაქვთ გადასახდელი. სიმართლე თუ გინდა იცოდე, თქვენ ამირიეთ ქამკარი, ამიწეწეთ ცხოვრება და იმ უთავბოლობაში მიკარით თავი, სადაც დღემდე ვერაფერი გამირკვევია. შენ არ იყავი, სულაც რომ არ აპირებდი, უმაღლესში გესწავლებინა და ხალხში გამოგეყვანე? ეგრე არ უთხარი ჩემს ბავშვობაში დიმიტრი პაპას და ეგრე არა მზრდიდი მეც ერთხანობას? რა გინდოდათ, რანაირად გინდოდათ, ვერც მაშინ გამეგო და ვერც ახლა გამიგია. ბატონი ბრძანდები, მეც ვიცი, რომ სოფლისთვის აღარა ვარგივარ, მაგრამ არც ქალაქს რომ ვჭირდები რამედ? დამანებეთ თავი! ნურც ვინმე წინაპრების ვალს მომკითხავს და ნურც სამომავლო იმედებს დააფუძნებს ჩემზე. დამანებეთ თავი!

– ნუ ყვირი, რა დაგემართა, რა შეგიჯდა?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

– თითქოს საჭირო სიტყვა ვერ იპოვაო, დაიწყო და აღარ გააგრძელა ელისომ. მერე რასაც აპირებდა, ის კი არა, სულ სხვა რამე ჰკითხა:
– არ გიფიქრია, რომ ყველასთან მართალი არ შეიძლება იყო?

– მიფიქრია და ხშირადაც მიფიქრია. ბოლოს იმ დასკვნამდე მივსულვარ, რომ ასი, გინდა ათასი კაცის სიმტყუვნე ერთი კაცის სიმართლესაც ვერ უდრის... თქვე დალოცვილებო, რა მასწავლეთ და კარგად ვერ ვისწავლე? რომელ სწორ გზაზე დამაყენეთ და მე გავამრუდე? საით გამიძეხით და ბოლომდე ვერ გამოგყევით? რა გიდნათ, რასა მთხოვთ, რას მაყვედრით?

ნუ ყვირიო? ეს ყვირილი არ არის. მართლა არ ამაყვიროთ, თორემ შენიდან დავიწყებ და ყველას წვრილად მოგთხოვთ, რაცა გმართებთ ჩემი...

ადამისთვის რანაირადღა უნდა მოეთხოვა, ადამი უკვე დიდი ხნის გარდაცვლილი იყო.

მკითხველი შემატყობდა, დიდად მიყვარს იგავ-არაკებისა და ზღაპრების თხრობა, მით უმეტეს, ჩვენს რაციონალურ ეპოქაში ორიოდე მსმენელის შოვნა თუ მოვახერხე, წინ რაღა დამიდგება? ჰოდა, ახლა ავდგები და ერთის მოყოლას კიდევა ვცდი.

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო შაშვი მგალობელი, ღმერთი ჩვენი მწყალობელი /ჰმ, მწყალობელი.../

ერთ მდიდარსა და ლამაზ სოფელში ერთი პატარა ბიჭი ცხოვრობდა. ეს ბიჭი ღღენიადაგ მოლხენით იყო, არ იცოდა, რა იყო დარდი და მოწყენა, სევდა და უგუნებობა. ან რატომ უნდა სცოდნოდა? დედ-მამა თავს ევლებოდა და ცივ ნიავს არ აკარებდა, არ აკლებდა ნაირ-ნაირ, უცნაურ და უცხო სათამაშოებს. საჭმელ-სასმელს ხომ ნუღარ იკითხავთ, თავზე გადასდიოდა - იმდენ ტკბილეულს უზიდავდნენ, ერთი დიდი საკონდიტროს გასახსნელად იკმარებდა, ბავშვთა სახლის აღსაზრდელებს მთელ წელიწადს ამყოფინებდნენ. ბიჭს როცა მეზობლის ცისფერთვალება გოგონასთან თამაშ-ბურჭალი მობეზრდებოდა, ლამაზნახატებიანი წიგნების კითხვით ირთობდა თავს.

ასე ლაღად და საამურად მიდიოდა ბავშვობის დღეები, მაგრამ ერთხელაც მოხდა სასწაული და სასწაულს ამჯერად სიკეთე ყველასთვის არ მოუტანია. თურმე ბიჭის დედას დაბადებიდან კაცად გარდაქმნის სურვილი წვავდა. ერთხელაც, მრავალი ცდის მერე, მოახერხა იდაყვზე კოცნა და მამაკაცად გადაიქცა. ეს ამბავი ყველამ გაიოცა, მაგრამ საშინელებად არავის მიუჩნევია. ერთადერთი ბიჭის მამა იყო, რომ შეწუხდა, ეს რა ხათაბალას გადავეკიდეო, მაგრამ ცოტა ხანში სხვა ქალი მოიყვანა და სადარდებელიც მალე გადაავიწყდა.

ყოფილი ცოლი ვაჟკაცობაში ტოლს არ უდებდა ყოფილ ქმარს და თვითონაც დაქორწინდა, მეზობელ სოფელში შეიგულა ერთი ემხიანი ქალი და კაი ორდღიანი, დოლ-გარმონით გაწყობილი ქეიფიც მოაყოლა ზედ. გავიდა დრო, ყველა შეეგუა ამ ამბავს. ის კი არა, ზოგიერთები კმაყოფილებიც კი იყვნენ და ამაყობდნენ, რომ სწორედ იმათ სოფელში მოხდა ეს იშვიათი შემთხვევა და არა სხვაგან.

მხოლოდ ბიჭი წუხდა, ბიჭი დარდობდა რაღაცას. თუმცა ყველა ეფერებოდა და ანებივრებდა - ლამის ხელისგულზე კვერცხს უწვავდნენ მამა და ყოფილი დედა, თუმცა ალერსს არ აკლებდნენ მამის ცოლი და ყოფილი დედის ცოლი, მაინც ეჩვენებოდა, თითქოს რაღაცა ისეთი დაკარგა, რის პოვნასაც ვეღარასოდეს შეძლებდა. ერთი შეხედვით ისევ ლაღად და უდარდელად მიედინებოდა ბავშვობის დღეები - ბიჭი კვლავაც კითხულობდა ლამაზნახატებიან წიგნებს და ხანდახან მეზობლის ცისფერთვალება გოგონასთანაც წაითამაშებდა ხოლმე, მაგრამ მაინც ნიადაგ მოწყენილი იყო და ზოგჯერ გაავებულ-გაბოროტებულიც კი შესცქეროდა ყველას და ყველაფერს.

ხალხი ამბობდა: ზოგიერთი დაბადებიდანვე ავზნე და ღვთის გარეგანი რომ გაჩნდება, თორემ მეტი რაღა დარდუბალა უნდა, ორი წყვილი დედ-მამა თავზე ახვევია, ზედ ევლება და ზედ დასთათანებს, ქონებითაც, რა გინდა, სულო და გულო, მაგას რომ ხელი არ მიუწვდებოდეს, მაგრამ მაგის დასაბრმავებელ თვალებს ვერაფერი დაანახესო.

ხალხი იმასაც ამბობდა: ხალხი ბრძენიაო.

ჰო, ეს ზღაპარი აქ არა მთავრდება, მაგრამ მაინც ჭირი იქა, ლხინი აქა და ა. შ. და ა. შ.

კაცო, ძმაო, შენც რა გაგვიჭირე საქმე ამ ზღაპრებით, ხომ ხედავ, აღარავის გვეზღაპრება და ძალაზე ხარ?!

გაზაფხული ჯერ შორს არის, მაგრამ იმისი სუნთქვა უკვე იგრძნობა - ყინვა გატყდა და ძველებურად აღარა ცივა, დაჭრელდა მიდამო, მზვარეები ჩამოდნა, ჩამოიწმინდა. რა ხანია, გზებიც გალხვა და მანქანები თავისუფლად დაქრიან აღმა-დაღმა. სიღნაღიდან დღეში ორჯერ ამოივლის ხოლმე დედაქალაქისკენ მიმავალი ავტობუსი. პირველი ადრე მიდის, ახალგათენებულზე, დემნას ჯერ კიდევ არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

აუწევია თავი ბალიშიდან. მეორეს კი აუცილებლად აცილებს სივრცის მსრუტავი თვალებით. დგას ჭიშკარზე ხელებჩამოწყობილი და გასცქერის - აფართხალებული გულიც თითქოს იმ ავტობუსს მიჰყვება, წინაც უსწრებს და მასზე უმალ ჩადის თბილისში. იქ ეგულებიან მეგობრები, იქ არის ნაია, ერთადერთი სასოება, ერთადერთი შუქის წყარო ამ ჩაწკვარამებულ წუთისოფელში. ის აცოცხლებს და აძლებინებს და, თქვენ წარმოიდგინეთ, ცოტად თუ ბევრად, თავისი თავის ღირსების გრძნობასაც უბრუნებს - მთლად წყალწაღებული არ უნდა იყო კაცი, თუკი ასეთ ქალს *ამღენხანს უყვარხარ*! არა მთლად უმაქნისი და ურგები არ გეთქმის.

მაინც რა იყო, ეგრე დაუფიქრებლად, ეგრე თავქუდმოგლეჯილი რას მორბოდა, არ შეიძლებოდა ერთი სურათი მაინც წამოეღო თან!

თუმცა შენ სხვა თქვი, თორემ ეგ რაღა სანატრელი იყო, სურათი რად უნდოდა? განა ისედაც განუშორებლად თან არა სდევდა, ნიადაგ თვალწინ არ ედგა მისი ხატება? განა აქ კი არა სჭრიდა თვალს მუქწაბლისფერი თმის სპილენძისფერი ბრწყინვალება?

გულსა და გონებაში ამოტვიფრულს რა ფოტოგრაფია შეედრება? აი, თუნდაც იმ ერთს - წარუხოცელს, მარადისს...

გაბაფხული იდგა. დემნა და ლევან გელაშვილი მეგობარმა სამეგრელოში მიიპატიჟა, რა თქმა უნდა, სალაღობოდ და სალხენად, ქეიფ-ხალისისთვის. წავიდნენ, სხვა საქმე არაფერი ჰქონდათ და ამჯერად დროის მოკვლა ყველაზე იოლად იქ შეიძლებოდა. ეგრისში ჩასულები ნება-ნება შეუყვნენ ხობისწყალს. აქეთკენ პირველად არ იყვნენ სტუმრად, მაგრამ ლუგელას ხეობამ ადრე ნანახს დიდად გადააჭარბა - მოიხიბლნენ დაბლობიდან მოწოლილი და მთების ზვიად სიამაყესთან შეწყმული სინაზითა და სინატიფით, რაც ამ კუთხის მცხოვრებთა ხასიათშიც გამოვლენილიყო - სილბო ნაქსოვისა და სიმტკიცე ნაჭედისა.

სხვაფრივ ის დღეებიც სხვა დღეებივით მიედინებოდა - ნადიმიდან ნადიმზე უწევდათ გადასვლა. მასპინძლები ერთმანეთისა თუ ცხოვრების ჯიბრზე ამ უმნიშვნელო სტუმრების მოხიბვლასაც მეგრული ხელგაშლილობით ცდილობდნენ - მრავალფეროვნება ზეიმობდა: ერთგან, ბროლეულმოჭარბებულ სუფრასთან მთლიანად შემწვარ ქაცარსა თუ ელარჯს /მერე ამაოდ მოენატრებოდა/ რომ შეექცეოდნენ, მეორეგან - მეფუტკრეებთან ჩამუხლულნი - სანთლის არყით იფუფქავდნენ გულმუცელს. სვამდნენ, ჭამდნენ - ენამზეობდნენ. განსაკუთრებით ლევან გელაშვილმა გაილაღა, იმას უყვარდა ეგეთი გამორჩეული ქეიფები. როდის-როდის გაახსენდათ, რომ თბილისში მოიკითხავდნენ და შეწუხდებოდნენ, რადგან ამჯერადაც ისე უცებ და წინასწარდაუგეგმავად მოუწიათ გამომგზავრებამ, რომ ახლობელთაგან ვერც ვინმემ მათი წამოსვლა შეიტყო და ვერც ვერავის დაუბარეს და გააფრთხილეს.

გონს მოსულები, დაგვიანებულად შეშფოთებულები გულუხვ მასპინძლებს დანანებით დაემშვიდობნენ, გუდა-ნაბადი აიკრეს და შინისკენ გამოემგზავრნენ.

მატარებელი ადრიანად შემოვიდა დედაქალაქში. ერთმანეთს ეგრე ერთბაშად რა დააშორებდა და დილის ხაში სამ საათამდე გაუგრძელდათ. შინ მისულს იქ ნაია დაუხვდა. ეტყობა, დემნას უცაბედი გაუჩინარებით შეშფოთებულს, მოლოდინით დაღლილსა და ეგებ ღამენათევსაც ისე ღრმად ჩასძინებოდა, რომ ვაჟის შემოსვლა ვერ გაიგო, არც განძრეულა.

გარეთ ღვთითბოძებული დარი იდგა, ისეთი მზე ჩახჩახებდა, რომ დემნას პატარა ოთახშიაც დიდ ნათელს დაესადგურებინა. იფიქრებდი: არამარტო თბილისში, არამარტო საქართველოში, მთელი დედამიწის ზურგზე საწუხარსადარდელი ამოუძირკვავთ, მოუსპიათ და ამქვეყნად ყველა სულიერი ბედსა სწევია, ყველა ხარობს და ნეტარებსო.

მხოლოდ ეს გოგო მიწოლილიყო გაქუცულ ტახტზე საწყლად, უმწეოდ, საცოდავად. დაჰყურებდა დემნა და გული ეწურებოდა - გრძნობდა, როგორ შეუფერებელ ადგილას მოხვედრილიყო ეს უცოდველი მსხვერპლი კაცთა მოდგმის გონებაჩლუნგობისა - არც ეს ღარიბული სამყოფელი და არც აქაურობის მფლობელი ნაიას ღირსები არ იყვნენ, არა!

შეცივნული ანგელოზივით ეძინა - თავისივე ფრთები წაეფარებინა, თავისივე ფრთებქვეშ შეყუჟულიყო თითქოს...

და მოგონების სანტიმენტალური დასასრული აქ, ზედაშიანში: ო, რა ტკბილი ხარ, სიყვარულო, მწუხარების ჟამსაც!

მარტო იყო. თავისი სოფელიც წუთისოფელივით ამოსვლოდა ყელში.

ერთთავად კიბეზე იჯდა და ავტობუსის ავლას ელოდა. გონებაში კი, სურდა თუ არა, კვლავინდებურად ის უპასუხო კითხვები უბრუნავდა:

საიდან მოვდივართ?

ვინა ვართ?

საით მივდივართ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

და კიდევ უფრო მწველი და მშანთავი, ყოველივე ამქვეყნიურის ფასის დამკარგავი:

რისთვის მოვდივართ?

რისთვისა ვართ?

რისთვის მივდივართ?

თქმა არ უნდა, როცა შრომობ, როცა რამე საქმეს ადგახარ, ასეთ კითხვებზე ნაკლებად გიწევს დაფიქრება. არ ვიცი, მართლა შრომამ შექმნა ადამიანი თუ არა, მაგრამ იგი დიდად რომ გვეხმარება დედამიწური სასჯელის გადატანაში, აშკარაა და ცხადია. საქმიანი კაცის საღი აზროვნებაც ხანდახან /და არა უზომოდ და აკვიატებულად/ თუ მოიცლის ასეთი კითხვებისთვის, იოლად ახერხებს გამკლავებას, უპირველესად საქმიანობის წყალობით - ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, საიმათოდ ვერ იცლის. დემნაც ხვდებოდა ამას და ცდილობდა თავი დაეხსნა, არიდებოდა, ხელიდან დასძრომოდა ამ მოძალადე კითხვებს, მაგრამ როგორ და რა გზით, რა იარაღი გამოეყენებინა ამათ წინააღმდეგ? აი, ეს იყო საკითხავთა თავი და თავი. ან აქ, ან ქალაქში იმას ასეთ წამალს ვინ მიაშავებდა?

ჯერ რა იცოდა საბრალომ, რომ სულ ერთია, უპასუხოდ არავინ დარჩებოდა. არც ის მცირედნი, მისი მსგავსნი, ვისაც აჩემებული კითხვები ღრღნიდა და ჩურჩავდა და არც ისინი, ვისაც ოდნავადაც არ ენაღვლებოდა ეგეთი მიეთ-მოეთი - არ აწუხებდა: ვინ იყვნენ, რისთვის მოვიდნენ და აქედან საით აიღებდნენ გეზს. მათთვის ყველაფერი ნათელი იყო, რადგან კითხვის უქონლობა განა თავისთავად პასუხი არ არის? /კითხვა-პასუხი ერთად თვლემს არარსებობაში/.

პირველთათვის კი ერთი სასოება კიდევ ჭიატებდა: ამქვეყნად თუ არა ეშველებოდათ რა, იმედია, იმქვეყნად მაინც არ დატოვებდათ ღმერთი უპასუხოდ.

ამ ბოლო ხანს, რაც ცოტა დათბა და გამოიდარა, ერთი გასართობი აიკვიატა: იჯდა კიბეზე, სიგარეტს ეწეოდა და ნამწვს ქათმებისკენ ისროდა. ქათმებს საკენკი ეგონათ, ღორმუცელობა ჭკუას ჯაბნიდა და ერთმანეთს თავპირისმტვრევით ასწრებდნენ საცთუნებლის ხელში ჩაგდებას. ბოლოს რომელიღაცა დაისაკუთრებდა, გააქცევდა, მაგრამ ნისკარტდათუთქული მალევე გააგდებდა პირიდან და, ალბათ, წყევლით ანდა გინებით /იმის კვალობაზე, დედალი იყო, თუ მამალი/ თვალს ეფარებოდა. უკვე მერამდენე დღე იყო, ასე უკეთურად ეხუმრებოდა ქათმებს, ვერ მორეოდა საკუთარ თავს, რომ აეკრძალა ეს ცოდვიანი გასართობი და დამშლელი არც სხვა ჩანდა ვინმე.

ამ დილას, სანამ სახლიდან გავიდოდა, დედამ დაარღვია რამდენიმე დღის მანძილზე ჩამოწოლილი დუმილი, გაბედა და ისევ ჩამოუგდო სიტყვა თბილისის დატოვებაზე: კარგი, ბატონო, თუ არ გინდა, ნუ დაუბრუნდები ქალაქს, მაგრამ ის მაინც გვითხარი, რას აპირებ, სოფელში რა უნდა გააკეთო. დემნამ მხრები აიჩეჩა და მომდურავივით გავიდა მეორე ოთახში, თითქოს მხოლოდ დედის ყოფილიყოს, რაც იმის ირგვლივ ხდებოდა.

ახლაც კიბეზე იჯდა, სიგარეტს ეწეოდა და ფიქრობდა: რაღაცა თუ არ იღონა კაცმა, თავის თავისთვის წამალი თვითონ თუ არ გამონახა, მთელ სიცოცხლეს მხრების ჩეჩვაში ვერ გაატარებსო.

წამოდგა, სიგარეტი კიბის სახელურზე ჩააქრო და მოისროლა.

კაკალთან ბატკნისხელა წითელი მამალი საკუთარი ფრთის ქვეშ რაღაცა საოცრების აღმოჩენის იმედით გულმოდგინედ იქექებოდა.

სადაც იყო, ამოივლიდა თბილისის ავტობუსი.

## X.

კიბეზე იჯდა და ტრანზისტორს უგდებდა ყურს. რატომღაც წესიერად არ ისმოდა - შიშინხრიალში დიქტორი წვალებით ცდილობდა ამინდის პროგნოზი შეეტყობინებინა მსმენელებისთვის.

დემნა ვერ იხსენებდა, ქალაქში ტაროსის ავანჩავანს შეეწუხებინოს, ტაროსის ავ-კარგზე დაფიქრებულიყოს როდისმე. თბილისი სხვა იყო: იქ ეგეთი რამე გულს ქანგად არ ედებოდა, იქ თენდებოდა და ღამდებოდა, თენდებოდა და ღამდებოდა, წინ მივდიოდით ტემპის დაუგდებლად /ოღონდ წინა საით იყო და უკანა საით, ეგ ვერ გაგვერკვია, ანდა არ გვაინტერესებდა./ ხდებოდა: ჩამოდგებოდა დღეები ღრუბლიანი, ნისლიანი, მოქურუხებული, წამოვიდოდა წვიმა და ეგებ თავიც მოებეზრებინა. ზოგჯერ დაუბერავდა სუსტი, ზომიერი, ძლიერამდე ქარი, ზამთრობით ორ-სამჯერ, შეიძლება ოთხჯერაც მოსულიყო თოვლი. მაგრამ უმეტესად მშვენიერი ამინდი გვედგა - დარიანი და მზიანი დედაქალაქი გვქონდა ქართველებს.

რადიო ამბობდა: თბილისში ზამთრის პირობაზე არა უშავს რა, ზერა-ქვერა ამინდიაო. ცოტა სუსხიანი ქარი ქრის გარეუბნებში, მაგრამ მოქალაქეთა გუნება-განწყობილებაზე ზეგავლენას ვერ ახდენსო /ისემც დაუმშვენდათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხვირ-პირი, თუნდაც ეგრე აწყობილი ინფორმაციის თავი ჰქონოდეთ ანდა მოქალაქეთა გუნება-განწყობილებაზე ენაღვლოთ რამე./

აქ კი ციოდა. ზეცა თოვლით იმუქრებოდა. მდებარეობა თავისას აკეთებდა - ზედაშიანი ხომ ქედზე იყო გადაკიდებული.

- ჰაი დედასა! ეგ არის, ბიჭო, დოსტობა და მეგობრობა? ეგ მოსდევდა ჩვენს ძმადშეზრდილობას? ვინც ერთმანეთს უღალატოსო, ვინც ერთმანეთი დაივიწყოსო... და გაგიგონია! თურმე თვე სრულდება, რაც აქა ხარ და ისე როგორ ჩამოისვი ცხვირზე მური, რომ ერთხელაც არ გადმომაკითხე. იქნება მოვკვდი და აღარა ვარ, მაშ, საფლავზე მაინც არ უნდა გადმოსულიყავი და ერთი ჭიქა შესანდობარი არ უნდა წაგექცია?

ბესომ ჭიშკარი შემოაჭრიალა და დემნასკენ წამოვიდა.

- შე ღმერთგამწყრალო, ჭიპი ერთად მოგვიჭრია, სხვა თუ არაფერი, თერთმეტი წელი ერთ კლასში ვმსხდარვართ იმდენი ხანი შინაურებთან არა ვყოფილვარ, რამდენიც შენთან გამიტარებია და, ვითომც არაფერი, ჩავლილი ვიღას ახსოვს! ვინ ბესო, რა ბესო, რომელი ბესო, არა? ეგეთი რა სჭირს, კაცო, ამ ქალაქს, ეგეთს რას გაჭმევენ და გასმევენ, ჯიგარს რომ გიცივებთ და გულს გიფუტუროებთ? ეგეთს რა საშლელს გადაგისვამთ ხოლმე მახსოვრობაზე? კარგი, ბატონო, გადმოსვლა თუ არ იკადრე, დააბარებდი ვინმეს და ერთ წუთში თვითონ გეახლებოდი...

- დაიცა, დაიცა, ვთქვათ და, მე არ გაგაჩერე, შენით აღარ დაასვენებ ენას? შე კაი კაცო, ცოტა მეც მათქმევინე, ეგრე ხომ არ არის, მარტო შენსას რომ მიერეკები. რას ამბობ, შენმა მზემ, დღეს პირველად გაიგე ჩემი ჩამოსვლა და პირდაპირ სანახავად გამოჰქანდი.

- ე, უყურეთ, ხალხო, აქეთ რომ მადებს ვალსა! ისე, სხვაგან ნუ ვიტყვით და ეგ გალმა შედავება ბავშვობაშიც არ გიჭირდა ხოლმე. - სოფლის ბოლოში ჩადიოდა, ალბათ, ბესოს როხროხი. კაცი გაოცდებოდა, ამ პატარა სხეულში ეგეთი ბოხი ხმა სადა ბუდობდა.

- არა, ძმაო, თუ შენ შენებურად გაუტევ და მე ხმას არ ამომაღებინებ, არაფერი გამოვა, ეგრე ჯერს არა ვართ. - გაიბუტა დემნა.

- კარგი და გათქმევინე, ენა რანაირად უნდა მოგიბრუნდეს, სიტყვა რანაირად უნდა ამოგივიდეს პირიდან? როცა ხვდები, რომ არა გეთქმის რა, მაშინ უნდა გაჩუმდე და ტყუილად თავის მართლებასაც თავი დაანებო. ხმა! კრინტიმეთქი! კრინტი აღარ გავიგო შენი, სანამ სულ არ გავგიჟებულვარ!

მერე ელისოს მიუბრუნდა:

- ელისო დეიდა, როგორა ვთქვა და არც შენა ხარ მართალი. შვილი თუ გაგიქსუვდა და აღარა გვკადრულობს სოფლელებსა, შენ მაინც დაგებარებინე! ქათმები ეგრე რომ მოგიგროვებია ამ შუა ზამთარში, იქნება ამათ შეთხელებას ერიდები? ჩემმა მზემ, საქმე ასე წინ ვერ წავა, ან თავი არ გენანება, ან საკენკი?

- უი, შენ დაბერდი, ბესო, ეგრე სასაცილოდ, - ქოქოლა მიაყარა ელისომ.

- მე ჩემი მითქვამს და...

ბავშვობის მეგობართან შეხვედრამ გული გაუნათა დემნას, მოქამული გუნება გადაუწმინდა, ისეთი შვება მოჰგვარა, კარგა ხანია, რომ აღარ ეგრძნო. რაც სოფელში ჩამოვიდა, რაც თავის კომლობას დაუბრუნდა, ასეთი ხალისიანი არა ყოფილა. უაზრო, უგუნურ აკვიატებად მოეჩვენა თავისი განდეგილობა, ისევ მოწყურდა ხალხთან ურთიერთობა, ხალხში გარევა მოუნდა - უცნობისა თუ ნაცნობის ნახვა, ალიანთან და ჩალიანთან საუბარი. და უფრო მეტად მონატრა თბილისი... თუმცა იმაზე ფიქრს ეხლა თავი დავანებოთ და აქაურობას მივხედოთ.

აი, ბესო ვერაფერს შეუცვლია, კვლავაც ისეთია, როგორიც ახსოვდა: მკვიდრად ნაქსოვი, სახსაღაჯისგან გამოთლილი - თუ მოინდომებს, გოხ მარილს დანაყავს თავით.

- ისევ ის ბესო ხარ, - უთხრა ღიმილით, - წლები არც გარეგნობაზე დაგტყობია და არც ჭკუაზე.

- ქალაქის წყალმა იცის ეგ, ბიჭო, ქალაქის წყალი ათეთრებს და ალამაზებს ადამიანს შენსავით. აბა ჩვენ რა შეგვცვლის, დღენიადაგ მზის გულზე ვყრივართ, ქარი გვაშრავს და თოვლ-წვიმა დაგვდის თავზე.

- კარგი, ჰო, ნუ მოისაწყლე თავი.

- მართლა, მართლა. მაგრამ შეცვლაზე თუ მიდგა საქმე, არც არაფერში მჭირდება, განა უმაგისოდ როგორი ბიჭი ვარ! დამიწუნებს ვინმე?

- არავინ. მაგის შიში ნუ გექნება: შესახედავად ვინმე დამიწუნებსო. შენ ჭკუა თქვი, გარეთ მტერს რომ სთხრი თვალსა, შინ - მოყვარეს. დაიცა, აი, დავსხდეთ სუფრასთან, შენ შენი ხელადა მოიდგი გვერდით, მე ჩემსას მოვიდგამ და მერე ვილაპარაკოთ ერთმანეთის დაწუნება-არდაწუნებაზე. - დემნა სიხარულისგან პატარა ბიჭივით იყო აღტაცებული, ტუჩების ერთმანეთთან მიტანა უჭირდა.

- შენი სიყრმის ჭირიმე, - მოეხვია ბესო, - ეგრე რაა, კაცო, საქმით თუ აღარა ვარგიხარ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიტყვით მაინც მასიამოვნე! მაგრამ საღამომდე უნდა გავძლოთ, საღამომდე უნდა მოვითმინოთ. არ გეწყინოს და ისეთი საქმე მაქვს, რომ არ ეღალატება, გადადებული კიდევ, შენც იცი, ეშმაკისაა. რა გვეჩქარება, ძმაო, იმხელა ღამე ჩამოდგება, ორჯერ დათრობა-გამოფხიზლებასაც მოვასწრებთ.

- თავისუფლად.

- ჰოდა, მამაჩემის გამოგზავნილი ვარ აქა: ან ამ საღამოს გადმოვიდეს, ან არადა, ჩემი სახელი აღარ ახსენოსო, ვითომ თავის დღეში არა ვცნობივარო. აბა წავედი.

- რას ამბობ, ბიჭო, სად წახვედი? - მოაჯირს გადმოადგა ელისო, - ეგრე როგორ გაგიშვებთ?!

- არა, ელისო დეიდა, ჩემმა მზემ, მართლა არა მცალია, თორემ როდის იყო, ბესო სმაჭამაზე უარს ამბობდა.

არ იქნა და არ დარჩა: რა ვქნა, საქმეს ვერ დავაგდებო, სმას მერეც მოვასწრებთო და ჭიშკარი გაიხურა. გზიდან კიდევ ერთხელ მოუტრიალდა დედა-შვილს:

- ელისო დეიდა, მაგას ვერ ვენდობი, თუ თვითონ არ წამოვიდეს, ძალით გამოაგდე იცოდე!

ახლად შემგლიფერებულზე გადავიდა ბესოსთან. მეგობარი ეზოში შემოეგება, კიდევ ერთხელ გადაეხვია და გადაკოცნა, მიესიყვარულა. ბეჭებზე ხელებს უთათუნებდა და, რაც აქამდე არ მიკოცნია, ერთბაშად უნდა ავინაზღაუროო, ეხუმრებოდა -ეტყობა, უკვე გადაეკრა ცოტა. მათ გარშემო შილიფად ჩაცმული ბესოს უფროსი ბიჭი დახტოდა და გაკვირვებული შესცქეროდა სასაცილოდ ახუნტრუცებულ ძმაკაცებს. თავიდან არა უშავდა რა, თითქოს ართობდა კიდეც იმათი საქციელი, მაგრამ მერე და მერე ველარაფერი საინტერესო დაინახა ამ ხნის ხალხის ლაზღანდარობაში და გადაწყვიტა, თავი შეეხსენებინა სტუმრისთვის:

- დემნა ძია, დემნა ძია, - სახელო ჩამოქაჩა.

- რაო, დათო, რა გინდა? - თმა მოუჩეჩა დემნამ.

- მანქანის ტარება შეგიძლიან შენა, მანქანისა?

- დიდისა არა, მძიმეა. პატარა მანქანის ტარება შემიძლია, ავიღებ ხელში და ხან აქეთ ვატარებ, ხან იქით.

- იიიჰ, რანაირი ლაპარაკი გცოდნია, ე! - აიმრიზა, მაგრამ რისთვისაც დაიწყო ეს ლაპარაკი, მაინცა თქვა:

- იცი? მამამ ახალი მანქანა იყიდა, აგერ!

- ამ მანქანაზე ამბობ, ბიჭო? - დემნამ სახლთან მდგარ მწვანე „მოსკვიჩზე“ მიუთითა, - კი არ იყიდა, მე ვაჩუქე, შვილო, არ გითხრა მამაშენმა? ოხ, რანაირი კაცია ესა!

დათომ ეჭვიანად შეხედა ჯერ ბესოს, მერე დემნას და ერიჰა, რეებს ამბობს სტუმარიო?! - გაუკრთა პატარა თავში. მერე ვეღარ მოითმინა, მამა უფრო სანდოდ მოეჩვენა და იმას ჰკითხა:

- ნამდვილად, მამა ნამდვილად მაგან გაჩუქა?

- ჰო, შვილო, მართლა მაგის ნაჩუქარია. ხომ ხედავ, ჩემთან შედარებით რამხელაა, თვითონ პატარა მოუვიდა და მე მაჩუქა, - ახარხარდა ბესო.

ეეეჰ, თქვენცა ხართ, რაა!

ბიჭი განაწყენებული წავიდა შინისკენ. უფროსებიც კვალდაკვალ მიჰყვნენ.

ბესოს მამა, აი, ეს ვეება და ერთი შეხედვით მოუხეშავი კაცი, ოდესღაც თბილისში ცხოვრობდა. თურმე ისეთი ხანაც იდგა ჩვენში, როცა ახალგაზრდებს ეხვეწებოდნენ, აძალებდნენ კიდეც, ქალაქში ჩამოდით საცხოვრებლადო. ჩამოდით, ჩვენი სურვილისამებრ ისწავლეთ, განათლდით, იმუშავეთ და მერე ერთად ვაშენოთ ახალი ყოფაო. ეს წინათ ყოფილა, დიდი ხნის წინათ. და დაიძრა თურმე ხალხი დასავლეთიდან თუ აღმოსავლეთიდან ქალაქისკენ. *„იქ წავიდეთ, ქალაქშია, ვიქირაოთ კომნატაო, ტაშტი-ტუშტი, ლამფის შუშა შევიძინოთ ბლომადაო“*, ამგვარად და ამის მსგავსად ეხმიანებოდნენ ახალი ერის მაშენებლები ერთმანეთს.

დათიკო ძიას რომელიღაც ინსტიტუტში თუ მუზეუმში უმუშავია უმცროს მეცნიერ მუშაკად. იმხანად, ალბათ, თავისი ცხოვრების სულ სხვანაირად მოწყობას ფიქრობდა და იმ რაღაც-რაღაცების ბლომად შეძენაცა ჰქონდა უზურში, ლამპის შუშა იქნებოდა ესა თუ ქვაბქოთანი, მაგრამ ერთხელაც, ყველასთვის მოულოდნელად /მიზეზი დღესაც არავინ იცის/, დაუკრავს ფეხი და დაბრუნებულა უკან, სოფელში. ამ წასვლა-მოსვლიდან კი ის უტყუარი დასკვნა გაუკეთებია, რომ საკუთარი თავისთვის კეთილისმსურველი კაცი, თუ ცოტა ჭკუა უჭრის, უნდა ეცადოს, იქ დაიმარხოს, სადაც დაიბადაო. აქ, ამ მაგიდასთან მსხდომ ბიჭებსაც თავის დროზე იმავე აზრს უჩქედავდა გონებაში - ერთმა დაიჯერა, მეორემ - არა. და ამით ბევრი ვერაფერი მოიგო. თუმცა ახლა შეგონებები დავიწყებოდა, მაგიდას ორივე იდაყვით დაყრდნობოდა და სიცილს ძლივს იკავებდა იმის წარმოდგენაზე, თუ როგორ იჯდებოდა კალამმომარჯვებული ვიწრო, მოუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხერხებელ კაბინეტში რამდენიმე თანამშრომელთან ერთად ეს დაძარღვული, ჭაღარაჯაგარმორეული კაცი და იმეცნიერმუშაკებდა. არა, რაც მართალია, მართალია, დროულად უშველია თავისთვისო, ფიქრობდა ღიმილმოძალებული.

მათ პურობას უკვე იმ ზომისთვის მიეღწია, როცა მეინახეებს საკუთარი საფიქრალ-სადარდელი, საკუთარი საწუხარი განყენებულად, ზოგადად ეჩვენებათ და ამიტომაც მასზე მსჯელობა ეადვილებათ, აღარ უჭირთ.

– ამ ჭიქით აემ ბალღების სადღეგრძელო მინდა დავლიო. ამათ გაუმარჯოს, ჩვენს იმედსა და სიხარულსა. ჩვენზე ბედნიერები ამყოფოს ღმერთმა, ომი და გაჭირვება არ ანახოთ. ამათი მეთაურობით კიდევ, რაც ქვეყანაზე ბავშვებია, სუყველასი კარგად ყოფნა იყოს. – ყოველდღიურად დაზეპირებული სიტყვების თქმა არ გაჭირვებია დათიკო ძიას.

პაპის სადღეგრძელოზე ბესოს უფროსმა ბიჭმა ყურები ცქვიტა, ჰარიქა, ნათქვამი მე მეხება და არაფერი გამომრჩესო. მეორე, ძუძუთა, ტახტზე ჰყავდათ გაგორებული. ტიროდა, ვერაფრით გაეჩუმებინა დედას და იქნება იმისი დამსახურება იყო, სწორედ ახლა რომ დალია ბავშვების სადღეგრძელო პაპამისმა.

– გაუმარჯოს, – თქვა დემნამაც და ჭიქა დაცალა. უჰ, კარგი იყო! ამ კომლში ყოველთვის მშვენიერი ღვინის დაყენება იცოდნენ.

დათიკო ძიამ ქეშად აათვალ-ჩაათვალიერა:

– ჰაიტ, შე სახეძაღლო, როგორ გადაჰკარი! უცბათვე შეგეტყო, ბავშვების ყადრი რომ არ იცი.

– აბა რა ვთქვა ამის შემხედვარემ, – უფროს ბიჭზე ანიშნა დემნამ, – რაც კი აქამდე სადღეგრძელო მითქვამს, ყველა გაახუნა, ამის ღირსი არცერთი არ არის, ყალბი მეჩვენება.

– ეგა? ოოო, ეგ რა ეშმაკის ფეხია, რომ იცოდე! ბესო ხომ გახსოვს რა ღვთის გარეგანი იყო, მაგრამ, მაგის ოინები რომ გაგაგებინა, მამამისი ბატკნად მოგეჩვენებოდა.

– მაგის გამო ხომ არ წაუთაქებენ ხოლმე კიდეც?

– წაუთაქებენო? ეგ რა არის, შენ ის იკითხე, რამდენჯერ დაუფუჭდა და რამდენჯერ დავუცვალეთ უკვე ყურები.

– მართლა, დათო? მართლა, კაცო? – ჰკითხა დემნამ სერიოზულად. არც ბიჭი იყო ხუმრობის განწყობაზე: ჯერ წეღანდელი წყენაც არ დავიწყებოდა, დაკოხილი ქვეშ-ქვეშად უყურებდა მამის მეგობარს.

– შენა? – დემნას მიუბრუნდა ბესო, – შენ როდემდელა უნდა იარო ეგრე ცალად?

– რა იყო, რა მეჩქარება, ეგ არის და დავბერდი? – უხერხულად შეიშმუშნა დემნა.

– რას ამბობ, შვილო, როგორ თუ რა გეჩქარება?! – ისევ ცერად შეხედა დათიკო ძიამ, ეტყობა, იმისი სიტყვა-საქციელი მაინცადამაინც არ მოსდიოდა ჭკუაში, – პატარა კი აღარა ხარ, დრო მიდის, განა მოდის?

– მართალი ხარ, ჯერ რა გეჩქარება, ჯერ ცოტა ძვლები გაგიმაგრდეს, იქნება შენც კაცს დაემსგავსო და მერე... – სიცილმა აღარ დაამთავრებინა სათქმელი ბესოს.

– რა ვქნა აბა, მჯობიხარ და გეთქმის კიდეც. აჰა, ძმაო, გნებდები, – თქვა დემნამ და ხელები მართლა წაიღო მაღლა. მერე დათიკო ძიას მიუბრუნდა: – შენ რა გგონია, განა არ ვიცი, რომ ჩემი წილი *დრო* მიდის, ხელიდან მეპარება, ჩემმა ბიჭობამაც აგერ უკვე ჩაიარა, მაგრამ ისიც ვიცი, ოჯახს სხვანაირი წელი უნდა, მაგარი. ცოლი რომ მოვიყვანო, ვის შევანახვინო, ვის დავკიდო კისერზე?

– რაო, მე სხვისი კისრის იმედით მოვიყვანე? სხვას დავკიდე კისერზე? – ცოტა არ იყოს, ეჭვიანად შეუბუხუნა ბესომ.

– მოიცა, კაცო, ერთი...

– ეგ რა მითხარი, ბიჭო, – ხელები გაშალა დათიკო ძიამ, – ვაჟკაც კაცს იმის შიშით ცოლი ვერ მოეყვანოს, რომ შენახვა გამიჭირდებაო, პირველად მესმის! ეგ რა მითხარი, კაცო! ჩვენსოფლელი მაინც არ იყო. ეგრე რამ დაგაბეჩავა, ეგრე რამ დაგიკარგა ნიათი?!

გამომცდელების წინაშე შერცხვენილ, ნირწამხდარ სტუდენტს დამგვანებოდა დემნა, ისინი ალთას რომ ეკითხებოდნენ და ეს ბალთას პასუხობდა. თავჩაღუნულს გასამართლებლად ენა ვერ მოეტრიალებინა. ჯერ ისე მთვრალი არ იყო, კამათი დაეწყო და გულში ჩაბუდებული ბოღმა და საწუხრი ამათთვის გადაეშალა. იმიტომ კი არა, რომ ეშინოდა, დღევანდელი თანამეინახეები სხვა თვალსაწიერისა და შეხედულების ხალხია და ვერ გამიგებენო, იმის იმედი არა ჰქონდა, ჩემს სათქმელს ვინმეს ზუსტად და სრულად, გასაგებ ენაზე ვეტყვი, ესენი იქნებიან თუ სხვებიო.

არადა, ებრალებოდა თავი და შურდა ამათი მკაფიოდ გარკვეული ცხოვრებისა, ამათი იოლი ყოფისა. მართალია, მთელ დღეს მუშაობდნენ, ზოგჯერ შეიძლება ქანცის გაწყვეტამდეც ილლებოდნენ /და ალბათ, ამიტომაც არ ეცალათ შემაღონებელი კითხვების დასმისა და მათი პასუხების ძიებისთვის/, მაგრამ ყოველთვის, თითქმის ყოველთვის, იმ საქმეს აკეთებდნენ, რაც თვითონ ეხალისებოდათ, რასაც თვითონ თვლიდნენ საჭიროდ. მერე დაბრუნდებოდნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინ და... თუმცა უფრო გრძნობდა, ვიდრე სრულად ჰქონდა გარკვეული მათი ცხოვრების ნირის მიმზიდველობა. და ამ წუთში ის ფიქრი აიმედებდა, რომ, მცირეოდენი გამონაკლისის მიუხედავად, ასე იყო, ასე არის და ასე გაგრძელდებოდა ადამის მოდგმის ყოფა და არსებობა.

წასვლა მოუნდა აქედან და ამ ფიქრის თან წაყოლება. შიშობდა, თუ დიდ-ხანს დავრჩები, ვაითუ ეს განწყობილება განქარდეს და აქაური სიკეთის ნაწილის გაყოლიება სამომავლოდ ვერ მოვახეროო. უცებ წამოდგომა და გაქცევა არ გამოდიოდა, მაგრამ ცოტა ხნით მაინც უნდა მოეხერხებინა მარტო დარჩენა, რომ სანამ გუნება შეეცვლებოდა, ეს მყიფე კმაყოფილება ხელში არ შემომსხვრეოდა და ამდენი წიდიდან გამორიდებული ჭეშმარიტების პაწაწა ნამცეცი დინებისთვის არ გაეყოლებინა. ერთი წუთით ჰაერზე გავალო, სთხოვა მეინახეებს, გარეთ გამოვიდა და ღვინისგან გახურებული თავი ვარსკვლავებით მოჭიქულ ზეცას შეუშვირა. იშვიათი შუქი იდგა მთვარისა, იმას ამოევსო სივრცე, კაცი იფიქრებდა, ჰაერის ნაცვლად მთვარის ნათელს ვისუნთქავო. მხრით კედელს მიეყუდა, სიგარეტს მოუკიდა და ზამთრის მოწმენდილ ცას შეხედა.

დემნა, - უთხრა საკუთარ თავს, - რაც უნდა მძიმე წუთისოფელი გქონდეს, შენ მაინც შენი ამჯობინე, სხვისი ცხოვრებით ნუ იცხოვრებ, თორემ უარესობა არ აგცდება.

როგორც ეტყობა, ბოლოს ყველა ზღაპარს ახდენა უწერია, /ამის თქმის უფლება და საფუძველი მეცა მაქვს და კაცობრიობასაც/. მაგრამ რის მოთხრობასაც ახლა ვაპირებ, ეგებ ჯერ არც უნდა ვყვებოდე, ეგებ თავი უნდა შემეკავებინა და სამომავლოდ გადამედო, უფრო სწორად, ჩემი შორეული კოლეგისთვის დამეცლია, თუკი მაშინაც იქნებიან მეზღაპრეები. თუმცა რაც არის, არის, ალბათ, სჯობს კიდეც, აქედანვე თუ შევეგუებით ეგეთ რაღაცრაღაცებს. ისე, კაცმა რომ თქვას, ეს არც არის ნამდვილი ზღაპარი, იგი მომავალში მოსაყოლი ზღაპრის მოკლე შინაარსია.

იყო და არა იყო რა... ოჰ, არა, არა, ეს უკვე აღარ შეეფერება, ზედმეტია. ამჯერად რაციონალურნი უნდა ვიყვნეთ და პირდაპირ დავიწყოთ: კაცობრიობას, ვერ ვიტყვი დამსახურებულად-მეთქი, მაგრამ ნამდვილად დაუდგა ნანატრი და უზრუნველი ხანა, აღარ არსებობდა სიცოცხლის მარადიული მტერი - სიკვდილი. ადამიანებმა დაიმორჩილეს ანტისამყარო. როდესაც კაცი დაბერდებოდა, ანტისამყაროში გაგზავნიდნენ, იქ უკუსვლით მიჰყავდათ ახალგაზრდობამდე და ისევ დედამიწაზე აბრუნებდნენ. და ასე მრავალგზის. რაღა თქმა უნდა, ამან დედამიწის მოსახლეობის სტაბილიზაცია გამოიწვია, შეწყდა გამრავლება - რადგან აღარ იყო სიკვდილი, აღარ იყო საჭირო დაბადებაც. იდგა მარადიული ნეტარებისა და ბედნიერების ჟამი. მაგრამ ეშმაკს მაშინაც არ ეძინა: აქაც გამოჩნდა რამდენიმე უცნაური ადამიანი, ჩამოაყალიბა ცალკე პარტია და მოითხოვა ამ წესის გაუქმება. ამტკიცებდნენ: ყოველივე ეს ეგოიზმია, ჩვენ ხომ ჩვენი მომავალი თაობის არსებობის, ჩვენი ჯერ დაუბადებელი შვილებისა და შვილიშვილების სიცოცხლის ხარჯზე ვცოცხლობთო...

აბა რა ენა უნდა მომიტრიალდეს, მომავალზე ვთქვა: ჭირი იქა, ლხინი აქა-მეთქი...

დემნა მალევე შემობრუნდა ოთახში. ბესოს უმცროსი ბიჭი ისევ ჭირვეულობდა. ბებია და დედა უნანავებდნენ, ათირებდნენ, აქეთ-იქით დაატარებდნენ, ის კი უფრო და უფრო უმატებდა ტირილს.

- რა იყო, რა დაგემართათ, ხალხო, ორმა ქალმა ერთ ბავშვს ვერ უნდა მიხედოთ? - გაეძრახა ბესო, - მაშ, ვერა ხედავთ, რომ ეძინება? აჭამეთ და ჩააწვინეთ აკვანში.

- ვითომ შენ ჩვენზე მეტად გაწუხებდეს! - მწყრალად გამოხედა მეუღლემ, - ჯერ არა აქვს ჭამისა და ძილის დრო, იმიტომ არ ვაწვენთ.

- ესენი გამაგიჟებენ! რას ჰქვია, ძილის დრო არა აქვსო, - გაბრაზდა ბესო, - თქვენ მაგაზე კარგად იცით, როდისა აქვს ძილის დრო და როდის არა? მიუშვით თავის ნებაზე, როცა გაიზრდება, განა მერე კი არ ეყოფა სხვის ჭკუაზე სიარული?

- რაც შენა ხარ სხვის ჭკუაზე მოსიარულე, ესეც ის იქნება, - ჩაიღიმა ცოლმა.

მეორე ოთახში რომ გაჰყავდათ დასაძინებლად, დათო ეშმაკური კი არა, ლამის დამცინავი ღიმილით შეეკითხა:

- დემნა ძია, ამხელა კაცს მართლა არა გყავს ცოლ-შვილი?

- ჰაიტ, შე მგლის ლეკვო, შენა! - დაუტია პაპამ.

დემნას გაეცინა:

- უყურეთ ამ ეშმაკის ფეხს! ეგრე როგორ იმსგავსა მამამ.

- რაც გინდა თქვი და ნამდვილად ალღოიანი ბალღია, - შავი თვალები აუციმციმდა დათიკო ძიას, - შენი ხნისა მე სამი შვილის მამა ვიყავი.

- ეეეჰ, მაშინ სხვა დრო იყო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

- მეც მანდა ვარ, რომ სხვა დრო იყო და სხვა გაჭირვება გვედგა კარზე. თქვენ წიგნებიდან იცით რაღაც-რაღაცები, ჩვენ კი თვითონ ვიწვნიეთ ეგ ყველაფერი, ჩვენ გადაგვეყვლიფა ზურგები. წიგნში წაკითხული იოლად ავიწყდება ადამიანს, ეგრე არ არის?

დიახ, ამხანაგო! არის, ამხანაგო! ფიზიკურ შრომაში მოგყვები მხარდამხარ, ამხანაგო! კითხვების დასასმელად და პასუხების საძიებლად არა მცალია, ამხანაგო!

ხმამაღლა კი თქვა:

- აბა რა გითხრა, დათიკო ძია, ეგრეა და არც არის ეგრე. გილხინდათ-მეთქი, რა წამომაცდენს, როცა კაცს ადამ და ევადან მოყოლებული შევება არასოდეს უგრძვნია, მაგრამ ისიც სათქმელია, რომ მაშინ ყველას ერთნაირად გიჭირდათ, ყველანი ერთ უღელში იყავით შებმულნი და სამართლიანი იყო თუ რაც იყო, ერთ საქმეს ადექით...

- ჰო, ბიჭო, ერთ საქმეს ვადექით...

- მაცალე, მაცალე, ჯერ მე დავამთავრო, - გააწყვეტინა დემნამ. იგრძნო, რომ ძალიან ღრმად მიტოპავდა, მაგრამ უკან დახევაც აღარ შეიძლებოდა, მოეჩვენა, გაღმა ნაპირი უფრო ახლოს იყო, თავთხელიც ჩანდა და აჯობებდა, იქით გასვლა ეცადა: - თქვენ გწამდათ იმისა, რასაც აკეთებდით, გიყვარდათ, რასაც აკეთებდით... ამჟამადაც, რაც გიყვართ, იმ საქმეს ეჭიდებით და მაგით მჯობიხართ! განა მე კი მთლად წყალწაღებული ვიყავი? მეცა მქონდა საყვარელი საქმე, მეც ვოცნებობდი, იმისთვის შემეწირა ყველაფერი, მაგრამ ერთხელ, კამათის დროს, როცა ჩემმა სათაყვანებელმა პროფესორმა, ჩემმა ხელმძღვანელმა მითხრა: ძალიანაც ნუ გააჭენე, ხომ არა გგონია, დღეს მართლა ვინმეს აინტერესებს შენი ეთნოგრაფიაო, ხუმრობად მივიღე. გაოცება რომ შემატყო, უფრო დალაგებულად განმიმარტა: აბა რისი გამკეთებლები ვართ, ვის რაში გამოვადგებით, რა მატერიალურ ღირებულებასა და დოვლათს ჩვენ ვქმნითო? ასეთ ვითარებაში ღირდა იმხელა კაცის მომდურებაო? - წინა დღით ჩატარებულ საკავშირო კონფერენციაზე ჩემი სიმართლის დასაცავად შეხლა-შემოხლა მომიხდა ზომაზე მეტად /ან ეგ ზომა ვინ დაადგინა?/ და იმას მახსენებდა: რამე აზრი რომ ჰქონდესო, მითხრა, კიდევ ჰო, მაგრამ შენ თვითონ დაფიქრდი, მერვე საუკუნეში ქართველებმა მართლა გააუმჯობესეს გუთანი თუ არა, ამისი მტკიცება დღეს ვის რას მისცემს? იმ კაცის გადაკიდებით კი არც შენ დაგადგება კარგი დღე და არც მე. აქედანვე თუ ხალხს თავი მოაძულე, რისი იმედით აპირებ დისერტაციის დაცვას? დაფიქრდი და კარგად აწონდაწონე ყველაფერი. ამჟამად ჩვენი მეცნიერება პურის საჭმელად გამოდგება მხოლოდ. დაიცავ დისერტაციას, მიიღებ ხარისხს, დაიკავებ შენს ადგილს ცხოვრებაში /ისემც რა გითხარით!/ და იქნები უზრუნველად. თანაც გულახდილად უნდა გითხრა, თავიც რომ მოიკლა და ქვეყანაც შეიძულო, შენი ნიჭის პატრონი კაცი კი არა, გენიოსიც ვეღარ მოახდენს ჩვენს დარგში რევოლუციას...

- მერე? - ვეღარ მოითმინა და მაგიდას მუშტი დასცხო ბესომ, - მერე შენ რა უთხარი?

- რა უნდა მეთქვა?

- როგორ თუ რა უნდა გეთქვა, ვერ მითეთქვე გემოზე?

- ვინა, კაცო?!

- არაკუნებ! - საფეთქელთან თითი დაიტრიალა დათიკო ძიამ, - მაგ საქმეს მითეთქვა რომ შეელოდეს...

- მაინც, მაინც რა უპასუხე?- ბესოს მამის ნათქვამისთვის ყურადღება არ მიუქცევია, დემნას შეჰყურებდა დაჟინებით, - ტაში არ დაუკარი, სწორი ხარო?

- რა უნდა მეთქვა, - მხრები უძლურად აიჩეჩა დემნამ, - იქნება ის კაცი ჭკუას მართლა კეთილი გულით მარიგებდა, იქნება მართლაც სწორი იყო და ჩემს აქეთ-იქით უაზრო წყვეტებას არა ჰქონდა გამართლება.

- რეებს ამბობ, ვერან? რას ჰქვია იქნებაარიქნებაო, არ გამაგიჟო და არ მითხრა, ჩემი სიმართლისა თვითონვე არა მჯეროდაო. - ბავშვობისდროინდელი ბესო გაახსენდა დემნას.

- მაშინ მჯეროდა, მაშინ ნამდვილად მჯეროდა.

- ეხლა რაღა ღმერთი გაგიწყრა?

- იმის მერე ბევრი რამე მასწავლა ცხოვრებამ...

განყოფილების უფროსს ერთი შეხედვით უქმურობას ვერავინ უსაყვედურებდა, დაბალი, სქელულვაშიანი კაცი უტუჩო პირით თუმცა ხშირად იღიმებოდა, მაგრამ, აი, კისერდაბერილი სამეფო კობრა რომ გაიღიმებს, ისე. დერეფანში რომ ჩამოივლიდა, ჯერ არსად ჩანდა და შიში კი, ჰადესის სუსხის მინაგვანი შიში, კარგა შორიდან მიუძღვოდა წინ. დემნას რამდენიმე თვის დაწყებული ჰქონდა მუშაობა, ხმა რომ დაირხა: შტატებს ამცირებენო. ატყდა ერთი ჩურჩულ-კურკური, ერთმანეთის ნაკლის გამომზეურება, ერთმანეთის ძრახვა პირში და პირსუკან.

თანამშრომლები კიბის ბაქანზე იდგნენ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიგარეტს ეწეოდნენ. დემნა წესიერად არც კი მიახლოებოდა, მთავარმა ბუღალტერმა რომ ჰკითხა:

- რაო, ბიჭო, შენი უფროსი შენც ხომ არ გიპირებს შემცირებას? - იმას რა ენაღვლებოდა, იმას ვინ ახლებდა ხელს.

- ისე როგორ შემამცირებს, რომ ამხელა კაცი იმისი ტოლი მაინც აღარ დავრჩე? - გულუბრყვილოდ იხუმრა დემნამ, მაგრამ თანამშრომელთა რეაქციაზე მიხვდა, ვერაფერი შვილი ანგლობა გამოუვიდა.

ცოტა ხნის მერე მისი მაგიდის მოზიარემ წაულაპარაკა:

- რა ღმერთი გაგიწყრა, ენას ვერ გააჩერებ?

- რა მოხდა, რატომ მეუბნები? - დემნას უკვე დავიწყებოდა წელანდელი ოხუნჯობა.

- აქ ვინ იყო, ვერ დაინახე? - კუთხეში მდგარი ქალი გაახსენდა.

- მერე?

- რაღა მერე! თქვი თუ რა, ფოსტის მტრედივით შეიფრთხიალა, ასე, აი, - იდაყვში მოხრილი ხელები დაიქნია, - და გაფრინდა, სადაც საჭიროა.

კიბის ბაქნიდან უფროსის კაბინეტამდე რა ისეთი დიდი მანძილი იყო!

- იმის მერე ბევრი რამე მასწავლა ცხოვრებამ, - თქვა დემნამ და ოდნავი, სულ ოდნავი ოხვრა ამოაყოლა სიტყვებს, - თუნდაც ის, რომ, რა საქმესაც დაადგები, იმ საქმეში ისეთი რამის შექმნა უნდა მოახერხო, სხვას რომ გაუჭირდება, სხვა რომ ვერ შესძლებს. არადა, უნდა ადგე და სულ დაანებო თავი.

დათიკო ძია ამრეზილი უყურებდა:

- ბიჭო, შენ რა გადაკიბულადა ლაპარაკობ? ხან აქ ამოჰკრავ და ხან იქა. რაო, მაშ, აღარაფერი უნდა გააკეთო? იფ, შენი გულისა! რა კარგი გამოსავლისთვის მიგიგნია!

- აბა სხვათა მსგავსი გინდა გიკეთებია და გინდა არა, - ჯიუტობდა დემნა.

- ჰო, სხვათა მსგავსება მართლაც რა საკადრისია, ვეჟო, შენთვის, - თვალმოჭუტული შეჰყურებდა დათიკო ძია, - აბა შენ სხვათა მსგავსი რამე როგორ შეგეფერება, მაგრამ ჩვენ, პატარა ხალმა, ვისაც ეგეთი გამორჩეულობა არ შეგვიძლია, რა ვქნათ, თავები დავიხოცოთ? ჩამდინარ წყალს გავყვეთ? გულზე ხელები დავიკრიფოთ და აღარაფერი ვაკეთოთ? რას გვირჩევდი, ჰა?

- მე რა რჩევის მომცემი ვარ, ყველამ თვითონ უნდა უსაშველოს თავის თავს, თავისი მკვდარი ყველამ თვითონ უნდა იტიროს. - ძალზე როყიოდ გამოუვიდა დემნას ნათქვამი.

- ეტყობა შენ უკვე მიაგენ მაგ წამალს, არა? და სხვისი დახმარება აღარ გჭირდება, - დათიკო ძიამ მხარი ყურამდე ისე აიწია და შეათამაშა, თითქოს დემნას ნათქვამი აბეზარი ფრაზა უნდა მოიშოროსო, - ე როგორ გამოცვლილხარ შენა, ე რანაირი ლაპარაკი გისწავლია?! თურმე სულ სხვა ჭია გიჭამს სულსა და მე ცოლის მოყვანასა და დაოჯახებაზე გესოლბოითლებოდი... არა, არ მომწონხარ ეგეთი. გავიგე, მაგრამ იქნება უფრო კარგად განგვიმარტო, რა გინდა, რომ გვირჩიო? ის, ვინც გამოჩინებული და ღვთითკურთხეული ნიჭით არ არის დაჯილდოებული, დიდ-დიდ საერო თუ სასულიერო საქმეს არ ეჭიდება, გინდა ყოფილა და გინდა არა ქვეყნიერებაზეო? არ კი უფიქრდები, ანდა სულაც ფეხებზე გკიდია, მაგ სიტყვებით რამდენ ვინმეს აყენებ შეურაცხყოფას. ქართველებს სასიქადულოსა და საამაყოს რა გამოგვილევს, რაღა შორს წავიდეთ, მოგვწონს ჯვარი და ალავერდი და იმათ ხუროთმოძღვრებსაც პატივსა სცემ, ალბათ. რა თქმა უნდა, არც იმას ივიწყებ, ვინც თანხა გაიღო, ახლანდელი სიტყვებით რომ ვთქვათ, ვინც დააფინანსა ის მშენებლობა, მეფე იყო თუ ერისმთავარი. იმათ აფასებ და ღირსნიც არიან, მაგრამ იმ კალატოზებმა და ქვისმთლელებმა რა დააშავეს, გათენებიდან დაღამებამდე ლოდებს რომ ეჭიდებოდნენ. თითოეულ მათგანს რომ ის ეფიქრა: ან დიდი უნდა ვიყო, ან ამ მშენებლობაზე ჩირთიფირთს მოვეშვაო, თითოეულ მათგანს საკუთარი ტაძრის აშენებაზე რომ ეზრუნა მხოლოდ, დღეს არც სვეტიცხოველი გვექნებოდა და არც გელათი. რუსთაველის მადლს ვენაცვალე, ქვეყნად იმაზე დიდი ვინ დაბადებულა! მაგრამ ნურც იმ თვალებდაშრეტილი გადამწერლების ამაგს დაივიწყებ, გრძელ ღამეებს სანთლის შუქზე რომ ათენებდნენ. ყოველ მათგანს რომ ეფიქრა: ვინ რუსთაველი, რა რუსთაველი, მე ჩემი საკუთარი პოემა მაქვს დასაწერიო, მოაღწევდა კი „ვეფხისტყაოსანი" ჩვენამდე? აქ გაზრდილი მაინც არ იყო, სიღნაღის გალავნის სიახლოვეს! არ უნდა იცოდე, რომ მაგ გალავნის ასაშენებლად ხურდა ქვაც ისეთივე საჭირო იყო, როგორც მსხვილ-მსხვილი ლოდები? რამდენი გითხრა კიდევ, რამდენი ჩამოგითვალო... ჩადი თბილისში და იმ შენს მასწავლებელს მოახსენე: ჩემს სოფელში ერთი უბირი ნაცნობი მყავს /ოღონდ არ დაგავიწყდეს, კაი მიწის მუშააო, ისიც რომ უთხრა/, თავის დროზე თვითონვე არ მოინდომა, თორემ მოახერხებდა და ერთი-ორ შენისთ-

ანა მეცნიერსაც ჩაისვამდა უკანა ჯიბეში-თქო. ჰოდა, აი, იმ ნაცნობმა ეგრე სამართლიანად თუ უსამართლოდ გამჯორა და შენთანაც ეგრე დამაბარა: შე გაფუჭებულო, შენა, ახალგაზრდებს გზა-კვალს რად ურევ-თქო. მერე ადექი, შენს მეგობრებსაც მოუყევი ჩემი ნათქვამი და იმათ პასუხს დაელოდე, ვნახოთ, რას გეტყვიან.

ხდება ხოლმე, კაცს თავისი ნაქადაგევი ისე მოეწონება, ისეთ ჭეშმარიტებად მოეჩვენება, რომ დარწმუნებულია, რაც უნდა ეცადონ, საწინააღმდეგოს დამტკიცებას ველარავინ შესძლებსო. ის კი არა, საკუთარი ნააზრევით მოხიბლულს ვერც წარმოუდგენია, შეპასუხებას თუ ეცდება ვინმე. ამიტომაც იყო, ჩაფიქრებულმა დემნამ თავი რომ წამოსწია და რაღაცის თქმა დააპირა, დათიკო ძია პირში ეცა და ლაპარაკი არ დააცალა:

– რაო, არა ვარ მართალი?

– თავისებურად შენც მართალი ხარ, როგორ არა, მაგრამ...

– რა მაგრამ, რაა? – წამოიყვირა დათიკო ძიამ და ისეთმა ცეცხლმა აუკიაფა თვალები, აქ მსხდომთ რომ არა სცოდნოდათ, ამ კაცს გაავება არ შეუძლიაო, იქნება გულანჩხლ და ღვთის გარეგან ადამიანად მოსჩვენებოდათ.

– რომ გითხრა, არც იმასა აქვს რამე მნიშვნელობა, რაც ღვთივკურთხეულმა რუსთაველმა ან ალავერდის ხუროთმოძღვარმა დაგვიტოვა-მეთქი, მაშინ რა ხასიათზე დადგები? – თავისდაუნებურად სულ სხვა თემა შემოაპარა დემნას, მაგრამ ღვინომოჭარბებულებმა ვერ შენიშნეს.

– ვერ მეტყვი მაგას! აბა რანაირად მეტყვი?

– რატომ ვითომ? – ჭირვეულობა იგრძნობოდა დემნას ხმაში.

– იმიტომ, რომ ალავერდი თვალწინ გვიდგას და „ვეფხისტყაოსანი“ ლამის ზეპირად ვიცით.

– არც ეგ შველის საქმეს. ყველაფერი იქით მიდის, რომ ხვალ თუ ხვალზევით თვითონ ადამიანი გამოუყვანს წირვას, თვითონვე გააცამტვერებს, რაც აქამდე საკუთარი ხელით შეუქმნია. და რა თქმა უნდა, მარტო ჩვენთან კი არა, მთელს მსოფლიოში. ადამიანმა ააშენა და ისევე დააქცევს. კარგი და ეგეც არ იყოს, თვითონ დედამიწა როდემდე გაძლებს, ბოლოს და ბოლოს, გაცვდება და დაიშლება, ფეხქვეშ ჩაგვექცევა.

– კაცო, შენი გამკვირვებია, იქნება არ იშლება და იმ თხუნელასავით წინასწარ დავითხარო თვალები? – წელანდელ თვითდაჯერებას თითქოს ბზარი შეჰპაროდა, – ხოლო თუ დაიშლება, რაღას ვიზამ, სადაც სოფლის ნახირი, ბებრის ხბოც იქა. თუ ეს ქვეყანა აღარ იქნება, ჯანდაბას მეცა და ჩემი ცოლ-შვილიც; ნოესგან განსხვავებით, გადარჩენა არ მენდომება, კიდობნისა და საქონლის მოხოხმიკებას არ დავიწყებ. აი, „ვეფხისტყაოსნისა“ და ალავერდის განადგურებაზე კი ფიქრიც არ მინდა და ათასი შენისთანაც ვერ მაიძულებს, ამაზე ვიფიქრო.

არ უნდათ ამათ შენი აკვიატებული უპასუხო კითხვები და ძალაზე ხარ! ის კი არა, პასუხებიანადც არაფერში გამოადგებათ. იმათი ცხოვრება ოდნავ მაინც რომ გაეუმჯობესებინა, თუნდაც გაეკეთილშობილებინა, კიდევ ჰო, მაშინ კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ისე, არაფრისთვის კითხვების დასმა და მერე ამათი პასუხების ძიება, აბა სისულელედ როგორ არ მოეჩვენებოდათ?! მაინც არ დათმო დემნამ, მაინც არ დაიშალა თავისა და მამა-შვილს ყველაზე დაუცველი მხრიდან შეუტია:

– ვაი, რომ იფიქრებ თუ არ იფიქრებ, არაფერი შეიცვლება, რადგან კოსმიური *დროის* სრბოლასთან შედარებით „ვეფხისტყაოსანიცა“ და ალავერდიც არარაობაა. – დათიკო ძიას შეცბუნება არ შეიმჩნია და გააგრძელა: – როგორც მოგახსენეთ, როცა იქნება, ჩვენთან ერთად ესენიც გაქრება. ნუთუ ვერა გრძნობთ, ყოველი საათი, ყოველი წუთი საით მიგვაქროლებს და გული სიმწრით არ გეწურებათ? *დროის* სრბოლას, ყოველი წამის გასვლას არ განიცდით მტკივნეულად?

– რას ამბობ, დემნა, რატომ მტკივნეულად? – გაოცებული შეჰყურებდა ბესო, – პირიქით, როგორ გითხრა... გათენება-დაღამებას სულ თითებზე ვითვლი ხან რისა და ხან რის გამო: აი, ახლაც ერთი სული მაქვს, როდის დადგება გაზაფხული და როდის იყვავილებენ შარშან შემოდგომაზე ჩაყრილი ატმის ნამყენები, როდის მოვა მარტის ბოლო და როდის მოიგებს ხბოს ჩემი წითელი დეკეული, განა გულის ფანცქალით არ ველოდები, როდის გავა კიდევ წელიწადი-წელიწადნახევარი და აი, ის მამაძაღლი დათო როდის წავა სკოლაში? კიდევ ჩამოვთვალო? სათქმელს რა გამოლევს, მაგრამ, მე მგონია, აღარ არის საჭირო.

ჩემი ატმები... ჩემი დეკეული... ჩემი მამაძაღლი... ამათ საკუთარი აქვთ ყველაფერი, კითხვებიც კი /თუ გაუჩნდებათ/ და დავითაც იოლად დაობენ, – გუნებაში ნაღვლიანად ჩაეღიმა დემნას. ხმამაღლა არაფერი უთქვამს, იმიტომ კი არა, რომ სათქმელი გამოლეოდა, თავი დამარცხებულად მიაჩნდა და პასუხი ველარ მოეძებნა ანდა თავისი შეცდომისთვის მიეგნო და ეღიარებინა: სწორი არა ვყოფილვარო. არა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხვედრილიყო, რაცა თქვა, ისიც არ უნდა ეთქვა, რადგან აქ იმისი ლაპარაკი წყლის ნაყვას დამსგავსებოდა - თვითონ სულ სხვა მხარეს მიერეკებოდა და თანამეინახეები სხვა მხარეს. ანდა სულაც არსაით მიდიოდნენ და ტკბილად თელემდნენ არაფრის მოლოდინში. ეჰ, იქნება თანამოაზრეთა კამათში მართლაც იბადება ჭეშმარიტება, მაგრამ თუ მოკამათენი სხვადასხვა ჯიშის ხეებზე შემომსხდარან და სხვადასხვა მოტივს უსტვენენ, რა ჭეშმარიტების დაბადებაზე შეიძლება ლაპარაკი.

ახლაც ეგრე იყო.

როგორც მოგახსენეთ, იმისი კითხვები ამათ არაფრად გამოადგებოდა. თუმცა დღევანდელ დღესა და მამა-შვილს თავი დავანებოთ, წესით, თავად დემნასაც სულ ცოტათი მაინც ხომ უნდა გაჰნათებოდა თვალსაწიერი, როცა ეს კითხვები გაუჩნდა? რადგან კითხვა, სადღაც შორს, პასუხსაც გულისხმობს. მაგრამ საქმეს ის აძნელებდა, რომ ეს კითხვები თითქოს სხვა სამყაროსეული იყო, სხვა სამყაროში ჩასახული და დაბადებული, პასუხი კი აქ, ჩვენთან, დედამიწაზე უნდა გაგეცა, აქ უნდა გეძებნა და ქაოსისკენ პირნაქცევ ყოფას ეს კიდევ უფრო მეტად ჯანღავდა.

რა უნდოდა, რას ერჩოდა ამ ხალხს? საკუთარი წვრილმანი საფიქრალ-საწუხარი და სადარდელი ამათაც ექნებოდათ, მაგრამ მთლიანობაში თავიანთი მდგომარეობის, თავიანთი ყოფისა და, საერთოდ, წუთისოფლის კმაყოფილები იყვნენ. რატომ უნდა მოსულიყო ვიღაცა დემნასნაირი და თავისი ავადმყოფური შეხედულებებით ამათი ბედნიერება დაებზარა.

იჯდა მდუმარედ და ვეღარაფერს გრძნობდა, გარდა ღვინით გაჟიჟინებული, გავსილი და გახურებული საკუთარი თავისა.

წყნარი ღამე ჩამომდგარიყო - მოწმენდილი, თოვლითა და მთვარით გაქათქათებული ღამე. ჩუმად შევიდა ეზოში და კაკალქვეშ ძელსკამზე წამოწვა. ყინავდა, მაგრამ სიცივეს ვერა გრძნობდა ღვინით შეხურებული სხეული. აფორიაქებული გონება ძილზე უარს ამბობდა, საკუთარ თავთან დარჩენა და საუბარი სწადდა - ხელახლა განსჯა სხვებთან ერთად განსჯილისა.

მშვენიერ გუნებაზე იყო, თუმცა ხორცი დაღლოდა, მოჰქანცოდა წარღვნაგადატანილივით, მაგრამ თვითონ წარღვნასთან ბრძოლისა და დავიდარაბისგან კი არა, უკვე მერე, გადარჩენის უეცარი სიხარულით ჩამოჰქცეოდა თითქოს სხეული. ისიც კარგად უწყოდა, ამ უბრალო პურობის დროს უმთავრესი კითხვის პასუხისთვის, თავისი სატკივრის სალბუნისა და მალამოსთვის ვერ მიეგნო, არც იმ კარამდე მიეღწია, სადაც მკაფიო წარწერა ანათებს: „აქ ცხოვრებას თავიდან იწყებენ, მსურველებს შეუძლიათ ჩაეწერონ“.

მაგრამ ხომ არსებობდნენ ადამიანები, რომლებიც მშვიდად ეწეოდნენ თავიანთ უღელს და დღენიადაგ მდურვით არ იყურებოდნენ ცისკენ. ამისთანებთან კი არ უნდა გეკამათა, იმათი უშფოთველობით უნდა დამტკბარიყავი და, თუ დატკბობას ვერ მოახერხებდი, დაჰკვირვებოდი მაინც. ამან კი ამ სიმშვიდის აყირავება დააპირა - უნდოდა, თავისი ავადმყოფობა იმათთვისაც გადაედო. კიდევ კარგი, არაფერი გამოუვიდა.

გუნება კი ნამდვილად გამოჰკეთებოდა. ახლა უკვე გადაწყვეტით იცოდა, რომ სულ მალე თბილისს დაუბრუნდებოდა, დაუბრუნდებოდა თავის ნამდვილ საქმეს, რაც უყვარდა და რისთვისაც ღირდა სიცოცხლე. ისიც იცოდა, რომ უკვე აღარ სჭირდებოდა ოსტატი და გზის გამკვლევი, რადგან თანდათანობით, წვეთობით თვითონვე დაეუფლებოდა ამ პროფესიას. ჩვენი მოძღვრება ხომ იქ იწყება, სადაც მასწავლებლის მოძღვრება მთავრდება. ამიერიდან თვითონ უნდა ეტვირთა მასწავლებლის მძიმე ტვირთი - ოთარისთვის ნამდვილი სიყვარული ესწავლებინა, ის თოვლში აფართქალებული გოგონები კი მისნაირი მექალთანეებისგან დაეცვა, დაეფარა. ჯიბოსთვის თვალი აეხილა და ალგეთისა და მარაბდის გასაჭირი დაენახვებინა. ნაიასთვის ხელი ჩაეკიდა და გადარჩენისკენ მიმავალი ის ერთადერთი ბილიკი წყვილად ეპოვათ. თუ თავის ხსნა და შველა სურდა, ასე უნდა მოქცეულიყო. მერე კი...

მერე კი უკვე შეიძლებოდა ფიქრი იმ შორეულზეც, რომელსაც საჩუქრად მიუტანდა დედას, დიმიტრი პაპას, ბოლოს და ბოლოს, საკუთარ თავსაც.

თუმცა გეგმების დალაგება და გადაწყვეტილებათა მიღება ჯერ ადრე იყო, ჯერ ხვალინდელი დღე უნდა გათენებულიყო, სასმელი გამონელებოდა - ხომ შეიძლება, ეს სახეცვლილება დათიკო ძიას მიერ დაწურული ღვინის მადლი ყოფილიყო და ამ ღამეს თან გაეყოლებინა, ისე, როგორც ბევრ სხვას გაუყოლებია. მაგრამ ასე იყო თუ ისე, დროებითაც სასიამოვნო იყო მომავალზე იმედიანი ფიქრი.

ძელსკამიდან წამოდგა. გათენებამდე ბევრი აღარაფერი იყო დარჩენილი. რომელიღაცა უახლოესი სადგურიდან მატარებლის კივილი ისმოდა და მხოლოდ ის არღვევდა მთვარიანი ღამის თეთრ სიმყუდროვეს. ეტყობოდა, მატარ-

ნაციონალური ბიბლიოთეკა

ებელი სადღაც მიეშურებოდა და წინ დიდი გზა ჰქონდა გასავლელი, მაგრამ რა უჭირდა, რკინის ქალამნებამოსხმული რკინისავე ლიანდაგზე შემდგარიყო და გზა არსად გაუმრუდდებოდა.

აჭრილ აზროვნებაში ერთი შეხედვით უადგილო, უაზრო და უშინაარსო ფრაზა ამოტივტივდა: სისულელეა ფენიქსის ფიტულის გაკეთება, უკვდავებისგან ფიტულს ვინ აკეთებს?!

## XI

ქედის ფხაზე მიდიოდნენ. ორივე მხარეს დაქანებული, ტიტველი ფერდობები დაბლა სიბნელეში და გაურკვევლობაში ინთქმებოდა. წინ ქალბატონი დინარა მიუძღოდა, ძნელად საცნობი, დაქრუჰტულ-დაპატარავებული, მოკუნტული /ამას თუ კიდევ დაპატარავება უნდოდა!/. ვიწრო და სველი, დატკეპნილი ბილიკი ალაგ-ალაგ გასიპულიყო და საიდანღაც შემოპარულ სუსტ შუქზე საშიშრად პრიალებდა.

- ცოტა აუჩქარე ფეხს, პაპა რახანია გელოდება, - ეუბნებოდა ქალბატონი დინარა, - შენი ნახვა უნდა.

უკვირდა: რატომ, რისთვის უნდა გახსენებოდა საუკუნო განსასვენებელში დავანებულ პაპას შვილიშვილი, რომელიც არასოდეს ენახა?! ის ხომ თავისივე მეზობელს დემნას დაბადებამდე დიდი ხნით ადრე გამოესალმებინა წუთისოფლისთვის, აპრიალებული ცულით ჩამოეშალნა იმისი ვაჟკაცობა და პაპაშვილიშვილმა ერთმანეთისა არც ავი იცოდა და არც კარგი.

ბილიკი ქვევით დაეშვა, ფლატეზე მგზავრების ნაბიჯებით გამოკვეთილი უსწორმასწორო საფეხურებით. დაბლობში კიდევ უფრო მეტად ბნელოდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გარჩევა არაფრისა ჭირდა - უცნაური ბინდი საგნებს თითქოს უფრო მეტ სიმკვეთრეს სძენდა და ადვილად შესამჩნევს ხდიდა.

ქალბატონმა დინარამ დემნა მოზრდილ კალათასთან მიიყვანა. კალათაში პაპამისის დაკუწული სხეული იყო ჩაწყობილი, ზევიდან კი ცულით გადაჩეხილი თავი ედო. დაკოლტებული სისხლითა და ტვინით გადაპოხილი თმა უკანა ჰქონდა გადაწეული, ღია, გაყინული თვალებით დემნას მიშტერებოდა. ამ ყველაფერს „პაპა“ პირობითად ერქვა, თუნდაც იმიტომ, რომ ამ ხორცის გროვას ასაკითაც კი დემნაზე ბევრით უფროსი არ ეთქმოდა, ალბათ, ორმოც წელსაც არ იქნებოდა მიტანებული.

აკი ამბობდნენ: ტყეში მხოლოდ თავი გაუპესო, - გაოცებული დასცქეროდა დემნა, ნუთუ სიკვდილის მერე, საიქიოში აჰკუწავდნენ?! იქ ჩააწყობდნენ კალათაში?! თუმცა ვინ იცის, ის მეზობელი ხომ თურმე იქაც მალევე მიჰყვა. მაგრამ უსამართლობას იქაც ექნებოდა გასავალი?

- აი, ხედავ, რა უქნეს პაპაშენს? - ეუბნებოდა მძიმედ დათალხული ქალბატონი დინარა და დემნას არ უკვირდა, ამ დედაკაცსა და პაპას რა საერთო აქვთ ერთმანეთთანო.

- არ გეცოდება? დავიჯერო, მართლა ეგეთი გულქვა ხარ? - არ ეშვებოდა, გასაქანს არ აძლევდა ქალბატონი დინარა.

დემნას ეცოდებოდა დაჩეხილი პაპა, როგორ არ ეცოდებოდა, მაგრამ შვილიშვილს რომ შეჰფეროდა და ევალება - ისე არა. ეგრე შეიძლება ცხრაუცხო, ასტრაბეთელი თათარიც შესცოდებოდა. ცდილობდა ატირებულიყო, ორიოდე კურცხალი მაინც ჩამოეგდო რამენაირად, რომ ხალხის თვალში /რომლებიც არა ჩანდნენ, მაგრამ იგულისხმებოდნენ/ არ შერცხვენილიყო, არ ეთქვათ: ეს რა გულქვა და უჯიგრო ვინმე ყოფილაო.

გვამის სუნი უსიამოვნოდ მოხვდა ყნოსვას. ეს რა უღმერთობაა! - გაიფიქრა ბრაზმორეულმა, - ეტყობა, არავინ მიპატრონებია, არავის მიუხედავს, ბალზამიც კი არავის გაუკეთებია, - უკვე ნამდვილად შეეცოდა შვილიშვილს პაპის ნაწამები სხეული, ნაღველმა სახე უსიამოვნოდ დაუღმიჭა, - თუმცა მთლად უპატრონოს ვერ დაარქმევ, ბიძაჩემიც ხომ აქ არის, რატომ იმან მაინც არ მიაქცია ყურადღება?

ჩაიხარა და თვალზე ცრემლმომდგარი პაპას ნაიარევ შუბლზე ეამბორა.

- ეგ არ მინდა! ეგ არაფერია! შენ ის მითხარი: რატომ უღალატე? - მდურვით გამოსცრა გაშავებულმა ტუჩებმა ანაზდეულად.

დემნა შეხტა და ელდანაცემმა დაიხია უკან. აკანკალებული მუხლები ძლივს იმაგრებდნენ სხეულს. იმან კი არ დასცა თავზარი: მოკვეთილი თავი რანაირად ალაპარაკდაო, იმისაგან დაფეთდა: უცნობ პაპას მაინც რა უნდა ჰქონდეს ჩემთან სასაყვედუროო.

ნეტავი ვისზე ეკითხებოდა? დედაზე? ნაიაზე? პაპუნაზე?.. ეგებ სულაც საკუთარი თავისღალატისთვის ემდურებოდა პაპა?

- რატომ უღალატე? რატომ? - კვლავ გაიმეორა გაშეშებულმა ბაგემ და დემნამ შეატყო, რა საშინელი ძალისხმევა დასჭირდა მკვდარ თავს ამ ორიოდე სიტყვის ამოსათქმელად.

- ვის? ვის ვუღალატე? მითხარი, ვის?

იყვირა და თავისივე ხმამ გამოაღვიძა.

ბაგაბუგი გაუდიოდა, ბუდიდან ამოხტომას ლამობდა გული. საკვირველია, ისეთი სიზმარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რანაირად დაესიზმრება ხოლმე ადამიანს, რაც სინამდვილეში არ მომხდარა, არც მოხდება და არც შეიძლება მომხდარიყო.

ჯერ არ ენათა. ბნელოდა. ქარი აწყდებოდა სახლის უკანა კედელს და შემაწუხებლად მოთქვამდა. თვალებდაჭყეტილი პირაღმა იწვა და აბაგუნებული, აფორიაქებული გულის დამშვიდებას ცდილობდა. შეატყო, დაძინება აღარ ეწერა, აღარც გათენებამდე იყო დარჩენილი დიდი დრო და ერთი გაფიქრება გაიფიქრა: ავდგებიო, მაგრამ სიცივეში ხომ ვერ იჯდებოდა? ხოლო თუ ღუმელის დანთებას მიჰყოფდა ხელს, დედას გაეღვიძებოდა. მოერიდა.

არ ასვენებდა, აწვალებდა, ტვინს უბურღავდა სიზმარში დასმული კითხვა და ცდილობდა, ამოეცნო, ვინ შეიძლება ეგულისხმა პაპამისს, ვისზე მიანიშნებდა: დედაზე? ნაიაზე? პაპუნაზე?.. თუ ყველაზე ერთად?

მაგრამ სიზმრისეული კითხვისთვის ცხადში რანაირად გაეცა პასუხი, როცა ცხადში დასმული კითხვების პასუხი ვერ ეპოვა.

რამ შეკრა, რამ დაუბორკა, რამ დაუშარტა მხოლოდ ფეხები კი არა, გონებაც - რატომ გაუშვა იმ ქარში მარტო?

მამიდამისმა, ნაიას აღმზრდელად რომ მოჰქონდა თავი /დავარი?/ ეშმაკმა უწყის, რისთვის, ეგებ სწორედ დიდაქტიკური მოსაზრებით, საშვიდნოემბრო უქმეებზე ძმისშვილი წავკისში გაიყოლია საკუთარ აგარაკზე. შვილსა და რვას ზედ შაბათ-კვირა დაერთო - გაჭიანურდა, გაიწელა ყოველი წუთი - მოწყენილობა კეისრობდა საագარაკო გაქარჩხულ შენობაშიც და ნოემბრის ბაღშიც, ძლივს ჩაილია ის დღეები. ამ კეთილმოწყობილ სატუსაღოდან თავდაღწეულმა ნაიამ იდროვა თუ არა, ხელიდან დაუძვრა მამიდას და ოთხი დღის უნახავ დემნასთან აირბინა მცირე ხნით. ბინდდებოდა. ქარი დათარეშობდა ქალაქში და ელნათურების ყვითქლ შუქში ჭადრების ჩამოლეწილ ტოტებს მწვანე ბაირაღებივით აფრიალებდა. მდუმარედ, სათქმელგამოლეულებივით ისხდნენ შეყვარებულები. ნაია რამდენჯერმე წამოდგა და დაემშვიდობა ცხედრად ქცეულ დემნას, მერე რაღაცა სათქმელი მოისაბაბა და ისევ ჩამოჯდა - ფეხს ითრევდა, თითქოს გული არ მიუწევს, თითქოს გარეთ გასვლისა ეშინიაო. ვაჟი არაფერს იმჩნევდა, ქანდაკებასავით შეუვალი იჯდა. ბოლოს ქალიშვილის ჩამქრალი თვალები დემნას ოთახის დიდი ხნის შეუღებავ კარს მიეფარა.

რატომ გაუშვა, რატომ გაუშვა იმ ქარში მარტო?

ეგებ იმიტომ, რომ კიდევ ერთხელ ცემისა შეეშინდა? ორჯერ ცალკე მოუწია დათეთქვამ ნაიას უბანში, ერთხელ - ოთართან ერთად. ერთხელაც დემნამ და ლევან გელაშვილმა იმარჯვეს - მოაძუძგნინეს მოწინააღმდეგეებს. მაგრამ ეს ხომ ადრე იყო, იმხანად ჯერ კიდევ ყმაწვილები ეთქმოდათ. ახლა რიღასი უნდა შეშინებოდა, მათი ხნის ხალხი ქალის გულისთვის იშვიათადღა თუ გამართავდა მუშტიკრივს.

მაშ, რატომ გაუშვა, რატომ გაუშვა, რატომ გაუშვა იმ ქარში მარტო?..

კარადასთან იდგა გულხელდაკრეფილი.

კარგა ხანი იყო, წიგნი აღარ აეღო ხელში, აღარაფერი წაეკითხა. იმასაც კი ველარ გაიხსენებდა, გადაშლილი წიგნის მარცხენა მხარეს იყო კენტი გვერდები და მარჯვნივ ლუწები თუ პირიქით.

იდგა და თავის ბავშვობისდროინდელ, დავიწყებულ მეგობრებს შეჰყურებდა. ამ დარკილურ კარადაში ელაგა ფურცლებდაყვითლებული ძველი წიგნები, სადაც იმ ლექსებს შეეფარებინა თავი, ლამის ასი წლის წინ რომ დაეწერათ მათ ავტორებს. იქაც ციოდა, იქაც ზამთარი იდგა, იქაც დარდს დაესადგურებინა - როგორი სევდა მოწვეთავდა ამ ყინვიან ნაღველში ამოვლებულ ღამესავით ძნელადგასაძლები ლექსიდან: *„მარტოდ-მარტოა ობოლი, ზის და ქვითინებს მწარედა, მამა შინ არ ჰყავს საბრალოს, დაც გამოსულა გარეთა...“* /კაცმა რომ თქვას, შინაურებს თუ მიავიწყდათ, ეს ოხერი კატა მაინც სად ჯანდაბაში წათრეულა, სად ოსოქოლოში გადაქაჯულა?!/ სიბნელეა, ქარი გრიალებს, ყინავს და ირგვლივ შინაურსაც და გარეშესაც, სულიერსაც და უსულოსაც ამ პატარა ბიჭის წინააღმდეგ შეუკრავს პირი, იმას გადამტერებია და პოეტსაც სხვა აღარა დარჩენია რა, ისევ თვითონ უნდა დაგვამშვიდოს ჩვენცა და ობოლიც: ნუ გშინიათ, ღმერთიაო საწყალთა ნუგეში. ჰოდა, შენც გაჭირვებით, მაგრამ მაინც იჯერებ, რომ ბოლოს და ბოლოს, განილევა ბნელი, გათენდება დილა, ამოიწვერება, ამოიმაღლაურებს ზამთრის უღონო, ოღონდ იმედისმომცემი მზე, რომელიც შუადღისკენ, ასე თუ ისე, ძალასაც მოიცემს და.... გარეთ ისევ თოვლი და სიცივეა, მაგრამ *„თეთრად ქათქათებს მინდორი, ბიჭო, რას უზი კერასა, გამოდი, გამომზიგულდი, რა სჯობს ამ თოვლის ცქერასა?!“* ჯერ მარტო ამ ერთი სიტყვის მადლი რად ღირდა - გამომზიგულდი - რამდენს იტევდა, სხვათა ენაზე რამდენი სიტყვა უნდა

დაგეხარჯა, რომ იგივე განწყობა შეგექმნა მკითხველისთვის /მაშინაც ან შეუქმნიდი და ან ვერა./, ეს ლექსები არა ჰგავდა დემნას თანამედროვე პოეტებისთვის ხელისუფლების მიერ თავში ჩაჩქუნით /რაღა თქმა უნდა, ამ სიტყვის გადატანითი გაგებით/ დაწერინებულ ლექსებს, რომლებსაც ასევე თავში ჩაჩქუნით /ამჯერად უკვე პირდაპირი გაგებით/ აზეპირებინებდნენ ბავშვებს.

თუმცა გადაფურცვლა არც ამ ძველი წიგნებისა ეწადა. არა, არც ამ წიგნებში შეეძლო ჩახედვა.

ვითომ გულდინჯად ქსოვდა - მშვიდად, აუჩქარებლად გამოჰყავდა წინდის ჭრელი - შიგადაშიგ ღუმელსაც შეუჩიჩხინებდა ხოლმე. ვითომ ახლაც მარტო იყო ოთახში და მარტოს უნდა გაეთენებინა ზამთრის გაყინული ღამე. იქით გახედვაც არ უნდოდა, ხორცი ეშლებოდა, სული უწუხდა, მაგრამ დროდადრო თვალი მისდაუნებურად გაურბოდა იმ კუთხისკენ, სადაც შვილი ამდენ ხანს ჯადოგაკეთებულივით იდგა კარადის წინ და ყაველგასულ, ყველასგან მივიწყებულ წიგნებს აბუეტის მსგავსად თვალდაუხამხამებლად შეჰყურებდა, თითქოს დღეს პირველად დაინახაო.

მშობლისთვის როგორი საყურებელია ასეთ ყოფაში ჩავარდნილი ოცდაათ წელს მიტანებული ვაჟკაცი - დედის უკანასკნელი იმედი და სასოება.

ეს იმედიც თუ გაუცრუვდებოდა, ამ ერთადერთ სასოებასაც თუ დაკარგავდა, მერე იბოგინებდა თუ არა ამქვეყნად, რაღა აზრი ჰქონდა? მიზანდაკარგული ადამიანისგან ხომ მხოლოდ ის ტალახიღაა დარჩენილი, რისგანაც მოზილეს და ფორმა მისცეს ოდესღაც.

იქნება ყველაფერი მამისეული სახლის ბრალიაო, იქნება ამ სახლს სდევს მძიმე რამ წყევლა, რომელიც თავის მკვიდრთ აწამებს და მოსვენებას არ აძლევსო? - ფიქრობდა ბოლო დროს მარტოობაში ჩაძირული /და სხვა დანარჩენთან ერთად, ამიტომაც უნდოდა აქაურობას გარიდებოდა, აქაურობას მოშორებოდა დემნა/.

ბინდისფერი იყო ელისოს წუთისოფელი. მცირე ხნით თუ გამოიჭიატებდა ნათელი და ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ უარესად ჩამობნელებულიყო, უარესად ჩამოქურუხებულიყო იმისი ყოფა. ელისოს თავგადასავლის ყურმოკვრით მცოდნეც ადვილად დარწმუნდებოდა, რაც ქვეყნისთვის სატანას ჭირ-ვარამი და უბედურება დაუბერტყავს, მათგან უმეტესობა საწუთროს ამ ქალის თავზე გადმოუყვლენია ადამიანთა ამტანობის გამოსაცდელადო. მართალია, ადამიანს თავისი ვაი-ვაგლახი და საწუხარი ყველაზე მეტი ეჩვენება, მაგრამ ამისი მაინც სხვა იყო - თორმეტი წელი დიდი ხნის მოტოვებული არა ჰქონდა უკან, როცა პირველი მეხი დაეცა: სათაყვანებელი მამა ცულით თავგაჩეხილი მოუსვენეს ტყიდან - თავისივე მეზობელს გაემეტებინა სოფელს ზღუდედ შემოვლებული ვაჟკაცი. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავდა ქვეყნის დასასრულს, რადგან იმათ კომლს უფროსი ძმა ედგა მკვიდრ ბოძად. მერე სადღაც ატეხილი ომი, ერთიანად მოხვეტილი და გაკრეფილი ახალგაზრდობა და სულ მალე შავი ქაღალდი ქერჩიდან. ყმაწვილქალობამ ესეც გადაატანინა, მაინც ცოცხლობდა, მაინც ფიქრობდა მომავალზე - უმაღლესშიც მოეწყო და ოჯახის შექმნაც დააპირა, მაგრამ დიდხანს გაახარებდა განა საწუთრო? ჩაუკლეს, მოუსპეს, ტალახიანი ფეხებით გაუთელეს სიყვარული. ესეც არ აკმარეს, უნივერსიტეტიდან გარიცხეს და დედაქალაქში ცხოვრება აუკრძალეს უფლებისმქონეებმა. სოფელში გამოიკეტა სულ სხვა ყოფის მოწადინე ქალი. სასურვილეში დალექილმა, გაქვავებულმა და აუსრულებელმა განზრახულებმა სული დაუმძიმა, დაუძაბუნა. არც მაშინ ჩაიქნია სიცოცხლეზე ხელი - დემნა დაიბადა მომავლის იმედად და სასოდ, იმაზე დაამყარა ყველა გაცრუებული და ჩაკლული ოცნების ახდენა.

უიღბლობამ საკაცეთი ხომ მთლიანად ამოაგდო იმათი გვარიდან, დედა მაინც შეერჩინა ცოტა ხნით, დედა მაინც არ წაერთმია ეგრე ადრიანად, რომ დემნას თბილისში წასვლის შემდეგ ასე ეულად, ასე ლიტაოდ არ დარჩენილიყო - ვიღაცისთვის ფიქრი გაეზიარებინა, ვიღაცისთვის შეეჩივლა თავისი ვარამი...

ღუმელზე ქეთლი იგუდება, სულს ვერ იბრუნებს, მაგრამ იმ საცოდავისთვის ვერავინ იცლის ამ სახლში.

ციოდა. კიდევ ერთი ყინვიანი დღე ილეოდა და თვალს ეფარებოდა. სხივგაძარცვულ ჩამავალ მზეს, ალბათ, ერთი სული ჰქონდა, - როდის გაეცლებოდა ამ შემაწუხებლად, მომაბეზრებლად გათოშილ მიწას და მთებს იქით თბილ ლოგინში ჩაგორდებოდა, დედის ალერსს შეაფარებდა თავს.

ჩაწყნარებულ-ჩაყუჩებულიყო, სახლებში შეკრეფილიყო სოფელი. მზისგან ზურგშექცევით მდგარი დემნა მთების ფეხებთან ჩაწოლილ უკვე ბინდმოძალებულ ვეება ველს გადასცქეროდა - სახნავ-სათესებით, ვენახებითა და გზა-შარებით დაქსელილს. ეს გადასახედი

ეროვნული ბიბლიოთეკა

/ირმების გადასახედი/ ღმერთმა უწყის, სხვებისთვის რა იყო, დემნასთვის კი აქედან დანახული ქვეყანა ქცეულიყო მარადიულ მშვენებად, თუკი მართლა არსებობდა ეგეთი რამე.

ერთიმეორის მიყოლებით ინთებოდა ელნათურები და კვლავ მჟღავნდებოდა ცოტა ხნის წინ სიბნელეში გაუჩინარებული სოფლები. აქაიქ ციცინათელასავით გაიკიაფებდა და კვლავ უჩინარდებოდა უხილავ გზებს შეჭიდებული ავტომობილის შუქი. ეს ერთი შეხედვით უთავბოლოდ, ოკრობოკროდ დახლართული გზები სადღაც იკრიბებოდა, ერთიანდებოდა, მერე თბილისისა და საქართველოს გავლით მთელ მსოფლიოს უვლიდა გარს და ისე ერტყმოდა და სალტავდა დედამიწას, როგორც ღმერთის მიერ ამირანის მისაჯაჭვად ჩასობილი ჯოხის ფესვები. დემნასთვის ყველაფრის დასაბამი ეს ველი იყო, იგი აკავშირებდა უპირველესად თავის სამშობლოსთან და მერე იქიდან განათლულად ამოსულს - მთელ ქვეყნიერებასთანაც. აქედან საზრდოობდა, აქა ჰქონდა ძირკვი გადგმული, საუკუნეების განმავლობაში აქ ინთხეოდა იმისი წინაპრების სისხლი და იმათი ძვლებიც აქ ჩანაცრულიყო. დაბადებიდან ამ მიწის ძუძუს წოვდნენ, უვლიდნენ, ელოლიავებოდნენ, თავგამეტებით ეჭიდებოდნენ კიდეც და ბოლოს იმასვე ეხუტებოდნენ. ხანდახან, შებინდებისას, მთელი დღის შრომით ქანცგაწყვეტილი, მინდვრისპირა ჯაგებთან პირქვეჩამოხობილი რომელიმე მათგანი უეცრად აღელდებოდა, დაღლას გადაივიწყებდა და გულაღმა ამობრუნებულსა და ძილგამკრთალს, უღრუბლო და უსასრულო ცის მაცქერალს გონებაში ამაფორიაქებელი, უპასუხო და უმისამართო კითხვები გაუკრთებოდა:

- რისთვის მოვდივართ?
- რისთვისა ვართ?
- რისთვის მივდივართ?

მაგრამ ცხოვრება არ ანებებდა, ღრმად ჩაჰყოლოდნენ, ბოლომდე ჩაეგრიხათ ეგეთი საფიქრალი, წვრილმან-წვრილმანი საწუხრები მალევე მოაშორებდა ხოლმე თავიდან ამ უსარგებლოდ შემაღონებელ კითხვებს და ისინიც კვლავ ყოველდღიურ საქმიანობას მინებდებოდნენ - ხნავდნენ და თესავდნენ, პურსა მკიდნენ და მტევანს წურავდნენ, ხეხილს ამყნობდნენ და საქონელს უვლიდნენ და, რაც მთავარია, ახალ სიცოცხლეს უყრიდნენ საფუძველს. მშვიდად ცხოვრობდნენ, მშვიდად შრომობდნენ, მშვიდად ეთხოვებოდნენ წუთისოფელს, თუ, რა თქმა უნდა, მტერი დააცდიდა, რაც ძალიან იშვიათად ხდებოდა ხოლმე.

შეიძლება დაეჭვებულიყავი: ეგებ აქედან, განვლილი დროის ამ შორეული გადასახედიდან ჩანდა მარტივი და იოლი იმათი ყოველდღიური ყოფა და ყველა მათგანი, ალბათ, ვერც ეგრე ადვილად უმკლავდებოდა ამ მწველსა და მშანთავ კითხვებს, მაგრამ იმათ ღმერთი ჰყავდათ და პასუხის მძებნელებს როცა ძალიან გაუჭირდებოდათ, იმისთვის შეეძლოთ მიეკითხათ. დემნას რა ექნა? დემნასნაირებს რა ექნათ? - სალოცავწართმეულებს, სიწმინდეწაბილწულებს...

ერთხელ კვლავ მოატარა ჩაბნელებულ ირგვლივეთს თვალი.

მოძალებული ბინდბუნდი კიდევ უფრო აახლოებდა თუშეთიდან საინგილომდე მთებით მოზღუდულ სივრცეს. სადღაც შიგნით, გულისგულში, თავისი თავისთვისაც გაუმხელად, მარტო პაპისეული ეზო-კარისა კი არა, უფრო მეტად აქაურობის მემკვიდრედა და მეპატრონედ თვლიდა თავს. აქ, ამ გრძლად წაწოლილ მთა-გორებსა და ველს ჩაჰკროდა დემნას საგვარეულოს - მიწათმოქმედთა და მეომართა - უხილავი ხერხემალი, რომლის ერთ მალად, თუ ღმერთი ინებებდა, დემნაც უნდა ქცეულიყო. აი, ამ მიწისთვის უყოყმანოდ გასწირავდა თავის მიზანმიუკვლეველ სიცოცხლეს და დარწმუნებული იყო, მსგავსად მოიქცეოდა ყველა მისი თანამემამულე - ერი თუ ბერი, ქალი თუ კაცი, მოხუცი თუ ახალგაზრდა, უსწავლელი თუ განათლებული - ყველა, დიმიტრი პაპა იქნებოდა ეს თუ დედამისი, პროფესორი ალექსი გომელაური თუ დათიკო ძია, ბესო თუ პაპუნა... ჰო, პაპუნაც, ისიც ხომ აქაური იყო, ამ მიწის შვილი. პაპუნა როგორ დაგვავიწყდა?

მაისის ბოლოს მზემ ძალი მოიცა, რამდენიმე ხანს თბილისური მცხუნვარე დღეებიც კი დაიჭირა, მაგრამ უცებ შეიცვალა ამინდი, მოიღრუბლა, ნისლი ჩამოწვა და ისე აცივდა, რომ ხალხმა კარადების ქექვა და საშემოდგომოდ ნაფტალინდაყრილი თბილი სამოსის ამოლაგება დაიწყო. მერე გაიპო ცამ მუცელი და მთელი ორი დღე გადაუღებლად, დაჟინებით წვიმდა. თბილისისთვის უჩვეულო იყო ასეთი ტაროსი, თუმცა მეამინდეებს არც ამისი ახსნა გასჭირვებიათ: რომელიღაც უცხო ქვეყნიდან შემოჭრილ ციკლონს დააბრალეს ყველაფერი.

აქ რომ ცა თავზე ეგრე გვექცევა, სოფლად რა დღეში იქნებიან - ფიქრობდა დემნა ჯავრიანად, - მთლად ჩაალპობს და გაახრებს ჭირნახულს, სარეველა და ბალახბულახი გადაუვლის ნათესებსა და ამოახრჩობს. უნივერსიტეტი ორი წლის წინ დაემთავრებინა, სამსახ-

ური არ აწუხებდა და ამ უამინდობაში *დრო* როგორ მოვკლაო, ავდარზე მეტად ის აღარდებდა. ხელთ ერთი კარგი წიგნი ჩაუვარდა, იმას კითხულობდა, მაგრამ ახლა აღარც ეგ შველოდა - ბოლო ხანებში შეატყო, რომ ეგეთი წიგნის კითხვა კი არა, ეგრე წიგნის კითხვაც *დროის* მოკვლის ტოლფასი გამხდარიყო. *დროის* მოკვლა კი... როცა რამეს სულს ამოართმევს და წირვას გამოუყვანს - მნიშვნელობა არა აქვს, სულიერი იქნება ისა თუ უსულო - კაცი თავს მშვიდად ვერა გრძნობს. *დროის* მკვლელი დემნაც როგორც კი ამაზე დაფიქრდებოდა, ისეთი მოუსვენრობა შეუჯდებოდა ხოლმე ტანში, თითქოს სულ მალე მკაცრ სამსჯავროზე უნდა წაეყენებინათ და ჩადენილი დანაშაულისთვის პასუხი მოეთხოვათ /ეგეთი რამე დღეს იქნებოდა თუ ხვალ, მართლა მოუწევდა კიდეც/. ოცდახუთიოდე წლის კაცის მიერ მოკლული *დრო* კი, გაგიხარიათ, მცირე არ იყო - განვლილ გზაზე გველეშაპის ვეება, უკვე ლპობაშეპარული გვამივით ეგდო და მკვლელმა არ იცოდა, იმ მძორის მყრალი სუნი როდის მისწვდებოდა და მოგუდავდა, მოაშთობდა, ამოახრჩობდა.

გამოდარებას არ დაადგა საშველი, მესამე დღეც წვიმიანი იყო. ბიჭებმა, მართალია, მჭლე, მაგრამ მუქთი პურ-მარილი მოათავეს „ყაზბეგში", ამოვიდნენ და ცოტა მოშორებით, შელახული რეპუტაციის მქონე კაფეს „შავ ყავას" შეაფარეს თავი. ნაძრახი სახელისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ყავას აქ უნაკლოდ ხარშავდნენ და ეს სადავო და საკამათო ნამდვილად არ იყო. საღამოვდებოდა, წასასვლელი აღარსადა ჰქონდათ, მოწყენილები ისხდნენ დაბალ ფანჯარასთან მიდგმულ მაგიდასთან, ამთქნარებდნენ, ხამუშ-ხამუშ თუ შეეხმიანებოდნენ ერთმანეთს, სიგარეტს ეწეოდნენ და ცხელ ყავას ზედ ცივ წყალს აყოლებდნენ.

წვიმისგან თავგაბეზრებული გამვლელები აბუზულები, მოკუნტულები გარბოდნენ წვეთებით დაჭორფლილი მინის მიღმა. იმათი მაცქერალი დემნა უსარგებლო და უქმ ფიქრებში ჩაძირულიყო: უამინდობაში რატომ ვიკაკვებით ასე? - კითხულობდა უმისამართოდ, - წელში წახრილებს ხომ მთელი ზურგი გვისველდება, სხეულის მეტ ნაწილზე გვესხმის წვიმა, თავაწეულები ხომ უფრო ნაკლებად დავსველდებოდით? იქნება ეს იმისი ბრალია, რომ ამქვეყანასთან ყოველი უსიამოვნო შეხება გვაძრწუნებს და უკან გვინდა დაბრუნება, იქ, სადაც უშიშრად ვგრძნობდით თავს - ვიბლუნძებით, ვმრგვალდებით და ემბრიონს ვემსგავსებით. უფრო მეტიც, კვლავ არყოფნისკენ მივიწევთ. თუ ასეა, მაშ, ეგრე ძალიან რატომღა გვეშინია სიკვდილისა, ისიც ხომ არყოფნაა? მაგრამ ეგებ დაბადებამდელი არყოფნა და სიცოცხლის შემდგომი არყოფნა სულ სხვადასხვაა, თუნდაც იმიტომ, რომ გაჩენამდე ადამის ცოდვას არ ვიყავით ნაზიარებნი.

ეგრე არის თუ არა?

ნუთუ არავინა ხართ? ნუთუ არავინ მიპასუხებთ?

რა აუვა ამდენ კითხვას, ვეღარ დაიტევს, გასკდება ეს საცოდავი თავი!

ეჰ, ამაოდ, უშედეგოდ ყვიროდა გუნებაში, უშედეგოდ უხმობდა მშველელს.

თუმცა ყვირილი რაა, მხოლოდ ყვირილით რას გახდები? ძახილი ჯოჯოხეთშიც ისმის, მაგრამ პასუხის გამცემი არავინ არის.

და უცებ კიდევ ერთმა უმისამართო და უპასუხო კითხვამ გაიელვა: ბიჭო, სულ მუდამ მოძღვრისა და გზის გამკვლევის მნატვრელო, ეგებ ერთადერთი ნამდვილი მასწავლებელი - მაცხოვარიც - შემოგვწყრა ჩვენი შეუსმენლობითა და უსაქციელობით გაბრაზებული და კლასიდან გავიდა, განგვეშორა?

მაგრამ ამ ფიქრს გაგრძელება არ ეწერა, მეგობრების სიცილმა კაფეში დააბრუნა. გარეთ ისევ უჟაკუნებდა ერთფეროვნად, ჯიუტად, დაჟინებით. სადაც იყო, ამათაც მოუწევდა კაფეს დატოვება და წვიმაში გასვლა, ცალ-ცალკე მიფანტვ-მოფანტვა. ქუჩაში კანტიკუნტად მიმავალ ხალხში უცებ ნაცნობ სილუეტს მოჰკრა თვალი, პაპუნას მიამსგავსა - მიამსგავსა კი არა, ის იყო - და ბიჭებისთვის სიტყვაც არ დაუგდია, ისე გავარდა გარეთ. მალევე დაეწია, „იმელსაც" არ იყო გაცდენილი. წინიდან წამოუარა და მიესალმა. მერე:

- რას შვრები, კაცო, რატომ აღარსად გამოჩნდი, სად დაიკარგე? - ისე ჰკითხა, თითქოს ორიოდე კვირის წინ დაშორებოდნენ ერთმანეთს.

პაპუნა შეაკრთო მოულოდნელმა შეხვედრამ, შეცბა, თუმცა კი შეეტყო, რომ გაეხარდა ყოფილი /რატომ ყოფილი?/ მეგობრის ნახვა.

- წამოდი, ბიჭები „შავ ყავაში" არიან, ჩვენც ჩამოვსხდეთ ცოტა ხანს, ვილაპარაკოთ.

- არა, დემნა, მეჩქარება, ძალიან მეჩქარება... - ჯავარიანი თვალები დარცხვენილმა მოარიდა.

- წამო, წამო, - მკლავში ხელი გაუყარა დემნამ, - ისეთ ადგილას სად გეჩქარება, ერთი ნახევარი საათის დაგვიანებით რამე გაფუჭდეს.

- შენ ისევ ნასვამი ხარ, არა? რა დაგემართა, რატომ ვერ იქნა და ვერ მოეკიდე საქმეს? რა კარგად დაიწყე და როგორ ცუდად აგრძე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებ. - დანანებით გააქნია თავი პაპუნამ.

- და გგონია, რომ შენ ცუდად დაიწყე და ახლა აგრძელებ კარგად? გგონია, რომ შენ კი ხარ შენს საქმეს მოკიდებული?

- უდავოდ!

- უდავოდ არა, ისა... - ცივად შეუშვა ხელი დემნამ, - რომ არ ვიცოდე, კიდევ ჰო... ისევ იმათთანა ხარ, იმათთან ერთად დაეხეტები?

- არა, - მშვიდად უთხრა პაპუნამ, - მადლობა უფალს! აღარავისთან ერთად აღარ დავდივარ, სადაც უნდა ვიყო, მარტო ვარ ჩემს ღმერთთან.

- რატომ, კაცო, რატომ? - სველ ასფალტს ცხენივით დაჰკრა ფეხი დემნამ, - კარგი, ჩვენ არა ვვარგოდით და მოგვიძულე, იმათ რატომღა ჩამოშორდი, ისინი რატომღა მიატოვე?

- დღეს ყველანი ერთნაირები არიან, ძმაო, ცხოვრებისგან წამხდრები და ზნედაცემულები. თუ გინდა, რომ ბიწი არავისგან მოგეცხოს, თუ სულის გადარჩენა გინდა, სხვებისგან შორს უნდა დაიჭირო თავი.

- ჩემგანაც, კაცო, ჩემგანაც შეიძლება მოგეცხოს რაიმე ბიწი?! - მართლა გაუკვირდა დემნას, - მეც მაგიტომ მერიდები?!

პაპუნას ხმა არ ამოუღია.

- ან ის მაინც გამაგებინე, რა გადარჩენაზე ლაპარაკობ, კაცობრიობის ხსნას თუ აპირებ, გგონია, შენ მოგერიდებიან, შენს ღვთისმოსაობას გაუწევენ ანგარიშს და ატომს აღარ იხმარენ ის ქრისტეს ფეხის მკვნეტავები, თუ რაა?

- ატომი რა არის, დემნა, ატომი იმასთან შედარებით რა საშიშია, ბავშვის სათამაშოდ მოგეჩვენება.

- მაშ, რისგან გვიპირებ გადარჩენას, თუ ძმა ხარ?

- წამხდარი წუთისოფლისგან, სატანის საცთურისგან,. მარადი სიკვდილისგან...

- ნუ ბავშვობ, პაპუნა, ნუთუ მართლა გჯერა, რომ ჩვენ ყველანი გეენიის ცეცხლში დავიხრუკებით და შენ ერთი გადარჩები?

- ეჭვიც არ მეპარება! თუ გონებას დროზე არ მოეგეთ და კვლავ ღმერთს არ შეუდექით.

- ბიჭო, თუ ქვეყანა უნდა დაიღუპოს, თუ შენი შინაური და გარშე, ნაცნობი თუ უცნობი მარადი სიკვდილისთვისა ვართ განწირულნი, შენ რა სინდისითა ცდილობ, მარტოოდენ საკუთარი სულის გადარჩენას? კეთილი, ბატონო, შეძვერი სადმე მღვიმეში, სადაც საფრთხე არ მოგწვდება და იქიდან ადევნე თვალი მსოფლიო წარღვნასა თუ მეორედ მოსვლას. რამ გაგაეგოისტა ეგრე, პაპუნა, რა შეგეყარა მაინც ეგეთი! არ გეჩვენება, რომ სხვებს ღალატობ, როცა მხოლოდ შენი თავის შველაზე ფიქრობ? - თავისი ჭკუით, ნამუსზე შეგდება სცადა დემნამ.

- არა, დემნა, არ მეჩვენება, - ამდენი ხნის მანძილზე ინტონაცია არ შეცვლია პაპუნას, ძველებურად მშვიდ კილოზე საუბრობდა: - ეგრე თქვენ გეჩვენებათ და მართლა ეგრეც იქნებოდა, მხოლოდ ჩემს თავზე რომ ვფიქრობდე, მაგრამ მე ხომ სწორედ თქვენზე ვწუხვარ და ამიტომაც არ მოგშორდით. შენ უფრო მიხვედრილი მეგონე... ნუთუ მართლა გგონია, რომ ჩემი ყოფა უფრო იოლია, ვიდრე თქვენი?

- მაშ, რას წვალობ, ბიჭო, გაახილე თვალი, გაიხედ-გამოიხედე, შენც ისე იცხოვრე, როგორც ყველა ცხოვრობს. რა ქნეს, ეგეთი რა გაჭამეს, რომ გონზე ვეღარ მოსულხარ? გავიგე, ამ რამდენიმე ხნის წინ მშვენიერი როლი შემოუთავაზებიათ რომელიღაც ახალ ფილმში, შენ კი ქვა აგიგდია და თავი შეგიშვერია: არ ვითამაშებ, მკრეხელურიაო! ჭკუაა ახლა ეგ?

პაპუნამ ორივე ხელით ჩამოიწურა თმა და სახე:

- დემნა, გახსოვს, რას ეუბნება ღმერთი აბრაამს, როცა სოდომისა და გომორის დაქცევას დააპირებს?

- რაო?

- აბრაამი ეკითხება უფალს: ამოდენა ქალაქში ორმოცდაათი კაცი რომ იპოვებოდეს მართალი, ისინიც ცოდვილებთან ერთად უნდა მოსპოო? არაო, პასუხობს უფალი, ორმოცდაათი უცოდველი ადამიანი თუ აღმოჩნდება, ქალაქს აღარ წავწყმედო. მერე თითქოს ევაჭრება აბრაამი და უსახელებს ორმოცდახუთს, ორმოცს, ოცდაათს, ბოლოს: *„ნუ რაჲ, უფალო, უკეთუ ვიტყოდი მერმე ერთგზისღა და იპოვნენ თუ ათნი? და თქუა: არა წარვწყმიდო ათთათჳს“.* ათი კაცი მაინც თუ იქნება მართალი, იმათი მადლით ეს წაბილწული ქალაქი გადარჩებაო, ამბობს უფალი. ჩემი ერთადერთი საზრუნავიც ეგ არის, დემნა, და თბილისიდანაც იმიტომ არ მივდივარ არსად - იქნება სხვა ცხრა კაციც გამოჩნდეს-მეთქი უცოდველი, სიმართლისთვის თავდადებული და გადარჩეს ჩვენი ქალაქი, რომელიც სხვაზე ნაკლებად არც მე მიყვარს. ეჰ, აბა რა გითხრა... ზოგჯერ შუაღამისას ძრწოლამორეული გამოვვარდები ხოლმე გარეთ და, ეულად მყოფს აქაურობის მომავალი რომ წარმომიდგება თვალწინ, - რუსთაველის გამზირისკენ გაიშვირა ხელი პაპუნამ, - შიგნეული უშრეტი ცეცხლით მებუგება. არ არის ეს ეგოიზმი, ძმაო, რა თავკერძა კაცი მე მნახე, რომ მხოლოდ სათავისოდ ვფიქრობდე? შენ მაინც არ უნდა გეთქვა ეგა.

– ღმერთმა ხელი მოგიმართოს, – თქვა დემნამ, – ღმერთმა ხელი მოგიმართოს, მაგრამ რა ვქნა, არც ეგა მგონია საშველი.

იდგნენ წვიმაში წელგამართულები, თავით-ფეხამდე გალუმპულები – ერთი მხრისანი, ერთი ჯიშისანი, ერთი საქმისთვის გაჩენილები – თავ-თავიანთ სიმართლეში მეტ-ნაკლებად დაეჭვებულთ არ ეთმობოდათ ერთმანეთი, მაგრამ იმათი გზები მათდაუნებურად კარგა ხნის წინ გაყრილიყო. ბედისწერის წიგნში ერთისთვისაც და მეორესთვისაც სხვადასხვა როლი დაეკისრებინათ და წადილითა თუ უწადინოდ ეს როლი უნდა ეტვირთათ, შეესრულებინათ.

იმ ღამეს წვიმის ხმაურით შეწუხებულსა და ზედმეტი ყავის სმით აღგზნებულ დემნას პაპუნას ხატება ვერ ამოეგდო თავიდან: ღმერთი, ეტყობა, მართლა არსებობს, – ფიქრობდა ჭერზე მშერამიციებული, – ეტყობა, მართლა არსებობს, მაგრამ ჩემთვის რაა? ჩემისთანებისთვის რაა? ულმერთოსთვის ღმერთის არსებობა რა შეღავათია?

სად არის ახლა პაპუნა, სად იღვწის გამრუდებული წუთისოფლის გასასწორებლად? ნეტავი თუ ეყო ძალა, მართალთა ათეულში აქამდე მდგარიყო ღვარძლმოდებული სამშობლოს დედაქალაქის წარწყმედისგან გადასარჩენად? – მწარე ღიმილით გაიფიქრა დემნამ და, თუმცა გონებაში გამკრთალ ფრაზაში ჩაწურული ირონია მხოლოდ გაუჩინარებული მეგობრისკენ არ იყო მიმართული, მაინც ბრაზმორეული შეუწყრა საკუთარ თავს: – თვითონ რაღა გააკეთე იმ კაცისთვის, ვისაც თავის დროზე შენთვის ზრუნვა არ მოუკლია! როცა გჭირდებოდა, მაშინ ნაკლს ვერაფერს ამჩნევდი, პირიქით, შენატროდი კიდეც, იმისი სიახლოვეც კი გეამაყებოდა... რა მექნაო, იტყვი, გაქრა, დაიკაგა, თვალთაგან მიეფარა და მე რა მეღონაო, თავის გამართლებას შეეცდები შენი ჭკუით. კარგი და კეთილი, მილიონნახევრიან თბილისში ჩაძირული კაცის პოვნა და ზოგჯერ მიკითხება მართლაც არ იქნებოდა იოლი და ამიტომ ეგებ ბევრმა არც გაგამტყუნოს, მაგრამ, აი, ამდენი ხანია ზედაშიანში დაყუდებულხარ ბერივით, აქვე ორიოდე კილომეტრზე კი პაპუნას მშობლები სახლობენ, ერთხელ მაინც როგორ არ გაგიჩნდა სურვილი, მისულიყავი და მეგობრის ამბავი გეკითხა? ეგეც დიდად საძნელო საქმე იყო? ეგოიზმს სხვას აყვედრიდი და შენისთანა ეჩოსავით კაცი განა ბევრი დადის ქვეყანაზე? ფუჰ, განა მხოლოდ სხვის ნაკლს უნდა ხედავდეს კაცი და თავისას ვერა?

კარგი, ახლა ღამეა, არაფერი ჩანს, უსინდისობას სიბნელე დროებით მაინც ფარავს, მაგრამ დილდილაობით სარკეში რომ იყურები, სირცხვილით შენს ორეულს როგორ უსწორებ თვალს?

ამ მხრივ ქალაქი და სოფელი ბევრით არაფრით განსხვავდებოდა ერთმანეთისგან – მეტნაკლებად ყველგან ერთნაირი ვითარება შექმნილიყო, ერთნაირად სჭრიდნენ და ჰკერავდნენ, ერთნაირად ღუმად მიაჩნდათ ქვეყანა. აქაც ყველა სარგებელს გამოელოდა, ცხოვრებისგან რაღაცის წაღლეტას, რაღაცის გამორჩენას ცდილობდა თითოეული მათგანი ამ ბენტერა ფოსტალიონის მსგავსად. ნაცვლად იმისა, რომ ყოველდღე დაერიგებინა ახალი გაზეთები, ორ დღეში ერთხელ თუ ჩამოივლიდა, ჩოქით სალამი უნდა გეთქვა. განა იმიტომ, რომ თან დალაქობდა და კლიენტებს ვერ აუდიოდა, კლიენტები აჭამდნენ თავ-პირს? ანდა მცონარა იყო და ამხელა სოფლის თავიდან ბოლომდე თრაქვა ეზარებოდა? არა, ამასაც ის საფიქრელი შესჯდომოდა, რამეს გამოვრჩე ჩემს სამსახურს, იმაზე მეტი წავაღლიტო, რაც მეკუთვნისო. გემახსოვრებათ, კაპელის მომღერალს ჰკითხეს: ყველა რომ რაღაცას ახერხებს, შენი ხალტურა რაღა არისო და სხვები რომ მღერიან, მე მხოლოდ პირს ვაღებ და ხმას არ ვიღებო, უპასუხა ამაყად. შალიკო ფოსტალიონი ვითომ ვისზე რა ნაკლები იყო, რაიმე ხეირი და სარფა არ ენახა თავისი საქმიდან. იმისი სარგებელი კი ეს გახლდათ – დროს იპარავდა – ორ დღეში ერთხელ ჩამოურიგებდა ხალხს გაზეთებს და ამაზედაც მადლობლები უნდა ყოფილიყვნენ. საბჭოს თავმჯდომარემ გაუგო და გემოზე გაჯორაო, უთხრა დედამ დემნას, შალიკოც იძულებული გახდა და ყოველდღე დაიწყო სიარული, მაგრამ, არავინ უწყის, ეგრე როდემდე გაგრძელდება, რადგან, ვინ იცის, ეს მერამდენე გაჯორვა იყოო.

ჯერჯერობით კი ყოველდღე დადიოდა.

...და მოულოდნელი სიხარული – ნაიასგან წერილი მოვიდა. თუ არ იცეკვებ, არ მოგცემო, გაეხუმრა შალიკო, ომმოვლილი იყო და იქიდან ჩამოეყოლებინა ეს ჩვეულება.

დემნას იმისი ლაზღანდარობის თავი არა ჰქონდა, წარბგაუხსნელად გადასწვდა ჭიშკრის ზემოდან და დედამისის გამოწერილ გაზეთებთან ერთად გამოართვა.

უკან გამობრუნებული კიბეზე ჩამოჯდა, გაზეთები განზე მიყარა და სწრაფად წაახია თავი კონვერტს.

სტრიქონებს მოწყურებული თვალებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნთქავდა და ნაიას ჩურჩულს საკუთარ ფიქრთა კორიანტელით ეხმიანებოდა:

...რანაირად შეძელი, ამდენ ხანს სოფელში დარჩენა, არ მეგონა, ასეთი ძლიერი თუ იყავი, ასეთი ნებისყოფა თუ გქონდა...

/ისემც რა გითხარი, ჩემი ნებისყოფა საქებარი არ იყოს!/

...ჩვენ უშენოდ ძალიან გვიჭირს, ყველას გვენატრები და ერთი სული გვაქვს, როდის განახავთ. უშენოდ თითქოს მთელი ქალაქი დაცარიელდა...

/თქვენ მხოლოდ ერთი მოგაკლდით, მე კი - ყველანი ერთად. მაშ, ჩემი გაძლება როგორი ყოფილა?/

...აქ, თითქმის არაფერიო, მაგრამ ბევრი სიახლეა. ოთარს კოოპერატიული ბინა დაუმთავრეს, რაღაც-რაღაცები უკვე შეურემონტეს კიდეც...

/მაინც ვერ გადავა, მარტო ხომ ვერ იცხოვრებს? ღამით საბანი გადმოვარდება საწოლიდან/.

...ლევან გელაშვილი სახანძრო სამსახურში ჩადგა, თანაც ოფიცერია...

/რაო?!/

...ნატალისა და გიზოს მეორე ბავშვი შეეძინა, ისევ გოგო...

/პაპუნა? პაპუნასი კვლავ არაფერი ისმის?/

...ერთი დასანანი ამბავი უნდა გაუწყო. არ მინდოდა, შემეწუხებინე, ჯერ ვიფიქრე, დავუმალავ, რომ ჩამოვა, თვითონ შეიტყობს-მეთქი. ბოლოს კი მაინც გადავწყვიტე, მომეწერა: ქალბატონი დინარა აღარა გვყავს, გარდაიცვალა...

/აუჰ, საწყალი! კატა? კატა რასა შვრება ნეტავი?/

...დემნა, სიცოცხლეო ჩემო! ამ რამდენიმე დღის წინ დამესიზმრე. შვიდი წლის წინანდელი ლურჯი, მოკლესახელოიანი პერანგი გეცვა, ძველი არქეოლოგიური გათხრების სანახავად ვაპირებდით წასვლას... დარწმუნებული ვარ, იმ ღამეს შენც ჩემზე ფიქრობდი. ნუთუ ვერა გრძნობ, ნუთუ არა გწვდება ბგერა გაბმული ჩემიდან შენამდე, მზერა გაბმული ჩემიდან შენამდე...

/გეყოფა! გეყოფა!/

...დედაჩემი წუხს, სულ ასე ნაღვლიანს რომ მხედავს...

/პირველი კითხვა: თუ მთლად უვარგისი ვარ, რანაირად შეიძლება, ეგეთ ქალს ამდენ ხანს ვუყვარდე? მეორე კითხვა: იქნება რაღაცა აკვიატება მჭირს, იქნება ნაიას მშობლებიცა და კასტაც მშვენივრად შემითვისებენ *ასეთს* და არც მე დავკარგავ მეობას, პიროვნულობას? იქნება ეს მხოლოდ ჩემი აჩემებაა და სხვა არაფერი? მესამე კითხვა ამჯერად აღარ ჩასახულა და დაბადებულა.)

...იმ სიზმრის მეორე დღეს შენს ბინაში ავედი...

/შენს ბინაშიო?!/

გახსოვს, ნაია, ერთხელ რომ იხუმრე: შენი ოთახი ისეთი პატარაა, ალბათ, სტუმრის მოსვლისა გეშინიაო. შენ ეგ საწყენად არ გითქვამს, ამ სიტყვების მიღმა შეურაცხმყოფელი არაფერი იმალებოდა. იხუმრე-მეთქი, დაბეჯითებით ვამბობ და ვერც ვერავინ გადამარწმუნებს, რადგან მჯერა, შენც კარგად იცი ჩემი /ლამის უკვე ჩვენი/ პატარა ოთახის ფასი - ორ შეთქმულს რომ მალავდა ხოლმე ბედისწერისა თუ წუთისოფლის წინააღმდეგ.

არადა, მართლაც მეტისმეტად პატარაა ჩემი ოთახი, საკანივით პატარა და გაჭვარტლული /კინაღამ წამომცდა: სენაკივით პატარა და გაჭვარტლული-მეთქი/, მაგრამ, რა ვუყოთ, დარბაზებზე ხომ არც მიოცნებია? ჰოდა, დარბაზებზე რომ არ მიოცნებია და საქმითაც არაფერს ვცდილვარ, ალბათ, ამიტომაც დარჩა პატარა ჩემი ოთახი.

ცარიელია ჩემი ოთახი, ნაია, თამბაქოს ბოლით თუ აივსება ზოგჯერ, ეგ არის და ეგ. თუმცა ორივე დიდხანს ვცდილობდით, მაინც მთლიანად ვერ დაიტია შენი სილამაზე მისმა ვიწრო სიცარიელემ.

არავის უყვარს პატარა და თანაც ცარიელი ოთახები. ვერც გაამტყუნებ, რადგან ეს უჩარაობის ჩარაა და არა საცხოვრებელი ადამიანისა - „ბუნების გვირგვინისა". ანდა რატომ უნდა უყვარდეთ? ყველა სიდიდისკენ მიილტვის, სისავსისკენ, სისრულისკენ, და შენც გსურს სხვებივით, ლამაზიც იყოს შენს ირგვლივ ყველაფერი, სავსეც და ხალვათიც. მაინც ცდილობდი ჩემი /ჩვენი?/ ოთახის შეყვარებას, გულით ცდილობდი. ამისთვისაც უსაზღვროდ მადლობელი ვარ.

ერთი რამე კი დანამდვილებით ვიცი, ვერ დაივიწყებ ჩემს ოთახს, ნაია, მისი სივიწროვე არ დაგავიწყებს თავს. ჩვენ ხომ ამ გაჭვარტლულ კედლებში მოვიხელთეთ ის ბედნიერი წუთები, მე და შენ ერთად რომ მოვტაცეთ დროს - წუწურაქ მესაკუთრეს - წუთები, აზრსა და ფასს რომ სძენენ სიცოცხლეს და წელთა სრბოლაც ვერაფერს აკლებს. ადამიანი ხომ მახსოვრობაა, ნაია, ის დროა, რაც გადაგვიტანია და ჩვენს გონებაში აღბეჭდილა. სწორედ ამიტომ კიდევ შემრჩა ხვალის იმედი, თუმცა იგი ჭის ფსკერიდან დანახული ცის ნაჭერივით მცირეა და გაურკვეველი ფერი გადაჰკრავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## XII

პატარა ქალაქს თავისი ბებერი გალავნის ფერი, ქანგისფერი მოსძალებოდა - მცირე ნიშან-წყალიც არ ეტყობოდა გაზაფხულის მოახლოებისა. დაღლილ სხეულზე მრუმე ნაოჭებივით დამჩნეული ვიწრო, ძველებური ქუჩები უკაცრიელობისგან მტერგადავლილსა და აკლებულს დამსგავსებოდა. დამჭლევებული და ნიშატგამოლეული სიცოცხლის არსებობას მოედანზე შეყრილი და ერთმანეთისგან კარგა მანძილზე დაშორებული რამდენიმე ორ-სამკაციანი ჯგუფი მოწმობდა მხოლოდ და კიდევ ქვევით, „ბებრების ბაღში", სტალინის ნაძეგლარს დარაჯობდა მწვანე სკამებზე მისვენებული ორიოდე მოხუცი, ალბათ.

პატარა კახის მიერ სამშობლოს იმედად აღდგენილ მენაპირე ქალაქს უპატრონობისგან ძველი პეწი და ლაზათი დაჰკარგვოდა, მოქუფრულ-მოქურუხებულიყო, თითქოს საქართველოს ბებერ ლომს კვლავაც ერთგულობს და ერეკლეს ბოლო წლების დუხჭირი ფიქრები გასაფანტავად ვერ გაუმეტებია, აქ ერთად მოუქუჩებია და მეფის უკანასკნელი ამონაგმინიც აქაურობას ქუშად დასწოლია თავზეო. ქალაქს სააქაო პირი არ უჩანდა, წარსულის უძირობისგან იცქირებოდა, იქით ჩაიყურებოდა. ზედდატანებით ფეხქვეშ ნიადაგიც ეშლებოდა, ემზვლეოდა, ემეწყრებოდა. ეს მტრისგანშეუმუსრავი გალავანიც, პატარ-პატარა, იშვიათი სილამაზის სახლებიც, დუქან-ნადუქნარებიცა და წაშლილ-წაუშლელი ეკლესიებიც *დროს* მოექცია ყბაში და, თუ ვინმე გულშემატკივარი და შემძლე კაცი არ გამოუჩნდებოდა, იმათ გამოფქვამდე ბევრი აღარაფერი იყო დარჩენილი. ამას ქვეშეცნეულად მოსახლეობაც გრძნობდა და სამკვიდროდან გაქცევას ცდილობდა - სიღნალი თანდათან კლებულობდა, ცოტავდებოდა, ხალხისგან იცლებოდა.

ჩემი ქალაქი, - *დროს* არც ამჯერად უწევდა ანგარიშს დემნა, - ჩემი ნამცეცა ქალაქი იმიტომ კი არ დარჩა ასე პაწაწინა, რომ პიტალოსა და მწირ კლდეზეა გაშენებული და გასაქანი არსაითა აქვს, არამედ იმიტომ, რომ თავისი მდინარე არ ჩამოუდის, უწყლობისგან დაიგვალა, დაიმცრო, დახორავიჭდა. უმდინარო ქალაქი ცოდოა, უჭირს...

მწვანეპალტოიან ქალს მისდევდა ფეხდაფეხ. მდარე, იაფფასიანი სუნამოს სუნი, წინათ რომ გაალიზიანებდა და უამურად შეაჭმუხვნინებდა ცხვირს, ახლა სიამოვნებდა და მოწყურებულივით ისუნთქავდა. ქალმა ფეხს აუჩქარა, მესაათეების დუქანს ასცდა და მალე რაიკომის მხარეს გაუხვია. დემნამ თვალი გააყოლა და ნაბიჯი არ შეუნელებია, ისე აათავა აღმართი.

შუადღე ახალი გადასული იყო. ზედაშიანჭოტორისკენ გადახრილი მზის სხივები მოედნის აღმოსავლეთით ჩარიგებული ერთსართულიანი მაღაზიების ფართო შუშებზე ირეკლებოდა და იმისი მოწითალო ათინათი მოპირდაპირე შენობის თეთრად შეფეთქილ კედელზე ციალებდა - სუსტი, ძალადაშრეტილი შუქი ამდილანდელ მზის ამოსვლას უშნოდ, უნიჭოდ იმეორებდა.

კულტსაქონლის მაღაზიას გაუსწორდა თუ არა, ძახილი შემოესმა - წყვილი კვიპაროსის ძირში მდგომი, ამ ქალაქის სულივით დაბერებული, მაგრამ გაუტეხელი და მუდმივი დიმიტრი პაპა ხელს უქნევდა, თავისთან უხმობდა, იპატიჟებდა - გეგონება, იმ ხნის მანძილზე, რაც ერთმანეთს აღარ შეხვედროდნენ, აქედან ფეხი არ მოუცვლია და სულ დემნას გამოჩენას ელოდებოდაო. დემნას კი ლამის იმისი არსებობაც აღარ ახსოვდა, როგორ წარმოიდგენდა, თუ კიდევ გადაეყრებოდა ოდესმე - მართლა უკვდავი ხომ არ იქნებოდა?

დედაქალაქურ ყოფა-ვითარებათა ეგებ ერთფეროვანი, მაგრამ სწრაფი ბრუნვა, მრავალთა და მრავალთა ხშირი გაცნობა და გადავიწყება - აღარა ტოვებდა ადგილს ბავშვობის დროინდელ ნაცნობებზე საფიქრელად. ღმერთმა ხომ იცის, ბოლო ათი წლის განმავლობაში /და უფრო ადრეც/ საგნები და მოვლენები, უფრო მეტად კი, ალბათ, ადამიანები, ამ კაცის ხსოვნიდან ამოკვეთას, დავიწყების ფერფლით დაფარვას უწყობდა ხელს. თუმცა ვერც იმას უარყოფდა, რომ თვითონაც არ იყო მოწადინე ბავშვობისდროინდელ ურთიერთობათა აღდგენა-განახლებისა - ზედიზედ სამი წერილი მიიღო მოხუცისგან ამ ერთი წლისა თუ ცოტა მეტი ხნის წინ, მაგრამ ვერც ერთზე უპასუხა, რადგან საამისოდ არც განწყობა ჰქონდა და, ცოდვა გამხელილი სჯობს, არც სურვილი. როგორც ყველაფერ დანარჩენს, იმ წერილების პასუხებსაც მიიყურისძირებდა, სახვალიოდ გადასდებდა ხოლმე და ბოლოს იმდენი დრო გადიოდა, რომ წერილიც ავიწყდებოდა და იმისი გამომგზავნელიც. ხანდახან თუ გაჰკრავდა გონებაში: ნეტავი მისამართი ვისგან გაიგო, ნუთუ კიდევ ერთხელ მოუწია დედაჩემთან არცთუ სასიამოვნო სტუმრობაო. ეგ იყო და ეგ, სხვა მხრივ აღარც დიმიტრი პაპა აგონდებოდა და, მით უმეტეს, აღარც ის სათნო და კეთილი დედაბერი - ელენე ბებო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა კი იდგა ამ სანახევროდ მშობლიური ქალაქის შუაგულში მოულოდნელობისგან გამოყეყეჩებული და ადგილიდან ფეხს ვერ იცვლიდა. მერე ცოტა გონს მოვიდა და ნელ-ნელა დაიძრა მოხუცისკენ.

დიმიტრი პაპა სადალაქოდან გამოსულიყო. ახალგაპარსულ ლოყებზე ვარდისფერი დაჰკრავდა, თეთრად მხოლოდ ნიკაპზე დარჩენილი პატარა წვერი ანათებდა, ოდესღაც, გაბრაზებისას დემნას დედას სიტყვა „ჩებიჩი“ რომ გაახსენა.

წელში გამართულმა, ოდნავ თვალმოჭუტულმა გაუწოდა ხელი.

– რა არის, ბიჭო, ე რანაირად გამხდარხარ, არაფერსა სჭამ? – ისეთი კილოთი ჰკითხა, რომ კაცი იფიქრებდა, ლამის ათიოდე წლის უნახავები კი არ არიან, აგერ ათიოდე დღის წინ დაშორდნენ ერთმანეთსო.

– გასუქებული როდისღა ვიყავი... – გაღიმება სცადა დემნამ.

– არა, მაგრამ ეს მაინც მეტისმეტია, – თავი როგორღაც დანანებით გაიქნია მოხუცმა, – როდის ჩამოხვედი თბილისიდან?

– რა ვიცი, თვენახევარი მაინც იქნება, – ასეთი შინაურული შეხვედრისგან კიდევ უფრო დაიბნა დემნა.

– თვენახევარი?! თვენახევარი... – თავისთვის ჩაილაპარაკა დიმიტრი პაპამ თეთრწვერიანი ნიკაპი მოისრისა, – თვენახევარია ფეხმოუცვლელად ზედაშიანში ზიხარ და ელისომ, დედაშენმა მაინც არაფერი გითხრა?

– დედაჩემმა? დედაჩემს რა უნდა ეთქვა?

– რა უნდა ეთქვა და ჩადი, ერთხელ მაინც მოინახულე ის ბებრებიო, არ გითხრა?!

დემნამ უხმოდ აიჩეჩა მხრები.

– ან სხვისი თქმა რად გინდოდა? ამდენი ხნის მანძილზე ორიოდე კილომეტრი ვერ გამოიარე, რომ ჩემამდე მოსულიყავი? მე არ ვიცი, რანაირი ხალხი ხართ თქვენ, ძმაო! ვის გამოემგვანეთ, ვინ გიმსგავსათ, არაფერს და არავის რომ არ უწევთ ანგარიშს! – ეს ბერიკაცი ვის რაზე უბრაზდებოდა, ჯერაც ვერ მიმხვდარიყო დემნა, – შეიძლება ადამიანის ამნაირად მიგდება და მივიწყება? მაშ, ცოდომადლი აღარ არის ქვეყანაზე? ან ჩემს წერილებს ყური ეგრე რად მოუყრუე, დავიჯეროთ, ვერაფერი იპოვე შიგ საინტერესო? ბიჭო, შენ ხომ არა გგონია, რომ მართლა ცას შევაბერდები და სამუდამოდ ვიქნები ამ ცოდვილ დედამიწაზე? – ვერ იქნა და ველარ მოათავა დიმიტრი პაპამ საყვედურები.

ერიჰააა, ესღა აკლდა და მეტი არაფერი! სწორედ ამაზე იყო ნათქვამი: შარო, საიდან მოდიხარო. რა უნდოდა, რასა სთხოვდა, რას ამუნათებდა? ეგრე გამოდიოდა, ამ ცხრაუცხო კაცის ვალიცა ჰქონდა გასასტუმრებელი, ამისი სარჩო-საბადებელიც გამოეხრა დემნას და, თუ ოდესმე მართლა მოუწევდა ღვთის სამსჯავროზე წარდგომა, დიმიტრი პაპას გამოც დაუმძიმებდნენ ტვირთს, დიმიტრი პაპას გამოც მოსთხოვდნენ პასუხს.

კარგი რაა, ხალხო, ამისი მაინც რაღა ბრალი და შემცოდეობა ჰქონდა, ამისი რაღა ანგარიშვალდებული იყო? ოდესღაც, ბავშვობაში ნაძღვნევი ტკბილეულისა და ნუგბარეულის-თვის ხომ არ უნდა გადაეყოლებინა? კი ბატონო, მინდა ვიშვილოო, ამბობდა, გაზრდას უპირებდა, მაგრამ მხოლოდ უპირებდა და ეგ იყო, მაგით მორჩა ყველაფერი, მართლა ხომ არ გაუზრდია, მართლა ხომ არ დაუყენებია გზაზე? აბა სხვა რა ამაგს აყვედრიდა, რის საფუძველზე ედიდგულებოდა? თუმცა რას გაიგებ ადამიანისას, ეგებ იმას ასაყვედურებდა: რატომ არ მეშვილე და არ გამეზრდევინე, სიბერე მარტოობით რად გამიმწარეო?

დიდება შენდა, ღმერთო! ეგრე რამ დააავადათ, ეგეთი რა აკვიატება შეეყარათ! ამდენი ხნის მანძილზე თავისას დაივიწყებდა კაცი და ამათ რა დაემართათ, რომ სხვისი შვილი ვერ ამოიგდეს გონებიდან? რანაირად დავიჯერო, გინდა ცოლსა და გინდა ქმარს, ახლობელი არავინა ჰყავდეთ: დისშვილ-ძმისშვილი, ბიძაშვილ-მამიდაშვილი... ან სხვა ვინც გინდა. რაღა მე ამომირჩიეს, რაღა მე მომაყუდეს ჯოხი? ნეტავი ჩემს მეტს როგორ ვერავის მიაგნეს ამ ოცი-ოცდახუთი წლის მანძილზეო? – გაოცებული ახამხამებდა თვალებს დემნა.

– ან თვენახევარი სოფელში რა გინდა, რას აკეთებ? – ისევ მკაცრობდა მოხუცი.

– ეჰ, ეგ გრძლად სალაპარაკო ამბავია.

– ჰოდა, როგორც ვატყობ, საქმე არც შენ გაჭამს თავ-პირსა და არც მე, წავიდეთ ჩვენთან, სადამომდე ჯერ კიდევ დიდი დროა, მოვასწრებთ წვრილად საუბარს.

– აჰ, არა, არა, – შეშინებულმა დემნამ უკან დაიწია, თითქოს ხელით ექაჩებიანო, – სხვასთანა ვარ მისასვლელი, აუცილებელი საქმე მაქვს.

– ვისთან მაინც, ბიჭო, ჩემზე უფრო ახლობელი ვინა გყავს სანახავი? – ირონია გაერია დიმიტრი პაპას ხმაში.

– აქ ერთი მეგობარი მყავს, პაპუნა, დღეს იმასთან მიუსვლელობა არ იქნება, – თქვა და თავის თავზე გაბრაზდა: რა ყველაფერს დაწვრილებით ვუკაკლავ, რა ანგარიშებს ვაბარებ ნეტავი, ამისი რა საქმეა, ვისთან წავალ და ვისთან არაო.

– ეტყობა, ეს თვენახევარი პაპუნამაც ითმინა, ჩემი არ იყოს, და თუ ერთ დღეს კიდევ

მოიცდის, არაფერი დაშავდება. ხოლო ლოდინზე თუ მიდგება საქმე, ჩემზე აღარაფერს ვამბობ და ელენე ბებოზე მეტად სხვა ვინ შეიძლება გელოდეს?

– არა, იცი...

– სხვა არაფერი ვიცი, დემნა, უნდა წავიდეთ ჩვენთან, დავსხდეთ და შენი ამბავი გავარკვიოთ.

– რა ჩემი ამბავი? მე რა მაქვს სხვების გასარკვევი?!

წავიდეთ, წავიდეთ და თუ არაფერი გაქვს, იქ გავიგებთ, – დანაშაულზე წასწრებულ ბავშვს რომ დაემუქრებიან, ისე გამოუვიდა ნათქვამი.

გაოცდებოდა კაცი, ისეთ რა შინაგან ძალას ჰფლობდა ეს მოხუცი ან ისეთი რა უფლებით სარგებლობდა დემნაზე /ეგებ სხვებზეც?/, რომ რამდენჯერაც გადაეყრებოდა, იმდენჯერ ეგრე უბრძოლველად, ეგრე იოლად დაიყოლიებდა ხოლმე თავის ნებაზე. ბედისმწერალს ისედაც ქრთილისოდენა ნებისყოფა დაენათლებინა და ეს იმასაც უკლავდა, უსპობდა, უნადგურებდა – ყოველგვარი წინააღმდეგობის უნარს უხლუნგებდა. და თუმცა ამის შეგრძნება აღიზიანებდა და წონასწორობას აკარგვინებდა, მაინც გაძალიანებას ვერ ახერხებდა და უნდოდა თუ არა, იმის სურვილს ემორჩილებოდა.

სახლს ძველებური სიდარბაისლე შვენოდა. გემოვნებით გაშენებულ ციცქნა, ლამაზ ბაღში ისე ჩამყუდროებულიყო, ედემის ერთი პატარა კუთხე გეგონებოდა და ვერ იფიქრებდი: ცოცხალი ადამიანების საბინადროს წარმოადგენსო. აქაურმა უშფოთველობამ და სიმშვიდემ დემნაზეც იმოქმედა – ხასიათი გადაუწმინდა, თვალში გამოიხედა, თითქოს სულიდან რაღაცა სიმძიმე მოეხსნა. წელანდელი გაღიზიანება ჩაცხრა და ამ მოხუცებსაც სულ სხვა თვალით დაუწყო ყურება – სიყვარული და ნათესაური სიახლოვე თუ არა, ჩვეულებრივი, გულთბილი, ადამიანური გრძნობა ნამდვილად გაუჩნდა იმათ მიმართ.

ელენე ბებოს მთლად მოსთავებოდა ხელი – წელში მოხრილი, ერთიანად დაპატარავებული ლანდივით დაბორიალობდა ოთახიდან ოთახში, ჩუმად აწყობდა ვეება მრგვალ მაგიდას და ხელის ზურგით ჩუმადვე იწმენდდა დამჭკნარ ლოყებზე ჩამოგორებულ ცრემლის კურცხლებს. ალბათ, დრომ, როცა ზედ გადაუარა და გაჩეჩქვა, მარტო სხეული კი არ დაუძაბუნა, ფიზიკურად კი არ გატეხა და გაანადგურა, უფრო მეტად გული და ნერვები გაუცვითა, თორემ ვინ დაიჯერებს, რომ წინათაც, ყოველი სტუმრის გამოჩენაზე შვილი გაახსენდებოდა, თავს ვერ მოერეოდა და ცრემლებს ვეღარ შეიკავებდა.

სამაგიეროდ, დიმიტრი პაპა იყო ძველებურ შახზე და იერზე. თითქმის არ შეცვლილიყო, დროთა სვლა არ დასტყობოდა. ან ამ ათიოდე წლის წინ ჰგავდა ძალიან მოხუცს, ანდა ახლა გამოიყურება ასაკთან შედარებით ბევრად უფრო ახალგაზრდულადო, – მალულად ათვალიერებდა დემნა. ადამიანებს როცა გვერდიგვერდ უხდებათ ცხოვრება, როცა ყოველდღიურად უწევთ ურთიერთის ნახვა და შეხვედრა, გასაკვირი არ არის, რომ ვერ შეამჩნიონ, ვერ შეატყონ ერთმანეთს გარეგნული ცვლილებები და წლების მიერ დამჩნეული დაღი. ვთქვათ, მომხდარიყო და დემნა დიმიტრი პაპასთან გაზრდილიყო, აი, მაშინ რომ გამოჰპარვოდა, თვალი ვერ მიედევნებინა ჟამთასვლისგან გამოწვეული გადასხვაფერებისთვის, რაღა თქმა უნდა, გასაოცარიც არა იქნებოდა რა, მაგრამ ახლა, როცა შეხვედრასა და შეხვედრას შუა ამდენი ხანი ჩაწოლილიყო, მართლაც უცნაურად ჩანდა ეს უცვალებლობა დიმიტრი პაპასი და მნახველს იმის მარადიულობაში შეაეჭვებდა. საოცარია, – ჩუმ-ჩუმად ელიმებოდა გუნებაგამოკეთებულ დემნას, – კაცი იფიქრებს: წარღვნის მერე კიდობანი რომ მიადგა იმ რომელიღაცა მთის წვერს, ეს მოხუცი იქ დახვდა და მშვიდობით გადარჩენა მიულოცა ბანზე გამოსულ ნოესო.

– მოდი, მე ამ პატარა ჭიქით დავლევ, შენ კი – ემაგ მოზრდილით. დიდიაო, მაგაზეც არ ითქმის... ეჰეეე, მაშ როგორ გინდათ, ხალხო, მე ცოტა უნდა დამზოგოთ, უკვე ოთხმოცდამესამესა ვარ მიტანებული, – დემნას ფიქრს მიხვედრილივით გაამხილა თავისი ასაკი დიმიტრი პაპამ.

– ან ეგ რა აუცილებელია, უღვინოდაც არ გაგვიჭირდება საუბარი, – ჭიქას ხელი დააფარა დემნამ.

– გასწი ხელი იქით, – ნელა მიაწვა მკლავზე ხელადით, – რას ამბობ, თამადა ხარ, ბიჭო, და გეშინიან, არ დაგცადოს.

– რა გემართება, დიმიტრი, ღვინის დაძალება როგორ შეიძლება, განა რა საკადრისია? – ელენე ბებომ ქუთუთოებზე ნაოჭშეყრილი თვალები ჯერ ერთს შეავლო და მერე მეორეს, – ისედაც რისთვის გჭირდებათ, რა გასმევთ მაგ საწამლავს?

– მაოცებ, ელენე, მე და ჩემმა ღმერთმა, ღვინოზე ამბობ მაგას: საწამლავიაო?!

– ყოველ შემთხვევაში, დაძალება არ შეიძლება! – მკაცრად თქვა დედაბერმა.

– მაცალე, ელენე, შენი ჭირიმე, დემნას რა ჩემი დაძალება სჭირდება? სტუდენტობის წლებზე არას ვამბობ და, იმის მერე რაც ამას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღვინო-არაყი აქვს ნასვამი, ერთ მოზრდილ წისქვილს ააბრუნებდა. ეჰ... - დანანებით გაიქნია თავი მოხუცმა და გაჩუმდა.

აქაური გარემოს გამო ახლახან გამოკეთებული განწყობილება ისევ წაუხდა, ჩრდილი დაეფინა, ჩაუბურუსდა ვაჟს და ძლივსდამალული წყენით შეხედა მასპინძელს:

- ბატონო დიმიტრი, თუკი საჩხუბარი გქონდათ რამე ჩემთან, აქ მოწვევა რაღა აუცილებელი იყო?

- აქ მირჩევია, მეც ჩემს სახლში მაქვს დიდი გული ძაღლივით... მოიცა, მოიცა, როდის აქეთ გავხდი შენთვის ბატონი დიმიტრი, აკი აქამდე დიმიტრი პაპა ვიყავი?

- ამ შემთხვევაში ვითომ რა დიდი განსხვავებაა მაგათ შორის?

- არის, როგორ არა, რასაც ბატონს გაუბედავენ, იმას პაპას არ აკადრებენ.

- პაპები მაგით ნუ დაიიმედებენ თავს, რომ ყოველთვის ეგრე იქნება.

- ყოველთვის არა, მაგრამ უმეტესად ხომ ეგრეა?

- ჭამე, გადაიღე რამე, შვილო, - კამათი შეაწყვეტინა ელენე ბებომ და კატლეტიანი ლანგარი ახლოს მიუწია, - ადრინდელი შენი სტუმრობაც გულში ხინჯადა მაქვს ჩარჩენილი. როცა კი გამახსენდება, სკოლიდან მომავალი მშიერი ბავშვი ფიზიკის ცოდნის აუცილებლობაზე ლექციით რომ შეგიყოლიეთ და ერთი ლუკმა საჭმელი არ გაღირსეთ, გულ-ღვიძლზე ცეცხლი მედება. ამათზე ქვაწვია და წუწურაქი ბებრები ზღაპარშიაც არ იქნებიანო, ალბათ, იფიქრე მაშინ. თუმცა განა ახლა კი იცი რამე ჩვენს შესახებ? არაფერი. გადაიღე, გადაიღე, შვილო, ერთხელ ხომ უნდა გასინჯო ჩემი ნახელავი, რომ მომავალში მოსაგონრად გქონდეს. ეჰ, ახლა რაღაა, მაგრამ თავის დროზე მართლა კარგ კერძებს ვამზადებდი, ირაკლის საამაყოდ ჰქონდა მეგობრებში... ამასაც, - მეუღლეზე მიანიშნა და მხარზე ხელი ისე ჩამოადო, ცუღლუტობაში მხილებულ ბიჭს გამართლების საბაბს რომ მოუნახავს ვინმე შინაური, - ნუკი აუხირდები, დაბერდა ესეც, ჩემი არ იყოს, აღარა ეყურება რა. სულ ორიოდე დღის წუთისოფელიღა დარჩენია და მაგის ნათქვამ ყოველ სიტყვას ყურადღება არ უნდა მიაქციო.

სასიამოვნოა მოხუცებთან ურთიერთობა, მაგრამ - სევდიანი, ხშირად გაკითხავს ფიქრი და წუხილი წარმავალობაზე. ელენე ბებოს ნათქვამმა გუნება დაუმძიმა, გულზე ნაღველი შემოაწვა დემნას. მართლაცდა, აბა რა იყო ამ ხალხის ყოფა - რისთვის მოვიდნენ, რისთვის იყვნენ ანდა რისთვის უნდა წასულიყვნენ საქაოდან? რა მოიტანეს, რას ტოვებდნენ ან რას გაიყოლებდნენ თან? ვითომ ამათაც იცხოვრეს ამქვეყნად, არცთუ მცირე ხანს იწვალეს, ივაგლახეს და რაა მერე? არაფერი! ისე გადაეგებოდნენ, ისე უკვალოდ გაქრებოდნენ ამ ძველი ქალაქიდან, რომ მათ სახელობაზე მბლავანი აღარაფერი დარჩებოდა. გაივლიდა რამდენიმე თვე, უკეთეს /უკეთეს?/ შემთხვევაში რამდენიმე წელიწადი და აი, ამ მოღიმარ ბიჭს მომგონი აღარავინ ეყოლებოდა - თავის ბებერ მშობლებთან ერთად ისიც სამუდამოდ მოკვდებოდა. ყველას თავისი მკვდარი ჰყავს სატირალი და ის ვიღას გაახსენდებოდა. არადა, მშობლებს შეიძლება იმაზე უკეთესი არავინ ჰგონებოდათ - ყვავსაც თავისი ბახალა უყვარს - მაგრამ დედამისსაც ხომ ჰქონდა ნათქვამი დემნასთვის: ირაკლი მხოლოდ რაიონის თვალი კი არ იყო, ჭკუითაც და გარეგნობითაც იმისი მსგავსი ვაჟკაცი თბილისშიც ბევრი არ დადიოდაო. რად გინდა მერე? ამ მოხუცების მეტი გამხსენებელი აღარავინა ჰყავდა და აღარც ეყოლებოდა. ადამიანი მართლა მაშინ ხომ არ ეთხოვება სიცოცხლეს, როცა სამზეოს ტოვებს, მომგონი რომ აღარავინ დარჩება ამქვეყნად, აი, მაშინ კვდება საბოლოოდ, სამუდამოდ. დაიხოცებოდნენ ესენიც, ამ დარბაისლურ სახლსაც ვიღაცა ნარცხის-ნარცხი დაეპატრონებოდა, ჩამოხსნიდნენ ირაკლის სურათებს, ალბათ, ჩარჩოიანად გადაუძახებდნენ ნაგავში და ოთახის კედლებზეც პირწმინდად წაშლიდნენ იმათგან დატოვებულ ფერმკრთალ კვალს. ამით დამთავრდებოდა ყველაფერი - ვითომ წამიერადაც არ გამოკიაფებულიყოს, წამიერადაც არ გამობრწყინებულიყოს მისი ვაჟკაცური მშვენიერება. ბატონი ბრძანდები, ამქვეყნად ყველანი დროებით მოვდივართ, მაგრამ ეს ძალიან-ძალიან დროებითი, უსამართლოდ დროებითი გამოდიოდა.

- კარგი, თუ ცოტაოდენი ღვინის დალევა აუცილებელია, მოიტა, მე თვითონ შევავსებ ჭიქებს, - უბრალო, მოუჭიქავ ხელადას წაეტანა დემნა. მასპინძელმა არ დაანება: ჯერ კი არ დავბერებულვარო! და ვაჟის ხელი მოხუცის მარჯვენასა და ხელადის გრილ, ხორკლიან სხეულს ერთდროულად შეეხო. მოულოდნელად უცნაურად შეუხტა გული: წმინდა თიხაა, მშობლიური, - ესიამოვნა, - ერთი მასალისგანა ვართ შექმნილები, ერთი ძირკვიდან მოვდივართ. ამასობაში დიმიტრი პაპამ იმარჯვა და თვითონ შეავსო სასმისები.

- ღვინოს თუ არ მასხმევინებ, სადღეგრძელო მაინც მათქმევინე, დიმიტრი პაპავ, შეიძლება?

- ნეტავი იმ დღეს მომასწრო, ამ კომლში

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაშლილ პურ-მარილზე ყველა სადღეგრძელოს შენ იწყებდე. თუმცა აქაურობას რაღა კომლობა ეთქმის... – დემნას მზერის მიმართულებას გაადევნა თვალი მოხუცმა.

– მინდა, აი, იმ ბიჭის შესანდობარი შევსვა, ჩემზე რამდენიმე წლით უმცროსი რომ არის უკვე...

– მაგით არა, დემნა, მაგით არა! – შეაჩერა დიმიტრი პაპამ, – ირაკლის ამ ყანწით ვადღეგრძელებთ ხოლმე. – ახალგაზრდული სიმკვირცხლით სცადა წამოხტომა და კარგა მოზრდილი ყანწი მოიტანა.

– თუ ყანწია, ყანწი იყოს, კეთილი და პატიოსანი.

– დალიე, შვილო, დალიე, გენაცვალე, თუ მართლა მისავალია, შენგან უფრო მიუვა. – ისევ იცრემლებოდა ელენე ბებო.

ეჰ, რას ნიშნავს შვილი! – დანანებით შეავლო თვალი დემნამ დედაბერს, – წეღან თუ იმას ამბობდა: ღვინო საწამლავიაო, ახლა საიმქვეყნო მისავალ საშუალებად იქცა და ყანწს მიმარჯვებს, ყანწის დასაცლელადაც მაქეზებს. ამათ თუ ვასიამოვნებ, იმისთვისაც ნამდვილად მისავალი იქნება, იმ ბედდაბნელებული ჭაბუკისთვის.

ნელ-ნელა სვამდა, აუჩქარებლად, მაგრამ ისე, რომ სანამ არ დაცალა, არ შეუსვენია და ყანწი პირიდან არ მოუცილებია. როცა დალია და დაჯდა, მცირე ხანს გაყუჩდა, გაირინდა, მერე თავი ისე გააქნია, თითქოს დასველებული თმიდან წყალი უნდა ჩამოიფერთხოსო და გაიღიმა:

– მაგარი ღვინოა, იშვიათი!

– დაიმახსოვრე: სუფრაზე სასმელია მთავარი! – სახეზე სიამაყის ღიმილი მოეფინა დიმიტრი პაპას.

ღვინო მართლაც მშვენიერი იყო – ძველი, ბევრჯერ გადაღებულ-გადაწმინდავებული, კარგად დამჯდარი. ამნაირი სასმელის ეგეთი ქარახსით სმა ნამდვილად საცოდაობა იყო, მაგრამ თუკი ასე უფრო მისავალი იქნებოდა, ბატონი ბრძანდებით, ყოფილიყო ყანწი, დემნა ამ რიტუალსაც დაიცავდა. მით უმეტეს, არც ასეთი სასმისი ეუცხოვებოდა – პირველი არ იყო მისთვის და, თუ ღმერთი ინებებდა, არც უკანასკნელი იქნებოდა. სანამ საჭმელს გადაიღებდა, მილუშულივით იჯდა და სიამოვნებით აყურადებდა, ღვინო როგორ მიიკვლევდა გზას ორგანიზმში, როგორ მიიწევდა სხვადასხვა მიმართულებით – ნაწილი ქვევით, სტომაქისკენ და ნაწილიც ზევით, თავისკენ. მიწისას მიწა ითხოვს, ზეცისა ცისკენ მიდის, – კვალდაუტოვებლად გაიზლაზნა ფიქრი ღვინისგან ხორკლებდარბილებულ დემნას აზროვნებაში.

მერე ნელ-ნელა ყველაფერი თავის ადგილზე დადგა და საჭმელს მიუტრიალდა. იმ ერთ ყანწ ღვინოს წამლად ემოქმედა, ბუნებითი სიმორცხვისგან განეკურნა, ხოლო სადღეგრძელოს თქმით თითქოს ვალიც მოეხადა და თან იმისი უფლებაც მოეპოვებინა, რომ აქაურობას გაშინაურებოდა. მოშიებული ჭამდა, მადააღძრული: უკვე მეორე კატლეტს შეექცეოდა, ზედ ოდნავ შეწითლებულ კომბოსტოს მწნილს აყოლებდა, ღორის ქონში შებრაწული კარტოფილიც მოსწონდა და ცხვრის ყველი და შოთი პურიც ეგემრიელებოდა. ბებრები გახარებულები, თვალებაციმციმებულები შესცქეროდნენ, ჟამიდან ჟამად წამოხტებოდნენ, ხან სად წატუსტუსდებოდნენ და ხან სად, ხან რას სთავაზობდნენ და ხან რას, თავს ევლებოდნენ, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, რით და როგორ ვასიამოვნოთ სტუმარსო.

ესენი თავს იმგვარად დამთათანებენ, ჩემს შვილად აყვანაზე არც ახლა იტყვიან უარსო, – საჭმელს წიწაკასავით აყოლებდა მწარე ღიმილშერეულ ფიქრს დემნა, – ამქვეყნად სხვას ვერავის მოვაწონე თავი და ამათი გაუცვეთელი, მოუწყენელი სიყვარული ნეტავი რას ემყარება, რაზეა დაფუძნებული, რომ *დრომ* ხინჯი ვერსად გაუჩინა, სხვა დანარჩენივით ვერ გააყალბა და გაარიოშა. ადვილი შესაძლებელია, იშვიათად რომ მხედავენ და ჩემი ცხოვრების ასავალ-დასავალი არ იციან, იმისი დამსახურებაა, თორემ კარგად რომ მიცნობდნენ, აბა რა საფერებელი მე ვარო.

კაცმა რომ თქვას, სწორადაც სჯიდა: თუ სადმე სამართალი არსებობდა, ასეთი პატივისცემა კი არა, აქედან კინწისკვრით გაგდება ეკუთვნოდა – განა აქამდე არ შეეძლო ამ მოუოხებელი დარდით გულგასენილი, უგასაგისო მოხუცების გახარება? მათთვისაც ორიოდე სალბუნიანი დღის გათენება? თუკი დემნას ნახვა ასეთ შვებას აგრძნობინებდა, რატომ უნდა დალოდებოდა შემთხვევითობას ან რატომ უნდა აეძულებინა დიმიტრი პაპა, ძალმომრეობა დასჭირებოდა ამის აქ მოსაყვანად? არადა, ამათზე უკეთესებს ვის უნდა სწვეოდა, ვინ უნდა მოენახულებინა? აჰ, ნეტავი ნაიაც აქა ყოფილიყო! – თავისი გულის წადილის ასასრულებლად კი არა, ქალიშვილის სიხარულისთვის ინატრა დემნამ – ნაიას უყვარდა ძველებური სახლები, ძველი ამბები, ძველი ხალხი და სხვაც ყველაფერი /მადლად მისცეს კოლა ძიას იმ ქვეყანაში!/. რამდენჯერ უთქვამს: იმ ოთახში ძილი ოცნებადა მაქვს გადაქცეული, გავლისას იატაკის ფიცრები რომ ჭრიალებს და ჭერზე ლამფაა გაკრულიო /ლამფისა მაინც რა იცოდა ან სად ენახა?/. აჰ,

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნეტავი მართლა აქა ყოფილიყო, ამ კეთილშობილ მოხუცებთან, ამ ღუმელთან, ამ სიმყუდროვეში...

– ერთი მეგობარი ქალიშვილი მყავს, თბილისელია, – თქვა ფიქრებიდან სანახევროდ თავდაღწეულმა, – ნეტავი თქვენც იცნობდეთ, იცით, რა კარგი გოგოა!

– რა ჰქვია? – ისეთი ინტერესით იკითხა ელენე ბებომ, თითქოს სახელის ცოდნა რაიმე დამატებით ცნობას მიაწვდიდა ან სახელის გაგებით უთუოდ ამოიცნობდა იმ ქალიშვილის ავ-კარგს.

– ნაია, ნაია ჰქვია, – თქვა დანაღვლიანებულმა.

– მერედა, რა თავი ჩაგიქინდრავს, შე კაი კაცო, ჩვენს გაცნობას წინ რა უდგას? თბილისში წამოსვლას ვერ დაგპირდებით, მაგრამ თუ ასე ახლოსა ხართ ერთმანეთთან, აქამდე გამოყოლასაც არ დაგზარდება. იქნება ჩვენს გამო გრცხვენია და გერიდება, იქნება იმისი გეშინია, რომ არ გითხრას: ამ გადაღრძუებულ ბებრებს რა თავში ვიხლიო, აქ სად წამომიყვანეო.

– რას ამბობთ, ხალხო, როგორ თუ ბებრებიო...

ყაზბეგის ქუჩის კუთხეში შეხვდნენ ალექსი გომელაურს. პროფესორს ისე გაუხარდა დემნას დანახვა, თითქოს გარდაცვლილი შვილიშვილი გაცოცხლებოდეს. მაშინვე საყვედურებით აავსო:

– არა გრცხვენია, ბიჭო, რატომ აღარ მესტუმრები, ეგრე უცებ რად დამივიწყე? რამდენჯერმე პაპუნასაც ვთხოვე, კიდევ გამოატარემეთქი, მაგრამ, ის კი არა, ბოლო ხანებში თვითონაც ამოიკვეთა ფეხი, იშვიათად თუ გავახსენდები. იოლი მისახვედრია, აღარ გინდათ მოხუცები, ჩემო ბატონო, მაგრამ ცოტა ანგარიში ჩვენც ხომ უნდა გაგვიწიოთ?

– როგორ გეკადრებათ, ბატონო ალექსი, თქვენთან სტუმრობას ყოველთვის სიამოვნებით ვიხსენებ. როცა მოვიცლი, აუცილებლად გეწვევით. გაიცანით, ჩემი მეგობარი გახლავთ, ნაია.

მოხუცმა ახლაღა მიაქცია ყურადღება ქალიშვილს, აღტაცებულს თვალები გაუბრწყინდა:

– ყოჩაღ, ბიჭო, ყოჩაღ, კაცი ვარო, შენ უნდა თქვა, ეს რა მწყაზარი გოგო გიშოვია! არა, ჩემო დემნა, არა, ასეთი ქალიშვილის პატრონი ჩემისთანებისთვის ვეღარ მოიცლი და გეპატიება კიდეც.

ყურებამდე გაწითლებული ნაია თავდახრილი იდგა და ზედმიწევნით შეეფერებოდა ლესდღეობით უკვე იშვიათობად ქცეული სიტყვა „მწყაზარი".

– მიშოვია, რას ჰქვია, ბატონო ალექსი, ხომ გითხარით, მეგობარია-მეთქი, – დაირცხვინა დემნამაც.

ალექსი გომელაურს სიბერე მორეოდა, სახე დალაქოდა, შესამჩნევად გამხდარიყო და დამჭკნარი ღაბაბი ტყავად გადმოჰფენოდა ადამის ვაშლზე. ეტყობა, ძველებურად აღარც ავადმყოფები უტალახებდნენ კარს და სხვაგანაც არსად ეჩქარებოდა. ალბათ, ამიტომ იყო, რომ მოსაუბრეები დიდხანს, დიდხანს აღარ გაუშვა ხელიდან, გვიან დაშორდნენ ერთმანეთს.

– ასეთი მოხუცები ხომ განძია სახლში, სიმდიდრეა, – დაფიქრებულმა თქვა ნაიამ. ვინ იცის, თვითონ რომ აღარც ბებია ჰყავდა და აღარც პაპა, ის ანაღვლიანებდა. შეიძლება სხვა რამეც, რას გაიგებ ადამიანისას.

აი, ეს მოხუცები ენახა ნაიას და მერე ეთქვა, რა იყო ადამიანთა ყველაზე დიდი განძი და სიმდიდრე. არა, არც ალექსი გომელაურზე ჰქონდა რამე სასაყვედურო და დასამდური, მაგრამ ამათ სულ სხვა მადლი ეცხო.

– ალექსი თუ გახსოვს, დიმიტრი პაპა, გომელაური?

– გომელაური? ჰო, ხსოვნით როგორ არ მახსოვს, ეგ კი არის, დიდი ხანია, აღარ მინახავს, ამოიკვეთა ფეხი სიღნაღიდან... – და დემნას გაკვირვებულმა შეხედა: – ჰო, მაგრამ ლექსო რამ მოგაგონა, რა შუაშია, ლექსოსი რამეა ის გოგო?

– არა, არაფერი, უბრალოდ, იცნობს ალექსის, იმისი ამბავი იცის და დიდ პატივსაც სცემს. ჰოდა, როცა გნახავთ და გაგიცნობთ, თქვენ ხომ უფრო მოეწონებით და მოეწონებით.

ღობე-ყორეს ედებოდა, რაც მოხვდებოდა, იმას ლაპარაკობდა, ოღონდ კი ნაიაზე საუბარი არ შეეწყვიტა.

– მაგას რაღა აჯობებს, შვილო, მაგას რაღა აჯობებს, – სათავისოდ მიღრიჯა საუბრის მდინარება დიმიტრი პაპამ, – თუ მოვეწონეთ, კეთილი და პატიოსანი, თუ არადა, შენც კარგად იყავი და ისიც, ჩვენ თქვენი ჭირის სანაცვლო ვიყოთ... ისედაც, აბა როგორ გინდა, ხომ უნდა დამკვიდრდე სადმე, შენი ბუდე გაიჩინო, შენს საქმეს ეწიო. ავყურს არაფერი გიგავს და უფროსების ნათქვამი ხომ უნდა შეისმინო. მართლა ხომ არა გგონია, რომ მე და ბებიაშენი ცას შევაბერდებით. აი, როცა ვნახავთ, რომ შენი კომლი გაქვს და შენი საყუდარი კუთხე გაგაჩნია, ცოლ-შვილი გყავს და შენი ჯიშის გამრავლებაზე ზრუნავ, ჩვენც გეტყვით ჩვენს სათქმელს და მშვიდად გავუყვებით იმ გზას, უკან მოსაბრუნი რომ არა აქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიმიტრი პაპას ნაუბრიდან სხვათაგანაც მრავალჯერ ნათქვამი დემნამ ყურსიქით გაიტარა და ბოლო სიტყვებს ჩაეჭიდა ინტერესით, ბოლო სიტყვებმა მიიქცია იმისი ყურადღება:

– თუ სათქმელი გაქვთ რამე, მითხარით, გულახდილი საუბრისთვის ცოლშვილი რა აუცილებელია?

– არ გეწყინოს და უცოლშვილო კაცის სრულფასოვნებაში ხალხს ეჭვი ეპარება.

ეჰ, ეტყობა, უკამათოდ ვერც აქ გადავრჩები, – უსიამოვნოდ შეეჭმუხნა სახე დემნას. აბა სხვანაირად როგორ აეხსნა ამ მოხუცებისთვის, რატომ არ უნდოდა, იმ სანუკვარი ქალის ცოლად მოყვანა, რომელიც უკვე რვა წელი იქნებოდა, რაც უყვარდა და ურომლისოდაც იმისი სიცოცხლე აზრს დაჰკარგავდა. ანდა ის რანაირად გაეგებინებინა, რომ თუნდა ცოლიც მოეყვანა და წვრილშვილიც დაჰხვეოდა, არც ეს იქნებოდა საშველი, რადგან არც მაშინ გაეცემოდა პასუხი იმ შემაღონებელ კითხვებს, ტვინს რომ უბურღავდა. ხმის ამოღება არ უნდოდა, კარგად იცოდა, სიტყვას სიტყვა მოჰყვებოდა, არგუმენტს არგუმენტი და მერე... არ სურდა, თუდნაც დროებითი, თუნდაც ღვინით შეკოწიწებული მყიფე სიმშვიდის დამსხვრევა. დღეს, მართალია, შემთხვევით შეხვდა დიმიტრი პაპას, მაგრამ ეგებ ამჯერად მაინც მოეტანა შემთხვევითობას მცირე სიკეთე.

ისევ ღვინოს მიეძალა, ზედიზედ თქვა რამდენიმე სადღეგრძელო.

სმასა და აუწყობელ საუბარში უცებ გაირბინა რამდენიმე საათმა. ვერც კი გაიგეს, როგორ ჩამოწვა ბინდი. დემნა გარეთ იყურებოდა და ცდილობდა გამოეცნო, რა მცენარისა შეიძლება ყოფილიყო ის ტოტები, სარკმლის მინას რომ ფხაჭნიდნენ ხანგამოშვებით. მოსვლისას, როცა დღე იყო და როცა ნათლად გაირჩეოდა ყველაფერი, ანგარიში არ გაუწია, უყურადღებობა გამოიჩინა, საერთოდ ვერ შეამჩნია, იქ ხის ან ბუჩქის მინაგვარი თუ იდგა რამე და ახლა წვალობდა, როგორც ყოველთვის, დაგვიანებით ცდილობდა, ბინდბუნდში გამოეცნო, რა მცენარე შეიძლება ყოფილიყო ფანჯრის გარედან – დეკორატიული თუ ხილის მომცემი, ბერწი და ავრეხი თუ ნაყოფის გამომღები...

რა უნდოდა, უჭირო ჭირს რად იჩენდა, უშნოდ რად ჩხირკედელაობდა, რას მისცემდა ამის გაგება?

თუ ეგრე აუცილებლად გასარკვევი იყო იმ ხის ამბავი, ან ერთისთვის ეკითხა და ან მეორისთვის, პასუხს რომელი დაუგვიანებდა, რომელი დაამადლებდა და დააყვედრიდა?

გარეთ კი ნელი სიო ქროდა და შავი, გაფარჩხული ტოტები უწადინოდ ირხეოდნენ სარკმლის მრუმე მართკუთხედში.

– დიმიტრი, კიდევ შეაგდე ერთი-ორი ნაჭერი შეშა, თორემ გაიყინა სახლი, – შეაკანკალა ელენე ბებოს.

მოხუცი ღუმელთან ჩაცუცქდა, გრძელი „მაშით“ კარგა ხანს უჩხრეკავდა ნაკვერჩხლებს, მერე იფნის თეთრი ნაპობები შეუკეთა და ცეცხლთან სიახლოვისგან სახეწამოწითლებული ისევ სუფრასთან დაბრუნდა. ღუმელი სასიამოვნოდ ატკაცუნდა. შეშის ცეცხლი თავისთავადაც მადლიანია და მით უმეტეს, ღვინოსთან ერთად – ეგრე დამაჯერებლად არაფერს შეუძლია სიმშვიდისა და სიმყუდროვის ილუზიის შექმნა. ამას ზედ ეს ნოეს კიდობანივით ძველი და საიმედო სახლიც ემატებოდა, რომელსაც თითქოს რაღაცა მარადიულის იერი ახლდა და, თუ ბოლომდე მიენდობოდი, გადარჩენის რწმენას გმატებდა. გავიწყდებოდა, რა ხდებოდა გარეთ, უკვე გაკრინჩხულ, ცივი სიბნელით მოცულ ქვეყანაზე – აქაური ყოფაც კმაროდა ადამიანური თავსამტვრევების ამოსაქოლად და ჩასაყუჩებლად. იქ რას ეძებდი? სარკმლის გარეთ მდგარ ხესა თუ ბუჩქთან რა გესაქმებოდა? ამ სითბოში ჩამყუდროებულიყავი, აქაურ განწყობილებას ჩაჰყოლოდი და, რასაც საერთოდ ვერ ხედავდი, იმისთვის მიგეპყრო გონების თვალი. აი, მაშინ უეჭველად შენიშნავდი სახურავქვეშ შეყუჟულ მთვლემარე ბეღურებს, რომლებიც უშურველად გიწილადებდნენ თავიანთთვის სიზმრებში გადანახულ სათუთ გაზაფხულს, ჩიტების გაზაფხულს... არა, თვალითსახილველს ნუ ებღაუჭებოდი, განა გარეთ დარჩენილზე ნაკლებად საინტერესო იყო, დაგეყურადებინა: კაკლაობას როგორ ეთამაშებოდნენ ჭერში მოფუსფუსე ცუღლუტი თაგვები კეთილ ქონდრისკაცებს და როგორ ცდილობდნენ ამ უწყინარი გოჯილების გაცუცურაკებას... თუ გრძნობას ცოტა მეტად გაიფაქიზებდი, არც იმისი შემჩნევა გაგიჭირდებოდა, როგორ ფხიზლად იყო ერთხელ უკვე მძიმედ დათალხული ფუძის ანგელოზი და თავის ძალასა და მცდელობას არ იშურებდა, რომ სახლის ბინადართათავის ფათერაკი აერიდებინა, თუმცა იმათ, ალბათ, უკვე დასაკარგი აღარაფერი ჰქონდათ, რიღასი უნდა შინებოდათ...

მაგრამ როგორც მოგახსენეთ, ამას რომ ზიარებოდი, ბოლომდე მინდობა იყო საჭირო, დემნას კი ამას რაღაცა საწუხარი არ ანებებდა. ისევ სხვაგან მყოფი ნაია გაახსენდა და გული დასწყდა, რომ ოთახში გამეფებული სიამის თანამონაწილედ ვერ გახდიდა. შეიმშუშნა, მოძალებულ თვლემას გაუძალიანდა და საუბრის დაწყება სცადა:

– აქამდე გამოყოლასაც არ დაგზარდებაო,

ეროვნული ბიბლიოთეკა



ამბობდით, ელენე ბებო...

- რაო, ვისმე რას ვამბობდი, შვილო? - დავიწყებოდა დედაბერს ცოტა ხნის წინ ნათქვამი.

- ნაიაზე. ნაიაზე ამბობდით, აქამდე გამოყოლასაც არ დაგზარდებაო. დამზარდება კი არა, სულ ფრენა-ფრენით წამოვა, თუ ასეთ კეთილნაგებ სახლში მოუხდება ღამის გათევა. ნეტავი, იმას ეს სახლი აჩვენა და მერე თქვენ იმისი ალტაცებისთვის გაყურებინათ... იცით, ელენე ბებო, ძალიან უცნაური გოგოა, სხვებს არა ჰგავს, სხვებისგან გამორჩეულია - ყველაფერი ძველებური უყვარს და იზიდავს... - ენას კბილი მალევე დააჭირა, მთვრალი კი იყო, მაგრამ მიხვდა, მეტი მომივიდაო და შერცხვა თავისი გულახდილობისა.

უხერხულობიდან ელენე ბებომ იხსნა:

- ნეტამც ეგრე მოხდებოდეს, შვილო, ნეტამც ეგრე მოხდებოდეს! ეს ჩვენი ყავლგასული თავშესაფარი თუკი ასე მოეწონება, ღმერთმა სიკეთე მოგცეთ და სულაც თქვენი იყოს, სახლი ვის აუკიდია და თან ვის წაუღია საიქიოში, რომ ჩვენ წავიღოთ? - მშვიდი ღიმილი გადაჰფენოდა დედაბერს სახეზე.

დემნა ნასიამოვნები წკურავდა თვალებს. ელენე ბებოს სიტყვებმა ისევ ნაიაზე საუბარი გააგრძელებინა: აუცილებლად გაგაცნობთო, ჰპირდებოდა მოხუცებს, რაც იქნება, იქნება, ერთ კეთილ საქმეს მეც გავაკეთებ, რადგან დარწმუნებული ვარ, ამ გაცნობით თქვენც კმაყოფილები დარჩებით და ისიცო. ისე დაბეჯითებით ლაპარაკობდა, თითქოს ეგ არის და ორიოდე დღეში ნაიას აქ ჩამოყვანას წინ არაფერი დაუდგებაო. ახლა ფრიად იოლი განსახორციელებელი ეგონა ყველაფერი - ანკი რა დააბრკოლებდა, ხელს რა შეუშლიდა? მომავლის მოწმენდილ ცაზე ღრუბლის ნატამალიც არსადა ჩანდა. ვისაც სიზმარში ერთხელ მაინც უფრენია, ის გაკვირვებაც ემახსოვრება: თუკი ასეთი რამე შემეძლო, თუკი ასეთი ადვილი იყო ჰაერში ნავარდი, აქამდე სად ვიყავი და რატომ არა ვცადეო. აღფრთოვანებული ზედიზედ შეჰკრავს კამარას, მერე უცებ გაეღვიძება და... ღვინომაც ეგრე იცოდა, ეგრე იოლად სჭრიდა ყოველგვარ პრობლემას. მაგრამ გათენდებოდა დღე, ჩამოეშვებოდა უხილავი ფარდა დემნასა და რეალურ ცხოვრებას შორის და რაღაცა ძალა კვლავ შებორკავდა და დაშარტავდა, კვლავ შეუბოჭავდა ხელ-ფეხს და დაკარგვინებდა მოქმედების უნარს.

ჰო, მაგრამ ღვინოც ხომ თვალს უხვევდა და ატყუებდა, თორემ საქმით განა მაშინ კი იყო რამის გამკეთებელი?

ღვინო უკვე კარგად მოჰკიდებოდა. შიშობდა: არ ჩამომეძინოსო და მოძალებულ თვლემას ხან უაზრო საუბრითა და ხან აქეთ-იქით ასევე უაზრო ცქერით იფრთხობდა. ყველაზე უკეთ მაგიდის კიდესთან წამოწოლილი ვალმოხდილი ყანწი აფხიზლებდა და აიძულებდა კვლავ და კვლავ შეევლო თვალი ირაკლის სურათისთვის. ირაკლი მაღლიდან გადმოჰყურებდა და დიდრონ თვალებში ჩამდგარი სევდანარევი ღიმილით თითქოს კიდევ სთხოვდა რაღაცას, რაღაცას კიდევ ავალდებულებდა. აკი სადღეგრძელო ვთქვიო, - გაოცებული ძგიბავდა წარბებს დემნა, - სადღეგრძელოცა ვთქვი და დავლიე კიდეც, სხვა რა ვქნა, სხვა რაღას გაკეთება შემიძლია შენთვისო?

- ცოდო არ არის? - თქვა ხმადაბლა, მაგრამ მკაფიოდ, - ცოდო არ არის, ფუჭად ჩავლილი ძალისხმევა?

- რატო ამბობ? - ეჭვიანად ჩაეკითხა დიმიტრი პაპა.

- მაშ სხვა რა არის ამის უნაყოფოდ დახარჯული ახალგაზრდობა?

- შემცდარხარ, ცუდად გაგიგია! - მოულოდნელად გაცხარდა მოხუცი.

- ეჰ, მე რა ცუდად გამიგია, თვითონ შედეგი ამბობს მაგას.

- არა, ჩემს შვილზე ნამდვილად ვერავინ იტყვის: ფუჭად დაიხარჯაო, - თავისაზე იდგა დიმიტრი პაპა, - არც შეიძლება, ის ფუჭად დახარჯულიყო და ამიტომ სხვებისგან შესაცოდიც არაფერი სჭირს. ის, ვინც წინაპრების ოცნების ასრულებას ცდილობს, ამაოდ არ იხარჯება. რა ვუყოთ მერე, თუ ეს ზოგჯერ სიცოცხლის ფასად უჯდება.

შვილის დაღუპვის ღირსეულობა ის ნაცარი იყო, სადაც დიმიტრის სასოების ნაღვერდალი ინახებოდა. ის ათბობდა, ის ასულდგმულებდა, იმით ითქვამდა დასეტყვილ სულს. რა ისეთი გაუგებარი დემნა გახლდათ, ამას თუნდაც მთვრალი ვერ მიმხვდარიყო. ისიც კარგად იცოდა, მეტი თავშეკავება რომ მართებდა ასეთ სათუთ საგანზე საუბრისას, მაგრამ უკვე ველარ ზომავდა სათქმელს, აწონ-დაწონვა აღარ უხერხდებოდა:

- დიმიტრი პაპა, ეგ შენი სიტყვები საწიგნედ მშვენიერი ნათქვამია, ცხოვრებისთვის კი - რა მოგახსენო. რაღაცა ხომ უნდა დარჩეს ჩვენს მერე, დატოვა ირაკლიმ რამე?

- მაინცადამაინც მატერიალური? - დიმიტრი მოპაექრეს კი არა, რატომღაც მეუღლეს უმზერდა თვალმოუცილებლად.

- ჰო, სწორედაც რომ მატერიალური, ხელშესახები. მაგრამ, მე თუ მკითხავ, საბოლოოდ არც მაგ მატერიალურსა აქვს აზრი.

- ვერ გავიგე! ღმერთი, რჯული, მეჩვენება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითქოს სხვა ენაზე მელაპარაკებოდე. ბიჭო, რას არა აქვს აზრი? სამშობლოს თავისუფლებისთვის ბრძოლაში დახარჯულ სიცოცხლეზე საამაყო სხვა რაღა უნდა იყოს?

– იქნება მართალი ხარ, დიმიტრი პაპა, იქნება – არა, მაგრამ შენ რომ ეგრე უნდა გჯეროდეს, ჩემთვის იოლი გასაგებია, მაგაზე ფიქრი გაძლებინებს და გასულდგმულებს... ეგ ჩემთვის იოლი გასაგებია-მეთქი, იოლი. ძნელი სხვა რამეა: მე რა ვქნა, მე, ვისაც ადამიანური ყოფა არარაობად მეჩვენება და დარწმუნებული ვარ, ნოეც კი ამაოდ გაისარჯა, როცა კიდობანი ააგო და თავი გადაირჩინა. იფ, შეძვრა ვაჟკაცი და მოკალათდა გულდამშვიდებული, დაიჯერა, რომ საფრთხე აღარსაიდან ელოდა. ეგონა, სხვებს თუ წარღვნა წალეკავდა, თვითონ სამუდამოდ იცოცხლებდა, სამუდამოდ გაინაღდებდა სამზეოს. ვერ მიართვეს! ხომ მოკვდა ისიც ბოლოს?

/ეს რაღა იყო? დღეს უკვე მერამდენედ ახსენდებოდა ნოე თავის კიდობნიანად? ნეტავი იმისგან რაღა უნდოდა, ის მაინც რაღად ამოეჩემებინა?/

– შენ მართლა ხომ არ დათვერი, ბიჭო, რეებს ლაპარაკობ?! გგონია ნოე იმიტომ შევიდა კიდობანში, რომ სამუდამოდ ამქვეყნად ყოფნა უნდოდა? არა, გენაცვალე, იმას თავისი ცოლ-შვილის, თავისი შთამომავლობის, საერთოდ, ადამიანთა მოდგმის, ბოლოს და ბოლოს, სიცოცხლის გადარჩენა სურდა დედამიწაზე, გასაგებია?

– თვითონ ხომ მაინც მოკვდა! – რაღაცა ბავშვური სიჯიუტით, მიდგგასავით ჯიბრიანად თქვა დემნამ. ადრეც მოგახსენეთ, ამას სიცოცხლე მხოლოდ ამქვეყნიური არსებობა ეგონა.

– ოჰო, დიდი რამე, თუ მოკვდა, – გაეღიმა დიმიტრი პაპას, – ეს ცხოვრება შენ ძალიან ძვირად შეგიფასებია. ნოე კიდობნის აგებისთანავე, საქმის მოთავებისთანავე რომ მომკვდარიყო, უკვე აღარაფერი შეიცვლებოდა, შთამომავლებს შეიძლება მხოლოდ იმაზე დაგვწყვეტოდა გული, რომ ღვინის გამოგონება დაგვიანებულიყო ცოტა ხნით, ეგ არის და ეგ, მეტი არაფერი. სააქაო საქმეს კაცი ადრე მოითავებს თუ გვიან, მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია, მოითავოს. ისიც დაიმახსოვრე: ჩვენი სიცოცხლე თვითონ ჩვენ არაფრად გვჭირდება, უფრო სწორად, თითქმის არაფრად გვჭირდება, სხვებისთვის ვცოცხლობთ ყველანი. აი, აღარ არის ჩემი შვილი, ჩემი ვაჟკაცი ირაკლი, და გგონია, იმას უჭირს რამე? არა, ჩვენ გაგვანადგურა, ჩვენ გაგვსრისა და გაგვაუბედურა იმისმა სიკვდილმა. ირაკლის სიცოცხლე თვითონ კი არა, ჩვენ დაგვაკლდა, მის მშობლებს, და სხვებსაც, ერთი-ორ კაცს, მეტს თუ არა. მე ერთხელ გითხარი: არ მოვკვდები, სანამ მართლა ბედნიერი არ იქნები-მეთქი. მაშინ პატარა იყავი და გაგაოცებდა ჩემი ზღვარდაუდებელი სიხარბე და გაუმაძღრობა. ალბათ, იფიქრე: ვინა ყოფილა ეს ოხერი, ცას უნდა, რომ გამოეკეროსო. მჯერა, ახლა მაინც ხვდები, ჩემი ამქვეყნად ბოგინი მე არაფრად მჭირდება. იღბლიან კაცად მაშინ ჩავითვლებოდი, ჩემს შვილს თუ ჩავასწრებდი მიწაში, წინ-წინ თუ მე გავუთბობდი საფლავს... ახლა კი რაა, ვცოცხლობ ამისთვის, – თვალით ელენე ბებოზე ანიშნა, – შენთვის და.. მე მგონია, მიმიხვდი, რისი თქმაც მინდა... ადამიანი იმიტომ იბადება, რომ მოყვასისთვის იცოცხლოს და არა საკუთარი თავისთვის. იმასაც გეტყვი და ნუ გაგიკვირდება, ზოგჯერ გარდაცვლილებისთვისაც კი საჭიროა ჩვენი სიცოცხლე...

უცებ გაჩუმდა. ხელი ნელა წაიღო ხელადისკენ და ჭიქები შეავსო.

– ძალიან გასაგებად თქვი, დიმიტრი პაპავ, ძალიან ლამაზადაც და ჭკვიანურადაც. ნეტავი შენს ახლოს მყოფ ადამიანს! ნეტავი! ცოტად თუ ბევრად ასატანს გაუხდიდი წუთისოფელს. მაგრამ ჩემთვის უკვე გვიანია. მე, ეტყობა, გონების თვალი ადრევე დამიბრმავდა და რა ვქნა, ვერც შენს ახსნა-განმარტებაში ვხედავ რამე აზრს. ვერც ეგ ამიხსნის, ვერც ეგ მომცემს პასუხს იმ კითხვებზე, ბედისწერასავით რომ ამდევნებია: რისთვის მოვდივართ? რისთვისა ვართ? რისთვის მივდივართ? – მორიდებულად თქვა დემნამ, რადგან ხვდებოდა, რომ ყველა გაეღიზიანებინა, ყველასთვის მოებეზრებინა თავი ამ კითხვებით. ამასთან ერთად, ისიც იცოდა, პასუხს ვერსაიდან ელირსებოდა.

– ეეე, შენ ძალიან შორს, ძალიან ბნელ უფსკრულებში ჩაიცქირები, შვილო, – დაუყვავასავით დიმიტრი პაპამ, – ჩვენამდელ სიღრმეებზე ჩვენ არავინ არაფერს გვეკითხება. მაგის მიხვედრას დიდი ფილოსოფოსობა და ქადაგმისნობა არა სჭირდება, ჩემო დემნა, ჩვენს ყოველდღიურობაზე თვალის ერთი შევლებაც კმარა, რომ დავასკვნათ: როცა რამეს ვაკეთებთ, მხოლოდ გამკეთებელმა იცის იმისი დანიშნულება და არა გაკეთებულმა, შემქმნელმა და არა შექმნილმა. მანქანის დანიშნულება ჩვენ ვიცით და არა თვითონ მანქანამ. გავიწყდება, რომ ადამიანები ვართ? ადამის გაჩენამდე რაც იყო, არავინ გვეკითხება, ეგ ჩვენი საქმე არ არის და ნურც ჩავეძიებით. ჰოდა, აზრი და მიზანი ადამიანის შექმნისა და ამ აზრის განხორციელებაც, თავისთავად ცხადია, ადამამდე ჩაისახებოდა, იქ ჩვენ არაფერი გვესაქმება. ადამიანის ტვინის ამოძრავების შემდეგ, გონებას არა, მაგრამ გენს შეიძლება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახსოვდეს რაღაცა - ედემი თავის ვაშლებიანად, შეცოდება და გამოძევება, წარღვნა და წვალება - გენურ მეხსიერებას შეიძლება გამოეტყუოთ კიდეც რამე ინფორმაცია ძალიან შორს და ძალიან სადღაც დავიწყებულზე, მაგრამ იმის იქით კი ტყუილად წვალობ, ტყუილად ჩაეძიები. სამყაროს გაჩენასა და დედამიწის შექმნას ადამიანი არ შესწრებია და ამიტომაც ვერ ჩასწვდება იმის აზრსა და მნიშვნელობას. ამის შესაცნობად ვერც ინტუიცია გიშველის და ვერც ინტელექტი, ვერც გუმანი და ვერც პრაქტიკული თუ თეორიული ცოდნა. აქ გენში ჩაწნეხილი მახსოვრობაც უძლურია, ვერა, ვერ ჩავაწვდენთ გონების თვალს.

შეყოვნდა, შეამოწმა, მისმენენ თუ არაო და კვლავ განაგრძო:

- ის კი არა, ლამის დარწმუნებული ვარ, მცენარეთა და ცხოველთა არსებობის მნიშვნელობასაც ვერ მივმხვდარვართ სრულად და სწორად, რადგან ისინიც ჩვენამდე არიან გაჩენილები. სხვისა არ ვიცი და მე, როცა ძაღლს ვუყურებ თვალებში, ეჭვი მიპყრობს: მართლა ისინი ვერ გვიგებენ თუ ჩვენ ვერ ვუგებთ-მეთქი. იქნება სულაც არა ვართ იმათზე გონიერნი? იქნება იმათ ვგონივართ ძალზე მიუხვედრელები? ცხოველები თავიანთი ცხოვრების წესს არიან მეტ-ნაკლებად შეგუებულები, ჩვენ - ჩვენსას და კაცმა არ იცის, საიქიოსთვის რომელი სჯობს, რომელი უფრო გამოსადეგია. დედამიწის შვილთაგან ადამიანები შეიძლება ყველაზე ჭკვიანები, მაგრამ ყველაზე უმრწემესნი, ყველაზე ახალგაზრდები და გამოუცდელები ვართ და, ალბათ, ამიტომაც ვერ შევძელით ჯერჯერობით სრული კონტაქტის დამყარება ბუნებასთან, ვერ შევიცანით იგი...

ძარღვი მობოშდა, მოეშვა, ძლივსღა ფეთქავდა - თანდათან უინტერესო გახდა დიმიტრი პაპას ახსნა-განმარტებანი. დაწყებით კი როგორ კარგად დაიწყო: აი, სადაც არის საგანძურსაც მივაგდებითო, სადღაც ხელმისაწვდომზე იგუმანებოდა. მერე სულ დაწვრილმანდა, აურ-დაურია, მოჰყვა და ძაღლებისა და კატების შინაურ საქმეებში ჩარევა დააპირა. ამან ისეთი წიკომაკოების ახსნა დამიწყო, ეტყობა მთლად უვიცი და აბუეტი ვგონივარო, დაეჭვდა ვაჟი. ეგ არაფრად სჭირდებოდა დემნას, ეგეთები თვითონაც ბლომად იცოდა - სულ წაღმა-უკუღმა იყო განათლებული, უგზოდ და უსისტემოდ და არც ბუნების იდუმალებასა და შეუცნობლობაზე ფიქრი გახლდათ მისთვის უცხო და ახალი. თუმცა ბიოლოგიას ეთნოგრაფიის მომიჯნავე სპეციალობა ვერ დაერქმეოდა, მაგრამ ამ დარგშიც ბევრი ისეთი რამე ჰქონდა მოსმენილი და წაკითხული, იმდენი რამით ჰქონდა ტვინი გამოტენილი, თავის დღეში რომ არაფერში გამოადგებოდა. აბა რა ჯანდაბად უნდოდა თუნდაც ამის დამახსოვრება, სულ ახლისა, ახალთახლისა - დიმიტრი პაპას საუბარს თავადვე აეცდინა მსმენელი გეზიდან, სხვაგან ჰქროდა მისი გონება, შიგნით, თავის თავში ჩაბრუნებისკენ ეზიდებოდა - ...ზოგიერთი ხე თურმე წინასწარვე ატყობინებს თანამოძმეებს მავნე მწერების შემოსევებს. მეცნიერებმა ცდის ჩასატარებლად ტირიფისა და ვერხვის ტოტებს მსუნაგი მატლების კოლონიები მიუსიეს, რის საპასუხოდაც ხეებმა ისეთი ნივთიერებების წარმოქმნა დაიწყეს, რაც მათ ფოთლებს ამ მწერებისთვის საჭმელად უვარგისს ხდიდა. მეცნიერებმა მოულოდნელად აღმოაჩინეს, რომ იმავე ნივთიერებას გამოიმუშავებდნენ ახლომახლო მდგომი ამავე ჯიშის სხვა ხეებიც, თუმცა იმათ ჯერჯრობით არაფერი ემუქრებოდათ.

დამკვირვებლებმა ხელად დაასკვნეს: ფესვების საშუალებით ატყობინებენ ერთმანეთსო. თავისთავად ესეც ხომ უცნაური და მოულოდნელი იქნებოდა, მაგრამ ამ ჰიპოთეზასაც მალე გამოეთხარა ძირი, რადგან „სიფრთხილის ზომებს“ ის ხეებიც იღებდნენ, რომლის ფესვებსაც საერთო არა ჰქონდათ რა დანარჩენებთან.

ასეთ უცნაურობას რომ შეიტყობ, მოდი და შენც ნუ ერწმუნები ტატო ბარათაშვილს: *„მწამს, რომ არს ენა რამ საიდუმლო უასაკოთაც და უსულთ შორის“.*

აი, ეგეთი წაღმა-უკუღმა განათლებული გახლდათ, მაშ!

- თუ ეგრე უგულისყუროდ უსმინე ყველას, არა მგონია, როდისმე სწორი დასკვნის გამოტანა მოახერხო, - მჭევრმეტყველის აღფრთოვანება განელებოდა მოხუცს.

- გეყოფა, დიმიტრი, დაგვღალე ორივე შენი ქადაგებით. მოდი, სხვა რამეზე ვისაუბროთ, - შეწუხებულმა თქვა ელენე ბებომ.

- ვაჰ, თქვენ მოსმენაც არ გინდათ, თქვე კაი დედ-მამის შვილებო და...

- გისმენთ, დიმიტრი პაპა, განა არ გისმენთ, მაგრამ ვერ გვაჯერებ და რა ვქნათ? - დემნას ღიმილი ბოდიშსაც გულისხმობდა და ახლობელი ადამიანის მიმართ გულახდილობასაც.

- შვილო, შენ თუ არ გინდა, შენ თუ ძალით აიფარებ თვალებზე ხელს, მაშინ ვერავინ დაგაჯერებს. უთქვამთ: ანაგის ხევი ისე ამოვიარე, ერთი ქვა არსად შემხვედრიაო. იმ კაცს ვერასოდეს დაარწმუნებ, რომ შეიძლება, ხევში ქვები ეყაროს.

- რატომ, კაცო, ეგეთი შეუსმენელი და უჯიათი გგონივარ? არა... თუმცა რას მიცნობთ,

როგორი ვარ, განა რამდენჯერ შეხვედრივართ ერთმანეთს ბავშვობის მერე?

– ყური მიგდე, აქ უჯიათობა არაფერ შუაშია, შვილო, ეგ ყველაფერი ხასიათის ჩამოყალიბებაზეა დამოკიდებული. საგნებსაც და მოვლენებსაც სხვადასხვა ადამიანი სხვადასხვა კუთხიდან, სხვადასხვანაირად უცქერის. ერთს რაც უხარიან ან აწუხებს, მეორისთვის, შეიძლება, ტყემლის ჩირადაც არა ღირდეს. ერთ კაცს თურმე გრძელ წვერზე ცეცხლი წაეკიდა. მეორეს თავზარი დაეცა, მივარდა და ჩაქრობა დაუწყო. მესამემ დაინახა და შეეხვეწა: დაიცა, ჯერ ნუ ჩააქრობ, ჩიბუხზე მომაკიდებინე და მერე რაც გინდა, ისა ჰქენიო. გაიგე? ეგრეა! როცა ჩამავალ მზეს უყურებენ, ერთნი სწუხან: ღამდება და ბნელი ეუფლება ქვეყნიერებასო, მეორენი კი გახარებულნი არიან: ეს მზის ჩასვლა ხვალინდელ განთიადს გვაახლოებსო...

– საკმარისია, დიმიტრი პაპა, აღარ გინდა, რაა! – ხვეწნით შეაწყვეტინა დემნამ, – ვერა, ვერ მაკმაყოფილებს ეგ შენი ნაუბარი. ოდესღაც ფიზიკის სწავლის აუცილებლობაზე წაკითხული ლექციისა არ იყოს, დამაჯერებლობა ამასაც აკლია. აი, იმაზე ადრე კი, ბავშვობისას, გზის გაყვანისას, კარგი იყო ყველაფერი, იოლად გასაგები და დასამახსოვრებელი: *„ბიჭო, ნუ იჭერ პეპელას, ფრთამალალია, ბრალია, კოპწია ყვავილებისა და მინდვრის კოხტა ქალია...“* გავაგრძელო?

– არა, აღარ გინდა, – თვალები მოუწყლიანდა დიმიტრი პაპას, – ვიცი, ბოლომდე უშეცდომოდ გეცოდინება. ეჰ, ჩემთან რომ გაზრდილიყავი, სულ სხვანაირი იქნებოდი, სულ სხვანაირი! – დანანებით ჩაილაპარაკა მოხუცმა. მერე შეეშინდა, ჩემი ნათქვამით არავის ვაწყენინოო და უცბადვე დაამატა: – განა იმიტომ ვამბობ, რომ ახლა კარგი არა ხარ, ან კარგად ვერ გაგზარდეს? არა, მაშინ, სხვანაირი იქნებოდი-მეთქი, ის მინდოდა მეთქვა.

– არა მგონია, დიმიტრი პაპა, ვერც ეგ მიშველიდა, ჩვენი ბედი სხვაგან იჭედება, ჩვენგან დამოუკიდებლად, – ხელი ჩაიქნია დემნამ, – ეგეთ საუბარს ისა სჯობს, თითო ჭიქა კიდევ შევსვათ, მოიტა, დამისხი.

– რა ვქნათ? დავლიოთ? ჰო, კეთილი და პატიოსანი... აბა ბავშვობისაზე სასაყვედუროდ ენა როგორ მომიბრუნდება? კარგად დაგიმახსოვრებია ყველაფერი, ხოლო რაც ჯერ არ მითქვამს, იმაზე, მით უმეტეს, ვერას გისამდურავებ, რატომ არ გახსოვს-მეთქი. მაგრამ, მთავარია, რაც დღეს გითხარი, ის არ დაგავიწყდეს. აბა გაბედე და დაივიწყე, ჩემს მეტი მტერი ნუ გინდა! – სიყვარულით შეავლო თვალი.

კაცმა რომ თქვას, დროც არის, საჭიროც არის და სურვილიცა მაქვს ერთი ბოლოკეთილი ზღაპრის მოყოლისა, მაგრამ ყურს აღარავინ მიგდებთ, ძმაო, აღარავის გეზღაპრებათ და გეწარსულებათ. მეც იძულებული ვარ, სათქმელს დასასრულისკენ მივაღრეჯინო პირი და ჩვენი ძველების მსგავსად დაგემშვიდობოთ: ...თუ რომ თავი შეგაწყინეთ, ნურას უკაცრავადა.

ბნელოდა. ბილიკს ბავშვობისდროინდელი ალღო და გუმანი მიაკვლევინებდა. მგლური ნაბიჯით აიარა ფერდობის ნახევარი და შესასვენებლად დიდ თელასთან შეჩერდა – ქარი ამოიღო, შეიქაქანა, როგორც ოდესღაც იცოდა, უკან შებრუნდა და სიბნელეში გამოვლილ გზას გახედა. სიღნაღი სინათლეებით ეკიდა ცაში. ქვეშ ველი ჰქონდა გაშლილი. შორს, ველის გაღმა ვეებერთელა, ჩაშავებული მთები იდგნენ მდუმარედ.

– რისთვის მოვდივართ? რისთვისა ვართ? რისთვის მივდივართ?– იყვირა, თუ მხოლოდ მოეჩვენა, რომ იყვირა დემნამ. თავისი ძახილი თვითონაც ვერ გაიგონა – სივრცემ ღრუბელივით შეიწოვა, შეისრუტა.

პასუხის ღირსს ვინ გახდიდა, როცა გაღმა აყუდებულ მთებს – მამის მკერდივით საიმედო კავკასიონს, რომელსაც მისი დაჭრილ-დასახიჩრებული სამშობლო ზურგით მიყრდნობოდა და ხმლის ნატეხით ცდილობდა სისხლდახარბებული ყვავ-ყორნების მოგერიებას – ექოც კი არ დაუბრუნებია უკან.

ექო ქართული სიტყვა არ გახლავთო, მშობლიურად უპუ გვიქვიაო, ეგრე გვასწავლიან ძველები.



# გიორგი არჩემაშვილი

## ეთარგი

საუკუნეები გასულა გლოვიდან,
ბრბოებმა დალეწეს ბავშვობის აკვანი,
სრულქმნილი არსება ზეციდან მოვიდა,
მუხლებზე დაემხო და ბავშვს მცა თაყვანი.

იქ, სადაც თქვენ ურცხვად ცხოვრობთ და ბოგინობთ
და სადაც ბრმა ბავშვმა დამარხა მშობელი...
მე ერთი შეშლილი, უმსგავსო ბოგანო
გახლავართ სამყაროს მეფე და მფლობელი!

ვინ შემეცილება! ვინ მეტყვის არაო!
მე უკვე მეასე სამყარო დავამხე!
უდაბნოს ქვიშაში ვმარხავდი ფარაონს.
წარსულში ღმერთივით მეც ასე დამმარხეს...

თქვენზე მეცინება, ლამაზი ფერები
ყველას რომ გხიბლავთ და ყველას რომ
გაბრმავებთ,
გახსოვთ, ბავშვს წამართვით მზის ბედნიერება
და ახლა სუყველას მე გითხრით საფლავებს!

ო, არა მჭირდება ეგ უფლის ცნებები,
არა ვარ თქვენსავით მორწმუნე ფანატი.
მე ვიცი, დამღუპავს ეს შმაგი ვნებები!
მე ვიცი, დამღუპავს ვიღაცის ღალატი!..

მახსოვს, განთიადზე ზეცა რომ გაწითლდა,
როდესაც გამოჩნდა ბებერი მისანი,
მე ჩემი სხეულის გადახრწნილ ნაწილთა
სიღრმეში მახინჯი სიკვდილი ვიცანი.

თქვენც ამას ნატრობდით, როგორ გაგიხარდათ
და როგორ გინდოდათ ჩემი მოშორება.
მე ბავშვი ვიყავი, მე ყველა მიყვარდა,
ახლა კი შემძულდით! დამღალა ცხოვრებამ...

გახრწნილი გვამივით დავდივარ ღამეში,
ვიცი, რომ არ ვგავარ გახრწნილ ადამიანს,
არასდროს შეწყდება აქ ქარის თარეში,
ეთარგი - გახრწნილი, გახრწნილი გვამია!

* * *

მე აღარ მინდა ამ დაწყევლილ ლექსების წერა,
მესმის, წყვდიადში შეშლილები ზარებს რეკავენ,
ამდენი სისხლი და თვალებში ტრაგიზმის ერა...
ჩემი ლექსები მე შემშლიან და წამლეკავენ!

სულში წარსული დაუნდობლად ბავშვს აატირებს,
ვინაც დალეწა უკვდავების სარკოფაგები.
რა ეთქმით ჩემთან სისხლისმსმელებს, გულღრძო
ნადირებს?
ჩემი დიდების ქანდაკებას ცაში აგებენ!

თეთრი ყვავილი. ჩემი სული, თეთრი იები.
თეთრი სამყარო. საგიჟეთის თეთრი თვალები.
მე უკვდავებას ღმერთები არ მაპატიებენ,
ლექსი იქნება მოწმე ჩემი გარდაცვალების!..

## შორეული წინაპრები

სამყარო ტყდება, როგორც ნაზი ასანთის ღერი,
უმძვინვარესი ქარიშხლები ცეცხლად ანთია
და შორეული წინაპრები - რემბო, ბოდლერი
დათხრილ თვალებით ადიდებენ ცისფერ განთიადს.

სისხლიან სასმისს მივაწოდებ, თუ დამიცლიან
ბრმა წინაპრები, ჩემი სახე რომ გავაორო...
მე თაყვანსა ვცემ ბალაგანის მეფეს ტიციანს,
მე თაყვანსა ვცემ პოეზიით სნეულ პაოლოს.

მაგრამ ცეცხლოვან, შეშლილ გრძნობებს უფრო
ანელებს,
როცა ვკითხულობ „Memento mori"-ს ან
„მისტერიას",
თავდავიწყებით შემიყვარდა ქრისტე - გრანელი -
სევდის პოეტი - სიკვდილი რომ არ უწერია...

თუმცა მიტაცებს სიგიჟე და ბრძოლა დაუნდო,
როგორ შევკადრო ბრმა წინაპრებს მე შეცილება?
ახლა მარტო ვარ, ჩემი დარდი ვიღას გავუნდო,
მარტოობაში მე ჩემ თავზე გამეცინება,

ეროვნული ბიბლიოთეკა



მაგრამ არასდროს დამიკარგავს იმის იმედი,
რომ ჩემი ლექსი ბილწ სამყაროს ისევ შეშლიდა,
მივდივარ გზაზე, აირია წყეული ბედი,
ჩემი გენიის მაღალ ღმერთებს დღეს შეეშინდათ!

არ მავიწყდება შორეული წინაპრები,
არ მავიწყდება...

## თეთრი იები

განწირული ქარების შორს მოისმის ძახილი,
თითქოს ჩემი მსაჯული სისხლიანი მთვარეა,
მე დათხრილი თვალები ახლახანს გავახილე
და ბრმა ტიციანივით მატირებს მალარია.

იქნებ დამაგვიანდა? ვერ ვნახე მასკარადი,
ვერ მოვირგე სახეზე ეგ ცბიერი ნიღბები,
მე, ბავშვი, ვლოცულობდი, ღმერთმა სახე მარიდა
და ბავშვური თვალები სისხლით გადაიღება...

თეთრი ცვილის სანთლები ჩუმი ტანჯვით იწვიან,
თითქოს ყველგან გათენდა, თეთრ მინებთან ღამეა,
სამი რიცხვი წმინდანთა უწმინდესი რიცხვია
და თვალებით დავხატავ ბნელ ოთახში სამიანს.

გარეთ ვიღაც შეშლილი სათნოებას ქადაგებს,
ყველას ერთად მოუნდა ჩემზე შურისძიება,
და მიხმობენ კუბოდან ტიციანის მაგები...
და მიხმობენ კუბოდან ჩემი თეთრი იები...

## უბრალოება

შორს მწუხარე ლანდები
მოუთმენლად მელიან
და მოდის მოლანდებით
ტანჯული ოფელია...

სამყაროთა ქაოსებს
მოაქვთ სისხლის დროება
და მე ისევ მაოცებს
ჩემი უბრალოება.

მეძახიან სივრცენი,
მეძახიან მაგები,
მალე გარდავიცვლები,
მალე დავიკარგები...

სამყაროთა ქაოსებს,
მოაქვთ სისხლის დროება
და მე ისევ მაოცებს
ჩემი უბრალოება

## ზღვა - სილურჯე მარადიული

ღამით პოეტის აგონია. ლურჯი ფერია.
როცა გრძნობებით დაიცლება სუსტი არსება,
მაშინ იწყება დამღუპველი მზის მისტერია
და ლურჯ ზვირთების წამლეკავი მოდის მასები.

როცა კუბოებს მოედება ჭლექი და ობი,
როდესაც მთვარე ემსგავსება თავის ორეულს,
პოეტს მოუხმობს სილურჯიდან ხმა შეუცნობი
და ის ხმას მისდევს მაშინ, როცა ჩანთქავს მორევი...

და სილურჯეშიც თითქოს ბედი დაუნდობელი
არასდროს ტოვებს, ის სიკვდილზე უფრო მშვიდია,
პოეტს ზღვის ფსკერზე ელანდება ზღვის
სახრჩობელა,
სად განწირული ბავშვის სული დაუკიდიათ!

ის ვეღარ ხედავს, ვეღარ არჩევს, თითქოს
ბრმავდება,
ლურჯი ლანდების მის გარშემო როკვა წრიული,
ჩვილის თვალებში აგონია აღარ თავდება,
ხმა შეუცნობი. ზღვა - სილურჯე მარადიული.
და რაღა რჩება, რომ სილურჯეს კვლავ
დაუბრუნდეს,
ბავშვურ ხელებში შეეყინა მას იარაღი.
სარკის ორეულს დამჩნევია ხაზები მრუდე.
ხმა შეუცნობი - თვითმკვლელობა ახლა არა ღირს.

როგორც ფოთლები, ჩამოცვივდა მკლავები სუსტი
და გაყინული თვალებიდან ცრემლი ვარდება.
და ზღვა - სილურჯე მარადიული, როგორც ფაუსტი
წარსულს ბარდება...

## ქარი

ქარი ვარ, მაგრამ თვით ვებრძვი ქარებს
უფრო დაუნდოდ, უფრო მძვინვარედ,
გაგიჟებული ჩამოვგლეჯ მთვარეს
და გადავამსხვრევ ცისფერ მყინვარებს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქარი ვარ, ქარი, ვინ შემაჩერებს?
მტვრად გადავაქცევ პირამიდებსაც,
მე სიძლიერე ჩემი გაჩვენეთ
და ძირს დავამხე თქვენი დიდება!

ქარი ვარ, ქარი, და მძულს ქარობა,
მოდით, ჩამხედეთ შეშლილ თვალებში,
ნახეთ ბავშვური უანგარობა,
ნახეთ მიზეზი ჩემი თარეშის.

ქარი ვარ, ქარი, წყეული ქარი,
სამყაროს კიდევ გადვივლი გრგვინვით,
მე დავაჩოქე ყველა გრიგალი,
მაგრამ არ მინდა დაფნის გვირგვინი...

ქარი ვარ, ქარი, ბოღმის ფიალას
ვსვამ და ამ გრძნობას ცეცხლთან ვაერთებ,
სამყაროს ხელში დავატრიალებ,
სახრჩობელაზე დავკიდებ ღმერთებს!..

ქარი ვარ,. ქარი, ვებრძვი უკუნეთს,
ვებრძვი მრისხანედ და არა ვცხრები,
მე შევაჩერებ ამ საუკუნეთ,
მე არასოდეს არ დავმარცხდები!

## შენ

შენ კვლავ არ გჯერა ბრმა სიყვარულის,
ფიქრობ: ეს გრძნობა სადღაც მარხია...
მე რაც დავწერე სისხლის ლექსები,
ქარმა დახია!

შენ ახლა გჯერა, როცა მოვედი,
რომ არ ვტყუოდი, მიყვარდი ძლიერ,
მე დავიტანჯე სიმარტოვეთი,
მე ჩემს საკუთარ ორეულს ვძლიე...

## სისხლიანი სტუმარი

სისხლიანი სტუმარი
და ღამეთა მეუფე -
მე - ღმერთივით მდუმარე
სამყაროს დავეუფლე

თვალის მომჭრელ ფერებით...
ჩემ ტანჯულ ოფელიას
ისე მოვეფერები,
ვით მომაკვდავ ფერიას.

მოჩანს ბრილიანტები
უშავეს სამარიდან,
ოფელიას ლანდები
ჩამოდიან მთვარიდან,

ქარი მინას ეხლება,
იქ აჩრდილნი მელიან,
ცივი ხელით მეხება
ტანჯული ოფელია...

უსაზღვრო მონატრება,
წარსულის გახსენება,
ცისფერი თეატრები,
სისხლიანი სცენები...

დაიწყება წარღვნები,
მე - ღმერთივით მდუმარე
სისხლიან გზას გავყვები
სისხლიანი სტუმარი.

## მე დღესაც გელი

მე დღესაც გელი და თეთრი ია
შენს მოლოდინში იქცა გოლგოთად,
სადაც დამთავრდა მზის ტრაგედია
და ნიავს ცრემლის ვარდი მოჰქონდა...

მე დღესაც გელი ბავშვივით ჩუმი,
თეთრი თვალებით დაგეძებ მუდამ,
შენი თვალები ამსხვრევენ დუმილს,
თეთრი თვალები უკვე დადუმდა.

მიმძიმს, გამქრალი დღეები ვთვალო
და გავიხსენო დღე უბედური.
რატომ დამტოვე, მზის დედოფალო?
მითხარი მაინც, რატომ მემდური?

მე დღესაც გელი და თეთრი ია
შენს მოლოდინში იქცა გოლგოთად,
სადაც დამთავრდა მზის ტრაგედია
და ნიავს ცრემლის ვარდი მოჰქონდა...



ეროვნული ბიბლიოთეკა

# რევაზ მიშველაძე



## ყველა ვარსკვლავი როდი ანათებს

(საყმაწვილო მოთხრობა)

ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორს
ბატონ ზაურ კალანდიას

*ბატონო რედაქტორო!*

*„ყველა ვარსკვლავი როდი ანათებს“ გახლავთ ჩემი პირველი მოთხრობა. დავწერე იგი ქუთაისში 1959 წელს, თვრამეტი წლის ბიჭმა, მეთერთმეტე კლასის მოსწავლემ.*

*ორიოდე წლის შემდეგ უნივერსიტეტის მეორე კურსის სტუდენტმა გავბედე და წარვუდგინე „საბლიტგამს“. დიდხანს ედოთ რედაქციის პორთფელში. ყოველ მისვლაზე მპასუხობდნენ, რეცენზენტს გადავეცითო. ბოლოს, როგორც იქნა, მაღირსეს პასუხი. სარედაქციო დასკვნა ხელმოუწერელი იყო. ასე რომ დღესაც არ ვიცი, „ვინ გამომჭრა ყელი“.*

*რევაზ მიშველაძის მოთხრობა, ეწერა რეცენზიაში, დაწერილია საბჭოთა წყობილებაზე გულაღრენილი ახალგაზრდა მწერლის მიერო. არა მარტო მოთხრობის გმირი – მეცხრეკლასელი ვაჟა ჯღამაძეა დაბნეული და იმედგაცრუებული, მისი მოძღვარი გურამიც გაურკვეველი პოზიციის კაციაო. ვაჟას არც კომკავშირის სჯერა, არც კლასის ამხანაგების და არც იმ სამკერვალო ფაბრიკის პერსონალისა, სადაც პრაქტიკის გასავლელად მიაბარესო.*

*ვურჩევთ უცნობ ავტორს, თუ ასე, მუქი სათვალით აპირებს ლიტერატურაში მოსვლას, იგი ვერ გაუწევს სათანადო სამსახურს ჩვენს ჯანსაღ ახალგაზრდობას და აჯობებს სხვა საქმეს მოჰკიდოს ხელიო.*

*იქნებ მართლა სჯობდა, სხვა საქმე გამომეწყო, მაგრამ ვერ შევძელი არ მეწერა, და დაგვიანებულ ბოდიშს ვუხდი ჩემს მკაცრ მოქალაქე-რეცენზენტს.*

*დასეტყვილი პირველი მოთხრობა კი ლამის ორმოცი წელია აღარავისთვის მიჩვენებია.*

*ახლახანს უჯრებს რომ ვალაგებდი, წავაწყდი ჩემს პირველ ლიტერატურულ შეცოდებას, სიყმაწვილის პირმშოს. გადავიკითხე და გადასაგდებად ვერ გავიმეტე. რაც მთავარია, ბევრი ვერაფერი აღმოვაჩინე შიგ ისეთი, საბჭოთა ახალგაზრდობას სწორი გზიდან რომ გადაახვევინებდა და ქვეყანას რომ დაანგრევდა.*

*გთავაზობთ ორი პატარა მიზნით გულმოცემული: ჯერ ერთი, იქნებ ოდესმე ვინმეს დააინტერესოს, როგორ იწყებოდა რევაზ მიშველაძე და მეორეც, იქნებ ვინმეს ერთ ჯიუტ ფაქტად გამოადგეს იმის საილუსტრაციოდ, თუ რას ერქვა კომუნისტური ცენზურა.*

*თუ დამიბეჭდავთ, მადლობელი დავრჩები.*

*მარად თქვენი პატივისმცემელი*

*რევაზ მიშველაძე*
*05. 01. 1999 თბილისი*

---

როგორც კი რუსულის გაკვეთილზე სიჩუმე ჩამოვარდა, ჩანთიდან ღამურა ამოვაძვრინე, ფეხები შევუხსენი და შავ, ტიტველ ფრთებზე სული შე-ვუბერე. ღამურამ ორჯერ შემოუფრინა კედლებს, მერე დაფას შეასკდა და ნისკარტგახეთქილი დაეცა ძირს. ბავშვებს არ გასცინებიათ, მაგრამ მე მაინც დამიბარეს მშობელი.

* * *

– ბებია!

– ბეებიაა!

ჭიშკარს არავინ მიღებს. როგორც ჩანს, ბებიაჩემი ბაზრიდან ჯერ არ მოსულა. ბებიას ყოველთვის ავიწყდებოდა ჭიშკრის ურდულით დაკეტვა და დღეს რაღამ გაახსენა.

– ყურშა, სად შეინახა ბებიამ გასაღები?

ყურშამ თავისი ფიცრულიდან თავი გამოყო, წელში გაიზნიქა და კუდის ქნევით მომესალმა. მერე წინაფეხებში ჩარგო თავი და უხალისოდ მომაშტერდა. ყურშას დიდი თავი აქვს და გრძელი, ღონიერი ფეხები. ჯერ მხოლოდ სამი წლისაა, ალბათ, კიდევ გაიზრდება. ყურშას ჩვენი ქუჩის ძაღლებში ყველაზე ბოხი ხმა აქვს, მაგრამ ამ ბოლო დროს აღარავის უყეფს. ზის თავის ჯიხურში

ეროვნული ბიბლიოთეკა

და თვლემს. და მაინც ყურშა მსხვილი ჯაჭვით ვებია. დედაჩემი ამბობს, ქურდს ჯაჭვით დაბმული ძაღლის უფრო ეშინიაო. შიშისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ყურშა ფიცრულიდან გამოყოფილი დიდი თავით და ყელზე ვერცხლისფერი მედალიონით (რომელსაც არაფერი არ აწერია), უფრო მეტს ეუბნება ეზოში შემომსვლელს, ვიდრე ზოგიერთი მეტიჩარა ძაღლი, ყველაფერს რომ უყეფს და თავისი ჩრდილისაც კი ეშინია. მე მაინც მგონია, რომ ყურშას ჩვენებმა გაუფუჭეს გუნება. დააბნიეს. ერთხელ, როცა ყურშა ჯერ კიდევ პატარა იყო, მეზობლის სტუმარი დაითრია შარვლით. ამჯერად ლეკვს გალანძღვა აკმარეს. მერე ეზოში გადმობალახებულ დომენტის უზობელს წაეთამაშა კბილებით; ახლა კი გაჯოხეს ყურშა; მგელი და უზობელი ვერ უნდა გაარჩიოს შენხელა ძაღლმაო? ბებიაჩემმა სულ აურია დავთარი; ეს თეთრ-საყელოიანი კაცი, ნათესავია ნუ აწყენინებო, ეს კარაკულიანი ცხვარი მეზობლისაა - იყოსო. ეს ბავშვიაო, ეს ქალიაო, ეს ქალიშვილია და გული გაუსკდებაო, ეს ფოსტალიონია და ყეფას როგორ შეჰკადრებო. ჰოდა, ჩაიქნია ხელი ყურშამ. ახლა მისთვის სულ ერთია, ვინ შემოდის ეზოში და ვინ გადის; ნაცნობია თუ უცნობი; რა შემოაქვს თუ რა გააქვს. ხანდახან შემოვა სტუმარი ეზოში, დაინახავს ამხელა ძაღლს, უიმეო, იყვირებს, თოფნაკრავივით გატრიალდება და ჭიშკრის ღრიჭოდან იჭყრიტება. ყურშა შესცქერის სტუმარს და უხარია, რომ ეშინიათ მისი. ამ დროს გადმოდგება აივანზე ბებიაჩემი და ცივ წყალს გადაასხამს. - შემობრძანდით ბატონო, ნუ გეშინიათ, მაგი ტანათაა დიდი, თორემ კბენით არ იკბინებაო.

- ყურშა, მე მალე მოვალ.

ყურშას სულ არ აინტერესებს, როდის მოვალ. ჩანთა კოინდარში გადავაგდე და ქუჩას დავუყევი.

ნოემბერი ქარიანი იცის ჩვენს ქალაქში. ახლა გამვლელები წინანდელზე უფრო ჩქარა დადიან. ქუჩაზე რატომღაც უფრო მეტი ფოთოლი ყრია, ვიდრე ახლომახლო ხეებზე იყო. ათასნაირი ფოთოლი წიწილებივით ირევა ქუჩაზე და ფეხქვეშ სასიამოვნოდ ფაჩუნობს. ქარი კი არ ცხრება და ხეებზე შერჩენილ ყვითელ, ფართო ფოთლებს საცოდავად აკონწიალებს. ახლა ჩქარა დადიან ქუჩაში. მოხუცებს ყველაზე ჭკვიანურად აცვიათ, შუახნისანი ქუდებს დაეძებენ. გოგონები გულზე მიხუტებული ჩანთებით გარბიან და აბეზარი ქარისგან აფრიალებულ კაბებს ხელით იჭერენ. ჩემხელა ბიჭები თავშიშველნი ჩანან და ყოველ მოსახვევთან ქოჩორს ისწორებენ. ჩემხელა ბიჭები არ ჩქარობენ. ისინი ხმაურით მოჰყვებიან ტროტუარს და გამვლელ-გამომვლელს თვალს აყოლებენ. ჩემხელა ბიჭებს არ სცივათ. მეცხრე კლასში ვარ მე.

* * *

ჩემი სახლის გვერდით, ქუჩის პირას, სოკრატის სახელოსნოა. სოკრატი ახალ ფეხსაცმელს არ კერავს, მხოლოდ შეკეთება ემარჯვება. სოკრატს ბევრი მუშტარი ჰყავს და ერთი შვილი. შვილს ავთანდილი ჰქვია. შინაურები ვათას ვეძახით. ვათა ჩემი ხნისაა, მაგრამ ჯერ კიდევ მეშვიდეშია, მოსწავლე მკითხველისათვის ადვილად მისახვედრი მიზეზის გამო.

სოკრატი ხელს მიქნევს. სახელოსნოში შევდივარ, სკამს ვაბრუნებ და ვჯდები. ვიღაცის უშველებელ ფეხსაცმელს უკანასკნელ ლურსმანს ურტყამს და ფანჯრის რაფაზე ალაგებს. მერე სათვალეს იხსნის და მეკითხება:

- არც ხვალ იქნება ვითომ სწავლა?

ვერ გავიგე.

- მოასწრებენ ვითომ იატაკის შეღებვას ხვალამდე?

მივხვდი, დღეს ვათა სკოლაში არ წასულა. მამამისისათვის უთქვამს, დღეს სწავლა არ არის, რადგანაც სკოლაში იატაკს ღებავენო.

- რა ვიცი, უნდა მოასწრონ, - ვპასუხობ მე და, ვინ იცის, მერამდენედ ვათვალიერებ სახელოსნოს კედელზე გაკრულ კინომსახიობების სურათებს. ნეტა ვინ ამოჭრა ჟურნალებიდან ეს სურათები და ვინ გააკრა ასე გულმოდგინედ. სოკრატი არასოდეს არ უყურებს მათ.

- ვათა! - ყვირის სოკრატი.

ვათა კიბეზე ეშვება და ხელით რაღაცას მანიშნებს.

- რა იყო? - ისე უხალისოდ ეკითხება მამამისს, თითქოს საქვეყნო საქმეს მოაცდინესო.

სოკრატმა ბასრი დანით კოხტად შემოხაზა ლანჩა და შემოსულს ახედა.

- ხომ ხედავ, რას მიგავს თითები.

სოკრატ ბიძია ხელებს თავის პატარა მაგიდაზე აწყობს. მე ვუყურებ მის თითებს. მიკვირს; სოკრატს დიდი რუხი ხელები აქვს. მარცხენა ხელის ცერა თითი კი იმსისხოა, რომ ჩემს ხუთივე თითს აიწონის.

- იმას უყურებ? - თქვა სოკრატმა. სახელოსნოს ჭერზე ბაირაღივით ჰკიდია დიდი მათრახი.

- რა იყო? - ისე ეკითხება ვათა, თითქოს პასუხი არ აინტერესებდეს.

- რა და, ყოფილა ხვალ სწავლა.

- ვინ თქვა?

- მე ვთქვი, - ჩავერიე მე.

- რა ვიცი, ჩვენ გამოგვიცხადა დამლაგებელმა ხვალ იატაკს ვღებავთო და...

- ელაპარაკე ახლა ამას, - მეუბნება სოკრატი და ვათაზე მანიშნებს, - რატომ არ სწავლობს თუ იცი ხვალინდელ გაკვეთილებს?

ვათა ჩემსკენ იხრება და საქმიანად მიხსნის:

- გააგებინე ერთი, ქართულში იგივე გვაქვს, რუსულში კარნახია, ალგებრამ ახალი უნდა აგვიხსნას, ფიზიკაში ცდა იქნება და გეოგრაფიამ კითხვით მოგვცა.

- რა მოგცათ კითხვით გეოგრაფიამ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

– ტბა.

სოკრატი გამომცდელად მიყურებს. არ მეცინება. თუმცა ძალიან კარგად ვიცი, რომ არა აქვს იგივე ქართულში, ჩვენი ფიზიკის მასწავლებელი კარგა ხანია ცდებს არ ატარებს და გეოგრაფია არასოდეს არ იძლევა გაკვეთილს კითხვით!

მაგრამ მე ჩუმად ვარ, ხალათის ღილს ვაწვალებ და საუბარი სხვა საგნებზე გადამაქვს.

– ნინოშვილის ქუჩიდან უკვე დაუწყიათ ახალი გზის გაყვანა.

დღეს ტრაქტორები მუშაობენ. ოცდაათი მეტრი სიგანე ექნებაო, პირდაპირ სტადიონთან უნდა მივიდეს.

– ამ ჩვენს სახლებზე რა გაიგო მამაშენმა? – მეკითხება სოკრატი.

– ჩვენ ვრჩებით, მაგრამ ქუჩის პირას ვიქნებით, ასე ა, მსხლამდე ჩამოგვაჭრიან.

– რად უნდათ ამ სიფართე გზა?

– ფეხბურთისთვის, – ჩაერია ვათა.

– კი მაგრამ გზაზე აპირებენ ფეხბურთის თამაშს? – ისევ მე მეკითხება სოკრატი.

– ბევრი ხალხი ივლის სტადიონზე, წელს „ა“ კლასში ვართ. ჰოდა, იმ ხალხს გზა ხომ უნდა, – კვლავ ჩემს მაგივრად პასუხობს ვათა და საუბრის გაგრძელებას ზედმეტად თვლის.

* * *

სოკრატ ბიძიას სახელოსნოდან გამოსულს ზურგს მიწვავს იმის გახსენება, რომ დღესვე უნდა მივიყვანო სკოლაში მშობელი. მაინც რა ჯანდაბამ გამაშვებინა ის ღამურა. მეოთხედის ბოლოა. ვინ იცის, რა კუდს გამოაბამენ. დღეს საკონტროლო წერა გვქონდა. ისეთი სიჩუმე იყო კლასში, ისეთი, რომ არ შეიძლება ხელში ღამურა გყავდეს კაცს და არ გაუშვა.

ქუჩაში ძალიან ბევრი მშობელი დადის. ეტყობა, ბებიაჩემს დააგვიანდება. ნახევარი საათიც და გაკვეთილები დამთავრდება. იჯდეს რუსულის მასწავლებელი სამასწავლებლოში და მელოდოს. რა ჩემი ბრალია, დედა მსახურობს, მამა ყოველთვის მივლინებაშია. რა იქნება, რომ?..

– ბოდიში, დეიდა, – სათვალიანმა ქალმა ნაბიჯი შეანელა.

– სკოლაში ხომ ვერ წამომყვებოდით? ჩვენი სკოლა აქვეა, არტილერიის ქუჩაზე.

– კი მაგრამ, რატომ?

– მშობელი დამიბარეს, დედა სამსახურშია, თანაც... იქნებ... ძალიან გთხოვთ.

– დააშავე რამე?

სათვალიან დეიდას რაც შეიძლებოდა მსუბუქად მოვაჩვენე ჩემი დანაშაული.

– კი მაგრამ, მე რომ არ ვიცნობ რუსულის მასწავლებელს?

რუსულის მასწავლებელი დედაჩემს იცნობს. თქვენ ვითომ ჩემი დეიდა ხართ.

სათვალიანმა ქალმა წარბები შეიკრა.

– ესე იგი, მოვატყუოთ აღმზრდელი?! – მან სათვალე მოიხსნა და დარიგება დამიწყო. სიცრუე ცუდი თვისებააო მითხრა, შემდეგ მიამბო, რა კარგად სწავლობდა თვითონ ამ ოცდაათი წლის წინათ, თურმე არასოდეს ტყუილს არ იტყოდა და გაკვეთილზე ყოველთვის წესიერად იჯდა. სიტყვის გაგრძელებას აპირებდა, მაგრამ სახეზე შემატყო, რომ აღარ ვუსმენდი, ხელი ჩაიქნია და წავიდა.

რუსულის მასწავლებელი, ალბათ, კარგა ხანია მელოდება.

ქუჩაში ძალიან ბევრი მშობელი დადის.

ის ჭაღარათმიანი კეთილი კაცი ჩანს, მაგრამ, ეტყობა, ძალიან ეჩქარება, ეს ქერათმიანი ქალი... არა, არ გამოდგება მშობლად. დინჯი უნდა იყოს, სერიოზული, თანაც არცთუ ისე ახალგაზრდა... ის პლაშჩიანი, ზედგამოჭრილია, ნეტავი წამომყვებოდეს.

მაღალი კაცი რომ გამისწორდა, წინ გადავუდექი.

მან ყურადღებით მომისმინა. არც წარბები შეუკრავს, არც გაღიმებია. მხარზე ხელი დამადო და მითხრა:

– წავიდეთ.

ჩემს ახალ „მშობელს“ ფართო ბეჭები აქვს და დიდი ღონიერი ნაბიჯები.

– რა გქვია? – მეკითხება იგი.

– ვაჟა.

– რამდენი წლის ხარ, ვაჟა?

– თხუთმეტის.

– რომელ ქუჩაზე ცხოვრობ?

მე ვუთხარი რომელ ქუჩაზეც ვცხოვრობ.

ვერ იქნა და ფეხი ვერ ავუწყე. ისე ჩქარა მიდის ეს დალოცვილი. ასკინკილით ძლივს ვუსწორდები. ნეტავ, ვინ არის, ასე ბრმად რომ ვანდე მშობლობა.

– დედა სად მუშაობს, ვაჟა?

– ბუჰალტერია.

– მამა?

– გეოლოგი.

მერე ცოტა ხანს ჩუმად მივდივართ. მოსახვევიდან გამოჩნდა ახალი ფართო ქუჩა. ქუჩაზე ათიოდე მუშა ჩამუხლულა და ტროტუარს აგებს. ამ დანგრეული სახლებისა და ღობეების, ამოთხრილი ხეებისა და მოშლილი ბუდეების ხარჯზე ნელა, ძალიან ნელა მიდის სტადიონისაკენ. გუშინ ის მწვანე ჭიშკარი ჯერ ისევ ჭიშკრობდა. აქეთ, გზის შუაგულში გრუხუნებს ტრაქტორი და მთელი ქვეყნის მიწას ერთ ადგილას აგროვებს.

– დიდი ქუჩა იქნება, ხომ?

– ძალიან.

– ამ ქუჩაზე ალბათ ტროლეიბუსიც გაივლის, ვაჟა, ა?

– რა ვიცი.

არტილერიის ქუჩის დასაწყისში მოჩანს ჩვენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლის აგურისფერი შენობა. ამ შენობაში თურმე უწინ ჰოსპიტალი იყო. სკოლის წინ ძველთაძველი დანგრეული ეკლესიაა. ეკლესიას სკოლისაგან მაღალი ფიცრის ღობე ჰყოფს, ისე მჭიდროა ღობე, რომ კაცს ეკლესიის ეზოში შეხედვა გაუძნელდება და მაინც ჩვენ იმ დანგრეული საყდრის ხშირი სტუმრები ვართ. ალბათ, ასე მაღალი ღობე რომა აქვს, იმიტომ ეკლესიაში ახლა არავინ დადის. როცა ბურთის სათამაშოდ მივდივართ შიგ საკურთხეველში ვინახავთ ჩანთებს და შურდულებს. ეკლესიას არსად არაფერი არ აწერია და, ალბათ, თვით ისტორიის მასწავლებელმაც არ იცის, რომელ საუკუნეშია აგებული... ახლა კი სტადიონისაკენ მიდის უშველებელი გზა და პირდაპირ ეკლესიას უმიზნებს.

– ეკლესიასაც დაანგრევენ? – ვეკითხები ჩემს თანამგზავრს.

– დანგრეული არ არის?

მართალია, ეკლესიას ორი კედელი არა აქვს და გუმბათიც სანახევროდ ღიაა, მაგრამ მე ჯერ არსად მინახავს ახალი ეკლესია და ასე მგონია, ვერ მოერევა ტრაქტორი ამსისქე კედლებს.

– გაუჭირდება – ჩავილაპარაკე ჩემთვის.

– მე მითხარი, ვაჟა, რამე?

– არაფერი.

სკოლის გზაზე აქეთ-იქით ჩამწკრივებულან პატარა ალვის ხეები. შარშანწინ დაგვარგვევინეს ეს ხეები. მახსოვს, ასტრონომიის გაკვეთილი გაგვაცდენინეს. ზოგმა ალვისხემ გაიხარა, მაგრამ, რატომღაც ძალიან ნელა იზრდებიან და უღღეურნი ჩანან.

– როგორ სწავლობ, ვაჟა!

– ასეთ შეკითხვას დიდი ხანია მოველოდი.

– მესამე კლასამდე ფრიადოსანი ვიყავი, როგორც ყველა. ისე ალგებრის მაგალითებს ყოველთვის ვიყვან.

– რომელ კლასში ხარ?

– მეცხრეში.

– კარგი ბავშვებია?

– სულ ოცდახუთნი ვართ, ჩვიდმეტი ვაჟი და რვა გოგო... ყველანაირი ხალხია. თქვენ რა გქვიათ?

იგი შეჩერდა, მხარზე მძიმე ხელი დამადო და გამიღიმა.

– ჰო, მართლა, სულ დამავიწყდა, გურამი. რა ვართ ჩვენ ერთმანეთის?

– თქვენ ჩემი ბიძა ხართ, დედის ძმა.

– მკაცრია რუსულის მასწავლებელი?

– არც ისე, მაგრამ არ უყვარს, როცა ეკამათებიან. თქვენ ყველაფერში დაეთანხმეთ. უთხარით, რომ მე ცელქი და ზარმაცი ვარ. რომ ქუჩაში ზამთრობით გოგოებს თოვლის გუნდებს ვესვრი და მგონი ჩუმ-ჩუმად პაპიროსსაც ვეწევი. მერე უთხარით, რომ თქვენ შორეული ცურვის კაპიტანი ხართ. ახლახან ჩამოხვედით და გადაწყვიტეთ, სერიოზულად მოკიდოთ ხელი ჩემს გამოსწორებას. უთხარით, რომ თქვენ ყოველგვარ აღმზრდელობით ღონისძიებას იხმართ.

გურამს გაეცინა.

სკოლის ეზოში მეორე ცვლის პატარები ირევიან. ერთმანეთს დასდევენ. უნდათ, ყველანაირი თამაში მოასწრონ ამ ხუთ წუთში. ჩიტებივით ჭყივიან და ასე მეჩვენება, რომ ზედმეტად მხიარული და ცოტათი თავქარიანები არიან.

სამასწავლებლო მეორე სართულზეა.

პირველი სართულის დერეფანში სამ ადგილას ჰკიდია შავად გაფორმებული წარწერა: *„გაკვეთილების დროს აკრძალულია დერეფანში დგომა და ხმაური. შესვენების დროს კი დერეფანში ბურთის თამაში, თავდაყირა სიარული და საკლასო ოთახებში ველოსიპედით ან ფეხბურთელის ფორმით შემოსვლა“.*

სამასწავლებლოში მარტო იულია პლატონოვნა /ასე ჰქვია რუსულის მასწავლებელს/ ზის და უსათვალოდ კითხულობს გაზეთს. მე პირველად ვნახე იგი უსათვალოდ. იულია მხოლოდ მაღალ კლასებს ასწავლის. წელს პირველ სექტემბერს შემოვიდა იგი ჩვენთან. მანამდეც ხშირად მინახავს, მაგრამ, რუსულის მასწავლებელი თუ იყო, არ ვიცოდი. შემოვიდა და მაშინვე გაგვაფრთხილა: მე სიჩუმეს ვარ მიჩვეული გაკვეთილზე და შარშანდელი თქვენი საქციელი ქარს უნდა გაატანოთო. არ მიყვარს, მოსწავლეები ერთმანეთს რომ კარნახობენ, გაკვეთილზე ბუზებს რომ იჭერენ, მასწავლებელს ჟურნალს რომ ჰპარავენ და მორიგეები სამფეხა სკამს რომ ახვედრებენო. შეიძლება სხვა მასწავლებლები ამას მიჩვეულნი იყვნენ, მაგრამ მე, ნურას უკაცრავადო.

კიდევ ბევრი რამ გვითხრა იმ დღეს იულია პლატონოვნამ.

/სხვათა შორის, მაშინ გვითხრა იულია პლატონოვნა დამიძახეთო/. მერე სია ამოიკითხა. ჩვენი გვარები წამდაუწუმ ეშლებოდა. ჩვენ გაუბედავად ვიცინოდით. ღქვამადზე რომელიაო, იკითხა რუსულად. ავდექი. შენ ეშმაკს გავხარ ძალიანო. თავი დავხარე, როგორ მიხვდა-მეთქი, გავიფიქრე. ჭკვიანად იყავი, ჩემთან ხუმრობა არ გაგივაო. ბავშვებს გაეცინათ. არ ვიცი, რატომ და თვითონ პლატონოვნასაც გაეცინა. ჩემმა კლასელებმაც რომ ნახეს, თვითონ მასწავლებელი იცინისო, მოუმატეს და მოუმატეს სიცილს. იულია პლატონოვნამ იფიქრა, ესენი სიცილს არ დაამთავრებენო და დაჰკრა მუშტი მაგიდას. სავსე სამელნე აყირავდა და რატომღაც არ წაიქცა. მასწავლებელმა წარბშეკრულად შემომხედა და დაჯექიო. – დამიყვირა, არ დაგინახო მეორედ რომ იცინოდე; ახლა რომ ამას აკეთებ, მერე რას მოიმოქმედებ; ბევრი მინახავს შენისთანებიო. ჩემთან რომ ამას შერები, სხვასთან რას იზამო.

მე გაოცებისაგან მხრები ავიჩეჩე.

პლატონოვნა მიხვდა, რომ უსაფუძვლოდ მიჯავრდებოდა და წყნარად, ქართულად მითხრა:

– სადაური გვარია, ბოშო, ჯღამაძე? – ეს იყო მისი ერთადერთი ქართული სიტყვა, რომელიც იმ პირველ გაკვეთილზე წარმოთქვა.

მე ვუთხარი, ბაბუაჩემის გვარია-მეთქი, მამაჩემიც ჩემ გვარზეა-მეთქი. მერე შარშანდელი გაკვეთილები გამოგვკითხა და რაკი ყველას დავიწყებული გვქონდა - რუსულში სუსტები ყოფილხართო. ასეთი ცოდნით მე მეცხრე კლასში არ გადმოგიყვანდითო. ყველას შეგვრცხვა. დალიც კი გაწითლდა. დალი ლაღიძე - კომკავშირის კომიტეტის მდივანი, ჩვენს კლასში ყველაზე ლამაზი და ჭკვიანი გოგოა.

როცა გაკვეთილი დამთავრდა, იულია მასწავლებელმა გამოგვიცხადა, დღეს პირველი სექტემბერია. ეს გაკვეთილი თქვენს გაცნობას მოვანდომე, ხვალ კრილოვს აგიხსნითო. გასვლისას საკლასო ჟურნალი დაავიწყდა. მე დერეფანში დავეწიე. ჟურნალი დაგრჩათ-მეთქი. იულია პლატონოვნამ გულმოსულად დახედა ჟურნალს და სათვალის ზემოდან ძალიან, ძალიან ეჭვიანად შემომხედა. ჟურნალი გამომართვა, სანამ სამასწავლებლომდე მივიდოდა, ორჯერ მოიხედა უკან, გაფრთხილების ნიშნად თითი დამიქნია და კარი შეაღო.

იმ დღის შემდეგ იულია პლატონოვნა მშობელს ხშირად მიბარებს. ბებიაჩემი იულია პლატონოვნას საყვედურებს ყოველთვის ოლიმპიური სიმშვიდით ისმენს და ყველაფერს იმახსოვრებს. ხანდახან გაკვირვებით ჩაილაპარაკებს; ღმერთო, ეს ბავშვი ვის დაამგვანეო. ბებიაჩემი და იულია პლატონოვნა ერთი ხნისანი არიან. მე მგონია, ძალიან უყვართ ერთმანეთი, იმიტომ, რომ ბევრი რამ აქვთ საერთო. ეს თუნდაც იქიდანა ჩანს, რომ ისინი ჩემით იწყებენ მუსაიფს /ო, რა მკაცრი, სერიოზული სახეები აქვთ მაშინ/, მერე თანდათანობით საუბარი სხვა თემაზე გადააქვთ და ამთავრებენ იმით, რომ ხახვს ცეცხლი ეკიდება ბაზარში, რომ წმინდა ნინოს ქალთა რეალური სასწავლებელი გადასარევი რამ იყო და რომ ჩვენს ქალაქში ავტობუსების გაჩერება ძალიან შორი-შორს არის. დიდხანს, ძალიან დიდხანს საუბრობენ ისინი და უნდა ნახოთ, რა ტკბილად შორდებიან ერთმანეთს. ხანდახან, როცა მოენატრება იულია პლატონოვნას ბებიასთან საუბარი, მგონია, უხარია კიდეც ჩემი მორიგი ოინბაზობა და სწუხს, როცა არაფერს ვაშავებ. თურმე ერთ დროს ბებიაჩემიც მასწავლებლობდა, ახლა უბრალოდ - ბებიაა და პენსიას ღებულობს. პენსია მოხუც ფოსტალიონს მოაქვს, იგი მაინც ცხრაჯერ შეისვენებს მოსახვევიდან ჩვენს ჭიშკრამდე და მე მგონია, პენსიონერი ჩემი ბებია კი არა, ის ფოსტალიონი უნდა იყოს.

* * *

იულია პლატონოვნამ შეგვამჩნია თუ არა, სათვალე გაიკეთა და შემოგვხედა, მერე სათვალე მოიხსნა და ისე შემოგვხედა.

- ჯღამაძე, სად არის თქვენი მშობელი? - მკითხა მან ისე, რომ გურამისთვის თვალი არ მოუშორებია.

- დედა სამსახურშია, პატივცემულო, ბებია ბაზარში წასულა და ბიძაჩემი მოვიყვანე.

იულია პლატონოვნამ სცადა, კმაყოფილის სახე მიეღო, მაგრამ, რომ არ გამოუვიდა, გურამს სკამზე მიუთითა, მე კი მკაცრი ტონით მითხრა:

- ჯღამაძე,. გადი გარეთ.

კარი გავიხურე და ჭუჭრუტანად ვიქეცი.

სიტყვები არ მესმის, მაგრამ ღრიჭოდან მშვენივრად ვხედავ მოსაუბრეთა სახეებს. იულია პლატონოვნა ხელებს ასავსავებს და შეიძლება აზვიადებს ჩემს მცირე „დამსახურებას დისციპლინის დარღვევის საქმეში." გურამი ყველაფერზე თავს უკრავს და არ იღიმება.

კარგა ხნის შემდეგ გურამი კარისაკენ გამოემართა, და ფანჯარასთან მიმდგარს ხელი დამიქნია.

- შემოდი!

შევედი. ვატყობ, ყველაფერს მშვიდობიანად ჩაუვლია, მაგრამ ამჟამად ჩემს წინაშეა სათნოების გამომჟღავნების ყველაზე რთული ეტაპი. იულია მასწავლებელს წინ დავუდექი და თავი რაც შეიძლებოდა მარჯვნივ გადავხარე, სიმორცხვის და სინანულის ნიშნად.

- სიკვდილი არაა ახლა ეს შენთვის? - მეკითხება პლატონოვნა.

ხმას არ ვიღებ.

- ხომ შეგპირდი, არავის არაფერს დავუმალავმეთქი. რა ღმერთი გაგიწყრა დღეს. სად გყავდა, ბიჭო, ის უბედური ღამურა?

მე კვლავ ჩუმად ვარ და თვალს არ ვაშორებ ჟურნალების გრძელ ყუთს, რომელიც კედელზე ჰკიდია. თითოეულ დანაყოფს კლასის ნომერი აწერია. აგერ ჩვენი ჟურნალიც IX ².

- ამოიღე, ბიჭო, ხმა. ბიძაშენს მაინც რატომ არცხვენ, კაცს ცრემლი მოადგა, შენი საქციელი რომ მოვუყევი.

მე მეოთხედ ვარ სამასწავლებლოში. გრძელ მაუდგადაფარებულ მაგიდაზე მაღალყელიანი სურა დევს. სურაში ყოველთვის ნახევრამდეა წყალი. სურის გვერდით ჭიქის ნაცვლად მინის ქილა იდგა ახლაც.

- რაკი ხმას არ იღებს, ალბათ გრძნობს თავის დანაშაულს - სულზე მომისწრო გურამის ხმამ.

- თქვი, ბიჭო, რამე?!

- დამნაშავე ვარ, მასწავლებელო.

- რა პირობას აძლევ ბიძაშენს?

- ყოველგვარ პირობაზე თანახმა ვარ.

- აბა, ჰე, თქვი, როგორ მოიქცევი.

წამით სიჩუმე ჩამოვარდა. ის იყო, უნდა მეთქვა, ხვალიდან სულ სხვა ჯღამაძე ვიქნები-მეთქი, მაგრამ პლატონოვნას მონდომებულ სახეს რომ შევხედე, გამეცინა.

უეცრად გურამი წამოწითლდა, თვალები დამიბრიალა და მართლა გაჯავრდა.

- ხედავთ, იულია პლატონოვნა, პირობის დადებაც არ სურს. არა, იგი ღირსი არ არის თქვენი მოსწავლე ერქვას, მე შენ გასწავლი ჭკუას! ამ სიტყვებთან ერთად გურამი ყურზე მწვდა და ისე მაგრად ამქაჩა, რომ კინაღამ ვიყვირე - თუ კაცს

პატივი ეცი, კეთილი ინებე და ნერვები დაიწყნარე ვიღაცა ოხერი ხარ-მეთქი.

გაწითლებულ ყურზე ხელი მოვისვი და შიშით ავხედე „ბიძაჩემს“.

არა, იგი არ ხუმრობდა.

ისევ იულია პლატონოვნას შევეცოდე.

– ისე, კაცმა რომ თქვას, მთლად წყალწაღებული კი არაა. მაგაზე უარესებიც არიან. მაგრამ შენ სხვებს რას უყურებ, ასეთი ბიძის პატრონი, – მერე ისევ გურამს მიუბრუნდა – შინ ნამეტანს ნუ გაუჯავრდებით, დღევანდელი დღე ეყოფა გაკვეთილად.

ცოტა ხნის შემდეგ პლატონოვნას გამოვემშვიდობეთ და კიბეზე დავეშვით.

გურამი ჩუმადაა. შვიდ საათზე უკვე კარგა შეღამებულია და სიცივეც ღონივრად უჭერს.

გურამი წინანდებურად გრძელი ნაბიჯებით მიდის. მე მის ნაფეხურებს ვუყურებ და თავდახრილი მივდივარ. ჩემთვის ჯერ ყური დედაჩემსაც არ აუწევია.

მოსახვევთან გურამი შეჩერდა და ხელი გამომიწოდა.

– აბა, კარგად იყავი, უნდა წავიდე, რამ დაგამუნჯა, ბიჭო?

– მადლობელი ვარ.

– ხომ არ გეწყინა, ყური რომ აგიწიე?

– რას ამბობთ, პირიქით, ასე იყო საჭირო.

გურამს გაეცინა.

– ვეღარ მოვითმინე, თანაც ყველაფერში შენა ხარ დამნაშავე.

– ვიცი... ერთბაშად ხომ არ სწავლობენ ჭკუას.

– ჩქარი ბიჭი ჩანხარ. თუმცა შენი საქმისა შენ უკეთ იცი. ნახვამდის.

თავი დავუქნიე.

იგი შებრუნდა და აკრიალებულ სიბნელეში კიდევ კარგა ხანს ირხეოდა ჩქარი ნაბიჯით მიმავალი.

* * *

სოკრატის ეზოდან ყვავივით ამოფრინდა ჩექმა და კინაღამ თავში დამეცა. ჩექმას სოკრატის ყვირილი და მუქარა მოჰყვა. მე და ვათამ ერთდროულად გავაღეთ ჭიშკარი. ვათამ კარი მიიჯახუნა და ბუზღუნით ჩაილაპარაკა:

ჰო, კარგი არ წავალ.

– სად არ წახვალ, ვათა? – ვკითხე და გვერდით ამოვუდექი.

მან შეწუხებული სახით შემომხედა და კეფა მოიფხანა.

შენა ხარ? – კინოში არ მიშვებს.

– რა გადის ამაღამ?

– რაღაცა კარგი იქნება. თექვსმეტ წლამდე არ უშვებენ.

ჩვენ ვალიკოს სახლის წინ მერხზე ჩამოვსხედით და გავაბოლეთ. პაპიროსს კვირაში ერთხელ ვყიდულობთ და აქვე, მერხის ქვეშ თუნუქის კოლოფში ვინახავთ, რომ არ დასველდეს. სულ დამავიწყდა თქვენთვის გამეცნო ვალიკო, მაგრამ ვალიკოს მე თვითონაც არ ვიცნობ. მხოლოდ ვიცი, რომ ეს ფიცრის ერთთვლიანი სახლი მისია. თვითონ ვალიკო არასოდეს არ მინახავს. სახლს დიდი ბოქლომი ადევს და ეზოში საცალფეხო ბილიკზე ბალახი ამოსულა. სოკრატმა მითხრა, ვალიკო ერთი მარტოხელა კაცი იყო, პოლიტიკურზე დაიჭირეს და სულ ციხეშიაო. სასჯელს რომ მოიხდის, გამოუშვებენ, მაგრამ, სანამ სახლში მოვიდოდეს, გზაზევე იწყებს კომუნისტების ლანძღვას და ისევ ციხეში აბრუნებენო. მე და ვათას ძალიან გვინდა ვნახოთ, რა კაცია ეს ვალიკო.

– რამდენი წელი დარჩაო ნეტავ? – მეკითხება ვათა.

– არ ვიცი.

– უკანასკნელად რომ დაიჭირეს, ორმოცის ყოფილა.

– იმის შემდეგ რამდენი ახალი სახლი აშენდა ჩვენს ქუჩაზე.

– ვალიკოს სახლი ყველაზე ძველია.

– გუშინწინ ვიღაც ბებერი ქალი ფათურობდა ეზოში.

– ვალიკოს მამიდაა, სოფელში ცხოვრობს.

ვალიკოს სახლში ჩვენ არასოდეს ვყოფილვართ. ორი ძირი ხე დგას ეზოში – ვაშლი და ქლიავი. ვაშლი საადრიოა, ივნისში უკვე მწიფდება და ცვივა. ჩვენი ქუჩის ბიჭებიდან ფიქრადაც არავის მოსვლია ვალიკოს უპატრონო ეზოში გადაპარვა და იმ ვაშლის მოკრეფა.

– რვა კლასს რომ დავამთავრებ, წავალ სახლიდან, – ფიქრს მაწყვეტინებს ვათა.

– სად წახვალ, ბიჭო?

– თბილისში, ბენდელიანის სკოლაში, რვა კლასის მერე ღებულობენ.

– იცის მამაშენმა?

– არა.

– გაგიშვებს?

– არ გამიშვებს და გავიპარები. პირდაპირ სული ამომართვა მაგისმა ჯაჯღანმა. მეოთხედის ბოლო რომ გამახსენდება, ტანში მაჟრჟოლებს. მოვა და ატეხავს ყვირილს. დამრიგებელიც კარგი ბედოვლათი მყავს, შენს ბიჭსო, ეუბნება, სწავლა ძალიან კარგად შეუძლია, მაგრამ ზარმაციაო. არ შემიძლია, კაცო, რომ შემეძლოს – ვინ მამაძაღლი. ვკითხულობ და თავში არ შედის. ყოველდღე ხუთი გაკვეთილი რავარი საზეპიროა. ერთხელ მოვუყევი ფაციას ლექსი და თმები გამაცალა, რატომ მცემ-მეთქი, თურმე შეგიძლია სწავლა და არ სწავლობო. ის ლექსი სიმღერით ვიცოდი და ადვილად დამამახსოვრდა. გარჩევის წიგნში მაინც სულ უკუღმაა ყველაფერი. ყორანი თუ სადმე შეგხვედეთო, ფაციამ, ის მართლა ყორანი კი არ არის, რეაქციის სიმბოლოაო. გაზაფხული თუ ვინმემ ახსენოს, ტყემლის აყვავილება კი არ არის, რევოლუციის მაუწყებელიაო, ზამთარი წყეული მეფის რეჟიმს გამოხა-

ტავს, ხოლო მელია მატყუარა და მლიქვნელ ადამიანსო. მოდი და გაუგე რამე.

ბევრ რამეში არ ვეთანხმები ავთანდილს, მაგრამ ახლა კამათის დრო არ არის, „არომატს" უკანასკნელ ნაფაზს ვარტყამ და შინისაკენ მივდივარ.

* * *

ყურშა წინა თათებზე ხტუნავს და წკმუტუნით დააჟღრიალებს ჯაჭვს. იგი არც კი მაცლის ყელსაბამის შეხსნას. ისე უხარია თავისუფლება, ერთ ადგილას ვერ ვაკავებ. საწყალი ყურშა, ალბათ ერთი სული აქვს, როდის დაღამდება და გულზე ეყრება, როცა თენდება.

სარდაფიდან ნაჯახის კაკუნი ისმის.

ნეტავ ვინ უნდა იყოს? ორი ნახტომით ჩავრბივარ კიბეს და დედაჩემს ვუყვირი:

- რას შვრები, დედა?!

დედამ ჰაერში შეაჩერა ნაჯახი.

- სად ხარ, ბიჭო, აქამდე?

- წუხელის იმდენი შეშა რომ დავჩეხე, გათავდა?

- შე კაცო, იმის შემდეგ სამჯერ დავჩეხე.

- მერე შენ სად შეგიძლია შეშის დაჩეხვა.

- მაგდენი რომ გესმოდეს, დროზე მოხვიდოდი სახლში.

- მომეცი ნაჯახი.

შეშა ბევრი გვაქვს. ზაფხულში მოვიტანეთ ორი მანქანა და ზაფხულშივე დავახერხინეთ მუშებს პატარ-პატარა მორებად. მორებიდან ზოგი ადვილად იჩეხება, ზოგი კი კორძიანია და ძალიან ჯიუტობს. სწორედ კორძიანი ჯირკვები მიყვარს საჩეხად და, რამდენიც უნდა ვეწვალო, სულ რომ ჩამომწყდეს მკლავები და ზურგზე სამი პირი ოფლი შემაშრეს, სანამ არ გავჩეხავ, არ მოვეშვები.

***

...რა დიდია დღელამე.

სახლში სიწყნარეა. ბებია ღუმელთან ზის და ჩემს პერანგს ღილებს აკერებს. დედა მეორე ოთახშია, კითხულობს. თორმეტის ნახევარია. ვზივარ ჩემს მაგიდასთან და „ნიანგს" ვათვალიერებ. ალგებრის ამოცანა გამოვიყვანე, მაგრამ კითხვები ჯერ არ შემიდგენია, ხვალ დილით გადავწერ. ერთუცნობიანი განტოლებაა, სულ ადვილად გამოდის. ისტორიას სკოლაში წავიკითხავ. დღეს პუგაჩოვის აჯანყება აგვიხსნეს და ძალიან კარგად მახსოვს.

ჩვეულებად მაქვს, როცა ვზივარ, ფეხს ვაქანავებ და ჩვენს სულელ კატას ჰგონია, ვეთამაშები. ახლაც იატაკზე გულაღმა კოტრიალებს და თათებს მონდომებით მიცაცუნებს. მე არ მიყვარს კატები. ჩვენს კატას, ალბათ, ნამდვილი თაგვი არასოდეს უნახავს და ამიტომ ყველაფერი თაგვი ჰგონია - იატაკზე გაგორებული კოჭის ძაფი, ბებიას საქსოვი გორგალი და მაგიდიდან მოტაცებული ძეხვის ნაჭერიც კი.

„ნიანგში" ერთმა ხუმრობამ გამაცინა: განათლების ინსპექტორი ეკითხება მასწავლებელს: „ - თქვენი ბავშვების ნაწერებში ბევრი შეცდომაა, არ უსწორებთ?

- რაფრა არ ვუსწორებყენ, მარა ესმითყენ?" - პასუხობს მასწავლებელი და სასაცილო ის არის, რომ მასწავლებელს ჭრელი თავსაფარი ახურავს, ფეხებზე დახურული ბოტები აცვია და, სათვალე რომ ჰქონდეს, ძალიან ემგვანება იულია პლატონოვნას.

დღეს იმ უცხო კაცისათვის წესიერი მადლობაც კი არ მითქვამს. რა ერქვა? გურამი. როცა შევხვდები... ან შევხვდები კი ოდესმე?

- ვაჟა! - დედა მეძახის.

მაგიდის ნათურა ჩავაქრე და მეორე ოთახში გავედი.

დედაჩემი საბუღალტრო აღრიცხვის ახალ სახელმძღვანელოს კითხულობს. წიგნს ყდაზე დიდი შავი საანგარიშო ახატია.

- რა ამბავი იყო დღეს სკოლაში?

- არაფერი.

- გაგიძახა ვინმემ?

- არავინ.

- ინგლისურთან იყავი?

- ხვალ უნდა მივიდე.

დედაჩემი თმაში მიყოფს ხელს და გულზე მიხუტებს.

მაინც რა გაუთავებელი ფერება იციან ქალებმა.

- გაკვეთილები მოამზადე?

თავს ვუქნევ.

- წადი ახლა, დაიძინე.

...საწოლ ოთახში ცივა. ჩემი ლოგინი ფანჯარასთან დგას. მე ვწევები და დიდხანს არ მეძინება. რადიო მთელი საათია უკანასკნელ ცნობებს გადმოსცემს და ვერ გაათავა. ვდგები და ვაჩუმებ. მაინც არ მეძინება. სიჩუმეში უფრო არ მეძინება. ათას რამეზე ვფიქრობ და ფანჯრიდან დიდი შავი ღამე მოჩანს.

***

ამოდენა ბიჭი ვარ და აქამდე არ ვიცი, რომელ საათზე იძინებს ან რომელ საათზე იღვიძებს დედაჩემი. აი, უკვე ფეხზეა და სამზარეულოში საქმიანობს. 8 საათია.

წუხელ უწვიმია. ახლა აღმოსავლეთისკენ ცა მოსარკულია და ალვისფერი ღრუბლის ფთილები უწა-უწა გარბიან დასავლეთისაკენ. ჰორიზონტზე კავკასიონის მთაგრეხილი მოჩანს, თეთრ-ლურჯი მთები ახლა შორიდან ძალიან ჰგავანან ჩვენი თეატრის სპექტაკლის „ახალგაზრდა მასწავლებლის" მეორე მოქმედების დეკორაციას.

ფანჯარა გამოვაღე. ოთახში სუსხი დატრიალდა. კალენდარს ფურცელი ჩამოვახიე და დაორთქლილ მინას კაცის თავი დავახატე. ძალიან მიყვარს კაცის თავების ხატვა. ყველაფერს კაცის თავს ვახატავ. თუ სადმე ნახოთ, რკინის ჭიშკრებზე ან ღობის

ფირებზე ცარცით დახატული ულვაშიანი კაცის თავი სწორი წარბებით და ლამაზი კეხიანი ცხვირით, იცოდეთ, ჩემი დახატულია. თავებს კარგად ვხატავ, მაგრამ, რაც მართალია, ადამიანის ფიგურა არა და არ გამომდის, ან ფეხები აქვს მოკლე, ან ბეჭები სხვადასხვა ზომის და წელში ისეა გამართული, კედელზე ლურსმნით მიჭედილს ჰგავს. ხანდახან ვუყურებ და ვფიქრობ; არა, ეს თავი ამ ტანისა არ არის-მეთქი.

ჩვენი სარკე ძალიან მხიარული სარკეა. თუ თავს ცოტათი მაღლა ასწევ და ისე ჩაიხედავ, სახეს ჰორიზონტალურ მდგომარეობაში მოგიქცევს და შემჭიდროებულ შუბლ-ნიკაპზე საკუთარ თვალებს და პირსაც ვეღარ დაინახავ. ხოლო როგორც კი ოდნავ დასწევ თავს, გამოსახულება დაგრძელდება, ცხვირი და თვალები არაჩვეულებრივად იწელებიან და სარკიდან ვიღაც მახინჯი, თავკიტრა არსება გიცქერის. მე ძალიან მიყვარს ეს სარკე, რადგანაც ყოველ დილით კარგ გუნებაზე მაყენებს.

დილით ყველა საათი ჩქარობს. ნეტავ, ასე სწრაფად გაკვეთილზე გადიოდეს დრო. ამ ქოჩორმა სულ გამიჭირა საქმე, ყოველ დილით ისე ჯიუტობს. ძლივს ზევით მივაჩვიე და მაინც, როცა ვივარცხნი, მეხამრიდივით პერპენდიკულარულად დგას.

- ვაჟა, დაგაგვიანდა! - ჭიშკრიდან იძახის ვათა და სიცივისაგან ცალ ფეხზე ხტუნავს.

- ამ წუთში, - ვპასუხობ მე და ჩანთაში გაკვეთილების ცხრილის მიხედვით უკანასკნელ წიგნს ვდებ.

სირბილით მივდივართ ქუჩაში.

ჩვენს პირდაპირ მუსიკალური სასწავლებლის სამი „ფისუნია“ მოდის. ისინი მე და ვათას ყოველთვის ამ ადგილას გვხვდებიან. ჩვენ მათი სახელები დიდი ხანია ვიცით. მათაც კარგად იციან, ვინა ვართ, მაგრამ მაინც არასოდეს არ ვესალმებით ერთმანეთს. ერთხელ ვათამ ჰკითხა იმ გოგონათა შორის ყველაზე ლამაზს - როზა გოდუაძეს, გრძელი, ქერა ნაწნავები რომა აქვს და რაღაცნაირი ფერის თვალები, სად სწავლობთო? - ნიჭიერთა ათწლედში. ისე ამაყად უპასუხა გრძელნაწნავებიანმა, რომ მე ხმამაღლა გამეცინა. ის დღე და ის დღე, ჩვენ მათთან არ გვისაუბრია.

...ახალგაზრდა დედებს საბავშვო ბაღში თითქმის ძალით მიჰყავს აზლუქუნებული პატარები...

... ტაქსის შოფრები ელვის სისწრაფით მიაქროლებენ მწვანენათურიან მანქანებს და არავის უჩერებენ. აქაოდა ამ ქუჩაზე ტაქსის გაჩერება არ არისო.

...უნივერმაღის წინ დღესაც ძველთაძველი გაზეთი ჰკიდია: „აი, ვინ გვარცხვენს“. გაზეთის ფურცლიდან გამვლელ-გამომვლელს სამი თვეა ეჯღანება 22 წლის უპარტიო ჟორა მარგველაშვილი, რომელიც თურმე არსად არ მუშაობს და ამ რამდენიმე ხნის წინათ ვლადივოსტოკში უბილეთოდ აპირებდა გაფრენას.

- სალამი - მე და ვათა ერთდროულად მივესალმეთ ბუთხუზა მეორეკლასელს, რომელსაც მკლავზე საზოგადოება „წითელი ჯვრის“ ნიშანი აქვს ამოქარგული. ბუთხუზამ ჩანთა ლაჯებში ამოიდო და გამწარებული ეცა ყურებიან ქუდს მოსახდელად, ქუდს, რომელიც, ალბათ, ამ დილით ასე გულმოდგინეთ გაუნასკვა ნიკაპთან დედიკომ.

- იყოს, იყოს, - სიცილით ვუთხარი მე და ცხვირზე ცერა თითი მივაჭირე.

- პი-პი!! დაიპიპინა ბუთხუზამ და შვებით გაიცინა.

მოსახვევთან ახალი ქუჩა გამოჩნდა. მუშები გუშინდელ დაგებულ ქვაფენილზე სხედან და ბრეზენტის უხეშ ხელთათმანებში პაპიროსები უჭირავთ. ტრაქტორი წინ და უკან დახრიგინებს და სველ მიწას თავის უშველებელ მუხლუხოებს ახატავს.

სკოლის პირდაპირ, ეკლესიის მაღალ ღობესთან, ხალხს მოუყრია თავი. ამ ადგილას ამდენი ხალხი არასოდეს დამინახავს. გამვლელები ჩერდებიან და ერთმანეთს საყდრის ეზოში მდგარ მაღალ ჭადარზე ანიშნებენ. მივუახლოვდით.

- დაბმულია?

- ალბათ, მახე დაუგეს!

- მახე კი არა, ვერ ხედავთ, ფეხზე ზონარი აქვს!

- მაინც ასე როგორ დაება?

- ცოდოა!

სანოვაგიან ქალს ვეკითხები:

- რა მოხდა, დეიდა?

- ვერა ხედავ? ჩიტია ჩამოკიდებული - მიპასუხა მან და ჭადრის კენწეროზე მიმითითა. ფოთლებგაძარცულ ჭადრის კენწეროზე თავდაღმა ჰკიდია ნაცრისფერი ჩიტი და ფართხალებს. ქვემოთ კი უამრავი საქმიანი გამვლელი შექუჩულა და გულით განიცდის ნაცრისფერი ჩიტის გაჭირვებას.

- ალბათ, ვიღაცას გაექცა.

- ფეხზე ზონარი ება და ტოტმა დაიხვია.

- რა ეშველება?!

ბევრი არ მიფიქრია, ჩანთა ვათას მივაჩეჩე, საყდრის ღობეში მონიშნული ფიცარი გამოვაძრე, ჭადართან მივირბინე, ფეხზე გავიხადე და ფორთხვით ავუყევი სველ ხეს.

პირველ მსხვილ ტოტამდე ძალიან გამიჭირდა. ჭადარი ბებერია და მკლავებით ვერ ვწვდები, თანაც ნაწვიმარია და ფეხი წამდაუწუმ მისრიალებს. თითები მეტკინა, შუბლზე სიმწრის ოფლმა დამასხა, ერთი გადაწყვეტა გადავწყვიტე, დავბრუნდები-მეთქი, მაგრამ, ქვემოთ რომ ჩავიხედე და ჩემკენ მოქცეული უამრავი თვალი დავინახე, უკანასკნელი ღონე მოვიკრიბე და ჭადრის ტანზე ქოშინით ავფორთხდი.

ის-ის იყო ჩიტს ზონარი შევუხსენი და მისი პატარა ფრთები ხელში მოვიმწყვდიე, რომ სკოლის ზარი დაირეკა.

ნაცრისფერი ჩიტი ძვირფასი ნადავლივით ჩავბღუჯე და ქვევით ჩამოსვლა დავიწყე.

- ყოჩაღ!

- გიშველა, ბიძია, ღმერთმა.

– ჩიტს ხელს ნუ მოუჭერ, თორემ გაიგუდება, – დამიძახა ქვემოდან ძალიან ლამაზმა ხმამ.

ის-ის იყო მიწაზე უნდა დავშვებულიყავ, რომ ჩიტს ცოტა თავისუფლება მივეცი, მანაც არ დაახანა და ხელიდან გამიფრინდა. ქვემოთ ერთდროულად აყაყანდნენ. ზოგს, ალბათ, გაეხარდა, რომ გამექცა ჩიტი, ზოგს ეწყინა, რადგანაც შეიძლება სხვა ხეზე დაბას იმ საბედისწერო ზონარმა, ფრანივით რომ მიაფრიალებს ჰაერში. ჩიტი იქითა ორსართულიანი სახლის სახურავზე შეფრინდა.

ცოცხალმკვდარი ჩამოვედი ხიდან და როცა ეკლესიის ღობიდან თავი გამოვყავი, დავინახე უამრავი ზურგი. ხალხს ყურადღება ორსართულიანი სახლის სახურავზე გადაეტანა. გული დამწყდა. ვათას ჩანთა გამოვართვი და თავდახრილი გავემართე სკოლის ეზოსკენ, უეცრად ვიღაცამ მხარზე დამადო ხელი და მომაბრუნა.

– გამარჯობა, ვაჟა!

შევხედე, გურამი იყო, თვალებში გუშინდელი ღიმილი უჩანდა.

– გაგიმარჯოს.

– რაო, გაგიფრინდა ჩიტი!

– გამიფრინდა.

– არა უშავს, სხვა დროს დაიჭერ. წადი ახლა და იულია პლატონოვნას ჩემგან მოკითხვა გადაეცი.

– კეთილი.

იგი წავიდა. ვერ მოვახერხე ამეხსნა მისთვის, რომ მე მისი დაჭერა კი არა, მისი განთავისუფლება, გადარჩენა მინდოდა მხოლოდ.

... სკოლის ეზოში შემოსულს ვათამ ხეივნიდან მანიშნა, უკან გაბრუნდიო.

ჭიშკარს ამოვეფარე, ვათა ქოშინით მოვარდა.

– პირველი გაკვეთილის გამოსვლამდე აქ ვიყოთ.

– რა მოხდა?

– ოთარია ბრეგვაძეს დაგვიანებულები დაუჭერია და უკანა ეზოში ქვებს აზიდვინებს.

ოთარ ბრეგვაძე ფიზკულტურის მასწავლებელია. იგი თავის გაკვეთილებს ხშირად სიამოვნებით უთმობს ეზოს კეთილმოწყობას.

***

პირველი გაკვეთილის დამთავრების ზარმა არ დაიგვიანა. სკოლის ეზო სირბილით გავიარეთ.

მეორე სართულზე მთელი დაფა უჭირავს განცხადებას: *„ხვალ 2³⁰ საათზე გაიმართება სკოლის კომკავშირული ორგანიზაციის ღია კრება. დღის წესრიგი: პირველი მეოთხედის შედეგები და მეორე მეოთხედში ორგანიზაციის ამოცანები /მომხს. კომკავშირის კომიტეტის მდივანი დალი ლაღიძე/“* განცხადების ქვემოთ ვიღაცას ლურჯი ფანქრით მიუწერია: *„კრების შემდეგ გაიმართება ცეკვები და გათამაშდება ლატარია“.* ეს განცხადება არჩილ ფხაკაძემ დახატა, მთელი დღე ეხვეწებოდა გუშინ დალი, ოღონდ ეს ერთი განცხადებაც დამიხატე და ყოველდღე გადაგიწერ ფიზიკის დავალებასო.

ოთახში შევედი თუ არა, ფხაკაძეს მივვარდი.

– „არა“ ჩამიწერა?

ფხაკაძემ თავი დამიქნია.

– ვერაფერი ვერ უთხარით?

– არ დაგვიჯერა.

– რა უთხარით მაინც ასეთი?

– გუბელაძემ უთხრა, შორს ცხოვრობსო, ბალანჩივაძემ უთხრა, გუშინ თავი სტკიოდაო, ბეშკენაძემ უთხრა, მგონი სახლი დაეწვა, გუშინ მაგის სახლისკენ სახანძრო მანქანა მიქროდაო, ხახალეიშვილმა დაადასტურა ბეშკენაძის ნათქვამი, მე ვუთხარი, ვაჟას ეზოზე სტადიონის გზა გაჰყავთმეთქი და დალი ლაღიძემ...

– რა უთხრა ლაღიძემ?

– ლაღიძემ უთხრა, გატყუებენ, პატივცემულო, ამ დილით ვნახე, სკოლისკენ რომ მოვდიოდი ეკლესიის ხეზე მიფორთხავდაო.

გამეცინა.

წინასწარ ვიცოდი, რომ დალის ასე უნდა ეთქვა. თუ ვინმეს შეეძლო დავენახე ამ დილით, იგი უსათუოდ დალი უნდა ყოფილიყო.

– არ ადიოდა ხეზე? თქვას, აბა, თვითონ – შემობრუნდა ფანჯარასთან მიმდგარი დალი და თეთრქაღალდგადაკრული წიგნი გულზე მიიხუტა. მისკენ წავედი.

– საიდან დამინახე?

– ავტობუსიდან.

– ხომ შეგეძლო, არ გეთქვა მასწავლებლისთვის?

– შემეძლო.

– გაგეხარდა, „არა“ რომ ჩამიწერეს?

– მაინც ჩაგიწერდნენ, ჩემს ნათქვამს არაფერი შეუცვლია.

– რატომ ხარ ასეთი?

– როგორი?

– მეტიჩარა.

– ერთხელ ხომ მიიღე მაგის გულისათვის, აღარ ისწავლი ჭკუას?

– არ გიხარია?

– რა?

– მეტიჩარა და ლამაზი რომ ხარ.

– ახლა... დედას ვეფიცავარ... – დალი გაწითლდა და წიგნი მომიღერა, – კაცმა ხმა სულ არ უნდა გაგცეს.

– ოჰო, არ ამატირო, ნუ გამცემ მერე, მე ვლაპარაკობ შენზე რამეს?

– აბა, ბიჭო, მე სულ შენზე ვლაპარაკობ, ხომ იცი.

– ჯერ უნდა იკითხო.

– რა უნდა ვიკითხო?

რატომ ავდიოდი ამ დილით ხეზე.

– ჩემთვის სულ ერთია.

დალი თავისი მერხისკენ წავიდა. ბავშვები რიგრიგობით გადიან დაფასთან და ცარცს უკაკუნებენ. რაღაცებს წერენ. ფრიადოსნები ერთხელ კიდევ იმეორებენ პუგაჩოვის აჯანყებას. მორიგე დაფის შლას ვერ აუდის. ახლა ისტორიის გაკვეთილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვაქვს. ისტორიის მასწავლებელი ახალგაზრდაა და მკაცრი. მან წელს დაამთავრა ინსტიტუტი და გაკვეთილზე ოდნავ ხმაურსაც კი ვერ იტანს. მას ვახტანგი ჰქვია. სალდაძეა გვარად. ვახტანგი ქუჩაში არასოდეს მინახავს. გარდა ისტორიისა, არასოდეს არავითარ საკითხზე არ გვესაუბრება და მთელ ჯგუფს თოფივით ეშინია მისი. ვახტანგი გაკვეთილზე ყოველთვის ჩახმახივით შემართული დგას, ხანდახან შუბლს ცხვირსახოცით იწმენდს და წამდაუწუმ საათს დაჰყურებს. ვახტანგი გაკვეთილიდან ძალიან დაღლილი გადის.

...კლასში ვახტანგის ნაცვლად იულია პლატონოვნა შემოდის.

იგი სკამის მთელობას ამოწმებს და ნელ-ნელა ჯდება. იულია მასწავლებელს გრძელი შავი პალტო აცვია, რადგანაც ჯერ ნოემბერია და სკოლას არ ათბობენ.

– დასხედით!

ზოგიერთები დასხდნენ.

– არ გესმით თქვენ, რას ჰქვია დასხედით?

– პატივცემულო, ახლა ვახტანგის გაკვეთილი უნდა გვქონოდა.

– შენ ნუ მასწავლი გუბელაძე, რა უნდა გქონოდათ. ვახტანგი ხვალ ჩემს მაგივრად ჩაატარებს.

– დღეს თქვენ ატარებთ მის მაგივრად? – არ ისვენებს გუბელაძე.

– რა გინდა, ბოშო, სამხედრო კომისარიატში დაუძახეს კაცს და წავიდა, არ გესმის შენ?!

– სად წავიდა, პატივცემულო?

– კომისარიატში, დაწყნარდით ახლა.

– უი, ალბათ, ჯარში ეძახიან.

– არ ვიცი... ჯარი თვარა, ომია ახლაც, ახლანდელი ჯარი თამაშობაა.

– ომის დროს ძნელი იყო ხომ, პატივცემულო? მოგვიყევით რა?!

პლატონოვნა მიხვდა, რომ გუშინწინდელივით მოგონებებში გაატარებინებდნენ მთელ გაკვეთილს და დროზე გამოერკვა.

– ხმა არ გავიგონო ახლა. გუბელაძე, ადექი ზევით!

გუბელაძე ადგა.

– შენ დაჯდები გვანცელაძის გვერდით, გვენეტაძე, შენ აქეთ გადმოხვალ ხახალეიშვილთან, სირაძე...

ერთი სიტყვით, იულია მასწავლებელს გადაუწყვეტია „დისციპლინის განმტკიცებისა და მოწაფეთა შრომისუნარიანობის ამაღლების მიზნით“ მერხზე ქალ-ვაჟი დასვას. აქამდე ბიჭებს ორი რიგი გვეჭირა, ერთად ვისხედით, ხოლო გოგონები ფანჯრის გასწვრივ იყვნენ ჩამწკრივებულნი. იულია მაწავლებლის ახალი განრიგით მე დალის გვერდით მომიწია დაჯდომამ და ისიც პირველ მერხზე.

რა გაეწყობა, ამოვიღლიავე ჩანთა და დალის გვერდით მოწიწებით დავეშვი.

იულია მასწავლებელმა გამოგვიცხადა, ქალვაჟთა ერთად დაჯდომა პედსაბჭომ დაადგინაო. დღევანდელი თქვენი მერხებზე განაწილება საბოლოოა და არავითარი პრეტენზიები მხედველობაში არ მიიღებაო.

ამის შემდეგ ჩვეულებრივი გაკვეთილი დაიწყო.

– რაკი დრო ცოტა დაგვრჩა, წინადადება გავარჩიოთ, – გვითხრა იულია პლატონოვნამ და დაფასთან ხახალეიშვილი გაიძახა. ხახალეიშვილი ნელა წამოდგა და დაფასთან გავიდა. ზურგზე ქინძისთავით დამაგრებული ქაღალდი მოუჩანს წარწერით „ცრუ“. ჯგუფი ახარხარდა. ხახალეიშვილი ჯერ ვერაფერს მიხვდა. ეგონა, ფართო შარვალი რომ მაცვია, იმაზე ეცინებათო და იულია პლატონოვნას სთხოვა, ჯგუფი დაეწყნარებინა. იულია პლატონოვნამ ზურგიდან ქაღალდი ჩამოგლიჯა და დიდხანს დასცქეროდა. მერე ქაღალდი ჟურნალში ჩადო და ხახალეიშვილს გრძელი ქვეწყობილი წინადადება უკარნახა რომანიდან „კაპიტანის ქალიშვილი“. სანამ ხახალეიშვილი წინადადებას გაარჩევდა, მე შევცქეროდი მის აწოწილ ტანს, რომელსაც სიმაღლეში გაზრდის საოცარი თვისება ჰქონდა. ხახალეიშვილი რატომღაც ასო „ჰ“-ს შევადარე და გამეღიმა.

***

...დღეს ბოლო ორი გაკვეთილი ცხრილის მიხედვით პოლიტექნიკურ სწავლებას უჭირავს. შარშან სოფლის მეურნეობის საფუძვლებს გვასწავლიდნენ. სკოლის ნაკვეთზე სამ-სამი მეტრი მოგვიზომეს და გვითხრეს, თქვენ თვითონ დაამუშავეთ და, რაც გინდათ, დათესეთო. სექტემბერში თესვის დრო აღარ იყო, ამიტომ ჩვენს ნაკვეთებს მზრალად ბარვა ვაკმარეთ და გაზაფხულზე მომდევნო ჯგუფს გადავაბარეთ, ჩვენ კი სიმინდზე და მის სარგებლიანობაზე შალვა ბეშკენაძის თეორიული გაკვეთილებით დავკმაყოფილდით. წელს სექტემბრიდან საწარმოო სწავლება კვირაში ორჯერ გვაქვს, პირველ მეოთხედში ახალგაზრდა, ხალათიანი მასწავლებელი, ნაზი სირბილაძე, სკოლის ერთადერთ ძველ ჩარხზე ჩაქუჩს გვაკეთებინებდა...

ზარი დაირეკა. ნაზი მასწავლებელი შემოვიდა და გამოგვიცხადა: სახელოსნოში ნუ ჩახვალთ, დღეიდან მეცადინეობა სამკერვალო ფაბრიკაში გვექნებაო. ჩვენ საწინააღმდეგო არაფერი გვქონდა, დავავლეთ ჩანთებს ხელი და სამკერვალო ფაბრიკისაკენ გავემართეთ.

***

ჩვენი სკოლის ახლოს, წულუკიძის ქუჩაზე დგას სამსართულიანი გრძელი შენობა. შენობა ყურადღებას იქცევს მაღალი გალავნით /ისე მაღალი გალავნით, რომ ქუჩიდან მხოლოდ შენობის მესამე სართული ჩანს/ და ფართო ჭიშკრის თაღზე ოქროსფერი წარწერით „№2 სამკერვალო ფაბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიკა“. რაკი ეს ფაბრიკა ჩვენს სკოლასთან ძალიან ახლოსაა, როგორც ნაზი მასწავლებელი ამბობს, ამიტომაცაა ჩვენთვის საშეფო ფაბრიკა; ხოლო, შესაბამისად, ჩვენი სკოლაც სამკერვალო ფაბრიკისათვის საშეფო სკოლას წარმოადგენს. საშეფო სკოლას და საშეფო ფაბრიკას მეტად რთული და საინტერესო ურთიერთვალდებულება აქვთ. საშეფო სკოლამ საშეფო ფაბრიკაში უნდა ჩაატაროს მეგობრობის საღამოები და სკოლის თვითმოქმედი ძალებით გამართოს კონცერტები საშეფო ფაბრიკის უფარდო კლუბში – დეპუტატთან შეხვედრის ან სხვა საზეიმო ღონისძიების ოფიციალური ნაწილის დამთავრების შემდეგ. შესაბამისად, საშეფო ფაბრიკამ დახმარება უნდა გაუწიოს სკოლას ეზოს გამწვანების, საცეკვაო ფორმების შეკერვის და წითელი კუთხეების გაფორმებაში. და, რაც მთავარია, საშეფო ფაბრიკაში საშეფო სკოლის ყველა მოსწავლე უნდა დაეუფლოს, ამ შემთხვევაში, მკერავის პროფესიას. ჩვენი სკოლის ახლოს ელმავალმშენებელი ქარხანა რომ ყოფილიყო, მაშინ იგი ჩვენი საშეფო ქარხანა იქნებოდა და ჩვენ ელმავლების კეთებას ვისწავლიდით, ჩვენი სკოლის ახლოს რომ ყოფილიყო საათის ქვების ქარხანა „აქათი“, მაშინ ჩვენ საათის პაწაწინა ქვების კეთებას ვისწავლიდით, მაგრამ ჩვენი სკოლის ახლოს წულუკიძის ქუჩაზე მდებარეობს სამკერვალო ფაბრიკა №2 და ჩვენც მკერავის პროფესიას უნდა დავეუფლოთ.

ზოგ ფაბრიკაში შესვლაზეა საშვი საჭირო, ზოგში კი გამოსვლაზე. ეტყობა, ამ უკანასკნელთა რიცხვს მიეკუთვნება №2 სამკერვალო ფაბრიკაც. ნაზი მასწავლებელმა კიბესთან გაგვაჩერა და გვითხრა: მომიცადეთ, ადგილკომს ვნახავ და ახლავე დავბრუნდებიო. იგი ისე ნელა ადიოდა კიბეზე, რომ ჩვენი ჯგუფის ოცდახუთივე მოსწავლემ ერთდროულად გავიფიქრეთ – რა შესაფერისი სახელი გქვიათ თქვენ, პატივცემულო მასწავლებელო.

ხახალეიშვილმა კიბის საფეხურს სული შეუბერა, თავისი ტყავის ჩანთა დადო ზედ და გუბელაძეს სთხოვა, დაბრძანდიო. გუბელაძემაც დინჯად მოიკალათა შემოთავაზებულ ადგილზე.

ფხაკაძემ ჩანთიდან ძველთაძველი მარაო ამოაძვრინა და ლეილა აბრამიძეს ნაზად უნიავებს. ლეილამაც სიამოვნებით მიუშვირა სახე მარაოს და ისე ნეტარებით ხუჭავს თვალებს, თითქოს ჩვენ გვახარბებს, აქაოდა, შემომხედეთ, რა პატივისცემაში ვყავარ თანაჯგუფელსო. ამასობაში ხახალეიშვილმა მოასწრო, ამოეცლია მისთვის შოკოლადის ფილა, რომელიც ლეილას გამოულევლად აქვს ჩანთაში. და ფხაკაძემაც ბოდიშმოუხდელად შეწყვიტა მარაოს ქნევა.

გოგონები კუთხეში მიყუჟულან და თავიდან იწყებენ საუბარს იმის შესახებ, რომ თმის შეჭრა ყველას არ უხდება, რომ მაღალქუსლიანი ფეხსაცმლები ქალს ალამაზებს და რომ უშოვო ჩულქი არსად არ იშოვება.

ამასობაში ნაზი მასწავლებელი დაბრუნდა. მან ერთი საფეხურით აიწია კიბეზე და გვითხრა – ბავშვებო, როგორც იცით, დღეიდან თქვენი პრაქტიკის ობიექტად ეს ფაბრიკა იქნება. თქვენ სკოლას რომ დაამთავრებთ, სიმწიფის ატესტატთან ერთად მიიღებთ მკერავის მოწმობასაც და უფლება გექნებათ, ნებისმიერ სამკერვალო ფაბრიკაში იმუშაოთ. დანარჩენი თქვენზეა დამოკიდებული. მეცადინეობა ფაბრიკაში გვექნება, ჩვეულებრივად კვირაში ორჯერ, ვისაც სურვილი აქვს, ზედმეტ საათებშიც შეუძლია მოსვლა. კერვას დავეუფლებით სამკერვალო საამქროში, სადაც თქვენს მუშაობას ჩემთან ერთად უხელმძღვანელებს სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიური ფაკულტეტის დაუსწრებელი სწავლების სტუდენტი ჯუმბერ... /გვარი დამავიწყდა/, ჯუმბერი, რომელიც სამკერვალო საამქროს გამგის მოადგილედ მუშაობს. ახლა ყველანი წავალთ საამქროში. მინდოდა თქვენთვის ექსკურსიის სახით მთელი ფაბრიკა გამეცნო, მაგრამ ადგილკომი ადგილზე არ არის და ამას თქვენ სხვა დროს უჩემოდაც მოახერხებთ. ძალიან გთხოვთ, ფრთხილად იყოთ. ეს სკოლა არ არის – ფაბრიკაა და კედლების ფხაჭნას, უადგილო ადგილას დგომას და უსაქმურ ლაპარაკს დროებით მაინც უნდა მოეშვათ. წავიდეთ, ჩანთები სამორიგეოში დავტოვეთ.

სამორიგეოში შევცვივდით, ჩანთები მაგიდაზე დავყარეთ და ნაზი მასწავლებელს გავყევით. მასწავლებელმა აიარა ერთი კიბე, გაგვატარა ბნელ, ვიწრო დერეფანში, ჩამოგვიყვანა ფართო ვესტიბიულში, ისევ შეუდგა კიბეს, მარჯვნივ გაუხვია, ვიწრო დახვეული კიბით დაეშვა ქვემოთ და, როგორც იქნა, მივადექი პატარა, შავად გამურულ ზამბარიან კარს წარწერით: „სამკერვალო საამქრო“.

...კარი შევაღეთ უზარმაზარ დარბაზში, რომლის ჭერზე უამრავი თეთრი ნათურა ციმციმებს და შიგ ამ ნათურების წყალობით თეთრი დღეა, ისეთი თეთრი დღე, რომ საკერავ მანქანებთან მჯდომ უთვალავ სახეებს ქაღალდის ფერი დასდებიათ. ჩავიძირეთ გამაყრუებელ ხმაურში და დგანდგარში, მობუზულები ვდგავართ კართან, ყურადღებას არავინ გვაქცევს და ამ მაღალ ჭერქვეშ ხახალეიშვილიც კი საოცრად პატარა ჩანს. დარბაზის მარჯვნივ და მარცხნივ მთელ კედელზე ორი გიგანტური პლაკატია. ერთს აწერია: „ვალდებულება აიღე? შეასრულე კიდეც“, ხოლო მეორეს – „თუ ერთმა შეძლო, ყველა შეძლებს“.

ცოტა ხნის შემდეგ დაბალი ტანის, შავხალათიანი ახალგაზრდა კაცი მოგვეახლოვდა. მას ხალათის ერთ-ერთ ჯიბეში მკერდთან გრძელი წითელი ფანქარი უდევს და ჯიბე ისე გაუტენია ქაღალდებით, რომ ალბათ ქინძისთავიც არ ჩაეტევა. იგი უსათუოდ ჯუმბერი უნდა ყოფილიყო, რადგანაც ნაზის ხელი ჩამოართვა და გვანიშნა, გავყოლოდით.

ჯუმბერმა უზარმაზარ საამქროში საკერავ მანქანებთან ჩამოგვარიგა. მკერავებს სათითაოდ აუხსნა, ვინ ვიყავით და რისთვის მოვედით, ჩვენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვარები ბლოკნოტში ჩაიწერა და ნაზისთან ერთად საამქროდან გავიდა.

ხმაურს თანდათანობით მიეჩვია ყური.

ვდგავარ თავმოპარსული ბიჭის სამუშაო მაგიდასთან და შევცქერი. როცა ჯუმბერმა მასთან მიმიყვანა და უთხრა, შენი მოწაფე იქნებაო, თავმოპარსულმა ერთი ამხედ-დამხედა, ჯუმბერს მოპარსული თავი დაუქნია და თავისი საქმე განაგრძო. საქმე, კაცმა რომ თქვას, არც ძალიან რთული აქვს. თეთრი ლურჯზოლებიანი პერანგის საყელოებს აუთავებს და ლურჯი თეთრზოლებიანი შარვლის ქუბას აბრტყელებს. ხელში დიდი უთო უჭირავს და პინგ-პონგის ჩოგანივით ხმარობს. უკვე ერთი საათია აქ ვდგავარ და ოსტატი არავითარ ყურადღებას არ მაქცევს. ჩემზე ასე ხუთი-ექვსი წლით უფროსი იქნება. სამი საათია. ერთ საათში ცვლაც დამთავრდება. თავმოპარსულს მივუახლოვდი და სერიოზულად განვუცხადე:

– რა გავაკეთო?

– ა?! – შემობრუნდა იგი და ხელისგული მიახმარა.

– სანამ ვიდგე ასე?

– ვერ გავიგე, რას მეუბნები.

– მასწავლი რამეს?

– თქვი ხმამაღლა!

ტუჩები ყურებთან მივუტანე და მთელი ხმით ჩავძახე:

– მასწავლი რამეს?!

ჩემს ოსტატს გაეღიმა. ერთხელ კიდევ ამხედ-დამხედა და მეორე უთოზე მიმითითა.

– რა სწავლა გინდა, აიღე უთო და იმუშავე.

უთო მაშინვე გახურდა.

თავმოპარსულის მაგიდიდან ერთი პერანგი და შარვალი ავიღე და ვაუთოებ.

– მარტო საყელო? – ვეკითხები.

– ჰო.

დავადე უთო საყელოს და ვერაფრით ვერ გავასწორე. ნაოჭი ხან აქეთა მხარეს რჩება, ხან იქით. მაინც რა ჩქარა ისვრის პერანგებს ეს ოჯახქორი. მივედი, დავხედე, აბა, ღილებს როგორ არიდებს უთოს-მეთქი. ჩემს მაგიდასთან რომ დავბრუნდი, საყელოს ლურჯი ბოლი ასდის და თეთრ ზოლებზე ყავისფერი გადაჰკრავს. არავინ შეამჩნიოს-მეთქი, სწრაფად დავახვიე და გაუთოებულებში შევურიე. სანამ შარვალს ვასწორებ და წყლით ვასველებ, ამასობაში საუთოო შალს აუვიდა ბოლი. უთო სწრაფად ავიღე და რკინის დასადგამზე დავდგი. თავმოპარსული ხანდახან შემომხედავს და იღიმება.

საამქროში შემოდის ელექტროღიზელი და იატაკზე დახვავებული შარვლები და პერანგები გააქვს. მაინც რა სწრაფად კერავენ, რა ამბავია. ვის სჭირდება ამდენი თეთრზოლიანი შარვალი და ლურჯზოლიანი პერანგი. მე ისინი არასოდეს არავის ტანზე არ დამინახავს.

საყვირის ხმა გაისმა.

საამქრო ერთბაშად დადუმდა, მკერავები სწრაფად მოსწყდნენ მანქანებს და გასასვლელისკენ გაემართნენ. ჩემს ოსტატს თავი არ აუწევია. როცა საამქრო დაცარიელდა, მივედი, მხარზე ხელი დავადე და ვკითხე:

– წავიდე?

თავი დამიქნია, უთო გამორთო, ქუდი დაიხურა და ერთად გამოვედით.

– რომელ კლასში ხარ? – მეკითხება.

– მეცხრეში.

სხვა არაფერი უკითხავს.

– დიდი ხანია მუშაობთ ამ ფაბრიკაში? – ახლა მე ვკითხე.

– არა, მე პრაქტიკაზე ვარ, პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ვსწავლობ.

– ჰოო... მე მეგონა...

– რა გეგონა?! – გაიცინა მან, მხარზე ხელი დამარტყა და გაიქცა.

...სამორიგეოში მარტო ჩემი ჩანთა დარჩენილა, ყველანი წასულან.

***

დღეს კვირაა.

ახალგაზრდული გაზეთის პირველ გვერდზე იწყება და მეორეზე თავდება წერილი: „ახდენილი ოცნება“. წერილში ლაპარაკია ერთ არაჩვეულებრივ ახალგაზრდა კაცზე, ქვანახშირის მაღაროში მნგრეველად რომ მუშაობს. ამ ახალგაზრდა გმირსო, გვიყვება ნარკვევის ავტორი, ბავშვობიდანვე მაღარო იზიდავდა, საბავშვო ბაღიდან გაიქცეოდა და სპეცტანსაცმელში გამოწყობილ მეშახტეებს უთვალთვალებდაო. აღმზრდელი კი ამაოდ დაეძებდა მურაბიანი ჩაით ხელში. თურმე ბიჭი ოცნებობდა იმ დროზე, როცა ხელში აბუშოკით, თავზე კასკით და გამურული სახით სხვებთან ერთად გამოვიდოდა მაღაროს შავი, ნესტიანი ჯურღმულებიდან. მესამე კლასს რომ გადამორდა, მას შემდეგ ყოველწლიურად აკითხავდა თურმე მთავარ ინჟინერს, მიმიღე და მიმიღე მეშახტედო; არასრულწლოვანი იყო და არ ღებულობდნენ. სკოლა რომ დაამთავრა, ატესტატის მიღებასაც არ დაუცადა, გახარებული ეცა მაღაროს და აი, გეგმას ყოველდღიურად 140-150 პროცენტით ანაღდებს. წერილის შუაგულიდან მისი გმირის პორტრეტი იღიმება. საკვირველია, გაზეთში მუშას ყოველთვის გაღიმებულს ხატავენ.

... დღეს პირველად ჩავიცვი ახალი საწვიმარი. რომელიც მამამ ამ ზაფხულზე მოსკოვიდან ჩამომიტანა. ცოტა დიდი მაქვს. საწვიმარი ჩეხურია და სინათლეზე მწვანედ ბზინავს.

თბილი, უქარო დღეა, ასე რომ, კაცი უსაწვიმროდაც იოლად გავა, მაგრამ მე ახალი საწვიმარი მაცვია და მზის ჯინაზე არ გავიხდი.

სოკრატის სახელოსნოს თავზე თეთრი მამალი დგას და დაბლა იყურება.

– გამარჯობა, სოკრატ!

სოკრატის კბილები წვრილი ლურსმნებითა აქვს სავსე და სალამზე მხოლოდ თავის დაქნევით მპასუხობს.

– ვათა არ არის სახლში?

სოკრატი უარის ნიშნად თავს აქნევს.

სახელოსნოს მოვშორდი და ქუჩას გავუყევი. ჩვენი ქუჩა ყველაზე წყნარია მთელს ქალაქში. ჩვენს ქუჩაზე ყველანი ერთმანეთს ვიცნობთ და ვესალმებით. ჩვენს ქუჩაზე სამი საყვავილე მაღაზიაა და ერთი ბიბლიოთეკაა, სადაც სათნო ბიბლიოთეკარი, ყველასათვის საყვარელი ვენერა მუშაობს.

– ვაჟა!

სოკრატს სახელოსნოდან თავი გამოუყვია და ხელს მიქნევს. მოვბრუნდი.

– მიდი, ერთი ნახე, – სოკრატმა თავისი ფართო, შავი თითი უკან გაიშვირა, – ფანჯრიდან შეიხედე, შუშაბანდში ზის და თუ კითხულობს, მოდი და მითხარი.

სახელოსნოს უკანა კარიდან ეზოში გავედი.

– ოღონდ არ დაენახვო! – მომაძახა სოკრატმა.

კიბეზე ავედი და შუშაბანდის კარებში შევიჭყიტე.

ვათა გულმკერდით დასწოლია მაგიდას და ჭერს შესცქერის. რა თქმა უნდა, მაშინვე დამინახა და კარებს მოადგა.

– რას შვრები? – ვკითხე.

– რა უნდა ვქნა, კარები ჩამიკეტა და გარეთ არ მიშვებს.

– ასე სჯობია, იკითხე.

– რა ვიკითხო ამ კარცერში, მიდი, უთხარი გამიღოს კარი, გამიღოს და, დედას ვფიცავარ, არსად არ წავალ.

...სოკრატმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა.

– მასე მოუხდება, აწი ყოველდღე ჩავკეტავ და ძალით ვასწავლი გაკვეთილებს.

...ისევ ქუჩაში ვარ. უკვე გითხარით, ჩვენი ქუჩა ყველაზე წყნარი და პატარა ქუჩაა. ახლა კი აგერ სტადიონისაკენ მიდის ახალი ქუჩა, რომელიც ჩაყლაპავს ჩვენს ქუჩას, დაანგრევს სახლებს, მოსპობს კოინდარს და ალუჩის ნერგებს და გრუხუნა ტრაქტორი წაიღებს ჩემი ეზოს მიწას. აგერ ამ მსხლამდე ჩამოგვაჭრის და ქუჩას მიუტანს ჩასანთქმელად.

ამ შუშაბანდიან სახლში მსახიობი საშურა ცხოვრობს. იგი სულ თეატრში მსახურობს და თითო სპექტაკლში 3–4 როლს ასრულებს.

ისე სწრაფად გაიქროლებს სცენაზე საშურა, რომ მეზობლებიც კი ვერ ვცნობთ.

ამ ხის სახლში ძია „სემიონი“ ცხოვრობს. სემიონმა თვითონ აიშენა ეს სახლი და ახლა სხვებს უშენებს – იგი დურგალია. უწინ მოსკოვში სამინისტროში უმუშავია. მერე ომში წაუყვანიათ და ტყვედ ჩავარდნილა

ახლა დურგალია და ლოთობს.

იმ ორსართულიან სახლში ორი სული ცხოვრობს – მაღაზიის გამგე კაკო და მისი ლამაზი ცოლი. ცოლს ძალიან უყვარს კაკო, ისე ძალიან, უყვარს, რომ ყოველდღე ახალ სახელებს არქმევს.

ჩვენი ქუჩის პარალელურ ქუჩაზე რკინის მწვანე ჭიშკრიან სახლში ცხოვრობს დალი ლაღიძე. მე და დალი ერთ საბავშვო ბაღში დავდიოდით. სკოლაშიც ერთად შევედით და პირველად ერთნაირად ვსწავლობდით. ახლაც ერთ მერხზე ვსხედვართ. ჩვენ არასოდეს არ ვიყავით მეგობრები, არც ახლა ვართ. წელიწადში ერთხელ ისე მაგრად შევკამათდებით, რომ მთელი წლით ჩამოყალიბებული გვაქვს აზრი ერთმანეთზე. მე დალის ძალიან კარგად ვიცნობ, დალი კი სულ არ მიცნობს. მას ყველაფერი ისე ჰგონია, როგორც კომკავშირშია. მოგცემენ საყვედურს ბიუროზე, შეიგნებ შენს დანაშაულს, გამოსწორდები და მოგიხსნიან საყვედურს.

აგერ დომენტის ეზოც. დომენტი ჩვენს ქუჩაში ყველაზე მკაცრი კაცია. შარშან ეზოს ნახევარი ჩამოაჭრეს და კიდევ უფრო ბრაზიანი გახდა. დომენტის ჩამორთმეულ ეზოში ახლა ჩვენ ბურთს ვთამაშობთ, რადგანაც ის ეზო ჯერჯერობით არავის ეკუთვნის.

ახლაც დომენტის ყოფილ ეზოში გახურებული ფეხბურთია.

ღობეზე გადავხტი.

ლაბადა მესერზე ჩამოვკიდე, შარვალი ავიკაპიწე და მეკარეს ვეკითხები.

– საით ვურტყა?

– იქეთ.

ჩემკენ წამოსულ დომენტის შვილიშვილს ფეხბში ჩავუხტი და, ბურთი რომ ავაცალე, იყვირა:

– გააჩერეთ თამაში, თქვენკენ კაცი ჩაემატა!

მივირბინე და ბურთს ფეხი დავადე.

– ვაჟა ჩვენკენ იყოს, – თქვა დომენტის შვილიშვილმა.

ჩემთვის სულერთია, მაგრამ მაინც ვიკითხე:

– რა ანგარიშია?

– ოთხით ორი, ჩვენ ვიგებთ.

– მაშინ მე ამათკენ ვიქნები, აგებენ, ცოდონი არიან.

– ეე... – უკმაყოფილოდ ჩაიბუზღუნა დომენტის შვილიშვილმა და ბურთს ფეხი გულმოსულად მოუქნია.

მალე ვიღაცამ დარტყმა ვერ მოზომა და ბურთი დომენტის ეზოში გადაფრინდა.

„ფეხბურთელებს“ თვალზე ცრემლი მოადგათ. იციან, რაც ნიშნავს დომენტის ეზოში ბურთის გადავარდნა.

– გადადი, – ეხვეწებიან დომენტის შვილიშვილს.

– გაგიჟდი, – მომკლავს!

ამ საუბარში რომ ვიყავით, ნაჯახით შუაზე გაჭრილი ბურთი გადმოვარდა დომენტის ეზოდან.

ამის შემდეგ იქ გაჩერებას აზრი აღარ ჰქონდა, საწვიმარი მხარზე გადავიგდე და ისევ ქუჩაში გამოვედი.

ეს მემტრედე კოლიას სახლია. კოლიას სახლის გვერდით ვალოდია კალაძე ცხოვრობს და რატომღაც კვირაში ორჯერ მოსკოვში დადის.

აგერ ქენია ბიცოლას ჭა. ონკანში წყალი რომ შეწყდება, ყველას ამ ჭიდან მოგვაქვს წყალი.

ჩვენი ქუჩის პარალელურ ქუჩაზე კი რკინის მწვანეჭიშკრიან სახლში ცხოვრობს დალი. დალის სახლის ზედა სართულის მესამე ფანჯარა ყოველთვის ღიაა. დალის ეზოში ბომბორა ძაღლი ღრიალით აწვება ჭიშკარს და გამვლელ-გამომვლელს აშინებს. მე ის ბომბორა ქუჩაშიც მინახავს; როცა ქუჩაშია, აწურული გარბის და ყველას ელაქუცება, მაგრამ საკმარისია ჭიშკრის მიღმა დაიგულოს თავი, რომ გაავთრებული მოასკდეს რკინას და ანგელოზები დაგიფეთოს. მე და დალი ერთ საბავშვო ბაღში დავდიოდით და მეგობრები არასოდეს ვყოფილვართ. მე არ მიყვარს დალი.

ამ ფიქრებში რამხელა გზა გამომივლია.

ამ ბოლო დროს უფრო შემიყვარდა ქუჩაში სიარული.

ქუჩაში ყველას თავისი საქმე აქვს. ერთმანეთს მისდევენ ხელჩანთებიანი, ზურგჩანთებიანი, ხელთათმანიანი და უხელთათმანო ადამიანები. ნაბიჯები გრძელი, ნაბიჯები მოკლე. ნაბიჯები ჩქარი, ნაბიჯები ნელი. გახარებული და მოღუშული სახეები, თავდახრილი და თავაწეული კაცები. ყველა სხვადასხვანაირად დადის და ფიქრობს.

უკანიდან წამომეპარა ვეებერთელა ჩრდილი და ქუჩის გაყოლებით დააბნელა.

მაღლა ავიხედე. შავი ღრუბლები მზეს მოსდევენ და დასავლეთისაკენ მიაცურებენ.

... გზის მშენებლობაზე თურმე კვირა დღესაც მუშაობენ.

მივუახლოვდი თუ არა, ქალწარბებიანმა მუშამ ტროტუარის დაგება წუთით შეწყვიტა და დამიძახა:

– პაპიროსს ვერ მომიტან, ბიძია?

– კი, ბატონო!

– მან ხელთათმანზე აბაზიანი დაიდო და გამომიწოდა.

– იმ ფარდულში მიდი, „პრიმა“ თუ ექნათ, „პრიმა“ მიყიდე, თუ არადა „პამირი“. რა ვუყო ახლა!

– ასანთიც?

– ჰო.

როცა დავბრუნდი, ქალწარბებიანმა ხელთათმანები ქვებზე დააგდო, შუბლზე ხელი ჩამოისვა, წელში გაიმართა და სიგარეტს პირველივე ასანთით მოუკიდა.

გულგრილად ვათვალიერებ ყველაფერს. ქვების არეული კაკუნი ნერვებზე მოქმედებს. ახალდაგებულ ტროტუარზე დახრილა ბრიგადირი და რაღაცას მტკაველით ზომავს.

– როდის დაამთავრებთ? – ვკითხე ქალწარბებიანს.

– რა ვიცი, – მან პაპიროსი ჩააქრო, ხელთათმანები გაიკეთა და ისევ ჩაიმუხლა.

რა უხვავო სამუშაოა. სათითაოდ ყველა ქვას ხელი უნდა შეახო და სველ ქვიშაში ერთმანეთის გვერდით ჩაასო. მერე ამ ქვაფენილზე გუდრონს მოასხამენ და ზედ მრგვალბორბლიანი სატკეპნი ტრაქტორი გაივლის.

– გინდა, ისწავლო ჩემი ხელობა? – მკითხა ქალწარბებიანმა.

უარის ნიშნად თავი გავუქნიე.

– ამას ყველა შეძლებს, – გამოეპასუხა ქვების კაკუნში ვიღაც.

– შენ ეგრე ფიქრობ?

– რა ფიქრი უნდა.

– თუ არ იცი; ქვაფენილს დააგებ კი არა, ლელვს ვერ შეჭამ, ბიძია, კანს ვერ გააცლი.

– შე კაცო...

მუშები გაჩუმდნენ და მათი ხელები უფრო სწრაფად ამუშავდა. აქეთ ბრიგადირი დახრილა და ისევ მტკაველით ზომავს მიწას.

– დღეში რამდენს ღებულობთ! – ვკითხე ქალწარბებიანს.

– გამომუშავებაზე ვართ, ხან მეტს, ხან ნაკლებს.

– ძნელია?

– ადვილი ფაფის ჭამაა.

– მერე რაღა მაინცდამაინც ამ ქვების თრევას მოკიდე ხელი?

– შენ რამდენი ლაპარაკი გცოდნია, ძმისშვილო, რა ვიცი, რატომ მოვკიდე. ცხოვრებაა ასეთი. ზოგს გზები გაჰყავს, ზოგი რაკეტით მიფრინავს და ზოგი ლატარიის ბილეთებს ყიდის.

– შაბაშ! – დაიძახა ბრიგადირმა, გასაზომს მტკაველი მოაცილა და საათზე დაიხედა.

მუშები წამოდგნენ და ლაპარაკ-ლაპარაკით გაემართნენ იქვე, ასიოდე მეტრის დაშორებით მდგომ სასადილოს შენობისაკენ.

გზაზე მარტო ტრაქტორი დარჩა. მალე მანაც შეწყვიტა გრუხუნი. ტრაქტორისტი გადმოვიდა და ხელებისწმენდით წინ წასულებს გამოუდგა

მარტო დავრჩი, ცოტა ხანს ქვიშა ვხაზე და მერე საოცრად მომინდა, მეცადა ქვაფენილის დაგება. დიდი ჩაქუჩი ავიღე, ხელთათმანები ჩავიცვი და საქმეს ჩავუჯექი. ქვებს ერთმანეთის სიმაღლეზე ვაწყობ ქვიშაში და მჭიდროდ ვაკრავ. ზოგი ქვა დიდია, ზოგი პატარა, პატარა ქვას ქვეშ უფრო მეტი ქვიშა უნდა მოაყარო, გრძელი ქვა უფრო ღრმად უნდა ჩაასო და გაასწორო. მალე გავხურდი. ლაბადა ტრაქტორის კაბინაზე ჩამოვკიდე და ისევ განვაგრძე მუშაობა.

სასადილოდან ყველაზე მალე ქალწარბებიანი დაბრუნდა. იგი შეუმჩნევლად წამომადგა თავზე და, როცა ჩემს ნამუშევარს დახედა, წარბები შეიკრა.

– მასე არ უნდა, შვილო, ქვები განზე დაგიქანებია, ახლა უნდა ამოვყარო შენი ნახელავი და თავიდან დავაწყო. წადი, ბურთი ითამაშე, რაც არ გამოგდის, არ უნდა იკისრო.

გავბრაზდი. რატომღაც მეგონა, კარგად ვაკეთებდი და ჩემი სიბეჯითით ნასიამოვნები მუშები მადლობას მეტყოდნენ. მან კი, ამ ქალწარბებიანმა ახმახმა, წერაქვით მოშალა ჩემი დაგებული ქვა-

ფენილი და ჩაქუჩი ხელიდან გამომტაცა.

განზე გავდექი და დოინჯშემოყრილი შევცქერი ყველაფერს.

ქალწარბებიანმა თავი აიღო და გაუკვირდა:

- შენ კიდევ აქ ხარ?

მე არაფერი ვუპასუხე და განზე გავიხედე.

- გემდურის - დაუძახა ვიღაცამ.

მუშებმა გაიცინეს. ყელში რაღაც ბურთივით მომებჯინა და მომეჩვენა, რომ ამ დამცინავი თვალების და უშველებელი ხელების წინაშე მართლაცდა სასაცილო ეჩანდი მეცხრე კლასის მოსწავლე, ახალი ლაბადით და მელნით დასვრილი სამი თითით.

სწრაფად შემოვტრიალდი და სახლისკენ წავედი.

წვიმა დაიწყო.

ქუჩაზე გაჩნდნენ პატარა რუები და შეთანხმებულებივით მაშინვე არხისკენ ქნეს პირი. მხრები დამისველდა. კისერში წყალი ჩამდის და ნაბიჯს მაინც არ ვუჩქარებ. რა უცებ ცარიელდება წვიმაში ქუჩა.

***

დღეს სამკერვალო ფაბრიკაში დაგვიანებით მივედი. თავმოპარსულ ოსტატს გავუღიმე და ჩუმად ვუთხარი:

- ჯუმბერს ხომ არ ჩამოუვლია?

მან თვალი ჩამიკრა.

- დარდი ნუ გაქვს.

თვალი მოვავლე საკერავ მანქანებთან დახრილ სახეებს და უთო ჩავრთე.

დღეს უკეთესად გამოდის საქმე. ათამდე პერანგის საყელო და თხუთმეტამდე შარვლის ქუბა გავასწორე. მერე ერთბაშად მომწყინდა. საამქროში სულ ქალები არიან. საკერავ მანქანასთან დახრილა ხახალეიშვილი და პერანგს თეთრ ღილს აკერებს. მომეჩვენა, რომ რასაც აქ ვაკეთებთ, სულ არ არის კაცის საქმე და, საერთოდ, ღილის დაკერება ხახალეიშვილის გრძელი ხელების ფუჭი მოცდენაა მხოლოდ

ისწავლე? - უკანიდან დალის ხმა შემომესმა. - იცი, მე რა კარგად ვაკერებ სახელოს, აა, შენ უთოზე ხარ? ბიჭოს, რა შესაფერისი საქმე შეურჩევიათ!

შემრცხვა.

- არა, მე არ ვაუთოვებ, მე ისე ვარ, არაფერს არ ვაკეთებ.

- როგორ ისე?

- არ მაინტერესებს უთოობა.

- რატომ? არ გეკადრება?

- შენ რა ნერვების მოსაშლელად მოხვედი? წადი და ნემსში ძაფი გაუყარე. ჩემი საქმე მე ვიცი.

დალიმ, როგორც იცის, ისე აწკურა წარბები და წავიდა.

- უთოს ნუ აცდენ, - მითხრა თავმოპარსულმა.

- ა, ჰო, ახლავე მოვალ, - ვთქვი, უთო გამოვრთე და საამქროდან გამოვედი.

სამორიგეოში ჩანთა ამოვიღლიავე და მოხუც დარაჯს ვუთხარი:

- ჩემს სიცოცხლეში აღარ მოვალ აქ.

ცოტა ხანს შევჩერდი. მეგონა, რამეს მკითხავდა დარაჯი, მან კი ყურადღებაც არ მომაქცია, შეწყვეტილი ღიღინი გადააბა და წინ და უკან სიარული განაგრძო.

***

გზის მშენებლობაზე გამოვიარე.

დღეს ბევრი უმუშავიათ. ბოძამდე უკვე მოსულან. ქალწარბებიანი არ ჩანს. ქვიშაზე გდია მისი გრძელი, შავტარიანი ჩაქუჩი.

შორიახლო ჩამოვჯექი და არაფერზე არ ვფიქრობ.

მოვიდნენ ქალწარბებიანი მუშა და პლაშჩიანი მაღალი მამაკაცი. გურამი მაშინვე ვიცანი. იგი გატაცებით ესაუბრება ქალწარბებიანს და ბლოკნოტში წამდაუწუმ რაღაცას იწერს. გვერდზე ფოტოაპარატი ჰკიდია.

მერე მუშები დასხდნენ, გურამმა ფოტოაპარატი მოიმარჯვა და გაასწორა, ალბათ, სთხოვა, ფოტოაპარატს ნუ უყურებთო, რადგანაც ყველამ მაშინვე თავი ჩაჰქინდრა. როცა გადასაღებად ყველაფერი მზად იყო, გურამმა შეამჩნია.

- ვაჟა!

მივირბინე.

- შენ აქ რას აკეთებ?

- არაფერს.

- გუშინაც აქ იყო, გვეხმარება, უნდა, მალე დამთავრდეს გზის გაყვანა, - თქვა ქალწარბებიანმა.

- სტყუის, მე არავის არ ვეხმარები, - ვთქვი მე და ყურები გამიწითლდა.

- აბა, ჩანთა გვერდზე გადადე, ჩაქუჩი აიღე და აი ამ ადგილას დაჯექი, - მითხრა გურამმა.

ჩაქუჩი ავიღე და მუშებს შორის ჩავიმუხლე, გურამმა სურათი ოთხჯერ გადაიღო. მერე მუშებს გამოემშვიდობა და მხარზე დამადო ხელი.

ქუჩას გავუყევით.

- გაკვეთილები დამთავრდა? - მკითხა

- სამკერვალო ფაბრიკაში ვიყავით.

- მერე?

- ვერ გავჩერდი და გამოვიპარე.

- იქ რას გაკეთებინებენ?

- მე პირადად უთო მომცეს და შარვლის ქუბა უნდა ვასწორო, კაცის საქმეა ეს?

გურამს გაეცინა.

- რა ვიცი... აბა, არ მოგეწონა უთო? გზაზე ქვაფენილის დაგება ხომ არის კაცის საქმე! კაცის საქმეა, მაგრამ ცუდი სამუშაოა. შარვალი დაგესვრება, შეიძლება ჩაქუჩიც დაირტყა თითზე, თანაც სულ წელში მოხრილმა უნდა აკეთო, უთო კი გაუსვი და გამოუსვი, არც დაიღლები და არც შარვალი დაგესვრება, ა?

მეუბნება იგი და იცინის. მხარზე ხელს მირტყამს. ხანდახან შეჩერდება და ისევ იცინის.

- თქვენ სად მუშაობთ, გურამ?

– გაზეთში.

– ჟურნალისტი ხართ?

– ჰო...

... ცოტა ხანს ჩუმად მივდივართ. მერე გურამი წამდაუწუმ მეკითხება ყველაფერს ჩემზე. იგი არ იცინის და ცდილობს, რაც შეიძლება მეტი მელაპარაკოს. თავი არ ამიწევია, ისე მივედით გურამის სახლამდე. მან ჭიშკარი გააღო და მიმიწვია. ეზო გავიარეთ და სართულნახევრიანი, ლურჯად შეღებილი სახლის კიბეზე ავედით. შუშაბანდში თავშეხვეული შუახნის კაცი წევს.

– როგორა ხარ, მამა? – ჰკითხა გურამმა.

მამას არაფერი უპასუხნია.

გურამმა ჩანთა გამომართვა, მაგიდაზე დადო, მოხუცთან მიმიყვანა და წარმადგინა.

– ჩემი ამხანაგია.

მოხუცმა ამხედ-დამხედა, არაფერი უთქვამს.

საღამომდე იქ დავრჩი. გურამის მამა გულაღმა იწვა, ჭერს უხმოდ შესცქეროდა. გურამი კი მეკითხებოდა ჩვენს ოჯახზე, სკოლაზე, დალიზეც მკითხა. ჩვენ ვსაუბრობდით ყველაფერზე: უთოზე, ჩაქუჩზეც, ექიმობაზეც და ინჟინრობაზეც. მერე თავის თავზე ალაპარაკდა. ანეგდოტებიც მიაყოლა. მერე გალაკტიონის სქელი წიგნი გადმოიღო და ორი ლექსი წამიკითხა. ვუსმენდი და სულ არ ვგრძნობდი თავს უხერხულად. ასე გულახდილად არასოდეს არავისთან მისაუბრია.

მოხუცი კაცი გვისმენდა და ჭერს შესცქეროდა.

***

გავიდა დეკემბერი. მამა ჩამოვიდა და ერთი კვირის შემდეგ ისევ მივლინებაში წავიდა. დედა და ბებია, ძველებურად, ყოველ დილით ჭკუას მარიგებენ და ყოველ საღამოს მეკითხებიან, რა ხდება გაკვეთილებზე.

სოკრატიმ ორი ნავთქურა აანთო თავის სახელოსნოში და მაინც სცივა. სახელოსნოში ქარი საიდან შემოდის, ვერაფრით ვერ აღმოვაჩინეო, წუწუნებს ყოველდღე: ვათას კვლავ ხშირად აქვს ქართულში იგივე, რუსულში კარნახი, ხოლო გეოგრაფიის მასწავლებელი ისევ კითხვით იძლევა ზედაპირის დახასიათების ორგვერდიან გაკვეთილებს.

დილდილობით ჭირხლისაგან სახურავები გადათეთრებულია. შუადღეზე მზე გამოიჭყიტავს და ძლივსძლივობით ახერხებს მიწის ზურგის შეთბობას.

სამკერვალო ფაბრიკაში აღარ დავდივარ. საწარმოო პრაქტიკის საათებში გზის მშენებლობასთან ვზივარ და ვუყურებ. ხანდახან ჩაქუჩს ჩავიგდებ ხელში და ტროტუარის დაგებას ვეუფლები.

გზა თანდათანობით უახლოვდება სტადიონს, ერთ კვირაში ჩემს სახლს ჩაუვლის. მე და ქალაწარბებიანი დავმეგობრდით, ჩემთვის სახლიდან მეორე ჩაქუჩსაც კი ატარებს. გუშინ ბრიგადირმა უწყისზე ხელი მომაწერინა და ოცი მანეთი გადმომითვალა.

რას შერები-მეთქი.

– რას და, რაც იმუშავე, იმის საზღაურს გიხდით, ხომ არ გეცოტავა?

გამიკვირდა.

მუშები იდგნენ და იღიმებოდნენ.

კი მაგრამ, მე ხომ, ეს ისე, თავს ვიქცევდი-მეთქი.

ჰოდა, ამ თავის შექცევაში გამოგიწერეთ ასე ცოტაო, – თქვა ბრიგადირმა, – თუ გეეჭვება, თავიდან გავზომოთო.

იმ საღამოს გურამთან მივედი და ყველაფერი ვუამბე. არ გაჰკვირვებია. სულ სხვა თემაზე გადაიტანა საუბარი.

უცნაური კაცია გურამი.

***

დღეს იულია პლატონოვნას გაკვეთილზე განათლების განყოფილების ინსპექტორი შემოვიდა. მან მასწავლებელს სთხოვა, რამდენიმე წუთი დამითმეო და ჟურნალი აიღო. კარგა ხანს ჩასცქეროდა. მერე პლატონოვნას მიუბრუნდა და ჰკითხა:

– როგორ სწავლობენ, ქალბატონო იულია?

– კარგად, ძალიან.

– დისციპლინა როგორი აქვთ?

– კარგი ძალიან. დისციპლინის მხრივ არ ვემდური.

მერე ჩვენ მოგვიბრუნდა ინსპექტორი.

– მოსწავლეებო, თქვენ უკვე დიდები ხართ, ორი წელიც და სკოლას დაამთავრებთ. რა თქმა უნდა, უკვე გაქვთ გარკვეული მისწრაფება და არჩეული გაქვთ მომავალი პროფესია. ასე არ არის?

– დიახ, – უპასუხა ვიღაცამ.

– აი, მაგალითად, თქვენ რა გსურთ გამოხვიდეთ? – ჰკითხა ინსპექტორმა ხახალეიშვილს.

ხახალეიშვილი წამოდგა, კეფა მოიფხანა და გაჩერდა.

– რა გსურთ გამოხვიდეთ? – გაუმეორა შეკითხვა სტუმარმა.

– თქვი, ბიჭო, რამე, – შეუძახა იულია პლატონოვნამ.

– ინჟინერი, – უკარნახა ვიღაცამ ხახალეიშვილს.

– ინჟინერი, – გაიმეორა ხახალეიშვილმა და დაჯდა.

ინსპექტორმა სათითაოდ გამოჰკითხა ყველას. იგი ბლოკნოტში რაღაცას გულმოდგინედ ინიშნავდა. უმეტესობამ ინჟინრობა ისურვა, ზოგმა ექიმობა, ზოგმაც მასწავლებლობა, გუბელაძემ უთხრა, განათლების განყოფილების ინსპექტორი მსურს გავხდეო, ხოლო, როდესაც ჯერი დალი ლაღიძეზე მიდგა, იგი წამოდგა და ამაყად განაცხადა:

– მკერავი.

ყველანი ერთბაშად გაჩუმდნენ. ნასიამოვნები ინსპექტორი ალაპარაკდა:

– აი ყოჩაღ, თქვენი გვარი?

– სვანიძე.

– მკერაობა, მეტად რთული და საპატიო პროფესიაა. ჯგუფის საერთო პასუხით კი კმაყოფილი არა ვარ. კარგია, რომ ყველას ინჟინრობა და ექიმობა სურს, მაგრამ ნუთუ არ გხიბლავთ ზეინკლობა, დურგლობა ან თუნდაც იგივე მკერავობა, რომელსაც საშეფო ქარხანაში ეუფლებით? ეს არ ვარგა, გახსოვდეთ, ინჟინრობა ზეინკლობიდან და დურგლობიდან იწყება. აბა, კარგად დაფიქრდით, ხომ არ გადაიფიქრა ვინმემ, ხომ არ შეიცვალა მომავალი პროფესია.

კლასი გაილურსა.

– მე, – ადგა გუბელაძე.

– რა გსურთ გამოხვიდეთ?

– მკერავი.

– მეც, – ადგა ბეშკენაძე.

– ?!

– დამუთოვებელი.

– ჩვენც! ჩვენც! – ახმაურდნენ ბავშვები.

– მკერავი; მკერავი, მკერავი!

კმაყოფილი ინსპექტორი ბლოკნოტში გაფაციცებით ინიშნავს გვარებს და ჩემს მერხთან ჩერდება.

– თქვენ, ყმაწვილო?

– არ ვიცი, – ვთქვი მე და ინსპექტორს პირდაპირ თვალებში შევხედე.

– როგორ არ იცით, – აცმუკდა იგი – აბა, კარგად დაფიქრდით, გაიხსენეთ, ხომ არ დაგავიწყდათ?

– არ დამვიწყებია, არასოდეს არ ვიცოდი.

– ყველაზე უფრო რა საქმე გაინტერესებთ?

– ყოველ შემთხვევაში, მკერავობა არა.

– ქარაგმებს თავი დაანებეთ და, რასაც გეკითხებიან, უპასუხე!

– დიახ, ბატონო.

– ესე იგი, შენ გინდა თქვა, რომ ამ ჯგუფში ერთადერთი გამონაკლისი ხარ, რომელმაც არ იცი, მომავალში რას გააკეთებ?

– მე გამონაკლისი არა ვარ.

– ?!

– არც ამათ იციან. ჩვენ ახლა ვიწყებთ ფიქრს იმაზე თუ რა გავაკეთოთ.

– მერე?

– დღეს თქვენ არ გვაძლევთ საშუალებას, – ჩვენი, საკუთარი გზებით ვიაროთ.

– მაინც?

– თქვენთვის ჩვენი ჯგუფი უბრალოდ $IX^2$ კლასია რომელმაც, როგორც ერთმა, პრაქტიკა სამკერვალო ფაბრიკაში უნდა გაიაროს.

– მერე, რა არის ამაში ცუდი?

– თქვენთვის არაფერი, ჩვენთვის კი ის არის ცუდი, რომ ფაბრიკიდან დაბრუნებული გუბელაძე მაინც რადიომიმღებს ჩაჰკირკიტებს, ხახალეიშვილი ერთხელ კიდევ დაშლის და ააწყობს თავის „ზაპოროჟეცს", ფხაკაძე ელექტრონის შუქზე ხატავს შუაზე გაჭრილ ლიმონს და არც ერთ მათგანს არ აგონდება უთო და ლურჯზოლიან პერანგზე უკუღმა მიკერებული საყელო.

– თქვენის აზრით, მხატვარს, ინჟინერს ან მფრინავს გაუთოვება და ღილის დაკერება არ უნდა შეეძლოს?

– მაგას არ მოგახსენებთ, ეს ყველაფერი თავისთავად ცუდი როდია, მაგრამ ცუდი ის არის, რომ თქვენ მოგვიწოდებთ იქეთკენ, თქვენ თითქმის მიგვერეკებით და ოცდახუთივეს ერთნაირად...

– ჩვენ არაფერს არ მოგიწოდებთ, ჩვენ გვინდა, შეგაგნებინოთ, რომ ყველაზე მაღალი კიბეც კი პირველი საფეხურიდან იწყება.

– ეგ უკვე კარგა ხანია ვიცით.

– რაც შეეხება თქვენს ჯგუფს, თქვენ რატომ ბედავთ სხვის მაგივრად ლაპარაკს. ესე იგი, მოგვატყუა კომკავშირელმა დალი ლაღიძემ, როდესაც განაცხადა, მკერავი მსურს გავხდეო? ან შეცდნენ ხახალეიშვილი, აბრამიძე, გუბელაძე, ფხაკაძე?!

– იქნება ყველა არც ტყუის, მაგრამ ამ შემთხვევაში თქვენ მათ დაგვცინეს!

ინსპექტორი გაფითრდა. მერხს მუშტი დაჰკრა და დაიღრიალა:

– ვის უბედავ, რა გვარი ხარ შენ! შე პირუტყვო!

შუბლზე ცივმა ოფლმა დამასხა. ტუჩი მოვიკვნიტე და, რაც შეიძლებოდა, ზრდილობიანად ვუთხარი იულია პლატონოვნას:

– მასწავლებელო, უთხარით, გავიდეს და არასოდეს შემოვიდეს ჩვენს ოთახში ეს საცოდავი კაცი.

პლატონოვნამ ხელები გაასავსავა.

მერე ის იყო, ჩანთას ხელი დავავლე და გასასვლელისაკენ გავიქეცი. იულია მასწავლებელი უმალ გზიდან ჩამომეცალა; მგონი, ერთხელ მოვიხედე და კარი მაგრად გავიჯახუნე.

***

...გურამი შინ არ დამხვდა. მისმა მოხუცმა მამამ ძლივს მიმასწავლა რედაქცია. როგორც იქნა, მივაგენი. კარზე დავაკაკუნე. თმახუჭუჭა კაცმა გამოიხედა და გამიცინა.

– ოჰო, მობრძანდით, ძვირფასო.

– მე... ისა... გურამი მინდოდა.

– გურამი? ახლავე, – იგი შებრუნდა და დაბალჭერიან ოთახში გაფანტულ მაგიდებთან და მაგიდებზე მსხდომ, თამბაქოს ბოლში მცურავ სახეებს შეუძახა:

– გურამ, შენთან ამხანაგია მილიციიდან.

– კარგი, ჰო, გეყოფა, უკვე გავიცინეთ, დაკეტე კარი, – მოისმა ოთახიდან გურამის ხმა.

– არა, მართლა, გელოდებიან.

გურამი გამოვიდა.

– ბიჭოს, შენ ხარ, ვაჟა? როგორ მომაგენი?

– რა ვიცი.

– შემოდი.

რედაქციის ფართო ოთახში ათიოდე მაგიდას შემოსხდომია ათიოდე ახალგაზრდა კაცი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთდროულად აბოლებს.

გურამმა ფანჯარა გამოაღო და სკამი დამიდგა.

მივიხედ-მოვიხედე, ოცივე თვალი მე შემომცქეროდა.

– იცნობდეთ, მეცხრეკლასელია.

პაპიროსიანი თავები ამოძრავდნენ და ისევ გაჩერდნენ.

– გურამ, მე საქმეზე მოვედი.

– ?! – გურამმა სკამი მოსწია.

ირგვლივ უხერხულად მიმოვიხედე.

– კარგი, გარეთ გავიდეთ, – მითხრა მან და წამოდგა.

რედაქციის გრძელ დერეფანში გურამი ფანჯარასთან ჩამოჯდა და ყურადღებით მომისმინა. მე დაწვრილებით ვუამბე დღეს რუსულის გაკვეთილზე მომხდარი. ბოლოს ვუთხარი, რომ მასთან დახმარების სათხოვნელად კი არ მოვსულვარ, ისე, უბრალოდ მინდოდა, ვინმესთვის მეამბნა ჩემი დღევანდელი თავგადასავალი. ვუთხარი, რომ არ ვიცი, რატომ გავბრაზდი განათლების განყოფილების ინსპექტორზე და ისიც არ ვიცი, წავიდე თუ არა ხვალ სკოლაში.

მერე ორივე გავჩუმდით. გურამი ფანჯარაში იცქირებოდა. ხანდახან გადმომხედავდა, წარბებს შეიკრავდა, ისევ გახსნიდა და ისევ ფანჯრისკენ მიბრუნდებოდა.

მერე რედაქტორთან დაუძახეს. გაიქცა. ხუთი წუთის შემდეგ დაბრუნდა.

– სასწრაფო საქმეზე მაგზავნიან, წადი შინ, მე ხვალ სკოლაში მოვალ, – მითხრა და გაბრუნდა.

***

...მთელი დღე ვიხეტიალე, ღამდებოდა, როცა შინ დავბრუნდი.

ჭიშკართან დალი დგას და ჩემს ეზოში იხედება.

– დალი!

შეკრთა. სწრაფად მოტრიალდა და, რაკი მიცნო, მწყრალად მითხრა:

– თქვენ ასე ხვდებით სტუმრებს?

გვაპატიეთ, არ გელოდით, დიდი ხანია იძახი?

– სულ არ დამიძახნია, მე ხომ ბებიაშენის სახელი არ ვიცი.

გამეცინა.

– ჩემი სახელი დაგეძახა, გამოგხედავდნენ.

ჭიშკარი გავაღე.

– შემოდი, დალი.

დალი ეზოში შემოვიდა და, კიბესთან რომ მივედით, გაჩერდა.

– შინ არ შემოვალ. აქ ვიყოთ, რაღაც უნდა გითხრა.

ხომ გითხარით, უცნაური გოგოა ეს გოგო. ისევ მივედით ჭიშკრამდე. დალიმ ქუჩაში გადაიხედა და ვალიკოს მერხზე მანიშნა.

– იქ დავსხდეთ.

მიირბინა და დაჯდა. მე ნელა მივედი და შორიახლოს გავჩერდი.

– რა უნდა მითხრა, დალი?

– ჰო, ხვალ სკოლაში უნდა მოხვიდე.

– კი მაგრამ, ვინ გითხრა, რომ არ ვაპირებდი მოსვლას?

– ხვალ კომიტეტის სხდომაზე შენს საკითხს ვიხილავთ და აუცილებლად უნდა დაესწრო.

– რატომ იხილავთ ჩემს საკითხს?

– ვითომ არ იცი. რატომ და გაკვეთილებს რომ აცდენ, რატომ და საწარმოო პრაქტიკაზე რომ არ დადიხარ, რატომ და დღეს სტუმარს შეურაცხყოფა რომ მიაყენე და, საერთოდ, ცუდი ბიჭი რომ ხარ.

– დალი, მე ხვალ არ მოვალ სკოლაში.

– უნდა მოხვიდე.

– არ მოვალ, არც ხვალ, არც ზეგ, არასოდეს არ მოვალ.

– ვაიმე, ხვალ მოდი, ბიჭო, და მერე თუ გინდა ნუ მოხვალ, დირექტორი გავაფრთხილე, შენი დასწრება აუცილებელია. სხდომა ჩამეშლება.

გავბრაზდი და სიბრაზისაგან რატომღაც მაინც გამეცინა.

– კარგი, მოვალ.

დალი გაჩუმდა.

– რას მეტყვით კომიტეტის სხდომაზე?

– დაგახასიათებთ, მერე დაგსჯით.

– მაინც?

წინასწარ არ ვიცი. ჯერ ამხანაგებმა უნდა იმსჯელონ.

– ამისთვის მოხვედი? შენ ხომ იცი, რომ მე სხდომების არ მეშინია. რა ცუდი გოგო ყოფილხარ, დალი.

– რა გაყვირებს, მოდი, აქ დაჯექი.

მივედი, გვერდით მივუჯექი და ყურში ვუთხარი:

– წადი ახლა სახლში და ღონისძიების პროექტი დაწერე.

დალი არ წამოდგა.

– თურმე მხოლოდ იმიტომ გინდა ჩემი მოსვლა სკოლაში, რომ სხდომა არ ჩაგეშალოს.

დალი ხმას არ იღებს.

– გახსოვს, საბავშვო ბაღშიც ასეთი იყავი, მეტიჩარა, წარამარა ყველას ებუტებოდი. ახლა მეცხრე კლასში ვართ. შენ ყოველთვის სხვისი სიტყვებით ლაპარაკობ. შენ მეგობარი არა გყავს და არც გეყოლება. შენ გაგათამამეს. ყოველთვის წითელი ლენტი გიკეთია ხელზე და შენთან გულახდილ საუბარს ყველა გაურბის. შენ ყველაზე ცუდი გოგო ხარ, დალი.

დალიმ სახე ხელებში ჩარგო და სცადა, ატირებულიყო.

მე არ მსურდა მისი ხმის გაგონება და უფრო ჩქარა ავლაპარაკდი.

...მერე ერთბაშად გავჩერდი. დალის ბეჭები უთრთოდა. მე თითები გამეყინა და ვიორთქლავდი. ყველა ეზოში მორიგეობით ყეფდნენ ძაღლები. მე ვფიქრობდი, რომ თავიდან ბოლომდე სისულელეები ვილაპარაკე და ყოველგვარ სიკეთესთან ერ-

თად თურმე ლაყბობასაც მივჩვევივარ. მე ვფიქრობდი, რომ, რაც მინდოდა მეთქვა, იმას ვერასოდეს ვერ ვიტყოდი ვერც ერთ სხდომაზე, რომ ვალდებული ვიყავ, არ ჩავყოლოდი დინებას ოჩანი ხარივით. თუნდაც იმიტომ, რომ ვალიკო არსებობდა ქვეყანაზე, და მაინც არ ვთვლიდი ღილების დაკერებას კაცის საქმედ. ვხედავდი ჩემს მიერ ალმაცერად დაგებულ ქვებს ახალ გზაზე და ქლაღწარბებიანი მუშის ხარხარი მესმოდა. უკლებლივ ყველა ვარსკვლავი ჩანდა ცაზე და დალი წასვლას არ აპირებდა.

მე ბეჭებზე დავადე ხელი და საოცრად მიკვირდა ჩემი გამბედაობის. დალის არ უცდია, ხელი ამეღო, მან თავისი ხელი ზემოდან დააფარა ჩემს ხელს; თავისი ხელთათმნიანი, პატარა ხელი.

...და ვიჯექით ასე ვალიკოს ჭიშკართან IX² კლასში ყველაზე ლამაზი გოგო და მთელ ქვეყანაში ყველაზე დაბნეული ბიჭი.

***

ზარის დარეკვამდე ბიჭები შემომეხვივნენ.

- რა გითხრეს სახლში?

- რა უნდა ეთქვათ.

- დედაშენმა გაიგო?

- ჯერ არა.

- როგორ არ გაიგებდა, გუშინ დირექტორმა გაკვეთილების შემდეგ დალი ლაღიძე გამოგზავნა.

დალის შევხედე. შავ წინსაფარში დაემალა ხელები და იატაკს დასცქეროდა.

- იცნობდი იმ ინსპექტორს? - მკითხა ხახალეიშვილმა.

- არა.

აბა, რა გაღრიალებდა, პლატონოვნას კინაღამ გული გაუხეთქე.

- რა თქვეს, მე რომ გავედი?

- არაფერი არ უთქვამთ.

- როგორ არა, თქვეს, - ჩაერია გუბელაძე, - კარი რომ გაიჯახუნე, ჭერიდან ბათქაში ჩამოცვივდა. ჩვენ ყველანი აწურულები ვიდექით. ინსპექტორიც ხმას არ იღებდა. სიჩუმე იულიამ დაარღვია, მან ჩამონგრეულ ბათქაშზე მიუთითა და ინსპექტორს უთხრა; ამ ოთახის რემონტს საშველი არ დაადგაო. ჩვენ არ გაგვცინებია. ინსპექტორი გამშრალი იდგა, ბათქაშისათვის ყურადღებაც არ მიუქცევია. მერე ბლოკნოტი ამოიღო და შენი სახელი და გვარი ჩაიწერა. პლატონოვნას მიუბრუნდა და ჰკითხა, ჯღამაძე არანორმალური ხომ არ არისო, აქამდე თუ გყოლიათ რამეში შემჩნეული, როგორ სწავლობსო.

- რა უთხრა პლატონოვნამ?

- პლატონოვნამ ცაში აგიყვანა, - სიტყვა წაართვა ხახალეიშვილმა გუბელაძეს, - ჯღამაძის დღევანდელი საქციელით მეც ძალიან გაოცებული ვარო, მთელი სკოლის თვალიაო, სამაგალითო მოსწავლედ ითვლებაო, აქამდე გაუძახებლად მაგის ხმა არ გამიგონიაო, გაკვეთილსაც ისე ტკბილად და ნაზად ყვება, რომ ნერვებს მიმშვიდებსო. ალბათ დღეს რაიმე ცუდი შეემთხვა, ამ დილითაც სკოლაში დაღვრემილი მოვიდაო.

- პლატონოვნამ უთხრა ეს ყველაფერი? - გავიკვირვე მე.

- პლატონოვნამ, აბა, ჩვენ გაოცებისაგან პირები დავაღეთ.

- მერე?

- მერე ინსპექტორი ჩვენ მოგვიბრუნდა. ბავშვებო, თუ შეატყვეთ, დღეს ჯღამაძეს სიმთვრალე ხომ არ ეტყობოდაო.

- სიმთვრალეო? - გამეცინა.

- ისევ იულია პლატონოვნამ გასცა პასუხი. ბავშვს ლიმონათის გარდა სხვა სასმელი წამლადაც არ დაულევიაო.

ამასობაში დაირეკა კიდეც.

პირველი გაკვეთილი მშობლიურ ლიტერატურაში გვაქვს.

ფაცია მასწავლებლის შემოსვლა და ჩემი გაძახება ერთი იყო. გრიგოლ ორბელიანის „სადღეგრძელო" ადრეც წამიკითხავს, მაგრამ ვიცი, საზეპიროები შემეშლება.

ავდექი. გარჩევა, მე მგონი, კარგად ვუპასუხე და საზეპიროს მეორე სტროფზე გავჩერდი.

- ფხაკაძე, შეახსენე, - უთხრა მასწავლებელმა ფხაკაძეს.

ფხაკაძე წამოდგა და ვერ შემახსენა.

ამასობაში მოკარნახეები ამუშავდნენ, მაგრამ მათ უსისტემო ჩურჩულში ვერაფერი გავარჩიე.

- ბეშკენაძე, შეახსენე.

ბეშკენაძე ადგა და ჩემს ნათქვამს ერთადერთი სტრიქონი მიუმატა.

ამის შემდეგ მეც ერთი სტროფი ვთქვი და ისევ გავჩერდი.

- ვინ შეახსენებს? - იკითხა ფაციამ. ამ დროს დალიმ წიგნი ჩუმად გამიშალა და წინ დამიდო. მერე ხელის თითი ზუსტად იმ სტრიქონებს გააყოლა, რომელიც დამავიწყდა. მასწავლებელს არაფერი არ დაუნახავს.

- ვინ შეახსენებს? - ისევ იკითხა მასწავლებელმა.

- თვითონ გაიხსენებს, პატივცემულო, - წყნარად თქვა დალიმ და ფეხზე ფეხი დამაჭირა.

თავი დავხარე და საზეპირო უფრო მეტი ჩავაბულბულე, ვიდრე დღეისთვის დავალებად გვქონდა მოცემული.

ქართულის მასწავლებელმა ოთხიანი დამიწერა. დალის შევხედე. დალი რვეულის სუფთა ფურცლებზე კვადრატებს ხატავდა და თან ნელ-ნელა, შეუმჩნევლად იღიმებოდა.

მეორე გაკვეთილზე იულია პლატონოვნამ დაიგვიანა. ბავშვები ახმაურდნენ და „გვიცდება", „გვიცდებას" ძახილით დერეფანში გამოცვივდნენ, მაგრამ სწრაფადვე უკან დაბრუნდნენ და მერხებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიაშურეს.

... კიდევ კარგა ხანს არ გაიღო კარი და ბოლოს იულია პლატონოვნაც გამოჩნდა. მას ხელში ჟურნალი არ ეჭირა. არც თავშალი ჰქონდა თავზე მოხვეული და ნაბიჯ-ნაბიჯ მოდიოდა. ჩვენ ფეხზე ავდექით და მოგვეჩვენა, რომ პლატონოვნა გუშინდელზე გაცილებით უფრო მოხუცი ჩანდა.

იგი სწრაფად დაეშვა სკამზე და ჩვეულებრივზე უფრო ძალიან გვთხოვა:

– ბავშვებო, დღეს ნუ იხმაურებთ.

ჩვენ ერთმანეთს გადავხედეთ და თითქოს ახლა გაგვახსენდა, რომ ფეხზე ვიდექით.

– დასხედით, ბავშვებო, განაგრძო რუსულის მასწავლებელმა და თეთრ თმაზე ხელი გადაისვა. - დღეის შემდეგ ჩემი გაკვეთილი აღარ გექნებათ. რუსულში სხვა მასწავლებელი გეყოლებათ.

იულია პლატონოვნა ქართულად ლაპარაკობდა. იგი გაფითრებული იყო და საუბრის დროს ხშირად ისვენებდა.

– თქვენ სხვა კლასებს უნდა ასწავლოთ, პატივცემულო? - სხვისი ხმით ჰკითხა ბეშკენაძემ.

– არა, ბავშვებო, მე დავამთავრე ჩემი მასწავლებლობა. უკვე საკმაოდ დავღლილვარ და დავბერებულვარ. ორმოცდაცამეტი წელია კლასში შევდივარ.

ჩვენ დიდხანს, ძალიან დიდხანს ჩუმად ვიყავით. კლასი გაქვავებულივით იჯდა. იულია პლატონოვნას შეეშინდა ამ სიჩუმის და ჩაახველა. უკანა მერხიდან შავნგირაძე წამოდგა. რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ გადაიფიქრა და დაჯდა.

უეცრად იულია პლატონოვნა წამოდგა. მხრები შეარხია და მერხებს შორის გაიარ-გამოიარა. მერე ჩემს მერხთან შეჩერდა და გულმოსულად მკითხა:

– რა მოგივიდა, ბოშო, გუშინ, გაგიჟდი? რომ უყვიროდი, ვის უყვიროდი თუ იცი,. ახლა როგორ ფიქრობ, გაპატიებს ვინმე ამას?!

გამეხარდა. ჩემს წინაშე ისევ ის იულია პლატონოვნა დგას, რომელიც დღესვე ბებიას დამიბარებს და ხვალ ყველაფერი კარგად იქნება. მაგრამ პლატონოვნამ პასუხს არ დაუცადა. მაგიდასთან ნელა მივიდა და ჯგუფს მიმართა:

– ბავშვებო, თქვენ რუსული კარგად არ იცით. თქვენ ჯერ კიდევ ბევრი უნდა იმუშაოთ, ჰოდა, ახალ მასწავლებელთან რომ არ შემარცხვინოთ, ყოველდღე უნდა მოხვიდეთ ჩემთან. აწი სულ შინ ვიქნები და დროც ძალიან ბევრი მექნება. ეს განსაკუთრებით იმათ ეხებათ, ვისაც ყველაზე უფრო უჭირს. მეც ხშირად მოვალ სკოლაში. ვნახავ, რა ჭკვიანად იქნებით. ახლა ამოიღეთ ფურცლები და ჩემი მისამართი ჩაიწერეთ – „მესხიშვილის ქუჩა № 18. იულია სანებლიძე". ჩემი შვილი ტაშკენტშია თავის ცოლ-შვილით. მე მარტო ვცხოვრობ, ბავშვებო.

ისე დაირეკა, არ გაგვიგია.

იულია პლატონოვნამ ერთხელ კიდევ გადმოგვხედა და შეგვახსენა, ჩემთან ხომ ივლითო. ყველამ პირობა მივეცით. მერე გამოვემშვიდობეთ. ბიჭებმა ხელი ჩამოვართვით, გოგონებმა სათითაოდ გულში ჩაიკრეს მოხუცი მასწავლებელი და მანამ ჰკოცნიდნენ, სანამ თვითონაც არ ატირდნენ და პლატონოვნაც არ აატირეს.

...უხმოდ მივაცილებდით თმადათოვლილ პედაგოგს სამასწავლებლოსაკენ და გული გვწყდებოდა.

...მესამე გაკვეთილი ისტორიაა.

ვახტანგ სალდაძე ჩვეული სიმკაცრით შემოვიდა და, სანამ კარს მივხურავდით, ხმამაღლა გამომიცხადა:

– ჯღამაძე! დირექტორის განკარგულებით გაკვეთილზე არ ხარ დაშვებული.

არაფერი მითქვამს. გამოვედი და გაკვეთილების დამთავრებამდე ქუჩაში დავდიოდი.

***

კომკავშირის კომიტეტის ოთახის კარზე ლამაზად გაფორმებული კითხვარი ჰკიდია. კითხვარის ერთ მხარეზე ლოყაწითელი ბიჭია დახატული უშველებელი გლობუსით ხელში, მეორე მხარეს კი ბაფთიანი გოგონა იღიმება. გოგონას ცალ ხელში წიგნი უჭირავს, მხარზე წერაქვი გაუდევია და სადღაც, გაზეთის გარეთ იმზირება.

კარი შევაღე. მაგიდას კომიტეტის წევრები უსხედან და რაღაცაზე გულმოდგინედ ფიქრობენ თავიანთი მკაცრი, კომკავშირული ფიქრებით. აქვეა სკოლის დირექტორიც, ისტორიის მასწავლებელი ვახტანგ სალდაძე და ფიზკულტურის მასწავლებელი ოთარ ბრეგვაძეც. მაგიდის თავში /თუ ჩემგან იქითა ბოლო მაგიდას თავად ჩავთვლით/ დალი ზის.

ჩემი შემოსვლა არავის გაუგია. ამიტომ ნაბიჯი წინ გადავდგი და განაპირას მჯდომ კომიტეტის წევრს ვკითხე:

– შეიძლება?

სათვალიანმა დალის შეხედა, დალიმ დირექტორს, ხოლო დირექტორი მე მომიბრუნდა.

– გაბრძანდი გარეთ და დაგიძახებთ.

რა გაეწყობა. ველოდები დაძახებას და დროის გასაყვანად კითხვარს ჩავკირკიტებ. „მოგვწერეთ, მოგვწერეთ, მოგვწერეთ". გვევედრება კითხვარი და წვრილი ასოებით აწყობილ კითხვებს გვთავაზობს: 1. როგორ გესმის გამოთქმა: „სანიმუშო მოსწავლე"?, 2. ვინ არცხვენს შენი კლასის სახელს? 3. როგორ ეხმარები მოხუცებს და პატარებს? 4. რა აზრისა ხარ ქალ-ვაჟის მეგობრობაზე? 5. როგორ ატარებ თავისუფალ დროს?

ჩემს პირდაპირ ჭერზე მიდგმულ კიბეზე ორი ფეხი გამოჩნდა. ფეხები დიდხანს ეძებდნენ დასაყრდენს, მერე როგორც იქნა იპოვეს, სწრაფად დაეშვნენ საფეხურებზე და ვათას ფართო ყურები მაშინვე ვიცანი.

– ვათა!

ვათა შეშინდა. კიბეს ხელი უშვა და იატაკზე ბრაგვანი მოადინა. მაგრამ სწრაფად წამოხტა და უკანმოუხედავად გაიქცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– ვათა! – კიდევ დავუძახე.

ეტყობა, ენიშნა ჩემი ხმა. გაჩერდა და ერთბაშად შემოტრიალდა.

– შენ ხარ? – თქვა და წელათრევით ჩემკენ წამოვიდა.

– ჭერზე რა გინდოდა?

– არაფერი, ისე ავედი, ყოველდღე ავდივარ ჭერზე კი არა, სახურავზე.

– მართალი მითხარი.

– ჰო, დედას ვფიცავარ. საყურებლად ავდივარ.

– რას უყურებ მაინც?

– ყველაფერს: ქუჩებს, სახლებს, ადამიანებს... მოდიხარ სახლში?

– არა, – კარისკენ ვანიშნე, – ველოდები.

ვათამ ეჭვგარეულად გაიღიმა.

– უნდა გაგასამართლონ? რა დააშავე?

– მერე გიამბობ, წადი ახლა სახლში და ჩვენებს არაფერი უთხრა.

სათვალიანმა კარი გამოაღო და თითი დამიქნია.

შევედი და კუთხეში გავჩერდი.

– დავიწყოთ, – თქვა დირექტორმა ცოტა ხნის შემდეგ.

– ამხანაგებო, – დაიწყო დალიმ, – მე არ ვუყურებ დალის და ამიტომ ვერ გეტყვით, კითხულობს იგი თუ ზეპირად ლაპარაკობს და მე მიყურებს, – დღის წესრიგში ერთი საკითხი გვაქვს, ვაჟა ჯღამაძის პერსონალური საკითხი...

შემდეგ დალიმ ჩემს შესახებ ილაპარაკა. თქვა, რომ მე მთელ კლასში ყველაზე ჯიუტი და უდისციპლინო ბიჭი ვარ, თქვა, რომ ჩემი მშობლების პატრონი სხვებს მაგალითს უნდა ვაძლევდე, მე კი თურმე გაკვეთილებს ვაცდენ და ამ დროს ჩიტების დასაჭერად ხეებზე ავდივარ, ხოლო თუ ვესწრები გაკვეთილებს – ვაი იმ დასწრებას. თქვა, რომ საწარმოო სწავლებაზე არ ვცხადდები და ხშირად უსაქმოდ დავსეირნობ ქუჩაში, მერე რაც შეიძლება დაწვრილებით წარმოადგინა ჩემი გუშინდელი ისტორია. როგორც იქნა, დაამთავრა და კომიტეტის წევრებს სთხოვა, აზრი გამოეთქვათ.

– რა გიშლის ხელს? – მკითხა ოთარ ბრეგვაძის გვერდით მჯდომმა მეათეკლასელმა გოგონამ და გაწითლდა. მე ეს გოგონა ხშირად შემინიშნავს თვითშემოქმედების კონცერტებზე, ერთ და იმავე საღამოზე შეუძლია ლექსი წაიკითხოს, პროგრამა წაიყვანოს, იმღეროს, იცეკვოს და როიალზედაც დაუკრას ვარიაციები „ჩემო ტკბილო მეგობაროს“ მოტივებზე.

მე იმ გოგონას არაფერი არ ვუპასუხე. არც თვით გამოუჩენია დიდი ინტერესი ჩემი პასუხისადმი. მან უბრალოდ, შეკითხვა მომცა.

– რას ფიქრობ, საერთოდ, ასე გინდა იცხოვრო? – მკითხა ვახტანგ სალდაძემ და მაუდის წითელ ნაჭერზე, რომელიც მხოლოდ ნახევრად ყოფნის მაგიდას, თითები აათამაშა.

მე ვუთხარი, რომ ძალიან ბევრს ვფიქრობ ჩემს გუშინდელ საქციელზე და რომ შეცდომები ყველას აქვს.

– როგორ გაბედე, სტუმრისთვის უხეშად მიგემართა! – დაიქუხა ოთარ ბრეგვაძემ.

მეტი არაფერი მითქვამს. ვიდექი და მორჩილად ვუსმენდი საყვედურებს. ყველანი ძალიან ლამაზად ლაპარაკობდნენ და ზოგჯერ გავიფიქრებდი კიდეც, ეს რა ცუდი ბიჭი ვყოფილვარ-მეთქი. მაგრამ მაინც არ შემეძლო სხვანაირად მოქცევა. გაკვეთილებს ვაცდენდი ზოგჯერ, მაგრამ მხოლოდ იმ გაკვეთილებს, როცა ვიცოდი, რომ მასწავლებელი ახალი მასალის ახსნას არ აპირებდა. მე აღარ წავალ სამკერვალო ფაბრიკაში, რადგანაც ურიცხვი ლურჯზოლიანი პერანგის უთოობა სულ არ მიზიდავს, ხოლო გუშინ... მე თვით არ ვიცი, რატომ ვაწყენინე იმ პატივსაცემ კაცს.

სანამ ამას ვფიქრობდი, უკვე კომიტეტის დანარჩენმა ოთხმა წევრმაც თავის-თავის შესაძლებლობის ფარგლებში უარყოფითად დამახასიათა და, როცა დალიმ იკითხა, აზრს ვინ გამოთქვამსო, თითქმის ყველამ ერთდროულად ამოილაპარაკა:

– კომკავშირიდან გაირიცხოს და საკითხი გატანილ იქნას პედსაბჭოზე მისი კომკავშირიდან გარიცხვის შესახებ.

დალის კალმისტარი ხელიდან გაუვარდა. კალმისტარი იატაკზე გაგორდა და სათვალიანის სკამის ფეხთან დაეცა. მე და სათვალიანი ერთად დავიხარეთ კალმისტრის ასაღებად. სათვალიანმა დამასწრო და სწრაფად გადააწოდა. დალიმ სახე ხელებში ჩამალა და მაგიდას დააჩერდა.

ცოტა არ იყოს, შევშინდი. როგორ თქვეს? გაირიცხოსო?

აქამდე ყოველთვის მეგონა, რომ ყოველგვარი სხდომა სკოლაში ისე, აღსაზრდელად, შესაშინებლად და გასაფრთხილებლად ტარდებოდა და ახლა კი ასე მოულოდნელად გარიცხვასაც მიპირებენ? კი მაგრამ, მე ხომ ჩემდა უნებურად... იგი... ახალგაზრდა ინსპექტორი რაღაცნაირი უსიამოვნო ღიმილით მიცქერის და მეკითხება, როგორ, მეცხრეკლასელმა მოსწავლემ არ იცი, რა გსურს გამოხვიდეო, ხომ არ დაგავიწყდაო? მეთქვა – ინჟინერი, ექიმი, მასწავლებელი, მკერავი, დაშავდებოდა რამე ამით? როგორც ირკვევა, არაფერი. მე კი ჯიუტად ვდუმდი და არ ვიცი-მეთქი, ვპასუხობდი. ჩანს, მართლაც დასასჯელი ვყოფილვარ. მაგრამ გარიცხვა? ან ახლა რატომ ვარ ასე ჩუმად?

– არის წინადადება, გაირიცხოს კომკავშირიდან – თქვა დალიმ საოცრად მტირალა ხმით.

– ვინ არის მომხრე?

ამ დროს კარზე ფრთხილად დააკაკუნეს.

კარში გურამი გამოჩნდა და დალის მიმართა:

– შეიძლება?

– მობრძანდით.

– ნებას მომცემთ, დავესწრო სხდომას?

დალიმ დირექტორს შეხედა. გურამი ახლა

დირექტორს მიუბრუნდა.

– გაზეთიდან გახლავართ. ჯლამაძის საქმე მაინტერესებს.

– მობრძანდით, მაგრამ კომიტეტის სხდომა უკვე დამთავრდა. იცნობთ თქვენ ამ მოსწავლეს?

გურამმა შემომხედა.

– დიახ.

– კომიტეტის წევრები აზრს გამოთქვამენ, რომ კომკავშირიდან გაირიცხოს. იცით, რატომ ესჯით ასე სასტიკად?

გურამმა ისევ შემომხედა.

– ვიცი.

– რაკი ასეა – განაგრძო დირექტორმა, – დალი, კენჭი უყარეთ წინადადებას.

– მაპატიეთ, – შეაჩერა გურამმა, – ზოგი რამ მეც ვიცი ვაჟას შესახებ და იქნებ კომიტეტს ინფორმაციად გამოადგეს. იცით, თქვენ რატომ მიატოვა ვაჟამ სამკერვალო ფაბრიკაში საწარმოო გაკვეთილები?

– ვიცით, – თქვა დირექტორმა.

– იცით, რას აკეთებს ჯლამაძე, როცა ფაბრიკაში არ ცხადდება?

– არ ვიცით.

– ერთი წუთით, – გურამი დაიხარა და ჩანთიდან ფოტოსურათი ამოიღო. სურათს დავხედე და მაშინვე ვიცანი. ეს ხომ ამას წინათ გზის მშენებლობაზე გადაგვეიღო.

– აი, სად არის და რას აკეთებს...

სანამ სურათი ხელიდან ხელში გადადიოდა, მე ყელში რაღაც მომაწვა, ყურები გამიწითლდა, გულმა უცნაური ბაგაბუგი ასტეხა და დირექტორს ვთხოვე, ცოტა ხანს გავალ, წყალს დავლევ-მეთქი.

გარეთ გამოვედი და ცივ კედელს ლოყით მივეყრდენი.

მომეჩვენა, რომ გურამი დიდხანს, ძალიან დიდხანს ლაპარაკობდა, მერე კომიტეტის წევრები ისევ თავიდან ახმაურდნენ და, როცა დამიძახეს, ოთახში მსხდომთ საოცრად დაღლილი სახეები ჰქონდათ.

– არის წინადადება, ვაჟა ჯლამაძეს გამოეცხადოს საყვედური სააღრიცხვო ბარათში შეტანით, – ზეიმური კილოთი გამოაცხადა დალიმ.

გურამს გამარჯვებულის სახე ჰქონდა. მე კი თვალს ვერ ვუსწორებდი. მრცხვენოდა მისი.

***

– ესეც ასე, – თქვა გურამმა, როცა სკოლიდან გამოვედით, – ხომ ხედავ, კინაღამ გაგრიცხეს.

– კინაღამ... რაო, რა თქვეს, რომ გამოვედი?

– არ სჯერათ შენი.

– ვიცი.

– გაზეთის ჯიხურამდე მივედით, საღამოს გაზეთი ჯერ არ გამოსულა და უკან დავბრუნდით.

– გურამ, შენ ხომ მიცნობ, შენ ხომ იცი, – ამოვილუღლუღე და მე თვითონ არ ვიცოდი, რისი თქმა მინდოდა.

– აბა, რა გითხრა, ზოგჯერ მეჩვენება, რომ მართალი ხარ... მაგრამ, მე მგონია, მხოლოდ მეჩვენება.

– ისინი ყველაფერს მკარნახობენ. მაიძულებენ, სხვისი ცხოვრებით ვიცხოვრო. ყველაფერი წინასწარ დაგეგმილია. ხომ შეიძლება ერთი კაცი მაინც არ იყოს კომკავშირის აქტივისტი?!

– ისინი ჯერ გასწავლიან...

– აი, ჯგუფში ოცდახუთნი ვართ. ოცდახუთი სხვადასხვა ბიჭი და გოგო. ოცდახუთივე სამკერვალო ფაბრიკაში მოგვიყვანეს და გვაიძულებენ, ოცდახუთივეს ერთნაირად გვიყვარდეს, ერთნაირად გვძულდეს, ერთ მწყობრში ვიდგეთ და, რაც არ მოგვწონს, იმაზეც ვაშა-ურას ვყვიროდეთ.

– მაგით რა გინდოდა გეთქვა. სკოლაში ცხოვრებას როდი გასწავლიან. სკოლა მხოლოდ ცდილობს დაგიმტკიცოს, რომ არაფერი არ იცი და გზის არჩევაში დაგეხმაროს, მოგამზადოს ცხოვრების დასაწყებად.

– ჩვენ ცხოვრება უკვე დავიწყეთ, ჩვენ მალე თექვსმეტი წლის ვიქნებით.

– თექვსმეტი წელი ძალიან ცოტაა, ჯერ მზად არა ხართ.

– თუ დაველოდებით იმ წუთებს, როცა ყველაფერი მზად იქნება და ყველაფერი ასჯერ გაზომილი, ჩვენ ვერასოდეს ვერ დავიწყებთ.

– უნდა დაიწყო მაშინ, როცა საკუთარ თავზე უფრო ძლიერი და მართალი ხარ.

– განა თქვენ ყოველთვის მართალი ხართ საკუთარ თავთან?

– ვცდილობთ მაინც, ყოველ შემთხვევაში.

– გახსოვს ჩვენი პირველი შეხვედრა. შენ სკოლაში მიმყევი და იულია პლატონოვნას ბიძაჩემად, შორეული ცურვის კაპიტნად გამოეცხადე. იულია პლატონოვნამ კი განათლების ინსპექტორის წინაშე თურმე ცაში ამიყვანა. რატომ? განა თქვენ...

– მოიცა, მოიცა, ჩვენც ზოგ რამეში მართალი არა ვართ, მაგრამ შენი რუსულის მასწავლებელი დიდებული ქალია.

– მაშ რატომ მოხსნეს?

– ვინ გითხრა, რომ მოხსნეს? თვითონ გავიდა პენსიაზე და გამოსათხოვარი საღამოც მოუწყვეს.

– ჩემგან რა უნდათ, რა გავაკეთო მე?

– ყველა კაცი ზუსტად ისეთია, როგორიც უნდა იყოს.

– შენ გიკვირს რამე ჩემს ნამოქმედარში?

– არა, ვაჟა, გასაკვირს მხოლოდ გმირები და სულელები სჩადიან.

– მაშ, რად გაუკვირდათ, როცა გზის მშენებლობაზე ჩემი სამუშაოს შესახებ გაიგეს?

– არ გაკვირვებიათ, უბრალოდ, გაეხარდათ.

– ან გასახარელი რა იყო ამაში?

– ბევრი რამ.

– დალის რა ადვილი ჰგონია ყველაფერი. აი,

საკმარისია სადმე ხანძარი გაჩნდეს, მე ალმოდებულ სახლში შევვარდე და სავარძელი გადავარჩინო, რომ იგი მაშინვე გმირად გამომაცხადებს.

– და სწორადაც მოიქცევა.

– მე კი მგონია, რომ არ ღირს სავარძლისათვის ცეცხლში შევარდნა, თუნდაც ის სავარძელი ერეკლე მეფისა იყოს.

– მართალია, სიცოცხლე ყველაფერზე ძვირფასია, მაგრამ ზოგჯერ სიკვდილიც საშიში არ არის, უფრო საშიშია, რომ არაფრისთვის არ შეგიძლია მოკვდე.

– აი, შენ ჟურნალისტი ხარ; შენ რას იტყვი, თუ მე ხანძრიდან სავარძელს გამოვიტან და საკუთარ ხელს ცეცხლში დავტოვებ.

– როგორ გითხრა, გააჩნია...

– და თუ მე ამას ხელის დაუწვავად გავაკეთებ?

– სულ ერთია.

– არა, გურამ, სულ ერთი არ არის, მაშინ შენ უბრალოდ ყოჩაღ ბიჭებში მომიხსენიებ.

გურამი გაჩუმდა. ნეტავ ვიცოდე, რას ფიქრობს ახლა იგი.

– გურამ, – ისევ მე დავიწყე, – მითხარი რამე, გურამ. ყოველთვის მეგონა, რასაც ვაკეთებდი, სწორად ვაკეთებდი. მე ყოველთვის გული მკარნახობდა. თურმე სულ სხვანაირად გამოდის. აწი როგორ მოვიქცე. გავჩუმდე? როცა ინსპექტორი მთხოვს ვუთხრა ისეთი რამ, რომელიც მე თვითონ არ ვიცი?!

– შენს ასაკში გაჩუმება არ შეიძლება.

– აბა?

– იფიქრე, იფიქრე, უფრო მეტი იფიქრე. შენ ცუდს არაფერს გასწავლიან.

– და როცა ფიქრის დრო არ არის?

– ფიქრის დრო ყოველთვის არის.

– როგორ მინდა მჯეროდეს შენი, გურამ.

– ყოველთვის მეც ნუ დამიჯერებ. შენ საკუთარი სამყარო გაქვს, საკუთარი თავი საკუთარ მხრებზე.

***

მარტი დაიწყო.

დღეში სამჯერ დათქმულივით უნდა იწვიმოს.

ბებიაჩემი ყველაზე ადრე აღებს ფანჯარას და სკოლაში ჩემს წასვლამდე გაუჩერებლად ლაპარაკობს იმაზე, რომ დღესაც იწვიმებს და რეზინის ჩექმები უნდა ჩავიცვა, რომ უქუდობა, როცა იქნება, მაგრად გამაცივებს, რომ ძველი წელთაღრიცხვით ჯერ ისევ ზამთარია და პალტო ძალიან ადრე გავიხადე.

სკოლაში ყველაფერი ძველებურადაა. მასწავლებლები კვლავ გვაშინებენ გამოცდებით. დირექტორი ყოველდღე ამოწმებს გაკვეთილებზე დასწრებას, ფიზკულტურის მასწავლებელი ოთარ ბრეგვაძე წინა მეოთხედშიც ბაგირზე ცოცვას გვასწავლიდა, ხოლო თვითშემოქმედებითი კოლექტივის ხელმძღვანელი გოგია ძოწენიძე მოახლოებულ ოლიმპიადაზე ზრუნავს.

გაკვეთილებს აღარ ვაცდენ, მაგრამ, სამაგიეროდ, იმ გაკვეთილებზე, რომელიც უნდა გამეცდინა, მასწავლებელს აღარ ვუსმენ და სხვა რამეზე ვფიქრობ.

...ახლა თექვსმეტი წლისა ვარ. კიდევ რა დიდხანს უნდა ვიცხოვრო.

დღემ ძალიან მოიმატა. ახლა თავისუფლად ვასწრებ სკოლის შემდეგ ორი საათით გზის მშენებლობაზე მუშაობას, მერე ბურთის თამაშს დომენტის ჩამონაჭერ ეზოში და საღამოს გურამთან წასვლას.

სამკერვალო ფაბრიკაში არ დავდივარ. არც არავინ მთხოვს. ახალი გზა უკვე უახლოვდება სტადიონს. კარგა ხანია, ჩვენს სახლებს ჩავუარეთ. ჩამოჭრილი მიწიდან სამი წლის ნიგვზის ხე გადმოვრგე სახლის უკან და კვირტები არ დაიყარა. ეტყობა გახმა. სოკრატის სახელოსნოც დაანგრიეს და მის ნაცვლად მაღალი, მინებიანი ახალი ფარდული მოუტანეს და სახლიდან ცოტა მოშორებით, მოსახვევთან დაუდგეს. სოკრატმა ვიღაცას აბრები დაახატვინა და სამ ადგილას გააკრა. აბრაზე სახელოსნოს მიმართულების მაჩვენებელი ისარია და წარწერა „ფეხსაცმელების შეკეთება“. აბრის მარჯვენა მხარეს დაღრეჯილი, ლანჩაამძვრალი ფეხსაცმელი ხატია, მარცხენა მხარეს კი იგივე ფეხსაცმელი – შეკეთებული და გალამაზებული. ვათა იანვრის შუა რიცხვებიდან მამამისმა სკოლა-ინტერნატში გადაიყვანა. ინტერნატი ქალაქიდან საკმაოდ შორსაა. ვათა ყოველ კვირადღეს ჩამოდის და ეზოში ჭკვიანურად დააბიჯებს. ვათას ინტერნატის ნაცრისფერი ფორმა აცვია და, როცა ძია სოკრატს ესაუბრება, თვალს ვერ უსწორებს. ინტერნატში მშობლებს არ იბარებენ და სოკრატს ჰგონია, ვათა ყველაზე უკეთესად სწავლობს.

გურამს თითქმის ყოველდღე ვხვდები. იგი ხანდახან წერს და მე ძველ ჟურნალებს ვათვალიერებ. ხანდახან მე ვწერ დავალებას და გურამი ათვალიერებს ჟურნალებს. როცა ვიღლებით, ქუჩაში გამოვდივართ და საკონსერვო ქარხნის კლუბში კინოს ვესწრებით.

სკოლის დირექტორი შეურიგდა იმ აზრს, რომ მე ყველაზე ძნელად აღსაზრდელი, ჯიუტი და თავნება ბიჭი ვარ, ამიტომაც ფანჯრის ჩატეხვაში და კედლის გაზეთის უკვალოდ გაქრობაში ეჭვმიტანილ მოსწავლეთა შორის პირველ რიგში ყოველთვის მე მასახელებს.

როცა გურამს ამეებს ვუამბობ, იგი მხარზე ხელს დამარტყამს და მეტყვის.

– გული არ დაგწყდეს. შენ შენი გზა გაქვს, ახალი და ფართო გზა, რომელიც შენ თვითონ უნდა გაიყვანო ბოლომდე.

– სტადიონამდე რომ ცოტა დარჩა? გზას ხომ მალე დავამთავრებთ?

– არა, ვაჟა, გზები არსად არ თავდებიან. შენ ჯერ კიდევ ბევრი სამუშაო გაქვს იმ დიდ არენამდე,

ეროვნული ბიბლიოთეკა 

რომელსაც ცხოვრების სტადიონი ჰქვია.

...და გურამი რაიმეს მიამბობს. მე ყურადღებით ვუსმენ და ვცდილობ, ყველაფერი დავიმახსოვრო. ზოგჯერ ძნელია, ყველაფერი გაუგო ამ კაცს.

***

საღამოა. წვიმას აპირებს და ცივი ქარი უბერავს.

ახალ ქუჩაზე თავისუფლად დაშლიგინობს იგი და ჭიშკრებს ქვიშას ახვეტავს.

ფანჯრიდან მოჩანს დომენტის სახლის სამკუთხა სახურავი და გადახრილი მეხამრიდი.

სახლში მარტო ვარ და არ ვიცი, რა ვაკეთო... მერე ქარი ერთბაშად ჩადგა, წვიმამ ფანჯრის მინას მიუკაკუნა. დაიწყებს ახლა და არ გადაიღებს.

ყურშა ფარდულიდან გამოვარდა და ღრენით გაიქცა ჭიშკრისაკენ. ვიღაც ჩემს სახელს იძახის. ლაბადა მოვიხურე. გარეთ გამოვედი.

ჭიშკართან იულია პლატონოვნა დგას.

- გააღე, ბიჭო!

ჭიშკარი გავაღე და რუსულის მასწავლებელი შინ შევიპატიჟე.

ოთახში შესვლისას გაბარდინის შავი მოსასხამი მომაწოდა.

მოსასხამი საკმაოდ სველია.

იულია პლატონოვნა ღუმელს მიუჯდა და თავშალი მოიძრო.

- დავსველდი, გზაზე მომისწრო წვიმამ.

მე ხმას არ ვიღებ. მრცხვენია საუბრის დაწყებისა. ორი თვეა არ მინახავს და ამ ორ თვეში როგორ გამოცვლილა... ზის პლატონოვნა ღუმელთან და სველ ხალათს იშრობს. ჩვენი მრისხანე მასწავლებელი. ახლა იგი თავთეთრა მოხუცი, ბებიაჩემზე უფრო უბრალო და მორჩილი ქალია.

- არ გაცივდეთ, იულია მასწავლებელო.

იულია მასწავლებელი არაფერს ამბობს. უცებ თითქოს რაღაც გაახსენდაო.

- როგორ გაქვს საქმე რუსულში?

- ძველებურად.

- მიეჩვიეთ ახალ მასწავლებელს?

- რა ვიცი.

- ჰო... ახალგაზრდაა, არა უშავს, თანდათანობით გათამამდება. ახლა, უცებ კი ვერ ჩაატარებს ჩემისთანა გაკვეთილებს. რაზე ხართ გრამატიკაში?

- მგონი ზმნას ვამთავრებთ.

ცოტა ხანს ისევ გავჩუმდით. მე აივნიდან შეშა გამოვიტანე და ღუმელს შევუკეთე.

- რატომ არ დადიხართ, ბიჭო, ჩემთან? - ისევ დაარღვია სიჩუმე იულია პლატონოვნამ.

რა უნდა ვუპასუხო. გავჩუმდე ჯობია.

- აღარ გინდათ დახმარება?!

- როგორ არ გვინდა, მასწავლებელო, სხვებიც არ დადიან?- დალი მოდიოდა მხოლოდ, ლაღიძე, ხუთი დღეა, ისიც არ მოსულა. შენ ხარ რუსულში ყველაზე სუსტი. შენ გჭირდება, რაც გჭირდება. არ გესმის შენ?!

- მესმის, პატივცემულო.

- ჰოდა, უნდა მოხვიდე. მე ახლა შენი გულისთვის კი არ მოვსულვარ. წვიმამ მომისწრო და შევეფარე.

- ვიცი, მასწავლებელო.

- ჰოდა... ის კიდევ. შენ იცი? სად ცხოვრობენ ხახალეიშვილი, გუბელაძე, ბეშკენიძე, გვანცელაძე და შვანგირაძე?

- ვიცი.

- აბა, ჩაიცვი და მიმყევი ყველასთან.

საწვიმარი ჩავიცვი და უხმოდ გავყევი.

***

ღამის ათი საათია. წვიმს.

დაღლილები მივყვებით უკან იულია მასწავლებელს დალი, მე, ხახალეიშვილი, გუბელაძე, ბეშკენაძე, გვანცელაძე და შვანგირაძე.

იულია მასწავლებელი ხშირ-ხშირად მოიხედავს და გვათვალიერებს, ვინმე ხომ არ გამეპარაო. იგი ფეხებამდე დასველებული და გასავათებულია.

...გვიან ღამემდე დავრჩით მასთან.

...იგი სათითაოდ გვიხსნიდა, გაკვეთილს, გვტუქსავდა, გვაწყნარებდა. საოცრად მხიარული და ენერგიული ჩანდა.

მე იმ დღეს არც ერთი რუსული სიტყვა არ მისწავლია. მე კუთხეში ვიჯექი და არავის არ ვუსმენდი. შევყურებდი ბებერი მასწავლებლის მოხრილ ბეჭებს და ტირილი მინდოდა. როგორ უხაროდა, როგორ ამაყობდა, როგორ ვჭირდებოდით ჩვენ მას - უყურადღებო მოსწავლეები უჟურნალოდ დარჩენილ მასწავლებელს.

***

მესამე დღეა იულია მასწავლებელი ავადაა.

მესამე დღეა მთელი ჩვენი ჯგუფი მორიგეობს ავადმყოფის სასთუმალთან.

ექიმი ამბობს, გრიპი აქვს, მაგრამ საშიში არაფერიაო. ნეტავ სად გაცივდა ამ ადრიან გაზაფხულზეო? უკვირს ექიმს. იულია პლატონოვნაც კვერს უკრავს. არსად არ დავდივარ, სულ სახლში ვზივარ და მართლაც რამ გამაცივაო. მხოლოდ ჩვენ - მე, დალიმ, გუბელაძემ, ბეშკენაძემ, ხახალეიშვილმა, გვანცელაძემ და შვანგირაძემ ვიცით, სად და როგორ გაცივდა რუსულის მასწავლებელი. როცა მას საღამოობით ტემპერატურა აუწევს, ოთახში ადგილს ვერ ვპოულობთ, აივანზე გამოვდივართ და ჩუმად, ძალიან ჩუმად შევყურებთ ერთმანეთს.

ექიმი ამბობს, საშიში არაფერიაო.

***

...მერე ექიმი დალის მხარზე ადებს ხელს და

ამბობს:

– წადით შინ, ბავშვებო, უკვე გვიანაა.

– როგორ არის? – თითქმის ერთდროულად ვკითხულობთ ყველანი.

– მე მგონი, ხვალ კარგად იქნება.

მე მგონი...

დალი თვალებში ჩასულ თმებს ისწორებს. თეთრ ხალათზე მოსასხამს იხურავს და ჩემთან მოდის.

– გამაცილე.

– დალის ქუჩაზე სიწყნარეა.

– ჩვენი ბრალია, – ამბობს იგი.

– ჰო.

– კი, მაგრამ ჩვენ ხომ არ ვიცოდით,... არ ვიცოდით.

– ჩვენ არაფერი არ ვიცით.

– კარგად იქნება?

– არა, ვაჟა, იულია მასწავლებელი არასოდეს აღარ იქნება კარგად. ექიმი მხოლოდ გვამშვიდებს, ექიმმა ყველაფერი იცის.

– არა, ყველაფერი არ იცის ექიმმა.

– ჩვენ ყოველდღე მივალთ მასთან, ხომ მივალთ, ვაჟა?

– მივალთ, ყოველთვის, ძალიან დიდები რომ გავიზრდებით, მაშინაც, მოსწავლეები რომ აღარ ვიქნებით, მაშინაც მივალთ, დალი.

– ვაჟა!

– აი მოვედით, მეტი არაფერი არა თქვა, ჩუმად იყავი, დალი.

– ნახვამდის.

– ნახვამდის.

***

მოვრბივარ ფართო და ახალ ქუჩაზე:

ახალ ქუჩაზე დიდი ღამეა, ახალ ქუჩაზე სახლები შორიშორს დგანან. ძველი ქუჩა მარტო ჩვენ გვეკუთვნოდა, – მეზობლებს. ჩვენს ქუჩაზე უცნობი ათასში ერთხელ თუ გაივლიდა. ახალ ქუჩაზე კი ძალიან ფართო ღამეა და სახლები შორიშორს დგანან.

ჭიშკართან ვათა მელოდება.

– ჩამოხვედი?

– ჰო, ხვალ კვირაა.

– გავაბოლოთ?

– ჰო.

– თუნუქის კოლოფში კიდევ გვაქვს?

– იქნება, რაც შენ წახვედი, არ მომიწევია.

– მოიცა.

– ა?

– იქ ვიღაც ზის.

სიბნელეში ციცინათელასავით კიაფობს, ადის და ჩამოდის ანთებული პაპიროსი.

ვალიკოს მერხზე მართლაც ზის ვიღაც და ჩვენ უკან ვბრუნდებით.

...მერე ერთბაშად ვამჩნევთ, რომ ვალიკოს ერთოთახიან ხის სახლში დღეს პირველად ანთია სინათლე.

1959 წ. ქუთაისი



ეროვნული ბიბლიოთეკა

# თამარ შაიშმელაშვილი

თამარ შაიშმელაშვილი... მსიამოვნებს, რომ „ცისკრის" ფურცლებზე შემიძლია წარვუდგინო პოეზიის მოყვარულებს ახალი პოეტი-ქალის სახელი. /თუმცა, მთლად ახალი არ არის, თამრიკოს ლექსები ადრეც იბეჭდებოდა და შარშან პატარა კრებულიც გამოქვეყნდა „სიზმარში ცხადი"/.

თამრიკო პროფესიით ჟურნალისტია, გაზეთ „თბილისის" რედაქციის თანამშრომელი. იგი შესანიშნავად ფლობს მშობლიურ ენას, განათლებულია და რაც მთავარია, ყურადღებიანია ჩვენი ძნელბედითი ცხოვრების მრავალფეროვანი მოვლენების მიმართ, რაც ესოდენ აუცილებელია არა მარტო ჟურნალისტისთვის. მისი საქმიანობა ჟურნალისტიკის დარგში - იმ სწავლა-განათლების შედეგია, რაც ახალგაზრდამ უმაღლესი სასწავლებლის კედლებში შეიძინა. რაც შეეხება პოეზიას... გავიხსენოთ დიდი გალაკტიონის სიტყვები: „ნიჭი, ძამიკო... ნიჭი! თამარ შაიშმელაშვილის ლექსებიც სწორედ ამ თანდაყოლილი „ნიჭის" გამოვლინებაა! ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ ქალიშვილის ნერვებს, რომლებიც ადამიანის ორგანიზმში სასიცოცხლო ფუნქციას ასრულებენ, მუსიკალური საკრავის სიმების თვისებაც მიანიჭა მამაზეციერმა...

თამრიკოს ლექსები /იაპონური და ჩინური პოეზიის ნიმუშების მსგავსად/ მოკლეა და შთამბეჭდავი. ეს მათი დიდი ღირსებაცაა და... ნაკლიც! „ნაკლი" იმიტომ, რომ ავტორი თავისი ბუნებით უაღრესად მოკრძალებული პიროვნებაა და ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს მას არ სურს მეტისმეტად „შეაწუხოს" მკითხველი მრავალსიტყვაობით, თვითონვე, „თავისი ხელით", ყელიდან ამოსულ მელოდიას „ჰგუდავს", ყოველივე ზედმეტს /მისი აზრით, „ზედმეტს"!/ აშორებს და მხოლოდ „მთავარს" ტოვებს... ნუ გეშინია, თამარ! შენი ბუნების პატრონი „მეტისმეტად მჭევრმეტყველი" არასდროს იქნები! „ყბედობა" და „ლაქლაქი" შენი სტიქია არაა! შენი პოეტური „მუზა" თავმდაბალ და მოკრძალებულ ქალიშვილად მესახება და მე ვფიქრობ, ამ ბუნებას იგი დიდხანს შეინარჩუნებს, სიცოცხლის ბოლომდე გაყვება! ამიტომ, სიტყვასთან ურთიერთობაში მეტი გაბედულება მინდა გირჩიო, მეტი სითამამე და, შენ წარმოიდგინე... თავხედობაც! /დამერწმუნე, პოეზიას უყვარს ასეთი რამეები!/.

სხვა რა ვუსურვო თამრიკო შაიშმელაშვილს? პოეტობას არ ასწავლიან. ნიჭი /მაპატიონ მგოსნებმა ეს უხეში შედარება!/ - ფულივითაა, იგი ან გაქვს, ან არ გაქვს! თუ გაქვს, ნიჭი დროთა ვითარებაში იხვეწება, ამას თვითონ ცხოვრება აკეთებს მთელი თავისი მრავალფეროვნებით: სიხარულით, ტანჯვით, მოულოდნელობით... მე მინდა თამარ შაიშმელაშვილს მხოლოდ საინტერესო ცხოვრების გზა ვუსურვო ქართულ პოეზიაში.

*მიხეილ ქვლივიძე*
*2.X.98*

## ჩარგალში

ვერ დავემალე
წვიმას ჩარგალში,
მკაცრი ყოფილა
უფლის თემიდა

და როგორც კრავი -
შესაწირავი
ჩამოდიოდა
ნისლი
მთებიდან!..

## ჩემი ვარსკვლავი

ჩამიქრა ბედის
ვარსკვლავი,
ვედრებად შევრჩი
ველებსა...
მოვა სიკვდილი -
მხატვარი,
მიმათვლის თავის
ფერებსა!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

როგორ მოდის
ფიქრები შენზე -
თითქოს ვარსკვლავთცვენა
იწყება
სულში!



* * *

პირველი თოვლი,
როგორც პირბადე,
თეთრი იებით
მოქსოვა ზეცამ
და ქალაქს
ნაზად ჩამოაფარა...

* * *

მატარებლები ისევ მიდიან,
ოცნებებით და ჭრელი დარდებით...
ჩემო ლამაზო სევდის ნიბლია,
შენც ხომ სიყვარულს არ დამზარდები?..

ხომ მომიქარგავ ფერად პაჭიჭებს,
მადლის წყაროზე მომიკლავ წყურვილს...
როგორც ზამთარში შაშვის სიმღერა,
შემეშველები დამზრალს და... ურვილს.

## მონატრება

ჩემს სიჩუმეში -
ცრემლებით სავსე
უძირო ჭაში
იზრდება მთვარე -
შენი სულის გამონაშუქი...

## ლურჯ მონასტერთან

ღამემ გამწირა ფიქრით მთოველი
და ჩემი სული მძევლად წაიღო,
უფლის სასწაულს ისევ მოველი,
თუგინდ ეს ლოცვაც ყურად არ იღონ,
თუნდაც დაიქცეს კოშკი მომავლის,
მწუხრმა დაბინდოს ჩვენი გზაშარა...
მთვარე მოფრინდა, როგორც ხომალდი
და იალქნებად ნისლი გაშალა...

# შალვა შენგელი

## ხმოვანი ეტიუდი „საკანი“

ოთხ კედელში მომწყვდეული მდუმარება საკეტის ხმაურმა გაკვეთა, საკნის კარი მძიმედ გაიღო და მის ღრჭიალს უკუნ სიბნელეში სინათლის სხივი შემოჰყვა. კუთხეში მიყუჟულმა პატიმარმა არაფრისმთქმელი თვალები მიაპყრო კარს, საიდანაც ზედამხედველის ხრინწიანი ხმა შემოისმა:

- ახალ წელს გილოცავთ, ბედნიერებას და... ამქვეყნად დარჩენას გისურვებთ!

ღია კარში ხელი გამოჩნდა და კანფეტები შემოყარა, თოკით შეკრული მუყაოს კოლოფი კი ფეხმა შემოაცურა.

- რა ნაწილ-ნაწილ შემოდიხარ, შემო რაღა, ნუ გერიდება, სტუმარი ღვთისაა! - მასპინძლობა სცადა პატიმარმა.

პასუხად რკინის კარი ახმაურდა და სინათლეც გაიყოლა. სიბნელეში ნაბიჯების ხმა გაისმა, მალე გვერდითი საკნის კარი ამეტყველდა:

- ახალ წელს გილოცავთ, ბედნიერებას და ამქვეყნად დარჩენას გისურვებთ!

მოულოდნელად სინათლე აინთო, ნარის კიდეზე მჯდარმა პატიმარმა გაკვირვებით ახედა ნათურას. აქ, როგორც წესი, საღამოს თერთმეტ საათზე შუქი ქრებოდა.

- ესეც, ალბათ, საახალწლო საჩუქარია, - გაიფიქრა და ნელა წამოიმართა.

ბეტონის იატაკზე, სადაც ხშირად გონწასულს დააგდებდნენ ხოლმე, ახლა ფოჩიანი კანფეტები ეყარა, შუაში კი თოკით შეკრული მუყაოს კოლოფი იდო. იგი ფრთხილად მიუახლოვდა საკნისთვის უცხო ატრიბუტებს და უაზროდ დააშტერდა... უცბად ჰაერში შეხტა, ფეხები ერთმანეთს მიარტყა, თითქოს საბალეტო ილეთს ასრულებსო. გვერდითი საკნიდან კაკუნის ხმა შემოესმა. - ძმაო, მოგილოცეს ახალი წელი?

- საჩუქრები არ დამაყარეს, რო! - სიკვდილმისჯილმა კანფეტს ფეხი დაადგა.

- აბა რა გეგონა, ძმაო, აქ ახალ წელს გილოცავენ, ეგეთი ჰუმანური წესი აქვთ. ისე, წელს რაღაც ადრე მოუვიდათ, ჯერ კიდევ წუთებია დარჩენილი.

- ჯერ კიდევ წუთებია დარჩენილი, - ჩუმად გაიმეორა სიკვდილმისჯილმა და კედელს გასძახა:

- ჰუმანური და კაცთმოყვარე ბაბუაჩემის ძაღლიც იყო, ყველა გამვლელ-გამომვლელს ლოკავდა... და თუ იცი, სად? ზუსტად იმ ადგილას, სადაც კბენდა ხოლმე.

- აი, შენ რომ შარშან ახალ წელს აქ ყოფილიყავი...

- შარშან აქ რა მინდოდა ან წელს რა მინდა! - სიტყვა შეაწყვეტინა სიკვდილმისჯილმა, თან კანფეტებს სრესდა საგულდაგულოდ, ბოლო კანფეტთან შეყოვნდა. აღარ დაადგა ფეხი, ჩაიმუხლა და გასრესილ-გაწებილი კანფეტების აკრეფა დაიწყო, თან მუყაოს კოლოფს თვალს არ აცილებდა.

- აქ სტაჟიანი კაცი ხარ და გეცოდინება - მუყაოს კოლოფში რა დევს?

- რაში? - მოისმა კედლის იქიდან.

- მუ-ყა-ოს კო-ლოფ-ში... - დამარცვლით და ხმამაღლა წარმოთქვა სიკვდილმისჯილმა.

- აბა, მე რა ვიცი, გახსენი და ნახავ, თუ ძმა ხარ, ფრთხილად, ნაღმი არ იყოს, არ აგვაფეთქონ ამ ნაბიჭვრებმა.

სიკვდილმისჯილმა კანფეტები ჯიბეში ჩაიყარა, თოკით უცნაურად შეკრული მუყაოს კოლოფი ფრთხილად დადგა მაგიდაზე და ასევე ფრთხილად გახსნა...

- ტორტი ყოფილა, - გაოცებულმა გასძახა კედელს.

- ტორტი? ყველას კანფეტები და შენ ტორტი, რაღაც პაჩოტში ჰყავხარ, რაშია საქმე, ჰა? - ახარხარდა კედელი.

სიკვდილმისჯილმა აქეთ-იქით გაიხედა, კარგად ნაცნობი საკანი, ვინ იცის, მერამდენედ მოათვალიერა, რამდენჯერმე ღრმად შეისუნთქა ჰაერი და ტორტისკენ დაიხარა... დამცინავად გაიღიმა: - „ნავთი დაუსხამთ ამ ღურაკებს, გესმის?! ნავთიანია“, - სიკვდილმისჯილი ძირს დაგდებულ თოკს დააკვირდა.

- ე, შენ რომელი ტორტის გიჟი გნახეს, სულ გამოშტერდნენ ეს შობელძაღლები, ჩემი პროკურორის არ იყოს.

სიკვდილმისჯილი თოკს დასწვდა, ერთი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბოლოთი მაღლა ასწია. თოკი ჩამოიშალა. უცბად სახე გაეყინა, ადგილზე გახევდა, ხელში ჩამოსახრჩობად გამზადებული ყულფი შერჩა... თოკი კუთხეში მოისროლა და დაიღრიალა...

– რა მოხდა? - მოისმა კედლის იქიდან.

სიკვდილმისჯილი ხელმეორედ შეხტა ჰაერში, ფეხები ერთმანეთს მიარტყა, შემდეგ ხელებითაც გააკეთა მსგავსი მოძრაობა.

– რა მოხდა? - უფრო ხმამაღლა გაისმა კითხვა.

– ტერორისტობა ხომ დამაბრალეს, ახლა ჩემი მოშორება უნდათ, არც იოცნებონ! - დაიღრიალა სიკვდილმისჯილმა.

– ეჰ, შენ ისეთი ტერორისტი ხარ, ძმაო, როგორც მე ოკლაჰომას გუბერნატორი. იმ პროკურორის დედა ვატირე, ვინც შენ პრიმა მუხლით გაგასამართლა, ისე, გუბერნატორი რომ ვიყო, სიკვდილით დასჯას გავაუქმებდი.

სიკვდილმისჯილმა თოკი აიღო და ბეტონჩანგრეული ჭერის შიშვლად დარჩენილ არმატურაზე ჩამოჰკიდა, თოკი ჩამოვარდა, აიღო და ისევ დაამაგრა. გაჭყლეტას გადარჩენილი კანფეტი გახსნა, პირში ჩაიდო და ნარის ბოლოში მიჯდა, სადაც ყულფის ჩრდილი მოიხაზა. „იქნებ მართლა მოგვისწროს სიკვდილით დასჯის გაუქმებამ?“ – უაზროდ იკითხა“, გასრესილი ნუგბარი მოისროლა და ყულფში გააძვრინა.

– არ მოგვისწრებს და იმის დედაც ვატირე, ორი წელია ყოველ დილით სიკვდილს ველოდები, საღამოთი კი სიკვდილით დასჯის გაუქმების ამბავს და უკვე სულერთია, რომელი მეახლება პირველი.

სიკვდილმისჯილი გაჭყლეტილ კანფეტებს ისროდა და ყულფში აძვრენდა.

– მე სიმართლეს ველოდები, ღმერთმა იცის, რომ მართალი ვარ.

მერე თანდათანობით აზარტში შევიდა, კანფეტები აკრიფა და ყულფთან უჩვეულო თამაში განაგრძო; ნერვიულობდა, კანფეტები მიზანს სცდებოდა... თითებზე ეწებებოდა. ხელი აღარ ემორჩილებოდა. აფორიაქდა, თითქოს კანფეტებიც შიშმა შეიპყრო, ყულფს გვერდს უვლიდნენ...

სიკვდილმისჯილი წამოდგა, დაკიდულ თოკს მიუახლოვდა, გაწეპილი ხელები შეაწმინდა და კანფეტები სათითაოდ ყულფში გააძვრინა. კმაყოფილების ღიმილმა ბაგე გაუპო, ჰაერში შეხტა და ფეხები ერთმანეთს მიარტყა, ხელებითაც მსგავსი მოძრაობა შეასრულა და უცნაური ხმა აღმოხდა... ყულფს შეხედა, პირიდან ნაწუწნი კანფეტი გამოიღო, დაუმიზნა, ცოტა ხანი გაშეშებული იდგა, მერე კანფეტი ისევ პირში ჩაიდო, ტაბურეტი გამოსწია, ზედ სხარტად შედგა, სახე ყულფთან მიიტანა, ღრმად ჩაისუნთქა და კანფეტი ყულფში ჩააფურთხა... კმაყოფილი იერით რკინის კარისკენ გაიხედა, ჩამოსვლა დააპირა, ოდნავ შეყოვნდა, სახე კვლავ ყულფს გაუსწორა, უჩვეულო თამაში ზღვარს სცილდებოდა, ხელები განზე გასწია და ნელ-ნელა თავი მარყუჟში გაყო. სახეზე ღიმილის კვალიც არ ეტყობოდა, თუმცა გამარჯვებულის იერი კიდევ დაჰკრავდა. საკანი მოათვალიერა და ყულფიდან თავი ნელა გაითავისუფლა, ხელები ჩამოუშვა, სკამიდან ჩამოსვლას არ აპირებდა, შარვალი დაიფერთხა, კვლავ ყულფისკენ მიიწია, ხელები განზე გაშალა, თითქოს გასაფრენად ემზადებოდა...

ყულფში შეშლილი თვალები გამოჩნდა... საკანში შუქი გამოირთო, უკუნ სიბნელეში უცნაური ხმაური გაისმა, ამ ხმამ საკნები შემოიარა და ბეტონის კედლებიდან გამოსულ ექოდ უკან დაბრუნდა.

– რა მოხდა - იკითხა კედელმა, არავინ უპასუხა. სადღაც შორს საათმა ჩამორეკა და ქალაქიდან ფოიერვერკის და სროლების ხმამ მოაღწია.

კედლის იქიდან მშვიდი ხმა მოისმა:

– ძმაო, ახალ წელს გილოცავ, ამ წელიწადს შენთვის სიმართლეს მოეკითხოს!

## კუკური ბატონი

საშინელმა ტკივილმა გააღვიძა კუკური ბატონი. უცნაური რამ ესიზმრა: თითქოს გულივერი იყო და ჰალსტუხიანი ჭინკების თავშეყრას ესწრებოდა.

სამკუთხა ფორმის მშვენიერ შენობაში, რომელსაც რატომღაც პირველი სართული არ ჰქონდა და ჰაერში იყო გამოკიდებული, ჰალსტუხიანი ჭინკები ფაციფუცობდნენ. იქვე, შორიახლოს, ფერდობის კიდეზე კი უჰალსტუხო ჭინკები დაპეტელებდნენ. ალბათ, უსასრულოდ ასე გაგრძელდებოდა, გულივერს სიზმარში გავლა რომ არ მოსურვებოდა, ჰოდა, გაგულივერებულმა კუკური ბატონმა ერთი ფეხი შემთხვევით პირამიდის მსგავს შენობას გაკრა, მეორე კი ცხერებივით გაბნეულ ჭინკებს /ასევე შემთხვევით/ და სწორედ მაშინ დატრიალდა საშინე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლება: უჰალსტუხო ჭინკები ბარძაყებში შეუძვრნენ, პირამიდიდან გადმოცვენილი ჰალსტუხიანები კი ფეხებზე აალოცდნენ და, უჰალსტუხოების მოსაშთობად, გულივერს ბარძაყებზე მარწუხები მოუჭირეს, შიგნით მოქცეულებმა რკინის მავთულს კბილებით დაღრღნა დაუწყეს... ამ ტკივილმა გამოაფხიზლა კუკური ბატონი, თუმცა გამოფხიზლება ზუსტად არ გამოხატავს მის მდგომარეობას, რამეთუ რამდენიმე დღის ნალოთ-ნაქეიფარი კაცი ბოლომდე კიდევ არ იყო გამოსული ბახუსის საუფლოდან. ძლივს დააცილა დასივებული ქუთუთოები ერთმანეთს. თვალი მოავლო მდიდრულად მოწყობილ საძინებელ ოთახს და დამშვიდდა: შინ დაიგულა თავი! ტკივილმაც ცოტა მოუშვა მარწუხები, საწოლიდან წამოიწია და... ჰოი, საოცრებავ! ჰოი, საშინელებავ!... ფეხები აღარ ჰქონდა: „ჩემი ფეხები!“ - ჩუმად წაილუღლუღა და გონება დაკარგა.

საღამო ხანს გონს მოვიდა, გამოფხიზლდა, თავიდან ყველაფერი სიზმარი ეგონა, წამოჯდომა სცადა, მაგრამ... ვერ დაჯდა, ჩუსტებს სინანულით გახედა, ცუდად ჰქონდა საქმე კუკური ბატონს, - ერთ-ერთი რეგიონის ქონების მართვის სამსახურის უფროსს. გონი მოავლო ვისკით გაქლენთილ წუხანდელ ღამეს, ეტყობა, მეხსიერება გვარიანად დალაქავებულიყო ზედმეტი სასმელით, შიგადაშიგ გაახსენდა რაღაც: კაბინეტი, ტენდერი, ვისკით სავსე ყანწი, მთხოვნელები, პროტექეები, - კვლავ ტენდერში გამარჯვებულები, ფიანდაზად გაგებული მოადგილეები, კაბინეტში შემოსული შინაურები, ფულით გაძეძგილი „დიპლომატი“, ქალები, დოლარები, პრივატიზაცია, ტენდერი, კვლავ პრივატიზაცია... აქ გონება გაუნათდა კუკური ბატონს, დაიღრიალა და ზეზე წამოხტა. მაგრამ გაახსენდა, რომ ფეხები არ ჰქონდა და... იქვე დაეცა. მერე სრულად აღიდგინა გუშინდელი დღე. დილით სარფიანი პრივატიზაცია გაუკეთა ყველ-კარაქის კომბინატს და დიპლომატიანი შინაური კაციც მიიღო კაბინეტში. ნასადილევს ტენდერში გამარჯვებულზე 120 შაურად გაასხვისა სამთავრობო აგარაკები, შეზარხოშებულზე მომგებიანად, სულ რაღაც 545 შაურად გაყიდა მწვანეში ჩაფლული ქალაქის ნაწილი, მერე კი რესტორნები გამოიცვალეს მან და შინაურებმა... ჰოი, კაცთა მოდგმავ! ჰოი, დემოკრატიავ! მთვრალმა კუკურიმ ასტრონომიულ თანხებში ფეხები მიაპრივატიზა „აუ ვაიმ ვოთერ ტო ქომფანის“ ასევე მთვრალ გენერალურ დირექტორს.

... შეცბუნებულმა უცბად ხელები მოიფათურა ერთ ადგილას და დაწყნარდა, დანაკარგი არც ისე დიდი იყო - ასეთ დროს ხშირად ამბობდა ხოლმე, ამ ჩემს ფეხებსო, მაგრამ ამჯერად ენა ვერ მოუტრიალდა ამის სათქმელად.

საღამოს კუკური ბატონი, ხის ფეხებზე იდაყვებით დაყრდნობილი, საკუთარი ფეხების საძებნელად გაეშურა... მას შემდეგ რამდენიმე წელმა განვლო, იგი აღარავის უნახავს. მეზობლები ამბობენ, ფეხები დაიბრუნა და ახლა ოკეანეს გაღმა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდს ავარჯიშებსო. თანამშრომლები სხვას ღაღადებენ - ფეხებიც გამოისყიდა, იმ დირექტორის ტვინის მარჯვენა სფეროც მიიპრივატიზა და დღეს მსოფლიოში ცნობილი აუქციონერიაო.

ეჰ, დავიჯერებდი ამ ლამაზ ამბებს, გუშინ მიწისქვეშა გადასასვლელთან უფეხებო, ხელგამოწვდილ მათხოვარში კუკური ბატონი რომ არ შემეცნო. - ამ ჩემს გაპრივატიზებულ ფეხებსო, - გვერდზე მჯდომ მათხოვარს უთხრა და შაურიანები გადათვალა.



ეროვნული ბიბლიოთეკა



# ელენე თუმანიშვილი

## აივნების ჩუქურთმა - მძივ-სამკაულით ნაქარგი

ზურაბ ანტონოვის პიესაში, „ნამდვილ კომედიაში“, როგორც თავად ავტორი უწოდებს მას, მოთხრობილია ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ ისარგებლებენ ახალგაზრდა შეყვარებულები მზის დაბნელებით და შეშფოთებულ ხალხში ატეხილი აურზაურის დროს ოფიცერი მდიდარი ვაჭრის ქალს გაიტაცებს. სულ ეს არის პიესის შინაარსი - მსუბუქი, მხიარული ვოდევილი. სამაგიეროდ, აქ ნაჩვენებია გასული საუკუნის 50-იანი წლების ძველი თბილისი, ყოფა-ცხოვრება ძველი თბილისისა, მთელი თავისი თავისებურებებითა და კოლორიტით, ჭრელი, ნაირგვარი, სხვადასხვა ეროვნებისა თუ ფენის მოსახლეობით. და კოტე მარჯანიშვილიც გაიტაცა იდეამ, სცენაზე გაეცოცხლებინა ეს განსაკუთრებული ძველთბილისური სამყარო, მისი განსაკუთრებული ცხოვრება. მან სპექტაკლი ორჯერ დადგა - 1923 და 1933 წლებში. პირველი დადგმა მხატვარმა ვალერიან სიდამონ-ერისთავმა გააფორმა. თ. ვახვახიშვილი მოგონებებში იხსენებს, როგორ გაიყოლია თან კ. მარჯანიშვილმა ის და მხატვარი მეიდანზე ძველი თბილისური სახლის სანახავად, რომლის მიხედვითაც ვ. სიდამონ-ერისთავს სპექტაკლის დეკორაცია უნდა გაეკეთებინა. მეიდანზე მართლაც მშვენიერი ძველებური ქართული სახლი უნახავთ, როელსაც ორივე მხრიდან თითო კოშკი ჰქონია მიდგმული. კ. მარჯანიშვილს მხატვრისათვის უთხოვია, ეს ორი კოშკი სიღრმეში კი არ შეეერთებინა, არამედ ქუჩა გაეგრძელებინა და მისი პერსპექტივა ეჩვენებინა. „სიღრმიდან ნაირ-ნაირ ხალხს გამოვუშვებ, - უკვე ოცნებობს მარჯანიშვილი,- დაიხსომეთ ამ აივნის ჩუქურთმა, აი, ეს ბოძები... არა... არა... ჩაიხატეთ, თორემ დაგავიწყდებათ...“ მერე უცებ ვირი დაუნახავთ. კ. მარჯანიშვილი სიხარულისაგან კინაღამ გადარეულა, თითქოს აქამდე არასოდეს ენახა ვირი. „ვალიკო, მე მინდა მთელი მეიდანი, თავისი მეკურტნეებით, კინტოებით, აი, ამ ჩადრიანი გოგონათი, შენ უნდა ამიშენო აი, ეს პატარ-პატარა დუქნები, სადაც მეჩუსტეები, დალაქები, ლეკი ოქრომჭედლები მუშაობენ. ხომ არ გგონიათ, რომ მაყურებელს ქალის მოტაცების ფარსს ვუჩვენებ! არა, მე უნდა ვაჩვენო ძველი ტფილისის მთელი ყოფა და მოსახლეობა“.

და მართლაც, სცენაზე ძველი თბილისის მთელი ყოფა, ყველა დამახასიათებული დეტალითა თუ თავისებურებით ყოფილა აღდგენილი. პიესის რემარკის მიხედვით პირველი მოქმედება ვაჭარ გეურქას სახლში მიმდინარეობს: „სცენა წარმოადგენს დარბაზსა, დარბაზს აქვს შუაზედ, მარჯვნივ და მარცხნივ კარები. მარცხნივ დგას ტახტი დაფენილი, უკან აწყვია სკამები და წინა სდგას სტოლი. ნენე ზის ტახტზედ, აბრეშუმს ართავს და ზუზუნებს. მარეხ დადის დარბაზში ნაზის სიარულითა და მღერის“; რეჟისორსა და მხატვარს ჩანაფიქრის განსახორციელებლად მთელი ეს მოქმედება ძველ თბილისურ ეზოში გადააქვთ. ნიკო გოცირიძე იგონებს: „როგორც ვიცით, ზ. ანტონოვის პიესით მოქმედება ხდება გეურქ-აღას ოჯახში. კოტემ კი თავის დადგმის ეს პირველი მოქმედება გამოიტანა ძველებური ბანიანი სახლის წინ, ქუჩა-ეზოში, სადაც ნახავდით ამ სახლის ქვემო სართულში წვრილ ხელოსნებს: ხარაზს, დურგალს, ხარატს, მეპურეს, იქვე სადალაქოს, წყლის მზიდავ-მეთულუხჩეს, ვირს გოდრით მწვანილით, გრიგოლ ჩეშმაკოვის „დენშჩიკს“, აგრეთვე თევზის გამყიდველს, „რიბა-რიბას“, რომ იძახის. იქვე მოქეიფე კინტო-ყარაჩოღელებს, თავიანთი ზურნით და ღვინით სავსე ხელადებით. შორს კი მოჩანდა მზისგან მოელვარე ეკლესიის სამრეკლოს გუმბათი თავისი ჯვრით. ამ პირველი მოქმედების ფინალში (დაინახავდით) ელვა-ქუხილს. თავისი შხაპუნა წვიმით და ცისარტყელათი“. სცენაზე წამოსული „ნამდვილი“ კოკისპირული წვიმა თვით მსახიობებისთვისაც მოულოდნელი ყოფილა სრულიად, ნიკო გოცირიძე ამ მხიარულ ეპიზოდს ასე იხსენებს: კოტე ყოველთვის გვეუბნებოდა „კიბეებიდან რომ ჩამოხვალთ, ისევ ადით კიბეზე და წარმოიდგინეთ, ვითომც წვიმა მოდის და ფარდაც ეშვებაო“. მაგრამ რაღა უნდა წარმოგვედგინა, როდესაც ელვა-ქუხილის შემდეგ მოულოდნელად არნახული შხაპუნა წვიმა წამოვიდა სცენაზე და ცისარტყელაც ზედ დაერთო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელექტრონის შემწეობით... ეს მშვენიერი სანახაობა - წვიმა კი სულ უბრალო რამე ყოფილა, ხომ ვიცით, რომ ყველა დიდ თეატრში ავანსცენასთან მაღლა ფარდასთან არის გრძელი მილი ნახვრეტებით, საიდანაც ხანძრის შემთხვევაში ამ მილიდან წყალს მიუშვებენ და წვიმის მსგავსად ნაკადი ძლიერად გადმოდის. ეს, როგორც ვიცით, ძალიან იოლი რამ არის. ამასთანავე პრიმიტიულიც, მხოლოდ საჭირო ყოფილა ამის გამოყენება, არამხოლოდ ხანძრის დროს, არამედ როგორც ვნახეთ, პიესის დროსაც".

თ. ვახვახიშვილის თქმით, ვალერიან სიდამონ-ერისთავს სცენაზე მარჯვედ გადმოუტანია აბას-აბადის მოედნიდან აივნებიანი. ჩუქურთმა-შემკული სახლი. სახლები ისე ახლოს დგას ერთიმეორესთან, რომ ჩემმაკოვი ბანიდან ბაწრის საშუალებით უგზავნის მარეხს სატრფიალო ბარათს - მათ შორის სასიყვარულო დუეტი-დიალოგი იმართება. ორ სახლს შუა სიღრმეში მიმავალი ვიწრო ქუჩა - გასასვლელია, რომლის ბოლოში გუმბათი მოჩანს. აივნებსა და კიბეებზე ხალხია გადმომდგარი, სახლებქვეშ მოწყობილი ფარდულებიდან ხელოსნები გამოდიან, ქუჩის სიღრმეშიც ხალხია შეჯგუფებული. ეტყობა, ის-ის არის, ვიღაცამ მოიტანა მზის დაბნელების ამბავი და შეშფოთებული მცხოვრებნი ქუჩაში გამოეფინენ. სპექტაკლის ერთადერთ დარჩენილ ფოტოსურათზე (სხვა აღარაფერია სპექტაკლის მასალიდან შემორჩენილი) კარგად ჩანს, როგორ აქვს რეჟისორს მთელი დეკორაცია, მთელი სასცენო სივრცე გამოყენებული. ორივე სახლის აივნიდან ზედ ავანსცენაზე ორი მაღალი კიბე ეშვება, რომელიც თავისი დაქანებით „ქუჩა გასასვლელის" დასაწყისს მონიშნავს და, ამასთანავე, ქუჩის სიღრმეში გასვლის საშუალებას აძლევს ან, უფრო ზუსტად, სიღრმისკენ მიმართავს მას.

ვ. სიდამონ-ერისთავი, ისევე, როგორც „ცხვრის წყაროს" გაფორმებისას, დეკორაციას საჩინოდ, მარტივად აგებს. მისი არქიტექტურა აქაც სადაა, გამოკვეთილი, ნათელფორმიანი, ოღონდაც პიესის ჟანრობრივი ხასიათიდან, მისი სტილისტიკიდან გამომდინარე, სხვადასხვა სახასიათო, კონკრეტული და ყოფითი დეტალით გამრავალფეროვნებული - სცენაზეა ტიპური ძველი თბილისური სახლი. დეკორაციის ხასიათმა, მისმა მკაფიო არქიტექტონიკურმა აგებულებამ რეჟისორისგან მიზანსცენის ნახატის ასეთივე გამოკვეთილობა მოითხოვა, მაგრამ მიზანსცენის გარკვეულობა, მისი ზუსტი აგება-განთავსება სრულებით არ უშლიდა ხელს, ყოფილიყო არაჩვეულებრივად ცოცხალი და დინამიკური.

პიესის მეორე მოქმედება რემარკის მიხედვით ასეთია: „სცენა წარმოადგენს დიდუბის მინდორს, ცასა და მზესაც. მინდორზედ დადიან ხალხი სხვადასხვა გვარისა. ზოგი ერთმანეთში ლაპარაკობენ და ზოგი შესცქერიან ტრუბითა და ზოგნიც ისე. წინ სცენაზედ არიან რუსის ჩინოვნიკი და ქალაქის ვაჭარი". სცენაზე ამ დროს მზის დაბნელების საცქერლად თავმოყრილი უამრავი ხალხი ირეოდა, იყო საშინელი ხმაური, ჩოჩქოლი, აყალ-მაყალი. სცენაზე ნამდვილი ძველი თბილისი ცოცხლდებოდა - ხალისიანი, ხმაურიანი, მჩქეფარე. სწორედ იმიტომაც, რომ კ. მარჯანიშვილის მიხანსცენა, რაგინდ უზუსტესად იყოს აგებულ-გააზრებული, არასოდეს არ არის შეჩერებული, არამედ მაშინვე, აგებისთანავე იშლება, ირღვევა და გადადის ერთიან სწრაფ მოძრაობაში, ცოცხალ, სხარტ ქმედებაში, სცენაზე გაცოცხლებულამეტყველებულია ყველაფერი: პერსონაჟთა ზუსტად მოძებნილ-„დაჭერილი" ხასიათი, ყოფითი დეტალები, რეჟისორის ბავშვურ გართობა-თამაშობამდე მისული ფანტაზია და გამომგონებლობა. მაყურებელთა დარბაზში სცენიდან უწყვეტ-უჩერებელ ნაკადად მოედინებოდა სიცილი და ხუმრობა. დოდო ანთაძე იხსენებს, რომ მაშინაც კი, როდესაც მოქმედება ჩვეულებრივი თბილისური სახლის პავილიონში მიმდინარეობდა, რეჟისორს რაღაც სიახლე შეჰქონდა: „ფანჯრების დახურულ დარაბების ჭუჭრუტანებში გულები იყო ამოჭრილი და იქიდან მზის ცელქი სხივები იბნეოდა სცენაზე" „მარჯანიშვილმა პიესაში შეიტანა ძველი ტფილისის სურათები, მისი კოლორიტი, მრავალსახეობა. თანაც ისე, რომ თვალი გიჭრელდება შთაბეჭდილებათა კორიანტელში და გაოცება გეუფლება" - წერს თავის მოგონებებში თ. ვახვახიშვილი.

მაყურებელი აღფრთოვანებით შეხვედრია სპექტაკლს, აღტაცებულნი უყურებდნენ თვალწინ გაცოცხლებულ მათთვის ესოდენ ახლო და გასაგებ სამყაროს.

1933 წელს სპექტაკლი ელენე ახვლედიანმა გააფორმა. რეჟისორის ჩანაფიქრიდან გამომდინარე, სადაც მიზანსცენისთვის საჭირო იყო ორი ერთმანეთის პირისპირ მდგარი სახლი, მხატვარი ისევე განალაგებს დეკორაციას, როგორც ვ. სიდამონ-ერისთავი. სცენის დაგეგმარება-გადაწყვეტა ე. ახვლედიანთან ფაქტობრივ ისეთია, როგორც სპექტაკლის პირველ ვარიანტში. სხვაგვარად არის გადაწყვეტილი მასთან დეკორაციის უკანა პლანი: სიღრმეში, ქუჩის ბოლოს, იქ, სადაც ვ. სიდამონ-ერისთავს მარტოოდენ ეკლესიის გუმბათი აქვს გამოსახული, ელენე ახვლედიანი ძველი თბილისის მთელ პანორამას იძლევა. წინა პლანზე „აშენებული" სახლებიდან თვალი ნელ-ნელა გაუყვება სიღრმეში მიმავალ ვიწრო გასასვლელს. მას წამით „გადაელობება" სარეცხდაფენილი თოკის ჰორიზონტალი - გამმიჯნავი სცენის წინა და უკანა პლანისა, რომლის იქითაც ქალაქის ფართო ხედი გადაიშლება. თვალი თავისუფლად აუყვება მთის ფერდობზე შეფენილ პატარპატარა სახლებს და ხეთა სიმწვანიდან ამოწვერილ წოპწოპა გუმბათებს. რეალური სასცენო სივრცის ილუზორულით გაშლა-გაფართოება, დეკორაციის ფერწერულ პლანებად აგება - სცენა-კოლოფის სასურათო სიბრტყედ გააზრება, სადაც კომპოზიციის აგება იმავე პრინციპით ხდება, როგორც სურათზე. აქედან - მეტი დეკორატიულობა, სურათობრიობა, ფერწერულ-

ობა სცენური გარემოსი, ცალკეულ დეტალებშიც ძლიერად წარმოჩენილ-გამძლავნებული, მაგალითისათვის, მხატვრისმიერი არჩევანი აივნის ჩუქურთმისა: ვ. სიდამონ-ერისთავის დეკორაციაში აივნისა და კიბის მოაჯირი ჩვეულებრივი სადა რიკულებითაა გაწყობილი, ე. ი. ძირითადი სამოქმედო ადგილი შედარებით გადაუტვირთავია და თვალში ნაკლებად საცემია მაშინ, როდესაც, ელენე ახვლედიანთან იმავე აივნისა და კიბის მოაჯირი დიდ წრეებში ჩასმული ფართო ვარდულებისგან შედგება - მთავარი სამოქმედო ადგილი საგანგებოდ არის შემკულობით გამოყოფილი, შესაბამისად, მაყურებლის, აღმქმელის თვალიც საგანგებოდ გამოყოფს, დააფიქსირებს მას. ეს გამძაფრებული გრძნობა დეკორატიულობისა, ფორმა, სადაც მისი ეს მხარეა ყველაზე მძლავრად წარმოჩენილი, სადაც ფერადოვნება დეკორატიულ ლაქათა ჟღერადობაზეა აგებული, არის თავი და თავი ამ დეკორაციის ხასიათისა, მხატვრისეული ხედვის წამყვანი იმპულსი, მისი გამოხატვის ენა, საშუალება, აგრერიგად გამოვლენილი მის ფერწერაშიც.

ძველი თბილისის ხედები, პატარ-პატარა ქუჩა-უბნები - ეს მხატვრის სამყაროა, მისეული ხედვა-შეგრძნება ამ სამყაროსი, ეს მისი ხასიათია, მისი განცდა. ეს ბუნების ხასიათიც არის, განწყობაც, მხატვრის მიერ უზუსტესად მიგნებულ-გადმოცემული ადრეულ პერიოდში უფრო თავშეკავებული, მუქი, შემდგომში კი მჟღერი, ძლიერი ფერადოვნებით. ბუდეებივით ფერდობს შეფენილი ძველი თბილისური სახლები, წითელკრამიტიან სახურავთა ალმაცერი რიგები, ზევით-ზევით რომ მიიწევს და შორს, უსაზღვრო სივრცეში თვალს მოფარებული, იკარგება. აივნების ჩუქურთმა - მძივ-სამკაულით ნაქარგი, აღმართ-აღმართ მავალი ვიწრო მიკარგული ქუჩები - ქვაფენილ ზოლთა ხვეულკლაკნილი. აქა-იქ მიფენილი სარეცხი - მიმობნეული ფერად-ფერადი ლაქა- ნაჭრები. ფერი მრავალი, უთვალავი... მზის თბილ სხივებში აცელქებულ-ათამაშებული... ნაირფერად აფერადებული სურათი-სამყარო, რეალურზე, ყოფითზე ოდნავ აწეული, პოეტური, რომანტიკული, სცენაზე მრავალფერად აკიაფებულ დაკორაციას რომ გვაგონებს ზოგჯერ: ფერწერადეკორაცია, სურათი-დეკორაცია.

პეიზაჟი ელენე ახვლედიანთან - ეს ბუნების რეალური სურათიც არის და იმავ დროს, რაღაც ძალიან პირადული, ან, უფრო სწორად, პიროვნული, მხატვრის განცდაში, გრძნობაში, მის სულში გატარებული და ამიტომ უკვე სხვაგვარად აღქმული, სხვაგვარად გადმოცემული. ეს განსაკუთრებული ფერწერაა - თავისი პოეზიით, ჟღერადობით, მელოდიით, სულიერებით...

როდესაც უყურებ ელენე ახვლედიანის ფერწერას, გასაგები ხდება, რატომ მოიწვია მხატვარი კოტე მარჯანიშვილმა თეატრში. „თქვენს ფერწერაში იმდენია დეკორატიული, ყოველი სურათი ისეა შეკრული კომპოზიციურად, ისე გრძნობთ სივრცეს და ისეთი ადამიანური განწყობილებით ავსებთ ბუნებასა და არქიტექტურულ ნაგებობას, რომ უსათუოდ თეატრში უნდა იმუშაოთ“ - უთქვამს რეჟისორს მხატვრისათვის.

ძველი თბილისის ცხოვრების ამსახველი ეს პიესა ვის უნდა გაეფორმებინა თუ არა პირველ ყოვლისა ელენე ახვლედიანს, მასავით, ალბათ, არავის შესწევდა უნარი შეეგრძნო, განეცადა, გაეთავისებინა და გადმოეცა ეს თბილისური სამყარო, მისი განსაკუთრებულობა, მისი ხიბლი, განწყობა, სურნელი მისი. ეგებ ეს იყო სწორედ მიზეზი სპექტაკლის ხელმეორედ დადგმისა, ალბათ, რეჟისორს თავისი ჩანაფიქრის გადამუშავება-გაღრმავებისათვის სწორედ ახვლედიანისეული ძველი თბილისი სჭირდებოდა. ვ. სიდამონ-ერისთავის სადა, ტექტონიკური არქიტექტურის სანაცვლოდ, როგორც ჩანს, რეჟისორს ამჯერად სურდა, სცენაზე შეექმნა ცხოველხატული, ფერადოვანი გარემო-სამყარო, გადმოეცა ემოციურობა, განწყობა ამ სამყაროსი, ის ძველი თბილისი, ის განსაკუთრებულობა მისი, ასე ზუსტად რომ გრძნობდა ელენე ახვლედიანი.



ეროვნული ბიბლიოთეკა



ზაურ კალანდია

# ჩანახატი მხატვრის სრული პორტრეტისათვის, ანუ უფლისგან ბოძებული ხელობის გახსენება

„ცისკრის“ ამ ნომრის სტუმარია მოქანდაკე გიორგი შხვაცაბაია.

მანამდე, მის სახელოსნოში, სადაც ბატონი გოგი წერეთელი და მე ვსტუმრობდით, მიუხედავად იმისა, რომ პირველად ვიყავი, ბევრი რამ ნაცნობი და ახლობელი იყო ჩემთვის. ეს შინაურული, „მშობლიური“ განწყობა აღიარებული ხელოვნის - ბატონ გიორგი შხვაცაბაიას აპრობირებულ ნამუშევართა მაკეტების ნაცნობობით არ შემოიფარგლებოდა. ჩემი მახსოვრობა უფრო შორეული იყო - სამოცდაათიანი წლების დასასრულთან დაკავშირებული.

გოგას სახელოსნოშიო...

გოგამ თქვაო...

გოგასთან ვიყავითო...

გოგა აკეთებსო...

მესმოდა ხოლმე ჩემი უფროსი მეგობრებისაგან და გული მწყდებოდა, რომ მე ვერა და ვერ მოვხვდი ამ უახლოესი და უძვირფასესი ძმებისაგან გაიდუმალებული თუ გაიდეალებული მხატვრის სამყაროში.

ბევრჯერ მიფიქრია ამაზე.

მერე იმ უფროს ძმათაგან არა ერთი და ორი გამოგვაკლდა: მარადიული საქართველოს ბინადრები გახდნენ.

მერე თბილისი აირია, ქვეყანაც...

აწ განსვენებული გიგლა სარიშვილის, უნიჭიერესი მთარგმნელისა და პოეტის, ჩვენი საერთო მეგობრის ლექსის სტროფს ვიხსენებ: *„ფიცხელი სისხლი ქართველის და ძველი აფხაზის მე მეფერება დახნულ შუბლზე დარგულ ბაიად... ჩემი სხეული წამლილი და გადანახაზი, ვინდა აასხა ქანდაკებად, შხვაცაბაია...“*

საოცრად ნაქანდაკარია გიგლა...

თითქოს ჯოჯოხეთიდან ამოვიდა და გაღწევას ლამობს მისი ნაყვემი, ტანჯული, წელმოწყვეტილი სხეული... ცალი ხელით განურელ ჯოხს ეყრდნობა, მეორეთი მინდვრის ყვავილები მოაქვს, მუჭში რომ ჩაჰკარგვია და ძლივს ფეთქავს... არადა, ეს ყვავილია მარადისობა, ხელოვნის სულია იგი; ქვაზე ამოსული, ქვაზე უფრო ჯიუტი პოეტისა.

გიორგი შხვაცაბაია მირონცხებული რჩეული შემოქმედია.



ასე მგონია, ბატონმა გოგიმ კი არ ისწავლა და, როგორც ხდება, ათასი გამოცდილება დაიგროვა, არამედ ერთ მშვენიერ დღეს გამოეღვიძა და უფლისაგან ბოძებული ხელობა გაიხსენა...

და ის იმ დღიდან, ანუ დაბადებიდან აქობამდე ძერწავს... თიხაში, თაბაშირში, ქვაში კვეთს, კვლავ, მეათასედ ზელს თიხას; თითებზე ეგლისება, თითები ემრდება, სანამ არ აღმოაჩენს მშვენიერებას და სრულქმნას. არადა, ცივი, უხეში, უტყვია ქვა; მილიარდი „შრე“ და „კანი“ აქვს... შესატყვისი ფორმა თუ არ მოიძებნა, არ განათდა და გასხივოსნდა იგი და, რაც მთავარია, ხელოვნის ინდივიდუალური ტვიფარი არ აღიბეჭდა ზედ, ქვა ჩვეულებრივი ქვაა, მეტი არაფერი!

ამ ტვიფრის მოძიება და პოვნაა ხელოვნება!

ეს ტვიფარი (ხატი), კარგა ხანია, ბატონმა გოგიმ მოჭრა.

თუმცა ის შემოქმედი კაცია და, სანამ პირში სული უდგას, სულ ძიებაში უნდა იყოს; ახალ-ახალ „ვულკანს“, ახაშენივით, პოვნა უნდა.

გიორგი შხვაცაბაია თბილისელი კაცია, მისი არაერთი ქანდაკება ამკობს დედაქალაქს და, იმედია, კიდევ ელოდება შხვაცაბაიასეულს, ახალს, მაგრამ ის მარტო თბილისზე არ „ზრუნავს“. მისი ქმნილებები საბერძნეთის უძველესი ქალაქიდან (ოლიმპია) დაწყებული, ჩვენი ქვეყნის ბევრ ქალაქში, კუთხესა თუ რაიონშია განფენილი. მან იცის, ქალაქი (დიდია თუ პატარა, თავისი წარსული და აწმყო რომ აქვს) შემოქმედის ხელს ელოდება,




სკულპტურას ითხოვს, ვთქვათ, როგორც სალოცავს, მუზეუმს, თეატრს თუ პოეტის საფლავს... ქვა, შემოქმედის თითებალბეჭდილი, არამარტო ცარიელ სივრცეს ავსებს და ალამაზებს, მასში ხან შენი დიდი წინაპრის სულია გახსნილი, რომელშიც გაშიშვლებული ხმლის სიბასრეა ხოლმე, ხან ანთებული სანთლის რწმენა და თვისება აქვს.

გიორგი შხვაცაბაიას აღიარება არ აკლია.

იგი მას სიყმაწვილიდანვე ეწვია და დღესაც არ ტოვებს.

და მაინც:

ძნელია, დიდი „სითამამე" უნდოდა, ალბათ, როცა ქალაქ ოლიმპიაში, შენი ნაქანდაკარის „მშვიდობის ჩირაღდნის" გვერდით, სულ რაღაც ოთხას მეტრზე ფიდიასის „ოლიმპიელი ზევსი" იდგა – მსოფლიოს ერთ-ერთი შვიდი საოცრებათაგანი!

ეს ფაქტია!

ეს, რეალობასთან ერთად, ქართული ქანდაკების დიდი აღიარება და დაფასებაა!

გარდა ამისა, მე პირადად, როგორც ქართველ კაცს, ერთი ამბავი პატარა ბიჭივით მახარებს:

მოგეხსენებათ, ოლიმპიაში უცხოელები არ ილევა... მთელი მსოფლიო აქ არის, აქეთკენ მოედინება... ბევრი ტურისტი ნიძლავს დებს თურმე, რა ენაზეა შესრულებული „მშვიდობის ჩირაღდანზე" (ქანდაკებას ქართული წარწერა ამშვენებს) ამოტვიფრული სიტყვები. იმ „გამარჯვებულ" უცხოელს ჩემად ვთვლი. ბედნიერი ვარ და გულიც მტკივა... ჩვენი, ანუ ქართველთა ბედი ყოფილა ეს: იძულებულნი ვართ, ასე თითო-თითოდ, მარცვალ-მარცვალ ვთესოთ, ვამტკიცოთ ჩვენი თვითმყოფადობა, რომ თავიდან და ხელახლა მოვიპოვოთ, რაც ადრე გვქონდა, მეტიც, რაც უნდა გვქონდეს მომავლისათვის – ძველი, მითიური სამშობლოც და ხვალის საქართველოც!

„ცისკრის" ყდაზე ლადო ასათიანის ქანდაკების პროექტია.

ლადო ასათიანი...

ის ჩვენი თანმდევი სიყმაწვილეა... თაობათა სიყვარული, ნოსტალგია სიჭაბუკისა, ვაჟკაცობისა, ლექსისა, სინაზისა...

ლადოს ფიგურა, ჩემი აზრით, როგორც სრულყოფილი ქანდაკება, ჩრდილს არ იკარებს, მეორე მხარე არა აქვს, ანუ, ადამიანისაგან განსხვავებით, ყოველი მხრიდან კარგად იმზირება; კაშნეც მისია, ხალათიც, ფეხსაცმელიც – მოხეტიალე, ტანჯული, ფილტვებგამოჭმული პოეტისა; სალოცავი ქალაქის მენესტრელისა...

„9 აპრილი".

ჯარისკაცის უხეში, უაზრო, ნიჩბისთავიანი ფიგურა; მკლავებიც ნიჩბებივით გამოსხმული... ფერხთით კი ქალის დაჭრილი, მშვენიერი სხეული...

არადა, რაც ყველაზე საგულისხმოა, ეს ქანდაკება 9 აპრილამდე სამი წლით ადრე შეიქმნა.

* * *

ბატონი გოგის პორტრეტის სრულყოფისათვის ეს ჩანახატი არ იკმარებს.

ერთს დაბეჯითებით ვიტყვი: გიორგი შხვაცაბაია თავადაა მონუმენტური პიროვნება; ენერგიული და შინაგანად დამუხტული, დინჯი და გულქართლი...



ეროვნული ბიბლიოთეკა



# ხათუნა კაშია

# ქართული ლიტერატურის მძიმე წლები

## /ოთარ ჩხეიძის რომანები „ბურუსი“ და „მეჩეჩი“/

50-იანი წლების ქართულ საბჭოთა ლიტერატურას (ისევე, როგორც მთელი საბჭოთა პერიოდისას) დაკარგული ჰქონდა ესთეტიკური ღირებულება და ლამის მხოლოდ აგიტაცია-პროპაგანდის ფუნქცია ეკისრებოდა. ბევრი ხელოვანი აღმოჩნდა საბჭოთა იდეოლოგიის მარწუხებში, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, ვინც ჯიუტად მიჰყვებოდნენ საკუთარ გზას და ჭეშმარიტ მხატვრულ ნაწარმოებებსაც სწორედ ისინი ქმნიდნენ.

ამგვარ ხელოვანთა რიგში დგას ოთარ ჩხეიძე, რომელმაც 50-იან წლებში კრიტიკისა და საბჭოთა ხელმძღვანელობის განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურა და საშინელი რისხვაც დაიტეხა თავს თავისი რომანების „ბურუსისა“ (დაიწერა 1954 წ., დაიბეჭდა 1955 წელს) და „მეჩეჩის“ (დაიწერა 1956 წელს, დაიბეჭდა 1957 წელს) გამო.

მწერალს მანამდეც არაერთხელ მოუგერიებია კრიტიკოსთა თავდასხმები თავისი ნოველების კრებულისა და რომანების „ტინის ხიდისა“ და „ჯებირის“ გამო, მაგრამ ნამდვილი ქარიშხალი სწორედ „ბურუსის“ გამოჩენამ გამოიწვია და ეს არც იყო გასაკვირი. რომანში ხომ სატირულად გამოიხატა საბჭოთა ყოფის მთელი სიმახინჯე, ის უმძაფრესი იდეოლოგიური ბრძოლა, რაც ხელისუფლების წაქეზებით გაუმართეს ფსიქოლოგიის ინსტიტუტსა და დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორიას. როცა ფსიქოლოგია არამატერიალისტურ, არამარქსისტულ, ბურჟუაზიულ მოვლენად შერაცხეს, მართლაც ნათელია, როგორი დაუნდობლობით ექცეოდნენ მასაც და მის ყოველ დამცველსაც.

ასეც მოხდა. ხელისუფლება არ დასჯერდა რომანის საჯარო „განხილვასა“ და განადგურებას და ბ. ქლენტის რისხვითა და მუქარით სავსე წერილიც მოაყოლა გაზეთ „კომუნისტში“: „იდეურად მანკიერი, მხატვრულად მდარე ნაწარმოები“ (1955 წ., 15 დეკემბერი).

წერილის დასაწყისშივე კრიტიკოსი გულისტკივილს გამოხატავს იმის გამო, რომ „სულ უკანასკნელ ხანებშიც ჩვენს ლიტერატურაში გვხვდება ისეთი მანკიერი და მდარე ნაწარმოებები, რომლებიც ყალბად, დამახინჯებულად, ასახავენ საბჭოთა სინამდვილის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს და ამით ზიანს აყენებენ ჩვენი ხალხის, კერძოდ, ახალგაზრდობის იდეური აღზრდის, მისი გემოვნების განვითარების საქმეს“. სწორედ ასეთ ნაწარმოებად მიიჩნევს ბ. ქლენტი ოთარ ჩხეიძის „ბურუსს“.

აი, როგორია ამ ნაწარმოების ზოგადი შეფასება: „ბურუსი“, მართლაც, ბურუსით მოცული, ბუნდოვანი და ქაოსური სურათია, რომელზეც საბჭოთა სინამდვილე ისეა ასახული, რომ არ ჩანს არც ერთი ნათელი შტრიხი, საბჭოთა წყობილების არცერთი დამახასიათებელი დადებითი ნიშან-თვისება, არცერთი ნამდვილად საბჭოთა ადამიანი, თავისი კეთილშობილური აზრებითა და გრძნობებით, მაღალი მისწრაფებებითა და საქმეებით“.

კრიტიკოსი მწერალს თავს ესხმის ერთ-ერთი მთავარი გმირის - ეთერის გამო და აღშფოთებულია, „საბჭოთა ქალიშვილის“, თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტის „მცდარი“ წარმოდგენით სოფლურ იდილიურ ცხოვრებაზე: „მას გულწრფელად ჰგონია, რომ ბოროტი, ძუნწი, ხარბი და სულელი ადამიანები მხოლოდ ქალაქში მოიპოვებიან, ხოლო სოფლად მარტო ზამთრის მყუდროება, უზრუნველ და ლაჟვარდოვან ფიქრთა იდილია სუფევს“. კრიტიკოსის აზრით, ეს თვით რომანის ავტორის „ფილოსოფიაა“, რადგან ამგვარად ვერ იაზროვნებდა „საბჭოთა ქალიშვილი“. ავტორი კი თავის „ყალბ“ აზრს ახვევს თურმე გმირს თავზე და ხატავს „შემაძრწუნებელ სურათს ჩვენი დედაქალაქის სინამდვილისა“.

ბ. ქლენტის თქმით, ასევე ყალბი და მოგონილია რომანში აღწერილი იმ დროის მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი მოვლენები - ცვლილებანი რესპუბლიკის პარტიულ და სახელმწიფო ხელმძღვანელობაში, მეცნიერული დისკუსიები, იდეოლოგიური ბრძოლები მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებში, უნივერსიტეტში და სხვა. „ყოველივე ამის შესახებ ავტორი იმგვარად მოგვითხრობს, - აღნიშნავს კრიტიკოსი,- რომ მკითხველის თვალწინ გაივლის სინამდვილის მხოლოდ ბნელ, ჩრდილოვან მოვლენათა პანორამა, მხოლოდ უარყოფით, მანკიერ ადამიანთა გალერეა“... რომანში დადებითი გმირი არათუ მოქმედებს, ნაგულისხმევიც კი არ ყოფილა.

ბ. ქლენტისთვის გაუგებარიც კია, ვინ ამარცხებს რომანში ბოროტ ძალებს, რადგან მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ ნაწარმოებში „აჩრდილიც“ კი არა ჩანს იმ დადებითი ძალებისა, რომლებსაც ძალუძთ აქ გამოყვანილი მანკიერი ადამიანების დამარცხება.

კრიტიკოსი უკმაყოფილოა იმითაც, რომ ნაწარმოებში პარტიის ბრძოლისა და მოღვაწეობის არც ერთი ეპიზოდი არ ჩანს, ხოლო პარტიის საქალაქო კომიტეტის პლენუმის სხდომაზე არჩილ ალავიძის თანამდებობიდან მოხსნის ეპიზოდი კარიკატურული ხერხებით შეუსრულებია ო. ჩხეიძეს, ნაცვლად იმისა, რომ „პარტიული ხელმძღვანელობის, პარტიის კოლექტიური სიბრძნის, ბასრი პარტიული კრიტიკისა და თვითკრიტიკის მთელი ძალა“ წარმოეჩინა.

იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ დაკნინებულად და გაღარიბებულად გამოიყურებიან ამ რომანში საბჭოთა ადამიანები, კრიტიკოსი რომანიდან იმოწმებს ფსიქოლოგიის პრობლემის გარშემო გამართულ დისკუსიაზე მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის მიერ წარმოთქმულ სიტყვას. ჩვენც ბოლომდე გადმოვიტანთ ამ ეპიზოდს, რათა უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ, მართლაცდა რამხელა გამბედაობა იყო საჭირო, ყველაფრის ასე გაბიაბურებისთვის: „ჩემი სიტყვა ამ შემთხვევაში საჭიროც არ იყო, - ამბობს პატივცემული მეცნიერი, - ყველასათვის ნათელსა და ცხადს რაღა განმეორება უნდა, მაგრამ ეგებ, უნდა, ეგებ სინათლესაც და სიცხადესაც გარჩევა უნდა - გარჩევა ყველაფერს უნდა. ესეცა ვთქვათ, დიახ, გარჩევა ყველას უნდაო და ამ გარჩევის, ამ დისკუსიის

დროს ისევე, როგორც ყოველთვის, საჭირო იქნება თავის შეკავება ყოველგვარი ტენდენციურობისაგან, უამისოდ დავიბნევით, რადგან მეცნიერება თავის თავად ტენდენციურია... კარგი იქნება, თუ აქაც დამეთანხმებით, კარგი იქნება, თუ ესეც ყველასათვის ნათელი, ყველასათვის ცხადი იქნება. მაშინ კიდევ ბევრი რამ იქნება ნათელი და ცხადი".

აღშფოთებული ბ. ქლენტი ასეთ კომენტარს უკეთებს ეპიზოდს: „ეს ხომ პაროდიაა", რაშიც მას სრულიად ვეთანხმებით, მაგრამ დღეს უკვე აღარავის ეპარება ეჭვი, რამდენად სამართლიანი პაროდიაა მთლიანად (და არა მარტო აღნიშნული ეპიზოდი) ეს რომანი იმ დროისა, როცა ყველაზე აბსურდული აზრი ჭეშმარიტებად ინათლებოდა. ბ. ქლენტი კი, როგორც კომუნისტური რეჟიმის მეხოტბე, ბრალს სდებს მწერალს, რომ იგი ბედავს, მცდარი წარმოდგენა შეუქმნას მკითხველს იმ მეცნიერულ დისკუსიებზე, მთელ იმ იდეოლოგიურ ბრძოლაზე, რომელიც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით გაშლილა ჩვენს ქვეყანაში. ამ რომანში კი გაბიაბრუებული და „დისკრედიტირებული" ყოფილა ამ დისკუსიების როლი მეცნიერების განვითარებაში და მათი „გამაჯანსაღებელი ზეგავლენა ჩვენი ხალხის იდეოლოგიურ ცხოვრებაზე".

ბ. ქლენტი მწერალს ეკამათება მის მიერ გამოთქმული აზრის გამო იდეალიზმის შესახებ. ავტორი თურმე თავის ერთ-ერთი პერსონაჟის პირით გვეუბნება, რომ საბჭოთა მეცნიერთა ნაშრომებში იდეალიზმის გამოვლინებათა არსებობა შეუძლებელი და წარმოუდგენელია. ვიღაც უნიჭო კარიერისტები კი დაჟინებით ეძებენ ასეთ გამოვლინებებს პატიოსან მეცნიერთა ნაშრომებში და იწყებენ ცილისმწამებლურ იერიშებს ღვაწლმოსილ მეცნიერთა წინააღმდეგ. ამ ბნელ საქმიანობაში მათ მხარს უჭერენ პარტიული ხელმძღვანელები, ცენტრალური პრესის ორგანოები, ამ უსამართლოდ შეურაცხყოფილ მეცნიერთ კი უხდებათ მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ძალ-ღონით მოიგერიონ იერიშები.

კრიტიკოსი ყველაფერ ამის ხმამაღლა განცხადებისთვის მწერალს რომ შეეკამათებოდა, ცხადია, მაგრამ თუ რამდენად დიდი გმირობა იყო მწერლის მხრიდან მთელი საბჭოთა იდეოლოგიის ასე საქვეყნოდ გაშიშვლება, ისიც ნათელია.

ბ. ქლენტი არ ივიწყებს ნაწარმოების მხატვრულ მხარესაც. რაკი ნაწარმოები „იდეურად მანკიერია", მხატვრულადაც აუცილებლად მდარე ხარისხის უნდა იყოს. კრიტიკოსის თქმით, ეს გარდაუვალიცაა, რადგან „იქ, სადაც არ არის ცხოვრების სინამდვილე, სადაც დარღვეულია და უგულებელყოფილია მხატვრული სინამდვილის მოთხოვნილებანი, იქ არც შეიძლება არსებობდეს ჭეშმარიტი რეალისტური ხელოვნება". ამიტომაც იგი „ბურუსში" ვერ ხედავს „ვერცერთ მკაფიოდ დახატულ მხატვრულ სახეს. ვერცერთ სრულიად გახსნილსა და მკვეთრად გამოხატულ ხასიათს".

„უფერული და მხატვრულობას მოკლებული" ყოფილა ნაწარმოების ენაც. როგორც ბ. ქლენტი აღნიშნავს, „ავტორისეული თხრობა, ისევე, როგორც პერსონაჟის მეტყველება, გადატვირთულია მოსაბეზრებელი მრავალსიტყვაობით, განმეორებებით, ტავტოლოგიით. არავითარი გრძნობა სიტყვის ეკონომიისა, არავითარი მისწრაფება ზუსტი და მკვეთრი გამოსახვის საშუალებათა შერჩევისა ავტორს არ გააჩნია".

რომანის ბოლოსიტყვაობა კი, რომლითაც მწერალი მკითხველს მიმართავს (კომუნისტური რეჟიმით სულშეხუთულ საბჭოთა მკითხველს), კრიტიკოსის „განცვიფრებას" იწვევს, იმდენად ყალბად და ცილისმწამებლურად თვლის ო. ჩხეიძის სიტყვებს. რამდენად რეალურია ბ. ქლენტის მოსაზრება, ამის ნათელსაყოფად რომანის ბოლოსიტყვაობაზე დართულ მის კომენტარებს დავიმოწმებთ: „ავტორი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს საბჭოთა მკითხველის უნარსა და შესაძლებლობას. მას ვერ გადაუწყვეტია, შეიძლება თუ არა, „კარგი გამგონე" დაერქვას ჩვენს მკითხველს. იგი ჩივის, რომ თითქოს, ვიღაც დღენიადაგ ჩასჩიჩინებს ხალხს, რომ თითქოს, აღარ არსებობს ნამდვილი მხატვრობა, ნამდვილი პროზა, თითქოს პროზაიკოსებს არა გაეგებათ რა წუთისოფლისა, არ ესმით მაჯისცემა ცხოვრებისა, არა აქვთ აზრი, არა აქვთ რწმენა", აღნიშნავს ბ. ქლენტი და დასძენს, რომ ამის მსგავსი „უაზრობა" არავის გამოუთქვამს ჩვენი მწერლობის შესახებ და „ყოველივე ეს სრული უფლებით შეიძლება ითქვას მხოლოდ „ბურუსის" მსგავსს ნაწარმოებთა ავტორების მიმართ".

ბ. ქლენტი „ბურუსს" მწერლის „სავალალო შემოქმედებით მარცხად" მიიჩნევს და ბრალს სდებს ჟურნალ „მნათობის" რედაქციას, საყვედურობს ამ „იდეურად მანკიერი და მხატვრულად მდარე" ნაწარმოების გამოქვეყნების გამო.

ხელისუფლება ბ. ქლენტის ამ წერილსაც არ დასჯერდა, და საჭირო გახდა პირადად პარტიის ცკ-ის პირველი მდივნის ვ. მჟავანაძის შეფასებაც: „ზოგიერთი ჩვენი მწერალი, რომლებმაც სწორად ვერ გაიგეს პარტიის მოთხოვნა, ნაცვლად იმისა, რომ გაბედულად გამოააშკარავოს ცხოვრების წინააღმდეგობანი, და კონფლიქტები, მეორე უკიდურესობაში მოექცა. ისინი აზვიადებენ ჩვენი ცხოვრების უარყოფითს, არატიპიურ მხარეებს. სწორედ ამგვარი ნაკლოვანებები ახასიათებს ო. ჩხეიძის ნაწარმოებს „ბურუსს" („კომუნისტი" ვ. მჟავანაძის 18 იანვრის მოხსენება, 1956 წ. 20 იანვარი).

ასეთი იყო ო. ჩხეიძის რომანისადმი დამოკიდებულება იმ პერიოდში, მაგრამ გავა დრო და შემდეგში თვით ვ. მჟავანაძის მდივნობის ხანას „ნეგატიური მოვლენების" გაძლიერების ხანად გამოაცხადებენ და პასუხისმგებლობასაც მას დააკისრებენ ყველაფერზე. აღმოჩნდა, რომ ო. ჩხეიძის „ბურუსში" წარმოჩენილი საბჭოთა სინამდვილე შეულამაზებელი, ზუსტი გამოხატულებაა იმისა, რაც რეალურად ქვეყანაში ხდებოდა.

წლების შემდგომ აკაკი ბაქრაძე ასე შეაფასებს „ბურუსის" მნიშვნელობას:

„მაშასადამე, ოთ. ჩხეიძეს 50-იანი წლების დასაწყისში უმხელია და სამზეოზე გამოუტანია ის ნეგატიური მოვლენები (სხვა რამის გამო არ გახდებოდა „ბურუსი" ხელისუფლების კრიტიკის საგანი), რომელიც ამდენი ლაპარაკის ობიექტად იქცევა 70-იან წლებში, მთელი 20 წლის დაგვიანებით. ამიტომ პატიოსანი მწერლის სიტყვას პატიოსანი ყური სჭირდება მოსასმენად".

და კიდევ: „ოთარ ჩხეიძემაც იცოდა, რა ღირდა „ბურუსის" სიმართლე, მაგრამ აქაც პატიოსნება განსაზღვრავდა მწერლის საქციელს".

ო. ჩხეიძე კვლავაც არ უწევდა ანგარიშს „საზოგადოებრივ აზრსა" და კრიტიკას და „მცდარი გზით სიარულს "განაგრძობდა.

„ბურუსს" მოჰყვა ახალი რომანი „მეჩეჩიც", რომელშიც ახლა სხვა მხარე აისახა „ბედნიერი და უზრუნველი" საბჭოთა ყოფისა. და იმ პერიოდისთვის სრულიად სამართლიანად, „მანკიერი" ნაწარმოების სახელიც მოიხვეჭა.

რომანის უდიდესი „ნაკლოვანებების" გამოსავლენად გაიმართა მისი საჯარო განხილვა (რომელთა

ვრცელი ანგარიში გამოქვეყნდა 1958 წ. 28 ნოემბერს ლიტერატურული გაზეთის ფურცლებზე) და, შესაბამისად, ამას მოჰყვა ავტორის გაკიცხვაც, თუმცა ზოგიერთი გამომსვლელის სიტყვაში მწერლისადმი აშკარა თანადგომაც კი იგრძნობა, ცხადია, ისინი იძულებულნი იყვნენ ისე მოქცეულიყვნენ, როგორც მათ ევალებოდათ და როგორც ამას მოითხოვდა საბჭოთა მწერლის „საპატიო სახელი“.

მწერლის მიმართ წამოყენებულ ბრალდებებს რომ გავეცნოთ, თვალი მივადევნოთ ამ „განხილვას“. სხდომას მწერალთა კავშირში თავმჯდომარეობდა სერგი ჭილაია - საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი. აზრთა გაცვლა-გამოცვლა კი დაიწყო პროზაიკოსთა სექციის თავმჯდომარის, დემნა შენგელაიას ვრცელი სიტყვით.

დ. შენგელაიას თქმით, ეს ნაწარმოები „აშკარად სუსტი“ გამოვიდა. ამაში კი იმას გულისხმობს, რომ მწერალმა „მეტად მუქ“ ფერებს მიმართა და ამის გამო სინამდვილე „არასწორი“ „არასრული“ სახით წარმოაჩინა.

დ. შენგელაია საყვედურობს მწერალს იმისათვის, რომ მან ამ რომანში გმირებს არ უჩვენა ნათელი პერსპექტივა და საცოდავი ადამიანების შთაბეჭდილება მოახდენინა მკითხველზე. „ამგვარად, - დაასკვნის დ. შენგელაია, - რომანი წინსვლისაკენ არ მოუწოდებს ადამიანს. ავტორს ავიწყდება, რომ არ შეიძლება არსებობდეს ლიტერატურა დიდი იდეალების გარეშე“.

დ. შენგელაია მკაცრად აკრიტიკებს რომანის მხატვრულ მხარესაც. მისი აზრით, ეს ნაწარმოები „ძლიერ ძნელი წასაკითხავია“, რადგან „ავტორი მიმართავს თვითმიზნურ ექსპერიმენტებს, აწვალებს ენას და სიტყვათა კორიანტელში, რომელსაც იგი აყენებს, არ ჩანს გმირთა მკაფიოდ გამოკვეთილი ხასიათები“.

დ. შენგელაია მწერლის სტილს, წერის მანერას აბრალებს იმას, რომ ნაწარმოებში ადამიანების ხასიათები არ არის წარმოჩენილი.

შემდეგი გამომსვლელი - რევაზ ჯაფარიძე - შეეცადა იმ რომანის გადარჩენას, ამიტომაც თავი აარიდა „იდეურ ნაკლოვანებებზე“ საუბარს და ძირითადი ყურადღება რომანის სტილურ თავისებურებებზე გადაიტანა.

რ. ჯაფარიძე იწუნებს რომანის კომპოზიციასაც, რომელსაც თურმე ხელოვნურობის ელფერი დაჰკრავს, რადგან „ფსიქოლოგიური დამაჯერებლობა აკლია მოვლენათა ურთიერთდამოკიდებულებას“.

შემდეგ რ. ჯაფარიძე აკრიტიკებს „მეჩეჩის“ ენას და ამბობს, რომ ის ყოველთვის და ყველგან თვალში ეჩხირება მკითხველს. ეს კი ხელს უშლის ნაწარმოების უშუალობას და მკითხველის მიერ მასალის ათვისებას.

შოთა ძიძიგურიც თავის სიტყვაში სტილის საკითხებს შეეხო და აღნიშნა, რომ სწორედ სტილის ნაკლია ის, რომ გმირებისა და ავტორისეული ენა სტრუქტურულად არ არის ერთმანეთისაგან განსხვავებული. სალიტერატურო ენის ფორმები კი არაიშვიათად შეცვლილია კუთხური მეტყველების თავისებურებებით და პერსონაჟების ენა ხალხური მეტყველების ელემენტებამდეა დაყვანილი.

შოთა ძიძიგური აკრიტიკებს მწერალს დამატებითი სინტაქსური ხლართების შექმნაში, რაც თურმე „ბუნდოვანებასა და სტატიკურობას“ ბადებს.

შალვა აფხაიძე თავის გამოსვლაში თავდაპირველად შეეხო რომანის თემას. და მოიწონა მწერლის არჩევანი - ხალხური ხელოსნობის, კერძოდ, მეჭურჭლეობის წინ წამოწევა, მაგრამ, მისი თქმით, ის პოზიცია, რომლიდანაც მწერალი სინამდვილეს უდგება, სადავოა, რადგან მხოლოდ უარყოფით მოვლენებს აფიქსირებს და უყურადღებოდ ტოვებს პოზიტიურ ძალებს, რომლებიც „დღევანდელობას ახასიათებს და რომლებიც სძლევენ წინააღმდეგობებს, სიძნელეებს, უარყოფით მოვლენებს და ქვეყანა ნათელი მომავლისაკენ მიჰყავთ“.

შ. აფხაიძის თქმით, ო. ჩხეიძემ ცხოვრებიდან გარიყა ყველა პატიოსანი, კეთილი ადამიანი და ასეთ შედეგებამდე ავტორი მიიყვანა იმ გარემოებამ, რომ მთელ თავის შემოქმედებით პათოსს იგი „ჩრდილოვანი მხარეების“ ჩვენებას ახმარდა.

აკ. ბელიაშვილი კი სადავოდ მიიჩნევს მწერლის თხრობის მანერას. აღნიშნავს, რომ ავტორი წარმოუდგენლად აჭიანურებს ფრაზას, ტვირთავს მას სინონიმებითა და ტავტოლოგიური წინადადებებით, წერის ასეთი მანერა კი აძნელებს თურმე კითხვას და „გაუგებარს ხდის ნაწარმოების შინაარსის თანმიმდევრობას“.

აკ. ბელიაშვილი ცდილობს, თავი აარიდოს იმ მომაკვდინებელი ბრალდებების წაყენებას მწერლისადმი, რაც უკვე სხვების მიერ გამოითქვა და ნაწარმოების მთავარ ნაკლად მიიჩნევს იმას, რომ მასში სრულიად არაა ასახული ჩვენი ყოფის პოზიტიური მხარე, ჩვენი სოფლის ადამიანების ბრძოლა „შრომის ფრონტზე“.

კ. კალაძე კი მკაცრად აკრიტიკებს რომანის მთავარ კონცეფციას - თურმე მასში არ ჩანს კოლმეურნეობა და თუ არის აქ რამე ამის შესახებ, ისიც მხოლოდ იმისთვის, რომ „გვიჩვენოს, როგორ შესწირა მას თავი უაღრესად ნიჭიერმა ადამიანმა ირინემ, მაგრამ არსად არ ჩანს, რას აკეთებს ირინე ამ კოლმეურნეობაში!

რომანის იდეურ-მხატვრულ კონცეფციას არც ლ. კალანდაძე ეთანხმება. იგი აღიარებს, რომ ცხოვრებაში ჯერ კიდევ ბევრია ნაკლოვანებები, „არის შემთხვევები, როცა ცალკეული ბიუროკრატების წყალობით, პატიოსანი ადამიანი რამდენიმე ხანს მართლაც, გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდება“, მაგრამ კრიტიკოსს მიაჩნია, რომ მწერალი ვალდებულია, დაინახოს განსხვავება ცალკეულ ფაქტებსა და ზოგად დამახასიათებელ მოვლენებს შორის. ო. ჩხეიძის დანაშაული კი ის ყოფილა, რომ ცალკეულ ფაქტებს არასწორი თვალსაზრისით განაზოგადებს.

შემდეგი გამომსვლელი - გრ. აბაშიძე აკრიტიკებს მწერალს იმისათვის, რომ გმირთა ხასიათების ლოგიკას არ მიჰყვება და არაბუნებრივად ავითარებს რომანის ორი გმირის - ირინესა და გიგოს სახეებს. ამით კი „ამ კეთილშობილი ადამიანების ნათელი პერსპექტივა ბუნდოვანი და დაუჯერებელი“ ხდება.

გრ. აბაშიძე ყურადღებას ამახვილებს აგრეთვე რომანის ენაზეც და აღნიშნავს, რომ საერთოდ კარგი ქართულის მცოდნე ავტორმა რატომღაც აირჩია საგანგებოდ გართულებული მეტყველება, ტავტოლოგიებით გადატვირთული, გრძელი პერიოდებით დამძიმებული თხრობა, რითაც ნაწარმოებს მკითხველთა ფართო წრისკენ გზა გადაუღობა. „ენობრივი ექსპერიმენტის ეს გზა, რომელსაც განზრახ დაადგა ოთარ ჩხეიძე, ჩემი აზრით, გაუმართლებელია“, - დაასკვნის იგი.

მწერლის დაცვას ცდილობს თავისი სიტყვის დასაწყისში გ. მარგველაშვილი და, მიაწერს რა ამ ნაწარმოებს სუბიექტური ლირიკული პოემის ნიშნებს, აღნიშნავს, რომ სწორედ ამ ჟანრის ძიებაში დამარცხდა მწერალი. მისი თქმით, ბევრგან უღალატა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ო. ჩხეიძეს ზომიერების გრძნობამ.

იგი საუბრობს რომანის თემაზე. ესაა ხალხურ ხელოსანთა ცხოვრება, რომელიც საქართველოში უხსოვარი დროიდან არსებობდა. ავტორს კი მხოლოდ და მხოლოდ „მათი ახლანდელი მდგომარეობის თავისებური მხატვრული გააზრება უცდია“.

რომანის გადარჩენის მიზნით ს. ჩიქოვანი მის თემად ასახელებს არა საკოლმეურნეო მნიშვნელობის ან უშუალოდ კოლმეურნეთა შრომითი ცხოვრების უარყოფითი ფორმით ჩვენებას, არამედ „ერთი ხალხური ხელოვანის ცხოვრებისა და თანამედროვეობაში ამ ხელოვანის ბედის გარკვევას“.

ს. ჩიქოვანისგან განსხვავებით, შემდეგი გამომსვლელი, ბ. ჟღენტი, იდეური მიზანდასახულობის მიხედვით, საძირკველშივე მცდარ ნაწარმოებად მიიჩნევს ამ რომანს. „ეს არ არის მართალი სურათი ჩვენი სინამდვილისა, იგი არ ხატავს ჩვენი ცხოვრების სიმართლეს და არ ითვალისწინებს მის პერსპექტივას. მისი იდეური კონცეფცია არ არის სწორი. მხატვრული თვალსაზრისითაც იგი ყალბი და მიუღებელია. ცუდი ენითაა დაწერილი“, - აღნიშნავს აღშფოთებული კრიტიკოსი.

მისი თქმით, ო. ჩხეიძემ „შემოქმედებითი მარცხი განიცადა“.

მიზეზად მწერლის სერიოზული შეცდომებისა ბ. ჟღენტი ასახელებს „უკონფლიქტობის თეორიის“ არასწორ გაგებას.

ო. ჩხეიძესაც თურმე მცდარი წარმოდგენა გაუჩნდა, რომ თითქოსდა დადგა დრო, როცა მწერლობაში გასაქანი და უპირატესი ადგილი უნდა დაეთმოს ბნელი მხარეების წამოწევას, ამიტომაც „მეჩეჩში“ მან უარყოფითად, ნეგატიურად გამოსახა ცხოვრება, საბჭოთა სინამდვილე.

საერთოდ, ბ. ჟღენტი დიდ შეცდომად მიიჩნევს რომანის ამ სახით გამოქვეყნებას, რადგან „ესაა რომანი, რომელიც მრუდე სარკეში, ყალბად ასახავს თანამედროვეობას, რომანი იდეურად მცდარი და მხატვრულად სუსტი ნაწარმოებია“, - იმეორებს „ბურუსის“ მიმართ გამოთქმულ ბრალდებას კრიტიკოსი.

„მეჩეჩის“ ირგვლივ გამართული დისკუსია შეაჯამა ს. ჭილაიამ და აღნიშნა რომ „მეჩეჩი“ ავტორის სერიოზული იდეური შეცდომაა. „ავტორი, ალბათ, გაიზიარებს აქ გამოთქმულ კრიტიკულ შენიშვნებს და გადასინჯავს თავის პოზიციას“.

ბრალდებულსაც მიეცა სიტყვა. იგი იძულებული გახდა, პირობა მიეცა კრიტიკოსთათვის, რომ „შეასწორებდა“ ნაწარმოებში დაშვებულ შეცდომებს, მაგრამ ასე მოიქცა მხოლოდ და მხოლოდ ბრალდებებისაგან თავის დასაღწევად, რაც იქიდანაც ცხადი ხდება, რომ მთელი ყურადღება რომანის მხატვრულობაზე გადაიტანა და თავისი მარცხიც ამას მიაწერა.

ო. ჩხეიძის თქმით, იგი მხოლოდ ქართველი ოსტატის ბედის დახატვას ისახავდა მიზნად და ამიტომაც გაუგებარია ორატორთა ერთი ნაწილის მიერ ამ რომანის სხვადასხვაგვარი ახსნა.

აი, რას გვეუბნება მწერალი თავისი შეცდომის მიზეზებზე: „მე არ მინდოდა, ჩემი გმირი უცებ და ერთი ხელის დაკვრით გარდაქმნილიყო, რადგან სხვა ფორმაციიდან, საუკუნეობით განმტკიცებული ტრადიციებიდან მოსული ადამიანები უცებ ვერ გარდაიქმნებიან ხოლმე. უთუოდ აქ ჩავვარდი წინააღმდეგობაში. აქ მომივიდა მწარე შეცდომა, როგორც მხატვარს, რაზეც უნდა ბევრი ვიფიქრო ამ ნაწარმოების შესასწორებლად“.

როგორც ვხედავთ, მწერალი თავის თავს მხოლოდ იმაში ადანაშაულებს, რომ მხატვრულად არასწორად გაუაზრებია ეს რომანი. მაგრამ მისი შესწორებისა და „მცდარი პოზიციის“ გადასინჯვის ნაცვლად „მეჩეჩს“ კიდევ ერთი სატირული ნაწარმოები - „ცთომილნი“ მოაყოლა. (აქედან ცხადია, რამდენად ადანაშაულებდა თავის თავს); ეს უკვე მეტისმეტი აღმოჩნდა. „მნათობის“ აწყობილი ნომერი დაშალეს, რომანი ამოაგდეს და მისი რედაქტორი - ს. ჩიქოვანი (კაცი, რომელმაც „მეჩეჩი“ და „ბურუსი“ დაბეჭდა) გაანთავისუფლეს.

იმდენად ძნელი დასაჯერებელი იყო საბჭოთა იდეოლოგიის გაბიაბრუება კომუნისტური რეჟიმის მძვინვარების ხანაში, ბევრს მაინც გონია, რომ მწერალს ეს გამიზნულად არ გაუკეთებია, შემთხვევით ზომაზე მეტად „გაამუქა ფერები“ და საბჭოთა ადამიანების ბედნიერი ცხოვრების დახატვის ნაცვლად მეჩეჩზე გარიყული ხალხის ტრაგიკული ყოფისა და უპერსპექტივო მომავლის წარმოსახვა გამოუვიდა.

ასე ეგონა ქართული ემიგრაციის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელსაც - ალექსანდრე მანველიშვილს - ცნობილ მკვლევარს, პუბლიცისტს, პოლიტიკოსს, ორგანიზაცია „თეთრი გიორგის“ იდეოლოგს, რომელმაც 50-იანი წლების ბოლოს სპეციალური გამოსვლა მიუძღვნა ო. ჩხეიძის რომანს „მეჩეჩი“, რადიოსადგურ „კავკასიონში“ და „ქართველი პასტერნაკიც“ უწოდა მას, თუმცა, მისი აზრით, ო. ჩხეიძეს „შემთხვევით“ გამოუვიდა რომანი ასე მძაფრი.

როგორც ალ. მანველიშვილი აღნიშნავდა თავის რადიოგამოსვლაში, „ცნობილია, რომ საბჭოთა სამოთხეში რომანიც ბრძანებით იწერება. ბრძანების პირველ მუხლში ნათქვამია, რომ უნდა სწეროთ საბჭოთა სინამდვილეზე და უნდა იყოთ რეალისტი“.

საერთოდ, ალ. მანველიშვილმა სწორად შეაფასა რომანის ღირებულება და მასში წარმოჩენილი საბჭოური სინამდვილის კრიტიკის მნიშვნელობა.

ქართველ მწერალთა V ყრილობაზე მწერალთა კავშირის I მდივნის - ირ. აბაშიძის - გამოსვლაში მხოლოდ და მხოლოდ „მეჩეჩი“ გამოცხადდა მანკიერ ქმნილებად: „ო ჩხეიძის რომან „მეჩეჩში“ ჩვენი საზოგადოებრივი განვითარება მრუდე სარკეში დანახული... მწერალი იყენებს მხოლოდ მუქ საღებავებს და პიროვნების კულტთან ბრძოლის საბაბით ნიჰილისტურად შეჰყურებს ყველაფერს, რაც კი ჩვენში შექმნილა და გაკეთებულა. იგი ჩვენს სინამდვილეში ვერ ხედავს პოზიტიურ ძალებს, რომლებსაც შეეძლოთ ნაკლოვანებათა დაძლევა, სიძნელეთა გადალახვა და ყველა გმირში გულგატეხილობის სულისკვეთებას ავითარებს. ავტორის შეცდომაა, რომ ცალკეულ ბიუროკრატებს, მექრთამეებს, მლიქვნელებს, უსულგულო ადამიანებს განაზოგადებს და მთელ საბჭოთა საზოგადოებად წარმოიდგენს. ო. ჩხეიძეს მართებს, რაც შეიძლება საფუძვლიანად გადახედოს თავის იდეურ-შემოქმედებითს პოზიციებს და წერის მანერასაც, ვინაიდან, როგორც მას სამართლიანად მიუთითეს ამხანაგებმა „მეჩეჩის“ განხილვის დროს, ნაწარმოების ენაც ყალბი და მიუღებელია“. („ლიტერატურული გაზეთი“, 1959 წ. 23 იანვარი).

მაგრამ ოთარ ჩხეიძე, მიუხედავად ხშირი „რბევა-დაწიოკებისა“ კრიტიკოსთაგან და სიკვდილ-სიცოცხლის მღვარზეც ბევრჯერ დგომისა, მაინც ჯიუტად მიუყვებოდა მის მიერ ერთხელ არჩეულ გზას და არასოდეს უწევდა ანგარიშს ლიტერატურაში პარტიულ-კლასობრივ ინტერესებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსუდან ნიშნიანიძე

# კონსტანტინე გამსახურდიას ნოველა „დიდი იოსები“

„იჯდა და სტიროდა ჩუმად, ადგილის დედას მიაგავდა საქართველოჯსას, საკუთარი შვილების მიერ გაძარცვულსა და ყელგამოჭრილს“.

ეს სიტყვები და საერთოდ, ნოველა „დიდი იოსები“ 1926-27 წლებში იწერებოდა. დაიბეჭდა ჟურნალში „ქართული მწერლობა“ 1929 წ. №№5,6-7. ნაწარმოების შესახებ არაერთი მცირეფორმიანი წერილი თუ სტატია გამოქვეყნდა. ლიტერატურულ კრიტიკაში არაერთგზის გამოითქვა მოსაზრება, რამდენად შეესაბამებოდა ნოველის კატეგორიას ისეთი ნაწარმოებები, როგორებიცაა: „ხოგაის მინდია“, „ქოსა გახუ“, „დიდი იოსები“. ამგვარ შემთხვევაში უპირატესობას მწერლისეულ განსაზღვრას მივანიჭებდით. „იმ ხანებში მე არც კი მეგონა თუ მოვლენები ისე გადაეკვანძებოდნენ ერთიმეორეს, და დასასრულ იმდენი მასალა ჩამივარდებოდა ხელში, რომ ერთი ნოველის ინვენტარად მეყოფოდა“, აცხადებს თავად.

ნაწარმოებში კონკრეტიზებულია გეოგრაფიული ადგილი და დრო.

„მეკურტნე იოსებმა საოცარი რამ ნახა თავისუფლების მოედანზე 25 თებერვლის ღამეს“.

რა უნდა ენახა პერსონაჟს ასეთი გასაოგნებელი. რისი თქმა უნდა მწერალს. კონკრეტულიდან – სიმბოლური მინიშნება: „თვალები ქალაქის საათის ციფერბლატს მისჩერებოდნენ. ელოდნენ ათასების თვალები: როდის დაჰკრავდა თორმეტჯერ“; ანუ თავისუფლების მოედანზე 25 თებერვალს ათასებისათვის თავისუფლება მთავრდებოდა.

აფორიაქებული იყო მთელი დედაქალაქი – დიდიდან-მცირემდე. ნოველაში ტექსტი და ქვეტექსტი ერთნაირად მნიშვნელოვანია: ეროვნული პრობლემა, სოციალური მომენტი, რამდენიმე ადამიანის ბიოგრაფია. პარალელურად ციკლური განვითარება არა სხვადასხვა თემისა, არამედ ერთიდან გამომავალი ნაირგვარი ასპექტი. საინტერესოა, როგორ არის აგებული კომპოზიცია.

„– აბა რა ეგონა მაგ ნაცარქექიას, ბაგრატიონების გვირგვინი არც ისე იოლი სატარებელია! – მოშაინესავით ეუბნებოდა შავფაფახიანი კაცი შავბლუზიანს“.

საუკუნის დასაწყისში ფიგურალურად ბაგრატიონთა გვირგვინს ის ატარებდა, ვინც იმჟამად ქვეყანას მართავდა. ხელისუფლება კი გაიქცა. ქალაქი ბუდეანგრეულ ადამიანთა საცხოვრისს დაემსგავსა. არავითარი შელამაზება უხეში ყოფის:

„გარბოდნენ ბარგით დატვირთული ქოკეიანი, ბლუზიანი მოქალაქეები, მიჰქროდნენ ეტლები, ზუზუნებდა მოედანზე მდგარი ბრბო, გასცქეროდა ქალაქის გამგეობის აივნებს, ყაყანებდა როგორც პილატეს მომლოდინე ებრაელობა პარასკევს“. რას ელოდა ერი პილატესგან, რა მოხდა პარასკევს?

იოანეს სახარება, თავი – 19:

14. იყო პასექის პარასკევი, ასე მეექვსე საათი. და უთხრა იუდეველებს: აჰა, თქვენი მეუფე!

15. ხოლო ისინი აყვირდნენ: წაიყვა, წაიყვა, ჯვარს აცვი იგი!

უთხრა მათ პილატემ: თქვენი მეფე ჯვარს ვაცვა?

კონსტანტინე გამსახურდიას არცთუ შეფარული პარალელი – ჯვარცმული ქვეყანა.

რეალობის ტრაგედიის აღქმა ნოველაში აქცენტირებული არ არის, ეს ცხადი განცდა მოვლენათა განვითარებასთან ერთად გროვდება. აქ არ არის მტრის განზოგადებული სახე, რომელიც ქალაქს დასხმია თავს; არის კონკრეტული მოწინააღმდეგე: „წითლები“, ბოლშევიკები მოდიან“. უნდა აღინიშნოს, რომ ნაწარმოებში გაშლილი ეს თემა საინტერესოა არა მხოლოდ მხატვრული, არამედ ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც. როგორ კეთდება არჩევანი.

ამ უამრავ ადამიანთა ერთობიდან ნოველაში ორი გამოიკვეთება: ერთი, რომელიც გარბის, ოჯახის უფროსი და მეორე, რომელსაც დახმარებას სთხოვენ, დიდი იოსები. მიდის ოჯახი. მწერალი ნერვიულ გარემოს აფორიაქებული ადამიანების განცდებით გადმოსცემს: „თმაგაწეწილი ნამტირალევი ქალები ფეხმორთხმული უსხდნენ ვაშკარანებს“, „ჭირვეულობდა შავგვრემანი ბიჭუნა, ცრემლები ნიკაპთან ესკვნებოდა“, „ოჯახის მამა ლენცოფანაჭამსავით დარბოდა ოთახში, აღებდა კარადებს, მაგიდის უჯრებს, როცა გასაღებს ვერ პოულობდა, ჩაქუჩით ამტვრევდა მათ,“ „ყველა შფოთავდა, ყველას ხელი უთრთოდა, მუხლები ეკვეთებოდა“. მიდიან და მიაქვთ ოჯახის სიმდიდრე, განძეული,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც მხოლოდ ერთი მოსახლის საკუთრებას არ წარმოადგენს, ეს საგვარეულო მატერიალური მეხსიერებაა. ოჯახის წევრები ერთ კედელს არ შეხებიან მხოლოდ; კედელს, რომელზეც „ფარი ეკიდა უშველებელი, მის გარშემო ძველებური გამნექილი ხმლები, დაჟანგული დამბაჩები, წათი, შუბი, წერაქული, საპირეები, საფალიები...“ არც ახლა სჭირდებათ ამ ადამიანებს ეს ნივთები და რადგან არც თან იახლებენ ე. ი. არც მომავალში დასჭირდებათ.

ნაწარმოების მთავარი გმირი მეკურტნე იოსები ქველიძეა („კურტანი! ნეტავ ვის მოუვიდა პირველად თავში ასეთი ბარბაროსული აზრი“) წარმოშობით რაჭველს მშობლიურ კუთხეში აღარაფერი დარჩენია. ორიოდე გოჯი მიწისთვის ძმიშვილებმა ლამის „ლენჩად“ გამოაცხადეს. მას არც შვილი ჰყავს და არც ოჯახი. პერსონაჟის პორტრეტს არაერთგზის ხატავს ავტორი, მაგრამ ამჯერად ეს არ გულისხმობს სახის კონკრეტული ნაკვთების დეტალურ აღწერილობას, ამ შემთხვევაში ფიზიკური და სულიერი აღნაგობის გარკვეული სინთეზი ხდება:

„...უხილავი ფლუიდების სახით ვრცელდებოდა მათზედაც ის სულიერი სიმშვიდე, ამ ლომივით მსხვილთავიანი პანტასავით სახემჭკნარი მოხუცის მზერიდან რომ იფრქვეოდა“.

ან: შესცქეროდა „დიდი იოსების დინჯი დუმილით მეტყველ სახეს, გაურანდავ გრანიტსავით ცივსა და მოუხეშავს“.

დიდ იოსებს აურაცხელი ქონება არ გაჰკვირვებია. იგი წესიერი ადამიანია, რომელსაც სხვისი სიმდიდრისაკენ თვალი არ გაექცევა.

ნაწარმოების დასაწყისშივე პერსონაჟი სხვა რამემ გააოგნა:

„მეკურტნე გაოცებული შესცქეროდა კაცის სიმაღლე ფოლადის რაინდის მანეკენს“. მართალია, ფიტული ორივე ხელით ხმალს იყო დაბჯენილი, მაგრამ როგორც ნოველაში ვკითხულობთ: შორიდან ვერ ჰხედავდა იოსები სახე თუ ჰქონდა ამ ფოლადის კაცს, თვალები თუ გააჩნდა, ან სული თუ ედგა“. ცარიელ სახლში მობრუნებული მეკურტნე კიდევ ერთხელ მიაპყრობს ყურადღებას მას: „იდგა მდუმარედ ფოლადის რაინდი და ნაღვლიანად გასცქეროდა გაპარტახებულ, მიტოვებულ ოჯახს“.

მალე დიდი იოსებისათვის ცხადი გახდა, „რატომ კანკალებდნენ შიშისაგან 25 თებერვლის ღამეს ქუჩებში მოლაშლაშე მოქალაქენი“. ის, ვისაც სხვისი ქონებისაკენ თვალი არ გაქცევია, ამასთან, ღირსების იმდენი შეგნება ჰქონდა, რომ სხვის ნასუფრალზე არ გაეგრძელებინა ჭამა, საერთო ისტერიულ ატმოსფეროში მოხვედრილი უკვე ემსგავსება სხვებს. მათ, ვისაც მაუდის გორგალი მოუპარავთ, ან მას, ვინც ქუჩაში საწერ მანქანას მიათრევს. ყავარჯენმომარჯვებული გამოუდგება იოსები ბიჭს იმ ეჭვით, ფულის სალარო ხომ არაა მოპარული. მას ნივთი არ უნდა. ფული ესაა – მიზანი. ჯერ სადგურის ქუჩაზე ბავშეთა სათამაშოების მაღაზიაში აიღებს რამდენიმე დაჭმუჭნილ ათასმანეთიანს, მერე კი თანდათან სხვისი ქონების ფლანგვას მიჰყოფს ხელს.

„მე მუშა აღარა ვარ“, – ეს სიტყვები მხოლოდ იმას კი არ აღნიშნავს, რომ იოსები ამ საქმიანობას აღარ ეწევა, არამედ იმ მდგომარეობასაც, როცა აღარ უნდა და ფიქრობს, აღარ შეეფერება სიტყვა „მუშა“.

„ამ ბატონურმა დარბაზებმა, ამ საუცხოვო ავეჯმა, ბრჭყვიალა ლუსტრებმა, ხავერდის პორტიერებმა, აზნაურულმა ჩოხა-ახალუხმა, მონადირე ძაღლმა, აუარებელი სიმდიდრის დაუფლებამ დიდი იოსები წამიერად გარდაქმნა“. მართალია, არც მისი ამგვარი ზღაპრული სიმდიდრის შესახებ იცის ვინმემ და ვერც ჩოხა-ახალუხის ჩაცმას ახერხებს ქუჩაში გამოსაჩენად, ისედაც ირონიული ღიმილით აყოლებენ თვალს ჯიშიან მეძებართან მოსეირნე ძონძებიან მეკურტნეს, ეუცხოებათ, მაგრამ მარტო დარჩენილს ეს ყველაფერი ხომ აქვს. კაცს, რომელსაც თავისი არაფერი დაჰკარგვია (რაც არ გააჩნდა, რას დაკარგავდა,) ახლა სხვისი ქონების (რომელიც გაითავისა) დაკარგვის პანიკური შიში მოიცავს ცხადსა და სიზმარში.

ცნობილი ფაქტია, რომ ყოველ ომს არეულობა, უწესრიგობა და ქაოსი მოჰყვება. მაშინვე გამეფდება დაუსჯელობის სინდრომი, როცა ყველას ყველაფერი შეუძლია, პასუხს არავინ მოსთხოვს. ძალადობის შედეგი კი რა ნიღბითაც უნდა მოღიოდეს, არ შეიძლება, დადებითი იყოს. ამ განუკითხაობაში არა მხოლოდ უკეთური აღზევდა, კეთილიც შეიცვალა.

სიზმარი მნიშვნელოვან დატვირთვას იღებს ნაწარმოებში. განსხვავებული ეპიზოდები სხვადასხვა სიმბოლური ჩანაფიქრის მომცველია. განირჩევა რაობითაც – ზოგი მშვიდია და სასიამოვნო, ზოგიც კოშმარი. „სიზმარი ღრმა ფსიქიკური მოვლენაა, მუდამ პირობითი შიფრის შემცველი. მასში ვლინდება არაცნობიერი მოტივები, ფარული და რეპრესირებული სურვილები, რადგან ცნობიერება თავისუფლად მოძრაობს და ყოველგვარი ბარიერი მოხსნილია“ (ფროიდი) პირველად ზმანებული სიზმარი თავმოყვარეობას უსალბუნებს იოსებს. ფოთის ნაპირთან მომდგარი უზარმაზარი გემის უფროსი პირადად მას მიართმევს მთელ გემ თუთუნს. ცხადში მიღებულმა ინფორმაციამ არაცნობიერში გააგრძელა არსებობა (ბოლშევიკები მუშებს ყველაფერს დაურიგებენ). სხვა შემთხვევებში ღამეული კოშმარები აღარ ასვენებს, როცა მთვრალს ფოლადის რაინდის სახით სახლის პატრონი ეცხადება. ერთი ასეთი შემოტევის შემდეგ თავზარდაცემული თავად შემოუძღვება მეზობლებს, რასაც შედეგად მეორე დღეს მისთვის სახლის ჩამორთმევა მოჰყვება. ნადავლი ბინა ჩაიბარეს, „ხოლო თავად

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი იოსები მეეზოვედ დააყენეს“. ახლა მის ძველ საქმეს (პროფესიას) ახალი ხალხი ასრულებს – იემიდები, ან უმრავლეს შემთხვევაში, ავტომობილები. ცხოვრებისეული ცვლილება ადამიანის გარეგნობამეც აღიბეჭდება, ასე მოხდა ამჯერადაც. მწერალი საჭიროდ მიიჩნევს იერშეცვლილი გმირის პორტრეტი კიდევ ერთხელ დაანახოს მკითხველთ: „ფუნჯებივით წარბებს დაეჩრდილა მისი ჭროღა თვალები. ულოსავით დაგრეხილ ულვაშებს ტუჩები დაებურდათ. საბრალოდ მოკუნტული იყო მისი მორგვივით მსხვილი, უფორმო ტანი, უშველებელი მოკლე ხელები ღრიანკალივით დაღვარჭნილ მუხლის თავზე შემოეხვია. ამ წუთში იგი რომელიღაც უხეირო, ბობღია მგლის ცხოველს მიაგავდა“. კეთილშობილება ნელ-ნელა ჩამოსცილებია შესახედაობას.

ფუნქციადაკარგული იოსები ერთ სტუდენტს დაუამხანაგდება – გივის, მართალია მწერალი წერს, სტუდენტი იყოო, მაგრამ იქვე აღნიშნავს, რომ „გარეგნობით... სტუდენტს არა ჰგავდა, უფრო მეტად – მოლარეს, მუშკოოპის ნოქარს, ან რომელიმე საქმიან, საბჭოთა მოხელეს“. მისი მეშვეობით უნდა იოსებს ფულის დაგროვება და მოგებულით ახალი სახლის ყიდვა, ის კი არ იცის, „ჯერაც არ აგებულა ამ მიწაზე ისეთი სახლი, ადამიანის ოცნებად რომ ღირდეს“. სტუდენტი გივი, რომელიც ყოველ კვირას ფოქსტროტის მოცეკვავე უამრავ სტუმართან ერთად ქეიფობს, საყვარელი ქალებისათვის (რომელთაც მწერალი ერთ სიტყვას არქმევს: „ხასა“ და ეს უკვე შეფასებითი კატეგორიიდანაა) უძვირფასეს საჩუქრებს ყიდულობს, სარგებლობს დიდი იოსების სისუსტით და ყალბ ფულებს მისი მეშვეობით ასაღებს; მაგრამ ეს პერსონაჟი არ გახლავთ ცალმხრივად უარყოფითი. მას საინტერესოდ შეუძლია ისაუბროს სიკვდილის თეთრ ნიღაბზე, მთვარეზე. ბევრ მოვლენაზე საკუთარი პოზიცია და მოსაზრება გააჩნია. ნაომარს, „წითლების ტანკებისა“ და „იმ“ ადამიანებისათვის ვერ უჯობნია. გამწარებულს თავისი თვალით უნახავს, რომ „სანიტარულ ეტლს დაეცა ყუმბარა და თვრამეტი წლის ქალწული, შროშანივით ნაზი არსება, ჭიანჭველასაც რომ არ გასრესდა ფეხით, აიტაცა ასეთმა ყუმბარამ და იმ ადგილზე მხოლოდ ადამიანის სხეულის ნამუსრევები ვიპოვნეთ მერმე“.

18 წლის მოწყალების დის სახება ხომ იმ უამრავ გმირულად დაცემულ ქალწულთა შორის ჩვენს მეხსიერებაში ერთს დაიტევს და ამოატივტივებს. გოგონა, რომლის მშობელი მამის დატირება გოდებასავით გადაუვლის მთელ საქართველოს:

„ჩემო გმირო და წმინდანო, გამამხნევე
მშობელი...
სამშობლო თუ შენ – რომელი, ახ, ვიტირო
რომელი?!
დავდნი ცრემლად ორივესთვის, სხვათა
ცრემლთა მშრობელი!“
(კ. მაყაშვილი).

უსამშობლოდ, უიდეალოდ დარჩენილი გივის საქციელი გასამართლებელი შესაძლოა არ იყოს, მაგრამ გასაგები კია.

ნოველაში ავტორ-პერსონაჟი მოქმედებს, რომელსაც თვალსაწიერზე ჰყავს თავისი გმირები. უყურებს მათ: „დიდი იოსები მე თავათ მინახავს მრავალგზის...“ ერთი შეხედვით ის მხოლოდ დამკვირვებელია და აღმნუსხავი, ერთადერთხელ ჩაერევა, გამოედევნება გმირს და ფინალიც დგება. იმის დასასრული, რასაც გულმოდგინედ აღწერდა.

„დიდი იოსები“. რატომ დაასათაურა მწერალმა ნოველა ამგვარად: იქნებ იმ ფიზიკური აღნაგობის გადმოსაცემად, იოსებ ქველიძეს მეორე, მისი სეხნიისაგან გამოსარჩევად „დიდი“ რომ დაარქვეს თანაქალაქელებმა, ან ეგებ ეს ერთგვარი მწერლური ფანდი თუ ხერხი იყო მკითხველისათვის, 1929 წელს დაბეჭდილი ნაწარმოების წასაკითხად გამზადებულთათვის, „დიდი იოსების“ ეპითეტი საბჭოთა კავშირში მხოლოდ ერთ ადამიანს რომ მიესადაგებოდა.

კიდევ ერთ პერსონაჟს გამოჰყოფს ავტორი, თუმცა მასზე ქვემოთ.

ანა ახმატოვა კრიტიკოსების გასაგონად ამბობდა თურმე: „იმის ამოცნობას კი ნუ ცდილობთ, მე რა მინდოდა მეთქვა, არამედ ის თქვით, თქვენ როგორ წაიკითხეთ“. ამდენად, მხატვრულ ნაწარმოებს ერთმნიშვნელოვანი გააზრება ან განმარტება არ ეძლევა. ხშირად ძნელია კატეგორიულად იმის ახსნა, რისი თქმა უნდოდა ავტორს.

ნაწარმოების ფინალთან დაკავშირებით შესაძლოა, მართალი იყოს მკვლევარი, როდესაც წერს: „ეს კალაპოტიდან ამოვარდნილი (იგულისხმება დიდი იოსები – რ. ნ.), საკუთარი სინდისის მსხვერპლი მანქანამ გასრისა, სწორედ მაშინ, როცა ყალბი ფულით სავსე ჩემოდანი დანიშნულების ადგილზე მიჰქონდა“ (რ. მიშველაძე).

ან მეორე მოსაზრება: „მეკურტნე ავტომობილმა გაიტანა. ეს სიმბოლური აქტია: ძველს სპობს ახალი. კომპრომისი მხოლოდ დროის ფაქტორია. ქამი გაივლის და ის, რაც ახალ ცხოვრებას არ მიიღებს ან ვერ მიიღებს, აღიგვება მიწის პირიდან“. (ს. სიგუა).

ან კიდევ მესამე: „მწერალი სიმბოლურად ნათელყოფს, რომ ავისმქნელს მუდამ დასდევს ბედიმდევარი, რომელიც მკაცრად მოჰკითხავს მას ავკაცობისათვის (რ. დევდარიანი).

როგორც აღვნიშნეთ, არაერთი თვალთახედვითაა ნაწარმოები საინტერესო. გარემო ვითარება ხშირ შემთხვევაში ზემოქმედებს პიროვნებაზე, რომელსაც სულის სიმტკიცე (ან სიძლიერე) არ მოუპოვებია. ისიც ითქვა, რომ ქალაქში ყველა იცნობდა დიდ იოსებს, „არა ერთხელ ენახათ დღე და ღამ ქუჩის კუთხეში ატუზული, მეტად კეთილი და დარბაისელი ვინმე უნდა ყოფილიყო“. ასეთად იცნობდნენ. ამ კაცის ცვლილებაც ყველამ შეამჩნია,

მაგრამ მის პატიოსნებაში ეჭვი არავის შეჰპარვია. ავტორი და პერსონაჟი უძიროების ოსტატის დუქანში ხვდება ერთმანეთს. ხუთასათასიანი ბონის გადახურდავების შემდეგ, ოსტატს იოსების ვინაობას განზრახ დაეკითხება და ასეთ პასუხს მიიღებს:

„ეგ ერთი რაჭველია, ძველად მეკურტნედ იყო, ახლა ბაზარში ფულებს ახურდავებს".

დუქანში „ნოეს ვაზი" გვიც ასე აცნობს თავის საყვარელს: „მთელი ბაზარი იცნობს" და რაც ყველაზე შემზარავია: „მუშტარიც ენდობა მას." ნდობა - ეს უდიდესი ადამიანური თვისება, რომელიც ღმერთისაგან შექმნილს სხვა სულიერთაგან გამოარჩევს. სისტემა ნელ-ნელა დაიწყებს უნდობლობის თესვას, ადამიანები აღარ მიენდობიან ერთმანეთს, პირიქით, ეცდებიან, დაასწრონ ერთმანეთს დაბეზღება, რათა მოსალოდნელი თავისმართლება აიცილონ.

დიდი იოსები სარგებლობს ადამიანთა ნდობით და სანაცლოდ, მათში ავრცელებს სიყალბეს.

მწერალი უმზერს დიდ იოსებს და ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყვება უკან, ის კი შეამჩნევს, რომ უთვალთვალებენ და გარბის. ძაღლის მიშველებისას ავტომობილი გასრესს. მოქმედება დასრულდა. მინაწერი კიდევ ერთი განმეორებაა არა სიუჟეტური, არამედ ლოგიკური ფინალისა:

„როცა შოფერმა უკუაქცია მოტორი, მილიციელზე ადრე მე მივვარდი დიდი იოსების გათელილ ცხედარს, ყვითელი ჩემოდანი ხელში ავიღე და გავხსენი თუ არა, წამსვე მეცნაურა ბუსუსიანი, ყალბი ბონების დასტა."

კიდევ ერთი პერსონაჟი, რომლის აჩრდილი ლაიტმოტივად გასდევს მთელს ნოველას და ამდენად, ვფიქრობ, ძალზე მნიშვნელოვანია. ესაა მოხუცებული ქალი, რომელსაც თვალის ჩინი წართმევია, ამ ქაოსსა და უბედურებაში აღარაფრის გარჩევა რომ აღარ ძალუძს, უმწეოდ იშვერს ხელებს და ორად-ორ სიტყვას ბუტბუტებს სასოწარკვეთილი: „გამქურდეს, მიშველეთ", მაგრამ ამ ოროტრიალში მის გასაკითხად არავის სცალია. ბოლოს, უცნობი ბაღის სკამზე ჩამოსვამს: „იჯდა და სტიროდა ჩუმად, ადგილის დედას მიაგავდა საქართველოჯსას, საკუთარი შვილების მიერ გაძარცვულსა და ყელგამოჭრილს."

„ის მოხუცი მეც შემხვდა", - დაწერს მწერალი, სხვებსაც შეხვდებოდა, ყველას შეხვდებოდა იმ დღეს, დღეს, როცა ფასეულობებმა თავისი ღირებულება დაჰკარგეს და რაც შეიძინეს, იმასაც გროტესკული სახე მიენიჭა. გარეთ ქუჩაში სხვადასხვა რჯულის, ქონების, რწმენის ადამიანი დადის აფორიაქებული, დუქანში კი ასევე არაერთი ეროვნების და მრწამსის ადამიანი ზის ერთმანეთის გვერდით, იმ სურათების ფონზე კედლები რომ დაუფარავს. და ავტორიც უმალ აღწერს: „თმა გაჩეჩილი, შავწვერა შექსპირი უფრო ძველი დროის დალაქს მიაგავს, ვიდრე მწერალს, სოკრატი ძლიერ უტვინო და ფრიად კეთილ პაპს წარმოადგენს. ლერმონტოვი გურულ ფირალსავით აბრიალებს თვალებს. გალილეის ყოფნის სასწორი უჭირავს ხელში. დავით აღმაშენებელს მიტროპოლიტის კათხის მაგვარი გვირგვინი ახურავს, ჩარლზ დარვინი თათრის მოლა გეგონებათ, თამარ დედოფალს ბისონის კაბა აცვია, მაგრამ იგი მკლავებწაკარწახებულ ქალაქელ პატარძალს უფრო მიაგავს.

რატომღაც ამ საზოგადოებაში მოხვედრილან სომხის მწერალი რაფი და მედუქნის პაპა - მუკიჩ ნერსესიან, რომელსაც იმდენი სინდისი კიდევ შერჩენია, რომ ფრიად შემაძრწუნებელი თვალებით გადასცქერის თავის მეზობლებს".

აღრეული თანასწორობა. განურჩევლად ყველა ერთმანეთის გვერდით. მთავარია შემდგომ, ვინ როგორ დამსახურებას „მოიპოვებს" ხელისუფლების წინაშე. რა დასჭირდება ახალ ქვეყანას, როგორი იდეალები ექნება და როგორი გმირები ეყოლება. ერთი რამ კი მწერლისთვის უკვე ფაქტია: გაქრებიან ტფილისელი ამქრები, ხელოსნები, ოქრომჭედლები, მეთულუხჩეები, თერძები, მეუნაგირეები... და ამ ჩამონათვალში სხვადასხვა განმარტების გვერდით არცთუ უმტკივნეულოც: „ქართული უნაგირი ქართულ წითელ კავალერიას აღარ სჭირდება". სახელი-და შერჩება მხოლოდ ეროვნული, საქმიანობა კი საქართველოს აღარ წაადგება.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლანა კალანდია



## სიტყვა „სიტყვების“ შესახებ

ჟურნალ „ცისკრის“ 1996 წლის მე-3-4 ნომერში გამოქვეყნდა ზაზა თვარაძის მოთხრობა „სიტყვები“, რომელიც მნიშვნელოვანია არა მხოლოდ როგორც თავისთავად ღირებული მხატვრული თხზულება, არამედ როგორც ტექსტი, რომელშიც მკაფიოდ აისახა მოდერნიზმის შემდგომი ლიტერატურული პროცესებისათვის დამახასიათებელი არსებითი ხასიათის ტენდენციები. მართალია, ნაწარმოების მიკუთვნება რომელიმე ესთეტიკური რიგისადმი იმთავითვე გულისხმობს გარკვეულ პირობითობასა და კომფორმიზმს, რადგან კულტურის მოვლენები იშვიათად თავსდებიან ესთეტიკური კატეგორიების პროკრუსტეს სარეცელზე, მაგრამ, ვფიქრობთ, აღნიშნულმა ფაქტმა არ უნდა განაიარაღოს და განაწყოს მკითხველი პასიური მჭვრეტელის უკონფლიქტო როლისათვის. რელატიური (და არც ერთ შემთხვევაში აბსოლუტური) მიმართება მხატვრული ტექსტისადმი, ცხადია, საფუძველშივე უარყოფს უკიდეგანო თავისუფლებას და გარკვეული კულტურული არეალის საზღვრებში მუშაობას გულისხმობს. ეს საზღვრები კრიტიკოსისათვის თვით მწერლის მიერაა მონიშნული და ნაგულისხმევი.

ზაზა თვარაძის „სიტყვებში“ გარკვეული კულტურული შრეებისა და მათი ურთიერთმიმართების გააზრება ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი უნდა იყოს, რადგან ვფიქრობთ, რომ 90-იანი წლების მიჯნაზე ქართულ ლიტერატურაში მოსული თაობის ესთეტიკური ორიენტირები სწორედ იმ კულტურულ სივრცეებთან მიმართებაზეა დამყარებული, რომლებიც თავისებურად აისახა და უკიდურესად ინდივიდუალური მხატვრული პროექტით განხორციელდა ზაზა თვარაძის შესანიშნავ „სიტყვებში“.

ნაწარმოების სათაურით „სიტყვები“ მწერალი იმთავითვე „სიტყვასთან“, ლინგვისტურ მასალასთან საკომუნიკაციოდ განაწყობს მკითხველს. თუ ხელოვნების ქმნილებას უმაღლეს სულიერ პროდუქციად (ბარტი) გავიზიარებთ, მას, როგორც ნებისმიერ მატერიალურ პროდუქტს, სჭირდება „მარკირება“ (სათაური), რომლის გავლითაც მივა მყიდველამდე (მკითხველამდე). „მარკირებაში“ წინასწარვეა კოდირებული გარკვეული შინაარსი ან ძირითადი ტენდენცია მაინც (თუმცა ხშირად მხატვრული ტექსტი სწორედ ამ აპრიორული გარკვეულობის რღვევისკენ არის მოწოდებული). ამ აზრით, „სიტყვები“ ენობრივი მატერიის სოციალური თუ ესთეტიკური ფუნქციების გააზრებისთვის ამზადებს მკითხველს. ის, თუ რაოდენ განსხვავებული იყო სხვადასხვა ეპოქის ლიტერატურულ ტექსტებში „სიტყვასთან“, ენასთან მიმართების საკითხი, თავისთავად რთული და ხანგრძლივი ისტორიულ-ესთეტიკური პერიპეტიების მომცველი თემაა და მისი რეტროსპექტული განხილვა ჩვენი წერილის ფარგლებს სცდილდება. ამჯერად შევეცდებით, გავიცნობიეროთ თუ რა მიმართება იგულისხმება „სიტყვებისადმი“ ზაზა თვარაძის მხატვრულ ტექსტში და როგორ აისახა ავტორის ტექსტუალურ „თამაშში“ ალტერნატიული ესთეტიკური სისტემების წიაღში მრავალჯერ ტრანსფორმირებული „სიტყვის“ ისტორიული მეხსიერება.

წინასწარ გვსურს გავმიჯნოთ „სიტყვის“ ორგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობა ზაზა თვარაძის ტექსტში: სიტყვა - როგორც დამოუკიდებელი ესთეტიკური მოვლენა და სიტყვა - როგორც გარკვეული ლიტერატურული ტექსტის აღმნიშვნელი სემიოლოგიური ნიშანი. ტექსტის ავტორი, ძირითადად, მოცემულობების მითითებული გააზრების ინტერპრეტაციებზეა ორიენტირებული. ერთია კონკრეტული საზრისის მატარებელ სიტყვებთან დამყარებული ურთიერთობები და მეორე - მიმართებები იმ ლიტერატურულ ტექსტებთან, რომლებიც კლასიკური კულტურის არეალში არსებობს. „კლასიკური ლიტერატურის ფრაგმენტებს“ ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, ვიაზრებთ, არა როგორც კონკრეტული მწერლების კონკრეტულ თხზულებებს, არამედ როგორც გარკვეულ იდეოლოგიურ, ესთეტიკურ და სოციალურ ღირებულებათა სისტემას თავის უმაღლეს ცნებობრივ-ნიშნურ დონეზე. ამ საკითხს მოგვიანებით კვლავ დავუბრუნდებით.

ტექსტის სიუჟეტი იქმნება იმ რეალიების გათვალისწინებით, რომელიც გამოიარა კლასიკურმა სიუჟეტმა ჩვენი საუკუნის დასაწყისიდან ევროპულ და, შესაბამისად, ქართულ ლიტერატურულ სინამდვილეში. 60-იანი წლებიდან ტრადიციული სიუჟეტური წყობის თანმიმდევრული რღვევისა და უგულებელყოფის ტენდენციამ თავისი შესაძლებლობები ამოწურა. ამ დროიდან იწყება „ექსპერიმენტული რომანის“ დესტრუქციული ბუნების უარყოფა და სიუჟეტის რეაბილიტაცია სხვა ფორმითა და სტილისტიკით. ზაზა თვარაძის ტექსტმა მკაფიოდ აირეკლა როგორც კლასიკური სიუჟეტის სტრუქტურული გამოცდილება, ასევე „ახალი რომანის“ მხატვრული სტრატეგიები. კონფლიქტი პერსონაჟებს შორის ან პერსონაჟსა და გარესამყაროსთან, ტრადიციული გაგებით, ტექსტში არ გვხვდება. არც გმირის შინაგან დროსა და სივრცეში მიმდინარე კოლიზიასთან გვაქვს საქმე, მაგრამ წინააღმდეგობა მაინც არსებობს და იგი შეიძლება გავიაზროთ თამაშის, როგორც ინტერპრეტაციის ერთ-

ადერთი რეალური ფორმის შესაძლებლობა და მისივე შეუძლებლობის ან უარყოფის დისკურსი. ბუნებრივია კითხვა: რას ნიშნავს „რეალური“ და „არარეალური“ თანამედროვე ავტორისთვის? ცნობილია, რომ მოდერნიზმმა სრულიად უარყო მოცემული რეალობები და ერთადერთ სინამდვილედ ინდივიდის მიერ წარმოსახული სამყარო მიიჩნია.

*სინამდვილეს არ ვემდური,*
*არ ყოფილა თითქმის.*
*არ ყოფილზე სამდურავი*
*აბა, როგორ ითქმის.*

პოსტმოდერნისტულ ტექსტებში „ეჭვმიუტანელ“ რეალობად მიიჩნევა ტექსტუალური სამყარო, ამიტომ ავტორის წინაშე დგას არა ახალი რეალობის შექმნის აუცილებლობა, არამედ მოცემული ტექსტუალური რეალობის გადააზრების პრობლემა. თუ გავითვალისწინებთ, რომ პოსტმოდერნი ცხადდება პრაქტიკული პლურალიზმის, ენათა, მოდელთა და მეთოდთა თანაარსებობის დემოკრატიულ მოვლენად, რომელსაც „ხელეწიფება საზღვრების დარღვევები სოციალურ და ინსტიტუციონალურ სფეროებში, მოიცავს საკუთარ თავში განსხვავებულ მოტივებს და თხრობით განწყობებს“ (ველში), ცხადია, კონფლიქტისთვის შეუსაბამო სიტუაციაში აღმოვჩნდებით. პოსტმოდერნის „ქალური მიმღებლობა“ (ვგულისხმობთ მის „უმნიშვნელოვანეს იკონიკურ მეთოდს, რომელიც ერთი შეხედვით ეკლექტური, ციტატური აზროვნების ფორმაა, იმდენად, რამდენადაც... მატარებელია განსაკუთრებული უნარისა, შეინივთოს, შეითვისოს, მიიღოს თავის წიაღში მისთვის სასურველი მოვლენა ან ფაქტი“ (ბუღაძე), შეუთავსებელია დრამატულ კოლიზიასთან, მაგრამ, მიუხედავად ამგვარი დემოკრატულობის აღიარებისა, დავაზუსტებთ, რომ კონფლიქტი, დაპირისპირება გარდაუვალია და ის ზაზა თვარაძის ტექსტში მოიცავს მოცემული რეალობით (სიტყვა, ნიშანი, ტექსტი) თამაშის შესაძლებლობასა და მისივე უგულებელყოფის რეალობას შორის არსებულ წინააღმდეგობას, რაც შეიძლება გავიცნობიეროთ, როგორც „ფუნქციისა“ და „ფიქციის“ დისპოზიცია. თუ მოდერნიზმის (შეიძლება მთელი ტრადიციული კულტურის) უმთავრეს საფუძველს „ფუნქციას“ პაროდიულად გადაიაზრებს პოსტმოდერნი „ფიქციის“ ცნებაში, გასაგები ხდება მწერლის პოზიცია, როდესაც ის „სანოტაროს“ „სანეტაროს“ ანაცვლებს, რაც თავის მხრივ, „ცხრა ნეტარების“ პაროდიას წარმოადგენს.

ექსპოზიციაში მწერალი მიმართავს სრულიად „განყენებულ“ ინდიფერენტულ თხრობას სოფელ №-ის მისადგომებს მიახლოებული ცხენოსნების შესახებ. ეს ისტორია არავითარ შინაგან კავშირს არ ამჟღავნებს ტექსტის ძირითად ფაბულასთან. პირველივე გვერდზე, მგზავრების გამოწვლილვითი დახასიათების შემდეგ, ავტორი მოულოდნელად აცნობებს მკითხველს, რომ ეს „განყენებული“ ამბავი მხატვრული შემოქმედების სფეროს განეკუთვნება და ყურადღებას „რეალური“ ამბისკენ გადაანაცვლებს. „სამწუხაროდ, აღარ დამცალდა შემეტყო თუ რა ჩაიდინა იმ მომენტში გონიერმა პირუტყვმა, რადგან სწორედ ამ დროს გაისმა კარებზე ზარის ხმა...“ ცხადია, „რეალური ამბავიც“ ფიქციაა. მაშინ რას ემსახურება ამგვარი დასაწყისი? ვფიქრობთ, ავტორი შეგნებულად მიმართავს „გაუცხოების ეფექტს“: სავსებით შორეული (ნიშნების მიხედვით) ლიტერატურული სივრციდან მკითხველი მთლიანად გადაჰყავს პერსონაჟად ქცეული ავტორის „ნამდვილ“, „ამწუთიერ“ ყოფაში, სადაც მკითხველი ემოციურად გაცილებით უფრო „შინაურად“ გრძნობს თავს და დამაინტრიგებელი გამოცანის (რა დევს ზარდახშაში?) პასუხის მოლოდინშია. „გაუცხოების ეფექტის“ მეთოდურ პროექციას ექსპოზიციაში, შესაძლოა, სხვაგვარი ინტერპრეტაციაც მოეძებნოს: ნაწარმოები, რომელსაც ავტორი კითხულობს, „შორეულია“ თავისი ფუნქციით არა მხოლოდ იმიტომ, რომ ერთმნიშვნელოვნად არ უკავშირდება ტექსტის ძირითად ნაკადს, არამედ იმის გამოც, რომ ავტორი მას გვაწოდებს როგორც „სხვა“ ავტორის ტექსტს: ის არ მონაწილეობს თავისივე ტექსტში და არ მიმართავს მის არანაირ ინტერპრეტაციას (საპირისპირო მოვლენასთან გვაქვს საქმე ტექსტის ძირითად ნაწილში, სადაც ავტორი-პერსონაჟი კლასიკურ ტექსტებთან „თამაშს“ მთელი თავისი არსებით ეძლევა), თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ „სხვა“ ავტორისადმი მსუბუქი ირონიზაცია ენობრივ მასალაში მაინც მკაფიოდ გამოსჭვივის. „ავტორის სიკვდილი“, მისი ტექსტიდან განდევნა პოსტსტრუქტურალისტებს თანამედროვე ლიტერატურის მონაპოვრად მიაჩნიათ. ბრეხტის „გაუცხოების“ კვალდაკვალ თანამედროვე ლიტერატურულ ტექსტებში ავტორის „სრული იგნორირების“ პროექტი ხორციელდება. „ავტორის ფიგურას“ არღვევს თანამედროვე ლინგვისტიკა, რომელიც ამბობს, რომ ენამ იცის „სუბიექტი“ და არა „პიროვნება“. აღნიშნული სუბიექტი, ახორციელებს რა მეტყველების აქტს, თავის თავში მოიცავს მთელ ენას, რათა ბოლომდე ამოწუროს მისი შესაძლებლობები; თუ კლასიკურ ლიტერატურულ ტექსტებში ავტორი საკუთარი პერსონისა და „შემოქმედის“ ტოტალურ იდენტიფიკაციას მიმართავს, თანამედროვე ხელოვანი განსხვავებული მხატვრული სტრატეგიებით ოპერირებს: ცდილობს, ტაქტიკური სვლებით (გროტესკი, პაროდია...) გაემიჯნოს ავტორ-შემოქმედს. ამგვარად ემიჯნება საკუთარ პერსონას უმბერტო ეკო რომანში „ვარდის სახელი“, როდესაც მთხრობელის ფუნქციით აღჭურვავს ადსონს და სწორედ ამ დისტანციის წყალობით ბევრად უფრო დაცულად გრძნობს თავს, როგორც შემოქმედი. ზაზა თვარაძის „სიტყვებში“ მსგავსი „დაშორიშორება“ განხორციელებულია ავტორის პერსონაჟად გადაქცევით. კლასიკური ქართული ლიტერატურა, ცხადია, იცნობს პერსონაჟისა და შემოქმედის თანაარსებობას ტექსტში: იაკობ ცურტაველი - „შუშანიკის წამებაში“, დავით გურამიშვილი - „დავითიანში“, ილია ჭავჭავაძე - „მგზავრის წერილებში“, მაგრამ ყველა ამ შემთხვევაში პერსონაჟი საკუთარ თავს წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ როგორც შემოქმედს და, აქედან გამომდინარე, თავად გვევლინება სიუჟეტური სივრცის აბსოლუტურ მფლობელად და ესთეტიკური „თამაშის“ კანონმდებლადაც. თანამედროვე მწერლის ტექსტში ავტორის სახე გვევლინება არა როგორც ტექსტუალური ნაკადის აბსოლუტური მფლობელი, არამედ როგორც „სტუმარი“. სხვაგვარად - ერთ-ერთი პერსონაჟი, რომელიც სარგებლობს არა ავტორიტარული შემოქმედის, არამედ სიუჟეტის პერსონაჟის უფლებით. ამგვარად იქცევა გივი მარგველაშვილის ტექსტებში ავტორი ერთ-ერთ „რიგით“ პერსონაჟად. ამ კონტექსტში სრულიად კანონზომიერ მოვლენად შეიძლება გავიცნობიეროთ ის მხატვრული

ფაქტი, რომ სიტყვებით „თამაშს" ავტორი-პერსონაჟი კი არ განაგებს, არამედ მისი მეგობარი, ლევანი. რეალურად ლევანი ფლობს სრულიად სიუჟეტურ სივრცეს და თავადვე გვევლინება სიტყვებთან ურთიერთობის „ნამდვილ" შემოქმედად. ამგვარად ფორმდება ტექსტში „შემოქმედის" ფუნქციის გადანაცვლება, სხვა სიტყვებით - დისტანციის გაზრდა „ავტორ-პერსონაჟსა" და „შემოქმედს" შორის.

როგორც აღვნიშნეთ, ზაზა თვარაძის მხატვრული პროექტი „სიტყვებთან", ენასთან კომუნიკაციის შესაძლო მიმართებებზეა ორიენტირებული. ტექსტში მკაფიოდ იკვეთება ამგვარი მიმართებების ფორმალური და მსოფლმხედველობრივი ასპექტები. ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: რა ტიპის ურთიერთობას გვთავაზობს მწერალი და რა მხატვრული მექანიზმით ახორციელებს „იდეის" ფორმალურ რეალიზაციას... მიზანშეწონილად მივაჩნია, გავიხსენოთ „სიტყვის" ორგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობა ზაზა თვარაძის ტექსტში: მაშასადამე, „სიტყვა", როგორც დამოუკიდებელი „ესთეტიკური მთლიანობა" და „სიტყვა", როგორც გარკვეული ტექსტის აღმნიშვნელი ნიშანი. ორივე შემთხვევაში მწერალი მიმართავს ენობრივ მოცემულობებთან „თამაშს". „თამაშის" პირობითობა თავისთავად „კარგ ფონს" ქმნის მასალის, მატერიის ინტერპრეტირებისთვის. თუ მთელი ადამიანური კულტურის არსს გავიცნობიერებთ, როგორც „თამაშის ხელოვნებას". (ჰოიზინგა) მისი პირობითი და არა აბსოლუტური შემეცნებითი ბუნების გამო, თანამედროვე ლიტერატურული ტექსტების განსაკუთრებული ინტერესი „თამაშის" ხელოვნებისადმი ზოგად-კულტურული ნიშნის თავისებურ ინტერპრეტაციად შეიძლება გაფორმდეს. მოდერნიზმის შემდგომი პერიოდის ლიტერატურულ ტექსტებში ამგვარი თამაში გათავისუფლებულია თვითკმაყოფილი სერიოზულობისა და უმაღლესი ინსტანციის - შემოქმედის უნივერსალური მიზნისგან. თანამედროვე მწერლისთვის „თამაში", უპირველეს ყოვლისა, მოცემულობის (ჩვენს შემთხვევაში - ლინგვისტური მასალისა და კლასიკური ტექსტების) ათვისების გარკვეული ფორმაა. მსგავსი „თამაში" პრინციპულად არის მიმართული მკითხველისკენ. ბახტინის მიერ ნაწარმოების „დიალოგური" ფორმით არსებობის გაცნობიერებამ არსებითი გავლენა იქონია მომდევნო პერიოდის ლიტერატურული ტექსტების სისტემატიზაციაზე. თანამედროვე მწერალი თავისივე წარმოსახვის „იდეალურ მკითხველში" უკვე თანაგრძნობას კი არ ეძებს, არამედ ტექსტში უშუალოდ მონაწილესა და „მოთამაშეს". „ჩემი ტექსტი თანამოაზრესა და თანამზრახველს კი არ მიემართება, არამედ იმ მკითხველს, რომელიც მზადაა ითამაშოს ჩემი თამაში". (ეკო). თეატრალურ ხელოვნებაში მსგავსი ურთიერთობა უშუალოდ სცენასა და დარბაზს შორის მყარდება, უფრო რადიკალურ ფორმად კი თეატრალური წარმოდგენის ქუჩაში გამოსვლა, ე. წ. „ქუჩის თეატრი" გვევლინება. სწორედ ამაზე ოცნებობს ცნობილი ესპანელი დრამატურგი ფერნანდო არაბალი, როცა ამ იდეალური „პიესა-„თამაშის" შესახებ ლაპარაკობს, რომელშიც მაყურებელიც მიიღებს აქტიურ მონაწილეობას და რომელიც „რომელიმე ბაბილონური თამაშის მსგავსად, ან ნახევარ საათს გასტანს, ან უსასრულოდ გაგრძელდება". ფაქტობრივად, „თამაშით" მკითხველის „შეყოლიება" ხდება ტექსტში. ბარტი ტექსტთან მკითხველის ურთიერთობის ანალოგიას პოულობს მუსიკალურ პარტიტურაში, რომლის თითქმის რეალურ თანაავტორად გვევლინება თანამედროვე შემსრულებელი.

რამდენად „რეალურია" თვით ამ თამაშის არსი და როგორ იმსხვრევა თავის თავშივე ამგვარი „წარმოუდგენელი" თამაშის შესაძლებლობა, ამაში ნათლად ვრწმუნდებით ზაზა თვარაძის „სიტყვების" ფინალში, სადაც პერსონაჟი ვეღარსად პოულობს ვერც „სანეტარო კანტორას", ვერც „ნეტარიუსს" და, რაც მთავარია, ვერც თვით ამ „თამაშის" წამომწყებ მეგობარს. თუ შევთანხმდებით, რომ მწერალი ენობრივ მატერიასთან ურთიერთობის ერთადერთ მისაღებ ფორმად ტექსტუალურ თამაშს აღიარებს, ცხადია, უნდა გავიცნობიეროთ, რას ნიშნავს „სიტყვა" მწერლისთვის და რა სახით ეძლევა თვით ავტორს მისი ინტერპრეტაციის შესაძლებლობა. უპირველეს ყოვლისა, მწერალი ცდილობს „ესთეტიზირებული" სიტყვის ლინგვისტური კონტექსტის გადალახვას. ცხადია, ვითვალისწინებთ, რომ სიტყვა არასოდეს გვეძლევა წმინდა ინდივერენტული სახით; სიტყვის წარმოთქმით წინასწარვეა განსაზღვრული ფასეულობათა ის შკალა, სადაც ის მოთავსებულია. სხვადასხვა ეპოქის ლიტერატურულ ტექსტებში ენის, როგორც გარკვეული შემეცნებითი საზრისის მატარებელი მთლიანობისადმი დამოკიდებულება, განსხვავებული იყო. ქრისტიანულ ლიტერატურაში „სიტყვა" უფლის „გამოცხადებად" გაიაზრება. რეალისტური სკოლა ენის სრული რაციონალიზაციისკენ მიისწრაფვის და ბოლომდე ენდობა სიტყვის ინფორმაციულ შესაძლებლობებს. რომანტიზმში უკვე იგრძნობა ენობრივი კოდების რღვევის მცდელობა. სიმბოლიზმი ენას გაიაზრებს დამოუკიდებელ სუბსტანციად, რომელიც თავისი შინაგანი „საზრისის" მიხედვით „მეტყველებს". ფუტურისტებთან მკაფიოდ შეინიშნება, იამპოლსკის ტერმინი რომ მოვიშველიოთ, „ენაბრგვილობისკენ" მიდრეკილება, საზრისის ბლოკირება. ამ უკანასკნელთან აზრობრივ მიმართებაშია თანამედროვე ავტორების ტექსტები, სადაც მწერლის მიერ ბოლომდეა უგულებელყოფილი სიტყვა, როგორც საზრისის მატარებელი სტრუქტურა. მწერალი ცდილობს იპოვოს ის შუალედური მდგომარეობა, რომელიც არსებობს სიტყვებსა და მათსავე საზრისს შორის. ზაზა თვარაძის „სიტყვები" სწორედ ამ შუალედურ სივრცეებში ლივლივებენ და გარდაისახებიან სხეულებრივ მოცემულობებად. სიტყვათა სხეულებრივი წარმოდგენები იმ ინფანტილურ ველშია განთავსებული, სადაც აზრობრივი კონსტრუქციებისგან თავდახსნილი არსებები (სიტყვები) სრულ თავისუფლებას მოიპოვებენ.

„ზარდახშიდან უწვრილეს ნაკადად მოიკლაკნებოდა მწუხარე სიტყვა „ნუგეში"... ეს სიტყვა შედგებოდა არა ასოებისაგან, ან ბგერებისაგან, არც რამეზე დაწერილი იყო, - ეს სიტყვა, უბრალოდ, ჰაერში არსებობდა ოდნავ მანათობელი, გამჭვირვალე სხეულის სახით - ამ მანათობელ სხეულს არ გააჩნდა რაიმე ნაწილები ან კიდურები - ეს იყო ერთიანი, წურბელას ფორმის სხეული. იგი არ შედგებოდა ცალკეული ასოებისაგან, მაგალითად, ასე: „ნ-უ-გ". ეს იყო მთლიანი და გადაბმული ერთი სიტყვა - „ნუგეში", რომელიც არც ეწერა, არც წარმოითქმოდა, არამედ თავისუფლად არსებობდა და ასე ლივლივებდა ჰაერში, როგორც რაიმე მოლუსკი ან წყალმცენარე ლივლი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვებს წყლის სიღრმეში“; ან „ეს იყო „რეგისტრატურა“, - ცხენთევზასავით დაკბილული და ტეხილი სიტყვა, რომელიც მკვეთრი მონასმებით ამოცურდა ზარდახშიდან“, სხვაგან - „ხელში ეჭირა ნაზად მოვერცხლისფრო და ლბილბუსუსებიანი სიტყვა „სუმბული“. სიტყვათა სხეულებრივ არსებებად წარმოდგენით, ავტორი ცდილობს მათ „პირველყოფაში“ დაბრუნებას. იმგვარი პირველადობის, ეფემერულობის მოძიებას, რომელიც „სიტყვას“ ლინგვისტური კონტექსტებიდან დაიხსნის და „სუფთა“ „პირველყოფილი“ სახით გამოავლენს. სხეულებრიობა, როგორც ყოფიერების ელემენტარული დონე, თავის ჩანასახოვან, გაუფორმებელ საფეხურზე წმინდა შინაარსის მატარებლად გვევლინება, რაც უშუალოდ უკავშირდება ეროტიულობის განცდას. „ხელის ბუსუსებზე ვიგრძენი სიტყვების ნაზი და ელექტრული შეხება, და როგორც კი ამ შეხებამ მთელს სხეულში დამიარა, მაშინვე მომაწყდა წარმოუდგენელი სიხარულის განცდა“; „ვგრძნობდი, როგორ ჭიებივით იკლაკნებოდნენ ეს სიტყვები ჩემს თითებში და უეცრად ზიზღის გრძნობამ შემიპყრო, - თითქოს რაღაც ხრწნადი თუ ჯერაც არდაბადებული არსება შემხებოდეს“. სხეულებრიობა, ეროტიკა, სექსუალობაზე წარმოდგენები, ცხოვრების ბუნდოვანი და გაურკვეველი გამოვლინებები მნიშვნელოვანია სწორედ იმიტომ, რომ სხეულის ენა არ არის სტრუქტურული“ (იამპოლსკი). ვფიქრობთ, სხეულებრივი არსებების დაბალ ბიოლოგიურ საფეხურზე რეგრესულად დაბრუნებასა და მათ ემბრიონულ წარმოდგენაში (ფილოგენეზური უკუსვლა) თავისებურად აისახა სიურეალიზმის მეტამორფოზების ფორმალური გამოცდილება. საგნები ხშირად სიურეალისტურ პოეტიკაში რბილი ან გათხევადებული სახით წარმოგვიდგება, რაც თავისებურ პაროდიას წარმოადგენს დარვინისეულ ევოლუციაზე. სიურეალისტები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ უმარტივეს ცხოველებს, განსაკუთრებით მწერებსა და ზღვის ცხოველებს, რომლებიც „მითოლოგიურ პროტეიფორმულ არსებებად“ ესახებათ. მათ შემოქმედებაში უაღრესად მყარია კავშირი მეტამორფოზასა და ზღვის, წყლის თემას შორის. ყველა ზღვის ცხოველი ერთიან ეროტიკულ სიმბოლიზმს უკავშირდება. ზღვის ცხოველების ეროტიკული ფუნქცია სიურეალიზმში თითქმის ყველგან არის გამოხატული. ხანდახან იგი ნატურალისტური სიცხადით მჟღავნდება და უშუალოდ უკავშირდება ფროიდისტულ გააზრებებს: „მე უცბად შევნიშნე, რომ ფეხებშუა მედუზა დამკვიდრდა, ამან განუზომელი ავხორცობა მომანიჭა, ისეთი მძაფრი ავხორცობა, რომ რაღაც მომენტში აღარაფერი აღარ მინდოდა“ (პერე), ან „აი, ქალის უაღრესად დამახასიათებელი მითოლოგია: იგი კიბოსნაირი მოლუსკია, კანეკლიანი, პრიმიტიული, ქუში, თავისი შინაგანი ცხოვრების მქონე ცხოველი“ (დე ლა ბრეტეკი) წმინდა ეროტიკულობის მომსწრენი ვხდებით ზაზა თვარაძის ტექსტში, სადაც სტუმრად მოსულ ახალგაზრდა ქალს - ნუნუშკას სხეულებრივი არსებები (სიტყვები) ეროტიკულ თამაშში ითრევენ: „უზარმაზარ ქმნილებათა საცეცები... როგორც ლიანები, საკინძეში უძვრებოდნენ, მუხლებზე ელამუნებოდნენ. წამით მომეჩვენა, რომ იგი ჰგავდა მდინარეში ჩაძირულ ქალიშვილს, რომელმაც ეს ესაა ფეხებზე ქვა გამოიბა და თავი დაიხრჩო. მის ირგვლივ წყალმცენარეები ირწევიან. სხეულზე ეხვევიან, მისი თმა წყალში გაშლილა, ირგვლივ გამეფებულა წყლის მრუმე და მანათობელი მწვანე“, თუ ნებისმიერ ტექსტს გავიაზრებთ, როგორც შუალედურს სხვა ტექსტებთან მიმართებაში (ინტერტექსტუალობა), რაც თავისთავად არ გულისხმობს ტექსტის წარმომავლობას, შეიძლება ითქვას, რომ ზაზა თვარაძის ტექსტი გარკვეულ მიმართებაშია სიურეალისტურ „ტექსტებთან“. ამ მიმართებაში ჩვენ ვიცნობიერებთ მის ფორმალურ ასპექტებს, როგორც გარკვეულ შინაგან გამოცდილებას. მით უფრო, თუ სიურეალიზმს კულტურის განვლილ ეტაპად ვაღიარებთ. სხვა შემთხვევაში, ცხადია; ზაზა თვარაძის ტექსტი ფასეულობათა იმ სისტემაზეა ორიენტირებული, რომელსაც პოსტმოდერნიზმს ვუწოდებთ. თუმცა თვით ამ ტერმინისა და მისი სააზროვნო ველის პაროდირებაც ტექსტში მკაფიოდ ინიშნება: „ეს ყველაფერი - თუ უფრო მამაპაპეულ შედარებას მოვიხმობთ და არც პოსტმოდერნისტები გვიწყენენ - ჰგავდა ღონიერი ქართველი გლეხკაცის მარანს, სადაც ხარიხებზე და ძელებზე მრავლად ჰკიდია ყურძნის ქარვისფერი აკიდოები“ ან „მე ვარ ამ სიცარიელეზე აფარებული სუსტი, ნათითხნი ნიღაბი (ნიღბის მოტივი ხომ ასე პოპულარულია ჩვენს დროში)“.

უკვე აღვნიშნეთ „სიტყვის მნიშვნელობის ორგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობის შესახებ. სიტყვაზე, როგორც „წმინდა შინაარსის“ გამომხატველ მოვლენაზე, უკვე ვილაპარაკეთ. მნიშვნელოვანი და არსებითია, მრავალთა შორის, კიდევ ერთი საკითხი; რას წარმოადგენს მწერლისთვის „სიტყვა“, როგორც ტექსტის აღმნიშვნელი სემიოლოგიური ნიშანი და რა აზრობრივ თუ ფორმალურ გზებს მიმართავს ავტორი მასთან კომუნიკაციის დამყარების მიზნით. ვითვალისწინებთ, რომ თანამედროვე კულტურა არის „ნიშნებით ოპერირებადი კულტურა“, ხოლო „ნიშანი“ დინამიკური, მოძრავი, თვითდადგინებადი მოვლენაა და არა სტატიკური, მზა „პროდუქტი“ აზროვნებისა. თანამედროვე ლიტერატურამ ბოლომდე გაიცნობიერა ენობრივი კონოტაციურობისგან თავდახსნის შეუძლებლობა, რადგან ენაში კომბინირებულია სხვადასხვა სოციალური, იდეოლოგიური და ესთეტიკური ინსტიტუტების კვალი, რომელიც აისახება ლიტერატურულ საშუალებებში, ენობრივ კოდებსა და ტოპოსებში. განუწყვეტლივ მიმდინარეობს „ენების ომი“ და მწერალი, რომელიც მუდმივად დგება ლიტერატურის, როგორც აგრესიული ინსტიტუტის ძალადობის პირისპირ, ცხადია, ეძებს იმ პროექტებს, რომლითაც შეეცდება გამოსავლის მოპოვებას. ამგვარი „განსაცდელის“ წინაშე მყოფი მწერალი ბოლომდე იცნობიერებს სრული „დუმილის“ საფრთხეს. კოდირებული ლიტერატურული ქსოვილის აბსტრაქტულ მოდელად, შესაძლებელია, ლაბირინთი წარმოვიდგინოთ. ამ აზრობრივი სქემით შეიძლება ბორხესის ცნობილი მოთხრობის „ბაღი, რომელშიც ბილიკები იტოტებიან“ ინტერპრეტაცია, სადაც ბორხესი ქმნის ტექსტუალური (შესაძლებელია - ლინგვისტური) სამყაროს უნივერსალურ მოდელს-ლაბირინთს. ლაბირინთი, რომლის შექმნასაც ცდილობს „ჭეშმარიტი განმარტოების ფანჩატურში“ ცამეტი წლით ჩაკეტილი ცუი პენი, არის მისივე წიგნი, რომელშიც მოქცეულია სხვადასხვა დროთა (დავუშვათ, რომ დროც ნიშანია) ხლართი. ეს დროები, რომლებიც

ახლოვდებიან, იკვეთებიან ანდა საუკუნეებშიც არ ემთხვევიან ერთმანეთს, თავის თავში მოიცავენ მოქმედების განვითარების ყველა შესაძლო ვარიანტს. პერსონაჟები მათ წინ გადახსნილი ალტერნატივებიდან ერთსა და იმავე დროს ყველა გზას ირჩევენ (ვფიქრობთ, ტიპიური პოსტმოდერნისტული სიტუაციაა). „დუმილის“, „ვერთქმის“, „ვერგამოხატვის“ შიში მწერალს იმ ნიშნებისა და მოცემულობების ინტერპრეტაციებისკენ უბიძგებს, რომელიც მის შინაგან გამოცდილებაში არსებობს. გასაჭირში სულის ამეტყველების არქეტიპი იონას ღაღადია ვეშაპის მუცლიდან. „დიდი თევზის“ სტომაქში მოხვედრილი იონა თავად ქმნის ლოცვის ტექსტს. უფრო კონკრეტულად კი ფსალმუნის რემინისცენციასა თუ ინტერპრეტაციას მიმართავს (კიკნაძე) ისევე, როგორც ხაროში ჩავარდნილი დავით გურამიშვილი გვამცნობს, რომ თვითონვე შეთხზა ლოცვა „ღმერთო დამიხსენ მტერთაგან“, რომელიც, შესაძლებელია, ასევე ფსალმუნის ფრაგმენტების ინტერპრეტაცია იყოს. ყველა ამ შემთხვევაში ინტერპრეტაცია კრიზისის გამომხატველია. კრიზისის საფუძველი და იდეოლოგიური გააზრება განსხვავებულია, მაგრამ ყველა შემთხვევაში პიროვნებისა და სიტყვის ურთიერთობის დრამატიზმს ასახავს.

თუ თანამედროვე კულტურა ბოლომდე იცნობიერებს ენის არარსებობის, „სიტყვების უქონლობის“ კრიზისს, სწორედ ამ შინაგანი რეალობის გათვალისწინებით ვიაზრებთ ჩვენ ზაზა თვარაძის ტექსტში კლასიკურ ტექსტებთან ურთიერთობის პაროდიულობას. პერსონაჟი სიტყვებით აღადგენს „კლასიკური ლიტერატურის ფრაგმენტებს: „იძულებული გავხდი ოდნავ შემეცვალა სათქმელი:

*ხან უგნურია, ხან ბრძენი*
*ხან არც ის არის, არც ისა;*
*გარემოების საყვირი*
*არც მიწის არის, არც ცისა.*

- ეს რა არის?! - ამრეზით მკითხა ლევანმა.

- აკაკი წერეთლის ლექსია. პირველ პირში უნდა იყოს, მაგრამ პირველი პირის ზმნები ვერ ვიპოვე და მესამე პირში დავსვი...

- ჰოო?! - ცქვიტი ლექსია! - თქვა ლევანმა, - რაო, რა მითხარი, ვის პირში უნდა იყოსო?“

სწრაფვა დეფორმაციისა და პაროდირებისკენ სრულიად ცალსახაა. სხეულებრივი დეფორმაციისკენ არის მიმართული ავტორის მიერ საკუთარი „მე“ - ს წარმოდგენა: „ცასა და მიწას შორის გამოკიდული (ეს სიტყვები აკაკი წერეთლის პოეტურ რემინისცენციას მოგვაგონებს „არც მიწისა ვარ არც ცისა“, ცხადია, უკვე დეიდეოლოგიზირებულსა და დესტრუქტურებულს“ - ლ. კ.) რაღაც კენტავრისებრი არსება... განმასახიერებდა მე - ხელი იდაყვით მაგიდაზე დაებჯინა. ზედ ნიკაპი ჩამოედო, ხოლო ცხვირის მაგივრად - საყვირი ჰქონდა“. სხეულებრივი დეფორმაციის, დისპროპორციის ფაქტს ჯერ კიდევ ქრისტიანულ იკონოგრაფიაში ვხვდებით, სადაც თავის სიდიდე ხაზგასმით აღემატება სხეულებრივ პროპორციებს, რითაც უშუალოდ სხეულებრიობასთან შედარებით სულიერების უპირატესობა გამოისახება ხორცის დათრგუნვისა და უგულებელყოფის გზით. მე-19 საუკუნის ქართულ პროზაში ამგვარი დეფორმირებული, დაშლილი სხეულის აღწერის ფაქტს გვთავაზობს ილია ჭავჭავაძე ლუარსაბ თათქარიძის გარეგნობის გადმოცემით, სადაც სხეულებრივი დეფორმაცია უშუალოდ მიგვითითებს პერსონაჟთა სულიერი ყოფის უაზრობასა და უშინაარსობაზე. მატერიალური ფორმის, სხეულის დამახინჯების გროტესკი საინტერესო გააზრების წინაპირობად იქცევა ბახტინისთვის წიგნში „Творчество Франсуа Рабле и народная культура средневековья и ренессанса“. ბახტინი საუბრობს სხეულებრივი სიმახინჯეებისა და გამონაზარდების შესახებ და მათ იცნობიერებს, როგორც პაროდირებულ, გროტესკულ სახეს, რომელიც ინდივიდუალურ სხეულს კი არ ასახავს, არამედ აერთიანებს რღვევას, რომელიც თავის მხრივ სხეულებრივი ჩანასახების მომასწავებელია. გროტესკული სახის მხატვრული ლოგიკა უგულებელყოფს ჩაკეტილ, სწორ და გლუვ ზედაპირებს, წარმოადგენს არა დასრულებულ, არამედ თვითდადგინებად სხეულს. „ის მუდმივად შენდება, იქმნება და თავადაც ქმნის და აშენებს სხვა სხეულს, შთანთქავს სამყაროს და თავადვე შთაინთქმევა მის მიერ“. ზაზა თვარაძესთან სხეულებრივი დეფორმაცია სახეთა (ამ კონკრეტულ შემთხვევაში - შემოქმედის) სტრუქტურული რღვევისკენ არის მიმართული. თუ გავიხსენებთ სახეთა „ამორალურ“ (ბოდრიარი) და აგრესიულ ბუნებას, ტექსტის, სხეულის (როგორც ნიშნის) დამახინჯება, დეფორმაცია, პაროდიის გზით მათსავე მოკვდინებას (თავისი პოზიტიური პერსპექტივებით), უარყოფას ემსახურება. მოკვდინებაში სახეთა, ნიშანთა იმგვარ განადგურებას ვგულისხმობთ, რომლის დროსაც ნიშანი აღარ ფარავს საზრისს, აღარ არის უმაღლესი იდეის მატარებელი და, აქედან გამომდინარე, არც ავტორიტარული აგრესორი. რა როლს ასრულებს აქ სიცილი? სიცილის ფუნქცია სწორედ იმ შიშით შექმნილი დისტანციის შემცირებაა, რომელიც არსებობს ჩვენსა და ცნებებს, ჩვენსა და ტექსტებს, ჩვენსა და ნიშნებს შორის, რადგან ის „ფართო პლანის ფორმაა“, მოიზიდავს რა საგანს თანამედროვეობისა და ფამილარობის ველში, შესაძლებელს ხდის მის ხელით შეხებას, შიგთავსის განჭვრეტას და გამოკვლევას. მაგრამ... რამდენად შესაძლებელი და „რეალურია“ თვით ინტერპრეტაცია, დეფორმაცია და რამდენად ყოვლისმომცველია მისი ზემოქმედებისა და გავრცელების არეალი? პასუხის მოსაძიებლად ისევ ზაზა თვარაძის ტექსტს მივმართოთ: ინტერპრეტაციის საზღვრები ისეთ რელიგიურ ცნებასაც მოიცავს, როგორიც არის „ნეტარება“. დაწესებულებას, საიდანაც პერსონაჟებს სიტყვებით ზარდახშა გამოაქვთ, ეწოდება „სანეტარო კანტორა“. ნეტარება - განმარტავს სულხან-საბა ორბელიანი, არის - „ესე ყოველთა კეთილთა შესაკრებელი, რომლისა არცა ერთი მოკლებული იყოს, ხოლო უბადრუკება, წინაუკუმო“. ცხადია, აქ რელიგიურ ფასეულობათა ინტერპრეტაციასთან გვაქვს საქმე. ღმერთის სიკვდილი და იმ ღირებულებათა რღვევის ფაქტი, რაც ადამიანური არსებობისთვის განმსაზღვრელი ფუნქციის მატარებელი იყო, თანამედროვე პიროვნებისთვის პაროდიის საგნად იქცევა. ნეტარება, როგორც ზნესრულობისა და რწმენის „შესაკრებელი“, ალიტერაციულად ენაცვლება „სანოტარო კანტორას“ - აბსოლუტური ფორმალიზმისა და პრაგმატული ყოფის „უბადრუკ“ „შესაკრებელს“. „ნეტარება“ ღვთისგან განდგომილი ადამიანისთვის სრულიად უშინაარსო, რეალურ მსოფლშეგრძნებაში არარსებულ განცდად გაიაზრება. რა შეიძლება იყოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ნეტარება" რწმენადაკარგული ადამიანისათვის? რას ანაწილებს „ნეტარიუსი?"ქალებს? ფულს? ნარკოტიკებს... თუ სიტყვებს? სია შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს. აქ, ბუნებრივად შემოდის ფაუსტური პარადიგმის თემა. გრაალის კულტურულ სივრცეს ლოგიკურად ენაცვლება ფაუსტური კულტურა. „გადასახადი რამდენია? - იკითხა ლევანმა.

- გააჩნია რას გადაიხდით...

- ფულს გადავიხდი. სხვა რა უნდა გადავიხადო!

- ფული! - ჰაჰ! ფული! ჰაჰა! ფული! ფული თუ სული?"

უმბერტო ეკო იხსენებს, რაოდენ სერიოზული პრობლემების წინაშე აღმოჩნდა პოპულარული რომანის „ვარდის სახელი" წერის დროს. საქმე ეხებოდა რომანის სათაურს. ბევრი ფიქრისა და განსჯის შემდეგ, ის მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ყველაზე შესაფერისი მეტაფორა მისთვის იყო - „ვარდი," რადგან ის იმდენად დატვირთული იყო მნიშვნელობებით, რომ საზრისი სრულიად დაკარგული ჰქონდა... თუ „ნეტარების" ცნებას იმგვარ ცნებად გავიაზრებთ, რომლის შინა-არსიც სრულიად უშინაარსოა თანამედროვე პიროვნებისთვის, როგორც მსოფლმხედველობრივ (რადგან აღარ არსებობს ღმერთის იდეა), ასევე მსოფლშეგრძნებრივ (რადგან გამქრალია ღვთის სიყვარული) დონეზე, მკითხველისთვის გასაგები იქნება მსგავსი ინტერპრეტაციის შესაძლებლობა.

ჩვენს წინაშე დგას კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი; პირობითად მას შეიძლება ორმაგი პაროდიის ან პაროდიის ამბივალენტურობის პრობლემა ვუწოდოთ. ავტორის დამოკიდებულება თავისივე ინტერპრეტაციებისადმი სრულიად მკაფიოა და ერთმნიშვნელოვნად ასახავს ირონიულ მიმართულებას. რაც თავის მხრივ ტექსტუალური „თამაშის" ამ ინტერპრეტაციის რეალურ განუხორციელებლობაზე მიუთითებს. ორმაგი პაროდიის ან ორმაგი ინტერპრეტაციის პროექტი კვლავ დეფორმაციის, დეგრადაციის, დამახინჯების მხატვრული მეთოდიკის ფარგლებში მიმდინარეობს: ავტორი-პერსონაჟი გადაწყვეტს, რომ „სანეტარო კანტორიდან" დამოუკიდებლად გამოიტანოს სიტყვებიანი ზარდახშა, რომლითაც შეძლებს საყვარელი გოგონას გაოცებას, მოხიბვლას... ზარდახშა ძველი აღმოჩნდება, ხოლო სიტყვები ლაყე და გაძველებული: „ეს რაღაც უცნაურად ძალაგამოცლილი, თითქოს ავადმყოფი სიტყვები იყო. ისინი უღონოდ დაეკიდნენ მაგიდის თავზე, ხან ერთი, ხან მეორე მეყსეულად იდრიკებოდა წელში, თითქოს საცაა დაეცემიანო, მერე ფრთამოტეხილი ფრინველებივით ისევ გაჭირვებით ითრევდნენ წელს - და გამოსცემდნენ იმავე უსიამოვნო და ლაყე სუნს". ან „ჩემს ავადმყოფ წიწილებს დავაჩერდი. ისინი გულსაკლავად წივწივებდნენ და დუნედ დაღოღავდნენ აქეთ-იქით..." დეფორმირებული, სახიჩარი სიტყვების „სხეულებრივი" უძლურების წარმოდგენით მწერალი იმ „თამაშის" პაროდიას მიმართავს, რომელსაც თავად გვთავაზობს. ფაქტობრივად, მის მიერ ინტერპრეტირებული „სიტყვები" თავიდან იქცევა ინტერპრეტაციის ობიექტად, რაც, საბოლოო აზრით, ამგვარი „რეალობის" იმანენტური სიმულაციის გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ. ამ აზრით, სრულიად ლოგიკურად გვეჩვენება პერსონაჟის (ავტორის) გადაწყვეტილება, როცა სიტყვებიან ზარდახშას წყალში გადაუძახებს - „და სიტყვებიანი ზარდახშა სამუდამოდ გაქრა ჩემი მხედველობიდან - იმავე სტიქიამ შთანთქა, საიდანაც ოდესღაც იყო შობილი, რადგან ყოველი ცოცხალი ორგანიზმი და, მათ შორის, სიტყვებიც, ხომ დღესაც ოკეანის სიღრმიდან იშვა". სიტყვებთან ურთიერთობის გარკვეულ დონეზე მწერალი თვითონვე იქცევა მათი აგრესიის ტყვეობაში. სწორედ ამის გამო, ავტორის უპირველესი მიზანი - ენობრივი და ლიტერატურული მნიშვნელობების გადალახვა-გარღვევა მარცხისთვის არის განწირული. თუ გავითვალისწინებთ, რომ არ არსებობს წმინდა დენოტაციური ენა, ცხადად დავინახავთ, რომ ნებისმიერი ენობრივი მოცემულობის თუნდაც ყველაზე პირველადი ინტერპრეტაცია უკვე თავის თავში იტევს სიტყვის „გაშინაარსების" ტენდენციას. ამ საბედისწერო პარადოქსის პესიმიზმს ზაზა თვარაძე ბოლომდე იცნობიერებს. სიტყვათა აგრესიული ბუნების გამოვლენის კულმინაციას იგი იმგვარი გროტესკულობით აღწერს, რომ მკითხველს ღიმილის უულებასაც აღარ უტოვებს. „ბრა ავანთე. საბანი გადავისროლე და უეცრად შეძრწუნებულმა დავინახე, რომ ჩემს საწოლში საიდანღაც შემოღოღებულიყო რაღაც სიტყვა - როგორც გომბეშო ან გველი შემოგიღოღდება ლოგინში... სიტყვათა მთელი ჯგუფი, რომლებიც ერთმანეთზე ასხმულიყვნენ და შავ წურბელასავით იკლაკნებოდნენ ჩემს ზეწარზე. მისგან მოდიოდა საშინელი, ბნელი ნათება და გულისამრევი სუნი. და ამ სიტყვაში გამოსჭვიოდა მთელი ქვეყნის უაზრობა და სასოწარკვეთილება".

რეალურად, ჰერმეტულად იხშობა იმ სივრცის კარი, სადაც ჯერ კიდევ შესაძლებელია ინტერპრეტაციების ირონია და, თუ ირონია დუმილის შემცველელია, ნაწარმოების დასასრული მსგავსი განცდის შესაძლებლობასაც უარყოფს. აბსოლუტური „არარსის" პირისპირ დარჩენილ მკითხველს სრული სიცარიელის პესიმიზმი იპყრობს. ამ პესიმიზმში თანაბრად ისახება ჩვენი საზოგადო ყოფის ამაოებაცა და ჩვენი სულიერი ცხოვრების უნაყოფობაც.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# შოთა ზოიძე

## ბიბლიის მოტივები ანა კალანდაძის პოეზიაში

ანა კალანდაძის შემოქმედებაში თემატიკური მრავალფეროვნების საგნობრივი გამოხატულების ნიმუშია ბიბლიური მოტივების ახლებური რეალიზაცია. მსოფლიოს გამოჩენილი ადამიანები, მწერლები, მხატვრები, მუსიკოსები ძველთაგანვე სარგებლობდნენ ამ უნიკალური წიგნის იდეებითა და სიუჟეტებით. საკუთარი ინტერპრეტაციით ქართული მწერლობის არაერთმა კლასიკოსმა მიმართა ამ საკაცობრიო წიგნს წარსულ და ახლო საუკუნეებში. მარტო სასულიერო მწერლობაც კმარა. რაც შეეხება ჩვენი საუკუნის მწერლებს, არც აქ გვაქვს გამონაკლისი. როგორც ადრე მივუთითეთ, ანა კალანდაძემ ტრადიციული, ანუ კლასიკური თემები გაითავისა და საკუთარ პოეტურ ქურაში გაატარა. იგი არც ბიბლიური მოტივებისადმია გულგრილი. პირიქით, მან ამ მოტივს თავის ლირიკაში ისეთი ასპარეზი მისცა, ასე მგონია, მანამდე ასე ფართოდ არავინ შეხებია.

„ბიბლიური სახეები და სიუჟეტები“ დღევანდელობას ხშირად გასაოცარი აქტიურობით ეხმაურებიან და ესადაგებიან დღევანდელი ადამიანის განცდებსა და განწყობილებებს. ბიბლიაში ხომ... „დუღს და გადმოდუღს ნამდვილი ცხოვრება. ძნელი დასაჯერებელია, რომ ეს პლასტიკით, მოძრაობითა და კოლორიტით, ცოცხალი სახეებით აღსავსე თქმულებათა კალეიდოსკოპი შეიძლებოდა შექმნილიყო ისეთ შორეულ წარსულში და მოეღწია ჩვენს დღეებამდე. ბიბლიის შინაარსი ისე მდიდარია, როგორც თვით ცხოვრება!“ (ანა კალანდაძე).

ჩვენი დროის გამოჩენილ პოეტს მიაჩნია, რომ ბიბლია შთაგონების უშრეტი წყაროა ყოველი დროისა და ყოველი ხალხის ხელოვანისათვის. არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი, რომ იგი თავის ფურცლებზე იტევს კაცობრიობის განვლილ და გასავლელ ცხოვრებას თავისი ავ-კარგით, ცოდვა-მადლით. სავსებით გულწრფელია ანა კალანდაძე, როცა ამბობს – ჩემი გულისთქმა ხშირად ესადაგება ჩემთვის საინტერესო ადგილებს ამ ბრძნული წიგნიდანო. ამასვე ადასტურებს მისი მდიდარი პოეტური შემოქმედების თემატიკური ანალიზიც.

აღსანიშნავია, რომ ანა კალანდაძის ბიბლიურ თემატიკასა და მოტივებზე შექმნილი ლექსები თავიანთი ფაქტურით, არქიტექტონიკით, სასულიერო პოეზიის ძირითადი დარგების – ლიტურგიკული და სამოძღვარო მოთხრობითი ნიმუშების სტილისტიკურ ხერხებს ეყრდნობა, მაგრამ აქ უკანა პლანზეა ან საერთოდ არ ჩანს სალვთისმსახურო ელემენტები და უფრო მეტად და თვალსაჩინოდ ზნეობრივ იდეალებს წარმოაჩენენ, რაც თავისთავად ქრისტიანული მორალის ნორმებში ჯდება. აქვე უნდა ვეძიოთ ანა კალანდაძის პოეტიკის თეორიული საფუძვლებიც.

თუ თვალს გადავავლებთ ქართულ საგალობლებს, რომელთა თემატიკური არეალი ბიბლიური წიგნებიდან ამოდის, ვნახავთ, რომ მეხუთე გალობა („ღამითგანსა“) ძველი აღთქმის ერთ მომენტს აფიქსირებს. ეს არის ესაიას წინასწარმეტყველება: „ღამითგან აღიმსთობს სული ჩემი შენდამი ღმერთო, მით რამეთუ ნათელ არს ბრძანებანი შენნი ქვეყანასა ზედა...“ (26, 9-19).

ბიბლიური აღდგომის თემა და ამ ბრწყინვალე აღდგომით ჭეშმარიტი სიხარულის განცდა ოსტატურად განასახიერა ანა კალანდაძემ უმშვენიერეს ლექსში:

*მოვეახლები კვლავ სახლსა წმინდას,*
*სახლს უსპეტაკესს ამ ცისა ქვეშე...*
*ჰა, შენეული იგი სასანთლე*
*წმინდა ზეთისთვის მიჭირავს ხელში...*
*აქ სასოებით ბრწყინავს ყოველი,*
*სად უწმინდესნი რბეულან კაცნი...*
*მე უდიდესი სიხარულისთვის*
*შენი სიტყვისას მოველი მაცნეს!*

„მე უდიდესი სიხარულისთვის შენი სიტყვისას მოველი მაცნეს!“ – უაღრესად ტევადი და ბიბლიური მოტივის ლექსში სრულფასოვანი რეალიზაციის ნიმუშია. ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის ჭეშმარიტება ბევრ ჩვენს პოეტს აქვს გამოხმობილი, მაგრამ ანასეული სიღრმე და სიმაღლე იშვიათობაა.

ანა კალანდაძე ის პოეტია, რომელსაც არსთა გამრიგემ ზეცასთან სალაპარაკო ენა ასწავლა. მისი ლექსის თითოეული სიტყვა მირონცხებულია და მკითხველისათვის სულის სალბუნს წარმოადგენს. აქ თითოეულ ფრაზას თავისი დატვირთვა აქვს, თავისი მისია აკისრია. ანას ლექსის ენა სათნოა, ჰაეროვანი და გამჭვირვალე, უბრალო და დიდებული. ღვთით კურთხეული სიტყვებისაგან შობილი

ლექსი სულიერი მოძღვრის როლს ასრულებს. თითქოს განგებამ მოგვივლინა პოეტი ქალი, რათა არ გაწყვეტილიყო ცასთან დამაკავშირებელი სიმი. იგი ხომ თითქმის ერთადერთი იყო, ვინც ერის სულიერი უძრაობის პერიოდში სუსტი მხრებით მიარღვევდა ზეცაში ჩამოწოლილ ღრუბლებს და მიიკვლევდა გზას ღვთის საუფლოსაკენ, აზროვნებდა და წერდა ისე, როგორც შეშვენოდა ჭეშმარიტ ღვთისმოსავს.

პოეტმა წინასწარმეტყველურად შეიმეცნა თავისივე მარადიულობა. შემეცნების ულამაზესი წუთი საკმარისი აღმოჩნდა, რათა გულმხურვალედ წარმოეთქვა:

*დავბრუნდი სახლსა ზენაარისა*
*და გაკვირვებით წარვთქვი დიდითა -*
*სად არის იგი, სად არის იგი,*
*ვინაც გვირგვინი ჩემი იტვირთა,*
*მომცა ყვავილი ჩემი თმებისთვის*
*და დამამკვიდრა კრონოსის ახლოს?*
*ვინ ბრწყინვალება თავისი მამცნო*
*და მაზიარა თვის გულის ძახილს?*
(„დავბრუნდი სახლსა...“)

ბიბლიური თემებით გაცისკროვნებულ პოეტის შემოქმედებას სულიწმინდის მადლი გადმოდის. კითხულობ ამ ლექსებს და თითქოს სულის გალობას ისმენ, თითქოს ფსალმუნს ეზიარები. ისინი ერთხელ კიდევ გვარწმუნებენ იმაში, რომ პოეტშემოქმედს „სულის მიერ ეძლევა სიბრძნის სიტყვა“ (პავლე მოციქული - „ახალი აღთქმა“).

პოეტს არცთუ ისე ხიბლავს რეალური ყოფა, რადგან იგი თრგუნავს მაღალი სივრცეებისკენ მიმართულ თანდაყოლილ იდეალებს. მან, როგორც ღვთის რჩეულმა, კარგა ხანია შეიმეცნა, რომ ვიდრე მიწიერ სახლსა თუ კარავში სახლობს, ღმერთის გარე სახლობს. ამიტომ, ვიდრე „ეს კარავი დაინგრევა“ („ახალი აღთქმა“) აქვე ეძებს სულის სავანეს. ჰპოვა კიდეც ასეთი ადგილი, რათა აღავლინოს ღვთის საგალობელი.

სათნოებასთან შერწყმული პოეტური წარმოსახვისა და უტყუარი ინტუიციით გაწონასწორებული პოეტი-ბანოვანი გრძნობს, რომ ღვთის სიყვარული გადმოღვრილია მასზე და თავადაც მტკიცედ დგას უფალში. სწორედ ასეთია სიყვარული უფლისა და მისი „მონისა“, სიყვარული, რომლის შესახებაც „ბიბლია“ შეგვახსენებს: „მე ჩემი მეტრფისა ვარ და ჩემია მეტრფე ჩემი... ვერ დაშრეტს სიყვარულს წყალი მრავალი და მდინარე ვერ წარხოცავს მას“ (ქებათა-ქება სოლომონისა, თ. 6- 8).

პოეტი ღვთისაგან ხელდასმულია, რათა ილაპარაკოს ამ სიყვარულზე. სიყვარული ხომ თავად მოიპოვა, როცა თავისი ცხოვრების წესით ძლია მდაბალ ცთუნებებს, მიეახლა მადლის საყდარს და იპოვა მადლი „დროული შეწევნისათვის“. მკერდით გადაეფარა კერპთაყვანისმცემელთა მიერ დასავიწყებლად განწირულ ღვთიურ სიტყვებს და თავისი სულის ძალა შეაშველა; გაათბო ისინი პოეტური ცეცხლით და ისე თავმოსაწონებლად წარმოაჩინა, როგორც ეს შეეფერებოდა ლაზარეს ენას. ღვთის კურთხევამაც არ დააყოვნა და პოეტს ათქმევინა:

„შენ ხარ საყდარი ჩემის დიდების,“
ძალი მაღალი ყოველთა ძალთა...
მომმადლე შენი კვლავ ბრწყინვალება,
მომხვდეს ნათელი ყოველთა ნათელ!
შენის დიდების მე ვარ საყდარი!
(„შენ ხარ საყდარი...“)

ცხოვრება პოეტს ჯვარცმას სთავაზობს. მაგრამ ეს ხომ სულის სიმშვიდის წინაპირობაა, „მწუხართა ცრემლთა“ ძალუმი შეგრძნებაა. სწორედ ამ დროს „აღმოშლის გული მძლავრთა გრიგალთა“ („გთავაზობთ ჯვარცმას...“) პოეტისავე ენით თუ ვიტყვით, მხოლოდ დიდი ტკივილებით შეძრულ სულის წიაღში თუ აინთება „ცეცხლი ზეცითგარდამო“. სულიერი ტკივილებითა და ღმერთთან მიახლოების დაუოკებელი ლტოლვით არის ნაკარნახევი სტრიქონები:

*გულს დამფენია მზეი ცხოველი,*
*უკეთურებით კვალად ხსნისათვის,*
*სინათლის ჩემის გაძლიერებად*
*მიწყივ უკუნით უკუნისამდე!*
(„გულს დამფენია“)

პოეტის შემოქმედებაში ბიბლიური თემა ფილოსოფიური აზროვნების ამოსავალია. ანას ლექსი ბიბლიური საიდუმლოს პოეტური ახსნაა, კაცობრიობის სულიერი მისიის შეცნობაა. პოეტის პასუხი საუკუნეებგამოვლილ კითხვაზე - რა არის ჯვარცმა? - მეტად ლაკონური და გამჭვირვალეა. პოეტმა იცის, რომ სისხლს სისხლით ვერ გაწმენდ, ზიზღს ზიზღით ვერ დათრგუნავ, სიძულვილს სიძულვილით ვერ უარყოფ. ანასათვის ჯვარცმა სიძულვილის ძლევაა სიყვარულით, შურისა - სასოებით, რისხვისა - სულის სიმშვიდით. აკი აღიმართა „წამების ჯვარი შეუცოდებელ სულის წინაშე...“ („და წარადგინეს უფალი ჩვენი“), როცა „ჭიანჭველასაც“ სწყუროდა სისხლი!“ და მოხდა ძლევაი საკვირველი“. ჯვარცმით, ე. ი. ღვთიური სიყვარულით და უფლის თავგანწირვით „დაოკდა რისხვა“.

ქრისტიანობა ეკლიანი გზაა წამებისა, ეკლის გვირგვინია; ეს დიდი სიყვარულია, ეს თავგანწირვაა სიყვარულისათვის, მარადიულ სიცოცხლემდე ერთი ამოსუნთქვაა. საამაყოა, რომ ამ გზაზე მტკიცედ ვიდოდნენ ქრისტიანი გმირები - წმინდანნი საქართველოისა. ანას პოეტური წარმოსახვა გვაძლევს საშუალებას, ვხედავდეთ მხედართ საბრძოლო დროშის ირგვლივ, ვხედავდეთ ანგელოზებს ზეციური სვეტის გარშემო.

პოეტი მათ უგალობს სულითაც და გონებითაც. მისი უტყუარი ალღო აფასებს წინაპრის ღვთიურ მადლს და მათ სულებთან თავის სულიერ ნათესაურ კავშირსაც წარმოგვიდგენს. ამ სულიერი ერთობის ძალით ლოცულობს იგი ალავერდის დიდებულ ტაძართან, იყალთოს კედლებთან, დავით გარეჯის უდაბნოსა შინა, სულის სავანედ ესახება

ეროვნული ბიბლიოთეკა



„ოშკი და ზარზმა, ბებერი ტაო...“ თუ მარიამ დედოფლის ფრესკასთან ლოცვასავით წარმოთქმული სიტყვები:

*ვინ, თუ არა შენ,*
*უწყის,*
*რომ იგი*
ქვეყნის დაღლილ სულს ეამბორება?

ამავე ლექსში ვისმენთ პოეტის ბრძანებას

*(და ეს ერთადერთი შემთხვევაა):*
*უნდა შეკეთდეს სვეტიცხოველი,*
*აღსდგეს ქართული წესი და რიგი,*
*უნდა ისმოდეს ქართული სიტყვა,*
*გადაიწეროს ქართული წიგნი!*

იცის პოეტმა, რატომაც ბრძანებს ამას. მას გასიგრძეგანებული აქვს კაცობრიობის ისტორია. მისთვის უცხო არ არის ჩვენს პლანეტაზე არსებულ უძველეს და უძლიერეს ერთა გადაშენების საკვირველება. ძლევამოსილი ქრისტიანი ერებიც გამქრალან ან აღრეულან დამპყრობელთა ველურ ტომებში. ამის შიში აქვს პოეტს. ამიტომაც ცდილობს, ლექსად დაწერილი საქართველოს ისტორია მკვდარი წარსულის სახით კი არ წარმოგვიდგინოს, არამედ სახელოვან წარსულში ჭვრეტს ერის მომავალს. პალესტინიდან ხომ უფლის ნათელი მთელ მსოფლიოში პირველად და სხვა ქვეყნებზე გაცილებით ადრე საქართველოს მოეფინა?! საქართველოა ის ერთადერთი ქვეყანა, რომელიც მოციქულთა მსოფლიო ქადაგებამდე ეზიარა ქრისტეს მადლს მცხეთაში უფლის კვართის მოვლინებით. ეს აიმედებს პოეტს, როცა ამბობს:

*ნათელთა კაცთა გრძნეული ხომლი,*
*მარადიულად ბრწყინდება ქართლზე!*

ჩვენი ერის გადარჩენის მიზეზთა-მიზეზს პოეტი ქართველთა ჰუმანიზმში ხედავს. საქართველო არ არის აგრესიული, დამპყრობელი ქვეყანა. ამას ხედავს უფალი. ამასვე ათქმევინებს პოეტი ლექსში „ელისე“ ქართველ კაცს. საქართველოში სტუმრად მყოფი ელისე წინასწარმეტყველის შეკითხვას – „მე რითი გიზღოთ“ პატივისცემაო, მასპინძელი პასუხობს:

*ჩვენ ჩვენს მიწაზე ვცხოვრობთ,*
*რამ გავიჭირვოს თვისტომთა შორის?*

მაგრამ, სადაც ღმერთია, იქ იუდაცაა. სადაც ანგელოზია, იქ სატანაცაა. ამიტომ საჭიროა ბრძოლა გადარჩენისათვის. გადარჩენის გზა კი ლოცვაში, ღმერთთან მიახლოებაშია:

*გულის გასახარს რეკავს სატანა!*
*ლტოლვილ ქართველებს...*
*ცრემლებს ატანენ.*
*სანთელი ჩაქრა სამასიოდე,*
*სამასიოდე კერა ცივდება.*

პოეტის მიერ ბიბლიურ თემებზე შექმნილი ლექსების ციკლი ჩურჩულით, ლოცვასავით წასაკითხია. ისინი ფრესკასავით ფაქიზი და იდუმალებით აღსავსეა. პოეტური სახეები უცნაურ განწყობილებას ქმნის, რომლის მიღმაც ვკითხულობთ ლამაზ სევდასა და სინანულს. ისინი გვიტოვებენ იის სინაზესა და სურნელს, იმ იისას, რომელსაც ყოველ დილით ეპკურება „ცრემლი ღვთისმშობლის („იყავ დღეგრძელი“). კითხულობ მათ, თითქოს დგახარ ტაძარში და ხედავ:

ჩაქრა სანთელი, შემოუბერა
და თან წარიღო „მოვედ სუფევა...“
(„ხატთან ანთია სანთელი ორი“)

პოეტის ხატის მისტიკურ შემქმნელს ჰგავს პოეტი-შემოქმედი. ლექსის ლირიკული გმირი ყველგან ავტორის „მეა“. ამიტომ უფრო ცხოველმყოფელია მისი სიტყვა, ხოლო ლექსის სურნელი გადამდები: „საკმლის სუნი სდის მოთიბულ ბალახს, წმინდა ღამენო!“

საკმევლის სუნით გაჯერებულ სტრიქონს მრავლად შეხვდებით პოეტის შემოქმედებაში. წმინდა ღამეთა იდუმალებას ხან მწუხრის ზარები მოაქვს ჩვენამდე, ხანაც „მბჟუტავი სასოება...“ მწუხრი ახლოვდება. ბინდდება. აპოკალიფსის აჩრდილი ჩამოსწოლია ქვეყანას ჩვენსას. მხოლოდ მდუმარე ლოცვას თუ შეუძლია გადარჩენა და ლოცულობს პოეტი, ღმერთს ავედრებს თამარისა და დავითის, ქეთევან დედოფლისა და შუშანიკის სულებს.

ანა კალანდაძე თავის ლირიკაში ბიბლიურ თემებს და მოტივებს სულ სხვადასხვა რაკურსით, სხვადასხვა განზომილებითა და ფორმით გამოიხმობს. მეტწილად ეს მოტივები საკუთარ ქურაში ისეა გადახარშული, რომ ძნელი მისაწვდომია, სად იწყება და თავდება იგი. ამისათვის საჭიროა, როგორც უკვე ვთქვით, ქვესკნელში ჩაყოლა, მიწისქვეშა მდინარეში შეტოპვა, რათა სრულყოფილად იგრძნო და განიცადო ყოველივე, არა ქვეცნობიერად, არამედ ხილულად. თუმცა ზოგი ლექსი პირდაპირ თვალსაჩინოდ მიგვანიშნებს, რომ იგი ბიბლიიდანაა სათაურშივე და სათაურის ქვეშ წარწერით:

ეზდრა

(ბიბლიიდან)

*ძეთა ქებულთა უძველესის*
*ისრაელისა,*
*ო, მე მოვაშთე ბოროტება*
*გულითქმისანი...*
*და... თუ მძიმეა ცოდვა ჩემი*
*ტანჯვის ცრემლიდან,*
*ტანჯვის ცრემლთაგან,*
*თვითონ განსაჯე, დიდო სულო,*
*სიონისაო!*

უთუოდ საყურადღებოა ისიც, რომ ანა კალანდაძე ბიბლიურ ტექსტებს ხშირად იყენებს ეპიგრაფად. განსაკუთრებით მათეს სახარებიდან:

1. „წარვედ და დავჰფალ ქანქარი იგი შენი ქვეყანასა“.

2. „შეიპყრეს იესუ... ხოლო პეტრე მისდევდა მას შორით“.

3. „რომელმან ყოს ნებაი მამისა ჩემისა ზეცათაისაი, იგი არს... დედაი ჩემი და დაი ჩემი“... და

სხვა.

ეს ფაქტი, მარტივად რომ ვთქვათ, მეტყველებს იმაზე, რომ ანა კალანდაძეს განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს მათეს სახარებასთან. სხვა შემთხვევაში ალბათ, სულ სხვა სურათი გვექნებოდა.

პოეტური ინტუიცია სასიამოვნო ხილვებით ავსებს ანა კალანდაძეს. ხილვის საგანი ზეცის წყნარი უბეა და კიდევ უკვდავების ინტუიციური შეგრძნება:

„თეთრით მოსილი დედოფალი დგას, ურანია, და მიხმობს თავისკენ", - ამბობს პოეტი და ჩვენც გვახსენდება მოციქულ იოანეს გამოცხადებიდან „-გამარჯვებული ჩაიცვამს თეთრ სამოსელს და მის სახელს არ ამოვშლი სიცოცხლის წიგნიდან, და ვაღიარებ მის სახელს ჩემი მამის წინაშე და მისი ანგელოზების წინაშე" (ახალი აღთქმა).

თუ წმინდა მოციქულის ამ სიტყვებს გავითავისებთ, სავსებით კანონზომიერად უნდა მივიღოთ ლექსის ფინალი:

*მომავლის დღეს*
*მოველი მიწყივ!*

სხვა ლექსშიც - „უცხო ტაბლაზე..." პოეტის სულის მოსასხამი „თეთრია... თეთრად მბრწყინავი".

პოეტი-ბანოვანი განირჩევა რიგით მოკვდავთაგან. მათგან განსხვავებით გააჩნია გამოცხადება და შეიმეცნებს ღვთაებრივ სამყაროსა და ღმერთს, ე. ი. მას აქვს სულიერი ხილვის უნარი. ასეთი ხილვის მეშვეობით, იგი, როგორც წინასწარმეტყველი, ჭვრეტს თავისივე ცისკარს, „გულით ბრმათათვის" უჩინოს:

*შუაღამისას მოვიხილე წმინდა სავანე,*
*შუაღამისას მოვყევი მას*
*ისევ და ისევ,*
*არ მიწიერი კავშირისათვის*
*არ მიწიერის,*
*არ მიწიერი გვირგვინისათვის,*
*არამედ ცისა!*

ბიბლიასთან ანა კალანდაძის იდუმალი და სისხლხორცეული კავშირის შედეგად მის შემოქმედებასთან საზიარებლად პოეტური სიმბოლოების ამოხსნა გვიხდება. თავად პოეტს თავისი სიბრძნის ნაყოფისათვის სახელიც კი შეურქმევია - ზურმუხტი, ძოწი, ბირვილი („ჩემი ზურმუხტი, ჩემი ძოწია..."), „ამეთვისტო და მარგალიტსხმული" („ჩამოჰკრეს მწუხრის...").

პოეტს გაცნობიერებული აქვს, რომ ამქვეყნად ყოველივეს ცა განაგებს, რადგან ხედავს, „გამოცხადება ხდება მხოლოდ „ციურის ძალით, ცათავე ნებით" („გამომეცხადა რჩეული ჩემი...").

ამავე ნებით განქარდება ყოველივე, რასაც ცა მოგვანიჭებს. რჩება მხოლოდ „შარავანდედი უხილავი უცხოთა თვალთა". ეს ის შარავანდედია, რომლითაც გარემოცულია ანას პოეტური სამყარო, იგია ბრწყინვალება, სასოება, ცის ნათების მსგავსი რამ, ის, რაც ეძლევა რჩეულთ.

ანა მიყვება უფლის სისხლიან კვალს, უფლის მსგავსად ნათელმთოვარე პოეტური ძალმოსილებით ადიდებს უზენაესის სახელს და, ამავდროულად, თვალს ვერ აშორებს ადამიანის მიწას, სადაც „ითესება კეთილი თესლი". მიწისა და ცის კავშირი, ღვთიური კავშირი ხომ სამყაროს წესრიგია. და აი, მათეს სახერებიდან - „წარვედ და დავფალ ქანქარი იგი შენი ქუეყანასა..."

ცისა და მიწის საოცარი შუამავალია ლექსი, რომელსაც ამჯერად მთლიანად მოვიტან:

*ყავ მტილი ჩემი ვარდით სავსე*
*და მზეთა დგომად,*
*დამძიმებულთა გულთა შვებად*
*და მოსაფონად...*
*მე ამისათვის მოგანიჭე*
*ჩემი ტალანტი,*
*თუ ამოქმედე,*
*კეთილო მონავ?*
*- მიიღე იგი, მეუფეო,...*
*მიწაში ვმალე:*
*რაა ციური, თუ მიწისაც*
*არ ექნა ძალი?*

(„ყავ მტილი ჩემი...")

პოეტი უგალობს იმ ჰარმონიას, რომლის თანახმად „უწყის მიწამან ღირსება" ცისა („ბრწყინავს კარიბჭე...").

ანა ღვთიური შემოქმედია, მისი ლექსი ფსალმუნია, მისი პოეტური სამყარო რეალურ სინამდვილესთან სულის ჰარმონიული შერწყმისაკენ სწრაფვაა. ამ სწრაფვისა და ღვთიური სიყვარულისათვის პოეტმა მიიღო უმაღლესი ღვთიური ჯილდო - მარადიულობა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნათელა ჭახნაკია

# „ოქროს საწმისის“ საიდუმლოება

ქართულმა სიტყვამ ბევრ სასწაულს გვაზიარა, მაგრამ უპირველესი საოცრება მაინც ისაა, რომ სწორედ სიტყვამ შემოინახა და უკვდავყო სახელწოდება პირველი ქართული წიგნისა „ოქროს საწმისი“. დღეს იგი ბევრ საინტერესო კითხვას ბადებს ჩვენში: როგორი იყო ეს წიგნი? რა შინაარსს შეიცავდა? რა მასალისაგან იყო დამზადებული? რა სახით იყო ნაწერი? ამ კითხვებს რამდენადმე პასუხს სცემს თავფურცელი პირველი ქართული წიგნისა „ოქროს საწმისი“. ეს უპირველესი განძი ჩვენი კულტურისა ფიზიკურად გაქრა, აღარ შემოგვრჩა, მაგრამ გადარჩა სიტყვა, რითაც მის არსებობას უტყუარი ბეჭედი აზის ჯერ კიდევ მე-13 საუკუნეში ჩვენს ერამდე, ე. ი. იგი 33 საუკუნისაა. ეს ვარაუდი ქართული წიგნის შესახებ იმდენად ზღაპრულ-რომანტიკული ვერსიაა, რომ იქნებ დაუჯერებელიც მოგვეჩვენოს ამის მტკიცება, მაგრამ არსებობს ის ჯადოსნური ძაფი, რომელიც ამ წიგნთან არის გამოკვანძული და, დღევანდელ ცნობიერებამდე უწყვეტად მოწევნილი, ჩვენს ფიქრებთან, აზრებთან და სულთან გადანასკვული, მოსვენებას რომ არ გვაძლევს, თუ არ გავხსენით ეს ნასკვი, კვლავ და კვლავ არ ვეძიეთ ფანტასტიკური, მხოლოდ ზეგრძნობადი სივრცით ამ პირველ ქართულ წიგნთან მისასვლელი გზა. დღეს იგი მხოლოდ ზეპირი წიგნის სახით არსებობს და მის წერილობით პირველხატს აღადგენენ და ანამდვილებენ მრავალფეროვანი ეთნოგრაფიული, არქეოლოგიური, ისტორიული, ზეპირსიტყვიერი მასალები. წმინდა ენობრივ-ლიტერატურულ წყაროს კი წარმოადგენს ჩვენამდე შემორჩენილი ორადორი სიტყვა „ოქროს საწმისი“ და „ოქროს ვერძი“; იმდენად დიდია ამ მითოლოგემათა ლექსიკურსტილისტური დატვირთულობა, რომ მათი სიღრმისეული გააზრება ბევრ დაუნჯებულ ფაქტს აცოცხლებს და ამეტყველებს.

უპირველეს ყოვლისა, გადავხედოთ ჩვენი ძირძველი წარსულის იმ უდიადეს ხანას, რომელიც სხვადასხვა რეალური მონაცემებით არის აღდგენილი და გაცოცხლებული. ესაა მთელ ანტიკურ სამყაროში ფართოდ ცნობილი კოლხეთის სამეფოს ძლიერებისა და აყვავების პერიოდი. კოლხთა ერთიანი და ვრცელი პოლიტიკური ერთეულის არსებობის მაუწყებელია ბერძენ ისტორიკოსთა და გეოგრაფთა წერილობითი წყაროები და არქეოლოგიური მასალები, რომელთა მიხედვითაც კოლხეთის სამეფო წარმოგვიდგება, როგორც ძლიერი, ეკონომიკურად და კულტურულად დაწინაურებული სახელმწიფო, მრავალრიცხოვანი ქალაქებითა და ქალაქური ტიპის დასახლებებით, განვითარებული ხელოსნური წარმოებითა და მეურნეობით, გარესამყაროსთან გაცხოველებული სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობებით. აქ განსაკუთრებით დაწინაურებულა ოქრომჭედლობა და, საერთოდ, კოლხეთი ითვლებოდა ოქროთი უმდიდრეს ქვეყნად. სტრაბონის ცნობით, კოლხეთში მდინარეებს ჩამოაქვთ ოქრო, რასაც ბარბაროსები (ასე უწოდებდნენ ყველა უცხოელს ძველად საბერძნეთში, – ნ. ჭ.) დახვრეტილი ვარცლებითა და ტყავებით აგროვებდნენ. აქედან მომდინარეობს მითი ოქროს საწმისიან ტყავზე...“ ხოლო ახ. წ. II საუკუნის მწერლის აპიანეს ცნობით, „კავკასიონიდან გამომდინარე მრავალ ნაკადულს ოქროს ქვიშა ჩამოაქვს. ადგილობრივი მცხოვრებლები მდინარეში სქელმატყლიან ცხვრის ტყავებს დებენ და აგროვებენ ქვიშას, რომელიც ამ ტყავზე რჩება. ალბათ ამგვარი იყო აიეტის ოქროს საწმისი“ („მითრიდატეს ომები“, 103).

ოქროს მოპოვების ზემოაღნიშნული წესი თითქმის უკანასკნელ დრომდე შემოინახა სვანეთში, ე. ი. ისტორიული კოლხეთის მთიან რაიონებში. აწ განსვენებული ქართველი ეთნოგრაფის ლ. ბოჭორიშვილის ცნობით: „... ოქროს მოპოვებას სვანები ცხვრის ტყავის დახმარებით ახერხებენ. ფიცარზე გაჭიმულსა, თუ სხვაგვარი ხერხით გაშლილ ცხვრის ტყავს სათანადოდ დაამაგრებდნენ, რომ წყალს არ მოეტაცა, ტყავის ბეწვიანი მხარე ზემოთ უნდა ყოფილიყო მოქცეული. ბეწვი ოქროს დაიჭერდა და წყალი კი გადაივლიდა, სველი ტყავი ოქროს კენჭებს მიიწებებდა, რადგან ოქრო უფრო მძიმეა, ვიდრე სილა, ამიტომ ქვიშა ზევით რჩება და ოქრო ძირს ჩადის. განსაზღვრული დროის შემდეგ ტყავს ამოიღებდნენ, გასაშრობად გაშლიდნენ, გამშრალ ტყავს დაბერტყავდნენ და „ოქროს კენჭებს“

გადმოურიდნენ.

ახ. წ. II-III საუკუნეების მწერლის ხარაკს პერგამონელის მტკიცებით „ოქროს საწმისი არის ეტრატზე აღნუსხული ხერხი ოქროდამწერლობისა, რომლის გამოც, როგორც ღირსსარწმუნოა, მოეწყო „არგოს ლაშქრობა“. მრავალმხრივაა საინტერესო ბერძენთა მიერ შეთხზული კოლხეთში დაკრძალული აიეტის ეპიტაფიაც“.

„ოქრომრავალი კოლხეთის მეფე აიეტი
ღმერთების ყოვლის შემძლე სვემ აქ გააპატიოსნა“.

განსაკუთრებით ყურადსაღებია ეპითეტი ოქრომრავალი, რომლითაც ძველ ბერძნულ მწერლობაში ჩვეულებრივ ამკობდნენ იმდროინდელ მსოფლიოში სიმდიდრით სახელგანთქმულ ქალაქებს: მიკენს, სარდს, ბაბილონს.

ბერძენთა წარმოდგენებში კოლხეთი იყო ოქროს, მედიცინის, მეცნიერებისა და მხედრული ძლიერების ქვეყანა. ჯადოსნური რომბის მეშვეობით კოლხი ვარსკვლავთმრიცხველნი აბნელებდნენ და ანათებდნენ მთვარეს. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს „ოდისეას“ მეათე სიმღერა, რომელშიც ვრცლადაა მოთხრობილი ოდისევსის მისვლის ამბავი კუნძულ აიაზე, სადაც ცხოვრობდა ადამიანივით მეტყველი ქალღმერთი კირკე და რომელსაც განაგებდა კოლხეთის მეფე აიეტი. მოთხრობილია, აგრეთვე, მისი გრძნეულების შესახებ. თავის კუნძულზე ღმერთქალი კირკე სრულუფლებიანი დედოფალია, რომელიც ჯადოსნური კვერთხის შეხებით მოგზაურებს ცხოველებად აქცევს. ერთმა ამერიკელმა მეცნიერმა იხუმრა: „კოლხმა კირკემ აქცია ბერძნები ღორებად და არა პირიქით. ეს კოლხთა კულტურის მაღალ დონეზე მეტყველებს“.

კოლხეთის კულტურის განსაცვიფრებელ თავისებურებაზე მოგვითხრობს მთელ ანტიკურ ხანაში გავრცელებული და გახმაურებული არგონავტების ამბავი, რომელიც ყველაზე სრულად და კარგად აღწერა ელინისტური ხანის ბერძენმა მწერალმა აპოლონიოს როდოსელმა. ამ მითის ამბავი თითქმის ყველა ქართველისათვის ცნობილია, ჩვენთვის, განსაკუთრებით საინტერესოა მასში დაცული ცნობა, რომ კოლხებს შენახული ჰქონდათ თავიანთი მამების ნაწერი კვირბები (მაგარ საგნებზე ამოკვეთილი ნიშნები), რომლებზეც ნაჩვენები იყო ზღვისა და ხმელეთის ყველა გზა და საზღვარიო. ამ მხრივ, საინტერესოა სხვა ბერძნული წყაროებიც, რომელთა მიხედვითაც კოლხეთში ინახებოდა არა ოქროს საწმისი, არამედ ტყავზე ნაწერი წიგნი. ამ ცნობებს რეალური ახსნა მოეპოვება ქართული ენობრივი მონაცემებით. მეგრულ-ჭანურ გამოთქმებში მინიშნებულია, რომ ცხვრის ტყავს III, II და I ათასწლეულში კირიბები ეწოდებოდა (მეგრული კირიბ-ცხვარი). ცნობილია, რომ, როცა ხისგან ქაღალდის მიღების ტექნოლოგია არ არსებობდა, ხელნაწერებისთვის ფართოდ იყენებდნენ ე. წ. ეტრატს, საგანგებოდ, დამუშავებულ ცხვრის ტყავს (ეტრატი - ტყავის ქაღალდი, - საბა); ე. ი. საწერ მასალად დამუშავებულ ტყავს ქართულად ეტრატი ეწოდებოდა და ივანე ჯავახიშვილის აზრითაც, საქართველოში ძველად ყველა სხვა საწერ მასალაზე უფრო ტყავი ყოფილა მიღებული“; ვლ. სიჭინავას წერილში „ძველი კოლხეთის ისტორიიდან“ კირბები, იგივე კირიბიში, განხილულია, როგორც ძველი ზანური სიტყვა და ნიშნავს კრავს, ანუ კრავისას.

ამ ცნობებს სრულიად რეალურად მივყავართ იმის გააზრებამდე, რომ საქართველოში უძველესი დროიდანვე ივარაუდება დამწერლობა, მწიგნობრობა და სიტყვის მაღალი კულტურა, როგორც ქართული ცხოვრების სულიერების წარმმართველი ქმედითი ძალა; რომ არ შეიძლებოდა მაღალგანვითარებულ კოლხურ კულტურას არ შეექმნა მაღალი ფასეულობის მწიგნობრული ძეგლები; ვფიქრობთ, ამის ერთ-ერთი უნიკალური ნიმუშია სწორედ ოქროს საწმისი. საყოველთაოდ ცნობილი არგონავტების მითიური მოგზაურობაც განსაკუთრებული ისტორიული მოვლენაა და არა მხოლოდ ოქროთი დაინტერესება. ჩანს, რომ ოქროს საწმისი მთელ მაშინდელ კულტურულ სამყაროში გახმაურებული უიშვიათესი განძია, ამოუცნობი საოცრებებით აღსავსე ფასდაუდებელი საუნჯეა და მისი დაუფლება უძლიერესი საბერძნეთისთვისაც კი მაღალ მიზანს წარმოადგენდა.

„ოქროს საწმისში“ დაფარულ საოცრებათა შინაარსში სრულყოფილად ჩაწვდომა, რა თქმა უნდა, ძნელდება. იგი 33 - საუკუნოვანი სიშორის ბურუსითაა მოსილი, მაგრამ ამ საიდუმლოებათა ყველაზე რეალურ ახსნას თვით ამ სახელწოდების არსობრივი, სიღრმისეული გაანალიზება იძლევა. სწორედ ოქროს საწმისია ის ოქროს გასაღები, რომელიც ამ უიდუმალესი წიგნის ცხრაკლიტულს უნდა მოვარგოთ.

„ოქროს საწმისი“, როგორც ლექსიკური ერთეული, მრავალმხრივ არის საინტერესო. აქ სიტყვები „ოქრო“ და „საწმისი“ ქართულ ცნობიერებაში რჩეული სახიერი ცნებებია, რომლებიც დიდ ყურადღებას იქცევს როგორც პირდაპირი, ასევე მეტაფორული გააზრებით.

საწმისი უძველესი ქართული სიტყვაა და საბას განმარტებით - არის მატყლი რჩეული. ხაზგასმა მატყლის რჩეულობისა იმით არის განპირობებული, რომ მატყლი ჩვეულებრივი შესამოსელია ცხვრისა, მაგრამ საწმისი განსაკუთრებული ხარისხის ბეწვის ტყავია. ამ აზრს ამყარებს სიტყვის ეტიმოლოგიური ძირები. ფორმები წმასნა, წმასენა ნიშნავს ხლართვას, რთვას, ხოლო წმასნილი არის ძაფი, ნართი. ასევე დიალექტურ ლექსიკონში განმარტებულია სიტყვა საწმინდარი (ეს ტერმინი მხოლოდ ფშავშია შემორჩენილი), - სატანსაცმლე მატერიის მოსაქსოვად მატყლისგან დართული ძაფი.

ვფიქრობთ, წმას. წმასვ პირვანდელი ძირე-

ბისაგან ფონეტიკური სახეცვლილებით ნაწარმოები უნდა იყოს სწორედ საწმინდარი და საწმისი, რადგან, ნიუანსობრივი სახეცვლილების მიუხედავად, ძირითადად ფუძე-სიტყვის (წმასენა) შინაარსობრივ გააზრებას შეიცავენ. თავისთავად წმასნილი, ანუ ნართი დამუშავებული, გაწმენდილი ძაფია განსაკუთრებული რჩეული მატყლისა. მაშასადამე, მითიური გააზრებანი ცხვრის ტყავის რჩეულობისა და სიწმინდისა, როგორც საკრალური ზეშთაგონებისა, ჩამოიქნა სტილურად დახვეწილი და ნატიფი ლექსიკური ფორმით - საწმისი.

აღსანიშნავია, რომ ბერძნულ წყაროებშიც ოქროს საწმისი საღვთოდ რჩეული ცხვრის ტყავია და არა ჩვეულებრივი ცხვრისა. ამ მხრივ საინტერესოა ერთ-ერთი ბერძნული მითი, ღრუბელთა ქალღმერთის, ნეფელის ოქროს ვერძის ტრაგიკულ ისტორიას რომ მოგვითხრობს, რომლის მსხვერპლშეწირვის საკულტო რიტუალი სწორედ კოლხეთში აიეტ მეფის მიერ იქნა აღსრულებული, ხოლო ოქროს საწმისი, ვერძის ყელსა და კისერზე შემოვლებული, სამუდამოდ დარჩა მეფე აიეტის კუთვნილებად.

მაშასადამე საწმისი რჩეული ცხვრის ტყავია; იგი კოლხეთის მეფის, აიეტის სამუდამო კუთვნილებაა და, რაც მთავარია, ოქროს საწმისი არა მარტო იმ დროის სენსაციურ მოვლენას წარმოადგენდა, არამედ ერთგვარ ტონსაც აძლევდა პროტოკულტუროსან ქვეყანათა სულიერი ცხოვრების რიტმს. საწმისი უმაღლესი ღვთიური სიწმინდეა, რომელსაც საკულტო-რიტუალური მნიშვნელობა ჰქონდა. ამას ნათლად მოწმობს ეტიმოლოგიური წარმომავლობა დიალექტური ფორმისა საწმინდარი, მისი ფუძე-ძირია (სა-წმინდ-არ-ი) წმინდ, იგივე წმინდა, რომლის ნიუანსური ფორმებია სუფთა, უბიწო, აუმღვრეველი. წმინდა კი საკრალური სიტყვაა: „წმინდა ითქმის მხოლოდ ღვთისა ზედა და რომელნი ღ-თან წმინდა ყვნა მსახურნი და სათნომყოფელნი მისი“ (საბა). ე. ი. მაღალი იდეალებისათვის ქართული სიტყვა მუდამ ჭეშმარიტი ხელოვნების ნიმუში იყო და ყოველგვარი ენობრივი გამოხატვის უმდიდრეს შესაძლებლობას იძლეოდა.

ასევე ფრიად საინტერესოა საწმისის ორიგინალური ეპითეტ-სამშვენისი ოქროს (ოქროს საწმისი), რომელიც შინაარსობრივად ნივთიერ გამოხატულებას როდი წარმოადგენს. მასში უძველესი მითიური საზრისია ჩადებული; როგორც ვიცით, ოქროს საწმისი ოქროს ვერძთანაა დაკავშირებული, რომლითაც მზის თანავარსკვლავედთა ზეციური ხატებაა აღქმული. ე. ი. აქ ოქრო, უპირველეს ყოვლისა, მზის სინონიმია, რაც მრავალჯერ დასტურდება ქართულ ენობრივ სამყაროში და ამით ფრიად გამდიდრებულია ქართული ლექსიკა: ოქროსხივოსანი, ოქროგვირგვინოსანი, ოქროდაფერილი, ოქროვარაყიანი, ოქრომკედი, ოქროპირი, ოქროცურვილი და ა. შ. ან კიდევ სინონიმურობა ასეთი სინტაგმებისა: მზეჭაბუკი - ოქროყმაწვილი, პირმზიანი - პიროქრო, ენამზე - ოქროპირი, მზეო ჩემო - ოქროჩემო, მზის აკვანი - ოქროს აკვანი, მზის ფერი - ოქროსფერი და ა. შ.

ოქროს მითოლოგიურ გაგებასთან დაკავშირებით საინტერესოა ვახტანგ კოტეტიშვილის მოსაზრება: საზოგადოდ ოქრო მითოლოგიური ენით მნათობთა ატრიბუტია: ოქროს თმები, ოქროს ქოჩორი ჩვეულებრივ მზის დამახასიათებელი ნიშანია. ჰელიოსი (მზე) ოქროს ქოჩრიანი იყო. ზღაპრებში ხშირია ოქროსთმიანი ქალი, ოქროს ქოჩრიანი ვაჟი: „ვის უნდა ქალი ეთერი ოქროს თავმოსნიანიო“. „ოქროს საწმისიანი ვერძი“. ფინური კალევალა, მოგვითხრობს, როგორ გამოჰკვერა ღვთაებრივმა მჭედელმა ილმარინენმა მზე და მთვარე ოქროსა და ვერცხლისაგან. გერმანელები ამბობენ: მზე მიდის მოოქროვილი; გერმანულივე ანდაზაა: დილის საათებს პირში ოქრო აქვთ! ვედებში მზე მოხსენიებულია ოქროს ხელიანად, ჰინდრასაც ოქროს ხელი ჰქონდა, ასევე ბერძნულ აპოლოს და სხვა ამ რიგის ცნება არის „ოქროს აკვანი“ და ტანისამოსიც, რომელიც ასე პოეტურად არის ჩამოთვლილი (აქ იგულისხმება ვახტანგ კოტეტიშვილის მიერ მოძიებული და თავის წიგნში გამოქვეყნებული ხალხური „იავნანა“): „ატლასის საბანი ჰხურავს, ზარ-ბაბთისა არტახებით, მოვის პერანგი უცვიათ, მთვარე გრეხილად უელიათ, ვარსკვლავი ღილით უბიათ“... უძველესი წარმოდგენით ცა ღვთის სამოსელია, ვარსკვლავი კი ღილი, რომლითაც ეს მანტია არის შეკრული“ ე. ი. „იავნანაში“ ოქრო და საერთოდ პატიოსანი თვლებია გამოყენებული ყრმათა დასალოცავად, დასამშვიდებლად და დასანანებლად.

არსებობს ქართული ლეგენდა ოქროს აკვნის შესახებ, რომელიც ბაზალეთის ტბის ძირას არის და შიგ საქართველოს მხსნელი გმირი იზრდება. სავარაუდოა, აქაც მითიური სიმბოლოა მზის სხივისა და ტბის ურთიერთზემოქმედებისა, რომელიც ქართული ფანტაზიით, რაღაც ამოუცნობი იდუმალებითაა მოცული. ამ ლეგენდის არსი ოქროს ჯადოსნური ძალმოსილებაა, ისე როგორც სხვა შემთხვევებში.

დღემდე შემორჩენილია ტრადიციული რწმენა ჩიტების მაგიური ძალის შესახებ, როცა ისინი გაბმულად სტვენენ სახლის მახლობლად და თითქოს კარგი ან ცუდი ამბის წინასწარმეტყველნი არიან. ამიტომაა, სასწრაფოდ შესძახებენ ხოლმე „ოქროს ნისკარტი, ჩიტო! ოქროს ნისკარტი!..“ ე. ი. კარგი ამბავი დაგვიბედეო. ამ დროს სიტყვა ოქრო ზეშთაგონებით არის მოხმობილი, რათა გააუვნებლოს ჩიტების რაიმე ავი წინასწარგრძნობა და ღვთის კეთილ მაცნედ აქციოს.

კიდევ უფრო ღრმაა ოქროს თეოლოგიური გააზრება. გიორგი მერჩულე თხზულების „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ დასაწყისში გვამცნობს: „ბრძნად მეტყველება ვერცხლი არს წმინდა, ხოლო დუმილი - ოქრო რჩეული“, ვითარცა თქვა სოლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონ“. ამ დიდი სიბრძნით ავტორი კიდევ ერთხელ შეგვამეცნებს იმ უცილობელ ჭეშმარიტებას, რომ ყველაზე უიდუმალეს ღვთიურ აზრთა წვდომა შინაგანი გულისხმიერებითა და დუმილის სიღრმისეული განცდით არის შესაძლებელი. აქ სიტყვა ოქრო უმაღლესი, ზეღვთიური სიწმინდის გამოხატულებას წარმოადგენს.

ქართული მეტყველება ეპითეტთა სიუხვით რჩეულია, მაგრამ სიტყვა ოქრო დასაბამიერიდანვე აღმატებულ ფონს ქმნის და მთელ ქართულ მწერლობაშიც ენის უპირველეს სამკაულად მოჩანს. ასე მაგალითად, „ნესტვი ოქროისა“ (ოქროს სალამური) ქრისტიანულ მწერლობაში ფართოდ არის დამკვიდრებული.

გიორგი მთაწმინდელის ცნობით, ქართველ მწიგნობართა „ნამუშაკევი და დაწერილი წიგნები ტკბილმეტყველებითა და ოქროსიტყვაობით ეხმიანება ყველას, როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ.

მოკვლეული მასალებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სიტყვა ოქრო უპირველესი სახე-სიმბოლოა, რომელიც სინონიმურ აზრთა სიდიადით მეფობს ქართულ ენობრივ სამყაროში. ვითარცა სინთეზირებული დიდმშვენიერება ქართული ენისა. 1. იგია მითოლოგიური ხატება მზისა და მთვარისა. 2. ჯადოსნური ძალა და სამშვენისი. 3. ზეღვთიური სიწმინდე და უმანკოება. 4. სალოცავ და დასანანებელ ლექს-სიმღერათა მაგია. 5. უიდუმალეს უფლისმიერ განგებულებათა დაუნჯებული ჭეშმარიტება.

ამრიგად რეალური თუ მითოსური სინამდვილის ფონზე კიდევ უფრო ნათლად იკვეთება ოქროს ვერძისა და ოქროს საწმისის აზრობრივი შინაარსი. ოქრო, ვერძი, საწმისი ერთ ღვთიურ რკალში იყრის თავს იდუმალი ჭეშმარიტების შესამეცნებლად. ამ სიტყვათა პირდაპირი მნიშვნელობა სიღრმისეულად იფარავს, იმარხავს რეალურ, არსობრივ აზრს, ესაა: სიწმინდე, სიბრძნე, ძალმოსილება ანუ ღვთის სიტყვა.

ყველა მეცნიერული ვარაუდი, რომ ოქროს საწმისი არის ცხვრის ტყავი, რომელზეც ოქროს მოპოვების წესი იყო წერილობით მოცემული, თითქმის ეჭვს არ იწვევს. ე. ი. ოქროს საწმისი - ნაწერი ცხვრის ტყავია, ანუ წიგნია. მაგრამ როგორი წიგნი - ოქროს წიგნი! ოქრო კი სიმბოლური სახიერებაა ღვთიური სიწმინდისა, სიბრძნისა, ძალმოსილებისა (ამას ადასტურებს ანალიზი ზემოთხმობილი მასალებისა). ამდენად, ოქროს საწმისი არ შეიძლება მარტოოდენ ოქროს მოპოვების საიდუმლოებას შეიცავდეს. ესაა წმინდა წიგნი, საღვთო წიგნი - ანუ საღვთო სიტყვა-სიბრძნის წიგნი.

ჩვენი მოსაზრებით, ოქროს საწმისი მოიცავს ოქროს მოპოვების საიდუმლოებასაც, წამალთმცოდნეობასაც, ვარსკვლავთმრიცხველობასაც, თვეთა და დღეთა კალენდარულ ათვლასაც, სამხედრო საიდუმლოებასაც და, რაც მთავარია, სამყაროს აღქმის უიშვიათეს მითოლოგიურ წარმოდგენებსაც, რომლის მსგავსი შემორჩა სხვა უძველეს მაღალ კულტუროსან ქვეყნებს; მაშ, პირველი ქართული მითოლოგიური წიგნი (პირობითად ვუწოდებთ - ნ.ჭ.) დაიკარგა, მაგრამ შემორჩა სახელწოდება „ოქროს საწმისი“, რომელშიც სრულიად ნათლად არის გაცხადებული შინაარსი ამ სიტყვისა და მისგან გამომდინარე მთლიანი აზრი წიგნისა.

ამრიგად, ოქროს საწმისი ვერძის ტყავია. ტყავზე წერილობითი ამბავია მოცემული, მაგრამ არა უბრალოდ, სადად, მარტივად, არამედ იგი ოქროსიტყვაობაა, ანუ უმაღლესი საღვთო სიწმინდეა. შეიძლება ცხვრის ტყავი ოქროთია დაფერილი, მოოქროვილია, წიგნის მარადიული გამძლეობისათვის. მაგრამ მთავარია, წიგნი არის საკვირველმოქმედი სახიერებისა, უცხო რამ სახილველად, ოქროთი და ძვირფასი მასალით დამზადებული უმაღლესი კაცობრიული სიბრძნე, ღვთიური ჭეშმარიტებითა და სიწმინდით მადლმოსილი.

იქნებ ქართული ლეგენდაც ბაზალეთის ტბის ძირას ოქროს აკვნის შესახებ ოქროს საწმისის საიდუმლოებას წარმოადგენს, საუკუნეებმა სადღაც მარადიულად რომ ჩამარხა და შემორჩა მხოლოდ ლამაზი ოცნება ლეგენდის სახით?!

ან იქნებ იგი საგანგებოდ იყო დაცული, დაფარული და შენახული ურიცხვ მოძალადეთა შემოტევებისაგან, რომელთა მიზანს სრულიად აშკარად ამ განძის გატაცება წარმოადგენდა.

ეს ყველაფერი დღემდე მრავლისმეტყველ საიდუმლოს წარმოადგენს. ჩვენთვის მთავარია, რომ ქართული სიტყვა არის ის ყოვლისმომცველი ძალა, ძირი და ფესვენი ჩვენი ყოფიერებისა, რომელშიც მარადიულად მკვიდრობს, ცოცხლობს და ფეთქავს ქართული სიბრძნე, ქართული აზრი და ქართული სული.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მერი ტორაძე

## ტიციან ტაბიძე ეროვნული თვითცნობიერების შესახებ

ჩვენი საუკუნის დასაწყისში სულ უფრო და უფრო გამოკვეთილი ხდებოდა ეროვნული „მე“-ს თავისებურებათა გაცნობიერების განსაზღვრის მოთხოვნილება. ქართველი ავანგარდისტების მაშინდელი თაობა არ ყოფილა ნაციონალ-ნიჰილისტურად განწყობილი და კოსმოპოლიტური. ამ თვალთახედვით საინტერესოა ტიციან ტაბიძის პუბლიცისტური და ესეისტური ნააზრევი. ამჯერად მკითხველის ყურადღებას მივაპყრობ ტიციან ტაბიძის ერთ პუბლიკაციაზე - პუბლიცისტურ ესეზე „ქართული იდეა“, რომელიც გაზეთ „საქართველოში“ 1917 წელს დაიბეჭდა.

ნიშანდობლივია, რომ ტიციან ტაბიძის ერთ-ერთი პირველი წერილი ეროვნული თვითშემეცნების პრობლემას ეძღვნება. ეს არის თორმეტი არაბესკა, რომელიც ავტორის ესეისტურ-ინტიმურ, ლირიკულ, თავისუფალ განსჯას ემყარება. ამ, ერთი შეხედვით, უსისტემო, ქაოტურ, ამავე დროს, პუბლიცისტური ემოციურობით დამუხტულ პარაგრაფებში ქართული იდეის გამოკვეთის საყურადღებო ცდაა განხორციელებული.

უნდა ითქვას, რომ საქართველოს ფენომენით ასეთი ინტენსიური დაინტერესება, როგორიც ამ ესეშია გამოვლენილი, შეფასებების ასეთი რადიკალიზმი და თვითშემეცნების ასე გამძაფრებული სურვილი ერთი არცთუ უმნიშვნელო მიზეზითაც იყო განპირობებული. კერძოდ, იმით, რომ მოსკოვში 5 წლით სასწავლებლად წასული ტიციანი სწორედ 1917 წელს ჩამოდის რუსეთიდან და, როგორც ჩანს, მას ჯერ არ განელებია ნოსტალგიის გრძნობა, რომლის ფონზე უფრო ღრმად და წინააღმდეგობრივად წარმართულა მისი მოქალაქეობრივი და შემოქმედებითი მსოფლშეგრძნების მომწიფების პროცესი.

გულგრილს ვერ დაგტოვებთ 22 წლის კაცის გულწრფელი და ემოციური მსჯელობა: „არ არი ბედნიერება უტკბესი, როგორც სიკვდილი სამშობლოსათვის. ჩვენ ამას ვკითხულობთ სხვების სახეზე, ჩვენ ამას ვკითხულობთ ჩვენ ძველ წიგნებიდან. ჩვენ „წაგვართვეს, რაც წმინდა გვქონდა, ჩვენ წაგვართვეს სამშობლო!..“ წართმეულის დაბრუნებისა და დაკარგულის პოვნის სურვილის გამომხატველი ტრაგიკული ინტონაცია მთელ ესეს გასდევს - ეს ხან წართმეული სამშობლოს ძიებაა, ხან დავიწყებული ღმერთისა („მე ძველი მახსოვს აღთქმები წმინდა და დავიწყებულ ღმერთს ვევედრები“ - „ბალაგანის მეფე“, 1917) და ხან დაკარგული სახისა... მათი პოვნა ტიციან ტაბიძისთვის ქართული იდეის აღმოჩენის ტოლფასია.

სად ეძებს ავტორი ამ იდეის გასაღებს? მის მსოფლაღქმაში იკვრება წრე: სამყარო-სამშობლო-ინდივიდი, - სწორედ ამ სამი ფენომენის წარმოჩენით, მათი სინთეზის, ურთიერთშეღწევის საფუძველზე იგება საქართველოს სულიერი გადარჩენის თავისებური პროექტი.

„ქვეყანა დიდია. გაიხედავ აღმოსავლეთით, გაიხედავ დასავლეთით, არ უჩანს კიდე, არ უჩანს საზღვარი“, - უსასრულო *სამყაროს* ასეთი სურათით იწყება ეს ესე. სურვილი, ეკუთვნოდე რაიმე გრანდიოზულს, შეერთო შენზე უფრო დიდსა და ძლიერს, იქცე და აღიქვა თავი მის ნაწილად, ალბათ, პროვინციაში მცხოვრები, მაგრამ დიდი შინაგანი პოტენციის მქონე ადამიანის უმწეობის აუტანელი შეგრძნების დაძლევის ცდაა (ამ მცდელობის შემდგომი ეტაპი იქნება მთელიდან გამოყოფის და იზოლაციის ცდა; შემდეგ ისევ შერწყმისა და შემდეგ პირიქით...) „საქართველოს სწამს, რომ ის კეთილშობილი სტუმარია მსოფლიო ნადიმზე, მას სწამს უკვდავება“, - საკუთარი თავის მსოფლიო მასშტაბებში წარმოდგენა და მსოფლიო გიგანტებთან შეჯიბრი ისევ და ისევ არასრულფასოვნების მტანჯველი გრძნობისგან გაქცევად, თავის დაღწევად უნდა მივიჩნიოთ, „იყვნენ ერები... ეგონათ ამ ერთა მეფეებს, რომ მათ სამეფოში მზე არას დროს არ ჩადიოდა... დღეს ეს ერები აღარ არიან; მათი ხსენება გადავარდა... ირყეოდნენ, ინგრეოდნენ, იფშვნებოდნენ ისლამის მრისხანე მახვილისაგან უზარმაზარი სახელმწიფონი დიდი ტრადიციების. ჩვენ ვიდექით სასწაულით, არ ვკვდებოდით“. ჩვენ გადავრჩით, ჩვენ ვარსებობთ! - ერთგვარ თვითჩაგონების საშუალებად აღიქმება ამ თავისებურ შეჯიბრში გამარჯვების კონსტატაცია. ამ გზით ავტორი სპონტანურად უკავშირდება მსოფლიოს, სამყაროს, სხვა ადამიანებს, საკუთარ თავს...

მიუხედავად ამისა, ინდივიდი მაინც გრძნობს თავის უმნიშვნელობას, აცნობიერებს და განიცდის თავის განცალკევებულობას, იზოლირებულობას, იმას, თუ რა პატარაა და უმწეო ის ამ სამყაროში და იგი იწყებს მტკივნეულ ძიებას - ის ეძებს რაღაც სისტემას, სიმყარეს, რომელსაც დაეყრდნობა და მიაკუთვნებს საკუთარ თავს. ასეთი „სიმყარეა“ *სამშობლო.*

„სჯობს აღარ მქონდეს სულაც სამშობლო, ანდა არ იყოს ასე ლამაზი“ - დრამატულად და პათეტიკურად არის განცდილი ტიციან ტაბიძის პოეზიაში სამშობლო, მაგრამ „ეს გონებისმიერი აღტაცების ან საზეიმო მაღალფარდოვნების პათეტიკა კი არ არის, არამედ ყელში მობჯენილი ცრემლების პათეტიკაა“ (გ. ასათიანი). იგივე შეიძლება ითქვას „ქართულ იდეასთან“ დაკავშირებით, რომელიც, არსებითად, ისევ და ისევ პოეტის პათეტიკური ლირიკული მონოლოგია - მტანჯველი ფიქრებია სამშობლოზე.

საქართველოს ფენომენის გააზრებას ტიციან ტაბიძე უპირველესად მისი ისტორიის გააზრებას უკავშირებს. „საქართველოს აღორძინება მაშინ დაიწყება, როცა ვნახავთ და შევისწავლით ჩვენ კვალს და ისტორიას“, - წერს იგი ამ ესეში. ისტორიაზე აპელირება ქართულ სინამდვილეში არ არის უცხო და ორიგინალური რამ, აქ უფრო საინტერესო ის არის, რომ პოეტი ეხმიანება ამ პერიოდის ახალგაზრდულ მწერლობაში მომძლავრებული ერთგვარი პოლიტიკური ნეორომანტიზმის სულისკვეთებას (გ. ქიქოძე - „ჩაქუჩიანი მამაკაცი“ (1915), გ. ლეონიძე - „თამარ“ (1917), „ჩაბნელებული არმაზი“ (1917) და სხვ.) და ცდილობს, ისტორია წარმოაჩინოს ფილოსოფიურად, როგორც თავისუფლების სტიქიაში და პიროვნებაში განხორციელებული რეალობა. ეს რეალობა ტიციან ტაბიძესთან არ არის მთლად ნათელი და ხელშესახები, ის რაღაცნაირად ამორფულია, შინაგანი კონფლიქტებით აღსავ-

სე - „არავის გაუბედია ჩვენთვის მოეხსნა გვირგვინი გმირობის, ჩვენ გვამარცხებდნენ - გარნა დამარცხება გამარჯვებას სჯობდა“, ან „ცოტანი ვიყავით - ამაში იყო დაწყევლა და პოეზიაც“.

ამ ესეში უცნაურად „დაფრინავენ“ წამები, დრო უცნაურად არის დახლეჩილი - ხან წარსულში ვართ, რომელიც უკვე აღარ არსებობს; ხან მომავალში, რომელიც ჯერ არ დამდგარა; ხან კი აწმყოში, რომელიც ნაწილობრივ წარსულია, ნაწილობრივ კი უკვე მომავალი... ასეთი „ორგანიზებული ქაოსი“ ქმნის სწრაფმავალ დროში ჩაძირული სინამდვილის არარეალურობის სიმბოლისტურ ეფექტს.

თუ ამოვკრებთ გაბნეულ ფრაზებს და ქრონოლოგიით: წარსული - აწმყო - მომავალი - დავალაგებთ, ასეთ სურათს მივიღებთ: *წარსულში:* „სისხლის მდინარე საქართველოში არ არი მეტაფორა,“ „ისტორია რომ გულმავიწყი არ იყოს და შემთხვევით არ იწერებოდეს, ვინ იცის კლეოპატრას და მარიამ სტიუარტს რა ჩრდილი დაადგებოდა თამარ-მეფის და მისი ქალიშვილის რუსუდან დედოფლისაგან“; *აწმყოში:* „ძველი ისტორია უფრო პატიოსანია. ჩვენი დრო ისტორიასაც დაეტყო, ის გახდა უსინდისო სპეკულაციის საგანი“, „ომიანობის დროს შინ რჩებოდნენ ჯაბანები და კუტები, რომელთაც მოაშენეს დღევანდელი ქართველობა, ვაგლახ, არი ზარი და უბედურება. ჩვენში დადიან ჩიყვიანი კრეტინები, დადიან და არხეინად ანიავებენ ერის დიდებას... არ არის სიწმინდე, რომ საწამლავი არ გადაასხან; არ არის სიწმინდე, იმათ არ გააორგულონ“..., და იქვე ციტატა - „ფურთხის ღირსი ხარ შენ, საქართველო“...

ამ მძიმე შეფასებების შემდეგ ძნელია ხსნაზე, *მომავალზე* ფიქრი და მსჯელობა. ასეთ შეფასებებს იწვევს აპათია, გაუცხოება საკუთარი ერისგან, სამშობლოსგან, შინაგანი კონფლიქტი პიროვნებასა და ისტორიას შორის - მოაზროვნე ადამიანისთვის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე და დამთრგუნველი მდგომარეობა. ამ დროს ადამიანს ეჩვენება, რომ მისი ყოველგვარი მოღვაწეობა აზრს კარგავს, ყველაფერი უცხოა და „არანამდვილი“, რომ ჭეშმარიტი ფასეულობები გაყალბებულია და დაკარგული, იგი სრულიად მარტო აღმოჩნდება „მშობლიურ“ გარემოში; მაგრამ, რადგანაც პიროვნება მაინც წინააღმდეგობათა დაძლევისკენ მსწრაფი არსებაა, ამ ესეშიც ჩანს ავტორის სწრაფვა ისტორიის ტვირთის ჩამოშორებისკენ, სწრაფვა ახალი ისტორიის შექმნისა და მასში საკუთარი შემოქმედებითი ძალის განხორციელებისაკენ.

„მართლმორწმუნე და ნამდვილი ქართველები უნდა შევუდგეთ ლიტურგიას თავის თავისას... ჩვენ დავკარგეთ ჩვენი სახე, ჩვენ უნდა ვნახოთ იგი“, - თავისი *ინდივიდუალობის*, თავისი დაკარგული სახის ძიებას გაჰყავს ტიციან ტაბიძე „მომავლის გზაზე“ - „დროა მოვაგროვოთ ყველა საბუთები, რაც ჩვენ ინდივიდუალობას განამტკიცებს, რაც ამტკიცებს ჩვენი სიცოცხლის უფლებას“, - ე. ი. სიცოცხლის, არსებობის უფლება აქვს მხოლოდ იმ ერს, რომელმაც შეიმეცნა, დაინახა და გაიაზრა თავისი თავი. „ღმერთმა იმიტომ მოგვცა საკუთარი სახე და გაგვიგრძელა სიცოცხლის ჟამი, რომ საკუთარი გზით მივდიოდეთ“, ისევ და ისევ - არსებობის უფლება და აზრი მხოლოდ იმას აქვს, რაც ინდივიდუალურია და ეს აზრი მდგომარეობს სწორედ ინდივიდუალობის, საკუთარი სახის შენარჩუნებასა და განვითარებაში. აშკარაა, რომ ინდივიდუალიზმი ტიციან ტაბიძეს მსოფლმხედველობრივი პოზიციის რანგში აჰყავს.

ჩვენი დაკარგული სახის, ინდივიდუალობის პოვნა, მისი აზრით, შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ „წავიკითხავთ ქართულ იდეას... უნდა ადგეს იდეა ქართული. მანამდი ჩვენში მკვდარი იქნება სული“. ქართული სულიერების გადასარჩენად ჩვენი სახე უნდა ვეძიოთ ქართული რელიგიური შეგნების შინაგან ბუნებასა და შემოქმედებაში, რადგან „ქრისტე ეკუთვნის პოეტებს... მუსიკით აშენდება ღვთის ქალაქი“. ნიშანდობლივია, რომ ტიციან ტაბიძის იმავე პერიოდის პოეტურ შემოქმედებაშიც საკუთარი წარმომავლობის, ძირების ძიება რელიგიურ შეფერილობას იძენს:

*და განა ვიცი, სიდან მოვედი,*
*რომელი ქვეყნის ცხელი მზე მწვავდა,*
*მე დიდი მყავდა წინამორბედი,*
*წინამორბედი მაცხოვარს ჰგავდა.*
*(„ბალავანის მეფე“ - 1917).*

თუმცა ტიციან ტაბიძეს სურს ქართული იდეა იპოვოს ქართული ქრისტიანობის სპეციფიკაში, ეს სპეციფიკა მის მიერ მაინცდამაინც ნათლად გახსნილი და გაგებული არ არის; მსჯელობას აკლია კონკრეტულობა და დამაჯერებლობა, მაგრამ აქ მაინც არის ზოგიერთი საგულისხმო მომენტი. მისი აზრით, ქრისტე საქართველოში შემოვიდა, როგორც საქმრო, ე. ი. ავტორი ხაზს უსვამს ქართული ქრისტიანობის მამრულ საწყისს, მის აქტიურ, ძლიერ, ვაჟკაცურ ბუნებას და შენიშნავს, რომ ეს არის კონტრასტი რუსეთთან, სადაც, მერეჟკოვსკის თქმით, ქრისტე „სკოპეცია“, ქართული გაგებით, ქრისტე მხატვარია - შემოქმედია, ამქვეყნიური სილამაზის, მატერიის შემქმნელია, საქართველო კი „დიდი პოეტია, მან დაუჯერა ქრისტეს, რომ მუსიკით შეიძლება ღვთის ქალაქის აშენება“.

როგორც ვთქვით, საქართველოს ფენომენის გააზრება ტ. ტაბიძემ ქვეყნის ისტორიის გააზრებას დაუკავშირა, ისტორია კი მას, ერთი მხრივ, ტრადიციული ქართული ცნობიერებისთვის დამახასიათებელი ტრაფარეტით აქვს მოხელთებული (წარსული - დიადი; აწმყო - უბადრუკი), მეორე მხრივ კი, ერის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნების შესაძლებლობას, ერის ისტორიულ პერსპექტივას ორიგინალურად ხედავს.

ამ ორიგინალობაში ერთი საინტერესო ასპექტი შეიმჩნევა, რომელიც მე-20 საუკუნის დასაწყისის ნიშნით არის აღბეჭდილი, იმ დროის ინტელექტუალური და ემოციური ტვიფარი აჩნია: ეს არის ქართული რასობრივი უპირატესობისა და მესიანიზმის იდეები. „ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ ვინმე დაგვეხსნას უბედურებისაგან, ან ევროპის კულტურა გადაგვერჩინოს, მაგრამ ქვეყანა იმის მადლიერიც უნდა იყოს, რომ ჩვენ გადავირჩინეთ საკუთარი თავი და მივეცით ბედნიერება ჩვენის ხილვის“. კაცობრიობამ კი ეს ბედნიერება სათანადოდ ვერ დააფასა, მადლიერება მხოლოდ არგონავტების მითით და სხვადასხვა ქვეყნის მატიანეთა მოთხრობებით გამოხატა, რაც „არ ჰსახავს მთელ სახეს საქართველოსას, მაგრამ არა უშავს, მაინც დასაფასებელია ენაბლუისა და ძუნწის ძღვენი...“ ჭაბუკი პოეტის ცნობიერება, როგორც ჩანს, ზოგჯერ ვერ უძლებს გულწრფელი პატრიოტიზმისა და პიროვნული ამბიციების წნეხს და პრეტენზიულად კიცხავს სამყაროს. სამყარო კი, ალბათ, არ არის დამნაშავე, თუ მისი რომელიმე მცირე ნაწილი მთელი თავისი არსებობის მანძილზე თავგანწირულად იბრძვის პროვინციალიზმის დაძლევისა და არარეალიზებული პოტენციის განხორციელებისთვის.

ავტორის ცნობიერება ერთიანად არის მოცული დაღუპვისა და გადარჩენის იდეით, „მიჯაჭვულია“ ამ იდეასთან, რომელსაც უკავშირდება ზემოთ ხსენებული რასისტული და მესიანური ტენდენციები. „დროა ჩვენც დავიწყოთ „თეთრ სისხლზე“ ლაპარაკი და კეთილშობილ სახელზე... გავიგოთ, რომ საქართველო მოწვე-

ულია მსოფლიო მსახურებისთვის, როგორც მხედარი, და მხატვარი... საქართველო მეხუთე მახარობელი არის. საქართველოსგან წმინდა სახარებაში მტკიცდება ბუნება ქრისტე - მხატვრისა“, - ეს ის ფიქციებია, რომელსაც ადამიანი (ან ერი) უანგაროდ თხზავს, რათა ფსიქიკას ჩამოაშოროს საუკუნეების მანძილზე დალექილი არასრულფასოვნების განცდა, მოახდინოს თავისი სისუსტის და დამცირების კომპენსაცია; ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ ისტორიული პირობები, რომელმაც წარმოშვა საქართველოში ასეთი იდეოლოგიური ტენდენციები - მათი აღმოცენება უკავშირდება პოლიტიკურად, მორალურად დამთრგუნველი ძალისადმი წინააღმდეგობის გაწევის, მისი წნეხისგან გათავისუფლების, სხვისთვის თუ საკუთარი თავისთვის უპირატესობის დამტკიცების მოთხოვნილებას. „არ არის ერი, რომელსაც ჰქონდეს დიდი ისტორია და რომლის გულში არ გაეხიცინოს მესიანისტურ ფიქრებს“, - ებრაელები, ძველი ელინები, გერმანია, მესამე რომი, კელტური საფრანგეთი, რუსეთი, პოლონეთი - ავტორი ვერ ფარავს ამ „პლანეტათა ალლუმში“ საქართველოს მონაწილეობის მოკრძალებულ სურვილს. და რადგან მესიანიზმი თავისი არსით მომავლის რწმენას, მოლოდინს უკავშირდება, ტიციან ტაბიძის მესიანიზმიც იმედიანია - „ვიყვიროთ ხმა მაღლა, ვიყვიროთ ცრემლებით: - საქართველო აუღებელი ილიონია... ბევრჯერ ფიქრობდნენ აღებას და დანგრევას ჭკუა-ეშმაკი ულისები, თითქოს ეგონათ კიდეც რომ დაანგრიეს, მაგრამ ისევ სდგას, ისევ შენდება: - ახალი ილიონი...“

ტ. ტაბიძის აზრით, ახალი ილიონი ახალმა და ლამაზმა ჯიშმა უნდა ააშენოს, ძნელია არ დაეთანხმო ამ მოსაზრებას, მაგრამ ისიც ძნელია, არ შენიშნო ნარცისიზმი და აშკარად გადაჭარბებული ეროვნული თვითშეფასება. „რასიულ სილამაზის კიბის საფეხური ქართული სილამაზით ბოლოვდება... ქართველი ერიც გრძნობს თავის სილამაზეს, არც ერთ ხალხის ეპოსში არ არის ისეთი წარმტაცი აღწერა მზეთუნახავის, როგორც ჩვენ ეპოსში, ხალხმა იცოდა სად იზრდებოდა მზეთუნახავი...“

საუკუნის დასაწყისის ქართული მსოფლმხედველობისთვის ნიშანდობლივი ქართული რასობრივი უპირატესობისა და მესიანისტური იდეები, რომელიც ამ ესეშიც აისახა, საინტერესო მოვლენაა და ტიციან ტაბიძის ესე მასზე დაკვირვების საშუალებას გვაძლევს.

როგორც აღვნიშნეთ, ავტორის ცნობიერება ერთგვარი პანიკით - დაღუპვისა და გადარჩენის იდეით არის მოცული. ეს რაღაც ფობიები კი არ არის, არამედ სრულიად გასაგები შფოთვა, რაციონალური შიშია, რომელიც ბიძგს აძლევს, განაპირობებს და წარმართავს ბრძოლას არსებობისთვის. ეს ბრძოლა კი მალე სისხლისმღვრელი გახდებოდა. ატმოსფერო უკვე ავისმომასწავებლად იწამლებოდა ერთა დაახლოებისა და შერწყმის აბსურდული მარქსისტული თეორიებით, რაც პიროვნებასა და ერს სრულ ნიველირებას, გაქრობას უქადდა და არარას წინაშე ძრწოლის, ღმერთის მიერ მიტოვებულობის თუ ურწმუნობის მტანჯველ განცდას ბადებდა. ასეთ ვითარებაში ჩაეყარა საფუძველი ქართული ფენომენის, იდეის, სახის მაძიებელ რადიკალურ იდეოლოგიას. ეს იდეოლოგია, არსებითად, პოლიტიკური ნეორომანტიზმი უფრო იყო, ვიდრე შოვინიზმი ან ნაციონალური შეზღუდულობისა და ეგოიზმის გამოვლინება, რომელთა „საბოლოო დაძლევას“ დიდი კმაყოფილებით გვამცნობს საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობა. ამასთან, ეს იდეოლოგია აშკარად ნასაზრდოები იყო ნიცშეანური სიცოცხლის ფილოსოფიით, რაც მოდისადმი გაღებული ხარკი ნამდვილად არ ყოფილა. სრულიად ახალი პოლიტიკური და სოციალურ-ფსიქოლოგიური რეალობის ფორმირების ხანაში „სიცოცხლისა“ და „ძალაუფლების ნების“ ცნებები მშრალი ფილოსოფიური კონსტრუქციის ელემენტებად და განყენებულ სიმბოლოებად კი არ წარმოდგებოდა, არამედ მათში ცოცხლდებოდა თვითონ ყოფიერება, ვნება, თვითგადარჩენის ინსტინქტი, თავს იყრიდა „ეროვნული ენერგია“.

ნიცშესეულმა „ზეადამიანის“ მითმა, რომელშიც ძლიერი პიროვნების კულტი შეერთებულია „მომავლის ადამიანის“ რომანტიკულ იდეასთან, ქართულ ცნობიერებაში თავისებური მეტამორფოზა განიცადა - მოხდა „ადამიანის“ ჩანაცვლება „ერით“, რომელმაც უკან ჩამოიტოვა მანკიერი, სიცრუით სავსე თანამედროვეობა და მომავალს შეერწყა. „ვერც სენმა, ვერც სიღარიბემ და სიბერემ ვერ გატეხა ქართველი ერი. ის ისევ მრავლდება, ისევ ესიზმრება მზეთუნახავი... ის ინახავს რასიულ სილამაზის უპირატესობას“, - წერს ტიციან ტაბიძე; სხვათა შორის, იგი ნიცშეს „ზარატუსტრას“ პროფეტულ სტილსაც ბაძავს - ნაწყვეტ-ნაწყვეტ ამონათქვამებს, იდუმალ მინიშნებებს. ეს წყვეტილი სტილი ავტორის ერთგვარ დაბნეულობასაც წარმოაჩენს - ის თითქოს პოულობს საკუთარ თავს, შემდეგ ისევ კარგავს და ა. შ., ესეს ავტორი ხშირად ექცევა წინააღმდეგობაში და გაორებას განიცდის. ძნელი წარმოსადგენია, მაგალითად, თუ როგორ მოაშენებდნენ მზეთუნახავები ჯაბნებს, კუტებს და ჩიყვიან კრეტინებს და სხვ. ამ ესეში ხან ოპტიმიზმი ჭარბობს - „დღეს სხვა ჟამია... კიდევ შენახულია სიმამაცე, ჩვენ უნდა გვჯეროდეს იმისი სასწაულის“, ხან კი თანამედროვეობის კრიტიკა უნივერსალურ გულგატეხილობად წარმოგვიდგება - „ვაგლახ, არი ზარი და უბედურება...“ ეს უნივერსალური გულგატეხილობა თვით ნიცშეს მიერ გააზრებულია, როგორც ნიჰილიზმი, ტრადიციული იდეალების ილუზორულობისა და სიცოცხლისუუნარობის გაცნობიერება, ქრისტიანობის კრიზისი. ეროვნული ნიჰილიზმიც ეროვნულ თვითაღქმაში ილუზიების მოძალებას მოჰყვება.

დეპრესიული განწყობილებები საქართველოში 20-იანი წლებისთვის უფრო გაღრმავდა და გაძლიერდა; როგორც ცნობილია, 1928 წელს ჟურნალ „ქართული მწერლობის“ ფურცლებზე გაიმართა მწვავე პოლემიკა ნიკოლოზ მიწიშვილის წერილის „საქართველოზე ფიქრების“ გამო. ამ წერილში ლაპარაკია „ქართული იდეის“ ბუნდოვანების თუ არარსებობის შესახებ, რაც, უნდა ვიფიქროთ, 10-იან წლებში გაბატონებულ ქართულ მსოფლმხედველობასთან დაპირისპირების გამოხატულებაა. „საქართველო პასიური მოვლენაა“. მისი ენერგია გამოწვეული იყო სხვა, მის გარეშე მყოფ მოვლენისაგან (ენერგია ჭიის, როცა მას ფეხს აჭირებენ)“, - ნ. მიწიშვილის ეს მოსაზრება ტ. ტაბიძის სიტყვების - „გავიგოთ, რომ საქართველო მოწვეულია მსოფლიო მსახურებისთვის...“ - სრული ანტითეზაა. ორივე აზრი ულტრარადიკალურია, ისინი ერთმანეთს კვებავენ და წარმოშობენ, როგორც მოუზომავი პრეტენზიების გაქარწყლება წარმოშობს სკეპტიციზმს.

მე-19 საუკუნის ქართულმა პატრიოტულმა მსოფლმხედველობამ მე-20 საუკუნის დასაწყისში აშკარად დათმო პოზიციები, საკუთარი ქვეყნისადმი ილია ჭავჭავაძისეული რეალისტური, პრაქტიკულ მოქმედებაზე და პრაქტიკულ შედეგებზე ორიენტირებული დამოკიდებულება, პრაგმატულ - რაციონალისტური აზროვნების წესი ეგზალტირებულმა მითისქმნადობამ შეცვალა. ამ ცვლილებას საგანგებო შესწავლა სჭირდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანანა იამანიძე

# თანმხლები პირის როლი ფრანგ მოგზაურთა მოღვაწეობაში

საფრანგეთის აღმოსავლეთთან ურთიერთობის საწყისად შესაძლებელია მივიჩნიოთ ირანის ხელმწიფის მიერ საფრანგეთის მეფის ფილიპ ლე ბელისადმი (1268-1314 წ.წ.), 1289 და 1305 წლებში გაგზავნილი წერილები. პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის არქივში დაცულ ამ ისტორიული დოკუმენტების მიხედვით აღმოსავლეთის უძლიერესი მაჰმადიანური სახელმწიფო თავაზობს ჭეშმარიტ ქრისტიან მეფეს სამხედრო ალიანსსა და სხვა მეგობრულ სახელმწიფოებრივ ურთიერთობას.

აღმოსავლეთისაკენ მიმავალ მოგზაურებს ამიერკავკასიაზეც უნდა გაევლოთ, რომელიც XIII საუკუნიდან სხვადასხვა პერიოდში მონგოლების, სპარსელებისა და თურქების მიერ იყო დაპყრობილი, რაც აფერხებდა დასავლეთ ევროპის ქვეყნების აღმოსავლეთთან დაკავშირებას.

საზღვაო და სახელმწიფო გზა, რომელსაც ფრანგი მოგზაურებიც მოჰყავდა საქართველოში, ამ დროისთვის კარგად ორგანიზებული და ათვისებული, მაგრამ ძვირი და რთული იყო. „XIV საუკუნეში შავ ზღვაზე იტალიური ვაჭრობის განვითარებამ, XV-XVI საუკუნეებში ჩრდილოეთით, ვოლგა-კასპიის გზის აღდგენამ, გააცოცხლა ამიერკავკასიის და კასპიის სანაპიროს გასწვრივი გზები, რომლებსაც აერთიანებდათ კასპიისპირეთ-კავკასიის ბაზარი. ამ გზების მთავარი პუნქტები ამიერკავკასიის – ტფილისი, კასპიისპირეთის-დერბენდი, ხოლო ორივე გზისათვის საკვანძო პუნქტი – შემახა“ იყო (მ. პოლიევქტოვი).

ისტორიულად ცნობილია, რომ ქვეყნებს შორის კეთილგანწყობილი ურთიერთობა კომერციის საშუალებითაც მყარდებოდა. სავაჭრო კაპიტალის მიზიდვის და სხვა სახელმწიფოებრივი მიზნების განხორციელებისთვის საფრანგეთის სახელმწიფო აგზავნიდა კომერსანტებს აღმოსავლეთის ქვეყნებში სამოგზაუროდ.

ევროპელი მოგზაურები, მათ შორის ფრანგი საეკლესიო მისიონერი, მკვლევარი, სახელმწიფო მოხელე და სხვა. ძირითადად ვაჭრების ქარავანს მიჰყვებოდნენ აღმოსავლეთისკენ. მათ კარგად მოეხსენებოდათ, რომ სომეხ ვაჭართა ქარავანი რეგულარულად მოძრაობდა ჩინეთის საზღვრებამდე და მრავალ მათგანს, განსაკუთრებით საეკლესიო მისიონერებს (კაპუცინებს) სარეკომენდაციო წერილით... არაერთხელ მიუმართავს სომეხ ვაჭართა საზოგადოებისთვის, რათა დიდ და რთულ გზაზე დახმარება მიეღოთ.

გამოუცდელი მოგზაურისთვის სავაჭრო ქარავანთან ერთად მგზავრობა, რა თქმა უნდა, ხელსაყრელი, საინტერესო და ნაკლებად ხიფათიანიც იყო.

XIII-XVIII საუკუნეებში სახმელეთო-საქარავნო და საზღვაო გზა საშუალებას აძლევდა აღმოსავლეთისკენ მიმავალ მოგზაურს, გაცნობოდა და აღეწერა მრავალი ქვეყანა, მათ შორის საქართველო. მოგზაურობის ძირითადი მიზანი მონგოლეთი, ოსმალეთი, ირანი და სხვა იმ პერიოდისათვის ფრიად აღზევებული სახელმწიფოები იყო. სამწუხაროა, რომ ისინი ამ ქვეყნების მიღმა, მათი კუთხით ხედავდნენ და აღიქვამდნენ საქართველოსა და ქართველ ხალხს.

აღმოსავლეთის ქვეყნებისადმი მიძღვნილი სხვადასხვა ჟანრის მოგზაურული თხზულებების გაცნობამ დაგვანახა, რომ ფრანგ მოგზაურთა ერთი ნაწილი საქართველოს და მისი ხალხის მიმართ დიდ ინტერესს და კეთილგანწყობას ამჟღავნებს. რთული სოციალურ-პოლიტიკური ვითარების ფონზე ისინი ცდილობენ ჩაწვდნენ საქართველოს აწმყოს და გამოიკვლიონ მისი წარსული. მოგზაურთა შთაბეჭდილებებში საქართველო მოხსენიებულია, როგორც გმირული წარსულის, წარმტაცი ბუნების მქონე ქვეყანა, ლამაზი, შეუპოვარი, კეთილშობილი და ღრმადმორწმუნე ქრისტიანებით დასახლებული. მოგზაურების მეორე ნაწილმა ან მდუმარედ გადალახა საქართველო და მთელი ყურადღება მსგავს პირობებში მყოფ მის მოსაზღვრე ქვეყნებს მიაპყრო, ან ყოველგვარი დაკვირვებისა და გამოკვლევის გარეშე დაუდევრად შეაფასა საქართველოს ყოფა, მისი მტრისაგან გადამწვარი და აწიოკებული მოსახლეობა, მოურიდებლად გამოამჟღავნა გულგრილობა და ანტიპათია.

ფრანგ მოგზაურთა რელაციების გაცნობისას შევნიშნეთ, აგრეთვე, რომ XIII-XVIII საუკუნეების ფრანგულ მოგზაურულ ლიტერატურაში საქართველოს შესახებ რაოდენობრივად უფრო ნაკლები ნაწარმოებებია, ვიდრე მის მეზობელ, იგივე სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის მქონე სომხეთზე. ფრანგ მოგზაურთა (ჟან დიუ მონ, პეტის დე ლა კრუა, მიშელ ფებრ, ალექსანდრ დე როდ, ჟაკ ვილოტ, ფილიპ აერილ, გაბრიელ დე შინონი, რაფაელ დიუ მანს, ბარონ დე გურმენენ, ფრანსუა პიკე, ლორან დარვიე, ფრანსუა ბერნიე და სხვა (Bibliotéque Nationalt, bibliotéque de l'Arsenal... Paris.). მრავალ თხზულებაში საქართველო იგნორირებულია ან გაკვრით არის მოხსენიებული, ხოლო სომხეთი და სომეხი ხალხი ვრცლად და დეტალურად არის აღწერილი. ბევრმა სომხური ენა შეისწავლა, რათა, როგორც თვითონ მოგზაურები აღნიშნავენ, უკეთ გაცნობოდნენ სომხურ კულტურას, ხელოვნებას, ლიტერატურას. ამგვარად უფრო შეძლებ-

დნენ ტანჯული სომეხი ხალხისათვის სულიერი, ფიზიკური და სარწმუნოებრივი ტკივილების შემსუბუქებას. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ზემოხსენებულ მოგზაურთა დიდი ნაწილი თავიანთ მოგონებებში მადლიერებით მოიხსენიებდნენ სომეხი ეროვნების (არნო, გასპარი, ანტუანი...) მსახურსა და თანმხლებს, რომლებიც თითქოსდა დაკისრებული მოვალეობის შესრულების მიზნით თავს დასტრიალებდნენ და ბეჯითად ემსახურებოდნენ მათ მოგზაურობის განმავლობაში.

საერთოდ, ვუაიაჟისტი (მოგზაური) შორეულ ქვეყანაში მოგზაურობისას ირჩევდა თანმხლებ პირს, რომელიც სამოგზაურო ქვეყანას იცნობდა და იმ ქვეყნის ენას ფლობდა ავად თუ კარგად. მოკლედ, იგი სპეციალურად ამ საქმისთვის გაწვრთნილი და მომზადებული იყო.

როგორც ვხედავთ, სავაჭრო ქარავნის და სხვადასხვა ქვეყნებში არსებულ სომეხ ვაჭართა საზოგადოებრივი გაერთიანება ევროპელ, მათ შორის, ფრანგ მოგზაურებს და მისიონრებს დიდ სამსახურს უწევდა. გარდა ამისა, XVII-XVIII საუკუნეებში არსებობდა ინტერპრეტატორის, პროფესიონალი თანმხლები პირის ინსტიტუტი, რომელიც საფრანგეთის მეფის ლუი XIV-ს სახელმწიფო მინისტრმა, მოგზაურობისა და მოგზაურული ლიტერატურის დიდმა დამფასებელმა ჟან-ბატისტ კოლბერმა (1649-1683) დაარსა. ის აგზავნიდა ახალგაზრდებს აღმოსავლეთში ენების შესასწავლად, იქაური ზნე-ჩვეულებების და ადათ-წესების შესაფასებლად. მათ უფლება ჰქონდათ, ემუშავათ მდივან-თარჯიმნებად აღმოსავლეთის სხვადასხვა ქვეყანაში. ცნობილი ფრანგი მკვლევარი ანრი კორდიე თავის შრომაში „გენერალ ბრიუნის თარჯიმანი და ახალგაზრდა ენების სკოლის დასასრული“ აღნიშნავს: „თარჯიმნები, რომლებიც მუშაობენ მუსულმანურ სახელმწიფოებში, პირისპირ დგანან ელჩსა და ქვეყნის მთავარ მმართველ ძალებს შორის, ისინი მოქმედებენ სრულიად დამოუკიდებლად პოლიტიკურ, იურიდიულ და კომერციულ საკითხებზე მოლაპარაკებისას“. ამ ფუნქციონერ ინტერპრეტატორებს XVIII საუკუნემდე ეწოდებოდა ტრუშმანი (truchman), შემდეგ კი დროგმანი (drogman); იგი იყო გიდი, მომსამსახურე, დამცველი, მზარეულიც კი. „დროგმანი, როგორც წესი იყო აღმოსავლელი ქრისტიანი, ძირითადად ბერძენი ან სომეხი, იშვიათად აღმოსავლელი ებრაელი, თავისი პროფესიის გავლენით თითქოს გაორებული იყო - რწმენით ევროპასთან მიახლოებული, კულტურით აზიას ეკუთვნოდა“. (Moussa Sarga, Eczize le voyage, Paris, 1994, p. 102).

როგორც ჩანს, ფრანგ მოგზაურთა თანმხლები პირი შეიძლებოდა ყოფილიყო კომერსანტი, განსწავლული ინტერპრეტატორი (იგივე ტრუშმანი, დროგმანი) და, უბრალოდ, დაინტერესებული პირიც. ფრანგული მოგზაურული ლიტერატურის გაცნობისას შევნიშნეთ, რომ XVII-XVIII საუკუნეების ფრანგ მოგზაურთა რელაციებში აღმოსავლეთის ქვეყნების, განსაკუთრებით სპარსეთისა და თურქეთის შესახებ, ხშირად ფიგურირებს სომეხი კომერსანტი, სომეხი ინტერპრეტატორი და თანმხლები პირი, სომეხი მასპინძელი და მსახური, ამღენად გაგვიჩნდა კითხვა: გამიზნულად ხომ არ გადაჰქონდათ მათ ფრანგ მოგზაურთა ყურადღება და, რაც მთავარია, მათი ქველმოქმედება თავისი ქვეყნისკენ?!

ფრანგულ მოგზაურულ ლიტერატურაში დროგმანი, იგივე გიდ-ინტერპრეტატორი, სათანადოდ არის გამოკვლეული და მათი მოღვაწეობა უმრავლეს შემთხვევაში უარყოფითად ფასდება: „გიდ-ინტერპრეტატორის კონტრაქტზე ხელის მოწერისთანავე მოგზაური თავის ბედ-იღბალს მას აბარებს. რა თქმა უნდა მოგზაურობისას აუცილებელია თარჯიმანი, განსაკუთრებით ევროპელი მოგზაურებისათვის, რომლებმაც ხშირად არ იციან აღმოსავლური ენები. აღმოსავლეთელი თარჯიმნები, ფუნქციის მიხედვით, ახლოს დგანან აღმოსავლეთთან, ინტელექტით კი, სამწუხაროდ, ძალზე შორს. დროგმანები განსაკუთრებულ ზემოქმედებას რომანტიკოს მოგზაურებზე ახდენდნენ თავიანთი ნაამბობით აღმოსავლეთზე, რომელიც სიცრუეს უფრო ჰგავს ვიდრე სინამდვილეს“. (Encyclopédie Diderot-Almbert, vol. XVII, 1765, p. 447.)

ზემოაღნიშნულთან ერთად თუ მხედველობაში მივიღებთ აღმოსავლეთის ქვეყნების მღელვარე სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებას, რომლის პირისპირ რჩებოდა მოგზაური არასანდო, არაკომპეტენტური ინტერპრეტატორის თანხლებით, აგრეთვე, იმასაც, რომ არსებობს ცრუ მოგზაურის ტიპი, რომელიც „რეალობაზე უფრო საკუთარ ფანტაზიას გვთავაზობს, ან რაც ნახა იმას უმატებს რაც შეიძლებოდა ენახა“, იოლი მისახვედრია, თუ რატომ არის XV-XVIII საუკუნეების ფრანგულ მოგზაურულ ლიტერატურაში საქართველოს სახე ბუნდოვანი, უფერული და ხშირად არაობიექტურიც.

მიუხედავად ზოგიერთი უზუსტობისა, XIII-XVIII საუკუნის ფრანგმა მოგზაურებმა, რომელთა შორის არიან სხვადასხვა წარმოშობის, პროფესიის, მიზნების ინტერესების და გემოვნების ადამიანები, აღწერეს და დაგვიტოვეს საინტერესო მასალები ჩვენი ქვეყნის შესახებ, რომლებიც, როგორც მოგზაურული ნაწარმოებები, ფრანგული ლიტერატურის ისტორიის ნაწილია.



Omega
ომეგა

დედის დაზღვევა
INSURANCE OF MOTHER
საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო კომპანია
GEORGIAN STATE INSURANCE COMPANY




გამომცემლობა „ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐᲛ“ მკითხველს მიაწოდა „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲔᲜᲘᲡ ᲝᲠᲗᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲚᲔᲥᲡᲘᲙᲝᲜᲘᲡ“ მეორე შევსებული გამოცემა. მისი ავტორები არიან *ვარლამ თოფურია და ივანე გიგინეიშვილი.* ლექსიკონი მოამზადა ენათმეცნიერების ინსტიტუტმა. ახალი ლექსიკონი თითქმის სამჯერ უფრო ვრცელია უწინდელზე და მოიცავს 80.000-მდე ერთეულს.

ლექსიკონის ტირაჟია 10.000, ხოლო ფასი 20 ლარი.

ლექსიკონის შეძენა შეგიძლიათ გამომცემლობა „განათლებაში“. სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებების, გამომცემლობების, ჟურნალ-გაზეთებისა და რადიო-ტელევიზიის მუშაკთა კოლექტიური განცხადებები დაკმაყოფილდება შეღავათიან ფასებში.

მისამართი: თბილისი, გ. ჩუბინაშვილის ქუჩა №50;
ტელეფონები: 95.53.39; 95.50.97;
96.75.35; 96.75.38.







ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
1998








64/7

ფასი 2 ლარი



ნომერში გამოყენებულია გიორგი შხვაცაბაიას ნამუშევართა რეპროდუქციები

